# ჯერეკანი

## რჩეული თხზულებანი
## ხუთ
## ტომად

# ჯერეკი

## ბოგი ვეოთხე

## ლევარი და ვეკუა

გამომცემლობა „მერანი“ 1974

II(Фран)
8435—31
ф 761

„ბუვარი და პეკუშე“ ფლობერის უკანასკნელი რომანია; ესაა მოხუცი გადამწერლის ამბავი, იუმორისტულად დაწერილი „თავისებური კრიტიკული ენციკლოპედია“, როგორც ამას თავად ავტორი აცხადებს; ამ ახალ ნაწარმოებში იგი გამოთქვამს გულისწყრომასა და აღშფოთებას გაბატონებულ კლასთა კულტურის კრიზისის გამო, რის სიმპტომებსაც ფხიზლად ამჩნევდა ფლობერი, რომელიც უნდობლად ეკიდებოდა მეცნიერული და სოციალური პროგრესის შომავალს.

თარგმანი ფრანგულიდან ა რ ი ს ტ ო ჩ უ მ ბ ა ძ ი ს ა

TRADUIT EN GEORGIEN PAR ARISTO TCHOUMBADZE

გ ი ვ ი მ ე ლ ა ძ ი ს ს ა ე რ თ ო რ ე დ ა ქ ც ი ი თ

ф 733-59 / М604 (08)-74 76-74
© გამომცემლობა „მერანი“, 1974

# I

სიცხე ოცდაცამეტ გრადუსს აღწევდა. ბურდონის ბულვარი მთლად უკაცრიელი იყო.

უფრო ქვემოთ ორი რაბით გადაკეტილი სენ-მარტენის არხი გადაჭიმულიყო, რომელშიაც მელნისფერი წყალი მიედინებოდა. შუაგულ არხში შეშით დატვირთული ბაოჟა იდგა, დამრეც ნაპირზე კი ორ წყებად ეწყო კასრები.

არხის გაღმა, ხე-ტყის საწყობებს შორის, ვრცელი მოწმენდილი ცა ლურჯ კვადრატებად ისახებოდა და მზით გასხივოსნებული თეთრი წინამოები, კრამიტის სახურავები, გრანიტის სანაპიროები თვალისმომჭრელად ელვარებდნენ. თბილ ჰაერში შორეული, ყრუ გუგუნი იდგა. თითქოს ყოველივე გაექვავებია კვირადღის მოცლილობასა და სევდას, ზაფხულის დღეებს რომ სჩვევია.

ქუჩაში ორი კაცი გამოჩნდა.

ერთი ბასტილიის მხრიდან მოდიოდა, მეორე კი — ბოტანიკური ბაღიდან: უფრო მაღალს, ტილოს კოსტიუმში გამოწყობილს, ქუდი კვინიხზე მოეგდო, ჟილეტი გაეხსნა, ხელში ჰალსტუხი ეჭირა და

ნელა მოაბიჯებდა. მეორე კი, უფრო დაბალი მთლად ჩამძვრალიყო მიხაკისფერ სერთუკში, ვიწროწინსაფრიანი კარტუზი ეხურა და თავჩაღუნული მოდიოდა.

შუა ბულვარზე, ერთსა და იმავე დროს, ერთ მერხზე ჩამოსხდნენ.

შუბლი რომ მოეწმინდათ, თითოეულმა ქუდი მოიხადა და გვერდით დაიდო; დაბალმა მეზობლის ქუდზე შეამჩნია წარწერა — „ბუვარი“, ამან კი სერთუკიანის ქუდის სარჩულზე ადვილად გაარჩია სიტყვა — „პეკუშე“.

— ხედავთ, — გამოელაპარაკა დაბალი, — ორივეს ერთნაირად მოგვიფიქრებია ქუდზე გვარის დაწერა.

— ჰ, რას იზამ, ჩემი ქუდი შეიძლებოდა კანტორაში შეცვლოდათ.

— მეც აგრე ვიფიქრე, მეც ხომ მოსამსახურე ვარ.

და ერთმანეთს გადახედეს.

პეკუშე ერთბაშად მოიხიბლა ბუვარის სანდომიანი შესახედაობით. ცისფერი, მუდამ ნახევრად მოხუჭული თვალების ღიმილი ვარდისფერ სახეს უცისკროვნებდა. ფართო ბაფთებიანი შარვალი თექის ფეხსაცმელთან ეკეცებოდა, მუცელზე კი შემოსტკეცოდა და პერანგს უნაოჭებდა. ოდნავ ხუჭუჭა ქერა თმა ბავშვურ იერს აძლევდა მის სახეს: ისეთი მრგვალი ტუჩები ჰქონდა, გეგონებოდათ, მუდამ უსტვენსო.

ბუვარი პეკუშეს სერიოზულმა შესახედაობამ განაცვიფრა.

მაღალ შუბლს ისეთი შავი და სწორი თმა უმკობდა, პარიკი გეგონებოდათ. რომელი მხრიდანაც არ უნდა შეგეხედათ, ცარიელი პროფილი იყო, ისეთი გრძელი ცხვირი ჰქონდა. პრწკიალა შარვალში გამოკვართული ფეხები ტანთან შედარებით ძალიან მოკლე ჰქონდა. რიხიანი, მოგუდული ხმით ლაპარაკობდა.

მან უნებურად წამოიძახა:

— კარგია ახლა სოფელში ყოფნა!

ბუვარმა უპასუხა, გარეუბანი, სამიკიტნოების ხმაურის გამო აუტანელიაო. პეკუშეც ასეთივე აზრისა გახლდათ, მაგრამ დედაქალაქის ცხოვრება უკვე ღლიდა მას, ბუვარიც იღლებოდა.

ისინი გასცქეროდნენ ქვათა გროვას, აშმორებულ წყალს, რომლის ზედაპირზეც თივა ტივტივებდა, ფაბრიკის საკვამურს, ჰორი-

ზონტზე რომ აჩხატულიყო. ჩამდინარე წყალს მიაზმები ასდიოდა. ახლა მეორე მხრისაკენ მიბრუნდნენ. მათ თვალწინ პურის ბეღლები კედელივით აღიმართა.

ქუჩაში აშკარად უფრო ცხელოდა, ვიდრე შინ და პეკუშეს ეს აფიქრებდა. ბუვარმა ურჩია, სერთუკი გაიხადეო. თვითონ არ დაგიდევდათ წესრიგს.

უეცრად ტროტუარზე ბარბაცით გაიარა მთვრალმა. პეკუშე და ბუვარი საუბრობდნენ ჯერ მუშათა ცხოვრებაზე, მერე — პოლიტიკაზე. მათი შეხედულებანი ერთმანეთს დაემთხვა. თუმცა ბუვარი უფრო ლიბერალი იყო.

ქვაფენილზე, მტვრის კორიანტელში, რკინის გრუხუნი გაისმა: სამი საქირაო ეტლი ბერსისაკენ მიდიოდა, ეტლებში ისხდნენ თაიგულიანი პატარძალი, თეთრჰალსტუხიანი მდაბიონი, ქალები, რომლებიც განიერ ქვედატანებში ძლივს ჩანდნენ, სამიოდე გოგონა და ერთი მოსწავლე. მაყრიონის დანახვამ ბუვარი და პეკუშე ქალებზე აალაპარაკა; ძრახავდნენ მათ — ფუქსავატები, ჭირვეულები და ჯიუტები არიანო, თუმცა ხშირად, მამაკაცებს მაინც სჯობიანო. მაგრამ მათზე უარესებიც არსებობენო. ერთი სიტყვით, უმჯობესია უიმათოდ ცხოვრებაო. ამიტომ არ შეურთავს პეკუშეს ცოლი.

— მე კი ქვრივი ვარ, უშვილო, — უთხრა ბუვარმა.

— ეს, შესაძლოა, ბედნიერებაც იყოს. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მარტოობა მოსაწყენია.

სანაპიროზე მეძავი და ჯარისკაცი გამოჩნდნენ. ქალი ფერმკრთალი, ჩოფურა და შავთმიანი, სამხედრო კაცის მკლავს ეყრდნობოდა, ფეხსაცმელს მოაჩლატუნებდა, თეძოებს არხევდა.

როცა ქალმა მათ ჩაუარა, ბუვარმა თავს ნება მისცა უწმაწური სიტყვები წარმოეთქვა. პეკუშე წამოწითლდა და, რაკი, ალბათ, პასუხის გაცემა არ სურდა, მათკენ მომავალ მღვდელზე ანიშნა.

ეკლესიის მსახური ნელა მოაბიჯებდა ტროტუარის გასწვრივ მიჯნებივით ჩარიგებული თელების ხეივანში და როგორც კი სამკუთხაქუდიანი თვალს მიეფარა, ბუვარმა ჩაილაპარაკა, შვება ვიგრძენი, იეზუიტებს ვერ ვიტანო; პეკუშემ, თუმცა არ შეივრდომა ისინი, ერთგული პატივისცემა გამოხატა სარწმუნოებისადმი.

ამასობაში დაბინდდა და მოპირდაპირე სახლში დარაბები ასწიეს. ქუჩაში ხალხი მომრავლდა. საათმა შვიდჯერ დარეკა.

ისინი კი საუბრობდნენ და საუბარი ელეოდათ, ანეკდოტებს კრიტიკული შენიშვნები მოსდევდა, პირად შეხედულებას — ფილოსოფიური განზოგადება. გააკრიტიკეს გზათა ინჟინრების კორპუსი, თამბაქოს მონოპოლია, ვაჭრობა, თეატრები, საფრანგეთის ფლოტი და ადამიანთა მთელი მოდგმა, თითქოსდა ცხოვრების ჭირ-ვარამისაგან ყოფილიყვნენ გამწარებულნი. თითოეულ მათგანს, როცა მეორეს უსმენდა, თავისი მივიწყებული ჩვევები მოაგონდებოდა ხოლმე. და თუმცა იმ ასაკში აღარ იყვნენ, როცა კაცი გულუბრყვილოდ ღელავს, მაგრამ რაღაც ახალ სიამოვნებას, ერთგვარ აღფრთოვანებას, ახალჩასახული სათუთი გრძნობის მშვენებას განიცდიდნენ.

ერთი ოცჯერ მაინც ადგნენ, კვლავ დასხდნენ, გაიარ-გამოიარეს ერთი რაბიდან მეორემდე, ცდილობდნენ წასულიყვნენ, მაგრამ, თითქოს მოხიბლულანო, განშორების ღონე არ ჰქონდათ.

მაინც ეთხოვებოდნენ ერთმანეთს, ხელები ჯერ კიდევ არ გაეშვათ, რომ ბუვარმა მოულოდნელად თქვა:

— ერთად ხომ არ გვესადილა?

— მეც აგრე ვფიქრობდი, მაგრამ თქმას ვერ ვბედავდი, — ძიუგო პეკუშემ.

და დათანხმდა შესულიყვნენ პატარა რესტორანში, რატუშის პირდაპირ, რომელიც არცთუ ურიგო იყო.

ბუვარმა სადილი შეუკვეთა.

პეკუშეს ეშინოდა სანელებლისა, სისხლს აჩქროლებსო; ამან გამოიწვია დავა მედიცინაზე, შემდეგ მეცნიერების უპირატესობანი შეაქეს. რამდენი რამ შეიძლება გაიგო, გამოიკვლიო, თუ დრო გაქვსო. მაგრამ, ვაი, რომ მოცალეობა ლუკმაპურის შოვნაში იხარჯებაო. და გაკვირვებით ხელები გაშალეს, კინაღამ სუფრაზე გადაეხვივნენ ერთმანეთს, როცა შეიტყვეს, რომ ორივე გადამწერელი ყოფილა. ბუვარი სავაჭრო სახლში, პეკუშე კი — საზღვაო სამინისტროში. ეს როდი უშლიდა ხელს პეკუშეს, ყოველდღიურად ცოტაოდენი დრო კვლევა-ძიებისათვის დაეთმო. მან შეცდომები აღმოაჩინა ბატონ ტიერის თხზულებებში და უდიდესი პატივისცემით იხსენიებდა ვინმე პროფესორ დიუმუშელს.

ხხვა მხრივ ბუვარი სჯობდა. ძუისაგან დაწნულ საათის ძეწკვზე და იმაზე, თუ როგორ მიირთმევდა სოუსს, ეტყობოდა, ბევრის

მნახველი კაცი იყო. ჭამის დროს იღლიაში გამოჩრილი ჰქონდა ხელსახოცი და ისეთ ამბებს ჰყვებოდა, პეკუშე სიცილით კვდებოდა. იცინოდა იგი თავისებურად. მუდამ ერთნაირ დაბალ ხმას გამოსცემდა, და ეს ხმა ხანგამოშვებით გაისმოდა. ბუვარი კი თავშეკავებით, რიხიანად იცინოდა, თანაც კბილებს კრეჭდა, მხრებს აძაგძაგებდა ისე, რომ მუშტრები რესტორნიდან გასვლისას მოუხედავდნენ ხოლმე.

ნასადილევს ყავის დასალევად წავიდნენ. პეკუშემ გაზის ფარნები ჩაათვალიერა და ზედმეტი ფუფუნება დაჰგმო, შემდეგ ხელისგულით განზე გასწია გაზეთები. ბუვარი კი პატივისცემით ეპყრობოდა მათ. საერთოდ, მწერლობა უყვარდა, ხოლო ახალგაზრდობაში მსახიობობის ნიჭსაც ამჟღავნებდა.

ბილიარდის ჭოკი და სპილოს ძვლის ორი ბურთი აიღო და მოისურვა ეკვილიბრისტიკის ფოკუსები ეჩვენებინა, რასაც ერთი მისი მეგობარი, ბარბერუ აკეთებდა. მაგრამ ბურთები მუდამ ძირს ცვიოდა, ფეხებში უგორავდა იქ მყოფთ და შორეულ კუთხეებში იმალებოდა. ოფიციანტი ეძებდა სკამქვეშ და ბოლოს კიდევაც აღშფოთდა. პეკუშე წაეჩხუბა. პატრონი მოვიდა, პეკუშემ მისი ბოდიში არ მიიღო და ისიც დაიწუნა, რაც მიართვეს.

შემდეგ პეკუშემ ბუვარს შესთავაზა, საღამო ჩემთან გავატაროთ მშვიდად, აგერ ორ ნაბიჯზე ვცხოვრობ, სენ-მარტენის ქუჩაზეო.

როგორც კი შინ მივიდნენ, მან მიტკლის კოფთისებრი რაღაც გადაიცვა და სტუმარს თავისი სავანე უჩვენა.

ფიჭვის ხის საწერი მაგიდა სწორედ შუაგულ ოთახში იდგა და გვერდს ვერ შეუვლიდით. გარშემო ყველგან: თაროებზე, სამ სკამზე, ძველ სავარძელზე და კუთხეებში უთავბოლოდ ეყარა რორეს ენციკლოპედიის რამდენიმე ტომი, მაგნეტიზიორის სახელმძღვანელო, ფენელონი და ქაღალდებში არეული სხვა წიგნები, ორი ქოქოსის კაკალი, სხვადასხვა მედლები, თურქული ჩაჩი და ჰავრიდან დიუმუშელის ჩამოტანილი ნიჟარები. მტვერი ხავერდივით დადებოდა ოდესღაც ყვითლად შეღებილ კედლებს. საწოლიდან ზეწარი ჩამოცურებულიყო, იქვე ეგდო ფეხსაცმლის ჯაგრისი, ლამპის მჭვარტლს ჭერი შეებოლა.

ბუვარმა თხოვა, ფანჯარას გავაღებო, ალბათ, სუნმა შეაწუხა.

— ქაღალდები გამეფანტება! — წამოიძახა პეკუშემ, თან გამ-ჭოლი ქარისაც ეშინოდა.

იგი იხრჩობოდა ამ პატარა ოთახში, რომელსაც დილიდან კრა-მიტის სახურავი აცხელებდა.

ბუვარმა უთხრა:

— თქვენს ადგილზე, ფლანელს გავიხდიდი!

— აბა, რას ბრძანებთ!

და პეკუშემ შიშით თავი დახარა, კაი კი ვიქნები, ჩემი ჰიგიენუ-რი ჟილეტი რომ არ მეცვასო.

— გამაცილეთ სახლამდე, — განაგრძო ბუვარმა, — სუფთა ჰაერზე გაგრილდებით.

პეკუშემ წაღები ჩაიცვა, თანაც წაიბუტბუტა:

— თქვენ პირდაპირ მომაჯადოვეთ, ღმერთმანი!

და, თუმცა კარგა მანძილი იყო, მაინც მიაცილა სახლამდე, ბე-ტიუნის ქუჩის კუთხეში, ტურნელის ხიდის პირდაპირ.

ბუვარის ოთახში იატაკი კარგად იყო მორეცხილი, ჩითის ფარ-დები ეკიდა და წითელი ხის ავეჯი იდგა, აივანი მდინარეს გადაჰყუ-რებდა. ოთახის მთავარი მორთულობა იყო კომოდის შუაში მო-თავსებული ლიქიორების სადგარი და დაგეროტიპები სარკის გას-წვრივ, რომლებზეც მისი მეგობრები იყვნენ გამოსახულნი. ნიშში ზეთით ნახატი პორტრეტი ეკიდა.

— ეს ბიძაჩემია, — უთხრა ბუვარმა.

და მიანათა სანთელი, რომელიც ხელში ეჭირა.

წითური ქილვაშები სახეს უმსხვილებდა, შუბლზე კულული ჩამოშლოდა. ჰალსტუხი და სამი საყელო: პერანგის, ხავერდის ჟი-ლეტის და შავი ფრაკისა თითქოს ყელზე უჭერდა. ჟაბოზე ბრი-ლიანტის საკინძი უნდა ჰქონოდა. თვალის უპეების ნაოჭები ლო-ყებზე ჩამოსვლოდა. ტუჩებზე დამცინავი ღიმილი უკრთოდა.

პეკუშემ თავი ვერ შეიკავა და უთხრა:

— მამათქვენი უფრო ეგონება კაცს.

— ჩემი ნათლიაა, — უდარდელად მიუგო ბუვარმა და მყისვე დაუმატა, ნათლობისას ფრანსუა-დენი-ბართლომე დამარქვესო.

პეკუშეს ჟუსტ-რომენ-სირილი ერქვა. ტოლები იყვნენ, ორ-მოცდაშვიდ-ორმოცდაშვიდი წლისა. ამ დამთხვევამ ისინი გაახარა

და თან კიდევაც გააკვირა: ერთმანეთი უფრო ხნიერი ეგონათ. შემდეგ გაოცებას გამოთქვამდნენ განგების მიმართ, რომლის გზებიც ზოგჯერ საუცხოოა.

— მართლაც, დღეს რომ სასეირნოდ არ გავსულიყავით, იქნებ, ისე მოვმკვდარიყავით, ერთმანეთი ვერ გაგვეცნო.

მერე ერთმანეთს თავიანთი სამსახურის მისამართები უთხრეს და ღამე მშვიდობისა უსურვეს.

— იცოდეთ, გოგოებთან არ შეუხვიოთ! — ჩასძახა ბუვარმა კიბიდან.

პეკუშემ კიბე ისე ჩაიარა, ამ თამამ ხუმრობაზე პასუხი არ გაუცია.

მეორე დღეს ძმები დეკამბოების სავაჭრო სახლის ეზოში: ელზასური ქსოვილები, ოტფეილის ქუჩა, 92 — ვიღაცამ დაიძახა:

— ბუვარ! ბატონო ბუვარ!

ბუვარმა ფანჯარაში გაყო თავი და დაინახა პეკუშე. მან ხმას აუწია:

— ავად არა ვარ! გავიხადე.

— რა გაიხადეთ?

— ის, — და პეკუშემ ხელი გულზე დაიდო.

გუშინდელი დღის შთაბეჭდილებამ, ოთახის დახუთულმა ჰაერმა და საჭმლის გაძლიერებულმა მონელებამ პეკუშეს ძილი გაუტეხა. მაინც ვეღარ მოითმინა და ფლანელი გაიხადა. დილით მოაგონდა თავისი საქციელი, რასაც, საბედნიეროდ, ცუდი შედეგი არ მოჰყოლია. ადგა და წავიდა, რათა შეეტყობინებინა ბუვარისათვის, რომელიც ამ შემთხვევამ მის თვალში დიდად აღამაღლა.

პეკუშე წვრილი ვაჭრის შვილი იყო. დედა ძლიერ ახალგაზრდა გარდაეცვალა და არ ახსოვდა. თხუთმეტი წლისა პანსიონიდან გამოიყვანეს და სასამართლოს ბოქაულს მიაბარეს. ერთხელ მათთან ჟანდარმები მივიდნენ და მისი მასწავლებელი კატორღაში გაგზავნეს. ეს იყო საშინელი ამბავი, და პეკუშეს ახლაც კი შიშის ზარს სცემდა მისი გახსენება. შემდეგ მრავალი პროფესია გამოიცვალა: იყო მეაფთიაქის შეგირდი, აღმზრდელი, მოანგარიშე ზემო სენის პაკეტბოტზე. ბოლოს ერთი განყოფილების უფროსს მისი ხელწერა მოეწონა და გადამწერად მიიწვია. გრძნობდა, რომ საკმაო განათლება არ ჰქონდა და ეს აღიზიანებდა. სრულიად მარტოხელა

ცხოვრობდა, უნათესავებოდ, უსაყვარლოდ. კვირაობით თვალს ადევნებდა საზოგადოებრივ სამუშაოებს და ამით ერთობოდა.

ბუვარი იგონებდა შორეულ წარსულს, ლუარის ნაპირებზე ფერმის ეზოში გატარებულ ბავშვობას. კაცმა, ბიძად რომ მოხვდებოდა, ვაპრობის შესასწავლად პარიზში წაიყვანა. სრულწლოვანი რომ გახდა, საჩუქრად რამდენიმე ათასი ფრანკი მიიღო; მაშინ ცოლი შეირთო და საკონდიტრო გახსნა. ნახევარი წლის შემდეგ მეუღლე გაიპარა და თან წაიღო სალარო. მეგობრებმა, დროსტარებამ, განსაკუთრებით სიზარმაცემ მალე წირვა გამოუყვანა მის ქონებას. მაგრამ აზრად მოუვიდა გამოეყენებინა თავისი ლამაზი ხელწერა და თორმეტი წლის მანძილზე უცვლელად იჯდა ერთსა და იმავე ადგილზე ძმებ დეკამბოებთან: ელზასის ქსოვილები, ოტფეილის ქეჩა, 92. რაც შეეხება ბიძას, რომელმაც ოდესღაც ცნობილი პორტრეტი სამახსოვროდ გამოუგზავნა, ბუვარმა მისი ადგილსამყოფელიც არ იცოდა და მისგან არაფერს აღარ ელოდა. ათას ხუთასი ლივრი შემოსავალი და გადამწერლის ჯამაგირი საშუალებას აძლევდა ყოველ საღამოს რომელიმე ყავახანაში მჯდარიყო და წაეთვლიმა კიდეც.

მათ შეხვედრას დიდი მოვლენის მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი ერთბაშად იდუმალი ძაფებით დაუკავშირდნენ ერთმანეთს. და მართლაც, რით უნდა ავხსნათ სიმპათია? რატომ ხდება, რომ ამა თუ იმ თვისებას, ამა თუ იმ ნაკლს, ერთ ადამიანში უურადღებას არ ვაქცევთ ან ვძრახავთ, მეორეში კი გვიზიდავს? აფეთქება ყოველგვარ გრძნობას სჩვევია. ერთ კვირასაც არ გაევლო და ისინი უკვე შენობით ლაპარაკობდნენ.

ხშირად მიაკითხავდნენ ხოლმე ერთმანეთს სამსახურში; როგორც კი რომელიმე გამოჩნდებოდა, მასპინძელი მაშინვე დაკეტავდა თავის საწერ მაგიდას და წავიდოდნენ ქუჩებში სახეტიალოდ. ბუვარი ფართო ნაბიჯებს ადგამდა, სერთუკში გამოწყობილი პეკუშე კი მიცუნცულებდა და სერთუკის ბოლო ქუსლებზე უტყაპუნებდა. ასე ეხამებოდა ერთმანეთს მათი პირადი გემოვნებაც. ბუვარი ჩიბუხს ეწეოდა, უყვარდა ყველი, შაქარს ფინჯანში ყრიდა. პეკუშე კი ბურნუთს ყნოსავდა, დესერტად მხოლოდ მურაბას მიირთმევდა და ყავას შაქარმიკვნეტით სვამდა. ერთი მიმნდობი, ქარაფშუტა და

გულუხვი იყო, მეორე გულჩახვეული, ჩაფიქრებული და მომჭირნე გახლდათ.

ბუვარს სურდა ბეკუშესთვის ესიამოვნებინა და გააცნო ბარბერუ, ყოფილი კომივოიაჟორი, ახლა კი ბირჟაზე მოსაქმე. ძალიან კარგი კაცი იყო, პატრიოტი, ქალთა მაამებელი, მდაბიოდ მოლაპარაკე. ბეკუშეს იგი არ მოეწონა და ბუვარი დიუმუშელთან წაიყვანა. ეს მწერალი (მან გამოსცა მნემონიკის მცირე კურსი) ლიტერატურას ასწავლიდა ახალგაზრდა ქალიშვილთა პანსიონში, ორთოდოქსალური შეხედულებანი და სერიოზული ხასიათი ჰქონდა. ბუვარს მობეზრდა იგი.

არც ერთს არ დაუმალავს თავისი აზრი. აღიარეს, რომ ორივენი მართალნი იყვნენ. უღალატეს ჩვეულებას, თავიანთი საოჯახო პანსიონები მიატოვეს და ყოველდღე ერთად სადილობდნენ.

მსჯელობდნენ მოდურ პიესებზე, მთავრობაზე, სურსათის სიძვირეზე ვაჭრების თაღლითობაზე. ხანდახან ყელსაბამის ამბავს ან ფუალდესის პროცესს გაიხსენებდნენ, შემდეგ კი რევოლუციის მაზეზებს ეძიებდნენ.

დაეხეტებოდნენ ძველმანების სავაჭროებთან, დაათვალიერეს ხელოვნებისა და ხელოსნობის მუზეუმი, სენ-დენი, გობელენების საწარმო, ინვალიდთა სახლი და კოლექციების საცავები, რომელთა კარიც ღია იყო საზოგადოებისათვის. როცა საშვებს მოსთხოვდნენ ხოლმე, შეწუხდებოდნენ, დაგვეკარგაო, და თავს უცხოელებად — ინგლისელებად ასაღებდნენ.

მუზეუმის გალერეებში გაოცებით უცქერდნენ ოთხფეხა ფიტულებს, პეპლებს სიამოვნებით ათვალიერებდნენ, ლითონებს — გულგრილად; წიაღისეული ოცნებას უღვიძებდა, კონხიოლოგია მოსაწყენი ეჩვენებოდათ. სათბურებს გარედან ათვალიერებდნენ და ცახცახებდნენ იმის გაფიქრებისას, რომ მთელი ეს ფოთლები შხამს ანთხევსო. კედარმა ისინი განსაკუთრებით იმით გააოცა, რომ ამბობდნენ, ქუდით მოიტანესო.

ლუვრში ცდილობდნენ აღტაცებულიყვნენ რაფაელით. დიდ ბიბლიოთეკაში მოისურვეს შეეტყოთ ტომების ზუსტი რაოდენობა.

ერთხელ უნივერსიტეტში მოხვდნენ არაბული ენის ლექციაზე. პროფესორს გაუკვირდა, როცა შეამჩნია ორი უცნობი, რომლებიც ჩანაწერებს აკეთებდნენ. ბარბერუს წყალობით პატარა თეატრის

კულისებში შეაღწიეს. დიუმუშელმა მეგობრებს აკადემიის სხდომაზე დასასწრები ბილეთები უშოვა. ცდილობდნენ შეეტყოთ ახალი აღმოჩენები, ათვალიერებდნენ კატალოგებს და ეს ცნობისმოყვარეობა აზროვნების უნარს უვითარებდათ. ჰორიზონტზე, დღითი დღე რომ უფართოვდებოდათ, ბუნდოვან და ამასთან ერთად, მშვენიერ მოვლენებს ამჩნევდნენ.

ძველებური ავეჯით ტკბებოდნენ და გული წყდებოდათ, რატომ იმ ეპოქაში არ ვცხოვრობდით, როცა ეს მოდაში იყოო, თუმცა იმ ეპოქაზე სრულიად არაფერი არ იცოდნენ. ზოგიერთი სახელწოდების გაგონებაზე თვალწინ ეხატებოდათ ქვეყნები, და რადგან არ შეეძლოთ რაიმე ზუსტი წარმოდგენის შემუშავება, მათ უფრო მშვენივრად წარმოიდგენდნენ. ასე ეგონათ, ის წიგნები, რომელთა სათაურებიც მათთვის გაუგებარი იყო, რაღაც საიდუმლოებას შეიცავდნენ.

იდეებთან ერთად ტანჯვაც მოემატათ. როცა ქუჩაში საფოსტო ეტლს დაინახავდნენ, შიგ ჩაჯდომა და სადმე წასვლა მოესურვებოდათ. ყვავილების სანაპირო სოფლის ბუნებას მოანატრებდა ხოლმე.

ერთხელ, კვირადღეს, დილაადრიან გზას გაუდგნენ, გაიარეს მედონი, ბელვიუ, სიურენი, ოტეილი, მთელ დღეს ვენახებში დაეხეტებოდნენ, მინდორში ყაყაჩოს კრეფდნენ, ბალახზე ეძინათ, სვამდნენ რძეს, ჭამდნენ გარეუბნების სამიკიტნოების აკაციებქვეშ და შინ ძლიერ გვიან დაბრუნდნენ გამტვერილნი, დაქანცულნი და მეტისმეტად აღტაცებულნი. შემდეგ უფრო მოუხშირეს ასეთ სეირნობას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს უარი თქვეს ამაზე: მეორე დღეს მუდამ მოწყენილები იყვნენ ხოლმე.

კანტორის ერთფეროვნება მათთვის აუტანელი ხდებოდა. მუდამ საფხეკი ჯაყვა და რეზინი, მუდამ ქამს ერთი და იგივე სამელნე, ერთი და იგივე კალმები, ერთი და იგივე თანამშრომლები. ბუვარი და პეკუშე მათ სულელებად თვლიდნენ და სულ უფრო ძვირად ელაპარაკებოდნენ, ისინი კი თავის მხრივ, აბუჩად იგდებდნენ მათ. ყოველდღე იგვიანებდნენ და საყვედური ხვდებოდათ...

ოდესღაც თავს თითქმის ბედნიერად თვლიდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც საკუთარ თვალში გაიზარდნენ, სამსახური დამამცირებელი ეჩვენებოდათ და ამაში ხელს უწყობდნენ, აქეზებდნენ, აფუ-

ჭებდნენ ერთმანეთს. პეკუშემ ბუვარისაგან უკმეხობა ისესხა, ბუვარმა კი ერთგვარი სიმკაცრე შეითვისა მისგან.

— მზად ვარ ბაზრის ჯამბაზი გავხდე! — ამბობდა ერთი.

— თუნდაც მეძველმანე! — დასძენდა მეორე.

რა საშინელი მდგომარეობაა! და თავის დაღწევის არავითარი საშუალება არ არის! არც არავითარი იმედი!

ერთხელ, ნაშუადღევს (ეს იყო 1839 წლის 20 იანვარს) ფოსტალიონმა სამსახურში წერილი მიუტანა ბუვარს.

მან ხელები გაშალა, თავი ნელ-ნელა უკან გადაუვარდა და უგონოდ დაეცა.

თანამშრომლები მისცვივდნენ, ჰალსტუხი შეუხსნეს, ექიმთან კაცი გაგზავნეს. ბუვარმა თვალი გაახილა, შეკითხვების პასუხად წაილუღლუღა:

— აჰ... საქმე ისაა, რომ... ისაა, რომ... ჰაერზე უკეთ შევიქნები. არა! არ მინდა! თავი დამანებეთ!

თუმცა მსუქანი კი იყო, მაინც სულმოუთქმელად მიირბინა სამინისტრომდე, შუბლზე ხელს ისვამდა, ფიქრობდა, ხომ არ შევიშალეო. ცდილობდა დამშვიდებულიყო.

პეკუშე გამოიძახა.

იგიც მოვიდა.

— ბიძა მომიკვდა! მემკვიდრე ვარ!

— შეუძლებელია!

ბუვარმა შემდეგი ქაღალდი აჩვენა:

ნოტარიუს ტარდიველის კანტორა.
სეპტენის სავინი, 1839 წ. 14 იანვარი.
მოწყალეო ბატონო,

გთხოვთ მობრძანდეთ ჩემს კანტორაში, რათა გაეცნოთ მამათქვენის, ბ-ნ ფრანსუა-დენი-ბართლომე ბუვარის, ყოფილი ნანტელი ვაჭრის ანდერძს; მამათქვენი გარდაიცვალა ჩვენს კომუნაში ამ თვის ათს. აღნიშნული ანდერძი მეტად მნიშვნელოვან განკარგულებას შეიცავს თქვენს სასარგებლოდ.

თქვენი პატივისმცემელი
ტარდიველი, ნოტარიუსი.

პეკუშე იძულებული გახდა ეზოში მორზე ჩამომჯდარიყო. შემდეგ ქაღალდი დაუბრუნა და ნელა წარმოთქვა:

— ოღონდ... რაიმე... ხუმრობა არ იყოს.

— გგონია, ხუმრობაა? — იკითხა ბუვარმა მოგუდული ხმით, მომაკვდავის ხროტინს რომ ჰგავდა.

მაგრამ ფოსტის ბეჭედი, კანტორის ნაბეჭდი ბლანკი, ნოტარიუსის ხელმოწერა, ყველაფერი ამტკიცებდა ცნობის სინამდვილეს. მათ ერთმანეთს შეხედეს, ტუჩები უთრთოდათ, გაშტერებული თვალები კი ცრემლით ავსებოდათ.

მიწაზე ვეღარ ეტეოდნენ. საზეიმო თაღამდე მივიდნენ, სანაპიროს გამოუყვნენ, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი უკან მოიტოვეს. ბუვარს სახე ეწვოდა. პეკუშეს ზურგში მუშტს სცემდა და ხუთი წუთის განმავლობაში სისულელეს როშავდა.

უნებურად სიცილი აუტყდა. მემკვიდრეობა, უეჭველია, შეადგენს სულ ცოტა...

— აჰ! რა კარგი იქნებოდა! ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

მაგრამ კვლავ დაიწყეს ლაპარაკი. ხელს არაფერი უშლიდათ, რომ დაუყოვნებლივ მოეთხოვათ განმარტება. ბუვარმა ნოტარიუსს მისწერა.

ნოტარიუსმა გამოუგზავნა ანდერძის პირი, რომელიც ასე მთავრდებოდა:

„ამიტომაც ვუტოვებ ფრანსუა-დენი-ბართლომე ბუვარს, ჩემს უკანონოდ ცნობილ ვაჟს, ჩემი ქონების ნაწილს, რაც კანონით ერგება“.

ბ-ნ ბუვარს ახალგაზრდობაში შეეძინა ვაჟი, რომელსაც გულმოდგინედ მალავდა და ძმისწულად ასაღებდა; ძმისწული კი ბიძას ეძახდა, თუმცა კარგად იცოდა საქმის ვითარება. ორმოციოდე წლის ბუვარმა ცოლი შეირთო, მაგრამ მალე დაქვრივდა. როცა ორივე კანონიერი ვაჟი ისე არ მოიქცა, როგორც მას სურდა, შეწუხდა, უკანონო ვაჟი ამდენ ხანს დავიწყებული მყავსო. და თავისი მზარეულის გავლენა რომ არა, შინ მოიყვანდა. ნათესავების ხრიკების წყალობით მზარეულმა მიატოვა იგი. რაკი მარტო დარჩა, თანაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ცოდვათა მოსანანიებლად პირველი სიყვარულის ნაყოფს ქონების ნაწილი უანდერძა. ქონება ნახევარ მილიონამდე იქნებოდა, ასე რომ, გადამწერლის წილად

ორას ორმოცდაათი ათასი ფრანკი მოდიოდა. ძმათა შორის უფროსმა ეტიენმა, განაცხადა, ანდერძის საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო.

ბუვარი გაოგნებული იყო. ისე უდარდელად იღიმებოდა, როგორც ლოთებს სჩვევიათ და ჩურჩულით იმეორებდა:

— თხუთმეტი ათასი ლივრი რენტა!

პეკუშეც კი, თუმცა უფრო მაგარი თავი ჰქონდა, გონს ვერ მოსულიყო.

ისინი უეცრად შეაშფოთა ტარდიველის ახალმა წერილმა. მეორე ვაჟმა, ალექსანდრემ, განაცხადა: ყველაფერი სასამართლოს წესით უნდა გამოვარკვიო და, თუ მომიხერხდა, ანდერძის ნამდვილობა დავადგინო, ქონებას ყადაღა დავადო, აღვწეროო, და სხვ. ბუვარს ამის გამო ღვიძლი ასტკივდა. მომჯობინდა თუ არა, გემით სავანიეში წავიდა, იქიდან ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ ჩამოიტანა და წუხდა, ხარჯი ტყუილუბრალოდ გავწიეო.

შემდეგ დაიწყო უძილო ღამეები, ერთმანეთს ენაცვლებოდა მრისხანება და იმედი, აღტაცება და წუხილი. ბოლოს, ექვსმა თვემ რომ განვლო, ალექსანდრე დაწყნარდა და ბუვარი მემკვიდრეობას დაეუფლა.

მისი პირველი წამოძახილი იყო:

— სოფელში გადავსახლდებით!

და ეს ფრაზა, რომელმაც პეკუშე მის ბედნიერებას აზიარა, მეგობარს სრულიად ბუნებრივად ეჩვენა. ეს ორი ადამიანი მთლიანად დაუკავშირდა ერთმანეთს.

მაგრამ, პეკუშეს არ სურდა ბუვარის ხარჯზე ეცხოვრა და განაცხადა, არ წამოვალ, სანამ პენსიას არ დავიმსახურებო, ორი წელი არც ისე დიდი დროაო: ურყევად გადაწყვიტა და თავისი გაიტანა.

იმის ძიებაში, სად დავსახლდეთო, ყველა პროვინცია ჩამოთვალეს. ჩრდილოეთი ნოყიერია, მაგრამ მეტად ცივია; სამხრეთი ჰავით იზიდავდა, მაგრამ იქ კოღო-ქინქლები იცოდა, ცენტრალური ოლქი კი, სიმართლე უნდა ითქვას, არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენდა. ბრეტანი შესაფერისი იქნებოდა, მოსახლეობის ფარისევლური ხასიათი რომ არა. რაც შეეხება აღმოსავლეთ განაპირა მხარეებს, რაკი გერმანული ენა არ იცოდნენ, მათზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. მაგრამ სხვა მხარეებიც იყო. მაგალითად, რას წარ-

მოადგენენ ფორე, ბიუჟე, რუმუა, გეოგრაფიული რუკები არაფერს ამბობდნენ. თუმცა, ამ მხარეში იქნება მათი სახლი თუ ამ მხარეში, სულ ერთია, ოღონდ კი იყოს!

უკვე წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორ დგანან დაკაპიწებულნი ყვავილნართან, როგორ სხლავენ ვარდის ბუჩქებს, ბარავენ, თოხნიან, რგავენ; როგორ აღვიძებთ ტოროლას გალობა, კალათები მიაქვთ ვაშლის დასაკრეფად, ესწრებიან კარაქის დღვებას, ლეწვას, ცხვრების პარსვას, სკის მოვლას, ტკბებიან ძროხების ბღავილით და მოთიბული ბალახის სურნელებით. აღარავითარი გადაწერა! აღარავითარი უფროსი! ბინის ქირის გადახდის ვადაც კი აღარ იქნება! მათ საკუთარი სახლი ექნებათ და მიირთმევენ თავიანთი გაზრდილი ქათმის ხორცს, თავიანთი ბოსტნის მწვანილს და აღარ გაცვეთენ ფეხსაცმელს სადილზე სასიარულოდ.

— რაც მოგვესურვება, იმას გავაკეთებთ! წვერს მოვუშვებთ!

იყიდეს ბაღის დასამუშავებელი იარაღები, შემდეგ ბევრი ისეთი რამ, „რაც, შეიძლება, გამოსადეგი იქნეს“, მაგალითად, - ყუთი ინსტრუმენტებისათვის (ეს ყოველთვის საჭიროა მეურნეობაში), — სასწორი, მიწის საზომი ჯაჭვი, აბაზანა, თუ ავად გახდებოდნენ, თერმომეტრი და „გეი-ლუსაკის სისტემის“ ბარომეტრიც კი, თუ გაუჩნდებოდათ ფანტაზია ჩაეტარებინათ ფიზიკის ცდები. ურიგო არ იქნებოდა აგრეთვე რამდენიმე კარგი ლიტერატურული ნაწარმოები შეეძინათ (მუდამ გარეთ ხომ არ იმუშავებ) და წიგნებს დაუწყეს ძებნა, ამასთან ძლიერ უჭირდათ გამოცნობა, მართლა „საბიბლიოთეკოა“ თუ არაო. ბუვარმა ერთბაშად გადაჭრა საკითხი:

— მერე რა! ბიბლიოთეკა სულაც არ არის საჭირო.

— თანაც მე ხომ ჩემი მაქვს, — თქვა პეკუშემ.

წინდაწინვე ეწყობოდნენ. ბუვარი თავის ავეჯს წაიღებს; პეკუშე კი — თავის დიდ შავ მაგიდას, ფარდებიც გამოადგებათ, ხოლო ცოტაოდენ სამზარეულო ჭურჭელსაც თუ იშოვიან, სავსებით საკმაო იქნება.

ერთმანეთს ფიცი მისცეს, არაფერი გავამჟღავნოთო, მაგრამ სახე უბრწყინავდათ. ეს მათს თანამოსამსახურეებს ართობდა. ბუვარი მკერდით დაეყრდნობოდა საწერ მაგიდას, იდაყვებს გაშლიდა, რათა უკეთ დაემრგვალებინა ასოები, ჩვეულებისამებრ უსტვენდა და ეშმაკურად ჭუტავდა ხოლმე თვალს. ჩალის მაღალ სკამზე შემ-

ჯდარ პეკუშეს კი გულმოდგინედ გამოჰყავდა სწორი სტრიქონები თავისი გაკრული ხელით, ნესტოებს ბერავდა და ტუჩებს იკვნეტდა, თითქოს ეშინია, არაფერი წამომცდესო.

წელიწადნახევარი არჩევდნენ ადგილს, მაგრამ ვერაფერი შეარჩიეს. მოიარეს პარიზის შემოგარენი, იმოგზაურეს ამიენიდან ევრემდე და ფონტენებლოდან ჰავრამდე. ეძებდნენ მამულს, რომელიც მართლაც მამულს ემსგავსებოდა; არ დაუქინიათ, უთუოდ თვალწარმტაცი ადგილი იყოსო, მაგრამ უფერული ბუნებაც სევდას ჰგვრიდა.

ერიდებოდნენ დასახლებული პუნქტების სიახლოვეს, თან მარტოობისაც ეშინოდათ.

ზოგჯერ თითქოს გადაწყვეტდნენ კიდეც; შემდეგ, იმის შიშით, არ ვინანოთო, უარს ამბობდნენ, მოიმიზეზებდნენ, ადგილი ჯანსაღი არ არისო, ზღვიდან ქარი უბერავსო, ან ფაბრიკასთან მეტად ახლოსაა, ანდა ცუდი მისასვლელი გზები აქვსო.

ამ გაჭირვებიდან ბარბერუმ გამოიყვანა.

მან იცოდა, რაზეც ოცნებობდნენ ისინი, და ერთ მშვენიერ დღეს ამბავი მოუტანა: თურმე მამული იყიდება შავინიოლში, კანსა და ფალეზს შუაო. ეს იყო ოცდათვრამეტი ჰექტარი ფართობის ფერმა თავისებური ციხედარბაზითა და ბაღითურთ, რომელიც ხილის დიდ მოსავალს იძლეოდა.

ბუვარი და პეკუშე კალვადოსს გაემგზავრნენ და აღტაცებულნი დარჩნენ. მაგრამ ფერმა და სახლი (ცალ-ცალკე არ იყიდებოდა) ას ორმოცდასამ ათას ფრანკად დააფასეს, ბუვარი კი თანახმა იყო მხოლოდ ასოცი ათასი მიეცა.

პეკუშე ცდილობდა დაეყოლიებინა, სთხოვდა, დაუთმეო, და ბოლოს განუცხადა, განსხვავებას მე გადავიხდიო. ეს იყო მთელი მისი ქონება, რაც დედის მემკვიდრეობისა და საკუთარი დანაზოგისაგან შედგებოდა. ამაზე არასოდეს კრინტი არ დაუძრავს: ამ კაპიტალს განსაკუთრებული შემთხვევისათვის ინახავდა.

ფული მთლიანად 1840 წლის ბოლოს გადაიხადეს, ექვსი თვით ადრე, ვიდრე პეკუშე სამსახურს თავს დაანებებდა.

ბუვარი აღარ იყო გადამწერი. თავდაპირველად სამსახურს განაგრძობდა, რადგან მომავლის იმედი არ ჰქონდა. ხოლო, როგორც კი მემკვიდრეობის მიღების იმედი განუმტკიცდა, სამსახური მია-

ტოვა. მაგრამ ხალისით ესტუმრებოდა ხოლმე დეკამბოებს და წასვლის წინადღეს მთელ კანტორას პუნშით გაუმასპინძლდა.

პეკუშე, პირიქით, უხეშად მოეპყრო თანამშრომლებს, და, უკანასკნელ დღეს, სამსახურს რომ ტოვებდა, კარი გამოიჯახუნა.

მას თვალყური უნდა ედევნებინა ბარგის ჩალაგებისათვის, შეესრულებინა მრავალი დავალება, ეყიდა ახალი ნივთები და გამოთხოვებოდა დიუმუშელს.

პროფესორმა შესთავაზა, მიმოწერა ვაწარმოოთო. დაჰპირდა, ახალ ლიტერატურულ ამბებს გაცნობებთო, ერთხელ კიდევ მიულოცა და კარგად ყოფნა უსურვა.

ბარბერუმ მეტი მგრძნობიარობა გამოიჩინა ბუვართან გამოთხოვებისას. დომინოს თამაშს თავი გაანება, სიტყვა მისცა, სტუმრად გეწვევიო, ორი ჭიქა ლიქიორი შეუკვეთა და გადაკოცნა იგი.

შინ რომ დაბრუნდა, ბუვარმა თავისუფლად ამოისუნთქა აივანზე და თავისთვის წაილაპარაკა: „როგორც იქნა!“ სანაპიროს ფარნების შუქი წყალზე ციალებდა; ომნიბუსების ხმაური სადღაც შორს იკარგებოდა. გაახსენდა ამ დიდ ქალაქში გატარებული ბედნიერი დღეები, ლხინი რესტორნებში, მეკარე ქალის ჭორები, მთელი თავისი ჩვევანი და მისუსტდა, დანაღვლიანდა, თუმცა არ სურდა თავისთავს გამოტეხოდა.

პეკუშე ნაშუაღამევს ორ საათამდე ბოლთას სცემდა ოთახში. „აქ აღარ დავბრუნდები; მით უკეთესი!“ მაგრამ მაინც, რაიმე სახსოვარი რომ დაეტოვებინა, ბუხრის ბათქაშზე თავისი გვარი მიაჩხაპნა.

ბარგის დიდი ნაწილი წინადღით წაიღეს. ბაღის დასამუშავებელი იარაღები, საწოლები, ლეიბები, მაგიდები, სკამები, ტაფა, აბაზანა და სამი კასრი ბურგუნდიული ღვინო მდინარე სენით, ჰავრზე გავლით გაიგზავნა კანს, სადაც ბუვარი უნდა დახვედროდა და შავინიოლს ჩაეტანა.

მამის პორტრეტი, სავარძლები, ლიქიორის მარაგი, წიგნები, კედლის საათი, ყველა ძვირფასი ნივთი ფურგონში ჩაალაგეს და ნონანკურზე, ვერნეილსა და ფალეზზე გავლით წაიღეს. პეკუშემ მოისურვა ამ ბარგს გაჰყოლოდა.

იგი გამყოლს გვერდით მიუჯდა, ყველაზე ძველი სერთუკი ჩაიცვა, კაშნე გაიკეთა, ხელთათმანები წამოიცვა, ფეხებზე პატარა

ხალიჩა დაიფარა და 20 მარტს განთიადისას გავიდა დედაქალაქიდან.

ერთხანს მოძრაობა და მგზავრობის შთაბეჭდილებანი ართობდა. შემდეგ ცხენებმა ფეხი შეანელეს, ამან გამყოლისა და მეეტლის უსიამოვნება გამოიწვია. საძაგელ ფუნდუკებს ირჩევდნენ შესასვენებლად და პეკუშეც მეტისმეტი სიფრთხილის გამო ღაშეს მათთან ათევდა, თუმცა ისინი ყველაფერზე პასუხს აგებდნენ.

მეორე დღეს, დილაადრიან, გზას განაგრძობდნენ; გზა იგივე იყო, აღმართს მიყვებოდა და ჰორიზონტს უერთდებოდა. რიყის ქვის საგზაო სვეტები ერთმანეთს ცვლიდნენ, ორმოები წყლით იყო სავსე; ერთფეროვანი ციცი მწვანე ველი დიდ სივრცეზე იყო გადაპენილი, ცაში ღრუბლები ირეოდა, ხანდახან წვიმდა. მესამე დღეს ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. საზიდრის ცუდად მიკრული ბრეზენტი ხომალდის აფრასავით ფართქუნებდა. პეკუშე კასკეტით იფარავდა სახეს და ყოველთვის, როცა ბურნუთი მოუნდებოდა, ზურგს შეაქცევდა ხოლმე ცხენებს, რომ თვალებში თამბაქო არ შეჰყროდა. ესმოდა, როგორ ინჯღრეოდა ბარგი ოღროჩოღროებში და გამყოლთ აფრთხილებდა. მაგრამ, როცა დაინახა, არაფერი გამოდისო, ტაქტიკა შეცვალა: გულკეთილი და თავაზიანი გახდა, აღმართში მათთან ერთად აწვებოდა საზიდარს, ბოლოს სადილზე ყავითა და კონიაკით გაუმასპინძლდა. საზიდარი უფრო სწრაფად წავიდა, მაგრამ გობიურჟის მიდამოებში ღერძი გაუტყდა და გვერდზე გადახრილი გაჩერდა. პეკუშემ დაუყოვნებლივ დაათვალიერა ბარგი, ფაიფურის ფინჯნები მთლად დამსხვრეულიყო. ხელები აღმართთა და კბილების კრაჭუნით წყევლიდა ორივე ყეყეჩს. მეორე დღეც უქმად დაიკარგა, მეეტლე დათვრა. პეკუშეს ჩივილის ღონეც აღარ ჰქონდა: მწუხარების ფიალა აევსო.

ბუვარი პარიზიდან მხოლოდ მესამე დღეს გავიდა, რადგან უნდოდა ერთხელ კიდევ ესადილა ბარბერუსთან. საფოსტო სადგურში უკანასკნელ წუთს მიირბინა, შემდეგ რუანის ტაძრის წინ გაეღვიძა: დილიჟანსი შეშლოდა.

საღამოს ყველა ადგილი კანამდე დაკავებული იყო. რაკი არ იცოდა, რა ექნა, თეატრში წავიდა და მეზობლებს ღიმილით ამცნობდა, თქვენს წინაშეა ყოფილი კომერსანტი, რომელმაც ამ მიდამოებში მამული იყიდაო. პარასკევს, როცა კანს ჩავიდა, ბარგი არ

დახვდა. ბარგი მხოლოდ კვირას მიიღო და ურმით გაგზავნა, ფერმერი კი გააფრთხილა, რამდენიმე საათის შემდეგ მეც მოვალო.

მგზავრობის მეცხრე დღეს პეკუშემ ფალეზში მესამე ცხენი დაიქირავა და მზის ჩასვლამდე უფრო ჩქარა მიდიოდნენ. ბრეტვილი რომ გაიარა, დიდი გზიდან გადაუხვია, სოფლის შარას დაადგა და ყოველ წუთს ელოდა, შავინიოლის სახლის სახურავს დავინახავო. ამასობაში ნაკვალევი თანდათანობით დაიკარგა და მგზავრები მოხნულ მინდორს მიადგნენ. ღამდებოდა. რა უნდა ექნათ? პეკუშემ საზიდარი მიატოვა და ადგილის დასაზვერად ტალახში გატოპა. ფერმებიდან ძაღლების ყეფა ესმოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყვიროდა, იქნებ ვინმემ გზა მასწავლოსო. ხმა არავინ გასცა. შეშინდა და უკან გაიქცა. უეცრად სიბნელეში ორი ფარანი გაკრთა. პეკუშემ კაბრიოლეტი შენიშნა და დაედევნა. კაბრიოლეტში ბუვარი იჯდა.

მაგრამ ფურგონი სად არის? მთელ საათს გაყვიროდნენ ბნელში. ბოლოს იპოვეს და შავინიოლში მივიდნენ.

დარბაზში ფიჩხისა და ნაძვის გირჩების ცეცხლი გიზგიზებდა. სუფრა ორი კაცისათვის გაეშალათ. ურმით მოტანილი ავეჯი წინკარში დაეხორავებინათ. არაფერი არ აკლდათ და ისინი სუფრას შემოუსხდნენ.

ხახვიანი წვნიანი, წიწილა, შაშხი და მაგრად მოხარშული კვერცხები მოართვეს. ხანშიშესული მზარეული ქალი დროდადრო შემოდიოდა და ეკითხებოდა, როგორ მოგწონთო. ისინი უპასუხებდნენ: „ოჰ, ძალიან კარგია, ძალიან კარგი!“ დიდი პურიც, ძლივს რომ იჭრებოდა, ნაღებიც, ნიგოზიც, ყველაფერი ახარებდათ. იატაკი ღრიჭოიანი იყო, კედლები — ნესტიანი. მაინც კმაყოფილნი იცქირებოდნენ აქეთ-იქეთ და ვახშმობდნენ პატარა მაგიდაზე, რომელსაც სანთელი აშუქებდა: სახეები ქარისაგან ჰქონდათ შერუჯული. მუცლები წინ გამოეშვირათ, სკამის ზურგს ისე აწვებოდნენ, ხე ჭრაჭუნებდა, ისინი კი იმეორებდნენ:

— აი, ჩვენც მოვედით! რა ბედნიერებაა! ასე მგონია, სიზმარია-მეთქი!

უკვე შუაღამე იყო, მაგრამ პეკუშეს ბაღში გასეირნება მოეპრიანა. ბუვარს უარი არ უთქვამს. სანთელს ძველი გაზეთი მოაფარეს

და ბოსტნის კვლებს ჩაუარეს. ბოსტნეულის სახელებს ხმამაღლა წარმოსთქვამდნენ და უხაროდათ.

— შეხე, სტაფილო! ეგერ კომბოსტო!

შემდეგ სათბური დაათვალიერეს. პეკუშე კვირტებს ეძებდა. ზოგჯერ კედელზე უეცრად გაირბენდა ობობა; ბუვარისა და პეკუშეს გადიდებული ლანდი კი მათ მოძრაობას იმეორებდა. ფოთლებზე ცვარი ეკიდა. უმთვარო ღამე იდგა. ყველაფერი გარინდულიყო სამარისებურ სიჩუმეში, უშფოთველ მყუდროებაში. სადღაც შორს შამალმა იყივლა.

მათ ოთახებს ერთი ქაღალდაკრული კარი ყოფდა. როცა მას კომოდი მიადგეს, ანჯამები მოსძვრა და კარი მოულოდნელად გაიღო.

გაიხადეს და ლოგინში ჩაწვნენ, ერთხანს კიდევ ლაპარაკობდნენ, შემდეგ დაიძინეს: ბუვარი გულაღმა იწვა, პირდაღებული, თავშიშველი; პეკუშე — მარჯვენა გვერდზე, მუხლები მუცელზე მიეკრა, თავზე ჩითის ჩაჩი ეხურა. ფანჯრიდან მთვარის შუქი შემოდიოდა. ორივე ხვრინავდა.

## II

რა სიხარულით გაიღვიძეს მეორე დილით! ბუვარმა ჩიბუხი მოსწია, პეკუშემ კი ბურნუთი დაყნოსა და ორივემ აღიარა, ჩვენს სიცოცხლეში თამბაქო ასე სასიამოვნო არასოდეს არ ყოფილაო, მერე ფანჯარასთან მივიდნენ, რათა მიდამოს ცქერით დამტკბარიყვნენ.

თვალწინ გაშლილი მინდვრები მოჩანდა — კალო და ეკლესიის სამრეკლო, მარცხნივ — ალვის ხეივანი.

ორი ჯვარედინი ხეივანი ბაღს ოთხ ნაწილად ყოფდა. ბოსტნეულის კვლებს შორის აქა-იქ აჩხატულიყო პატარა კვიპاროსები და დაბალი ხეები. ვენახს ერთი მხრივ ფანჩატური მოსდგომოდა, მეორე მხრივ—კედელი; ბაღის სიღრმიდან კუტკარი გაშლილ მინდორში გადიოდა. კედლის გადაღმა ხეხილის ბაღი იყო, იქით — წიფლის ხეივანი, ჭიშკარგარეთ ბილიკი მიემართებოდა.

მიდამოს რომ ათვალიერებდნენ, ბილიკზე შავპალტოიანმა ჭაღა-

რა კაცმა გაიარა. იგი ღობის ყოველ სარს ხელჯოხს უკაკუნებდა. მოხუცმა მსახურმა ქალმა უთხრა მათ: ეს არის ბ-ნი ვოკორბეი, ამ მხარეში განთქმული ექიმიო.

კიდევ იყვნენ გამორჩეული ადამიანები: გრაფი დე ფაველრეი, ყოფილი დეპუტატი, განთქმული საუკეთესო მეწველი ფურებით; ადგილობრივი მერი ფურო, შეშით, კირით და ყოველგვარი მასალით მოვაჭრე; ნოტარიუსი მარესკო, აბატი ჟეფრუა და ქვრივი ქ-ნი ბორდენი, რომელიც საკუთარი შემოსავლით ცხოვრობდა; მსახურ ქალს ჟერმენი ერქვა, მისი განსვენებული ქმრის სახელი. იგი დღიური მოახლე იყო, მაგრამ სურდა ახალი ბატონების მსახური ყოფილიყო. მათაც დაიქირავეს და წავიდნენ ფერმის დასათვალიერებლად, რომელიც ერთ კილომეტრზე მდებარეობდა.

როცა ეზოში შევიდნენ, ფერმერი, ძია გუი, ვიღაც ბიჭს უჯავრდებოდა, ფერმერის ცოლი კი ტაბურეტზე იჯდა, ინდაური მუხლებში მოემწყვდია და ცომს აქმევდა. ქმარი მხარბეჭიანი გახლდათ, დაბალი შუბლი და თხელი ცხვირი ჰქონდა, იბღვირებოდა. ცოლი ძლიერ ქერა იყო, ლოყებზე დაჭორფლილი, სახის გამომეტყველება გულუბრყვილო ჰქონდა, როგორც ეკლესიის ფანჯრების ფერად მინებზე დახატულ გლეხ ქალებს.

სამზარეულოში ჭერზე ქერელის ხვეულები ეკიდა. სამი ძველი თოფი ბუხრის თავზე გაემწკრივებინათ. ქაშანურის ჭურჭლის სადგარს შუაგული კედელი ეკავა. სქელმინიანი ფანჯრებიდან თუნუქისა და სპილენძის ჭურჭელს მუქი სინათლე ეფინებოდა.

ორივე პარიზელმა მოისურვა თავისი მამულის დათვალიერება, რომელიც მხოლოდ ერთხელ ენახათ. ძია გუი და მისი ცოლი გაჰყვნენ და გაუთავებელ ჩივილს მოჰყვნენ.

ყველა შენობას, დაწყებული ურმების ფარდულით და გათავებული მარნით, შეკეთება ესაჭიროებოდა. აუცილებელი იყო კიდევ ერთი ყველის ფარდულის აგება, რკინის ღობის განახლება, მიწაყრილის ამაღლება, საწრეტი თხრილის გაყვანა და სამივე ეზოში ვაშლის ხეების გადარგვა.

შემდეგ ნათესები დაათვალიერეს. ძია გუის არ მოეწონა. ბევრი ნაკელი იყო საჭირო, ურმების დაქირავება კი ძვირი ჯდებოდა, ქვებისაგან მიწის გაწმენდა არ ხერხდებოდა; სარეველა ბალახი მინდვ-

რებს მორეოდა. თავისი მიწის ასეთი დამცირება ბუვარს უწამლავდა სიამოვნებას, რომელსაც ამ მიწაზე სიარული ანიჭებდა.

უკან დაბრუნდნენ ოღროჩოღრო, წიფლებით შემორგული გზით. აქედან მოჩანდა სახლის სადარბაზო შემოსასვლელი და სახლის წინა მხარე.

სახლი თეთრად იყო შეფეთქილი და ყვითელი ორნამენტებით მორთული. კედელზე ორი დაბალი ფლიგელი მიედგათ ურმებისა და შეშის ფარდულების, საკუჭნაოსა და პურის საცხობისათვის. სამზარეულოდან კარი იღებოდა პატარა დარბაზში. შემდეგ იყო მისაღები, უფრო დიდი მეორე დარბაზი და სასტუმრო ოთახი. მეორე სართულის ოთხი ოთახის კარი გადიოდა აივანზე, რომელიც ეზოს გადაჰყურებდა. აქედან ერთი ოთახი პეკუშემ დაიკავა თავისი კოლექციებისათვის, უკანასკნელი კი ბიბლიოთეკისათვის იყო განკუთვნილი. კარადები რომ დააღეს, შიგ სხვადასხვა წიგნები აღმოჩნდა, მაგრამ სათაურები არც წაუკითხავთ. უწინარეს ყოვლისა, ბაღზე უნდა ეზრუნათ.

წიფლების ხეივანში ბუვარმა ფოთლებს თაბაშირის ქალი დაინახა. ორი თითით კაბის კალთა აეწია, მუხლები მოეხარა, თავი განზე გადაეწია, თითქოს ეშინია, არავინ დამინახოსო.

— აჰ! უკაცრავად! ნუ შეწუხდებით!

ამ ხუმრობამ ისე გაამხიარულა ისინი, რომ თითქმის მთელი თვე დღეში ოცჯერ მაინც იმეორებდნენ ამ სიტყვებს.

იქაურ მცხოვრებლებს მათი გაცნობა სურდათ და ჭიშკარში იჭვრიტებოდნენ. ბუვარმა და პეკუშემ თარალები ფიცრით აჭედეს. ამან შავინიოლელები აღაშფოთა.

მზისაგან დასაცავად ბუვარი თავსაფარს იხვევდა ჩალმასავით, პეკუშე კი კასკეტს იხურავდა; აიფარებდა აგრეთვე დიდ წინსაფარს, რომლის ჯიბითაც ბაღის მაკრატელი, საბურნუთე და ცხვირსახოცი დაჰქონდა. დაკაპიწებულნი, მხარდამხარ ბარავდნენ, თოხნიდნენ, სხლავდნენ, საჭმელს საჩქაროდ ჭამდნენ, ხოლო ყავას გორაკზე სვამდნენ ვენახის ტალავერში, რათა მიდამოს ცქერით დამტკბარიყვნენ.

როცა ლოკოკინას დაინახავდნენ, მივიდოდნენ და ფეხით გასრესდნენ, თანაც ტუჩებს ისე ააწკლაპუნებდნენ, თითქოს კბილით თხილს ამტვრევენო. სახლიდან უთოხოდ არ გავიდოდნენ და

თეთრ ჭიებს ისეთი ძალით ურტყამდნენ, რომ იარაღი სამ გოჯზე ეფლობოდა მიწაში.

მუხლუხებისაგან რომ მცენარეები დაეცვათ, გააფთრებულნი, მთელი ძალით უბრახუნებდნენ ჭოკს ხეებს.

შუაგულ გზაზონში ბუვარმა ყაყაჩო დარგო, ხოლო ფანჩატურის თაღებს პომიდორი მიურგო, ნაყოფი ჭაღივით ჩამოეკიდებაო.

პეკუშემ სამზარეულოს წინ დიდი ორმო გაათხრევინა, რომელიც სამ ნაწილად გაყო. იმაში უნდა დაემზადებინა კომპოსტი მარცვლეული მცენარეებისათვის; მათი გახრწნის პროდუქტები ხელს შეუწყობდა ახალ მოსავალს, რომელიც ახალ სასუქებს ჰპირდებოდა და ასე დაუსრულებლივ; იდგა ხოლმე ორმოს თავზე და ოცნებობდა აყვავებულ ბაღებსა და დაზვინულ ხილ-ბოსტნეულზე. მაგრამ აკლდა ცხენის ნაკელი, რაც ესოდენ სასარგებლოა ნიადაგისათვის. სოფლის მეურნეები მას არ ყიდდნენ, ფუნდუკების პატრონები ვერ ელეოდნენ. ბოლოს, ბევრი ძებნის შემდეგ, რამდენიც არ უშალა ბუვარმა, პეკუშემ სირცხვილი უკუაგდო და გადაწყვიტა, თვითონ „ევლო ნაკელზე!“

სწორედ ამ საქმიანობაზე წაასწრო ერთხელ დიდ შარაზე ქ-ნმა ბორდენმა... მისალმების შემდეგ მეგობრის ამბავი ჰკითხა. ამ ქალის შავი, წყლიანი, თუმცა წვრილი თვალების გამოხედვამ და მედიდურობამ (ულვაშებიც კი ამოსდიოდა) პეკუშე შეაცბუნა. მან მოკლედ უპასუხა და ზურგი შეაქცია. ბუვარმა ასეთი უზრდელობა უძრახა.

შემდეგ ცუდი ამინდები დაიჭირა: თოვლი, სიცივე. მეგობრები სამზარეულოში მოეწყვნენ, ხან კალათებს წნავდნენ, ხანაც ოთახებში დადიოდნენ, ცეცხლისპირას საუბრობდნენ, წვიმას უცქეროდნენ. შუა მარხვიდან გაზაფხულს ელოდებოდნენ და ყოველ დილას იმეორებდნენ: „ყველაფერი წარმავალია!“ მაგრამ ზამთარი დიდი იყო და თავს ასე ინუგეშებდნენ: „ყველაფერი გაივლის!“

ბოლოს, როგორც იქნა, აყვავდა ცერცველა, გაიზარდა სატაცური, ვენახსაც კარგი პირი უჩანდა.

რაკი მებაღეობაში ერკვეოდნენ, მიწათმოქმედებაში წარმატებების იმედიც ჰქონდათ. მეგობრები პატივმოყვარულმა სურვილმა აიტანა, ფერმაში მიწა დაემუშავებინათ. ცოდნასა და ბეჯითობას თავისი უნდა გაეტანა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდათ.

მაგრამ ჯერ სხვაგან უნდა ენახათ, როგორ ხდებოდა ეს; წერილი შეადგინეს და ბ-ნ ფავერჟს სთხოვეს, პატივი დაგვდეთ და თქვენი მამული დაგვათვალიერებინეთო. გრაფმა იმწამსვე მიიწვია ისინი.

ერთი საათი იარეს და მიადგნენ გორაკს, რომელიც ორნის ველს გადაჰყურებდა. დაბლობში მდინარე მიიკლაკნებოდა. აქა-იქ მოჩანდა წითელი ქვიშაქვის ლოდები. წინ, მეორე გორაკზე ისეთი უხვი მცენარეულობა იყო, რომ სახლებს ფარავდა. ხეები ვაკეს არასწორ ოთხკუთხედებად ყოფდა და ბალახში უფრო მუქად ისახებოდა.

ერთბაშად გამოჩნდა მამულის საერთო ხედი. კრამიტის სახურავებით ფერმას იცნობდით. თეთრწინამოიანი ციხედარბაზი მარჯვნივ იდგა, ტყისპირას. მინდორი ეშვებოდა მდინარემდე, რომელშიც ჭადრების კენწეროები ილანდებოდა.

ორი მეგობარი გავიდა მინდორში, სადაც გასახმობად იონჯა იყო გაფენილი. ქალები, რომელთაც ჭილის ქუდები, ჩითის ჩაჩები, თუ უბრალოდ ქაღალდის ფაფანაკები ეხურათ, ფიწლებით ატრიალებდნენ თივას, ხოლო მინდვრის მეორე ბოლოში, ზვინების ახლოს, ბულულებს მარდად ტვირთავდნენ გრძელ ურემზე, რომელშიც სამი ცხენი ება. მათ შემოეგება გრაფი მოურავის თანხლებით.

გრაფს ეცვა ბაზენის კოსტიუმი, კატლეტის ფორმის ქილაშები ჰქონდა, წელგამართული დადიოდა და ერთსა და იმავე დროს დენდისაც ჰგავდა და მოხელესაც. ლაპარაკის დროსაც კი არ ამოძრავებდა სახის ნაკვთებს.

მისალმების შემდეგ გრაფმა მათ საკვები ბალახების აღების თავისი სისტემა გააცნო: ღვარეულები არ უნდა გაიფანტოს, ზვინებს კონუსის ფორმა უნდა მიეცეს, ძნები იქვე უნდა შეიკრას, შემდეგ ათ-ათი ცალი უნდა დაეწყოს ბულულებად. რაც შეეხება ინგლისურ ფოცხებს, ეს მინდორი მეტად უთანასწოროა ასეთი იარაღისათვისო.

გოგონას, რომელსაც შიშველი ფეხები წუღებში წაეყო და დახეულ კაბაში სხეული უჩანდა, დოქი თეძოზე შემოედგა და ქალებს სიდრს ასმევდა. გრაფმა იკითხა, ეგ გოგონა საიდან გაჩნდაო, მაგრამ ვერავინ ვერ უთხრა. მეფოცხეებს აეყვანათ იგი ალობის დროს. გრაფმა მხრები აიჩეჩა და წასვლისას თავისი გულისტკივილი გამოთქვა სოფლის უზნეობის გამო.

ბუვარმა იონჯა უქო.

— დიახ, ურიგო როდია, მიუხედავად იმ ზარალისა, რაც სარეველა აბრეშუმას მოაქვს.

მომავალ აგრონომებს თვალები გაუფართოვდათ აბრეშუმას ხსენებაზე. გრაფს დიდძალი პირუტყვი ჰყავდა, ამიტომ ძლიერ ზრუნავდა ხელოვნურ საძოვრებზე. ეს, სხვათა შორის, კარგად მოქმედებს სხვა მარცლოვანზე, რასაც საკვებ მცენარეებზე ვერ ვიტყვით.

— ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ეს უდავოა.

ბუვარმა და პეკუშემ უმალვე დაუდასტურეს:

— ოჰ, უსათუოდ!

ისინი გულდასმით გაფხვიერებულ მიწაზე იდგნენ. ცხენი, რომელიც ლაგამით მოჰყავდათ, სამგოგორიან დიდ ყუთს მოათრევდა. შვიდ სახნისს პარალელური ვიწრო კვლები გაჰყავდა. მათში მარცვალი იყრებოდა მიწამდე დაშვებული მილაკებიდან.

— აქ ტურნეფსს ვთესავ, — აუხსნა გრაფმა. — ტურნეფსი ჩემი ოთხმინდვრიანი თესლბრუნვის საფუძველია.

და მან უჩვენა, როგორ მუშაობს სათესი მანქანა. ამ დროს მსახური მოვიდა, ციხედარბაზში გთხოვენო.

იგი შეცვალა მოურავმა, პირხმელმა და პირმოთნე კაცმა. მან „ბატონები“ წაიყვანა სხვა ყანაში, სადაც მკერდგაღეღილი, ფეხებგადგმული თოთხმეტი კაცი ჭვავს მკიდა. ფოლადი წკრიალებდა, თავთავები მარჯვნივ ეფინებოდა. თითოეული თავის წინ ფართო ნახევარწრეს შემოხაზავდა და, ჩამწკრივებულნი, ერთნაირად მიიწევდნენ წინ. პარიზელები თვალს ვერ აშორებდნენ მათს ძარღვებიან მკლავებს და თითქმის რელიგიურ მოწიწებას გრძნობდნენ მიწის ნაყოფიერების წინაშე.

შემდეგ ბევრი მოხნული ნაკვეთი შემოიარეს. ბინდდებოდა, კვლებში ყვავები სხდებოდნენ.

შემდეგ ფარას წააწყდნენ. ცხვრები აქა-იქ ძოვდნენ და ისმოდა, როგორ გლეჯდნენ ბალახს. მწყემსი ჯირკვზე იჯდა და წინდას ქსოვდა, იქვე ძაღლი უწვა.

მოურავი სტუმრებს ღობეზე გადასვლაში მიეხმარა და შემოუარეს უკანა ეზოებს, სადაც ვაშლის ხეებქვეშ ძროხები იცრხნებოდნენ.

ფერმის ყველა შენობა ერთმანეთზე იყო მიდგმული და ეზოს სამი მხრივ ზღუდავდა. მუშაობა აქ მექანიზებული იყო, ბრუნავდა წყლის ბორბალი, რისთვისაც წყარო გადმოეყვანათ.

ღვედური ამძრავები სახურავებზე გადიოდა, შუაში რკინის ტუმბო მუშაობდა და ნაკელს იღებდა.

მოურავმა ფარეხში მიწის პირზე პატარა ნახვრეტები აჩვენა, საღორეში კი — ეშმაკურად მოწყობილი კარები, თვითონ რომ იკეტებოდა.

საცეხვი სახლი ტაძარივით თაღოვანი იყო, კედლები ქვიტკირისა ჰქონდა. ბატონების გასართობად მოსამსახურე ქალმა რამდენიმე პეშვი ქერი დაუყარა ქათმებს.

საწნეხში ლილვი მეტად დიდი ეჩვენათ და კოშკურაზე ავიდნენ. განსაკუთრებით მოეწონათ სარძევე სარდაფი. კუთხეებში დადგმული ონკანები რწყავდნენ ქვის იატაკს და შიგ მუდამ გრილოდა. თაროებზე ჩამწკრივებული მუქი ფერის დოქები პირამდე იყო რძით სავსე. უფრო ქვემოთ, ქოთნებში, ნაღები ინახებოდა. კარაქის ზოდები სვეტების ნამტვრევებივით იდგა. ახლახან მიწაზე დადგმულ თუნუქის საწველებს ქაფი გადმოდიოდა. მაგრამ ფერმის მშვენება იყო ორ ნაწილად გატეხრული ბოსელი — ერთი პირუტყვისათვის, მეორე კი — მოსამსახურეებისათვის. ვერაფერს გაარჩევდით, სარკმლები დახურული იყო. ჯაჭვებით დაბმული ხარები იცოხნიდნენ, მათი ტანიდან ასულ ოხშივარს დაბალი ჭერი ირეკლავდა. მაგრამ აი ვიღაცამ სინათლე შემოუშვა და ბაგაზე მიმაგრებული ღარები წყლით აივსო. გაისმა ბღავილი, რქათა ჭახუნი. ხარებმა თავი რიკულში გაყვეს და ზანტად სვამდნენ წყალს.

ეზოში დიდი ურემი შემოვიდა და ცხენები აჭიხვინდნენ. პირველ სართულზე ორიოდე ფარანი აინთო, მერე ისევ ჩაქრა. ქვით ნაგებ ეზოში მუშების ქოშები აბრახუნდა და სადილის ზარიც დარეკეს.

მეგობრები შინ დაბრუნდნენ.

მოხიბლული იყვნენ ნანახით და გადაწყვეტილებაც მიიღეს: იმავე საღამოს თავიანთ ბიბლიოთეკაში მოძებნეს „მეზონ რუსტიკის“ ოთხი ტომი, გამოიწერეს გასპარენის კურსი და სასოფლო-სამეურნეო გაზეთი.

ბაზრობაზე წასასვლელად იყიდეს ორთვალა, რომელიც ბუვარს დაჰყავდა.

ლურჯ ბლუზებში, ფართოფარფლიან ქუდებსა და პაჭიჭებში გამოწყობილთ ხელში ჩარჩების ჯოხები ეკავათ; მთელ დღეს დაეხეტებოდნენ ჯოგების ახლოს, გლეხებს ათასგვარ რჩევას ეკითხებოდნენ და არც ერთ აგრონომიულ ყრილობას არ აკლდებოდნენ.

მალე თავი მოაბეზრეს ძია გუის თავიანთი რჩევებით; განსაკუთრებით აღშფოთებული იყვნენ იმით, რომ იგი ანეულს სტოვებდა. მაგრამ ფერმერი ძველ ჩვეულებას იცავდა. ითხოვა, საიჯარო გადასახადი განმივადეთ, სეტყვამ დამაზარალაო. საადვილმამულო გადასახადს ხომ სულაც არ იხდიდა. სამართლიანად რაიმეს თუ მოთხოვდით, მისი ცოლი კივილს მორთავდა. ბოლოს ბუვარმა განაცხადა, აღარ მინდა საიჯარო ხელშეკრულება განვაახლოო.

ამის მერე ძია გუი სასუქს ზოგავდა, სარეველა ბალახი თავის ნებაზე მიუშვა, ყოველგვარი მარაგი დახარჯა და გაბოროტებული წავიდა. ეტყობოდა, შურისძიებით გამსჭვალულიყო.

ბუვარი ფიქრობდა, რომ დასაწყისისათვის საკმაო იქნებოდა 20 000 ფრანკი თანხა, რომელიც ერთიოთხად სჭარბობდა საიჯარო გადასახადს. ეს ფული ნოტარიუსმა გამოგზავნა პარიზიდან. მათი მამული შედგებოდა თხუთმეტი ჰექტარი მდელოებისა და ეზოებისაგან, ოცდასამი ჰექტარი სახნავ-სათესისა და ხუთი ჰექტარი ნასვენი მიწისაგან ხრიოკ ფერდობზე, რომელსაც ბორცვს უწოდებდნენ.

შეიძინეს ყველა საჭირო იარაღი, ოთხი ცხენი, თორმეტი ძროხა, ექვსი ღორი, ას სამოცი ცხვარი, დაიქირავეს ორი გლეხი, ორი ქალი და მწყემსი, ერთი დიდი ძაღლიც იყიდეს.

ფული რომ ერთბაშად ეშოვათ, საკვები ბალახი გაყიდეს. ფული იქვე, შინ გადაუხადეს. ნაპოლეონდორები ქერის ყუთზე რომ დაუთვალეს, ყველა სხვა ოქროზე უფრო ბრჭყვიალა, განსაკუთრებული და საუკეთესო ხარისხისა ეჩვენათ.

ნოემბერში სიდრი დაამზადეს. ბუვარი ცხენს ერეკებოდა მათრახით, პეკუშე კოდში ჩადგა და ნიჩბით ურევდა.

ხრახნის მოპერაზე ქშინავდნენ, ოხრავდნენ, სიდრს ჩამჩით იღებდნენ, მძიმე საბოებით დაბრახუნობდნენ, ერთი სიტყვით, ძალიან ერთობოდნენ.

რაკი მიაჩნდათ, მარცვალი რაც ბევრია, მით უკეთესიაო, გაუქმეს თითქმის ნახევარი ხელოვნური მდელოები, სასუქის ნაცვლად კოპტონი გამოიყენეს, მაგრამ წინდაწინ არ დაუფხვნიათ, ისე ჩაყარეს მიწაში, ამიტომ მოსავალიც ცუდი მიიღეს.

მეორე წელს ხშირი ყანა დათესეს. მოვიდა სეტყვა და ნათესები გაანადგურა.

მაინც გულმოდგინედ თესავდნენ ხორბალს და ქვისაგან გაწმინდეს ნასვენი ბორცვი. ქვას ურმით ეზიდებოდნენ. მთელ წელიწადს, დილიდან საღამომდე, წვიმიანსა თუ მზიან დღეებში შეგეძლოთ გენახათ ეს შეუცვლელი ურემი, რომელსაც ერთი და იგივე ცხენი ება; ერთი და იგივე კაცი უძღოდა, ხან ადიოდა გორაკზე და ხან ჩამოდიოდა. ზოგჯერ ბუვარი უკან გაჰყვებოდა, შუაგზაზე შეჩერდებოდა და ოფლს მოიწმენდდა.

პირუტყვს არავის არ ნდობდნენ, თვითონ უვლიდნენ, სასაქმებელს ასმევდნენ, ოყნას უკეთებდნენ.

დიდი უსიამოვნება შეემთხვათ: მეფრინველე ქალი დაორსულდა. ოჯახიანი ხალხი დაიქირავეს. გამრავლდნენ ბავშვები, ბიძაშვილები, დები, ბიძები და ბიცოლები; მთელი ურდო ცხოვრობდა მათს ხარჯზე. ამიტომ გადაწყვიტეს მორიგეობით ეთიათ ღამე ფერმაში.

საღამოობით მოიწყენდნენ ხოლმე, ოთახის უსუფთაობა აღიზიანებდათ; ჟერმენა, საჭმელი რომ მიჰქონდა, მუდამ ბუზღუნებდა. მათ ყოველნაირად ატყუებდნენ. მლეწავები მარცვლით ივსებდნენ ჩაფებს. ერთი მათგანი პეკუშემ დაიჭირა და კინწისკვრით გააგდო.

— საზიზღარო! არცხვენ სოფელს, სადაც დაბადებულხარ და გაზრდილხარ!

პეკუშეს პიროვნებას არავინ სცემდა პატივს, თან ბაღის მდგომარეობაც აწუხებდა. სად ეშოვა დრო, რომ კარგად მოევლო ბაღისთვის? ფერმას დაე ბუვარმა მოუაროსო, იმსჯელეს და ასეც გადაწყვიტეს.

უწინარეს ყოვლისა, კარგი სათბურები უნდა მოეწყოთ. პეკუშემ ბრძანება გასცა, აგურისა ააგეთო. ჩარჩოები თვითონ შეღება და სიცხისაგან დასაცავად მინები ცარცით შეფეთქა.

სიფრთხილის გამო ვაზის რქას ფოთლიანად გლეჯდა, მერე გადაწიგნვამ გაიტაცა. მყნობის რამდენიმე წესი გამოსცადა: კვირტით, ჭრუვით, გვირგვინით, ბალახური, ინგლისური. უნდა გენახათ, რა

გულმოდგინედ აერთებდა საძირესა და ნამყნობს! რა მზრუნველობით ახვევდა! რამდენ სანთელს უსვამდა!

დღეში ორჯერ აიღებდა სარწყავს და საცეცხლურივით აქნევდა მცენარეებზე. როცა ფოთლები გამოცოცხლდებოდნენ, გახასხასდებოდნენ, თვითონაც თითქოს წყურვილს იკლავდა და გახალისდებოდა. შემდეგ ისე გაერთობოდა, სარწყავს ქუდს მოხდიდა და პირდაპირ ყელით ასხამდა, ბარაქიანად.

წიფლების ხეივნის ბოლოს, თაბაშირის ქალის ახლოს, ერთი ძელური ქოხი იდგა. პეკუშე იქ ინახავდა იარაღებს და მშვენივრად ატარებდა დროს, წმენდდა სათესლე მარცვლებს, წერდა იარლიყებს და წესრიგში მოჰყავდა თავისი ქოთნები. დასასვენებლად კართან ჩამოჯდებოდა ხოლმე ყუთზე და კარ-მიდამოს გამშვენიერებაზე ფიქრობდა.

შესასვლელთან ორ კვალზე დარგო ნემსიწვერა. კვიპაროსებსა და დაბალ ხეებს შორის მზესუმზირა დათესა და როცა კვლებზე ოქროსფერი გორგოლები მომრავლდნენ, ხეივნების ბილიკებზე კი სილა დაიყარა, თვალს ყვითელი ფერის სიუხვე სჭრიდა.

მაგრამ სათბურებში მატლები გამრავლდნენ. თუმცა სასუქად გამოყენებული იყო ნეშომპალა, შეღებილჩარჩოებიან და ცარცით შეთხუპნულმინიან სათბურში მხოლოდ უდღეური მცენარეულობა ხარობდა. ნამყენებმა არ გაიხარეს, დამყნილი კვირტები ჩამოცვივდა, გადაწიგნულებს წვენი გამოუშრათ, ნათესები კაცს სასოწარკვეთილებას მოჰგვრიდა, ქარიც კი ლობიოს სარებს გლეჯდა და იმით ირთობდა თავს. უხვმა ნაკელმა ხენდროს აწყინა, პომიდორს გაფურჩქვნა დააკლდა.

პეკუშემ ვერ ახარა ვერც კეჟერა, ვერც ჭარხალი, ვერც თალგამი და ვერც წიწმატი, როფში რომ უნდოდა მოეყვანა. დათბა თუ არა, არტიშოკიც გაფუჭდა. მხოლოდ კომბოსტომ გაუმართლა. განსაკუთრებულ იმედს ერთი თავი იძლეოდა. აყვავდა, გაიზარდა, გაიბარჯლა და საჭმელადაც სრულიად უვარგისი გახდა. პეკუშეს მაინც უხაროდა, ბუნების სასწაულის პატრონი ვარო.

მაშინ გადაწყვიტა ხელი მიეყო ისეთი საქმისათვის, რაც უმაღლეს ხელოვნებად მიაჩნდა: ნესვი მოეყვანა.

სხვადასხვა ჯიშის ნესვის თესლი შავმიწიან ჯამებში ჩათესა და მერე სათბურში დაფლა. შემდეგ მეორე სათბური ააგო; როცა მიწა გათბა, იქ ყველაზე კარგი ნერგები გადაიტანა და ზინა დააფარა.

ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც კაი მებაღეს სჩვევია; ყვავილებისთვის ხელი არ უხლია, ნაყოფს გამოსკვნა აცალა, ყოველ ბარდზე თითო აირჩია, დანარჩენები მოსპო და, როცა ნაყოფი კაკლისოდენა გახდა, ქვეშ ხის ფირფიტები დაუდო, ნაკელმა არ დაალპოსო. რწყავდა, უნიავებდა, შენამულ მინას ცხვირსახოცით უწმენდდა და, გაჩნდებოდა თუ არა საწვიმარი ღრუბელი, მაშინვე ჭილობს მოარბენინებდა.

ღამ-ღამობით არ ეძინა. რამდენჯერ ამდგარა კიდეც, ფეხსაცმელი წამოუკაკმს, პერანგის ამარას კანკალით გაურბენია მთელი ბაღი, რათა სათბურზე თავისი საბანი გადაეფარებინა.

დასტამბო დამწიფდა. ბუვარმა ერთი გასინჯა და დაიჭყანა. არც მეორე და მესამე ვარგოდა. პეკუშე ყველას რაღაც ახსნას უძებნიდა. ბოლო რომ გასინჯა, ფანჯრიდან ისროლა, არაფერი არ მესმისო.

და მართლაც, რაკი ერთად მოჰყავდა სხვადასხვა ჯიში, შაქროვანი ნესვი ბოსტნისაში აირია, დიდი პორტუგალური დიდ მონღოლურში, პომიდვრების მეზობლობამ ეს ანარქია გაორკეცა და შედეგად გამოვიდა საზიზღარი ნაჯვარი, რომელსაც გოგრის გემო დაჰკრავდა.

მაშინ პეკუშემ მეყვავილეობას მიჰყო ხელი. დიუმუშელის მეშვეობით მცენარეები და თესლი გამოიწერა, შესაფერისი მიწა მოიმარაგა და მტკიცედ შეუდგა საქმეს.

მაგრამ პასიფლორი ჩრდილში დარგო, ია-ია მზიანში, სუმბულს ნაკელი დააყარა, ზამბახი აყვავების შემდეგ მორწყო, შქერი მეტისმეტი შეკრეჭით დაღუპა, ფუქსიას ზრდა დურგლის წებოთი დააჩქარებინა, ბროწეულის ბუჩქი კი ცეცხლზე შეთბობით გაახმო.

როცა აცივდა, ასკილს ქაღალდის ხუფი ჩამოაცვა და ქონის სანთლით გაგოზა; ამით იგი ჯოხებზე ჩამოკიდებულ თავშაქარს დაამსგავსა. დალიებს უზარმაზარი ჭოკები შეუდგა. მათ შორის მოჩანდა იაპონური სოფორის გაღუნული ტოტები; ეს მცენარე უცვლელი დარჩა, არც ყვაოდა და არც ხმებოდა.

თუკი დედაქალაქის ბაღებში აუარებელი იშვიათი მცენარე ხარობს, შავინიოლში რატომ არ უნდა იხაროს? და პეკუშემ იშოვა ინდური ზამბახი, ჩინური ვარდი და ევკალიპტი, რომელიც ის იყო სახელს იხვეჭდა. არც ერთი ცდა არ უმართლებდა. პეკუშე მუდამ გაკვირვებული იყო.

ბუვარიც ბევრ დაბრკოლებას აწყდებოდა. მეგობრები თათბირობდნენ, ხან ერთ წიგნში ჩაიხედავდნენ, ხან მეორეში, მაგრამ არ იცოდნენ რა ექნათ, რადგან ყველგან ერთიმეორის საწინააღმდეგო რჩევებს კითხულობდნენ.

მაგალითად, პიუვისი ურჩევს ტკილი იხმარეთო, რორეს სახელმძღვანელო კი მას უარყოფს.

რაც შეეხება კირს, მიუხედავად ფრანკლინის აზრისა, რიეფელი და რიგო თითქოს დიდად არ არიან აღფრთოვანებულნი.

მიწის დასვენება ბუვარს შუასაუკუნეთა ცრურწმენად მიაჩნდა. თუმცა ლეკლერკი აღნიშნავს შემთხვევებს, როცა ეს აუცილებელია. გასპარენი იმოწმებს ვინმე ლიონელს, რომელსაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში პურეულები წარმატებით მოჰყავდა ერთსა და იმავე ნაკვეთზე, რაც თესლბრუნვის თეორიას აბათილებს. ტიული ადიდებს მიწის დამუშავებას და უარყოფს ნაკელის ხმარებას, მაგრამ აი გამოდის მაიორი ბიტსონი და უარყოფს ერთსაც და მეორესაც!

ამინდის გამოსაცნობად მეგობრებმა, ლეკ-ჰოვარდის კლასიფიკაციის თანახმად, შეისწავლეს ღრუბლები, ზოგი გაშლილი ცხენის ფაფარივით, ზოგი კუნძულებს ჰგავს და ზოგიც თოვლიანი მთები გეგონებათ. ცდილობდნენ გაერჩიათ რუხი ღრუბლები ბუმბულისებრისაგან, ქულა ღრუბლები ფენოვანისაგან. ვიდრე მეგობრები სახელს მოუგონებდნენ, ღრუბლები ფორმას იცვლიდნენ.

ბარომეტრი ატყუებდა, თერმომეტრი არაფერზე არ მიუთითებდა. მაგრამ მათ მიმართეს ხრიკს, რომელიც ლუი მე-15-ის დროს ვინმე ტურულმა მღვდელმა მოიგონა. ქილაში მოთავსებული წურბელა წვიმიან ამინდში ზევით უნდა ამოსულიყო, ფსკერზე უნდა დარჩენილიყო მდგრად, მოწმენდილ ამინდში და უნდა დაკლაკნილიყო ქარიშხლის მოლოდინში. ატმოსფერო თითქმის ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა წურბელას. იმ ერთთან კიდევ სამი ჩასვეს, მაგრამ ყველა სხვადასხვაგვარად იქცეოდა.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ბუვარი დარწმუნდა, ვცდებიო. მისი მამული დიდ კულტურას, ინტენსიურ სისტემას მოითხოვდა. და მან სასწორზე დადო მთელი თავისი თავისუფალი კაპიტალი: ოცდაათი ათასი ფრანკი.

მეგობარმა ისე წააქეზა, სასუქებზე გადაირია. კომპოსტების

ორმო ააავსო ხის ტოტებით, სისხლით, ნაწლავებით, ფრთებით, ყველაფერს შიგ ყრიდა, რასაც კი შოულობდა. იყენებდა ფეკალურ სითხეს, ბელგიურს, შვეიცარულს, მტუტეს, გამოყვანილ ქაშაყს, წყლის მცენარეებს, ჩვრებს, იწერდა გუანოს, სცადა მისი დამზადება და, რაკი თავის პრინციპებს უკლებლივ ასრულებდა, შეუწყნარებლად მიაჩნდა შარდის დაკარგვა: მოსპო ფეხსალაგები. მის ეზოში მოჰქონდათ პირუტყვის ლეში, რითაც მიწას აპატივებდა. ყველა მინდორი მოფენილი იყო ლეშის ნაგლეჯებით. ბუვარი ამ სენს უღიმოდა. ურემზე დადგმული ტუმბო ჯეჯილს ნაკელის წუნწუხს ასხურებდა. იმათ, ვისი სახეც ზიზღს გამოხატავდა, ეუბნებოდა:

— ეს ხომ ოქროა, ოქრო!

და წუხდა, რატომ მეტი ნაკელი არ გვაქვსო. ბედნიერი არიან იმ ქვეყნების მცხოვრებნი, სადაც ფრინველთა სკორეთი სავსე ბუნებრივი ორმოები აქვთო.

რაფსი უხეირო მოვიდა, ჭვავი — საშუალო, ხოლო მარცვალს ისეთი სუნი ჰქონდა, ძლივს გაიყიდა. უცნაური ის იყო, რომ ბორცვი, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ქვისაგან სრულიად გაიწმინდა, ნაკლებ მოსავალს იძლეოდა, ვიდრე წინათ.

ბუვარმა სასარგებლოდ მიიჩნია ინვენტარის განახლება. იყიდა გილიომის სკარიფიკატორი, ვალკურის ესტირპატორი, ინგლისური სათესი მანქანა და მათიე დე დომბალის დიდი გუთანი, მაგრამ მოჯამაგირემ იგი დაუწუნა.

— ისწავლე მაგისი ხმარება!

— აბა მიჩვენეთ, და ვისწავლი.

იგი ცდილობდა ეჩვენებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა და გლეხები იღრიჭებოდნენ.

ვერაფრით ვერ მიაჩვია ისინი ზარის ხმას. წამდაუწუმ ეძახდა, იქეთ-აქეთ დარბოდა, შენიშვნებს უბის წიგნაკში იწერდა, პაემანს ნიშნავდა, ავიწყდებოდა შეხვედრა და თავი უბრუოდა მეურნეობაზე ფიქრით. სიტყვა მისცა თავისთავს დაეთესა ყაყაჩო, მხედველობაში ჰქონდა ხაშხაში, უმთავრესად კი გველერძა, და ფიქრობდა, საოჯახო ყავის სახელწოდებით გავყიდიო.

ხარები რაც შეიძლება მალე რომ გაესუქებინა, ყოველ ორ კვირაში სისხლს უღებდა.

ღორებს არ კლავდა, მარილიანი ჭვავით ასუქებდა. მალე ისინი

საღორეში ვეღარ ეტეოდნენ, ხალხს ეზოში სიარულს უშლიდნენ, ღობეებს ამტვრევდნენ, იკბინებოდნენ.

როცა დაცხა, ოცდახუთი ცხვარი ადგილზე დაბარბაცდა და რამ-დენიმე ხნის შემდეგ დაიხოცა.

იმავე კვირაში მოკვდა სამი ხარი, რაც ბუვარის მიერ სისხლის გამოღების შედეგი იყო.

ბრძანა, ხოჭოს მატლები რომ მოეშორებინათ, ბორბლებიან გა-ლიაში ჩაესხათ ქათმები და ორ კაცს ეს გალია ეგორებინა, ამის გა-მო ქათმებს ფეხები დაემტვრათ.

დენერის ფოთლებისაგან ლუდი მოხარშა და მომკელებს სიდრის ნაცვლად დაალევინა. ყველას კუჭის აშლილობა დაეწყო. ბავშვები ტიროდნენ, ქალები ოხრავდნენ, მამაკაცები ბრაზობდნენ. ყველანი იმუქრებოდნენ, წავალთო, და ბუვარიც იძულებული გახდა და-ეთმო.

თავისი სასმელის უვნებლობა რომ დაემტკიცებინა, მათი დასწ-რებით რამდენიმე ბოთლი დალია. თავი ცუდად იგრძნო, მაგრამ მუცლის ტკივილი არ შეიმჩნია და სახეზე კმაყოფილება გამოიხატა. ისიც კი ბრძანა, სასმელი შინ წამოიღეთო. საღამოს პეკუშესთან ერთად სვამდა და ორივე იმეორებდა, გემრიელიაო. აბა რა უნდა ექნათ, ხომ არ გადაღვრიდნენ!

მაგრამ ბუვარს მუცელი ძლიერ ასტკივდა და ჟერმენა ექიმის მოსაყვანად წავიდა.

დიდშუბლა ექიმი სერიოზული კაცი აღმოჩნდა და იმით და-იწყო, რომ ავადმყოფი დააშინა. ცხადია, ეს ქოლერინა გამოწვეუ-ლია სწორედ იმ ლუდით, რომელზეც მთელი სოფელი ლაპარაკობ-სო. მოისურვა მისი შემადგენლობის გაგება და სრულიად უარყო-ფითი აზრი გამოთქვა, მეცნიერულ ტერმინებს ხმარობდა და მხრებს იჩეჩავდა. პეკუშე, რომელმაც ეს რეცეპტი იშოვა, გაანად-გურეს.

თუმცა კიროვანი მავნე სასუქი გამოიყენეს, მიწა მეორედ არ გადაუხნავთ და ნარშავაც დაგვიანებით გამარგლეს, მომდევნო წელს ბუვარმა ხორბლის მშვენიერი მოსავალი აიღო. მან განიზრახა ღვივილით გაეხმო იგი კლაპ-მაიერის ჰოლანდიური სისტემის მი-ხედვით; სხვანაირად რომ ვთქვათ, განკარგულება გასცა, მოემკოთ და დაებულულებინათ, რათა მაშინვე გაეშალათ, როგორც კი

გაზწარმოქმნა დაიწყებოდა. ეს რომ გააკეთებინა, ბუვარი სრულიად დამშვიდებული წავიდა შინ.

მეორე დღეს, სადილობის დროს, წიფლის ხეივანში დოლის ბრახუნი ატყდა. ჟერმენა ამბის შესატყობად გავარდა, მაგრამ დოლიანი კაცი უკვე შორს იყო. თითქმის მაშინვე ეკლესიის ზარიც დარეკეს.

ბუვარი და პეკუშე შეშფოთდნენ, წამოცვივდნენ და შავინიოლისაკენ გაიქცნენ.

გზაზე დედაბერი შემოხვდათ, ჰკითხეს, მაგრამ არაფერი არ იცოდა. ვიღაც ბიჭი შეაჩერეს, მან მიუგო:

— მგონი, სადღაც რაღაც იწვის.

დოლს კი კვლავ უკრავდნენ, ზარიც ისევ გუგუნებდა, ბოლოს, როგორც იქნა, სოფლის განაპირა ქოხებამდე მიაღწიეს. მედუქნემ შორიდანვე მოაძახა:

— თქვენი პური იწვის!

პეკუშე სწრაფად გაიჭრა წინ და ბუვარს, რომელიც გვერდით ისეთივე სისწრაფით მიყვებოდა, ეუბნებოდა:

— ერთი, ორი! ერთი, ორი! ფეხაწყობით, როგორც ვენსენელი მსროლელები!

გზა სულ აღმართ-აღმართ მიიწევდა, მოსახვევებში ჰორიზონტი იკარგებოდა. ბორცვის მწვერვალზე რომ ავიდნენ, თვალწინ გადაეშალათ უბედურების სურათი.

შიშველ მინდორზე საღამო სიჩუმეში ყველა ბულული ცალკეული ვულკანივით გიზგიზებდა.

ყველაზე დიდი ბულულის გარშემო სამასიოდე კაცი მოგროვილიყო და ბ-ნ ფუროს მეთაურობით, რომელსაც მერის სამფეროვანი შარფი ამშვენებდა, რამდენიმე ახალგაზრდა ჭოკებითა და კავებით ჰყრიდა ზედა ფენებს, რომ დანარჩენი გადაერჩინა.

ბუვარმა ფუსფუსში კინაღამ წააქცია ქ-ნი ბორდენი: მერე, ერთ-ერთი თავისი მოჯამაგირე რომ დაინახა, ჩხუბი დაუწყო, რატომ მაშინვე ჩემთან არ გამოიქეცი. ის მოჯამაგირე კი ზედმეტი გულმოდგინების გამო, ჯერ შინ გაქანდა, შემდეგ ეკლესიაში, მერე პატრონთან და ახლა სხვა გზით დაბრუნდა.

ბუვარს თავგზა აებნა. გარშემო მოსამსახურენი ეხვეოდნენ, ყველანი ერთბაშად ლაპარაკობდნენ, ის კი უკრძალავდა, ზვინები

არ დაშალოთო, ემუდარებოდა, დამეხმარეთო, წყალი მოიტანეთო, მეხანძრეები გამოიძახეთო.

— მერედა ეგ მეხანძრეები გვყვანან?! — მიაძახა მერმა.

— ეგ თქვენი ბრალია! — მიუგო ბუვარმა.

იგი ბრაზობდა, შეუფერებელ რამეებს ამბობდა, და ყველას უკვირდა ბ-ნ ფუროს მოთმინება; ეს ერთი უხეში ვინმე იყო, მისი სქელი ტუჩები და ბულდოგის ყბებიც ამას ადასტურებდა.

იქაურობა ისე გახურდა, ზვინებს ვერ მიეკარებოდი. გამანადგურებელ ცეცხლში თავთავები იკლაკნებოდნენ და ტკაცუნობდნენ, ინგრეოდა, დიდი კოცონივით ნაპერწკლებს ყრიდა, ზოგან წითელი სინგურივით, ზოგან ვარდისფერი, ალაგ-ალაგ მიხაკისფერი, ვით შემხმარი სისხლი. დაღამდა, ქარმა დაუბერა და ბრბო კვამლში გაეხვია. ნაპერწკლები ჩაბნელებულ ცაზე რიალებდნენ.

ბუვარი ხანძარს უცქეროდა და წყნარად ტიროდა. თვალები შეშუპებულ უპეებში ჩაეკარგა, მთელი სახე კი თითქოს ტანჯვისაგან გაუსივდა. ქ-ნი ბორდენი ხელში მწვანე შალის ფოჩს ათამაშებდა, მას „საბრალო ბ-ნ ბოვარის“ ეძახდა და ცდილობდა დაემშვიდებინა. საქმეს ხომ, სულ ერთია, ვერ უშველი, ბედს უნდა შეურიგდეო.

პეკუშე არ ტიროდა. გაფითრებულიყო, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ნაცრისფერი დადებოდა, პირი დაეღო, ცივი ოფლით თმა შეწებებოდა და მოშორებით იდგა ჩაფიქრებული. უეცრად მოსულმა მღვდელმა შემპარავი ხმით წაიბურტყუნა:

— აჰ, მართლაც, რა უბედურებაა! მეტად საწყენია! მერწმუნეთ, რომ თქვენს მწუხარებას ვიზიარებ.

სხვებს წუხილისა არაფერი ეტყობოდათ. საუბრობდნენ, იღიმებოდნენ, ცეცხლისკენ ხელს იშვერდნენ. ერთმა მოხუცმა ჩიბუხის მოსაკიდებლად ცეცხლმოკიდებული თავთავი აიღო. ბავშვები ცეკვავდნენ, ვიღაც უქნარამ ისიც კი წამოიძახა, რა სასაცილო რამ არისო!

— ძალიან სასაცილოა, თქმა არ უნდა! — მიუგო პეკუშემ, როცა ეს სიტყვები გაიგონა.

ცეცხლი განელდა, ზვინები დაპატარავდა და ერთი საათის შემდეგ ნაცარიღა დარჩა, რომელიც მინდორში მრგვალ, შავ ლაქებად მოჩანდა. მაშინ ბრბო დაიშალა.

ქ-ნმა ბორდენმა და მღვდელმა ჟეფრუამ ბუვარი და პეკუშე შინ მიაცილეს.

გზაში ქვრივმა მეზობელს ალერსით უსაყვედურა, უკარება ხართო, მღვდელმა კი დიდი გაოცება გამოთქვა, რომ დღემდე არ ჰქონია შემთხვევა გაეცნო ერთ-ერთი ესოდენ ღირსეული მრევლთაგანი.

მარტო რომ დარჩნენ, მეგობრები ხანძრის მიზეზს ჩაუფიქრდნენ და, ნაცვლად იმისა, რომ, სხვებთან ერთად, იგი ნედლი ჩალის თვითანთებით აეხსნათ, შურისძიება ივარაუდეს. ეს უეჭველად ძია გუიმ ჩაიდინა, ან, შესაძლებელია, თხუნელების მომსპობმა. ნახევარი წლის წინათ ბუვარმა უარი უთხრა მომსახურებაზე და ზოგიერთებთან იმასაც კი ამტკიცებდა, ეს ხელობა სამარცხვინოა და მთავრობამ იგი უნდა აკრძალოსო. მას შემდეგ ის კაცი სულ ამ მიდამოებში დაეხეტებოდა. იგი წვერს არ იპარსავდა და საშინელი ჩანდა, განსაკუთრებით საღამოობით, როცა ჭიშკართან გამოჩნდებოდა და გრძელ ჭოკზე დაკიდებულ თხუნელებს აქნევდა.

ზარალი დიდი იყო და, მდგომარეობა რომ გაძოერკვია, პეკუშე მთელ კვირას იქექებოდა ბუვარის წიგნებში, რომლებიც „ნამდვილ ლაბირინთად“ ეჩვენა. მიმოწერა და შემოსავალ-გასავლის წიგნები ფანქრით ჩანაწერებსა და შენიშვნებს შეადარა და ჭეშმარიტება დაადგინა: არავითარი გასაყიდი საქონელი, არავითარი მოსალოდნელი შემოსავალი, სალარო კი სრულიად ცარიელია. კაპიტალი გამოიხატებოდა ოცდაცამეტი ათასი ფრანკი დეფიციტით.

ბუვარმა არასგზით არ დაიჯერა და ერთი ოცჯერ მაინც გადაიანგარიშეს ხელახლა, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგს იღებდნენ. კიდევ ორი წელი ასეთი აგრონომიული მოღვაწეობაც და — ცარიელზე დარჩებოდნენ. ერთადერთი გამოსავალი ის იყო, რომ ყველაფერი გაეყიდათ.

ყოველ შემთხვევაში, საჭირო იყო ნოტარიუსს მოლაპარაკებოდნენ. ეს მეტად ძნელი საქმე პეკუშემ იკისრა.

ნოტარიუსის, ბ-ნ მორესკოს აზრით, უმჯობესი იქნებოდა, არაფერი გაეცხადებინათ. დაჰპირდა, ფერმაზე სერიოზულ კლიენტებს მოველაპარაკები და მათ წინადადებას გაცნობებთო.

— ძალიან კარგი, — უთხრა ბუვარმა, — არ გვეჩქარება. ფერმერს მოვიწვევ და შემდეგ საქმე გამოირკვევა. უწინდელზე უარესი არაფერი დაგვემართება; მხოლოდ ახლა მომჭირნე უნდა ვიქნეთ.

ეს პეკუშეს, მის მებაღეობასთან დაკავშირებით, არ მოეწონა და რამდენიმე დღის შემდეგ თქვა:

— ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მეხილეობას უნდა მივყოთ ხელი არა გასართობად, არამედ გამორჩენისათვის. მსხალი, რომელიც სამი სუ ჯდება, დედაქალაქში ზოგჯერ ხუთ-ექვს ფრანკად იყიდება! მებაღეები გარგარის გაყიდვით ოცდახუთ ათას ლივრ რენტას იძენენ! პეტერბურგში ზამთრობით ერთ მტევან ყურძენში ნაპოლეონდორს იხდიან! დამეთანხმებით, რომ ეს სარფიანი საქმეა. მერე ამისათვის რა არის საჭირო? მოვლა, ნაკელი და კარგად გალესილი ბაღის დანა.

ბუვარის ფანტაზიამ ისე გააჭელა ორივე, რომ დაუყოვნებლივ დაუწყეს ძებნა თავიანთ წიგნებში იმ ნერგების სახელწოდებას, და, როცა მათი აზრით, საუცხოოები აირჩიეს, ფალეზში მისწერეს სანერგის პატრონს. მანაც არ დააყოვნა და გამოუგზავნა სამასამდე ნერგი, რომლებიც არ საღდებოდა.

მოიწვიეს ზეინკალი ბიჯგებისათვის, მეკავე საყრდნობისათვის, ხურო სადგარებისათვის. ხეების ფორმები ადრევე მოხაზეს. ფიცრის ნაჭრები კედელზე ჭაღებს გამოხატავდნენ. კვლების აქეთ-იქით ორი ბოძი ჩაასვეს და მავთული გამოაბეს; ხეხილის ბაღში კი სალტეები ლარნაკების მოდელებს წარმოადგენდნენ, ჯოხებისაგან გაკეთებული კონუსები — პირამიდებისას, ასე რომ, მნახველებს ეგონათ, ეს რაღაც უცნობი მექანიზმის ნაწილებია ან ფეიერვერკის ჩონჩხიაო.

როცა ორმოები ამოთხარეს, ფესვებს ბოლოები დააჭრეს, კარგიც და ცუდიც, და კომპოსტში ჩაარჭეს. ნახევარი წლის შემდეგ ნარგავები გახმა.

კვლავ გამოითხოვეს ახალი ნერგები და უფრო ღრმა ორმოებში ჩარგეს. მაგრამ მიწა გაიყინთა წვიმით, ნამყნობი საკუთარი სიმძიმით შიგ ჩაიძირა და ხეებს ფესვები დასძვრა.

დადგა თუ არა გაზაფხული, პეკუშემ მსხლის ხეების სხვლა დაიწყო. შვეულ ყლორტებს არ აჭრიდა, ახალგაზრდა წანაზარდებს ეტოვებდა და, რაკი ძლიერ სურდა გულაბი სწორკუთხოვნად დაეყენებინა, ისე რომ ერთმხრივი კორდონები გამოსულიყო, ხშირად ამტვრევდა მათ, ან თხრიდა. რაც შეეხება ატმის ხეებს, მთლად

აიბნა და ვერ გარკვეულიყო, რომელია გვერდითი ზედა. გვერდითი ქვედა ან ქვემო მეორადი გვერდითი ტოტები. ვერაფრით ვერ მოახერხა რიგები წესიერ სწორკუთხედად დაეყენებინა, ექვს-ექვსი ტოტი გაეშვა მარჯვნივ და მარცხნივ, ორი მთავრის გარდა, რომ მთლიანად თევზის ლამაზი ჩონჩხის ძელებს დამგვანებოდა.

ბუვარი შეეცადა წარემართა ჭერმის ხეების ზრდა, მაგრამ ვერ დაიმორჩილა. მაშინ მიწის პირზე დაჭრა ყველანი, მაგრამ არც ერთმა აღარ ამოიყარა. ალუბლის ხეებმა, რომლებსაც ნაჭდევები გაუკეთა, ფისი გამოუშვეს.

თავდაპირველად ძლიერ გრძელ ნაჭდევებს აკეთებდნენ. რითაც ძირა კვირტები იღუპებოდა, შემდეგ — მეტად მოკლეს, რამაც მეტისმეტი დატოტვა გამოიწვია. ხშირად მერქნის კვირტს საყვავილე კვირტისაგან ვერ არჩევდნენ. ჯერ უხაროდათ ჭარბი ყვავილობა, მაგრამ, როცა დარწმუნდნენ, ვცდებითო, სამ მეოთხედს აგლეჯდნენ, რათა დანარჩენი განემტკიცებინათ.

მუდამ ლაპარაკობდნენ წვენსა და კამბიუმზე, ხეების აკვრაზე, ტოტების შეტეხვაზე, კვირტების შეცვლაზე. სასადილო ოთახის კედელზე ჩარჩოთი დაკიდეს თავიანთი აღსაზრდელების სია მათი ნომრებითურთ, რომლებიც ხის პატარა ფირფიტებით ბაღში ხეებზე იყო მიკრული.

ალიონზე ადგებოდნენ და დაღამებამდე მუშაობდნენ. გაზაფხულის ჭირხლის დროს დილაობით ბუვარი ბლუზის ქვეშ სათბურას იცვამდა, პეკუშე კი წინსაფრის ქვეშ ძველ სერთუკს, და ჭიშკართან ვინც ჩაივლიდა, ბურუსში მათი ხველება ესმოდა ხოლმე.

პეკუშე ზოგჯერ ჯიბიდან ამოიღებდა სახელმძღვანელოს, იდვა და სწავლობდა რომელიმე პარავრაფს, ბარი კი ხელში ეკავა, როგორც იმ მებაღეს, ვისი პორტრეტიც წიგნის თავფურცელს ამშვენებდა. ეს მსგავსება კიდევაც ძლიერ სიამოვნებდა და ავტორს დიდ პატივს სცემდა.

ბუვარი პირამიდებზე მიდგმული მაღალი კიბიდან არ ჩამოდიოდა. ერთხელ თავი დაუბრუვდა, ჩამოსვლა ვეღარ გაბედა და პეკუშეს დაუძახა. მიშველეო.

ბოლოს დამწიფდა მსხალი, ბაღში ქლიავიც ედგათ. ფრინველების წინააღმდეგ ყველა საშუალება გამოიყენეს, რაც კი ურჩიეს. მაგრამ სარკის ნამსხვრევები ისე ბრჭყვიალებდნენ, რომ შეიძლე-

ბოდა დაბრმავებულიყავი, ქარის წისქვილის სარეკელა ღამით ძილს უფრთხობდა. ფიტულს ბეღურები ასხდებოდნენ. გააკეთეს მეორე ფიტული, შემდეგ მესამე, ტანსაცმელი გამოუცვალეს, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა.

მცირე იმედი ჰქონდათ, რაღაც შემოსავალს მაინც მივიღებთო. ის იყო ეს ამბავი პეკუშემ ბუვარს გაუზიარა, რომ უეცრად გაისმა გრგვინვა და წამოვიდა მსხვილი, ძლიერი წვიმა. ქარი ხეხილს არხევდა, სარებს გლეჯდა, საბრალო ხეები ირხეოდნენ და მსხლები ერთმანეთს ეხლებოდა.

პეკუშემ თავი კარავს შეაფარა, ბუვარი სამზარეულოში იყო. მათ თვალწინ ქარი აბორიალებდა ნაფოტებს, ტოტებს, კრამიტის ნამსხვრევებს. მეზღვაურთა ცოლები მათზე მეტად დამწუხრებული არ გასცქეროდნენ ნაპირიდან ზღვას და მათზე მეტად არ ეკუმშებოდათ გული. უეცრად გამწკრივებული ხეების საყრდენები და ჭოკები ერთბაშად ასხლტა და კვლებს დაემხო.

რა საშინელი სურათი გადაეშალათ თვალწინ! სეტყვის მარცვლებში არეული ქლიავი და ალუბალი ბალახზე ეყარა. პას-კოლმარი დაიღუპა. მასთან ერთად ბეზი-დე-ვეტერანი და ტრიომფ-დე-ყორდუანიც. ვაშლებიდან გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ბონ-პაპა, ხოლო თორმეტი ტეტონ-დე-ვენუსი და ყველა ატმის ხე ძირიანად ამოთხრილ ბზებთან ეყარა.

სადილზე ცოტა ჭამეს და ისიც უგემურად. ნასადილევს პეკუშემ ჩუმად თქვა:

— ფერმაშიც უნდა წავიდეთ და ვნახოთ, რა მოხდა.

— ერთი შენცა! თითქოს საწყენი არ კმაროდეს!

— რა გაეწყობა! მართლაც რომ ბედი არ გვწყალობს.

და მოჰყვნენ განგებასა და ბუნებაზე ჩივილს.

ბუვარი მაგიდას დაეყრდნო და ჩვეულებისამებრ წყნარად უსმენდა. და რადგან კაცს ყველა მწუხარება ამახსოვრდება, გაახსენდა ძველი სასოფლო-სამეურნეო გეგმები, კერძოდ, სახამებლის ფაბრიკა და ყველის ახალი სახეობის გამოყვანა.

პეკუშე მძიმედ ოხრავდა, ცხვირში ბურნუთს იყრიდა და ფიქრობდა: ბედს რომ ენება, ახლა უკვე რომელიმე აგრონომიული საზოგადოების წევრი ვიქნებოდი, გამოფენებზე სახელს გავითქვამდი და გაზეთებშიც ხშირად მახსენებდნენო.

ბუვარი ნაღვლიანად იხედებოდა აქეთ-იქით.

ცოტა იყუჩა და განაგრძო:

— ავტორები გვირჩევენ მოვსპოთ ყველა პირდაპირი არხი, რადგან ისინი მასაზრდოებელ წვენს აბრკოლებენ და ხეს აუცილებლად ვნებენ. ხე რომ კარგად ხარობდეს, ნაყოფი სულაც არ უნდა ესხას. მაგრამ ნაყოფს ის ხეებიც იძლევიან, რომლებსაც არასოდეს არ სხლავენ და არც ანაკელებენ, მართალია, დიდრონ ნაყოფს არა, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო წვნიანს. მე მოვითხოვ, ამიხსნან ეს. არა თუ თითოეული ჯიში, არამედ ყოველი მათგანი საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას, ჰავის, ტემპერატურისა და ბევრი სხვა რამის შერჩევას, მაშ როგორია წესი? რას ემყარება რაიმე წარმატებისა თუ მოგების ჩვენი იმედი?

ბუვარმა მიუგო:

— გასპარენის წიგნში წერია, მოგება კაპიტალის ერთ მეათედს არ უნდა აღემატებოდესო: მაშასადამე, უფრო ხელსაყრელია ეს კაპიტალი ბანკში მოვათავსოთ. თხუთმეტ წელიწადში შეიძლება ერთი იმდენი მოვიგოთ რთული პროცენტებით, და სისხლიც არ გავიშროთ.

პეკუშემ თავი ჩაღუნა.

— მე მგონია, მეხილეობა უაზრობაა!

— ისევე, როგორც აგრონომია! — მიუგო ბუვარმა.

შემდეგ თავს მეტისმეტი პატივმოყვარეობა უსაყვედურეს და გადაწყვიტეს, ამიერიდან შრომა და ფული დავზოგოთო, ხეხილის ბაღისათვის საკმაო იქნება ხანდახან გავწმინდოთ და გავსხლათო. მწკრივები გააუქმეს; დაადგინეს, გამხმარი ან წაქცეული ხეების ადგილზე ახლები არ დავრგათო, მაგრამ თუ ყველა გადარჩენილი ნარგავი არ ამოვთხარეთ, ძლიერ მახინჯი შუალედები დარჩებაო. როგორ მოქცეულიყვნენ?

პეკუშემ სახაზავი დაფა დაიდგა და რამდენიმე გეგმა მოხაზა. ბუვარი რჩევას აძლევდა. არაფერი არ გამოუვიდათ. საბედნიეროდ, ბიბლიოთეკაში წააწყდნენ ბუატარის ნაშრომს „ბაღის არქიტექტურა“.

ავტორი ბაღის მრავალ ტიპს გამოჰყოფს. უწინარეს ყოვლისა, არის მელანქოლიურ-რომანტიკული ტიპი, რასაც ქმნიან ნეგოები, ნანგრევები, აკლდამები, და „ღვთისმშობლის გამოსახულებანი,

რომლებიც აღნიშნავენ იმ ადგილს, სადაც მკვლელის ხელით რომელიმე დიდებული დაიღუპა“. სასტიკი ბაღის ტიპს ჰქმნიან გადმოყუდებული კლდეები, გახეთქილი ხეები, გარუჯული კარავები; ბაღს ეგზოტიკურ იერს აძლევს ინდური ლეღვი, „რათა აღძრას მოგონება გადასახლებულსა თუ მოგზაურზე“. დარბაისლურ ბაღს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფილოსოფიის ტაძარი ერმენონვილის მსგავსად. საზეიმო თაღები და ობელისკები ახასიათებენ დიდებულ ბაღს; ხავსი და ქვაბულები — „იდუმალს“, ტბა — საოცნებო ბაღს. არსებობს ფანტასტიკური ბაღიც კი, რომლის მშვენიერი ნიმუშიც ამას წინათ შეიძლებოდა ვიურტემბერგის ერთ-ერთ ბაღში გენახათ: იქ მიმსვლელი რიგრიგობით ნახავდა ტახს, განდეგილს, რამდენიმე საძვალეს და, ბოლოს, ნავს, რომელიც ნაპირიდან თვითონ გაცურდებოდა და მიგიყვანდა ბუდუარში, სადაც წყალი გესხურებოდა, თუ სავარძელში ჩაჯდებოდი.

ასეთი სასწაულების შესაძლებლობამ ბუვარი და პეკუშე გააოგნა. ფანტასტიკური ბაღი, მათი აზრით, მხოლოდ მეფეების შესაფერისი იყო. ფილოსოფიის ტაძარი უშველებელი გამოვიდოდა, ხოლო ღვთისმშობლის გამოსახულებას აზრი არ ექნებოდა, რადგან მკვლელი არ იყო. გადასახლებულთა და მოგზაურთა საუბედუროდ კი ამერიკული მცენარეები ძლიერ ძვირად ფასობდა. კლდეები, აგრეთვე გახლეჩილი ხეები და ხავსი ადვილად განხორციელდებოდა. აღფრთოვანება სულ უფრო და უფრო ემატებოდათ და ბევრი ცდის შემდეგ, მცირე ხარჯი გასწიეს და მხოლოდ ერთი მსახურის დახმარებით ისეთი სამყოფელი მოიწყვეს, რომლის მსგავსი მთელ დეპარტამენტშიც არ იქნებოდა.

ალაგ-ალაგ მეჩხერი წიფლის ხეივნიდან ლაბირინთივით მოჩანდა აუარებელი დაკლაკნილი ბილიკი. ხეების მწკრივის კედელში გააკეთეს ნიში, საიდანაც შეიძლებოდა მიდამოების ჭვრეტით დამტკბარიყვნენ. რადგან დაკიდებული ტიხარი არ გაჩერდა, უზარმაზარი თალარი გააკეთეს.

სატაცურის კვალი გასწირეს და მის ადგილას ააგეს ეტრუსკული აკლდამა, ესე იგი ექვსი ფუტი სიმაღლის თაბაშირის შავი ოთხკუთხედი, ძაღლის ბუნაგს რომ ჰგავდა. თითო კანადური ნაძვი იდგა ამ ძეგლის კუთხეებში, სურდათ იგი ურნით დაეგვირგვინებინათ და ზედ წარწერა გაეკეთებინათ.

ბოსტნის მეორე ნაწილში აუზზე რიალტოს ხიდის მაგვარი რაღაც გაედგათ, ნაპირზე კი ნიჟარები შემოეყოლებინათ. ნიადაგი წყალს იჟონავდა, მაგრამ რა მოხდა! თიხის ფენა წარმოიქმნებოდა და წყალს არ გაატარებდა.

კარავს ფერადი მინები ჩაუსვეს და სოფლურ ქოხად აქციეს.

გორაკზე, სადაც ვაზის ტალავერი იყო გაშენებული, კუთხეებაწეულ თუნუქის ხუფს ექვსი გაშალაშინებული სვეტი შეუდგეს, ვითომ ჩინური პაგოდაო.

ორნის ნაპირზე აარჩიეს გრანიტის ლოდები, დახეთქეს, დანომრეს, შინ თვითონ მიიტანეს ურმით, მერე ცემენტით დააკავშირეს და ერთმანეთზე დაახორეს; ამრიგად, შუაგულ მინდორში გაჩნდა უზარმაზარი კარტოფილის მაგვარი კლდე.

კიდევ რაღაც აკლდა, რომ სრული ჰარმონია შექმნილიყო. მოჭრეს ყველაზე დიდი ცაცხვი (თითქმის მთლად გამხმარი) და ბაღში დააგდეს, ასე რომ, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, ნიაღვარს მოუტანია, ან ქარიშხალს წაუქცევიაო.

მუშაობის დამთავრების შემდეგ ბუვარმა, წინკარში რომ იდგა, შორიდან დაიძახა:

— აქ მოდი! აქედან უკეთ მოჩანს!

... მოჩანს! — გაისმა ჰაერში.

პეკუშემ მიუგო:

— მოვდივარ!

... მოვდივარ!

— გესმის, ექო!

... ექო!

მანამდე ექოს ცაცხვი აკავებდა, ახლა კი ხელს უწყობდა საცეხველის პირდაპირ დადგმული პაგოდა.

ახლა უკვე თავს ირთობდნენ იმით, რომ გაიძახოდნენ სასაცილო სიტყვებს. ბუვარი სახუმარო უწმაწურ სიტყვებს ყვიროდა.

მან რამდენჯერმე მოიარა ფალეზი, თითქოს ფულის საშოვნელად, იქიდან პატარა შეკრულები მოჰქონდა და კომოდში ინახავდა. პეკუშე ერთხელ დილით ბრეტვილს წავიდა, შინ ძლიერ გვიან დაბრუნდა, კალათით რაღაც მოიტანა და საწოლქვეშ დამალა.

მეორე დღეს, დილით, ბუვარმა რომ გაიღვიძა, გაოცებული დარჩა: დიდი ხეივნის ორი წინა ურთხელი, გუშინ რომ ბურთივით

მრგვალი ფორმისა იყო, ახლა ფარშევანგებს ჰგავდა. პატარა რქა და ორი ფაიფურის ღილი ნისკარტსა და თვალებს წარმოადგენდა. პეკუშე უთენია წამოდგა, შიშით კანკალებდა, ბუვარმა არ დამინახოსო, და ორივე ხე დიუმუშელისგან მიღებული იმ შაბლონის მიხედვით შეკრიჭა.

უკანასკნელ ექვს თვეში სხვა ხეები, იმ ორის უკან, ცოტად თუ ბევრად დაამსგავსეს პირამიდებს, კუბებს, ცილინდრებს, ირმებს თუ სავარძლებს, გარნა ფარშევანგებს ვერაფერი ვერ შეედრებოდა. ბუვარმა ეს ალიარა და მის ქებას ბოლო არ უჩანდა.

ერთხელ მეგობარი ლაბირინთში შეიტყუა, ნიჩაბი დამრჩაო; პეკუშეს გამგზავრებით სარგებლობდა და თვითონაც რაღაც დიდებული რამ შექმნა.

ბათქაშით შელესა მინდვრის ჭიშკარი და სიმეტრიულად განალაგა ზედ ხუთასი ჩიბუხი, რომლებიც გამოსახავდნენ აბდ-ელ-ყადერებს, შიშველ ქალებს, ზანგებს, ცხენის ფეხებსა და თავის ქალას.

— გესმის, რატომ მიმდიოდა სული?

— რა თქმა უნდა!

და აღელვებულნი გადაეხვივნენ ერთმანეთს.

როგორც ყველა ხელოვანს, ქება-დიდება მოენატრათ და ბუვარმა წვეულების გამართვა განიზრახა.

— ფრთხილად! — უთხრა პეკუშემ. — სტუმართმოყვარეობა გაგიტაცებს და დავიღუპებით!

გადაწყვეტილება მაინც მიიღეს.

აქ დასახლების შემდეგ საზოგადოებას ერიდებოდნენ. მიწვევა ყველამ მიიღო, რადგან უნდოდათ მათი გაცნობა; არ ყოფილა მხოლოდ გრაფი ფავერჟი, რომელიც საქმეებზე დედაქალაქს გაიწვიეს. მასპინძლები დაკმაყოფილდნენ მისი ფაქტოტუმით; ეს იყო ვინმე ბ-ნი გიურელი.

სხვადასხვა კერძი შეუკვეთეს ფუნდუკის პატრონს, ლიზიეს ყოფილ უფროს მზარეულს ბელჟამბს. ჟერმენამ თანაშემწედ მოიწვია მეფრინველე ქალი. დახმარებას დაჰპირდა აგრეთვე ქ-ნ ბორდენის მოსამსახურე მარიანა. უკვე ნაშუადღევის ოთხი საათიდან ჭიშკარი ფართოდ იყო ღია და ორივე მემამულე მოუთმენლად ელოდა სტუმრებს.

გიურელი წიფლის ქვეშ შეჩერდა და სერთუკი ჩაიცვა. შემდეგ მობრძანდა ახალ ანაფორაში გამოწყობილი მღვდელი, მას ფეხდაფეხ მოჰყვა ბ-ნი ფურო, რომელსაც ხავერდის ჟილეტი ეცვა. ექიმს მკლავგაყრილი მოჰყავდა თავისი ცოლი, რომელიც ძლივს მოაბიჯებდა და ქოლგას ეფარებოდა. მის უკან ირხეოდა ვარდისფერიბაფთების ტალღა. ეს ქალბატონ ბორდენის ჩაჩი იყო. მას ეცვა აბრეშუმის ორფერად მბზინავი ლამაზი კაბა. საათის ოქროს ძეწკვი მკერდზე ერხეოდა, ხოლო ბეჭდები უთითო თათმანებიდან ორივე ხელზე უბრწყინავდა. ბოლოს მობრძანდა ნოტარიუსი მარესკო, მას პანამის ქუდი ეხურა და თვალზე მონოკლი ეკეთა, რადგან თანამდებობა მის პიროვნებაში როდი ახშობდა საზოგადოებაში გამოსულ კაცს.

სასტუმრო ოთახის იატაკი ისე იყო გაკრიალებული, ფეხს ვერ მოიკიდებდი. ხავერდის რვა სავარძელი კედელზე იყო მიდგმული; შუაგულ ოთახში მრგვალ მაგიდაზე იდგა ლიქიორებიანი პატარა თარო, ხოლო ბუხრის თავზე ბუვარის მამის პორტრეტი ეკიდა. მქრქალი ათინათები, ფანჯრიდან რომ შუქი ათამაშებდა, პორტრეტს ტუჩს უმანჭავდა, თვალებს უელამებდა და მცირე ობი ღაწვებზე ქილვაშების ილუზიას უძლიერებდა. სტუმრები ამბობდნენ, შვილს ჰგავსო, ხოლო ქ-ნმა ბორდენმა ბუვარს თვალი შეავლო და დასძინა, მამა უთუოდ ძლიერ ლამაზი კაცი იქნებოდაო.

ერთი საათის ლოდინის შემდეგ პეკუშემ განაცხადა, შეიძლება დარბაზში გადავიდეთო.

წითელარშიიანი თეთრი კალენკორის ფარდები სრულიად ფარავდნენ ფანჯრებს, ისევე იყო სასტუმრო ოთახშიც; სინათლე ქსოვილში ატანდა და ყვითლად ეფინებოდა ხით მოპირკეთებულ კედლებს, რომელთა ერთადერთი სამკაული ბარომეტრი იყო.

ბუვარმა ორივე მანდილოსანი გვერდით მოისვა. პეკუშე მერისა და მღვდლის შუა იჯდა, სტუმრებმა ხამანწკით დაიწყეს. ხამანწკას ლაქაშის სუნი სდიოდა. ბუვარი სასოწარკვეთილი იყო, დიდ ბოდიშს იხდიდა, პეკუშე კი ადგა და სამზარეულოში გავიდა, რათა ბელჟამბი შეეხურებინა.

სანამ შეექცეოდნენ პირველ კერძებს, რომლებიც ქამბალის, ცხრაფურცელა ღვეზელის და კომპოტში ჩაწყობილი მტრედის ხორცისაგან შედგებოდა, სიდრის მომზადებაზე საუბრობდნენ.

შემდეგ საუბარი ადვილად და ძნელად მოსანელებელ საკმელებზე გადაიტანეს. რა თქმა უნდა, ეკითხებოდნენ ექიმს. იგი სკეპტიკურად მსჯელობდა, როგორც ისეთი კაცი, ვინც მეცნიერების სიღრმეებს ჩასწვდომია, და მაინც თვით უმცირეს წინააღმდეგობასაც კი ვერ ითმენს.

ფილესთან ერთად სტუმრებს ბურგუნდიული მიართვეს. იგი მღვრიე იყო. ბუვარმა ეს უბედური შემთხვევა ჭურჭლის უვარგისობით ახსნა, ბრძანა, სამი ბოთლი კიდევ გახსენითო, მაგრამ შედეგი იგივე იყო; მერე სენ-ჟულიენი დაასხა ჭიქებში, მაგრამ ისიც აშკარად გაუწმენდელი იყო, და სტუმრები გაყუჩდნენ. გიურელს ტუჩზე ღიმი არ შორდებოდა, ლაქია უხეშად აბრახუნებდა მძიმე ფეხსაცმელს.

მუდამ მოწუწუნე ქ-ნ ვოკორბეის, შესახედავად ფეხკოტიტა ქალს (აქვე უნდა ითქვას, იგი ორსულობის უკანასკნელ თვეში იყო) მთელი ამ ხნის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს. ბუვარმა არ იცოდა, რით გაერთო იგი და ქალაქ კანის თეატრზე დაუწყო ლაპარაკი.

— ჩემი ცოლი სანახაობებს არ ესწრება, — შენიშნა ექიმმა.

ბ-ნი მარესკო, როცა პარიზში ცხოვრობდა, მხოლოდ იტალიელთა წარმოდგენებზე დადიოდა.

— მე კი, — თქვა ბუვარმა, — „ვოდევილის“ პარტერში ვუსმენდი ხოლმე ფარსს.

ფურომ ქ-ნ ბორდენს ჰკითხა, ფარსი გიყვართ თუ არაო?

— გააჩნია როგორი, — მიუგო მან.

მერი ცდილობდა ქალი გაებრაზებინა. ქალი კი მის ხუმრობას აბათილებდა და მერე ნეკა კიტრის დამწნილებაზე ჩამოაგდო სიტყვა. თუმცა მისი სამეურნეო უნარი კარგად ცნობილი იყო: მშვენივრად მოწყობილი პატარა ფერმა ჰქონდა.

ფურომ ბუვარს ჰკითხა:

— თქვენ არ აპირებთ ფერმის გაყიდვას?

— მართალი გითხრათ, ჯერ თვითონაც არ ვიცი...

— როგორ! არც ეკალის პატარა აგარაკს გაჰყიდით? — ჰკითხა ნოტარიუსმა. — აი ის კი თქვენი შესაფერისი იქნებოდა, ქ-ნო ბორდენ!

ქალმა პრანჭვით უპასუხა:

— ბ-ნი ბუვარი, ალბათ, ბევრს მოითხოვს.
— იქნებ როგორმე დაგვეყოლიებინა?
— ოჰ! ერთი რომ გეკოცნათ?
— მაინც ვცადოთ, — უთხრა ბუვარმა.

და, საზოგადოების ტაშის გრიალში, ორივე ლოყა დაუკოცნა.

თითქმის იმწამსვე შამპანურიც გახსნეს და საცობების ბათქა-ბუთქმა მხიარულება გააორკეცა. პეკუშემ ანიშნა, ფარდები ასწიეს და სტუმრებს ბაღის ხედი გადაეშალათ.

ბინდბუნდში ეს რაღაც საშინელება იყო. კლდე მთასავით გადმომდგარიყო გაზონზე, აკლდამა კუბივით იდგა ისპანახის კვლებში, ვენეციური ხიდი თავს დამხობოდა ლობიოს, ქოხი კი შორიდან დიდ შავ ლაქას ჰგავდა: ვითომ უფრო პოეტური ელფერი რომ მიეცათ, მეგობრებმა მისი ისლის სახურავი ცეცხლით შერუჯეს. ირმებისა თუ სავარძლების ფორმის ურთხელები ჩამწკრივებული იყო მეხდაკრულ ცაცხვამდე, რომელიც გარდიგარდმო ეგდო წიფლების ხეივნიდან ფანჩატურამდე, სადაც პომიდვრები სტალაქტიტებივით ეკიდა. აქა-იქ მოჩანდა მზესუმზირას ყვითელი ბადროები. ჩინური წითელი პაგოდა ბორცვზე დადგმულ შუქურას ჰგავდა. მზით განათებული ფარშევანგების ნისკარტები ერთმანეთს აბრჭყვიალებდნენ, ხოლო ღობის გადაღმა ცისკიდურამდე გადაჭიმულიყო ხელისგულივით გაშლილი ვაკე.

სტუმართა გაკვირვებამ ბუვარსა და პეკუშეს ნამდვილი სიამოვნება მიანიჭა.

ქ-ნი ბორდენი განსაკუთრებით აღაფრთოვანეს ფარშევანგებმა. მაგრამ ვერაფერი გაუგო აკლდამას, ისევე როგორც შერუჯულ ქოხს და ნანგრევებში აღმართულ კედელს. შემდეგ ყველამ რიგრიგობით გადაიარა ხიდი. აუზის გასავსებად ბუვარი და პეკუშე მთელი დილა წყალს ეზიდებოდნენ, მაგრამ წყალი ცუდად დაგებულ ქვებში იჟონებოდა და ფსკერი შლამმა დაფარა.

სეირნობის დროს სტუმრები შენიშვნებს იძლეოდნენ:
— თქვენს ადგილზე ასე მოვიქცეოდი!
— მუხუდოს დაგვიანებია.
— ეს კუთხე, მართალი გითხრათ, უსუფთაოა.
— ასეთი გასხლული ხეხილი არასოდეს ნაყოფს არ მოგცემს.

ბუვარი იძულებული გახდა ეთქვა, ხილი სულაც არ მენაღვლებაო. ხეივანში რომ მიდიოდნენ, მან ეშმაკურად წარმოთქვა:

— ამ ქალბატონს კი შგონი ვაწუხებთ. გვაპატიეთ, გეთაყვა!

ხუმრობას არავინ გამოეხმაურა. თაბაშირის ქალს ყველა იცნობდა.

ბოლოს, ლაბირინთის უამრავი ხვეული რომ გაიარეს, სტუმრები ჩიბუხებიან ჭიშკარს მიადგნენ და გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ბუვარი თვალს ადევნებდა სტუმართა სახეებს და, რაკი სული მისდიოდა, სანამ მათ აზრს შეიტყობდა, იკითხა:

— ამაზე რას იტყვით?

ქ-ნმა ბორდენმა გადაიხარხარა. ყველამ მას მიბაძა. ბ-ნი მღვდელი კრუხივით ქოთქოთებდა. გიურელი ახველებდა, ექიმს სიცილისაგან ცრემლი სდიოდა, მის ცოლს ნერვული კრუნჩხვა აუტყდა, ფურომ კი, ამ მოურიდებელმა კაცმა, ჭიშკარს ერთი აბდ-ელ-ყადერი მოაძრო და ჯიბეში იტკუცა.

ხეივნიდან რომ გავიდა, ბუვარმა განიზრახა სტუმრებს ექოს ეფექტით გავაკვირვებო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იყვირა:

— თქვენი მონა-მორჩილი გახლავარ, მოწყალე ქალბატონებო!

არაფერი! არავითარი ექო! ეს იმით აიხსნებოდა, რომ კარაპანს კიცურიანი სახურავი გადახადეს.

ყავა ბორცვთან მიართვეს, მამაკაცები ის იყო ბუშტის თამაშს აპირებდნენ, რომ დაინახეს, ღობის გადაღმიდან ვიღაც კაცი იყურებოდა.

გამხდარი იყო. მზით გარუჯული, წითელი დახეული შარვალი და ლურჯი ბლუზა ეცვა უპერანგო ტანზე, შავი ჯაგარა წვერი ჰქონდა. მან ხრინწიანი ხმით წარმოთქვა:

— ერთი ჭიქა ღვინო დამალევინეთ!

მერმა და მღვდელმა ჟეფრუამ მაშინვე იცნეს, წინათ შავინიოლში დურგლად მუშაობდა.

— ღმერთი იყოს შენი შემწე, გორჟიუ! წადი! — უთხრა ბ-ნმა ფურომ, — მათხოვრობა არ შეიძლება.

— მათხოვრობა! — გაჯავრდა იგი. — შვიდ წელიწადს აფრიკაში ვიბრძოდი. ლაზარეთიდან გამოვედი. სამუშაო არა მაქვს! ხომ არ ვიყაჩაღებ? დასწყევლოს ღმერთმა!

მერე ნელ-ნელა დამშვიდდა, დოინჯი შემოიდგა და ბურჟუებს მელანქოლიური, დამცინავი თვალით დაუწყო ცქერა.

ბანაკის ცხოვრებით მოქანცვა, არაყი, ციება, სიღატაკე, ჭუჭ-ყიანი ცხოვრება ირეკლებოდა მის მღვრიე თვალებში. უფერული ტუჩები უთრთოდა და ღრძილებს უჩენდა. მაღალი, წითლად შეღებილი ცა სისხლისფერ სხივებს აფრქვევდა. რაღაც შემზარავი იყო, რომ ასე ჯიუტად იდგა და არ იძვროდა.

თავიდან რომ მოეშორებინა, ბუვარმა ბოთლი აიღო, რომელშიც ღვინო კიდევ დარჩენილიყო. მაწანწალამ ხელად გამოწრუპა და ხელების ქნევით მიიმალა ჭვავის ყანაში.

სტუმრებმა ბუვარს უძრახეს, აგრე ხომ უწესობას აქეზებთო, მაგრამ ბუვარი განაწყენებული იყო იმის გამო, რომ მისი ბაღი არ მოეწონათ და ხალხს გამოექომაგა. ყველა ერთად ალაპარაკდა.

ფურო მთავრობას აქებდა. გიურელს ამქვეყნად მხოლოდ მიწის მესაკუთრენი სწამდა. მღვდელი ეეფრუა ჩიოდა, მთავრობა რელიგიას არ მფარველობსო. პეკუშე გადასახადთა წინააღმდეგი იყო. ქ-ნი ბორდენი გაიძახოდა:

— უწინარეს ყოვლისა, მე რესპუბლიკა მეჯავრება!

ექიმი პროგრესს იცავდა:

— ბატონებო, ბილოს და ბოლოს რეფორმებია საჭირო.

— შესაძლებელია! — მიუგო ფურომ. — მაგრამ მთელი ეს იდეები საქმეს ვნებენ.

— სულაც არა მაქვს საქმეების დარდი! — წამოიძახა პეკუშემ.

ვოკორბეი განაგრძობდა:

— ყოველ შემთხვევაში, შეიყვანეთ მთავრობაში საქმის ადამიანები.

ბუვარი ამდენს არ მოითხოვდა.

— ასეთია თქვენი რწმენა? — უთხრა ექიმმა. — ეგ თქვენ გახასიათებთ. კარგად ბრძანდებოდეთ! და გისურვებთ წარღვნას, რომ თქვენს აუზში შეგეძლოთ ცურვა.

— მეც მივდივარ, — ერთი წუთის შემდეგ თქვა ბ-ნმა ფურომ. და ხელით ჯიბეზე ანიშნა, რომელშიც ჩიბუხი ედო:

— თუ კიდევ დამჭირდა, შემოვივლი.

მღვდელმა, სანამ წავიდოდა, მორიდებით უთხრა პეკუშეს, ის აკლდამისებური რაღაც ბოსტანში რომ დგას, შეუფერებლად მიმაჩნიაო. გიურელმა წასვლისას თავი მდაბლად დაუკრა საზოგადოებას. ბ-ნი მარესკო დესერტის შემდეგ გაუჩინარდა.

[illegible] ბორდენმა ყელზე გაიხა სალბადი ნეკა ეტრეგია [illegible]ლებაზე მასპინძლობა აღეთქვა, მთხრობელი გლიავის ნაყენის რეცეპტს გამოგიგზავნითო; სამიოდე�არ კიდევ გაისეირნა დიდ ხეიგანში, ბაგრან ცალცვს ყბით წამოეღო და მეგობრებმა გაიგონეს, რომ ჩაიბერტყონა:

— ღმერთო ჩემო! რა სელელელრად გაჩხერილა ეს ხე.

ორი მეგობარი შელამენდე ეზიარებდა ერთმანეთს თავის აღშფოთებას.

რა თქმა ენდა, საღილმა მაინცდამაინც კარგად ვერ ჩაიარა, მაგრამ სტუმრები ლორენბივით დაძღნენ, მაშასადამე, არც ისეთი ცუდი იყო. რაც შეეხება ბაღს, ასეთი ბოროტი კრიტიკა მხოლოდ მძაფრი შერით აიხსნებოდა. და გაჯავრებულნი ამბობდნენ:

— რაო? აუზს წყალი აკლიაო? მოითმინეთ, ნახავთ, რომ შიგ გედები და თევზები იცურავებენ!

— იმათ, მგონი, პაგოდაც არ შეუმჩნევიათ.

— იმის მტკიცება, რომ ჩვენი ნანგრევები უსუფთაოა, მხოლოდ სელელს შეუძლია.

— აკლდამა კი შეუფერებლად მიმაჩნიაო! განა კაცს არ შეუძლია ააგოს იგი თავის მიწაზე? მე ისიც კი მინდა, რომ იქ დამმარხონ!

— მაგისთანა რამეს ნუ ამბობ! — უთხრა პეკუშემ.

მერე დაიწყეს სტუმრების გაკილვა.

— ექიმი, ჩემი აზრით, გვარიანი პრანჭიაა.

— შეამჩნიე, როგორ ხითხითებდა მარესკო პორტრეტის წინ?

— რა ხეპრეა ეს მერი! როცა სხვის სახლში სადილობ, დალახვროს ეშმაკმა, ცოტა პატივისცემით უნდა მოეპყრა მის ღირსშესანიშნაობათ!

— ახლა ქ-ნი ბორდენი?

— ის ხომ ინტრიგანია, ნუ გამახსენებ!

რაკი მაღალი საზოგადოება მოყირჭდათ, გადაწყვიტეს, აღარავის შევხვდეთ, მუდამ შინ ვიყოთ და მხოლოდ ჩვენთვის ვიცხოვროთო.

მთელი დღეები სარდაფში ისხდნენ და ღვინოს წმენდდნენ ხაშურისაგან, ხელახლა გალაქეს მთელი ავეჯი, კედლებიც ფიქის საღებავებით მოხატეს; ყოველ საღამოს ბუხართან ისხდნენ, ალმო-

დებულ შეშას უყურებდნენ და გაბობის საუკეთესო სისტემაზე მსჯელობდნენ.

მომჭირნეობის მიზნით, თვით დაიწყეს ძეხვის გამოყვანა. რეცხვის დროს საცვლების დამდეღვრა. ყერმენა. რომელსაც ხელს უშლიდნენ, მხრებს იჩეჩავდა ხოლმე. როცა მერაბის ხარშვის დრო დადგა, ქალი გაუჯავრდა და ისინიც ფურნეში გადაბარგდნენ. ჩინათ იქ სამრეცხაო იყო და აგურშემოკეთებული დიდი ქვაბი იდგა. რომელიც სავსებით შეეფერებოდა მათ გეგმებს, რადგან დაებადათ პატივმოყვარული განზრახვა, თვითონ დაემზადებინათ კონსერვები.

თოთხმეტი ქილა გაავსეს მწვანე ცერცველით და ტომატით. საცობები დაუშლელი კირითა და ყველით შეგოზეს. ზედ ტილოს ლენტები მიაბეს და ქილები მდუღარეში ჩადგეს: მდუღარე რომ აორთქლდა, ცივი წყალი მიუმატეს. ტემპერატურის განსხვავების გამო ქილები დასკდა. მხოლოდ სამიოდე გადარჩა.

მაშინ სარდინის ძველი კოლოფები იშოვეს, შიგ ხბოს ხორცის ნაჭრები ჩააწყვეს და წყლის აბაზანაში ჩაალაგეს. კოლოფები იქიდან ბურთებივით დამრგვალებული ამოიღეს, გაციებამ ისინი დაღმიჭა. ცდა განაგრძეს და ქილებში ჩააწყვეს კვერცხები, ვარდკაჭაჭა, ასთაკვა, თევზეული. და ამაყობდნენ რომ ბ-ნ აპერის მსგავსად „წლის დროთა მსვლელობა შეაჩერეს“. ასეთი აღმოჩენებიო, — ამბობდა პეკუშე, — დამპყრობთა საგმირო საქმეებს აღემატებაო.

გააუმჯობესეს ქ-ნ ბორდენის რეცეპტი: ძმარს პილპილი მიუმატეს და მათრობელა ქლიავის ნაყენიც გაცილებით უკეთესი გამოვიდა. ჟოლო გამოწურეს, არაყი გაურიეს და ნაყენი დაამზადეს. თაფლისა და ანგელოზასაგან უნდოდათ მალაგა გაეკეთებინათ, შამპანურის დამზადებასაც აპირებდნენ. ტკბილშერეულმა შაბდიმ ბოთლებში საცობები არ დააყენა. წარმატება უკვე აღარ ეეპვებოდათ.

რაც უფრო ფართოვდებოდა მათი კვლევის არე, მით უფრო უძლიერდებოდათ ეჭვი, რომ ყველა საკვები ნივთიერება ყალბი იყო.

მეფუნთუშეს უწუნებდნენ პურის ფერს, ბაყალი მტრად გადაიკიდეს, რადგან შოკოლადის შემზადებას აბრალებდნენ. ფალეზში ნაყიდ კენკრას მეაფთიაქის თვალწინ წყალი დაასხეს. კენკრამ ღორის ტყავის ფერი მიიღო, რაც ჟელატინის არსებობას მოწმობდა.

ამ გამარჯვებამ მათ სიამაყე შემატა. ერთი გაკოტრებული მეარ-ყისაგან ინვენტარი იყიდეს და ძალე სახლში გაჩნდა საცრები, კასრები, ძაბრები, ქაფქირები, სასწორი, საწურავები, რომ აღარ ვი-ლაპარაკოთ გობსა და საარაყე ქვაბზე, რისთვისაც საჭირო გახდა ხუფიანი ამრეკლავი ღუმელი.

შეისწავლეს შაქრის გაწმენდა და მისი ხარშვის სხვადასხვა წესი. მაგრამ მეტად ესწრაფვოდნენ აემუშავებინათ სახდელი კუბი და შეუდგნენ ნაზი ლიქიორების დამზადებას, რაც ანისულით დაიწყეს. სითხეს თითქმის მუდამ ნივთიერებებიც მიჰყვებოდა ანდა ისინი ფსკერზე ილექებოდნენ. ისიც ხდებოდა, რომ დოზირება ეშლებო-დათ. გარშემო იდგა სპილენძის დიდრონი ტაშტები, კოლბებს მაღ-ლა აეშვირათ გრძელი ცხვირები, კედლებზე კარდალები ეკიდა. ხშირად ერთი ბალახებს ახარისხებდა ხოლმე მაგიდაზე, მეორე კი ხელსაწყოს მართავდა; ნივთიერებებს ერთმანეთში ურევდნენ, შე-მადგენლობას სინჯავდნენ.

მუდამ ოფლიან ბუვარს ეცვა მხოლოდ პერანგი და შარვალი, რომელიც შუა მუცლამდე ჰქონდა ატანილი მოკლე აჭიმით. მაგრამ ჭუკივით ქარაფშუტას ავიწყდებოდა კუბის დიაფრაგმა ანდა მეტად დიდ ცეცხლს გააჩაღებდა ხოლმე.

პეკუშეს გრძელი ბლუზა ბავშვის სახელოებიან წინსაფარს მო-გაგონებდათ, დაჯდებოდა და ანგარიშობდა. თავი სასარგებლო საქ-მით დატვირთულ ძლიერ სერიოზულ ადამიანებად მიაჩნდათ.

ბოლოს ერთი ლიქიორი გამოიგონეს, რომელსაც ყველა დანარ-ჩენი უნდა გაეუფასურებინა. აპირებდნენ მისთვის შეერიათ კარი-ანდრი, როგორც ქუმელში ურევდნენ ხოლმე ალუბლის არაყს, მარასკინში — უსუპს, შარტრეზში — აბელმოშს, ვესპეტროში — calamus aromaticus და სანდალით წითლად შეეფერათ. მაგრამ რა დაერქმიათ? ხომ საჭირო იყო სახელწოდება, თანაც ადვილად დასამახსოვრებელი და ორიგინალური. დიდი ფიქრის შემდეგ გა-ძაწყვიტეს „ბუვარინი“ დავარქვათო.

გვიან შემოდგომაზე კონსერვების ქილებს ლაქები დააჩნდა. პომიდორი და მწვანე ცერცველა დალპა. მიზეზი ალბათ ის იყო, რომ თავი კარგად არ ჰქონდათ დაცობილი. ახლა ამაზე ფიქრს გადაყვნენ. ცდების მოხდენა არ შეეძლოთ, რადგან სახსრები აკლ-დათ. ფერმა მათ ანადგურებდა.

მოიჯარეები თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ, ბუვარი არ თანხმდებოდა. უფროსი მუშა მისი მითითებით უაზრო მომჭირნეობას ეწეოდა და მოსავალი მცირდებოდა, ყველაფერი იღუპებოდა. ერთხელ, როცა სიძნელეებზე საუბრობდნენ, ლაბორატორიაში შევიდნენ ძია გუი და მისი მეუღლე, რომელიც ქმრის ზურგს მორცხვად ეფარებოდა.

რადგან მიწა სხვადასხვა ღონისძიებების შედეგად ნაყოფიერი გახდა, მან მოისურვა კვლავ იჯარით აეღო ფერმა, მაგრამ განზრახ ამცირებდა მის ღირსებას. მიუხედავად თქვენი შრომისაო, ამბობდა იგი, მოსავალი დამოკიდებულია ბედზე; ერთი სიტყვით, მხოლოდ იმიტომ მინდა იჯარით ავიღო, რომ მიყვარს ეს ადგილები და თანავუგრძნობ ისეთ კარგ მეურნეებს, როგორიც თქვენ ხართო. მათ გულცივად გაისტუმრეს, იმავ საღამოს კვლავ მოვიდა.

ამასობაში პეკუშემ ბუვარი დაიყოლია და მზად იყვნენ დათმობაზე წასულიყვნენ. გუიმ საიჯარო ფასის დაკლება ითხოვა და, როცა ისინი აღშფოთდნენ, მან ლაპარაკი კი არა, ღმუილი მორთო: ღმერთს იმოწმებდა, თავის გაჭირვებას ყვებოდა, თავის ამაგსაც არ ივიწყებდა. როცა ჰკითხეს, შენ რას იძლევიო, პასუხის ნაცვლად თავი დახარა, ხოლო ცოლი, კართან რომ იჯდა და მუხლებზე დიდი კალათი ედო, წვრილი ხმით დაჭრილი ქათამივით აკაკანდა.

ბოლოს საიჯარო ფასი დაწესდა სამი ათასი ფრანკის რაოდენობით, მესამედით ნაკლები, ვიდრე წინათ იყო.

ძია გუიმ იქვე შესთავაზა, ინვენტარი მომყიდეთო და მოლაპარაკება განახლდა.

ნივთების შეფასება ორ კვირას გაგრძელდა. ბუვარი საშინლად მოიქანცა. მან ყველაფერი ისეთ სასაცილო ფასად დათმო, რომ გუიმ ჯერ თვალები დაპრაწა, მერე კი ერთბაშად მიაძახა, თანახმა ვარო და ხელი ხელს მისცეს.

მის შემდეგ მემამულეებმა, ჩვეულების თანახმად, ისინი მცირე სადილზე მიიწვიეს და პეკუშემ თავისი მალავის ბოთლი გახსნა. გულუხვობით კი არა, შემაქებენო, იმის იმედით.

მაგრამ ძია გუიმ გასინჯა თუ არა, მოიკმუხნა.

— ეს ძირტკბილას ნაყენისმაგვარი რაღაც უნდა იყოს.

ცოლმა კი, „დასაყოლებლად“ ჭიქა არაყი ითხოვა.

მათ ახლა უფრო მნიშვნელოვანი რამ აწუხებდათ. „ბუვარინის“ შემადგენელი ნაწილები, ბოლოს, როგორც იქნა, შეაგროვეს.

ყველაფერი სახდელ ქვაბში ჩაყარეს, ზედ სპირტი დაასხეს, ცეცხლი შეუნთეს და ელოდებოდნენ. ამასობაში მალაგის მარცხით შეწუხებულმა პეკუშემ კარადიდან თუნუქის კოლოფები გამოიღო, გახსნა ერთი, მეორე, მესამე... გააფთრებულმა ხელუკუღმა მოისროლა და ბუვარს დაუძახა.

ბუვარმა ონკანი დახურა და მასთან მიირბინა. სრული იმედის გაცრუება. ხბოს ხორცის ნაპრები მოხარშულ ლანჩებს დამსგავსებოდა, ასთაკვი ჭუჭყიან სითხედ ქცეულიყო, თევზეულობას ვეღარ იცნობდი, წვენში სოკოები გაჩენილიყო და აუტანელი სუნი ლაბორატორიაში ჰაერს წამლავდა.

უეცრად ბათქის ხმა გაისმა, თითქოს ყუმბარა გავარდაო — სახდელი კუბი გასკდა და ნამსხვრევები ჭერს მიეყარა, დაიმტვრა ქვაბები, დაიჭყლიტა ქაფქირები, დაიმსხვრა ფანჯრის მინები, ნახშირი გაიფანტა, ღუმელი ჩამოინგრა და მეორე დღეს ჟერმენამ ერთი პატარა ნიჩაბი ეზოში იპოვა.

ორთქლმა ხელსაწყო ააფეთქა, იმიტომ, რომ მუზარადი ჭანჭიკებით მიემაგრებინათ კუბზე.

პეკუშე ქვაბთან ჩაიკეცა, ბუვარი კი ტაბურეტს გადაემხო. ათ წუთს მაინც იყვნენ ასეთ მდგომარეობაში, შიშისაგან გაფითრებულნი და განძრევას ვერ ბედავდნენ. როცა ლაპარაკის უნარი დაუბრუნდათ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ამდენი მარცხის, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელის, მიზეზი რა არისო? და არაფერი ესმოდათ გარდა იმისა, რომ კინაღამ დაიღუპნენ. ბოლოს პეკუშემ ასეთი აზრი გამოთქვა:

— ეს ალბათ იმიტომ დაგვემართა, რომ ქიმია არ ვიცით.

## III

ქიმიის შესასწავლად იშოვეს რენიოს კურსი და, უწინარეს ყოვლისა, შეიტყვეს, რომ „მარტივი სხეულები შესაძლოა რთული იყოს“.

მათ ჰყოფენ მეტალებად და მეტალოიდებად; ეს განსხვავება

„აბსოლუტური სულაც არ არის“, ამბობს ავტორი. ასევე ითქმის ფუძეებსა და მჟავებზე, იმიტომ რომ, „ერთი და იგივე სხეული გარემოებათა მიხედვით შეიძლება იქნეს მჟავაც და ფუძეც“.

ეს შენიშვნა უცნაური ეჩვენათ. ჯერადობამ პეკუშე შეაცბუნა.

— თუ სხეულის A მოლეკულა, ვთქვათ B-ს რამდენიმე ნაწილს უერთდება, მე მგონია, რომ ეს მოლეკულა იმდენსავე ნაწილად უნდა იყოფოდეს; მაგრამ, თუ იყოფა, მთლიანი, პირველადი მოლეკულა აღარ არის. ერთი სიტყვით, ვერაფერი გამიგია.

— ვერც მე, — ამბობდა ბუვარი.

მათ მიმართეს ჟირარდენის უფრო ადვილ თხზულებას და დარწმუნდნენ, რომ ათი ლიტრი ჰაერი ას გრამს იწონის, რომ ფანქრის შემადგენლობაში ტყვია არ შედის, რომ ალმასი სხვა არა არის რა, თუ არა ნახშირბადი.

ყველაზე უფრო ის გაუკვირდათ, რომ მიწა, როგორც ელემენტი, არ არსებობს.

ზოგი რამ წაიკითხეს სარჩილავ მილზე, ოქროზე, ვერცხლზე, სარეცხის სოდაზე, ქვაბების მოკალვაზე. შემდეგ სრულიად უყოყმანოდ შესტოპეს ორგანულ ქიმიაში.

რა საოცრებაა! ცოცხალ არსებათა ორგანიზმში არის ისეთივე ელემენტები, რომლებისგანაც მინერალები შედგება! მაგრამ მაინც ერთგვარი დამცირება იგრძნეს იმის გამო, რომ მათი სხეული შეიცავს ფოსფორს, როგორც ასანთი, ალუმინს, როგორც კვერცხის ცილა, და წყალბადს, როგორც ფარანი.

საღებავებისა და ცხიმების შემდეგ ლაპარაკი დაიწყეს დუღილზე.

ამან ხელი შეუწყო მჟავებზე გადასვლას. აქ ისინი კვლავ გააკვირვა ვალენტობის კანონმა. შეეცადნენ ატომის თეორიის მეშვეობით გაეაზრებინათ იგი და... საბოლოოდ დაიბნენ.

ყოველივე ამის გასაგებად, ბუვარის აზრით, საჭირო იყო ხელსაწყოები. ამას გვარიანი თანხა დასჭირდებოდა, მათ კი უამისოდაც დიდი ხარჯი შეხვდათ.

ექიმ ვოკორბეის უეჭველად შეეძლო დახმარებოდა.

მიღების საათებში ეწვივნენ მას.

— გისმენთ, ბატონებო! რა გტკივათ?

პეკუშემ მიუგო, არაფერი არ გვტკივაო, მისვლის მიზანი აუხსნა და უთხრა:

— ჩვენ გვინდა, ჯერ ერთი, გავიგოთ უმაღლესი ატომურობა.

ექიმი წამოწითლდა, შემდეგ ქიმიის შესწავლის სურვილი უძრახა.

— მერწმუნეთ, მის მნიშვნელობას არ უარვყოფ, მაგრამ ჩვენს დროში მას ყველგან სჩრიან! -იგი სავალალო გავლენას ახდენს მედიცინაზე.

გარშემო არსებული საგნები ადასტურებდნენ მისი სიტყვების სიმართლეს:

ბუხარზე ეყარა სახვევები და სალბუნები. ქირურგიული ინსტრუმენტების ყუთი შუაგულ მაგიდაზე იდო, კუთხეში ტაშტი სავსე იყო ზონდებით, კედელთან კი ადამიანის კანგაცლილი სხეულის მოდელი იდგა.

პეკუშემ ექიმს მიულოცა, ეს კარგი რამ შეგიძენიათო.

— ანატომიის შესწავლა ძლიერ საინტერესო უნდა იყოს?

ბ-ნმა ვოკორბეიმ ილაპარაკა, თუ რა სიამოვნებას ანიჭებდა წინათ გაკვეთა. ბუვარმა ჰკითხა, რა თანაფარდობაა ქალისა და მამაკაცის შიგნეულობას შორისო.

მათი სურვილის დასაკმაყოფილებლად ექიმმა ბიბლიოთეკიდან ანატომიური ატლასი მოიტანა.

— თან წაიღეთ! შინ უფრო გულდასმით დაათვალიერებთ.

ისინი გააკვირვა ჩონჩხის გამოზიდულმა ყბამ, თვალის ფოსოებმა, ხელების საშინელმა სიგრძემ. ახსნა-განმარტების ტექსტი აკლდათ. კვლავ წავიდნენ ვოკორბეისთან და ალექსანდრე ლოტის სახელმძღვანელოთი შეისწავლეს ჩონჩხის აგებულება; გააოცა ხგრხემალმა, რომელიც, როგორც ნათქვამია ამ წიგნში, თექვსმეტჯერ უფრო მტკიცეა, ვიდრე მთლიანი ძვლით რომ ყოფილიყო შექმნილი.

რატომ მაინც და მაინც თექვსმეტჯერ?

ბუვარი დააღონა მაჯის მუსკულებმა, პეკუშეს კი, ბეჯითად რომ სწავლობდა თავის ქალას, თავბრუ დაასხა სოლისებურმა ძვალმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი „თურქულ უნაგირს“ ჰგავს.

რაც შეეხება შესახსრებებს, მათ აუარებელი იოგი ფარავდა, და ისინი შეუდგნენ კუნთების შესწავლას.

მაგრამ გაუჭირდათ იმ ადგილის მონახვა, სადაც კუნთების მი-

მაგრება ხდება. ნეკნების წანაზარდებამდე რომ მივიდნენ, წიგნების კითხვას თავი გაანებეს.

მაშინ პეკუშემ თქვა:

— კვლავ ხომ არ მოვკიდოთ ხელი ქიმიას, თუნდაც იმისათვის, რომ ლაბორატორიით ვისარგებლოთ?

ბუვარმა პროტესტი განაცხადა და მოაგონდა, თითქოს სადღაც გაუგია, ცხელი ქვეყნისათვის სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოდ ხელოვნურ გვამებს ამზადებენო.

ბუვარმა ბარბერუს მისწერა და მანაც საჭირო ცნობები გამოუგზავნა. თვეში ათ ფრანკად შეიძლება მიეღო ბ-ნ ოზუს ერთ-ერთი მოდელი, და ერთი კვირის შემდეგ ფალეზელმა ფოსტალიონმა მათ ჭიშკართან მოგრძო ყუთი გადმოტვირთა.

აღელვებულმა მეგობრებმა ყუთი პურსაცხობში გადაიტანეს. ფიცრები რომ შემოხსნეს, თივა გამოცვივდა, პაპიროსის ქაღალდი მოაშორეს და მოდელი გამოჩნდა.

იგი აგურისფერი იყო, უთმოდ, უკანოდ და აურაცხელი ლურჯი, წითელი და თეთრი ძარღვებით აჭრელებული. სულაც არ ჰგავდა გვამს, უფრო მახინჯ, ძლიერ სუფთა სათამაშოს მოგაგონებდათ, ლაქის სუნი რომ ასდის.

გულის ბოყვი მოხსნეს და დაინახეს ფილტვები, ორ ღრუბელს რომ ჰგავდა; ცოტა განზე კვერცხისებრი გული, შუასაძგიდი, თირკმელები, მთელი ნაწლავები გამოჩნდა.

— აბა, ვიმუშაოთ! — თქვა პეკუშემ.

მთელი დღე და საღამო ამას მოუნდა.

ანატომიური თეატრების სტუდენტებივით ხალათები ჩაიცვეს და სამი სანთლის შუქზე მუყაოს ნაწილების დაშლას შეუდგნენ. უეცრად კარზე მუშტით დააბრახუნეს.

— გააღეთ!

ეს იყო ბ-ნი ფურო, ჩაფარიც ახლდა.

საქმე ის იყო, რომ მეგობრებმა ჟერმენა რომ გაეკვირვებინათ, მას გვამი აჩვენეს. ქალი მაშინვე გაიქცა საწვრილმანოს ვაჭართან და ეს ახალი ამბავი აცნობა; მთელმა სოფელმა შეიტყო, სახლში ნამდვილ მიცვალებულს მალავენო. ფურომ ხალხის მითქმა-მოთქმას დაუჯერა და ამბის გასაგებად მოვიდა. ცნობისმოყვარენი ეზოში შეგროვდნენ. როცა ფურო მოვიდა, მოდელი გვერდზე იწვა,

პირისახის ძარღვები ამოღებული იყო და საშინლად გადმოკარკ-ლული თვალი შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— აქ რამ მოგიყვანათ? — ჰკითხა პეკუშემ.

ფურომ წაიბუტბუტა:

— არაფერმა, სრულიად არაფერმა.

მერე მაგიდიდან ერთი ნაწილი აიღო და იკითხა:

— ეს რა არის?

— მებუკის ძარღვია, — მიუგო ბუვარმა.

ფურო გაჩუმდა და დამცინავად იღიმებოდა, რადგან შეშურდა, რომ ისინი ისეთი რამით ერთობოდნენ, რაც მის კომპეტენციაში არ შედიოდა.

ორივე ანატომს თავი ისე ეჭირა, თითქოს კვლევას განაგრძობ-დნენ, ხალხს მოსწყინდა გარეთ დგომა, ფურნეში შევიდა და, რად-გან ცოტა მიხლა-მოხლა შეიქნა, მაგიდა შეინძრა.

— ეს მეტისმეტია! — წამოიძახა პეკუშემ. — გაგვათავისუფ-ლეთ ამ საზოგადოებისაგან!

ჩაფარმა ცნობისმოყვარენი გაიყვანა.

— ძალიან კარგი, — თქვა ბუვარმა. — ჩვენ არავინ არ გვინდა.

ფურო გადაკრულს მიხვდა და ჰკითხა:

— გაქვთ ამის უფლება? თქვენ ხომ ექიმები არა ხართ? მე პრეფექტს უნდა შევეკითხო.

— ეს რა ქვეყანაა! ასეთ სულელებს, ველურებს და ჩამორჩე-ნილებს სხვაგან ვერსად იპოვი.

თავი რომ სხვებს შეადარეს, დამშვიდდნენ; პატივმოყვარეობის გამო ოცნებობდნენ მეცნიერებისათვის ტანჯულნი გამხდარიყვნენ.

ექიმიც ეწვიათ. მან მოდელი გააკრიტიკა, ბუნებას მეტად დაშო-რებულიაო, მაგრამ შემთხვევით ისარგებლა და ლექცია წაიკითხა.

ბუვარი და პეკუშე აღტაცებულნი იყვნენ და მათი თხოვნით ბატონმა ვოკორბეიმ თავისი ბიბლიოთეკიდან რამდენიმე წიგნი მის-ცა წასაკითხად. თუმცა იქვე დასძინა, ამას თქვენ ვერ დასძლევთო.

„მედიცინის მეცნიერებათა ლექსიკონში“ ისინი დააინტერესა არანორმალური მშობიარობის, დღეგრძელობის, სიმსუქნისა და კუჭის შეკრულობის მაგალითებმა. მოსწრებოდნენ მაინც და ენა-ხათ განთქმული კანადელი ბომონი; ღორმუცლები — ტარარი და ბიჟუ; წყალმანკით ავადმყოფი, ევრის დეპარტამენტში რომ ცხოვ-

რობდა, ვინმე პიემონტელი, რომლის კუჭი სამ კვირაში ერთხელ მოქმედებდა, სვიმონ დე მირპუა, გაძვალებით რომ გარდაიცვალა, და ანგულემის მერი, ვისი ცხვირიც სამ გირვანქას იწონიდა!

ტვინმა მათ ფილოსოფიური ფიქრები აღუძრა. ძალიან კარგად ამჩნევდნენ შიგ გამჭვირვალე ტიხარს, ორი ფირფიტისაგან რომ შედგებოდა და ჯირკვალს, წითელი ლობიოს მარცვალს რომ ჰგავდა. მაგრამ აქ იყო აგრეთვე ფეხები და პარკუჭები, რკალები, სვეტები, ბორცვები, კვანძები და ყოველგვარი ბოჭკოები, აგრეთვე პაკიონის პაჩინის სხეული, ერთი სიტყვით, იმდენი რამ, რის შესასწავლადაც მათი სიცოცხლე არ იკმარებდა.

ზოგჯერ, მეტისმეტად გატაცებულები, სრულიად დაშლიდნენ გვამს და მერე აღარ იცოდნენ, როგორ აღედგინათ.

ეს ძლიერ ძნელი ამოცანა იყო. განსაკუთრებით ნასაუზმევს უჭირდათ და მალე ჩაეძინებოდათ ხოლმე: ბუვარი თავს აკანტურებდა, მუცელი გამოწეული ჰქონდა, პეკუშე მაგიდაზე იყო იდაყვებით დაყრდნობილი და თავი ხელებით ეჭირა.

ხშირად, ამ დროს, ბ-ნი ვოკორბეი, თავის პირველ ვიზიტებს რომ დაამთავრებდა, კარს შეაღებდა ხოლმე.

— აბა, პატივცემულო მოძმენო, როგორ არის ანატომიის საქმე?

— ჩინებულად, — უპასუხებდნენ ისინი..

მერე კითხვებს მისცემდა და უხაროდა, როცა დაიბნეოდნენ.

როცა რომელიმე ორგანო მოსწყინდებოდათ, სხვაზე გადავიდოდნენ და ამრიგად რიგრიგობით მიატოვეს გული, კუჭი, ყურები, ნაწლავები, რადგან მიცვალებული შეეზიზღათ, თუმცა ძალიან ეცადნენ დაინტერესებულიყვნენ. ბოლოს, ექიმმა იმ დროს მიუსწრო, როცა ისინი მოდელს, უკანვე, ყუთში აწყობდნენ.

— ყოჩაღ! სწორედ ამას ველოდი. თქვენს ასაკში არ შეიძლება ასეთი რამის შესწავლა.

და ღიმილმა, ამ სიტყვებს რომ ახლდა, მეტად გაანაწყენა ისინი.

„რა უფლებით ჰგონია, რომ ჩვენ გამოუსადეგარნი ვართ მეცნიერებისათვის? განა მეცნიერება მარტო ამ ვაჟბატონის საკუთრებაა? იქნებ თავი ჩვენზე უკეთესად მიაჩნია!“

მათ ექიმის გამოწვევა მიიღეს და წიგნებისათვის ბაიეშიც კი დადიოდნენ.

ფიზიოლოგიის სახელმძღვანელო აკლდათ და ერთმა ბუკინისტ-

მა უშოვა იმხანად განთქმული რიშერანისა და ადელონის თხზულებანი.

ზოგადი ადგილები ასაკის, სქესისა და ტემპერამენტის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი ეჩვენათ. ძლიერ სასიამოვნო იყო იმის შეტყობა, რომ კბილის ნივთიერებაში შედიან სამი სახეობის მიკროსკოპული ცხოველები, რომ გემოვნების ცენტრი ენაა, ხოლო შიმშილის შეგრძნებისა კი კუჭი.

ნანობდნენ, რომ არ შეეძლოთ ცოხნა, როგორც მონტეგრს, ბ-ნ გოსს და შერარის ძმას, მაშინ უკეთ აითვისებდნენ საჷმლის მონელების პროცესს. საჷმელს ნელა ღეჷავდნენ, აქუცმაცებდნენ, ნერწყვით ეღენთავდნენ, ფიქრით აედევნებოდნენ ხოლმე გადაყლაპულ ლუკმას შინაგან ორგანოებში თვით მის საბოლოო შედეგამდე, თანაც გამსჷვალულნი იყვნენ მეთოდური კეთილსინდისიერებით, თითქმის მოწიწებული ყურადღებით.

იმ განზრახვით, რომ ხელოვნური მონელება გამოეწვიათ, იხვის კუჭის წვნიან ქილაში ხორცის ნაჷერი ჩადეს და ორი კვირა უბით ატარებდნენ. ამით მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ ყარდნენ.

სველი ტანისამოსი ეცვათ და მეზობელთა თვალწინ მზისგულზე შარაზე დარბოდნენ, — ცდილობდნენ შეემოწმებინათ, მცირდება თუ არა წყურვილი კანის დატენიანებით. შინ სუნთქვაშეკრულნი დაბრუნდნენ და ორივეს სურდო შეეყარა.

მალე შეისწავლეს სმენა, ხმა, მხედველობა, მაგრამ ბუვარი დაბეჯითებით სწავლობდა გამრავლების ორგანოებს.

მას მუდამ აკვირვებდა პეკუშეს მოკრძალება ამ მხრივ. მეგობრის უმეცრება ამ დარგში ისე გასაოცარი იყო, რომ ბუვარი გულახდილ საუბარში გამოიწვია, და პეკუშემ ბოლოს დარცხვენით გაანდო:

— ჩემმა ოხუნჯმა ამხანაგებმა ერთხელ ცუდ სახლში შემათრიეს, მაგრამ გამოვიქეცი, რადგან მინდოდა თავი იმ ქალისათვის შემენახა, ვისაც შევიყვარებდი. ხელსაყრელი შემთხვევა არ მომეცა, ასე რომ ყალბი მორცხვობის, ფულის ნაკლებობის, ცუდი სენის შიშის, ჯიუტობისა და ჩვევის გამო, ორმოცდათორმეტი წლის განმავლობაში, თუმცა დედაქალაქში ვცხოვრობდი, უბიწობა ჯერ კიდევ არ დამიკარგავსო.

ბუვარმა ეს ძლივს დაიჯერა, შემდეგ გიჟივით გადაიხარხარა,

მაგრამ იმ წამსვე გაჩუმდა, როგორც კი პეკუშეს თვალებში ცრემლი შეამჩნია, რადგან იგი მაინც რამდენჯერმე ყოფილა გატაცებული: ჯერ ვიღაც ჯამბაზი ქალი უყვარდა, მერე ერთი არქიტექტორის რძალი, ვიღაც მოანგარიშე და, ბოლოს, ახალგაზრდა მრეცხავი ქალი, რომელიც ის იყო, ცოლად უნდა შეერთო, რომ უეცრად შეიტყო, სხვას დაუორსულებიაო.

ბუვარმა უთხრა:

— კიდევ შეიძლება დაკარგული დროის ანაზღაურება. გინდა... მე ვიღებ მაგას თავზე.

პეკუშემ ამოიოხრა და მიუგო, მაგაზე ახლა ფიქრიც კი არ შეიძლებაო, და კვლავ ფიზიოლოგიას მიჰყვეს ხელი.

მართალია თუ არა, რომ ჩვენი სხეულის კანი განუწყვეტლივ უშვებს ორთქლს? ამას ისიც ადასტურებს, რომ კაცის ტანის წონა ყოველ წუთს იკლებს. ნაკლი რომ ყოველდღე შევავსოთ და ზედმეტი კი მოვიშოროთ, ჯანმრთელობა გაწონასწორდება. სანქტორიუსი, ამ კანონის აღმომჩენი, ნახევარი საუკუნის მანძილზე ყოველ დღე წონიდა თავის საზრდოს, აგრეთვე გამონაყოფს და თავსაც იწონიდა; ისვენებდა მაშინ, როცა ამ გამოანგარიშებას ჩაიწერდა.

სცადეს მიებაძათ სანქტორიუსისათვის, მაგრამ რადგან სასწორზე ორივე ერთად ვერ დაეტია, ცდა პეკუშემ დაიწყო.

ტანთ გაიხადა, რათა ორთქლის გამოყოფა გაეადვილებინა, და თუმცა მორცხვობდა, ბაქანზე სრულიად შიშველი იდგა: ძლიერ გრძელი, ცილინდრული შავგვრემანი ტანი და ბრტყელტერფა მოკლე ფეხები ჰქონდა. ბუვარი მის ახლოს იჯდა და ხმამაღლა კითხულობდა.

მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ სხეულის სითბო გამოიყოფა კუნთების შეკუმშვის შედეგად და რომ შეიძლება თბილ აბაზანაში წყლის ტემპერატურამ გულ-მკერდისა და თეძოების მოძრაობით მოიმატოს.

ბუვარი სააბაზანოში წავიდა, ყველაფერი მოამზადა, თერმომეტრი ხელში დაიკავა და აბაზანაში ჩაჯდა.

ყურძნის საწურავი ხელსაწყოების ნამსხვრევები კუთხეში იყო დახორავებული; დროდადრო თაგვები ფხაჭუნობდნენ; ჰაერი გაჟღენთილი იყო ბალახების სურნელებით; მეგობრები აქ თავს მშვენივრად გრძნობდნენ და უდარდელად საუბრობდნენ.

ბუვარს ცოტათი შესცივდა.

— გაინძერი! — ურჩია პეკუშემ.

იგი დაიკლაკნა, მაგრამ თერმომეტრს არავითარი ცვლილება არ დასტყობია.

— აშკარად მცივა.

— არც მე მცხელა, — მიუგო პეკუშემ, თვითონაც კანკალებდა. — მაგრამ გაანძრიე თეძოები, გაანძრიე.

ბუვარი იზნიქებოდა, ფეხებს შლიდა, მუცელს ბერავდა, კაშალოტივით ქშინავდა, შემდეგ თერმომეტრს დახედავდა: სინდიყი მაინც ძირს იწევდა.

— არაფერი არ მესმის, ხომ ვმოძრაობ!

— არ კმარა.

და ისე იზნიქებოდა, ტრიალებდა...

ასე გაგრძელდა სამ საათს, შემდეგ კვლავ დახედა თერმომეტრს.

— როგორ! ოცი გრადუსია? მშვიდობით ბრძანდებოდე! მე ამოვდივარ!

შემოვიდა ძაღლი, მეძებრისა და დოგის ჯიშნარევი, წაბლა, ენაგადმოვარდნილი, მუნიანი.

რა ჰქნან? ზარი არ აქვთ. მსახური ქალი ყრუა. სიცივით კბილები უკაწკაწებთ, მაგრამ განძრევას ვერ ბედავენ, ეშინიათ, ძაღლი გვიკბენსო.

პეკუშე ემუქრება, უყვირის, თვალებს უბრიალებს.

ძაღლი აყეფდა და სასწორის გარშემო იწყო სირბილი. პეკუშე სასწორის თოკს ჩაებღაუჭა, ფეხები მოღუნა და შეეცადა რაც შეიძლება მაღლა აბობღებულიყო.

— აგრე როდი უნდა! — უთხრა ბუვარმა.

და ძაღლს დაუყვავა, საალერსო სიტყვები უთხრა.

ძაღლიც მიუხვდა, ცდილობდა მიახლოვებოდა, თათები მხრებზე დაადო, მოუფხაჭუნა.

— ვაი შენ, ჩემო თავო! შარვალი არ წამართვა!

ძაღლმა ზედ მოიკალათა და გაიტრუნა.

ბოლოს მეგობრებმა დიდი სიფრთხილით გადაწყვიტეს: ერთი ბაქნიდან გადასულიყო, მეორე აბაზანიდან ამომძვრალიყო. და, როცა პეკუშემ ტანთ ჩაიცვა, ძაღლს მიაძახა:

— შენ, ჩემო კარგო, ცდისთვის გამოგვადგები!

— რა ცდისთვის? — ჰკითხა ბუვარმა.

ფოსფორს შეუშხაპუნებდნენ, სარდაფში დაამწყვდევდნენ და ნახავდნენ, ცხვირში ალი წავარდებოდა თუ არა. მაგრამ როგორ შეუშხაპუნონ? თანაც ფოსფორს მათ ვინ მისცემს?

ფიქრობდნენ: მოდი გაზი ვასუნთქებინოთ, საჰაერო ზარხუფში მოვათავსოთ ან შხამი შევასვათო. ყოველივე ეს არცთუ ისე სასეირო იყო. ბოლოს გადაწყვიტეს ფოლადი ხერხემლის ტვინთან კონტაქტით დაემაგნიტებიათ.

ბუვარმა მღელვარება დასძლია და პეკუშეს თეფშით აწოდებდა ნემსებს, ის კი ხერხემალში არჭობდა ძაღლს.

ნემსები იმტვრეოდა, ხელიდან უცვიოდა, სხვებს იღებდა და სწრაფად, ალალბედზე არჭობდა. ძაღლმა თოკები დაწყვიტა, ყუმბარასავით გავარდა ფანჯარაში, ეზო და წინკარი გაირბინა და სამზარეულოში შევარდა.

ჟერმენამ რომ გასისხლიანებული ძაღლი დაინახა, რომელსაც ფეხებზე თოკის ნაწყვეტები შერჩენოდა, ცივად შეჰკივლა.

იმწამსვე მოცვივდნენ ძაღლს დადევნებული მეგობრებიც. ძაღლმა ისკუპა და თვალის დახამხამებაში მიიმალა.

მოხუცმა მსახურმა მათ შეუტია:

— ახლა კიდევ რა სისულელემ წამოგიარათ? ჩემი სამზარეულოც ნახეთ, რაღა! აგრე შეიძლება ძაღლი გაცოფდეს! სწორედ თქვენისთანებს სვამენ ვირის აბანოში ამნაირი ოინებისთვის.

ისინი ლაბორატორიაში დაბრუნდნენ, რომ ნემსები გამოეცადათ.

არც ერთი ლითონის უმცირეს ნაჭრებსაც კი არ იზიდავდა.

მერე ისინი ჟერმენას ნათქვამმა შეაშფოთა: შეიძლებოდა ძაღლი გაცოფებულიყო, უეცრად დაბრუნებულიყო და ისინი დაეკბინა. მეორე დღეს ძაღლის ამბის შესატყობად წავიდნენ. და შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, გზიდან გადაუხვევდნენ ხოლმე, როცა იმის მსგავს ძაღლს დაინახავდნენ.

დანარჩენი ცდები არ გამოუვიდათ. ავტორთა აზრის საწინააღმდეგოდ, მტრედები ერთსა და იმავე დროში იხოცებოდნენ სულ ერთი იყო, სისხლს მაძღართ უღებდნენ თუ მშიერთ. წყალში ჩასმული კატის კნუტები ხუთ წუთში იღუპებოდნენ. ბატს კი, რომე-

ლიც ენდროთი გააძღეს, ძვლისზედა აფსკი კვლავ სრულიად თეთრი დაურჩა.

მათ ახლა საზრდოობის საკითხმა დაუკარგა მოსვენება.

რით აიხსნება, რომ ერთი და იმავე წვენისაგან წარმოიქმნება ძვალი, სისხლი, ლიმფა და განავლის ნივთიერებანი?

მაგრამ შესაძლებლობა არ გვაქვს თვალი გავადევნოთ საკვებ ნივთიერებათა გარდაქმნას. კაცი, რომელიც მუდამ ერთნაირ საზრდოს იღებს, ქიმიური შედგენილობით არ განირჩევა იმ პირისაგან, ვინც სხვადასხვანაირ საზრდოს იღებს. ვოკლენმა გამოიანგარიშა კირის მთელი რაოდენობა იმ ქერში, რასაც ქათამი კენკავდა, და მეტი რაოდენობის კირი იპოვა მისი კვერცხების ნაჭუჭში.

მაშასადამე, ხდება ნივთიერების წარმოქმნა. რანაირად? ეს სრულიად უცნობია.

ისიც კი არ ვიცით, თუ როგორია გულის ძალა. ბორელის აზრით, იგი უდრის იმ ძალას, რაც საჭიროა ას ოთხმოცი ათასი გირვანქის ასაწევად, კიელი კი მას განსაზღვრავს დაახლოებით რვა უნციად, საიდანაც მათ დაასკვნეს, რომ ფიზიოლოგია (ერთი ძველი თქმულების თანახმად) სამედიცინო რომანია. რაკი მისი გაგება ვერ შეძლეს, საერთოდ აღარც ირწმუნეს.

ერთ თვეს არაფერი უკეთებიათ. შემდეგ თავიანთი ბაღი მოაგონდათ.

ხმელი ხე, შუაგულ ბაღში რომ ეგდო, ფეხებში ეხლართებოდათ. დაიწყეს მისი გათლა. მუშაობით ძლიერ დაიღალნენ. ბუვარი იძულებული იყო წამდაუწუმ მჭედელთან ერბინა იარაღის შესაკეთებლად.

ერთხელ, როცა იქ მიდიოდა, ერთმა ზურგზე ტომარამოკიდებულმა კაცმა შეაჩერა და შესთავაზა ალმანახები, სასულიერო შინაარსის წიგნები, ხატები, აგრეთვე ფრანსუა რასპაის „ჯანმრთელობის თანამგზავრი“.

ეს ბროშურა ისე მოეწონა ბუვარს, რომ ბარბერუს სთხოვა ამავე ავტორის კაპიტალური ნაშრომი მიშოვეო. ბარბერუმ წიგნი გაუგზავნა და წერილით ის აფთიაქიც ასწავლა, საიდანაც წამლები უნდა გამოეწერა.

მეგობრები ნათლად გადმოცემულმა მოძღვრებამ გაიტაცა. ყველა დაავადება ჭიებისაგან წარმოდგება. სწორედ ისინი აფუჭებენ

კბილებს, ღრღნიან ფილტვებს, აგანიერებენ ღვიძლს, ანადგურებენ ნაწლავებს და იწვევენ შიგ ხმაურს. მათგან თავის დასაღწევი საუკეთესო საშუალებაა ქაფური.. ბუვარსაც და პეკუშესაც ძალიან შეუყვარდათ ქაფური. ყნოსავდნენ, ღეჭავდნენ, პაპიროსში ურევდნენ, ტკივილის დამაამებელი სითხის, აბების სახით ყრიგებდნენ. კუზიანის მკურნალობასაც კი შეუდგნენ.

კუზიან ბავშვს შემთხვევით ბაზრობაზე წააწყდნენ. დედამისი მათხოვარი იყო და მათთან ყოველდღე დაყავდა შვილი. კუზზე ქაფურის მალამოს უცხებდნენ, ოცი წუთით მდოგვის ცომს ადებდნენ, შემდეგ სალბუნს აკრავდნენ და, პაციენტი რომ არ გაქცეოდათ, ასაუზმებდნენ კიდეც.

სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი მუცლის ჭიების საკითხს არკვევდნენ, პეკუშემ ქ-ნ ბორდენს ლოყაზე უცნაური ლაქა შეამჩნია. ექიმი კარგა ხნის განმავლობაში მკურნალობდა მწარე მიქსტურებით. ლაქა ჯერ მრგვალი იყო, ერთფრანკიანი მონეტის ხელა, მერე გაფართოვდა და გარშემო ვარდისფერი რკალი გაიკეთა. ბუვარმა და პეკუშემ სურვილი გამოთქვეს, მოვარჩენთო. ქალბატონი ბორდენი დათანხმდა, მაგრამ მოითხოვდა, ბუვარმა წამცხოს ხოლმეო. ფანჯარასთან დადგებოდა, ლიფის ზემო ღილებს შეიხსნიდა, ლოყას მიუშვერდა და ბუვარს ისე დაუწყებდა ცქერას, პეკუშე რომ არა, შეტად საშიში იქნებოდა. თუმცა ვერცხლისწყლისა ეშინოდათ, კალომელს შესაწყნარებელი დოზით მაინც იყენებდნენ. ერთი თვის შემდეგ ქ-ნი ბორდენი განიკურნა.

ქ-ნმა ბორდენმა ქვეყანას მოსდო ეს ამბავი და მალე გადასახადთა გამგე, ქალაქის გამგეობის მდივანი, თვით მერი, შავინიოლის ყველა მცხოვრები ქაფურს წუწნიდა.

მაგრამ კუზიანი არ სწორდებოდა. გამგემ თამბაქოს წევა შეწყვიტა, სულის ხუთვას უძლიერებდა; ფურო აბებს უჩიოდა, ბუასილი გამიმძაფრესო; ბუვარს კუპის ტკივილი დაეწყო, პეკუშეს კი საშინელი შაკიკი. რასპაისა აღარაფერი სწამდათ, მაგრამ ამას გულმოდგინედ მალავდნენ, რადგან უფრთხოდნენ, პრესტიჟი არ შეგველახოსო.

დიდი გულმოდგინება გამოიჩინეს აგრეთვე ყვავილის აცრაში, ჯერ კომბოსტოზე ვარჯიშობდნენ; ერთი წყვილი ლანცეტიც კი შეიძინეს.

ექიმთან ერთად დადიოდნენ ავადმყოფებთან, შემდეგ კი წიგნებში იჩხრიკებოდნენ.

ავტორები არ აღნიშნავდნენ იმ სიმპტომებს, რომლებიც ავადმყოფებს აღმოაჩნდებოდათ ხოლმე. დაავადებათა სახელწოდებანი კი: ლათინური, ბერძნული, ფრანგული, ყველა ენის რაღაც დომხალი იყო. ლინეის კლასიფიკაცია საქმეს უადვილებდათ, მაგრამ როგორ უნდა გამოერკვიათ სახეობანი? აქ უკვე მედიცინის ფილოსოფიაში გზა-კვალი აებნათ.

ბევრს ფიქრობდნენ ვან ჰელმონის არქეიზე, ვიტალიზმზე, ბროუნიზმზე, ორგანიციზმზე. ექიმს ეკითხებოდნენ, რისგან წარმოდგება საყმაწვილო, სად ბუდობს სნებოვანი ნივთიერება და დაავადებათა შემთხვევებში მიზეზი შედეგისაგან როგორ გავარჩიოთო.

— მიზეზი და შედეგი ერთმანეთშია გადახლართული, — უპასუხებდა ვოკორბეი.

მისმა ულოგიკობამ მათ თავი მოაბეზრა და კაცთმოყვარეობის საბაბით სრულიად მარტონი დადიოდნენ ავადმყოფებთან.

ბნელ ოთახებში, ჭუჭყიან ლოგინებზე იწვნენ ავადმყოფები, სახე ზოგს დამანჭული ჰქონდა, ზოგს გაწითლებული ან ლიმონივით გაყვითლებული სახეები შეშუპებოდათ, ნესტოები დაბერვოდათ, ტუჩები უთრთოდათ; ხროტინებდნენ, ასლოკინებდნენ, ოფლის, ტყავისა და აყროლებული ყველის სუნი სდიოდათ.

ბუვარი და პეკუშე კითხულობდნენ მათი ექიმების რეცეპტებს და ძლიერ უკვირდათ, რომ დამამშვიდებელი წამალი ზოგჯერ აღმგზნებელია, სასაქმებელი — საფაღარათო, რომ ერთი და იგივე წამალი სხვადასხვა დაავადებას რგებს და რომ სნეულება მკურნალობის საწინააღმდეგო საშუალებათა გავლენით ქრება.

ისინი მაინც იძლეოდნენ რჩევას, ამხნევებდნენ ავადმყოფებს, იმასაც კი ბედავდნენ, რომ სტეტოსკოპი ეხმარათ.

ფანტაზია განუვითარდათ. მეფეს მისწერეს, კალვადოსში საჭიროა მომვლელ ქალთა ინსტიტუტი დაარსდესო, თვითონ იქ მასწავლებლობას აპირებდნენ.

ბაიის მეაფთიაქეს (ფალეზელი მეაფთიაქე მათ ხენდროს შემდეგ ემდუროდა) წინადადება მისცეს, ძველთა მაგალითისამებრ, დაემ-

ზადებინა pila purgatoria, ესე იგი სამკურნალო აბები, რომლებიც სრესით შეიზილება კანში.

იმ დებულების მიხედვით, რომ ტემპერატურის დაცემა ანთებას აბრკოლებს, მათ სავარძელში ჩასვეს მენინგიტიანი ქალი, საავარძელი ჭერში დაჰკიდეს და მანამ აქანავებდნენ, სანამ ავადმყოფის ქმარი არ მოვიდა და ისინი გარეთ არ გარეკა.

ბოლოს, მათ იხმარეს თერმომეტრის დაყენების ახალი ხერხი: მას უკანალში უკეთებდნენ, რითაც ბ-ნი მღვდელი დიდად შეაცბუნეს.

იმ მხარეში ტიფი გავრცელდა. ბუვარმა განაცხადა, ამ საქმეში არ ჩავერევიო, მაგრამ, ფერმერ გუის ცოლი მოვიდა და თვალცრემლიანმა შესჩივლა: ჩემი ქმარი უკვე ორი კვირაა ავად არის, ბ-ნმა ვოკორბეიმ კი ყურადღება არ მიაქციაო.

მისი მოვლა პეკუშემ იკისრა.

გამონაყარი მკერდზე, სახსრების ტკივილი, გაბერილი მუცელი და წითელი ენა ადასტურებდა ჩირქოვანი ენტერიტის უტყუარ ნიშნებს. პეკუშემ გაიხსენა რასპაის რჩევა, სიცხის დაწევა დიეტის გაუქმებით შეუძლებელიაო, და ავადმყოფს ბულიონი და ცოტაოდენი ხორცი გამოუწერა.

პეკუშემ და ფერმერის ცოლმა ავადმყოფი წამოაყენეს, ზურგსუკან ბალიშები ჩაუდეს და ის იყო უნდა ეჭმიათ, რომ უეცრად ექიმი გამოჩნდა.

იგი საწოლთან მივიდა საჭმლიანი თეფში ფანჯარაში ისროლა და წამოიძახა:

— ეს ნამდვილი მკვლელობაა!

— რატომ?

— ნაწლავებს გაუხევთ, იმიტომ, რომ ტიფი მათი გარსის ფოლიკულური დაზიანებაა.

— არა ყოველთვის!

და გაიმართა კამათი ტიფის რაობაზე. პეკუშეს სწამდა მისი დამოუკიდებელი არსებობა, ვოკორბეი კი მას ორგანოებს უკავშირებდა.

— ამიტომ, მე ვკრძალავ ყველაფერს, რასაც მათი გაღიზიანება შეუძლია.

— კი, მაგრამ დიეტა ასუსტებს სიცოცხლის წყაროს.

— თქვენ რა სიცოცხლის წყაროზე მელაპარაკებით? რა არის? ვის უნახავს?

პეკუშე შეცბა.

— თანაც, — ამბობდა ექიმი, — გუის ჭამა არ სურს.

ავადმყოფმა დასტურის ნიშნად ჩაჩიანი თავი დააქნია.

— სულ ერთია! ავადმყოფს უნდა აჭამო.

— სრულიადაც არა! მაჯისცემა ოთხმოცდათვრამეტი აქვს.

— მაჯისცემა არაფერს არ ნიშნავს.

და პეკუშემ თავისი ავტორიტეტები დაიმოწმა.

— თავი გავანებოთ სისტემებს, — უთხრა ექიმმა.

პეკუშემ ხელები გულზე დაიკრიფა.

— მაშინ თქვენ ემპირიკოსი ყოფილხართ?

— სრულიადაც არა. მაგრამ ჩემი დაკვირვება...

— ხოლო თუ ცუდი დაკვირვებებია?

ვოკორბეის ამ სიტყვებში მოესმა ქ-ნ ბორდენის სირსველის ამბავი, რაც ქვრივმა მთელ ქვეყანას მოსდო. ეს მოგონება აბრაზებდა.

— უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გამოცდილება.

— იმ ადამიანებს, ვინც მეცნიერებაში გადატრიალება მოახდინა, პრაქტიკა არ ჰქონდათ: ვან ჰელმონს, ბოერავს, თვით ბრუსეს!

ვოკორბეიმ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ფერმერისკენ დაიხარა და ხმამაღლა ჰკითხა:

— ჩვენ ორში ვინ გინდა, რომ შენი ექიმი იყოს?

ჩათვლემილმა ავადმყოფმა ორი განრისხებული სახე დაინახა და ატირდა.

არც მისმა ცოლმა იცოდა, რა ეთქვა. ერთი დახელოვნებული იყო, მაგრამ მეორემ, შესაძლებელია, რაიმე საიდუმლოება იცოდა.

— ძალიან კარგი! — უთხრა ვოკორბეიმ. — თუკი თქვენ ყოყმანობთ იმ კაცზე, ვისაც დიპლომი აქვს...

პეკუშემ ჩაიხითხითა.

— რას იცინით?

— დიპლომი ხომ ყოველთვის საბუთი არ არის!

ექიმი შეურაცხყოფილი იყო: აბუჩად აიგდეს მისი პროფესიულობა, უპირატესობა, საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

— მაგას დავინახავთ, როცა სამართალში მიგცემენ ნებადაურთველი მკურნალობისათვის!

შემდეგ ფერმერის ცოლს უთხრა:

— შეგიძლიათ ნება მისცეთ ამ ვაჟბატონს მოკლას თქვენი ქმარი, მე კი, დაე ჩამომახრჩონ, თუ თქვენს სახლში კვლავ ფეხი შემოვდგა.

და საბიჯგი ჯოხის ქნევით წიფლების ხეივანში მიიმალა.

შინ დაბრუნებულ პეკუშეს ბუვარიც დიდად აღელვებული დახვდა.

ის იყო გაისტუმრა ფურო, რომელიც მოთმინებიდან გამოეყვანა ბუასილის მუწუკებს. ბუვარი ამაოდ უმტკიცებდა, ეგ ყოველი ავადმყოფობისაგან გიცავსო: ფუროს არაფრის გაგონება არ სურდა; იმუქრებოდა, გიჩივლებ და ხარჯებსა და ზარალს აგანაზღაურებინებო. ბუვარი ამის გამო რეტდასხმული იყო.

პეკუშემ თავისი შემთხვევა უამბო, რასაც მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, და ბუვარის გულგრილობა ოდნავ ეწყინა.

მეორე დღეს გუის მუცელი ასტკივდა. ეს შეიძლებოდა გამოეწვია საჭმლის მოუნელებლობას. იქნებ ვოკორბეი არ შემცდარა. ექიმმა ხომ უნდა იცოდეს ამგვარი რამ. და სინდისმა ქენჯნა დაუწყო პეკუშეს. შეშინდა, კაცის მკვლელი არ გავხდეო.

სიფრთხილისათვის კუზიანი დაითხოვეს. მაგრამ, დედამისმა, საუზმე რომ მოაკლდა, ალიაქოთი ატეხა, ყოველდღე ბარნევილიდან შავინიოლში ტყუილად მატარებდნენო.

ფურო დაწყნარდა, გუი გამომჯობინდა. ახლა უკვე მორჩენის იმედი მიეცათ. ამ წარმატებამ პეკუშე გაათამამა.

— მეანობა ხომ არ დაგვეწყო, ერთ-ერთ მანეკენს...

— თავი დავანებოთ ამ მანეკენებს...

— ეს კანისგან გაკეთებული ტანის ნახევრები ბებიაქალებისთვის არის მოგონილი. მე მგონია შევძლებდი ნაყოფი შემებრუნებია!

მაგრამ ბუვარი მედიცინამ მოქანცა.

— სიცოცხლის ძარღვები ჩვენგან დაფარულია, დაავადებანი უამრავია, საშუალებები საეჭვო, წიგნებში კი ვერ იპოვი ვერც ერთ გონივრულ განმარტებას, რა არის ჯანმრთელობა, ავადმყოფობა, დიათეზი, ჩირქიც კი არ არის განმარტებული.

ამნაირი კითხვისაგან ტვინი აერიათ.

ბუვარს სურდო შეეყარა და წარმოიდგინა, ფილტვების ანთება მეწყებაო. როდესაც წურბელებმა გვერდის კერა არ შეამცირეს, მარიამბულას სალბუნი დაიდო, ამან კი თირკმელებზე იმოქმედა. მაშინ იფიქრა, კენჭები მაქვსო.

რცხილების გადაბელვამ პეკუშე დაღალა და ნასადილევს გული აერია, რამაც ძალიან შეაშინა. ამასთანავე შენიშნა, რომ სახეზე სიყვითლემ გადაჰკრა. შეფიქრიანდა, ღვიძლის დაავადება მაქვსო და თავის თავს ეკითხებოდა:

— ა? მტკივა?

და ბოლოს და ბოლოს ტკივილი იგრძნო.

ერთმანეთს უკვირდებოდნენ, უსინჯავდნენ ენას, მაჯას, სვამდნენ სხვადასხვა მინერალურ წყალს, იღებდნენ საფაღარათოს და უფრთხოდნენ სიცივეს, ქარს, წვიმას, ბუზებს, და უმთავრესად, გამჭოლ ქარს.

პეკუშემ გადაწყვიტა, ბურნუთის წევა მავნებელიაო. ეგეც არ იყოს, ცხვირის დაცემინება ზოგჯერ ანევრიზმების გაგლეჯას იწვევსო და საბურნუთეს გამოეთხოვა. ხანდახან ჩვევა წასძლევდა და ჩაყოფდა ხოლმე შიგ თითებს, მაგრამ მაშინვე გაახსენდებოდა თავისი წინდაუხედაობა.

რადგან შავი ყავა ნერვებს აღაგზნებს, ბუვარმა თავისი ნახევარი ფინჯნის დალევაც მიატოვა. მაგრამ ნასადილევს დაიძინებდა ხოლმე და, როცა გაიღვიძებდა, შიში შეიპყრობდა, რადგან ხანგრძლივმა ძილმა შეიძლება აპოპლექსია გამოიწვიოსო.

მათი იდეალი იყო კორნარო, ვენეციელი აზნაური, რომელიც განსაკუთრებულ რეჟიმს იცავდა და ღრმა სიბერემდე შიაღწია. აუცილებელი არ იყო ყველაფერში მისთვის მიებაძათ, ისეც შეიძლებოდა იგივე ზომები მიეღოთ სიფრთხილისათვის და პეკუშემაც თავის ბიბლიოთეკაში მოძებნა ექიმ მორენის ჰიგიენის სახელმძღვანელო.

რით უნდა აიხსნას, რომ დღემდე ისინი ცოცხალნი არიან? საჭმელები, მათ რომ უყვარდათ, ამ წიგნით აკრძალულია. ჟერმენა სულ აიბნა და აღარ იცოდა, რა მოემზადებინა მათთვის.

ყველა ხორციან კერძს თავისი ნაკლი აქვს. სისხლიანი კუპატი, ღორის ხორცი, გამოყვანილი ქაშაყი, ასთაკვი და ნანადირევი

„ძნელად მოსანელებელია“. თევზი, რაც უფრო დიდია, მით უფრო მეტ ჟელატინს შეიცავს და, მაშასადამე, მით უფრო მძიმე საჭმელია. ბოსტნეული სიმჟავეებს ავითარებს, მაკარონი სიზმრებს იწვევს, ყველიც, „საერთოდ რომ ვთქვათ, ძნელად მოსანელებელია“. დილით ჭიქა წყლის დალევა „საშიშია“. ყოველ სასმელს ან საჭმელს ახლავს ასეთი გაფრთხილება ან სიტყვები: „მავნებელია! ჭარბად ნუ იხმართ! ყველა კი ვერ იტანს“. რატომ არის მავნე, რას ნიშნავს ჭარბი? როგორ შევიტყოთ, გადაიტან თუ ვერა ამას, იმას?

რა რთულია საუზმე! რძიან ყავას აღარ სვამდნენ მისი საძაგელი რეპუტაციის გამო, შემდეგ კი შოკოლადიც მიატოვეს, რადგან იგი „ძნელად მოსანელებელ ნივთიერებათა ნაზავია“. ამრიგად, რჩებოდა ჩაი. მაგრამ „ნერვებაშლილებმა სრულიად უნდა უარყონ იგი“. თუმცა დეკერი მე-17 საუკუნეში ურჩევდა დღეში ოცი დეკალიტრი ჩაი ესვათ, რათა კუჭქვეშა ჯირკვალი გაიწმინდოსო.

ამ ცნობამ შეარყია მათი პატივისცემა მორენისადმი, მით უმეტეს, რომ იგი გმობდა ყოველგვარ თავსაბურავს: ქუდს, ჩაბალახს, ჩაჩს, და ამგვარი კრიტიკით პეკუშე აღაშფოთა.

მაშინ მათ იყიდეს ბეკერელის ტრაქტატი, საიდანაც შეიტყვეს, რომ ღორის ხორცი თავისთავად „კარგი საზრდოა“, თამბაქო სრულიად უვნებელია, ხოლო ყავა „აუცილებელია სამხედროებისათვის“.

აქამდე ასინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნესტიანი ადგილები მავნეა ჯანმრთელობისათვის. თურმე სრულიადაც არა! კასპერი აცხადებს, მშრალი ადგილები უფრო მომაკვდინებელია, ვიდრე ნესტიანიო. ზღვაში ბანაობა არ შეიძლება, თუ ტანი წინასწარ არ დაისველე. ბეჟენი გვირჩევს, წყალში მანამდე უნდა ჩახტე, სანამ ტანი გაგიგრილდებოდესო; წმინდა ღვინო წვნიანის შემდეგ კუჭისათვის ძლიერ მარგებელია; ლევი კი ამტკიცებს, კბილებს ანადგურებსო. ბოლოს, ზოგი ავტორი აშკარად თვლის, საზოგადოებრივი აზრისა არც ეშინია ისე, ფლანელის სათბუნებელი, ჯანმრთელობის ეს მცველი და გუშაგი, ბუვარის სანუკვარი და პეკუშეს განუშორებელი სათბუნებელი, სისხლსავსე და სანგვინიკი ადამიანებისთვის მავნეაო.

მაშ რა არის ჰიგიენა?

„ჭეშმარიტება პირინეის მთების გადმოღმა და შეცდომა მათ

გადაღმა", — ამტკიცებს ბ-ნი ლევი, ხოლო ბეკერელი დასძენს, ჰიგიენა საერთოდ მეცნიერება არ არისო.

მაშინ მათ სადილად შეუკვეთეს ხამანწკა, ბატი, ღორის ხორცი კომბოსტოთი, კრემი, პონლევეკური ნამცხვარი და ერთი ბოთლი ბურგუნდიული. ეს იყო განთავისუფლება, თითქმის შურისძიება და ისინი დასცინოდნენ კორნაროს. რა სისულელეა თავის ასე წვალება! რა სიმდაბლეა მუდამ სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ფიქრი! სიცოცხლე მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა მისით ტკბები.

— კიდევ ერთი ნაჭერი?

— სიამოვნებით.

— მეც.

— შენი სადღეგრძელო იყოს!

— შენიც.

— დანარჩენი ფეხებზეც გვკიდია!

და გამხიარულდნენ.

ბუვარმა განაცხადა, სამ ფინჯან ყავას დავლევ, თუმცა სამხედრო პირი არა ვარო. პეკუშემ კასკეტი ყურებზე ჩამოიფხატა, ბურნუთს ზედიზედ იყრიდა ცხვირში და უშიშრად აცემინებდა. ღვინო მოუნდათ. ჟერმენა დუქანში გაგზავნეს ერთი ბოთლი შამპანურის საყიდლად. სოფელი ძლიერ შორს იყო და ქალმა უარი თქვა. პეკუშე აღშფოთდა.

— მე თქვენ გიბრძანებთ, გესმით? გიბრძანებთ, წახვიდეთ!

ქალი დაემორჩილა, მაგრამ აბუზღუნდა და დაიფიცა მივატოვებ ჩემს პატრონებს, ამ გაუგებარ და თავქარიან ადამიანებსო.

შემდეგ ისინი გორაკზე ავიდნენ ფანჩატურში ყავისა და კონიაკის დასალევად.

პური ახალი მომკილი იყო და ზვინები შავად მოჩანდა მტრედისფერ, წყნარ ღამეში. ფერმა სრულიად მიყუჩებული იყო. კალიების კრუალიც კი არსად ისმოდა. მთელ ველს ეძინა. მეგობრები საჭმელს ინელებდნენ და გრილ ნიავს ისუნთქავდნენ.

ძლიერ მაღალი ცა ვარსკვლავებით იყო მოფენილი; ზოგი ჯგუფურად ანათებდა, ზოგი ძაფივით ან ცალ-ცალკე, ურთიერთს დიდი მანძილით დაშორებულნი. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გაჭიმული, გაშუქებული მტვრის ზოლი მათ თავს ზემოთ იყოფოდა. ამ

განათებულ ზოლებს შორის მოჩანდა დიდი ცარიელი სივრცეები და ცისკიდური კუნძულებითა და არქიპელაგებით მოფენილ ლურჯ ზღვას ჰგავდა.

— რამდენი ვარსკვლავია! — წამოიძახა ბუვარმა.

— ჩვენ ყველას ვერ ვხედავთ! — მიუგო პეკუშემ. — ირმის ნახტომის უკან არის ნისლოვანება; ნისლოვანების იქით — კიდევ ვარსკვლავები; ყველაზე ახლობელი ჩვენგან დაშორებულია სამასი ბილიონი მირიამეტრით.

იგი ვანდიომის ქუჩაზე ხშირად იყურებოდა ტელესკოპში და ციფრები ახსოვდა.

— მზე დედამიწაზე მილიონჯერ დიდია, სირიუსი მზეს თორმეტჯერ აღემატება, კომეტებს ოცდათოთხმეტი მილიონი მილით ზომავენ.

— შეიძლება ჭკუაზე შეიშალო, — თქვა ბუვარმა.

საკუთარმა უმეცრებამ გული დასწყვიტა და ინანა ისიც, რომ სიყმაწვილეში პოლიტექნიკურ სკოლაში არ ისწავლა.

მაშინ პეკუშემ იგი დიდი რვილისაკენ მიაბრუნა და უჩვენა პოლარული ვარსკვლავი, შემდეგ კასიოპეა, რომლის თანავარსკვლავედი ლათინური V ჰგავს, მოკაშკაშე ვეგა, ცისკიდურზე კი წითელი ალდებერანი.

ბუვარმა თავი გადასწია და ძლივს გაადევნა თვალი სამ, ოთხ და ხუთკუთხედებს, რომლებიც უნდა მოისაზრო, რომ ცაში ორიენტირება შეძლო.

პეკუშე განაგრძობდა:

— სინათლის სიჩქარე წამში ოთხმოცი ათას მილს უდრის. ირმის ნახტომის სხივს ექვსასი წელიწადი სჭირდება, ჩვენამდე რომ მოაღწიოს. ამრიგად, ვარსკვლავი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, იქნებ კიდევაც გაქრა. ზოგი მათგანი ადგილს იცვლის, ზოგი სულაც აღარ დაბრუნდება. ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი მიდის.

— მაგრამ მზე უძრავია!

— წინათ აგრე ეგონათ. მაგრამ ახლა მეცნიერები ამბობენ, იგი ჰერკულესის თანავარსკვლავედისაკენ მიემართებაო.

ეს ბუვარის წარმოდგენას ეწინააღმდეგებოდა და მან ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ წარმოთქვა:

— მეცნიერება ემყარება სივრცის ერთ კუთხეში მოპოვებულ

მონაცემებს. იქნებ იგი არ შეესაბამება დანარჩენს, ჩვენთვის უხილავ, გაცილებით დიდსა და მიუწვდომელ ნაწილს.

ასე ლაპარაკობდნენ გორაკზე მდგომნი და დროდადრო კარგა ხანს დუმდნენ ხოლმე.

ბოლოს ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ნეტავ ვარსკვლავებზე ადამიანი თუ ცხოვრობსო. ან კი რატომ არ უნდა ცხოვრობდეს? და რადგან სამყარო ჰარმონიულია, სირიუსის მცხოვრებნი უზარმაზარი, მარსისა საშუალო, ხოლო ვენერასი პატარა ტანისანი უნდა იყვნენ, თუ ისინი ყველგან ერთნაირი არ არიან. იქ, ზემოთ, ალბათ არიან კომერსანტები, ჟანდარმები, ვაჭრობენ, ჩხუბობენ, მეფეებს ტახტიდან აგდებენ.

უეცრად რამდენიმე ცთომილმა უზარმაზარ რაკეტასავით გადასერა ცისკიდური.

— შეხე, — თქვა ბუვარმა, — აი გამქრალი სამყაროები.

პეკუშემ მიუგო:

— ჩვენი დედამიწა რომ უეცრად თავდაყირა დაგორებულიყო, ვარსკვლავთ მცხოვრებნი უფრო აღელვებულნი არ იქნებოდნენ, ვიდრე ჩვენ ამჟამად ვართ? ასეთი ფიქრები ყოველგვარ სიამაყეს გიკარგავენ.

— რა არის ყოველივე ამის საბოლოო მიზანი?

— იქნებ არავითარი მიზანი არ არის.

— მაგრამ...

და პეკუშემ ორჯერ-სამჯერ გაიმეორა ეს „მაგრამ“ და არ იცოდა, კიდევ რა ეთქვა.

— სულ ერთია, ძლიერ მინდა ვიცოდე, როგორ შეიქმნა სამყარო.

— ეგ ალბათ ნათქვამია ბუფონის წიგნში, — მიუგო ბუვარმა, რომელსაც უკვე თვალი ეხუჭებოდა. — აღარ შემიძლია, უნდა დავიძინო.

წიგნი „ბუნების ეპოქები“ მათ განუმარტავდა, რომ რომელიღაც კომეტა მზეს დაეჯახა, ნაწილი მოჰგლიჯა, და ეს ნაწილი შემდეგ დედამიწად იქცა. ჯერ პოლუსები გაცივდა; მთელი წყალი გარს ეხვია დედამიწას და ქვაბულებში ჩაედინა. შემდეგ მატერიკები დაიყო, გაჩნდნენ ცხოველები და ადამიანები.

სამყაროს სიდიადე ძლიერ ანცვიფრებდა მათ.

გონება გაუფართოვდათ. ამაყობდნენ, რომ ესოდენ მაღალ მატერიებზე ფიქრობდნენ.

მინერალებმა ისინი მალე მოღალეს და გასართობად მიმართეს ბერნარდენ დე სენ-პიერის „ჰარმონიას“.

მცენარეული სამყაროს ჰარმონია, აგრეთვე მიწის, ჰაერის, წყლის, ადამიანთა, დაძმური და ცოლქმრული ჰარმონიაც კი, ყველაფერი წარმოდგა მათ თვალწინ, აგრეთვე ღაღადი ვენერასადმი, ზეფირისა და ამურებისადმი. უკვირდათ, რომ თევზებს აქვთ ფარფლები, ფრინველებს — ფრთები, თესლებს — გარეკანი, განიმსჭვალნენ იმ ფილოსოფიით, რომელიც ბუნებაში კეთილისმყოფელ ზრახვას გამოავლენს და ისე უცქერს მას, როგორც ერთგვარ წმ. ვინცენტი დე პოლს, მუდამ რომ სიკეთეს სჩადის.

შემდეგ უკვირდათ ბუნების გასაოცარი მოვლენები, ქარიშხლები, ვულკანები, უღრანი ტყეები, და იყიდეს ბ-ნ დიპენგის თხზულება „საფრანგეთის ბუნების სასწაულები და მშვენიერებანი“. კანტალში იყო სამი სასწაული, ჰეროლში — ხუთი, ბურგუნდიაში სულ ორი, მაშინ, როცა მარტო დოფინეს ოლქში დაახლოებით თხუთმეტამდე სასწაული მოხდა, მაგრამ მალე მათგან აღარაფერი დარჩება. სტალაქტიტების მღვიმეები ამოლესეს, ცეცხლისმსროლელი მთები ქრება, ბუნებრივი მყინვარები დნება, ხოლო ძველ ხეებს რომელთა ფუღუროებში მღვდელმსახურება სრულდებოდა, ჭრიან ან თვითონ თანდათანობით კვდებიან.

შემდეგ მათი ცნობისმოყვარეობა მხეცებს შეეხო.

კვლავ გადაშალეს ბუფონი და აღტაცებული იყვნენ ზოგიერთი ცხოველის უცნაური მიდრეკილებით.

მაგრამ, რადგან ყველა წიგნი, საერთოდ, ერთ პირად დაკვირვებად არ ღირს, ისინი კარდაკარ დადიოდნენ და გლეხებს ეკითხებოდნენ, ხომ არ გინახავთ, რომ ჭაკი ცხენი შეჯვარებულიყოს მოზვერთან, ღორი ძროხასთან, ხოლო გარეული ჭათმების მამლებს ერთმანეთთან სამარცხვინო რამ ჩაედინოთო.

— არასოდეს არ გვინახავსო.

ასეთი კითხვები, ცოტა არ იყოს, სასაცილოც იყო მათი ასაკის ბატონებისაგან.

მეგობრებმა გადაწყვიტეს მოეხდინათ არაბუნებრივი შეჯვარების ცდა.

ყველაზე ადვილი იყო თხისა და ცხვრის შეჯვარება. მათ ფერმერს ბოტი არ ჰყავდა, ერთმა მეზობელმა ქალმა ათხოვა და, როცა აბოტების დრო დადგა, ორივე ცხოველი ყურძნის საწნეხში დაამწყვდიეს, თვითონ კი კასრებს ამოეფარნენ, რათა ყოველივე მშვიდობიანად მოძხდარიყო.

ცხოველებმა ჯერ თავიანთი წილი თივა შეჭამეს, შემდეგ დაინაცოხრეს; ცხვარი დაწვა და განუწყვეტლივ ბღაოდა, მრუდფეხება წვერცანცარამ კი მეგობრებს ბნელში, მოციმციმე თვალები მიაპყრო და დარჭობილივით გაჩერდა.

ბოლოს, მესამე საღამოს, ცხოველებმა გონიერება გამოიჩინეს და ბუნებას ხელი შეუწყვეს; მაგრამ თხა პეკუშესაკენ გაექანა და მუცლის ქვემო ნაწილში დაეძგერა; დამფრთხალი ცხვარი ისე დატრიალდა საწნეხში, თითქოს მანეჟიაო. ბუვარს უნდოდა დაეჭირა, მაგრამ დაეცა და ხელებში მატყლი შერჩა ბღუჯად.

მათ ცდები განაგრძეს ქათმებსა და იხვებზე, დოგსა და ღორზე და იმედი ჰქონდათ წარმოეშვათ მახინჯები, რადგან სახეობათა საკითხში არაფერი არ გაეგებოდათ.

სახეობაში იგულისხმებოდა ცალარსთა ჯგუფები, რომელთაგან შთამომავლობა წარმოიშობა, მაგრამ ზოგ მათგანს, სხვადასხვა სახეობად დაყოფილთ, წარმოშობის უნარი აქვს, ზოგს კი იგი დაკარგვია, თუმცა ყველა, ერთ საერთო სახეობას ეკუთვნის.

მათ იმედი ჰქონდათ, ჩანასახის განვითარებას რომ შეეისწავლით, ამაზე ნათელი წარმოდგენა შეგვექმნებაო და პეკუშემ დიუმუშელს მისწერა, მიკროსკოპი გამოგვიგზავნეო.

ისინი რიგრიგობით მინაზე აწყობდნენ თმას, თამბაქოს, ფრჩხილებს, ბუზის ფეხებს, მაგრამ ავიწყდებოდათ, რომ საჭირო იყო წვეთი წყალიც, ხოლო ზოგჯერ საფარი შუშა; ჯიკაობდნენ, ხელსაწყოს აზიანებდნენ; შემდეგ, როცა ბურუსის მეტს ვერაფერს ხედავდნენ, ოპტიკოსი დაადანაშაულეს. ბოლოს მიკროსკოპის მნიშვნელობაშიც კი შეეპარათ ეჭვი. აღმოჩენები, რასაც მას მიაწერენ, არცთუ ავრე სარწმუნოაო.

დიუმუშელმა მიკროსკოპი რომ გამოგზავნა, სთხოვა, ამონიტები და ზღვის ზღარბები შემიგროვეთო. იგი მოყვარული იყო ამ იშვიათობისა, რითაც მათი მხარე მდიდარია. გეოლოგიისადმი მეგობრების ინტერესი რომ გაეღვიძებინა, გამოუგზავნა მათ ბერტრანის

„წერილები“ და კიუვიეს „მსჯელობანი“ დედამიწაზე მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ეს ორი თხზულება რომ წაიკითხეს, ასეთი სურათი წარმოუდგათ:

თავდაპირველად იყო თვალუწვდენი წყალთა სივრცე, რომელშიც ხავსიანი კონცხები ამოჩრილიყო და არც ერთი ცოცხალი არსება არ ჩანდა, არსად ხმა, არსით ძახილი. უძრავი, მდუმარე, შიშველი სამყარო გადაჭიმულიყო, შემდეგ გრძელი მცენარეები შეირხა ნისლში, აბანოს ორთქლს რომ ჰგავდა. ერთიანად წითელი მზე ახურებდა ნოტიო ატმოსფეროს. მაშინ იფეთქეს ვულკანებმა, ვულკანური ქვები ამოცვივდა მთებიდან და გაქვავდა პორფირისა და ბაზალტის თხიერი მასა. მესამე სურათი: არცთუ ღრმა ზღვებში წარმოიშვა მარჯნის კუნძულები; მათზე აშრიალდნენ პალმების კორომები. იქ არის დიდი ბორბლისოდენა ნიჟარები, სამ მეტრიანი კუ, სამოცფუთიანი ხვლიკები, ლერწმიანში სირაქლემასებრ კისერსა და ნიანგისებრ ყბებს იწვდიან ამფიბიები; დაფრინავენ ფრთოსანი გველები. ბოლოს, დიდ მატერიკებზე გამოჩნდნენ დიდრონი ძუძუმწოველნი, რომელთა უფორმო კიდურები ხის გაჩორკნილ ძელებს წააგავდნენ, ბრინჯაოს ფილებზე უფრო სქელი ტყავი ჰქონდათ ანდა ბანჯგვლიანი, ფაფრიანი, დრუნჩა და ეშვებიანი იყვნენ. მამონტების ჯოგები ძოვდნენ ვაკეებში, ვაკეები შემდეგ ატლანტის ოკეანედ იქცნენ. პალეოტერი — ნახევარცხენი, ნახევარტაპირი დრუნჩით ანგრევდა ჭიანჭველების ბუდეებს მონმარტრში, გიგანტური ირემი კი წაბლის ხეებქვეშ ცახცახებდა ქვაბულის დათვის ღრიალზე. დათვს თავისი ბუნაგიდან ეხმაურებოდა ძაღლი ბოჟანსი, ტანით სამჯერ რომ აღემატებოდა მგელს.

ეპოქებს ერთმანეთისაგან ყოფდა ცვლილებები, რომელთაგან უკანასკნელი იყო ჩვენი წარღვნა. ეს იყო თითქოს რაღაც ფეერია, რომლის აპოთეოზს წარმოადგენდა ადამიანი.

ისინი გაოცდნენ, როცა შეიტყვეს, რომ ქვებზე დარჩენილია მწერების, ფრინველების ფეხის ნაკვალევი; გადაშალეს რორეს ერთ-ერთი სახელმძღვანელო და იწყეს ნამარხის შეგროვება.

ერთხელ, ნასადილევს, როცა კაჟს თხრიდნენ, ბ-ნმა კიურემ ჩაიარა და შემპარავად ჰკითხა:

— გეოლოგიას ეწაფებით, ბატონებო? ძალიან კარგია.

მღვდელი აფასებდა ამ მეცნიერებას, რადგან იგი ამტკიცებს, რომ წარღვნა ნამდვილად იყო და ამით ადასტურებს წმიდა საღვთო წერილის ავტორიტეტს.

ბუვარმა ლაპარაკი დაიწყო კოპროლიტებზე, რომლებიც ცხოველთა გაქვავებულ განავალს წარმოადგენს.

აბატ ჟეფრუას აოცებდა ეს ამბავი. თუმცა, თუკი ეს მართლაც მოხდა, კიდევ ერთი ზედმეტი საბაბია იმისა, რომ ქედი მოვიხაროთ განგების წინაშე.

პეკუშე გამოტყდა, დღემდე ჩვენი ძიება მაინცდამაინც დიდად ნაყოფიერი არ ყოფილაო; ფალეზის მიდამოებში კი, როგორც ყველა იურულ დანალექში, უხვად უნდა მოიპოვებოდეს ცხოველთა ნაშთებიო.

— გამიგონია, — მიუგო აბატმა ჟეფრუამ, — თითქოს ვილერში ოდესღაც სპილოს ყბა ეპოვოთ. ამაზე ერთ ჩემს მეგობარს, ბ-ნ ლარსონერს, ლიზიეს სასამართლოს ადვოკატსა და არქეოლოგს შეუძლია მოგაწოდოთ ცნობები. მან შეადგინა პორ-ან-ბესენის ისტორია, რომელშიც მოხსენიებულია ნიანგის პოვნის ამბავი.

ბუვარმა და პეკუშემ ერთმანეთს გადახედეს. ერთი და იგივე იმედი ჩაესახა ორივეს, და თუმცა ძალიან ცხელოდა, კარგა ხანს იდგნენ და კითხვას კითხვაზე აყრიდნენ მღვდელს, რომელიც ლურჯ ქოლგას იჩრდილებდა. მღვდელს სახის ქვემო ნაწილი ოდნავ მძიმე ჰქონდა, ცხვირი კი წაწვეტილი; განუწყვეტლივ იღიმებოდა ან თავსა და თვალებს ხრიდა.

ეკლესიაზე მწუხრისა დარეკეს.

— ღამე მშვიდობისა, ბატონებო! ნება მიბოძეთ, გამოგეთხოვოთ.

ბუვარმა და პეკუშემ მისი რეკომენდაცია მიიღეს და სამ კვირას ელოდებოდნენ ლარსონერის წერილს. ბოლოს პასუხი მოვიდა.

ვილერელ მცხოვრებს, ვინც მასტოდონტის კბილი ამოთხარა, ლუი ბლოში ერქვა; მასზე დაწვრილებითი ცნობები არ მოიპოვება. რაც შეეხება ამ ცხოველის ამბავს, ამას ეძღვნება ერთი ტომი ლიზიეს აკადემიისა. ლარსონერი კი საკუთარ ეგზემპლარს მათ ვერ გაუგზავნის. რაც შეეხება ალიგატორს, ის ნაპოვნია 1825 წლის ნოემბერში ჰაშეტის კლდის ქვეშ სენტ-ონორინში, პორ-ან-ბესესის ახლოს, ბაიეს ოლქში.

ამას მოჰყვებოდა პატივისცემის დამადასტურებელი სიტყვები.

მასტოდონტზე ცნობების უქონლობამ პეკუშეს სურვილი გაუმძაფრა. უნდოდა მაშინვე წასულიყო ვილერს.

ბუვარმა უპასუხა, მგზავრობა შესაძლებელია უსარგებლო გამოდგეს, თანაც დიდ ხარჯს მოითხოვს, უმჯობესია ცნობები შევაგროვოთო.

ისინი წერილობით შეეკითხნენ იქაურ მერს: რა მოუვიდა ვინმე ლუი ბლოშს; თუ გარდაიცვალა, შეუძლიათ თუ არა მისი უშუალო ან გვერდითი შთამომავლობის მემკვიდრეებს მოგვაწოდონ მისი ძვირფასი აღმოჩენის ცნობები: როდის აღმოაჩინა და ამჟამად სად არის პირველყოფილი დროების ეს უტყუარი მოწმე? არის თუ არა იმედი ვიპოვოთ მისი მსგავსი ეგზემპლარები? რა ეღირება დღეში ერთი ურემი და მისი გამძღოლიო?

მაგრამ რამდენიც არ სთხოვეს მერის თანაშემწესა და შემდეგ მუნიციპალურ მრჩეველს, ვილერიდან ვერავითარი ცნობა ვერ მიიღეს. უეჭველია, იქაური მცხოვრებნი უფრთხილდებოდნენ თავიანთ ნამარხებს, ანდა, შესაძლებელია, ისინი ინგლისელებს მიჰყიდეს. გადაწყდა, ჰაშეტს წასულიყვნენ.

ბუვარი და პეკუშე ფალეზიდან კანს დილიჟანსით გაემგზავრნენ. შემდეგ კანიდან ბაიეში ეტლით ჩავიდნენ, იქიდან კი ფეხით წავიდნენ პორ-ან-ბასენს.

ისინი არ მოტყუებულან. ჰაშეტის ფერდობები მოფენილი იყო უცნაური რიყით. ფუნდუკის პატრონის რჩევით მათ მიაღწიეს ქვიშიან ნაპირს.

მიქცევა იყო და წყალი აშიშვლებდა წყალმცენარეებით დაფენილ რიყეს. ბალახიანი ღრმულები სერავდნენ კლდეს, რომელიც რუხი ქვის კედელივით აღმართულიყო. მისგან განუწყვეტლივ მოწანწკარებდა წყალი, შორს კი ზღვა ღრიალებდა. ხანდახან იგი თითქოს დადუმდებოდა და მაშინ მხოლოდ ნაკადულების წყნარი ჩხრიალი ისმოდა.

მეგობრებს ფეხი ეხლართებოდათ ბალახებში, ალაგ-ალაგ ორმოებზე გადახტომა უხდებოდათ. ბუვარი ნაპირზე დაჯდა და ტალღებს უცქეროდა, უფიქრალი, უნებო, მოხიბლული. პეკუშემ ფერდობთან მიიყვანა, რათა ეჩვენებინა ამონიტი, კლდეში რომ იყო ჩაქსოვილი, როგორც ალმასი ქანში. ფრჩხილები დაიმტვრიეს,

უინსტრუმენტებოდ ვერაფერს გახდებოდნენ, თანაც სადაც იყო დაღამდებოდა. ცა დასავლეთით წითლად შეიფერა, ნაპირს კი ბინდი ეფინებოდა. წყალმცენარენი შავად ჩანდნენ, მათ შორის გუბეები ისახებოდა, რომელთაც ზედ ზღვის ტალღები ევლებოდა. დაბრუნების დროც იყო.

მეორე დილით ნამარხს წერაქვითა და რკინის კეტით შეუტიეს და პირი უჩინეს. ეს იყო ეგრეთ წოდებული ammonites nodosus ნაპირები რომ შემოღრღნილი ჰქონდა და კაი თექვსმეტ გირვანქას იწონიდა. პეკუშემ აღტაცებით წამოიძახა.

— ეს დიუმუშელს უნდა მივართვათ!

შემდეგ შეხვდათ ღრუბელი, ტერებრატული, შროშანა, ნიანგი კი არა და არა! რაკი ის არ იყო, ძებნა დაუწყეს ჰიპოპოტამის ან იხტიოზავრის ჩონჩხს, წარღვნის დროინდელ რაიმე ძვალს და უეცრად კაცის სიმაღლეზე კლდეში შენიშნეს გიგანტური თევზის ჩონჩხის გამოსახულება.

დაიწყეს მსჯელობა, როგორ ამოვიღოთო.

გადაწყდა, რომ ბუვარი ზემოდან, პეკუშე კი ქვემოდან გამოტეხდა კლდეს, რათა ნამარხი ნელა და დაუზიანებლად დაეშვათ ძირს.

სული რომ მოითქვეს, უეცრად თავს წაადგა საბაჟოს ზედამხედველი. მან მბრძანებლურად დაუქნია ხელი.

— რა გნებავს? ერთი შენცა, მოშორდი აქედან!

და მუშაობა განაგრძეს. თითის წვერებზე შემდგარი ბუვარი წერაქვს ურტყამდა, წელში მოხრილი პეკუშე კი რკინის კეტით მუშაობდა.

მაგრამ ზედამხედველმა ახლა ქვემოდან მოუარა და უფრო ენერგიულად ანიშნა. ისინი აინუნშიც არ აგდებდნენ მის ნიშნებს. ნამარხის სხეული თანდათან თავისუფლდებოდა მიწისაგან და სადაცაა ძირს ჩამოგორდებოდა.

უეცრად მეორე, ხმლიანი კაცი გამოჩნდა.

— თქვენი პასპორტები?

ეს იყო მზვერავი ჩაფარი. მაშინვე მოირბინა ზედამხედველმაც.

— დაიჭირე ეგენი, ძია მორენ! თორემ კლდე ჩამოინგრევა.

— ჩვენ მეცნიერული მიზანი გვაქვს, — უთხრა პეკუშემ.

ამ დროს მოგლეჯილმა კლდემ ისე ახლოს ჩაუარა, რომ ცოტა კიდევ და... ოთხივე დაიღუპებოდა.

როცა მტვერი გაიფანტა, მათ გაარჩიეს ხომალდის ანძა, ზედაშხედველის ფეხქვეშ რომ მტვრად იქცა. ბუვარმა ამოიოხრა და თქვა:

— ჩვენ ცუდი არაფერი გვიქნია.

— საინჟინრო უწყების ტერიტორიაზე არაფრის კეთება არ შეიძლება! — შიუგო ჩაფარმა. — უწინარეს ყოვლისა, მითხარით, ვინ ხართ, რომ ოქმის შედგენა შემეძლოს.

პეკუშე გაჯიუტდა, უსამართლობაზე დაიწყო ლაპარაკი.

— კმარა ლაპარაკი! გამომყევით!

როგორც კი ნავსადგურში მივიდნენ, ბავშვები აედევნენ. ყაყაჩოსავით ანთებულ ბუვარს თავი ღირსეულად ეჭირა. ძლიერ გაფითრებული პეკუშე შრისხანედ იხედებოდა გარშემო. ორივე უცნობი, ცხვირსახოცებში რომ კენჭები ჰქონდათ გამოკრული, საეჭვო შესახედაობისა იყო. წინასწარ ისინი ფუნდუკში მოათავსეს, რომლის პატრონი კარებში იდგა და ბრბოს შიგ არ უშვებდა. შემდეგ კალატოზმა თავისი იარაღების დაბრუნება მოითხოვა. მეგობრებმა ფული გადაუხადეს — კვლავ ხარჯი! ჩაფარი კი არსად ჩანდა. რატომ? ბოლოს ვიღაც ბატონმა, მკერდზე რომ საპატიო ლეგიონის ორდენი ეკეთა, ისინი გაათავისუფლა. მათ განაცხადეს თავიანთი სახელი, გვარი, ადგილსამყოფელი და წავიდნენ, თანაც აღუთქვეს, ამიერიდან უფრო ფრთხილად ვიქნებითო.

პასპორტების გარდა, ბევრი ნივთი აკლდათ და, სანამ ახალ ძიებას დაიწყებდნენ, ცნობები შეაგროვეს ბონეს წიგნში „მოგზაური არქეოლოგის თანამგზავრი". ჯერ ერთი, საჭიროა გქონდეს კარგი ჯარისკაცური ჩანთა, შემდეგ მიწისმზომლის ჯაჭვი, ქლიბი, მარწუხი, ბუსოლი, ქამარში გარჭობილი სამი პატარა ჩაქუჩი, ზედ სერთუკის კალთა უნდა გადააფარო, რადგან „იგი დაგიცავთ მყვირალა გარეგნობისაგან, რასაც გზაში უნდა ერიდოთ". პეკუშემ საბიჯგად იხმარა ექვსი ფუტი სიგრძის ჩვეულებრივი ტურისტული ჯოხი, რომელსაც რკინის ბოლო ჰქონდა. ბუვარმა ირჩია ქოლგიანი საბიჯგი, ანუ ქოლგა-პოლიბრანში, რომლის ტარიც იხსნება და შეიძლება მიაბა აბრეშუმი, ცალკე ტომსიკაში რომ ინახება. არ დავიწყებიათ არც მაგარი, გეტრებიანი ფეხსაცმელი, ორ-ორი წყვილი აჭიმი, „რაკი უნდა ივარაუდო გაოფლიანება". და თუმცა „ყველგან კასკეტს ვერ დაიხურავ", მაინც უარი თქვეს ზედმეტ ხარჯზე, შეეძინათ

„ერთ-ერთი ისეთი ქუდი, რომელიც იკეცება და რომელსაც ჰქვია მისი გამომგონებლის, მეფაბრიკე ჟიბიუსის სახელი“.

იგივე თხზულება ყოფაქცევის წესებს აცნობდა: „უნდა იცოდე იმ ქვეყნის ენა, რომელში შესვლასაც აპირებ“; მათ ეს ენა იცოდნენ. „თავი უბრალოდ უნდა გვეჭიროს“, ეს კი ჩვეულებად ჰქონდათ. „ბევრი ფული თან არ უნდა ატარო“ — ამაზე ადვილი რა იყო. ბოლოს, თავი რომ ყოველგვარი სიძნელისაგან დაიზღვიო, საჭირბოროტოა „ინჟინრის წოდება“ მიიღო.

— რა გაეწყობა, მივიღებთ!

მთელი ამ მზადების შემდეგ ექსკურსიებს შეუდგნენ, ზოგჯერ მთელი კვირით მიდიოდნენ, ჰაერზე ატარებდნენ დროს.

ხან ორნის ნაპირებზე, ალვის ხეებსა და ჯაგნარებში შეამჩნევდნენ გამოზიდულ კლდეებს, ხან დანაღვლიანდებოდნენ, რადგან გზის გასწვრივ თიხის ფენების მეტს ვერაფერს ხვდებოდნენ. როცა რომელიმე პეიზაჟს წააწყდებოდნენ, მისი მშვენების, გაშლილი სივრცის ან ტალღოვანი მიდამოს ცქერით კი არ ტკბებოდნენ, არამედ ის აინტერესებდათ, რაც ქვეშ, მიწაში იყო. ყოველი ბორცვი მათთვის წარღვნის არსებობის ახალი დამადასტურებელი იყო. წარღვნით გატაცებას ერატიკული რიყით გატაცება მოჰყვა. დიდრონი ქვები, ცალ-ცალკე რომ ეყარა მინდორში, გამჭრალი მყინვარებისაგან უნდა წარმომდგარიყო და ისინიც ეძებდნენ მორენებსა და ნიჟაროვან კირქვებს.

ისე იყვნენ გამოწყობილნი, რამდენჯერმე საქონლის დამტარებლები ეგონათ. და როცა მოუხდებოდათ ეთქვათ „ინჟინრები“ ვართო, შიში შეიპყრობდათ ხოლმე. ასეთი სახელწოდების შერქმევას შეეძლო უსიამოვნება მიეყენებინა მათთვის. დღის ბოლოს დაიქანცებოდნენ ნიმუშების თრევით, მაგრამ შინ მაინც უდრტვინველად მიჰქონდათ ხოლმე. ამ ნიმუშებით მოფენილი იყო კიბის საფეხურები, ოთახი, დარბაზი, სამზარეულო და ჟერმენა მტვრის მომატებას უჩიოდა.

ადვილი საქმე როდი იყო ამდენი ქანის სახელის მოძებნა, სანამ მათ იარლიყებს დააკრავდნენ. ფერი და აღნაგობა იმას იწვევდა, რომ თიხას ტკილისაგან ვერ არჩევდნენ, გრანიტს გნეისისაგან, კაჟს კირქვისაგან.

გარდა ამისა, ნომენკლატურა აღიზიანებდათ. რა საჭიროა ეს

დევონის, კემბრის, იურის ფორმაციები? თითქოს ამ სახელწოდებებით აღნიშნული ნიადაგები მხოლოდ დევონშირში, კემბრიჯსა და იურაში იყოს. ვერაფრით ვერ გაერკვევი: რაც ზოგს სისტემად მიაჩნია, ზოგისათვის იარუსია, სხვებისათვის კი უბრალო ფენაა. დაშრევებანი ერთმანეთში ირევა, იბურდება. მაგრამ ომალიუს დ'ალუა გვაფრთხილებს, გეოლოგიურ კლასიფიკაციას ნუ ენდობითო.

ამ განცხადებამ ისინი დაამშვიდა და. როცა დაათვალიერეს კირქვები კანის ველზე, თიხოვანი ფიქალი ბალერუაში, კაოლინი სენბლეზში, ოოლიტი ყველგან, ეძიეს ქვანახშირი კარტინიიში, ვერცხლისწყალი შაპელან-ჟუჟეში, სენ-ლოს ახლოს, შემდეგ უფრო. შორი ექსკურსია — ჰაერში მგზავრობა განიზრახეს, ლიდიტი და ვიმერიჯული თიხა უნდა შევისწავლოთო.

გადმოვიდნენ გემიდან თუ არა, მაშინვე იკითხეს შუქურების გზა. ეს გზა თურმე ჩახერგილია და საშიშია იქ სიარული.

ეტლების სახელოსნოს პატრონმა წინადადება მისცა, მოგატარებთ ამ მიდამოებს — ინგუვილს, ოქტეევილს, ფეკანს, ლილბონს და „თუნდაც რომს, თუ გნებავთო“.

ფასი საარაკო მოითხოვა, მაგრამ ფეკანის გაგონებამ ისინი მოხიბლა. ცოტა განზე რომ გადაეხვიათ, შეიძლებოდა ეტრეტაც ენახათ და დილიჟანსში ჩასხდნენ, რათა ჯერხანად ყველაზე შორეული პუექტი — ფეკანი ენახათ.

ბუვარმა და პეკუშემ დილიჟანსში საუბარი გამართეს სამ გლეხთან და ერთ დედაბერთან, სემინარისტთან და უყოყმანოდ გაეცვნენ, ინჟინრები ვართო.

აუზთან გადმოვიდნენ. სანაპირო კლდეს მიაღწიეს, გვერდი აუქციეს ყურესავით შეჭრილ დიდ გუბურას, ხუთი წუთის შემდეგ გაუყვნენ ნაპირს. შემდეგ შენიშნეს კამარა, რომელიც ღრმა ქვაბულში შედიოდა. იგი ხმას კარგად ირეკლავდა, თანაც ნათელი იყო და თავისი სვეტებით ეკლესიას მოგაგონებდათ. ფსკერი ერთიანად წყალმცენარეებს დაეფარა.

ბუნების ამ ნაგებობამ მეგობრები გააკვირვა. მათ გზა განაგრძეს, ნიჟარებს აგროვებდნენ და თან სამყაროს წარმოქმნაზე მსჯელობდნენ. ბუვარ ნეპტუნიზმის თეორიას იზიარებდა, პეკუშე კი, პირიქით, პლუტონისტი იყო.

ცენტრალურმა ცეცხლმა ააფეთქა დედამიწის ქერქი, ამოსწია ნიადაგი და ნაპრალები გააჩინა. შიგნით თითქოს მღელვარე ზღვაა თავისი მოქცევით და უკუქცევით, თავისი ქარიშხლებით; მისგან თხელი აფსკი გვყოფს. ყოველივე იმაზე რომ დაფიქრდე, რაც ჩვენს ფეხქვეშაა, შეიძლება ძილი დაგეკარგოს. მაგრამ ცენტრალური ცეცხლი ნელდება და მზე ქრება, ასე რომ დედამიწა ერთხელაც იქნება გამყინვარდება და დაიღუპება, უნაყოფო გახდება; ხე და ქვანახშირი ნახშირქანგად გადაიქცევა და ვერც ერთი ცოცხალი არსება ვერ გადარჩება.

— აქამდე ჯერ კიდევ არ მივსულვართ, — უთხრა ბუვარმა.

— იმედი ვიქონიოთ, — მიუგო პეკუშემ.

სულ ერთია, სამყაროს ამ დასასრულმა, რაგინდ შორიც უნდა იყოს, დაამწუხრა ისინი და მდუმარენი მიდიოდნენ რიყეზე მხარ-დამხარ.

კლდოვანი ფლატე, მთლად თეთრი ნაპირი, რომელიც აქა-იქ გადასერილი იყო შავი კაჟოვანი ზოლებით, შორს ჰორიზონტს უერთდებოდა, თითქოს ციხის კედელიაო. ქროდა აღმოსავლეთის მკვეთრი, ცივი ქარი. ცა რუხი იყო, ზღვა — მწვანე და მფრთონავი. კლდეებზე ფრინველები წამოიშლებოდნენ, ტრიალებდნენ და კვლავ თავიანთ ნაპრალებს უბრუნდებოდნენ. ხანდახან სადღაც ქვა მოძვრებოდა, საფეხურიდან საფეხურზე იგორებდა, ვიდრე ნაპირს მიაღწევდა.

პეკუშე ხმამაღლა ფიქრობდა:

— შესაძლოა დედამიწა რაიმე კატასტროფამ მოსპოს! ჩვენი პერიოდის ხანგრძლივობა უცნობია. საჭიროა მხოლოდ ცენტრა-ლურმა ცეცხლმა ამოხეთქოს.

— ის მაინც ნელდება.

— ამან ხელი ვერ შეუშალა, რომ ამოეხეთქა და წარმოეშვა კუნ-ძული იულია, მონტე-ნუოვო და კიდევ ბევრი სხვა.

ბუვარმა გაიხსენა, რომ ეს დაწვრილებითი ცნობები ბერტრანის წიგნში ამოიკითხა.

— მაგრამ ევროპაში ეგეთი ცვლილებანი არ ხდება.

— ბოდიში, ბატონო ჩემო, ამის დადასტურებაა ლისაბონი. რაც შეეხება ჩვენს მხარეებს, აქ ქვანახშირისა და რკინოვანი პირი-ტის საბადოები ბევრია და, რომ გაიხრწნას, მშვენივრად შეიძლება

ვულკანები წარმოქმნას. თანაც, ვულკანის ამოფრქვევა ყოველთვის ზღვის ახლოს ხდება.

ბუვარმა თვალი მოავლო ტალღებს და მოეჩვენა, თითქოს შორს, ცაში, კვამლი ადიოდა.

— თუ კუნძული იულია გაქრა, — განაგრძო პეკუშემ, — მაშინ, იმავე მიზეზებით, შესაძლებელია მატერიკებს იგივე ბედი ელოდეთ. არქიპელაგის პატარა კუნძულს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ნორმანდიას და ევროპასაც კი.

ბუვარმა წრმოიდგინა, როგორ ინთქმება ევროპა უფსკრულში.

— დავუშვათ, — უთხრა პეკუშემ, — რომ მიწისძვრა მოხდება ლამანშში, წყალი მაშინ ატლანტის ოკეანეს მიაწყდება, საფრანგეთისა და ინგლისის ნაპირები შეირყევა, შეერთდება და ჯახ! მთელი მათი გამყოფი დაინთქა.

ბუვარი აღარ უსმენდა და ისე სწრაფად მიდიოდა წინ, რომ ასიოდე ნაბიჯით გაუსწრო პეკუშეს. მარტო რომ დარჩა, კატასტროფაზე ფიქრმა შეაცბუნა. დილიდან არაფერი ეჭამა და ყურები უშუოდა. უეცრად მოეჩვენა, რომ მიწა ზანზარებს და კლდე მის თავზე გადმოიხარა. ამავე დროს ზემოდან ქვიშამ იხრიალა.

პეკუშემ თვალი მოჰკრა გაქცეულს, მიხვდა, შეშინებულიაო, და მიაძახა:

— გაჩერდი! გაჩერდი! პერიოდი არ დამთავრებულა.

და, რომ დასწეოდა, უზარმაზარ ნახტომებს აკეთებდა, ტურისტის ჯოხს იქნევდა და გაიძახოდა:

— პერიოდი არ დამთავრებულა! პერიოდი არ დამთავრებულა!

ბუვარი გაგიჟებული გარბოდა. ქოლგა-პოლიბრანში დაუვარდა, სერთუკის კალთები უფრიალებდა, ჩანთა ზურგზე უხტუნავდა, ფრთიან კუსავით მიხტოდა კლდეებში. ბოლოს ერთ-ერთ მათგანს მიეფარა.

აქოშინებულმა პეკუშემ მიირბინა, იქ რომ ვერ ნახა, უკან გამოიქცა, რათა მინდორში გასულიყო, საითკენაც ალბათ ბუვარმა გაუხვია.

ეს ვიწრო დერეფანი დიდრონ საფეხურებად სჭრიდა კლდეს. მათზე ორი კაცი გაჩერდებოდა და გაკრიალებული ალებასტრივით ბრჭყვიალებდა.

პეკუშე ორმოცდაათ ფუტზე ავიდა და ჩამოსვლა მოუნდა, მაგრამ ციცაბო მოსაბრუნი იყო და კვლავ ზევით აბობღდა.

მეორე მოსახვევიდან უფსკრული დაინახა და შიშით ძარღვებში სისხლი გაეყინა. რაც უფრო უახლოვდებოდა მესამეს, მუხლები სულ უფრო ეკვეთებოდა. ჰაერის მდინარება გარს ეხვეოდა, ტანი უკანკალებდა. დაჯდა, თვალი დახუჭა, ვერაფერს გრძნობდა, გარდა გამგუდავი გულისცემისა, შემდეგ ჯოხი გადააგდო და ოთხით განაგრძო ბობღვა. მაგრამ ქამარში გაჩრილი სამი ჩაქუჩი სხეულში ერჭობოდა; კენჭები, რომლებითაც ჯიბეები სავსე ჰქონდა, თეძოებზე სცემდა; ქუდის წინაფრა თვალებში ეფხატეზოდა, ქარი ძლიერდებოდა. ბოლოს გაცოცდა ბაქანზე, სადაც ბუვარი ნახა, იგი უფრო მოხერხებული ბილიკით ამოსულიყო.

რაღაც საზიდარი შეხვდათ და გაჰყვნენ. ეტრეტას ნახვა დაავიწყდათ. მეორე საღამოს, ჰავრში, გემს რომ ელოდებოდნენ, გაზეთში წაიკითხეს ფელეტონი: „გეოლოგიის სწავლება“.

ფაქტებით გაჯერებული სტატია საკითხს ისე არკვევდა, როგორც იმ დროს ესმოდათ.

არასოდეს არ ყოფილა სრული წარღვნა, მაგრამ წარღვნის მიმსგავსი სახეობა ყოველთვის როდია თანაბრად ხანგრძლივი, წყლის დონეც ერთ ადგილას უფრო მალე იკლებს, ვიდრე მეორე ადგილას. ერთი და იმავე ასაკის ფორმაციები სხვადასხვა ნამარხს შეიცავენ, ხოლო ამასთან მსგავსიც გვხვდება ერთმანეთისაგან მეტად დაშორებულ ნაწდობებში. უძველესი ხანის გვიმრები ისეთივე იყო, როგორც ამჟამადაა. ბევრი თანამედროვე ზოოფიტი აღმოჩენილია უძველეს ფენებში. ერთი სიტყვით, ახლანდელი ცვლილებანი შეიცავენ ძველ სახეცვლათა ახსნას. ყველა ფორმაციაში ერთი და იგივე მიზეზები მოქმედებენ. ბუნებამ ნახტომები არ იცის და პერიოდები, როგორც ბრონიარი ამტკიცებს, არსებითად მხოლოდ აბსტრაქციაა.

კიუვიე მათ თვალში შარავანდმოსილი იყო, დაურღვეველი მოძღვრების მწვერვალზე იდგა. ახლა იგი დაირღვა. სამყაროს წყობა სხვანაირი აღმოჩნდა, და მეგობართა პატივისცემა ამ დიდი ადამიანისადმი შეირყა.

ბიოგრაფიებიდან და მოკლე მიმოხილვებიდან მათ ცოტა რამ შეიტყვეს ლამარკისა და ჟოფრუა სენტ-ილერის დოქტრინებზე.

ყოველივე ეს ეწინააღმდეგებოდა შეთვისებულ წარმოდგენებს, ეკლესიის ავტორიტეტს.

ამასთან ბუვარმა შვება იგრძნო, თითქოს უღელი რამ მოიშორაო.

— ნეტავ მომასმენინა ახლა, რას იტყოდა წარღვნაზე მოქალაქე ჟეფრუა!

მეგობრებმა მას მიუსწრეს ბაღში, სადაც იგი საეკლესიო საბჭოს წევრებს ელოდებოდა სამოსლის შეძენის საკითხზე სათათბიროდ.

— რა გნებავთ, ბატონებო?

— ერთი განმარტება, თუ შეიძლება.

და ბუვარმა დაიწყო:

— „შესაქმეში“ რას ნიშნავს, „განიხვნა უფსკრული“ და „შავი წყალი“. უფსკრული ხომ არ იხსნება და ცაში არც შავი წყალია?

ხუცესმა თვალები მოხუჭა, მერე უპასუხა, ყოველთვის უნდა გაარჩიო აზრი ნაწერისაგანო. საგნები, რომლებიც თავდაპირველად გვაოცებენ, კანონზომიერი ხდებიან, თუ ღრმად ჩავწვდებით.

— ძალიან კარგი. მაგრამ როგორ ავხსნათ წვიმა, რომელმაც დაფარა ყველაზე მაღალი მთები, რომელთა სიმაღლე ორ მილს უდრის! წარმოიდგინეთ მხოლოდ: ორი მილი! წყალი, რომლის სიღრმე ორი მილია!

ხოლო მერმა, რომელიც ამ დროს შემოვიდა, დასძინა:

— დალახვროს ღმერთმა, რა აბაზანა იქნებოდა!

— დამეთანხმებით, — თქვა ბუვარმა, — რომ მოსე ძალიან აჭარბებს.

მღვდელმა, რომელსაც ოდესღაც ბონალდი წაეკითხა, მიუგო:

— არ ვიცი, რით ხელმძღვანელობდა იგი. ალბათ სურდა სასარგებლო შიში შთაენერგა ხალხისათვის, რომელსაც მეთაურობდა!

— ბოლოს ამდენი წყალი საიდან გამოტყვრა?

— აბა მე რა ვიცი? ჰაერი იქცა წყლად, როგორც ყოველდღე ხდება.

ბაღში შემოვიდა ბ-ნი ჟირბალი, გადასახადთა გამგე, რომელსაც მოჰყვებოდა მემამულე, კაპიტანი ჰერტო. ფუნდუკის პატრონი ბელჟამბი, მკლავგაყრილი მოჰყავდა ბაყალ ლანგლუას, რომელსაც კუჭის კატარი ჰქონდა და ძლივს მოაბიჯებდა.

პეკუშემ ყურადღება არ მიაქცია მათ და დაიწყო:

— გვაპატიეთ, ბ-ნო ჟეფრუა. ატმოსფეროს წონა, როგორც შეცნიერება გვასწავლის, უდრის წყლის ისეთი მასის წონას, რომელიც დედამიწას ათ მეტრიან სალტედ შემოეკვრებოდა. მაშასადამე, მთელი შედედებული ჰაერი რომ თხევად მდგომარეობაში ჩამოქცეულიყო, ძალიან ცოტათი გაადიდებდა არსებული წყლების მასას.

საეკლესიო საბჭოს წევრები თვალდაჭყეტილნი უსმენდნენ.

მღვდელს მოთმინება დაეკარგა...

— ხომ ვერ უარყოფთ, რომ მთებში ზოგჯერ ნიჟარები უპოვიათ. ვინ აიტანა ისინი იქ, თუ არა წარღვნამ? ნიჟარები, მგონი, სტაფილოსავით მიწიდან არ იზრდებიან...

ასეთი სიტყვებით რომ კრება გააცინა, დასძინა:

— თუკი ეს მეცნიერების კიდევ ერთი ახალი აღმოჩენა არაა.

ბუვარმა უპასუხა, რომ მთები, ელი დე ბომონის თეორიის თანახმად, წყლიდან ამოიზიდნენ.

— არ ვიცნობ ბომონს, — მიუგო აბატმა.

ფურომ ჩაურთო:

— კანიდანაა! ერთხელ პრეფექტურაში ვნახე.

— მაგრამ თუ თქვენმა წარღვნამ ნიჟარები მორეკა, — განაგრძო ბუვარმა, — მაშინ მათ ზედაპირზე იპოვიდნენ და არა სიღრმეში, რაც ზოგჯერ სამას მეტრს აღწევს.

მღვდელმა დაიმოწმა ძველი აღთქმის, ადამიანთა მოდგმის გარდმოცემისა და იმ ცხოველების უცილობლობა, რომლებიც ციმბირის ყინულებში იპოვეს.

ეს იმას როდი ამტკიცებდა, რომ ადამიანი იმავე დროს ცხოვრობდა.

— დედამიწა, — ამტკიცებდა პეკუშე, — გაცილებით უხნესია. მისისიპის დელტა ათიათასობით წლისაა. თანამედროვე ეპოქა, სულ მცირე, ასი ათას წელს გრძელდება. მანეტონის სიები...

მოვიდა გრაფი დე ფავერჟი:

ყველა დადუმდა.

— განაგრძეთ, გეთაყვა, რაზე საუბრობდით?

— ეს ბატონები მეკამათებიან, — მიუგო აბატმა.

— რაზე?

— საღვთო წერილზე, გრაფო.

მაშინ ბუვარმა განაცხადა, როგორც გეოლოგებს, უფლება გვაქვს რელიგიაზე ვიკამათოთო.

— ფრთხილად, — უთხრა გრაფმა, — თქვენთვის, პატივცემულო, ცნობილი უნდა იყოს თქმულება: ვინც ცოტა იცის, შორდება რელიგიას, ვინც ბევრი — უბრუნდებაო.

და შემდეგ ქედმაღლურად დასძინა:

— მერწმუნეთ, თქვენ დაუბრუნდებით, დაუბრუნდებით მას.

— შესაძლებელია! მაგრამ როგორ გვიბრძანებთ გავიგოთ წიგნი, რომელიც ამტკიცებს, სინათლე მზეზე ადრე შეიქმნაო, თითქოს მზე სინათლის ერთადერთი წყარო არ იყოს.

— თქვენ გავიწყდებათ ჩრდილოეთის ციალი, — უთხრა მღვდელმა.

ბუვარმა ამ შესიტყვებაზე არ უპასუხა და უარყო იმის შესაძლებლობა, რომ ერთი მხრივ სინათლე ყოფილიყო და, მეორე მხრივ, სიბნელე; რომ ყოფილიყო დილა და საღამო, როცა მნათობები არ არსებობდნენ, და რომ ცხოველები ერთბაშად გაჩნდნენ და კრისტალიზაციის გზით არ წარმოშობილან.

რადგან ბილიკები მეტად ვიწრო იყო, მოკამათენი ხელებს იქნევდნენ და კვლებზე გადადიოდნენ. ლანგლუას ხველება აუტყდა. კაპიტანი გაიძახოდა:

— თქვენ რევოლუციონერები ხართ!

ჟირბალი ყვიროდა:

— დამშვიდდით! დამშვიდდით!

მღვდელი:

— რა მატერიალიზმია!

ფურო:

— უმჯობესია სამოსლის საქმე მოვაგვაროთ!

— არა! მათქმევინეთ!

და გაცხარებული ბუვარი იქამდე მივიდა, რომ ამტკიცებდა, ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვაო.

საბჭოს წევრებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს, თითქოს სურდათ დარწმუნებულიყვნენ, მაიმუნები არ ვართო.

ბუვარი განაგრძობდა:

— თუ შევადარებთ ქალის, ძაღლის, ფრინველის, ბაყაყის, ნაყოფს...

— კმარა!

— მე უფრო მეტს მოგახსენებთ! — წამოიძახა პეკუშემ: — ადამიანი თევზისაგან წარმოდგება!

გაისმა წარხარი, მაგრამ იგი არ შემკრთალა.

— ტელიამედი! არაბთა წიგნი!

— აბა, ბატონებო, საქმეს შევუდგეთ!

და შეკრებილნი სამოსსაცავში შევიდნენ.

მეგობრებმა აბატი ჟეფრუა ისე ვერ გააბიაბრუეს, როგორც იმედოვნებდნენ, ამიტომ პეკუშემ თქვა, მას „რაღაც იეზუიტური“ ახასიათებსო.

ჩრდილოეთის ციალმა ისინი მაინც შეაშფოთა; დ'ორბინის სახელმძღვანელოში ეძებეს.

არის ჰიპოთეზა, რომელიც გვიხსნის ბაფენის ყურის ნამარხი მცენარეულისა და ეკვატორული ფლორის მსგავსებას. მზის ადგილას იგულისხმება სინათლის უკვე გამქრალი წყარო და ჩრდილოეთის ციალი იქნებ მხოლოდ მისი კვალია.

შემდეგ მეგობრებს ეჭვი შეეპარათ ადამიანის წარმოშობაში და ამ გაჭირვების დროს ვოკორბეი მოაგონდათ.

მის მუქარას შედეგი არ მოჰყოლია. ყოველ დილას წინანდებურად ჩაუვლიდა ხოლმე მათ ღობეს და საბიჯგს უკაკუნებდა სარებს, ერთსაც კი არ გამოტოვებდა.

ბუვარი დაუდარაჯდა, შეაჩერა და უთხრა, მინდა ერთი საინტერესო ანთროპოლოგიური კითხვა მოგცეთო.

— გჯერათ თუ არა, რომ ადამიანთა მოდგმა თევზისაგან წარმოდგება?

— რა სისულელეა!

— უფრო მაიმუნებისაგან, არა?

— უშუალოდ, არავითარ შემთხვევაში!

ვის უნდა დაუჯერო? ექიმი ხომ, ბოლოს და ბოლოს, კათოლიკე არ არის.

მეგობრები უკვე ისეთი გატაცებით ვეღარ განაგრძობდნენ მეცადინეობას, რადგან ისინი მოღალა ამ ეოცენმა და მიოცენმა, იურილიოს მთამ და კუნძულმა იულიამ, ციმბირის მამონტებმა და ნამარხებმა, ავტორები რომ მუდამ ადარებენ „მედლებს, — უტყუ-

არ დასაბუთებას“. ასე რომ, ბუვარმა ერთხელ თავისი ჩანთა მიწაზე დაანარცხა და განაცხადა, აღარსად აღარ წავალო.

გეოლოგია მეტად არასრულყოფილია! რამდენადმე გამოკვლეულია მხოლოდ ზოგიერთი ადგილი ევროპაში. ყოველივე დანარჩენი, ოკეანის ფსკერიც, მარად ამოუცნობი დარჩება.

ბოლოს, როცა პეკუშემ მინერალთა სამყარო ახსენა, მან უპასუხა:

— არ მწამს მინერალთა სამყარო! ორგანული ნივთიერებანი ხომ ჰონაწილეობას იღებდნენ კაჟის, ცარცის, შესაძლებელია ოქროს წარმოქმნაში. განა ალმასი ნახშირი არ არის? ხოლო ქვანახშირი მცენარეთაგან არ შედგება? მას რომ განსაზღვრულ გრადუსამდე გავახურებთ, ვიღებთ ხის ნაცარს; ასე რომ ყველაფერი ქრება, ყველაფერი ირღვევა, ყველაფერი გარდაიქმნება. სამყარო წარმავალია და სწრაფცვალებადი. უმჯობესია სხვა რამეს მოვკიდოთ ხელი!

გულაღმა დაწვა და ჩასთვლიმა, პეკუშემ კი თავი ჩაჰკიდა, ხელები მუხლებზე მოიხვია და ჩაფიქრდა.

ხავსით დაფარულ გზას ჩრდილავდნენ იფნები, რომელთა მსუბუქი წვეროები ნელა ირხეოდნენ. ანგელოზა, პიტნა და ლავანდი მძიმე და საამო სურნელს ავრცელებდნენ; ჰაერი დახუთული იყო. ერთგვარ თავდავიწყებაში ჩაძირული პეკუშე ოცნებობდა მის გარშემო მოზეიმე სიცოცხლეზე, მოზუზუნე მწერებზე, ბალახში დამალულ წყაროებზე, მცენარეთა წვენზე, ბუდეებში ჩამსხდარ ფრინველებზე, ქარზე, ღრუბლებზე; მთელ ბუნებაზე, მაგრამ არ ცდილობდა ჩასწვდომოდა მის საიდუმლოებას, გატაცებული იყო მისი ძლიერებით, დათრგუნვილი იყო მისი სიდიადით.

— მწყურია! — გაიღვიძა თუ არა, თქვა ბუვარმა.

— მეც სიამოვნებით დავლევდი რასმე!

— ეგ ადვილი საქმეა, — წაილაპარაკა გამვლელმა. რომელსაც უსახელო პერანგი ეცვა და მხარზე ფიცარი გაედო.

და მათ იცნეს ის მოხეტიალე, რომელსაც ბუვარმა ერთხელ ჭიქა ღვინო დაალევინა. იგი თითქოს ათი წლით გაახალგაზრდავებულიყო, თმა დაეხუჭუჭებინა, ულვაშებზე უხვად წაეცხო პომადა და მიხრა-მოხრაც პარიზული ჰქონდა.

მათთან ერთად ასიოდე ნაბიჯი რომ გაიარა, ერთი ეზოს ჭიშკარი

შეაღო, თავისი ფიცარი კედელს მიაყუდა და ისინი მაღალ სამზარეულოში შეიყვანა.

— მელი! სადა ხარ, მელი?

გამოვიდა ქალიშვილი, რომელსაც სასმელი მოატანინა, შემდეგ კი სტუმრებს სუფრაზე ემსახურებოდა. რუხი ტილოს ჩაჩიდან პურის თავთავივით ყვითელი თმა ჩამოშლოდა. ტანთ ეცვა ღარიბული კაბა, რომელსაც ერთი ნაკეციც კი არ ჰქონდა; სწორი ცხვირი, ცისფერი თვალები რაღაც ნატიფ, სოფლურ და გულუბრყვილო იერს აძლევდა მის სახეს.

— ლამაზია, არა? — თქვა დურგალმა, სანამ ქალს სუფრაზე ჭიქები მოჰქონდა. — განა იგი სოფლურად გადაცმულ ქალაქელ ქალიშვილს არ ჰგავს? მერე რა მუშაა! აჰ, ჩემო ხულიკო! აი გავმდიდრდები და ცოლად შეგირთავ.

— თქვენ მუდამ სიხულელეს ლაპარაკობთ, ბ-ნო გორჟიუ. — უპასუხა ქალმა საამო ხმით.

შემოვიდა მეჯინიბე, რათა ძველი სკივრიდან ქერი ამოეღო და სკივრს ისე მაგრად დაახურა თავი, რომ ფიცარი შეასკდა.

გორჟიუმ უდიერად მოიხსენია ყველა ეს ხეპრე „გლეხი", დაიჩოქა და ძებნა დაუწყო დაზიანებულ ადგილს. პეკუშეც დაიხარა, მოგეხმარებიო, და სკივრზე ადამიანის დამტვრეული ფიგურები შეამჩნია.

ეს იყო აღორძინების დროის სკივრი, მოჩუქურთმებული, კუთხეებში ვაზის მტევნები ამოტვიფრული ჰქონდა. ხოლო წინა მხარე სვეტებით ჰქონდა გაყოფილი ხუთ ნაწილად. შუაში ჩანდა ვენერა ანადიომელი, შემდეგ ჰერაკლე და ომფალა, სამსონი და დალილა, ცირცელოსი და მისი ღორები, ლოთის ქალიშვილები, თავიანთ მამას რომ ართობენ; ყოველივე ეს დამსკდარი, ჩრჩილის შეჭმული იყო და მარჯვენა პანოც აკლდა. გორჟიუმ სანთელი აიღო, რათა პეკუშეს უკეთ დაენახა მარცხენა პანო, რომელიც გამოხატავდა ადამს და ევას სამოთხის ხის ქვეშ, მეტად საძრახის პოზაში.

სკივრმა ბუვარიც დაინტერესა.

— თუ მოგწონთ, შეიძლება იაფად დაგითმონ.

მეგობრებს მისი შეკეთება აფიქრებდათ.

ამაში გორჟიუ დაეხმარება, რადგან ხელობით ავეჯის მკეთებელი იყო.

— წამობრძანდით!

და პეკუშე წაიყვანა ფარდულში, სადაც დიასახლისი, ქალბატონი კასტილიონი სარეცხს ფენდა.

მელიმ ხელი დაიბანა, ფანჯრის რაფიდან საქსოვი აიღო, სინათლისკენ დაჯდა და მუშაობა დაიწყო.

ჩხირები მის თითებში კასტანეტივით ტკაცუნებდა. თავდახრილი მუშაობდა.

ბუვარმა დაუწყო გამოკითხვა: საიდან ხარ, ვინ არიან შენი მშობლები, ხელფასი რამდენი გაქვსო.

იგი უნისტრეჰემელი იყო, ობოლი, თვეში ერთ პისტოლს იღებდა. მოკლედ, ბუვარს ისე მოეწონა, რომ სურდა აეყვანა ჟერმენას დამხმარედ.

პეკუშე და ფერმერის ცოლი დაბრუნდნენ და, სანამ ისინი ვაჭრობას განაგრძობდნენ, ბუვარმა ჩურჩულით ჰკითხა გორჟიუს, ეს ქალიშვილი დამთანხმდება თუ არა, ჩემთან იმსახუროსო.

— რა თქმა უნდა!

— ყოველ შემთხვევაში, — უთხრა ბუვარმა, — მეგობარს უნდა მოვეთათბირო.

— კეთილი, მაგას კი მე მოველაპარაკები, მხოლოდ ახლა ჩუმად იყავით, რომ დიასახლისმა არ გაიგონოს.

სკივრი ოცდათხუთმეტ ფრანკად იყიდეს. შეკეთებაზე ცალკე უნდა მორიგებულიყვნენ.

გავიდნენ თუ არა ეზოში, ბუვარმა მეგობარს გაუმხილა თავისი განზრახვა.

პეკუშე გაჩერდა, რათა უკეთ ეფიქრა, ერთი მწიკვი ბურნუთი ცხვირში შეიყარა, დააცემინა და მიუგო:

— ეგ მართლაც კაი მოსაზრებაა! ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა! რამ უნდა დაგვაბრკოლოს? თანაც ბატონ-პატრონი შენ ხარ.

ათი წუთის შემდეგ გორჟიუ ხრამის პირას გამოჩნდა და მათ გაეხმაურა:

— სკივრი როდის მოგიტანოთ?

— ხვალ.

— მეორე საკითხი კი გადაჭერით?

— გადაჭრილია! — მიუგო პეკუშემ.

## IV

ნახევარი წლის შემდეგ ისინი უკვე არქეოლოგები იყვნენ და მათი სახლი მუზეუმს მოგაგონებდათ.

ძველი ხის ძელი წინკარში იყო აყუდებული. კიბეზე გეოლოგიური ინსტრუმენტები დაეხვავებინათ, დერეფნის მთელ სიგრძეზე უშველებელი ჯაჭვი გაეკიმათ.

მათ ჩამოიღეს შუა კარი იმ ოთახებში, რომლებშიც არ იძინებდნენ და გარედან ჩახერგეს მეორე ოთახის კარი, რათა ორის ნაცვლად ერთი დიდი ოთახი ჰქონოდათ.

მნახველი ზღურბლს რომ გადააბიჯებდა, უთუოდ წამოედებოდა ქვის ბადიას (ეს გალურ-რომაული სარკოფაგი იყო), ხოლო ლითონის ნაკეთობანი გააოცებდა.

მოპირდაპირე კედელზე ეკიდა სპილენძის სათბურა, ქვეშ ორი სამფეხი და ღუმელი ედგა, რომელიც გამოსახავდა მწყემს ქალთან მოალერსე ბერს.

თაროებზე ყველგან მოჩანდა სანათები, ბოქლომები, ჭანჭიკები, ქანჩები. იატაკზე ეყარა წითელი კრამიტის ნამტვრევები. შუაგულ ოთახში მაგიდაზე ელაგა ყველაზე ღირსშესანიშნავი ექსპონატები: ქალის ჩაჩის კარკასი, თიხის ორი ლარნაკი, მედლები, ოპალის ბოთლი. ხალიჩის სავარძლის საზურგეს ეფარა სამკუთხედის ფორმის მაქმანი. მარჯვენა კედელს ამშვენებდა ჯაჭვის პერანგის ნაგლეჯი, მის ქვემოთ კი ორ ლურსმანზე ჰორიზონტალურად ეკიდა უნიკუმი — აფთი.

მეორე ოთახში ორი საფეხურით იყო ჩასასვლელი. იქ ინახებოდა პარიზიდან წამოღებული ძველი წიგნები, აგრეთვე ის წიგნები, რომლებიც ბუვარმა და პეკუშემ აქ დასახლების შემდეგ ერთ-ერთ კარადაში აღმოაჩინეს. კარადას არც ერთი ანჯამა არ ჰქონდა. ამ ოთახს ბიბლიოთეკა ეწოდებოდა.

კრუამარის ოჯახის გენეალოგიურ შტოს ეკავა მთელი კარი. მახლობელ პანოზე, ლუი XV ეპოქის სამოსით მოსილი ქალბატონის პასტელით ნახატი პორტრეტი გვერდს უმშვენებდა ბუვარის მამის პორტრეტს. სარკის სადგამი მორთული იყო შავი შეტრის სომბრეროთი და ხისლანჩიანი უზარმაზარი ფეხსაცმლით, შიგ კი ეყარა ფოთლები, რომლებიც ჩიტის ბუდის ნაშთი უნდა ყოფილიყო.

ქოქოსის ორ კაკადს შუა (რომლებიც პეკუშეს ახალგაზრდობიდანვე ჰქონდა), ბუხრის თავზე იდგა ქაშანურის პატარა კასრი, ზედ კი გლეხის ფიგურა იყო დასკუპებული. იქვე კალათაში ინახებოდა დეციმის მონეტი, რომელიც ერთხელ იხვმა ამოანთხია.

ბიბლიოთეკის წინ ამაყად იდგა ნიჟარებითა და პლუშით ინკრუსტირებული კომოდი. ზედ ეწყო: კატის ფიგურა, პირში რომ თაგვი მოემწყვდია, სენტ-ალირის გაქვავებული ქანი და ნიჟარებისაგან გაკეთებული ხელსაქმის კოლოფი, ზედ იდგა გრაფინი, რომელშიც ბონკ-კრეტიენის ჯიშის მსხალი იყო.

მაგრამ ყველაფერს სჯობდა წმ. პეტრეს ქანდაკება ფანჯრის ნიშში! თათმანიან მარჯვენა ხელში მკვახე ვაშლისფერი სამოთხის გასაღები ეპყრა. ზამბახებით მოჩითული მისი სამოსი ცისფერი იყო, ღია ყვითელი ტიარა კი ჩინურ პაგოდასავით წვეტიანი. ჰქონდა ღაქღაჟა ლოყები, დიდრონი მრგვალი თვალები, დაღებული პირი და განიერნესტოებიანი მრუდე ცხვირი. მის ზემოთ ეკიდა ძველი ხალიჩის ბალდახინი, რომელზეც შეიმჩნეოდა ორი ამური, რომელთაც თავზე ყვავილების გვირგვინები ადგათ. ხოლო მათ ფერხთით იდგა შოკოლადისფერი ზეთის ქოთანი. ზედ თეთრი ასოებით ეწერა: „შესრულებულია მისი მეფური უმაღლესობის ანგულემის ჰერცოგის თანდასწრებით, ნორონში, 1817 წლის 3 ოქტომბერს“.

როცა პეკუშე ლოგინში იწვა, ყოველივე ეს ამფილადიასავით წარმოუდგებოდა ხოლმე. და ზოგჯერ იგი ბუვარის ოთახშიც კი გადიოდა, რათა პერსპექტივი კიდევ უფრო განევრცო.

ერთი ადგილი, ჯავშნის პერანგის წინ, თავისუფალი იყო: იქ აღორძინების დროის სკივრი უნდა დაედგათ.

სკივრი მზად არ იყო, გორჟიუ განაგრძობდა მის აღდგენას პურსაცხობში, ერთმანეთს უსადაგებდა ცალკეულ პანოებს, კრავდა და კვლავ შლიდა.

თერთმეტ საათზე საუზმობდა, მერე მელისთან ილაყბებდა და ამის შემდეგ ხშირად მთელი დღით სადღაც დაიკარგებოდა.

სკივრის სტილის მასალის საშოვნელად ბუვარი და პეკუშე მთელ იმ არემარეში დაძრწოდნენ. რაც მათ მოჰქონდათ, სკივრისათვის შეუფერებელი იყო ხოლმე, მაგრამ სამაგიეროდ ბევრ საინტერესო ნივთს წააწყდნენ. ხიბლავდათ სამშვენისები, მერე შუასაუკუნეებმა გაიტაცეს.

შედიოდნენ ტაძრებში და სასხურებელ წყალში არეკლილი მაღალი ნეფები, ძვირფასი ქვებივით ბრჭყვიალა მინები, აკლდამები საკამნოთა სილრმეში, სამარხთა მკრთალი განათება, ყველაფერი, ნესტიანი კედლებიც კი, სიამოვნების ჟრჟოლას, მოწიწებულ მღელვარებას ჰგვრიდა.

სულ მალე უკვე ერკვეოდნენ ეპოქებში და მნათეთა დაუხმარებლად შეეძლოთ ეთქვათ:

— აი ეს რომაული კამარაა... ეს კი XII საუკუნისაა. ახლა გოთურ ხანაში მოვხვდებით, ცეცხლოვანი პერიოდია.

ისინი ცდილობდნენ ამოეცნოთ კაპიტელებზე ამოკვეთილი სიმბოლოები, მაგალითად, მარინის ტაძრის ორი გრიფონი, აყვავებულ ხეს რომ კორტნის. ფეჟეროლის კათედრალში სარტყელების ბოლოებზე გამოსახული უცნაურყვრიმალებიანი მგალობლები პეკუშემ სატირად მიიჩნია. ხოლო ჰერუვილის ეკლესიის ერთ-ერთ ფანჯარაზე მეტად უხამსი ფიგურის გამო ბუვარმა შენიშნა: ეს უწმაწურობისადმი ჩვენი წინაპრების მიდრეკილებას მოწმობსო.

ისინი იქამდე მივიდნენ, რომ დაცემულობის თვით უმცირეს ნიშნებსაც ვეღარ ითმენდნენ. დაცემულობა კი იყო ყველგან და მათ აწუხებდათ ვანდალიზმი, აღშფოთებულნი იყვნენ კედლების მოხატულობით.

ძეგლის სტილი ყოველთვის როდი ეთანხმება მისი წარმოშობის ნავარაუდევ დროს. XIII საუკუნის ნახევრადმრგვალი რკალი ახლაც გამეფებულია პროვანსში. ისრული კამარა იქნებ მეტად ძველია და ყველა ავტორი როდია თანახმა, რომ რომაული თაღი გოთურზე უხნესია. ეს გაურკვევლობა მათ ძლიერ აბრაზებდა.

ეკლესიების შემდეგ დაიწყეს დომფრონისა და ფალეზის ფეოდალური ციხე-სიმაგრეების შესწავლა. აღტაცებულნი იყვნენ ჭიშკრის საამწეო რიკულის ღარებით, ხოლო როცა კოშკურაზე ავიდნენ, ჯერ მთელი ველი დაინახეს, შემდეგ ქალაქის სახურავები, ქუჩაბანდები, საზიდრები მოედანზე, ქალი რომელიც საცვლებს რეცხავდა. დამრეცი კედლები ციხის თხრილებში წამოზრდილ ჩირგვნარამდე ეშვებოდა, და მათ გული ელეოდათ იმის ფიქრზე, რომ ადამიანები ოდესღაც კიბეებით ადიოდნენ ასეთ შვეულ კედლებზე. სარდაფებშიც ჩავიდოდნენ, მაგრამ ბუვარს აბრკოლებდა თავისი მუცელი, პეკუშეს კი — გველების შიში.

მოისურვეს ისეთი ძველი ციხე-დარბაზების გაცნობა, როგორიცაა კურსი, ბიული, ფონტენეი, ლემარმიონი, არგუჟი. თურმე ზოგჯერ იქ, სადმე კუთხეში, ნაკელის გროვის უკან, აყუდებულია კაროლინგთა კოშკი. სამზარეულოში ქვის სკამლოგინები ფეოდალთა ლხინს მოგაგონებთ. სხვა ციხე-დარბაზებს არაჩვეულებრივი მრისხანე შესახედაობას ანიჭებს ახლაც შესამჩნევი სამმაგი გალავანი, კიბის ქვეშ სასაკლაოები, წვეტიანი დაკუთხული კოშკები. შემდეგ შედიხარ პალატებში, რომლებშიც მზის სხივი ვალუას დროის სარკმელებიდან აღწევს, მათი ჩარჩოები სპილოს ძვლის წნულებს ჰგავს და ათბობს პარკეტზე გაბნეულ რაფსის მარცვლებს. საბატონები გამოყენებულია კარავანებად. წარწერები საფლავის ქვებზე წაშლილია, მინდორში შენობების გადარჩენილი ნაშთი თავიდან ბოლომდე შეუმოსავს ფათალოს, რომელსაც ქარი არხევს ხოლმე.

მრავალი ნივთის შეძენის სურვილი აღეძვრებოდათ ხოლმე, მაგალითად, კალის ქოთნის, მარგალიტის ბალთის, ფართოზოლიანი ჩითისა, მაგრამ ფული არ ჰქონდათ და თავს იკავებდნენ.

ბედი ეწიათ და შემთხვევით ბალერუელი მკალავის ეზოში გოთური სარკმლის იმხელა ჩარჩო ამოთხარეს, რომ შესაძლებელი გახდა თავიანთი ოთახის ფანჯრის მარჯვენა ნახევრის ადგილას ჩასვათ. შავინიოლის სამრეკლო შორიდან საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა.

გორჟიუმ მათი გატაცება წააქეზა, ძველი კარადის ნაწილებისაგან ტაბლაკი გააკეთა და ამ ფანჯრის ქვეშ დადგა. ეს გატაცება კი ისე ძლიერი იყო, რომ ისეთი ძეგლებიც კი არ ასვენებდათ, რომლებზეც სრულიად არაფერია ცნობილი, მაგალითად, სეზელი ეპისკოპოსების სახლი ქალაქგარეთ.

ბაიეში, ბ-ნ კომონის სიტყვით, ოდესღაც თეატრი იყო. ისინი უშედეგოდ ეძებდნენ იმ ადგილს.

სოფელ მონრესში ერთი მინდორი იმითაა შესანიშნავი, რომ ოდესღაც იქ მედლები იპოვეს. ეგონათ, ჩვენც დიდ რამეს გამოვრჩებითო, მაგრამ დარაჯმა არ შეუშვა.

ასევე წარუმატებლად დასრულდა არხის ძიება, რომელიც ოდესღაც ფალეზის წყალსაცავს კანის გარეუბანთან აერთებდა. ამ არხში ჩაშვებულმა იხვებმა თავი ვიოსელში ამოჰყვეს და აყრან-

ტალდნენ: „ყან, ყან, ყან“, საიდანაც ქალაქის სახელი წარმოსდგა.

ვერავითარი გაჭირვება, ვერავითარი მსხვერპლი მათ ვერ აჩერებდა.

მენილ-ვილემანის ფუნდუკში 1816 წელს ისაუზმა ბ-ნმა გალერონმა და ოთხი სუ გადაიხადა. მათ იქ ისეთივე საჭმელები შეუკვეთეს და გაუკვირდათ, რომ მას შემდეგ თურმე ფასები შეცვლილა!

ვინ იყო წმ. ანას საბატოს დამაარსებელი? არსებობს თუ არა ნათესაობა მეზღვაურ ონფრუასა, რომელმაც XII საუკუნეში ახალი ჯიშის კარტოფილი შემოიტანა, და დაპყრობათა ეპოქაში ჰასტინგსის გუბერნატორ ონფრუას შორის? როგორ ვიშოვოთ ვინმე დიუტრეზორის კომედია ლექსად „ვერაგი პითია“, რომელიც შეთხზულია ბაიეში და ამჟამად დიდ იშვიათობას წარმოადგენს? ლუი XII დროს ჰერამბერ დიუპატიმ ანუ დიუპასტის ჰერამბერმა დაწერა თხზულება, რომელიც არ გამოქვეყნებულა; ეს თხზულება სავსეა ანეკდოტებით არჟანტანზე; ეს ანეკდოტები აუცილებლად უნდა ეშოვათ. სად დაიკარგა ქ-ნ დიუბუა დელა პიერის ხელით ნაწერი მემუარები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ლუი დაპრე, სენ-მარტენის ვიკარი მღვდელი, ლეგლის გამოუქვეყნებელი ისტორიის შედგენისას? ყველა ამ პრობლემის ფაქტის გამორკვევა საყურადღებო იყო.

მაგრამ ხშირად რაიმე შემთხვევითი შენიშვნა იწვევს განუზომელი მნიშვნელობის აღმოჩენას.

და მათ კვლავ გადაიცვეს ხალათები, ვინმეს ეჭვი რომ არ აღძვროდა და ვითომ დამტარებლები იყვნენ, იწყეს კარდაკარ სიარული, ძველი ქაღალდების შეძენა, რასაც დასტობით შოულობდნენ. ეს იყო მოსწავლეთა რვეულები, ანგარიშები, ძველი გაზეთები — სრულიად უსარგებლო ქაღალდები.

ბოლოს ბუვარმა და პეკუშემ ლარსონერს მიმართეს.

იგი ჩაფლული იყო კულტურ სიძველეთა კვლევაში; მათს კითხვებზე მოკლედ უპასუხებდა და თავის მხრივ კითხულობდა:

თქვენს მხარეში ხომ არ გინახავთ ძაღლის თაყვანისცემის კვალი, მონტარჟში რომ გვხვდებაო. ივანობის ღამის დღესასწაულში, საქორწილო წეს-ჩვეულებში, ხალხურ თქმულებებში და სხვ. ხომ არ მოიპოვება განსაკუთრებული რამ ნიშნებიო.

იგი კიდევაც სთხოვდა, შემიგროვეთ რამდენიმე კაჟის ნაჯახი,

ეგრეთ წოდებული celtae, რომელსაც ედრუიდები ხმარობდნენ „დანაშაულებრივი მსხვერპლშეწირვის დროს".

გორჟიუს დახმარებით იშოვეს ერთი დუჟინი ასეთი ნაჯახი, ყველაზე პატარა ლარსონერს გაუგზავნეს, დანარჩენებით კი თავიანთი მუზეუმი გაამდიდრეს.

სიამოვნებით მიმოდიოდნენ ამ მუზეუმში, თვითონ ჰგვიდნენ, ნაცნობებს უყვებოდნენ მასზე.

ერთხელ დღისით ქ-ნი ბორდენი და ბ-ნი მარესკო მოვიდნენ მის დასათვალიერებლად.

ისინი ბუვარმა მიიღო და თავდაპირველად წინკარი აჩვენა.

ძელი სხვა არა იყო რა, თუ არა ძველი ფალეზური სახრჩობელა, მისი გამყიდველი ხურო ამბობდა, ეს პაპაჩემისაგან გამიგონიაო.

დიდი ჯაჭვი, რომელიც დერეფანში ეგდო, წამოღებული იყო ტორტევალის ციხე-დარბაზის დილეგიდან. ნოტარიუსმა შენიშნა, ასეთი ჯაჭვები ბოძკინტებზე ეკიდა ხოლმე საპარადო შესასვლელების წინო, მაგრამ ბუვარი დარწმუნებული იყო, რომ ეს ჯაჭვი ოდესღაც პატიმრებს ედოთ; მან შეაღო პირველი ოთახის კარი.

— რისთვისაა საჭირო კრამიტის ეს ნამტვრევები? — წამოიძახა ქ-ნმა ბორდენმა.

— აბანოს გასათბობად; მაგრამ ნება მიბოძეთ, დავიცვათ ერთგვარი წესრიგი. აქ თქვენს წინაშეა ფუნდუკის ეზოში აღმოჩენილი აკლდამა, რომელსაც სარწყულებად ხმარობდნენ.

შემდეგ ბუვარმა აიღო მიწით სავსე ორი ურნა, რაც მიწა კი არა, ადამიანის ფერფლი იყო, მერე თვალთან მიიტანა ბოთლი, რათა ეჩვენებინა, თუ როგორ იცრემლებოდნენ შიგ რომაელები.

— მაგრამ აქ მხოლოდ ამაზრზენი ნივთები გაქვთ!

მართლაც, ეს მეტად სერიოზული რამ იყო მანდილოსნისათვის. და ბუვარმა ყუთიდან რამდენიმე ცალი სპილენძის მონეტა და ერთი ვერცხლის დენიე ამოიღო.

ქ-ნმა ბორდენმა ნოტარიუსს ჰკითხა, ამჟამად ეს რა თანხას შეადგენდაო.

მარესკოს ხელიდან გაუვარდა ჯავშანი, რომელსაც ათვალიერებდა. ბუვარმა უკმაყოფილება არ შეიმჩნია, თავაზიანადაც კი ჩამოიღო აფთი, დაიხარა, ქუსლები ააბაკუნა, ხელები აღმართა და

ისე ტრიალებდა, თითქოს ცხენს შუაზე აპობსო, თითქოს ებრძოდა და ჰკაფავდა მტერს. ქვრივს იგი ღონიერ კაცად ეჩვენა.

ქალი აღტაცებაში მოიყვანა ნიჟარებიანმა კომოდმა. სენტალიერულმა კატამ ძლიერ გააოცა, გრაფინში ჩადებულმა მსხალმა კი — ნაკლებ. შემდეგ ბუხართან რომ მივიდა, თქვა:

— აჰ, ეს ქუდი შესაკეთებელია!

— სამი ტყვიით არის გახვრეტილი. იგი ყაჩაღთა ბელადის დავით დე ლა ბაზოკისა. გახლდათ, რომელიც გასცეს და ადგილზევე მოკლეს დირექტორიის დროს.

— მით უკეთესი, კარგი უქნიათ, — თქვა ქ-ნმა ბორდენმა.

ექსპონატებს რომ ათვალიერებდა, მარესკო დამცინავად იღიმებოდა. მან არაფრად ჩააგდო ხისლანჩიანი ფეხსაცმელი, ფეხსაცმლის ვაჭარს რომ ოდესღაც აბრად ჰქონდა, და ვერ გაიგო, რა საჭირო იყო ქაშანურის კასრი, სიდრის უბრალო ჭურჭელი. წმ. პეტრეს კი, გულახდილად რომ ითქვას, ლოთის სახე ჰქონდა და უბადრუკ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ქ-ნმა ბორდენმა შენიშნა:

— თქვენ კი ალბათ გვარიან ფასად დაგიჯდათ.

— ოჰ, არც ისე ძვირი. ერთმა ხურომ თხუთმეტ ფრანკად მოგვყიდა.

შემდეგ ქ-ნმა ბორდენმა შეპუდრულპარიკიანი ქალი დაძრახა, მეტისმეტად გულამოჭრილი კაბა აცვიაო.

— ო, ეგ არაფერია, — მიუგო ბუვარმა, — ოღონდ ლამაზი იყოს.

შემდეგ ხმადაბლა დასძინა:

— როგორც, მაგალითად, თქვენი კაბაა.

ნოტარიუსი მათკენ ზურგშექცეული იდგა და კრუამარის ოჯახის გენეალოგიურ შტოს ათვალიერებდა. ქალმა არაფერი უპასუხა, თავისი საათის გრძელი ძეწკვი აათამაშა ხელში. მის მკერდს შავი აბრეშუმის კორსაჟი ამოებურცა, თვალებს ოდნავ ეუტავდა, ნიკაპს ძირს ხრიდა, როგორც მოღუღუნე მტრედი და შემდეგ გულუბრყვილოდ იკითხა:

— რა ერქვა ამ ქალს?

— არავინ იცის. იგი რეგენტის საყვარელი იყო. იცით, ის რეგენტი დიდი ეშმაკი ვინმე გახლდათ.

— მე მგონია, ისტორიის ფურცლები...

ნოტარიუსმა ფრაზა არ დაამთავრა და სინანული გამოთქვა, რომ ვნებათაღელვით შეპყრობილმა სახელმწიფოს მეთაურმა ასეთი მაგალითი მისცა ქვეშევრდომებს.

— მაგრამ თქვენ ყველანი აგეთები ხართ!

მამაკაცებმა პროტესტი განაცხადეს. ამას მოჰყვა საუბარი ქალებზე, სიყვარულზე. მარესკო ამტკიცებდა, ბევრი ბედნიერი ცოლქმრობა არსებობსო; ზოგჯერ კაცმა არც კი იცის, რომ ბედნიერება იქვეა, მის ახლოს. ქარაგმა გასაგები იყო. ქვრივს ღაწვები აუღაღაჟდა, მაგრამ მაშინვე გონს მოვიდა და თქვა:

— ჩვენ განვვლეთ ის ასაკი, როცა სისულელეს სჩადიან, ხომ ასეა, ბ-ნო ბუვარ?

— ხე, ხე, მაგას ჩემს თავზე ვერ ვიტყვი.

მერე ხელი გაუწოდა და მეორე ოთახში გაიყვანა.

— ფრთხილად, აქ საფეხურებია. აი აგრე. ახლა ფანჯარას შეხედეთ.

ფანჯარაზე მხოლოდ წითელ წამოსასხამსა და ანგელოზის ფრთებს თუ გაარჩევდით. სხვას ყველაფერს ფარავდა ტყვიის ფენა, მინის უამრავ ბზარს რომ ამაგრებდა. დღე ილეოდა. ჩრდილები დაგრძელდა, ქ-ნი ბორდენი უფრო დარბაისელი გახდა.

ბუვარი გავიდა და შალის საბანში გახვეული დაბრუნდა, შემდეგ ტაბლაკის წინ დაიჩოქა, იდაყვები გასწია, პირისახეზე ხელები მიიფარა და მელოტი თავი მზეს მიუშვირა. თან დარწმუნებული იყო, რომ შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან იკითხა:

— არ ვგავარ შუასაუკუნეთა ბერს!

შემდეგ თავი ასწია, თვალები დაებინდა, მისტიური გამომეტყველება მიიღო. დერეფანში პეკუშეს საზეიმო ხმა გაისმა:

— არ შეგეშინდეთ, მე ვარ!

თავზე ჩაჩქანი ეხურა: ეს იყო წყვეტილყურებიანი რკინის ქოთანი.

ბუვარი კვლავ დაჩოქილი იყო. ორივე სტუმარი ფეხზე იდგა. ერთ წუთს გაოცებულნი იყვნენ.

პეკუშეს მოეჩვენა, ქ-ნი ბორდენი საკმაოდ მოხიბლული არ არისო, და ჰკითხა, ყველაფერი თუ ნახეთო.

— მგონი, ყველაფერი.

პეკუშემ კედელზე მიუთითა და თქვა:

— ბოდიში, იქ დაიდგმება ნივთი, რომელიც ამჟამად შეკეთების პროცესშია.

ქვრივი და მარესკო გავიდნენ...

მეგობრებმა შეჯიბრობანა მოიგონეს. ცალ-ცალკე აწყობდნენ ექსკურსიებს და ცდილობდნენ ერთმანეთისთვის ეჯობნათ ნივთების მოპოვებაში. პეკუშემ ის იყო ჩაჩქანი იშოვა.

ბუვარმა ეს მიულოცა და სამაგიეროდ, მოისმინა საბნის ქება, რომელსაც მელიმ ზონრები დააკერა და ბერის სამოსლად აქცია. ისინი რიგრიგობით იცვამდნენ ხოლმე მას, როცა სტუმრები ჰყავდათ.

მათ ესტუმრნენ ჟირბალი, ფურო, კაპიტანი ჰერტო, შემდეგ ნაკლებ მნიშვნელოვანი პირები: ლანგლუა, ბელუამბი, ფერმერები და მეზობლების მოსამსახურე ქალებიც კი. და ყოველთვის მეგობრები იმეორებდნენ ხოლმე თავიანთ ახსნა-განმარტებას, უჩვენებდნენ ადგილს, სადაც სკივრი დაიდგმებოდა, თავმდაბლობდნენ და სთხოვდნენ, ნუ დაგვძრახავთ, ოთახები რომ ასე მოჩხრალიაო.

პეკუშე ასეთ დღეებში ზუავის ქუდს ატარებდა, ოდესღაც რომ პარიზში ეყიდა, რადგან ოთახების მხატვრულ მორთულობას ეს უფრო შეეფერებაო. გარკვეულ მომენტში ჩაჩქანს დაიხურავდა და კეფაზე მოიგდებდა, რათა სახე გამოეჩინა. ბუვარი აფთს ატრიალებდა. ბოლოს ერთმანეთს თვალებით შეეკითხებოდნენ, ღირსია თუ არა სტუმარი, რომ „შუა საუკუნეთა ბერი“ ვაჩვენოთო.

რა მღელვარება განიცადეს, როცა მათ ჭიშკართან ბ-ნ დე ფავერეის ეტლი გაჩერდა! მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უნდა ეთქვა მათთვის, სახელდობრ:

— ჩემმა საქმეთა რწმუნებულმა გიუელმა მაცნობა, რომ თქვენ ყველგან ეძებდით დოკუმენტებს და ობრის ფერმაში ძველი ქაღალდები იყიდეთ.

— სავსებით მართალია.

— ხომ არ გინახავთ ანგულემის ჰერცოგის ყოფილი ადიუტანტის, ობრში სტუმრად მყოფ ბარონ დე გონევალის წერილები? ზოგიერთ პირს სურს იქონიოს ეს კორესპონდენცია ოჯახურ მოსაზრებათა გამო.

— ჩვენ ეგ არ გვინახავს, მაგრამ გვაქვს ისეთი ნივთი, რომე-

ლიც დაგაინტერესებთ, თუ ინებებთ და ბიბლიოთეკაში გამოგვყვებით.

დერეფანში ჯერ არასოდეს არ აჭრაჭუნებულა ასეთი ლაქის წაღები. გრაფი წამოედო სარკოფაგს, კინაღამ გატეხა რამდენიმე კრამიტი, სავარძელს გვერდი აუქცია და ორი საფეხური ჩაიარა. მეორე ოთახში რომ შევიდნენ, ბალდახინის ქვეშ, წმ. პეტრეს წინ, აჩვენეს ნორონში გაკეთებული ზეთის ქოთანი.

ბუვარსა და პეკუშეს ეგონათ, თარიღი ხშირად სამსახურს გაგვიწევსო.

გრაფმა ზრდილობის გამო დაათვალიერა მათი მუზეუმი. ივი იმეორებდა: „კარგია! ძლიერ კარგია!“ და მუდამ იცაცუნებდა ტუჩზე ხელსაბიჯგის ტარს; თავის მხრივ მადლობა უთხრა მათ იმის გამო, რომ დაღუპვას გადაარჩინეს ეს ნამუსრევი შუასაუკუნეთა იმ ეპოქისა, როცა რელიგიური რწმენა და რაინდული თავდადება ჰყვაოდა.

— მე მიყვარს პროგრესი და თქვენებრ ხელს მოვკიდებდი ამ საინტერესო საქმეს, მაგრამ პოლიტიკა, სახელმწიფო საბჭო და სოფლის მეურნეობა ამის საშუალებას არ მაძლევენ. თუმც თქვენს შემდეგ ნამუსრევი თუ დარჩება, რადგან მალე თქვენს ხელში აღმოჩნდება დეპარტამენტის მთელი ღირსშესანიშნაობანი.

— თავს არ ვიქებთ, მაგრამ ამის იმედი გვაქვს, — უპასუხა პეკუშემ.

ზოგი რამის აღმოჩენა შავინიოლში კიდევ შეიძლებაო, მაგალითად: სასაფლაოს გალავნის კუთხეში უხსოვარი დროიდან მიწაში ჩაფლული აიაზმის სასხურებელი დგასო.

მეგობრები ძლიერ გაახარა ამ ამბავმა, შემდეგ ერთმანეთს გადახედეს, რაც ნიშნავდა: „ღირს კი?“ მაგრამ გრაფმა კარი უკვე გააღო.

მელი, კარსუკან რომ იმალებოდა, უეცრად გაიქცა.

ეზოში ბატონმა დე ფავრეემა გორუიუ შენიშნა. იგი გულხელდაკრეფილი ჩიბუხს ეწეოდა.

— ეგ ბიჭი თქვენთან მსახურობს? ჰმ, მღელვარების დღეებში მაგას ვერ ვენდობოდი.

და სტუმარი თავის კაბრიოლეტში ჩაჯდა.

რატომ შეეშინდა გრაფისა მოსამსახურე ქალს?

გამოკითხვის შემდეგ შეიტყვეს, რომ მელი მასთან მსახურობდა ფერმაში. ეს სწორედ ის გოგონა იყო, ვინც მათი პირველი სტუმრობის დროს, ამ ორიოდე წლის წინათ, მომკელებს სიდრს ასმევდა.

იგი ციხე-დარბაზში წაიყვანეს და ხელზე მოსამსახურედ, შემდეგ კი „ყალბი დასმენის გამო“ გაადგეს.

რაც შეეხება გორჟიუს, რა შეიძლება მას უძრახო? მარჯვე ბიჭი იყო და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მათ.

მეორე დღეს მეგობრები უთენია წავიდნენ სასაფლაოზე.

ბუვარი ჯოხით შეუდგა ადგილის გამოკვლევას. მაგარმა სხეულმა ხმა გამოსცა. მათ სარეველა ბალახები ამოთხარეს და გამოჩნდა ქვის ლარნაკი, ემბაზი, რომელშიც მცენარეები ხარობდნენ.

მაგრამ არ არსებობს ისეთი ჩვეულება, რომ ემბაზი ეკლესიის კედლებს გარეთ დაფლან.

პეკუშემ მისი ჩანახატი გააკეთა, ბუვარმა კი აღწერა და ეს ყოველივე ლარსონერს გაუგზავნეს.

მისგან პასუხი დაუყოვნებლივ მოვიდა:

„გაგიმარჯვნიათ, ძვირფასო მოძმენო! ეგ უთუოდ დრუიდული ლარნაკია!“

ყოველ შემთხვევაში მოუწოდებდა მათ, ფრთხილად იყავითო. ნაჯახი საეჭვო იყო და, როგორც თავისი, ისე მათი ინტერესებისათვის მრავალ თხზულებაზე მიუთითებდა საკონსულტაციოდ. Post-soriptum-ში იტყობინებოდა, უახლოეს დღეებში მინდა ვნახო თქვენი ლარნაკი ბრეტანში მოგზაურობასთან დაკავშირებითო.

მაშინ ბუვარმა და პეკუშემ კელტურ არქეოლოგიაში ჩარგეს თავი.

ამ მეცნიერების თანახმად, ძველი გალები, ფრანგთა წინაპრები, თაყვანს სცემდნენ კირკსა და კრონს, ტარანისს, ეზუსს, ნეტალემნიას, ცასა და დედამიწას, ქარს; წყალს და ყველაზე მეტად დიდ ტევტატესს, კერპთაყვანისმცემელთათვის სატურნად შერაცხულ ტევტატესს, რადგან სატურნმა, როცა ფინიკიაში მეფობდა, ცოლად შეირთო ნიმფა, სახელად ანობრეტი, რომლისგანაც ეყოლა ვაჟიშვილი იეუდი; ანობრეტი კი სარას წააგავს: იეუდი მსხვერპლად შესწირეს (ან სურდათ შეეწირათ), როგორც ისააკი. ამრიგად, სატურნი აბრამია, აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ გალებისა და იუდეველების სარწმუნოება ერთი წარმოშობისაა.

წინაპართა საზოგადოება ძლიერ კარგად იყო მოწყობილი. პირველ კლასს ეკუთვნოდნენ: ხალხი, მაღალი წოდება და მეფე, მეორეს — კანონმცოდნენი, ხოლო მესამეს, ყველაზე მაღალს, ტაიეპეის მტკიცების თანახმად, „სხვადასხვა ჯურის ფილოსოფოსნი“, ესე იგი დრუიდები ანუ სარონიდები, რომლებიც თავის მხრივ იყოფოდნენ ევბაგებად, მგოსნებად და მისნებად.

ერთნი წინასწარმეტყველებდნენ, მეორენი კი სიმღერებს თხზავდნენ, სხვები ასწავლიდნენ ბოტანიკას, მედიცინას, ისტორიასა და ლიტერატურას, მოკლედ „მთელ მათს თანამედროვე ხელოვნებას“, პითაგორე და პლატონი მათი მოწაფეები იყვნენ. მათ შეასწავლეს ბერძნებს მეტაფიზიკა, სპარსელებს — მისნობა, ეტრუსკებს — მუცლითმეზღაპრეობა, რომაელებს კი — სპილენძის მოკალვა და შაშხის დამზადება.

მაგრამ იმ ხალხისაგან, რომელიც ძველ მსოფლიოში ბატონობდა, დარჩა მხოლოდ ქვები, რომელთაგან ზოგი ცალკე გდია. ზოგი სამ-სამი ერთად, ზოგი კი გალერეის ან კედლის სახით შემორჩენილა.

აღფრთოვანებულმა ბუვარმა და პეკუშემ ზედიზედ შეისწავლეს პოსტის ქვა იუსში, გაორმაგებული ქვა გესტში, დარიეს ქვა ლეგლის მახლობლად და ბევრი სხვა.

ყველა ეს ერთნაირად არასაინტერესო ლოდი მალე მოსწყინდათ და ერთხელ, ქვის სვეტის დთვალიერების შემდეგ, შინ დაბრუნებას აპირებდნენ, რომ მეგზურმა ისინი წიფლის ტყეში წაიყვანა, რომელიც სავსე იყო გრანიტის ლოდებით; ზოგი მათგანი კვარცხლბეკს ჰგავდა, ზოგი ვეება კუს.

მათ შორის ყველაზე დიდი ტაშტივით იყო ამოკოდილი. ერთი ნაპირი აწეული ჰქონდა, ფსკერზე ორი ნახვრეტი ჰქონდა, სისხლის გასასვლელად განკუთვნილი, ეს უეჭველი გახლდათ. ასეთი რამეები შემთხვევით არ წარმოიშობა.

ხეების ფესვები ერთმანეთში გადახლართული იყო ამ დამტვრეული ცოკოლების გარშემო. ჟინჟღლავდა, შორს აჩრდილებივით ბორიალობდნენ ნისლის ნაფლეთები. ადვილი წარმოსადგენი იყო ამ ლიშნარში თეთრად ჩაცმული, ოქროს ტიარებით თავშემკობილი ქურუმები, მსხვერპლად შესაწირავი, ზურგზე ხელებგაკრული ადამიანები, ლარნაკზე თავდახრილი დრუიდი ქალი, წითელ ნაკა-

დულს რომ თვალს ადევნებდა, იქით კი — ციმბირელებისა და ზუბრის რქებისაგან გაკეთებული საყვირების გუგუნზე აღრიალებული ბრბო.

მეგობრებმა სწრაფად მიიღეს გადაწყვეტილება.

ერთხელ, მთვარიან ღამეში სასაფლაოზე წავიდნენ ფეხაკრეფით, ქურდებივით. დარაბები დახურული, ქოხმახები მიყუჩებული იყო; არც ერთი ძაღლი არ ყეფდა.

გორკიუ ახლდათ. მუშაობას შეუდგნენ. მხოლოდ კენჭებზე მოხვედრილი ბარის ჭახუნი ისმოდა.

მკვდართა სიახლოვე არ ესიამოვნებოდათ; კოშკის საათი ხმაურობდა და როზეტი ეკლესიის ფრონტონზე თვალივით უცქეროდა მკრეხელებს. ბოლოს ემბაზი ამოთხარეს და წაიღეს.

მეორე დღეს კვლავ ეწვივნენ სასაფლაოს, რათა თავიანთი ნამოქმედარის კვალი ენახათ.

აბატმა, რომელიც სუფთა ჰაერზე გამოსულიყო, ისინი შინ მიიპატიჟა და, როცა მცირე დარბაზში შევიდნენ, თვალი უცნაურად შეავლო:

ჭურჭლის სადგარზე, თეფშებს შორის იდო ყვითელი თაიგულებით მოხატული საწვნე ჯამი.

პეკუშემ იგი შეაქო, რაკი სათქმელი სხვა არა ჰქონდა რა.

— ეს ძველი რუანული ქაშანურია, — უპასუხა მღვდელმა. — საოჯახო ნივთია. მცოდნენი აფასებენ, განსაკუთრებით მარესკო, მე კი მაგისთანა იშვიათობა არ მიტაცებს.

და რადგან ისინი თითქოს ვერაფერს ხვდებოდნენ, მღვდელმა განაცხადა, ჩემი თვალით დავინახე, ემბაზი როგორ მოიტაცეთო.

ორივე არქეოლოგმა ძლიერ დაირცხვინა და რაღაც წაილუღლუღა.

— ის ნივთი ხომ უხმარად ეგდო!

— სულ ერთია, ვალდებული ხართ დააბრუნოთ!

— რა თქმა უნდა! მაგრამ ნება მოგვეცით მხატვარი მოვიყვანოთ და ემბაზი გადმოვხატოთ.

— აგრე იყოს, ბატონებო.

— ეს ჩვენს შორის დარჩება, ხომ? — უთხრა ბუვარმა. — როგორც აღსარებაზე.

მღვდელმა გაიღიმა და დაამშვიდა.

მათ მღვდლისა კი არა, უფრო ლარსონერისა ეშინოდათ. როცა გავლით შავინიოლში იქნება, თვალი ემბაზზე დარჩება და მისი ლაყბობა მთავრობამდე მიაღწევს. სიფრთხილის გამო ემბაზი ჯერ პურსაცხობში დამალეს, მერე ფანჩატურში, კარავში ერთ-ერთ კარადაში. გორჟიუ მისმა აქეთ-იქით თრევამ დაღალა.

ასეთი ნივთების მოპოვებამ ნორმანდიის კელტურ სიძველეთა შეძენის საღერღელი აუშალა მათ.

ისინი ეგვიპტური წარმოშობის არიან. ორნის დეპარტამენტის სეზს ზოგჯერ საისს უწოდებენ, როგორც ქალაქ დელტის. გალები იფიცებდნენ კამეჩს, ხარის — აპისის მიბაძვით. ბაიეს მცხოვრებთ ლათინური სახელწოდება ბელოკასტი წარმოდგება Beli casa-დან ბელუსის სამყოფელისაგან. ბელუსი და ოზირისი ერთი და იგივე ღვთაებაა.

„სავსებით დასაჯერებელია, — ამბობს მანგუ დელა ლონდი, — რომ ბაიეს მახლობლად დრუიდელი ძეგლები იყო". ეს მხარე, — დასძენს ბ-ნი რუსელი, — იმ ადგილებს ჰგავს, სადაც ეგვიპტელები ტაძარს უგებდნენ იუპიტერ-ამონს". ასე რომ, არსებობდა ტაძარი და შიგ საგანძური იყო. ყველა კელტურ ძეგლს გააჩნია იგი.

1715 წელს, — მოგვახსენებს დონ მარტენი, — ვინმე გერიბელმა ბაიეს მიდამოებში ამოთხარა რამდენიმე თიხის ჭურჭელი, რომლებშიც ძვლები იყო, და გადაწყვიტა, რომ ეს ადგილი, გადმოცემისა და დავიწყებული ავტორიტეტების თანახმად, იყო ნეკროპოლი, ფაუნუსის მთა, სადაც დამარხულია ოქროს ხბო.

.ოქროს ხბო კი დაწვეს, თუ ბიბლია არ ცდება!

უწინარეს ყოვლისა, სად არის ფაუნუსის მთა? ავტორები არ მიუთითებენ, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ამაზე არაფერი არ იციან. საჭიროა გათხრა. და ამ განზრახვით მეგობრებმა ბ-ნ პრეფექტს გაუგზავნეს პეტიცია, რომელსაც პასუხი არ მოჰყოლია.

შესაძლებელია, ფაუნუსის მთა გაქრა და რომ ეს გორა კი არ იყო, არამედ ყორღანი. რას აღნიშნავდნენ ყორღანები?

ბევრი მათგანი შეიცავს ჩონჩხებს, რომლებიც ისე წვანან, როგორც ნაყოფი საშოში. ეს იმას ნიშნავს, რომ აკლდამა მათთვის იყო თითქოს მეორე საშვილოსნო, რომელიც მათ სხვა ცხოვრებისათვის ამზადებდა. ამრიგად, ყორღანი ქალის ასოს, ისე როგორც საფლავის ქვა მამაკაცის ორგანოს, სიმბოლოა.

მართლაც, ყველგან, სადაც დრუიდების ქვები შემონახულია, შენარჩუნებულია უშვერი კულტი, ამას ადასტურებს ის, რაც ხდებოდა გერანდში, შიშბუშში, კრუაზიკსა და ლივაროში. ოდესღაც კოშკები, პირამიდები, სანთლები, გზისპირა სვეტები და ხეებიც კი ფალოსს აღნიშნავდა და ბუვარისა და პეკუშესათვის ყველაფერი ფალოსად იქცა. ისინი აგროვებდნენ კარეტის ლილვებს, სავარძლის ფეხებს, შურდულებს, აფთიაქის სანაყებს. თავიანთ სტუმრებს ეკითხებოდნენ:

— თქვენი აზრით, ეს რასა ჰგავს?

შემდეგ უმხელდნენ საიდუმლოებას და, თუ მათი არ სჯეროდათ, სიბრალულით მხრებს იჩეჩავდნენ ხოლმე.

ერთხელ, საღამოს, როცა ისინი დრუიდების მოძღვრებაზე მსჯელობდნენ, მღვდელი ეწვიათ.

დაუყოვნებლივ წაიყვანეს მუზეუმის დასათვალიერებლად და სარკმლიდან დაიწყეს, მაგრამ ერთი სული ჰქონდათ ფალოსების ახალი განყოფილება ეჩვენებინათ. მღვდელმა ისინი შეაჩერა, რადგან ეს გამოფენა უღირსად მიიჩნია. იგი მოვიდა, რათა ემბაზი მოეთხოვა.

ბუვარი და პეკუშე ევედრებოდნენ, ორი კვირა კიდევ გვაცალეთ, რომ პირი ჩამოვასხმევინოთო.

— სჯობს არ დააყოვნოთ, — უთხრა აბატმა.

შემდეგ სხვა ამბებზე დაიწყო ლაპარაკი.

პეკუშემ, წუთით რომ სადღაც გავიდა, მღვდელს მუჭში ნაპოლეონდორი ჩაუდო.

მღვდელი განზე გავარდა.

— აჰ, თქვენი ღარიბებისათვის!

ბ-ნი ჟეფრუა წამოწითლდა და ფული ჯიბეში ჩაიდო.

„დავუბრუნოთ ლარნაკი, მსხვერპლშეწირვის ლარნაკი! არავითარ შემთხვევაში!“

მათ ისიც კი სურდათ, რომ შეესწავლათ ძველი ებრაული ენა, რომელიც კელტური ენის მამამთავარი იყო, თუკი მისგან არ წარმომდგარა. აპირებდნენ ემოგზაურათ ბრეტანში და დაეწყოთ რენიდან, სადაც ლარსონერს უნდა შეხვედროდნენ იმ ურნის შესასწავლად, კელტური აკადემიის მემუარებში რომ არის მოხსენიებული და ალბათ დედოფალ არტემიზას ნეშტს შეიცავს. მაგრამ ამ დროს

შემოვიდა მერი, მოურიდებლად, ქუდმოუხდელი, როგორც ასეთი უხეში კაცისაგან იყო მოსალოდნელი.

—ეს რასა ჰგავს, ჩემო კარგებო! ის უნდა დააბრუნოთ!

— რა?

— ცუღლუტებო! ვიცი, რომ დამალული გაქვთ.

ისინი ვიღაცამ გასცა.

მათ უპასუხეს, ის ჩვენ მოძღვრის ნებართვით გვაქვსო.

— მაგასაც ვნახავთ.

და ფურო წავიდა.

იგი ერთი სათის შემდეგ დაბრუნდა.

— მღვდელი უარყოფს! ამიხსენით!

ისინი თავისას არ იშლიდნენ.

— უწინარეს ყოვლისა, ეს ემბაზი არავის არ უნდა, რადგან სულაც არ არის ემბაზი! ეს შეიძლება დამტკიცდეს ბევრი მეცნიერული საბუთით.

შემდეგ შესთავაზეს, ანდერძში მოვიხსენიებთ, რომ იგი მრევლს ეკუთვნისო.

ისინი მზად იყვნენ კიდევაც ეყიდათ იგი.

— თანაც ეს ჩემი ნივთია! — იმეორებდა პეკუშე. — ოცი ფრანკი, რაც ბ-ნმა ეეფრუამ მიიღო, გარიგების დასტურია, ხოლო თუ მომრიგებელი მოსამართლის წინაშე პასუხისგება მომიხდა, მით უარესი, სიცრუეზე დავიფიცებ.

ამ დავის დროს მან რამდენჯერმე გაიხსენა მღვდლის საწვნე ჯამი და მძაფრი სურვილი დაებადა შეეძინა ეს ქაშანური.

— მომეცით ის ჯამი და ემბაზს დაგიბრუნებთ, თუ არადა — არავითარ შემთხვევაში.

ბ-ნმა ეეფრუამ ჯამი დაუთმო, ალბათ დაიღალა ან აურზაურს მოერიდა. ამ ჯამმა მათს კოლექციაში ქალაქ კოში მოპოვებული ჩაჩის გვერდით დაიკავა ადგილი. ემბაზმა კი ეკლესიის კარიბჭე დაამშვენა, მისი დაკარგვის შემდეგ თავი იმით ინუგეშეს, რომ შავინიოლის მცხოვრებლებმა მისი ფასი არ იციანო.

საწვნე ჯამმა ინტერესი გააღვიძა ქაშანურისადმი; ეს იყო ახალი ნივთი, რაც შესწავლასა და მიდამოების დაზვერვას მოითხოვდა.

იმ ხანებში გემოვნების მქონე ადამიანები ძველ რუანულ ხონჩებს ეტანებოდნენ. ნოტარიუსს რამდენმიე ცალი ჰქონდა. ეს თით-

ქოს მხატვრის რეპუტაციას უხვეჭდა, რაც საძრახისი იყო მისი პროფესიისათვის, მაგრამ მისატევებელი მისი ხასიათის სერიოზულობის გამო.

როცა შეიტყო, ბუვარმა და პეკუშემ საწვნე ჯამი შეიძინესო, მოვიდა, რაიმეში თუ გამიცვლითო.

პეკუშემ უარი უთხრა.

— რა გაეწყობა, თუ არ გინდათ.

და მარესკომ მათი კერამიკა დაათვალიერა.

კედელზე დაკიდებული ყველა ნივთი ლურჯი ფერისა იყო ჭუჭყიან-თეთრ ფონზე. მხოლოდ მწვანედ და ალისფრად იყო იქ წვერსაპარსი ტაშტი, თეფშები და საჭიქეები, ნივთები, რომლებსაც დიდხანს უთვალთვალებდნენ და შინ გულში ჩახუტებული, კალთასამოფარებული მიჰქონდათ ხოლმე.

მარესკომ კოლექცია მოიწონა, სიტყვა ჩამოაგდო ესპანურ — არაბულ, ჰოლანდიურ, ინგლისურ, იტალიურ ქაშანურზე და თავისი ერუდიციით გააოცა ისინი.

— შეიძლება ერთხელ კიდევ შევავლო თვალი თქვენს საწვნე ჯამს?

ზედ თითები დააკაკუნა, მერე მის სახურავზე დახატულ ორ ასო s-ს დააკვირდა.

— რუანის მარკაა, — უთხრა პეკუშემ.

— ოჰ, ოჰ! რუანს, სიმართლე რომ ვთქვათ, მარკა არც ჰქონია. როცა მუტიე არ იყო ცნობილი, ყველა ფრანგული ნაკეთობა ნეველრიდან გამოდიოდა. როგორც ახლა რუანიდან! ამასთან მის იმიტაციას ჩინებულად აკეთებენ ელბეფში.

— შეუძლებელია!

— მაიოლიკა კარგად ეგუება იმიტაციას. თქვენი ეგზემპლარი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და კინაღამ გვარიანი სისულელე ჩავიდინე!

როცა ნოტარიუსი წავიდა, პეკუშე უღონოდ ჩაიკეცა საავარძელში:

— ემბაზი არ უნდა დაგვებრუნებინა, — უთხრა ბუვარმა, — მაგრამ შენ მუდამ ეგრე იცი გატაცება! ყველაფერი უნდა გადაამლაშო!

— დიახ, გატაცება მჩვევია!

საწვნე ჯამს ხელი დაავლო და ისე ისროლა, რომ სარკოფაგთან დავარდა.

უფრო მშვიდმა ბუვარმა ნამსხვრევები აკრიფა. ცოტა ხნის შემდეგ თავში ასეთი ფიქრი მოუვიდა:

— მარესკოს შეეძლო შურით დაეცინა ჩემთვის!

— როგორ?

— მე სრულიადაც არ მიმაჩნია დამტკიცებულად, რომ საწვნე ჯამი ნაყალბევია. შესაძლებელია ნაყალბევი იყოს სხვა ნივთები, რომლებითაც, თუ მის ქცევას დავუჯერებთ, იგი აღტაცებული იყო.

და დღემ ყოყმანში, სინანულში განვლო.

ამის გამო როდი აპირებდნენ გადაედოთ ბრეტანში მოგზაურობა. იმასაც ფიქრობდნენ, გორეიუც წაეიყვანოთ, გათხრების დროს დაგვეხმარებაო.

ერთი ხანი იყო, იგი მათთან ათევდა ღამეს, სკივრს მალე შევაკეთებო. გამგზავრების პერსპექტივა მას არ ახარებდა და ერთხელ, როცა ისინი მენჰირებსა და ყორღანებზე ლაპარაკობდნენ, რომელთა ნახვის იმედი ჰქონდათ, მან უთხრა:

— მე უკეთესი ადგილები ვიცი; სამხრეთ ალჟირში, ბუ-მურსუგის წყაროების ახლოს, მაგისთანა რამეს შეიძლება ბევრს წააწყდეთ.

მან კიდევაც აუწერა ერთი აკლდამა, რომელიც შემთხვევით აღმოაჩინეს მისი თანდასწრებით; მასში ნახეს მაიმუნივით დაყუნცული ჩონჩხი, მუხლებზე ხელები ჰქონდა შემოხვეული.

ლარსონერმა არ დაიჯერა, როცა ასეთი ფაქტი აცნობეს.

ბუვარმა თემა გააღრმავა და იგი გააღიზიანა.

რით ავხსნათ გალების ძეგლების უფორმობა, თუკი ეს გალები იულიუს კეისრის დროს ცივილიზებული ხალხი იყო? ცხადია, ეს ძეგლები სხვა უფრო ძველი ხალხისაა.

ასეთი ჰიპოთეზა, ლარსონერის აზრით, პატრიოტიზმის უქონლობას მოასწავებდა.

სულერთია. არ არსებობს არავითარი საბუთი, რომ ეს ძეგლები გალების შექმნილია. „გვიჩვენეთ რომელიმე ტექსტი!“

აკადემიკოსი გაჯავრდა, აღარაფერი უპასუხა, ეს მათ კიდეც გაეხარდათ, იმდენად მოაბეზრეს თავი დრუიდებმა.

ისინი რომ კერამიკასა და კულტურ სიძველეებში ვერ ერკვე-

ოდნენ, აიხსნებოდა ისტორიის, კერძოდ, საფრანგეთის ისტორიის უცოდინარობით.

ბიბლიოთეკაში ჰქონდათ ანკეტილის თხზულება, მაგრამ ზარმაცმა მეფეებმა ისინი ვერ დააინტერესეს. კარის დიდებულთა ვერაგობამ სრულიად ვერ აღაშფოთა და, უაზრო მსჯელობებით გაბეზრებულმა მეგობრებმა ანკეტილი მიატოვეს.

მაშინ დიუმუშელს ჰკითხეს: რომელია საფრანგეთის ყველაზე უკეთესი ისტორიაო.

დიუმუშელმა მათს სახელზე სამკითხველო დარბაზში აბონემენტი აიღო და ოგიუსტენ ტიერის წერილები და ჟენუდის ორი ტომი გამოგზავნა.

ამ მწერლის აზრით, მეფის ხელისუფლება, სარწმუნოება და ეროვნული კრება, — აი ფრანგი ერის „ძირები", რაც მეროვინგების დროიდან მოდის. კაროლინგებმა იგი უარყვეს. კაპეტინგები ხალხთან ერთად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ იგი. ლუი XIII დროს დამყარდა აბსოლუტური ხელისუფლება, რათა დაეძლიათ ფეოდალიზმის უკანასკნელი გაბრძოლება — პროტესტანტიზმი, ხოლო 89-ე წელი წინაპართა კონსტიტუციის დაბრუნებაა.

პეკუშე აღტაცებული იყო ავტორის იდეებით.

ბუვარმა, რომელმაც ჯერ ოგიუსტენ ტიერის წერილები წაიკითხა, ჟენუდის აზრი აითვალწუნა.

— რას ლაყბობ მანდ შენს ფრანგ ერზე, თუ არც საფრანგეთი არსებობდა და არც ეროვნული კრება! კაროლინგებს არავითარი უზურპაცია არ მოუხდენიათ! მეფეებს კი კომუნები არ გაუთავისუფლებიათ! აგერ წაიკითხე!

პეკუშე დაეთანხმა და მალე კიდევაც გადააჭარბა ბუვარს მეცნიერულ სიმტკიცეში. იგი თავლაფდასხმად მიიჩნევდა წარმოეთქვა შარლემანი კარლ დიდის ნაცვლად ან კლოვისი კლოდვიგის ნაცვლად.

მიუხედავად ამისა, გატაცებული იყო ჟენუდით, რადგან წარმატებად მიაჩნდა საფრანგეთის ისტორიის დასაწყისის და დასასრულის ისეთი შეერთება, რომ შუაში რაღაც სიცარიელე რჩებოდა, და, რაკი ყველა საკითხის ამოწურვა სურდათ, ბუშესა და რუს კრებულებს მიმართეს.

მაგრამ შესავლის პათოსმა, სოციალიზმისა და კათოლიციზმის

ამ ნაზავმა, ზიზღი გამოიწვია; მეტად ბევრი დაწვრილებითი ცნობა ხელს უშლიდა საერთო სურათის დანახვას.

მაშინ ტიერს მიმართეს.

ეს იყო 1845 წლის ზაფხულში, ბაღის ფანჩატურში. პეკუშეს ფეხქვეშ პატარა სკამი ედგა და თავისი სამარისეული ხმით კითხულობდა დაუღალავად, მხოლოდ იმისათვის თუ გაჩერდებოდა, რომ ცხვირში ბურნუთი შეეყარა. პირში ჩიბუხგაჩრილი უსმენდა ბუვარი, მუხლები გაეშალა, შარვლის ზემო ღილები შეხსნილი ჰქონდა.

მოხუცებისაგან გაგონილი ჰქონდათ 93 წლის ამბები და თითქმის პირადი მოგონებანი აცოცხლებდნენ ავტორის მოსაწყენ თხრობას. იმ დროს დიდი გზები სავსე იყო ჯარისკაცებით, რომლებიც მარსელიეზას მღეროდნენ. ზოგჯერ გაივლიდა წითელქუდიანთა ბრბო და შუბზე წამოცმულ გაფითრებულ, თმაგაწეწილ თავს გაატარებდა. მტვრის კორიანტელი ეხვია გარს მაღალ ტრიბუნას კონვენტში, სადაც გააფთრებულსახიანი ადამიანები მკვლელობისაკენ მოუწოდებდნენ. ტიუილრის აუზის ახლოს, დღისით-მზისით, გაისმოდა გილიოტინის კაკუნი, თითქოს ურროს ურტყამენო.

ქარი კი არხევდა ტალავრის მტევნებს; ლივლივებდა მწიფე ქერი, უსტვენდა შაშვი. ისინი გარემოს ათვალიერებდნენ და ამ სიმშვიდით ტკბებოდნენ.

რა სამწუხაროა, რომ თავიდანვე არ მოხერხდა შეთანხმება! როიალისტებს რომ პატრიოტებივით ემსჯელათ, მეფის კარს რომ მეტი გულახდილობა გამოეჩინა, მის მოწინააღმდეგეებს კი ნაკლები მძვინვარება, ბევრი უბედურება აღარ მოხდებოდა.

ამაზე ლაყბობით თავს ირთობდნენ. თავისუფლად მოაზროვნე ბუვარი ემხრობოდა კონსტიტუციას, ჟირონდას, თერმიდორს; გულღვარძლიანი პეკუშე კი — ძლიერ ხელისუფლებას, თავი სანკვილოტად და რობესპიერისტადაც კი გამოაცხადა.

მოიწონა მეფის სიკვდილით დასჯა, ყველაზე სასტიკი დეკრეტები, უზენაესი არსების კულტი. ბუვარი ამჯობინებდა ბუნების თაყვანისცემას, სიამით მიესალმებოდა ტანსავსე ქალს, რომლის ძუძუები წყალს კი არა შამბერტენს ასხურებდა თავის თაყვანისმცემლებს.

რაკი სურდათ თავიანთი აზრები მეტი ფაქტებით დაედასტურებინათ, მათ იშოვეს აგრეთვე მონგაიარის, პრიუდომის, გალუას,

ლაკრეტლისა და სხვათა თხზულებანი და ამ წიგნებს შორის არსებული უთანხმოებანი სრულიადაც არ აწუხებდათ. ამ წიგნებიდან თითოეული მათგანი ითვისებდა იმას, რაც თავის შეხედულებათა დასაცავად გამოადგებოდა.

მაგალითად, ბუვარს არ ეეჭვებოდა, რომ დანტონი ას ათას ეკიუდ დათანხმდა წარედგინა რესპუბლიკისათვის დამღუპველი კანონპროექტები, ხოლო პეკუშე ამტკიცებდა, თითქოს ვერნიომ ამისათვის თვეში ექვსი ათასი ფრანკი მოითხოვა.

— არასოდეს! უმჯობესია ამიხსნა, რისთვის იღებდა რობესპიერის დაი პენსიას ლუი მეთვრამეტისაგან?

— იმისაგან კი არა, ბონაპარტისაგან იღებდა, და თუ შენ მასზე ასეთი აზრისა ხარ, ერთი მითხარი, ვინ ინახულა საიდუმლოდ პრინცი ეგალიტე სიკვდილით დასჯამდე ცოტა ხნით ადრე? მე მოვითხოვ, რომ ქ-ნ კამპანის მემუარებში აღდგენილ იქნეს გამოტოვებული ადგილები! დოფინის სიკვდილი მე საეჭვოდ მიმაჩნია. დენთის საწყობის აფეთქებამ გრენელში ორი ათასი კაცი იმსხვერპლა, ამბობენ, მიზეზი არავინ იცისო, რა სისულელეა!

პეკუშე ხომ ხვდებოდა და ყველა დანაშაულს არისტოკრატების ხრიკებით, უცხოეთის ოქროს მონაწილეობით ხსნიდა.

ბუვარის წარმოდგენაში „წმიდა ლუის ნაშიერნო, ამაღლდით ზეცას“, ვერდენის ქალწულნი და ადამიანის ტყავის ნიფხვები უდავო ფაქტი იყო. იგი ეთანხმებოდა პრიუდომის სიებს: — ზუსტად ერთი მილიონი მსხვერპლი.

მაგრამ სომიურიდან ნანტამდე თვრამეტ მილზე სისხლით შეღებილმა ლუარამ ბუვარს ეჭვი აღუძრა. ასეთი ეჭვი დაებადა აგრეთვე პეკუშეს და უკვე უნდობლად მოეკიდნენ ისტორიკოსებს.

რევოლუცია ზოგიერთი ისტორიკოსისათვის ეშმაკის მოგონილია, ზოგისთვის კი დიდებული ანომალიაა. ორივე მხრიდან მსხვერპლი, რა თქმა უნდა, მოწამეა.

როცა ტიერი ბარბაროსებზე ლაპარაკობს, გვიჩვენებს, რა სისულელეა იმის ძიება, კარგი იყო თუ ცუდი ესა თუ ის მმართველი. რატომ არ შეიძლება იგივე მეთოდი გამოვიყენოთ ჩვენთვის ყველაზე ახლო ეპოქების გამოკვლევის დროს? მაგრამ ისტორიამ შური უნდა იძიოს მორალისათვის. ტაციტს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ტიბერიოსს აკნინებდა. ბოლოს და ბოლოს, ჰყავდა თუ არა დედო-

ფალს საუვარლები, უკვე ვალმის ბრძოლის დროს აპირებდა თუ არა ღალატს დიუმურიე, პრერიალში პირველმა ვინ დაიწყო, მთამ თუ ჟირონდამ, ხოლო თერმიდორში — იაკობინელებმა თუ ჭაობმა, რა მნიშვნელობა აქვს ამას რევოლუციისათვის, რომლის მიზეზები ღრმაა, შედეგები კი უთვალავი?

რა თქმა უნდა, უნდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა, მაგრამ ერთი წარმოიდგინეთ, რომ მეფეს მოეხერხებინა დაუბრკოლებლად გაქცევა, რომ რობესპიერი დამალულიყო ან ბონაპარტე მოეკლათ, ასეთი შემთხვევები კი დამოკიდებული იყო რომელიმე სასტუმროს პატრონის კეთილსინდისიერებაზე, ღიად დარჩენილ კარზე, დაძინებულ დარაჯზე, და ისტორიის მსვლელობა სულ სხვანაირი იქნებოდა.

მეგობრებს ამ ეპოქის ადამიანებსა და მოვლენებზე აღარ შერჩათ არც ერთი ნათელი აზრი.

ეპოქის მიუკერძოებლად განსჯისათვის საჭირო იყო წაეკითხათ ყველა ისტორიული წიგნი, ყველა მემუარი, ყველა გაზეთი და ყველა წერილობითი დოკუმენტი, რადგან თვით უმცირესი ხარვეზი გამოიწვევს შეცდომას, რომელსაც სხვა შეცდომა მოჰყვება და ასე დაუსრულებლად. ამაზე მათ უარი თქვეს.

მაგრამ დაებადათ მისწრაფება ისტორიისადმი, უცილობელი ჭეშმარიტების მოთხოვნილება.

იქნებ მისი დადგენა უფრო ადვილი იყოს ძველ საუკუნეებში? აღსაწერ მოვლენებს დაშორებული მწერლები მათზე მიუკერძოებლად უნდა ლაპარაკობდნენ; და მათ კეთილი როლენით დაიწყეს.

— რა აჯაფსანდალია! — წამოიძახა ბუვარმა პირველი თავის წაკითხვისთანავე.

— ცოტა მოიცა, — უთხრა პეკუშემ, რომელიც რაღაცას ეძებდა წიგნის კარადის ქვემო თაროებში, სადაც ეწყო მამულის ძველი პატრონის, ყოფილი იურისტის, მანიაკისა და ოხუნჯის წიგნები.

ბევრი რომანი და თეატრალური ნაწარმოები, აგრეთვე მონტესკიეს ტომები და ჰორაციუსის თარგმანები რომ გადაქექა, ნახა, რასაც ეძებდა — ბოფორის თხზულებანი რომის ისტორიის შესახებ.

ტიტუს-ლივიუსი რომის დაარსებას მიაწერს რომულუსს, სალუსტი კი — ენეის ტროელებს, კორიოლანოსი ფაბიუს პიქტორის

ცნობით დევნილობაში მოკვდა, თუ დიონისოს დავუჯერებთ ატიუს ტულუსი ხრიკებმა იმსხვერპლა. სენეკა ამტკიცებს, ჰორაციუს კოკლესი გამარჯვებული დაბრუნდაო, დიონი კი ამბობს, ფეხში დაჭრილი იყოო. ხოლო ლა მოტ ლე ვაიე ასეთსავე ეპვებს გამოთქვამს, როცა სხვა ხალხზე ლაპარაკობს.

არ არსებობს ერთნაირი აზრი ქალდეველების სიძველეზე, ჰომეროსის დროზე, ზოროასტრისა და ორი ასურული სამეფოს არსებობაზე. კვინტ კურსი ივავ-არაკებს ეხზავდა. პლუტარქე ჰეროდოტეს ამტყუნებს. სულ სხვანაირი წარმოდგენა გვექნებოდა კეისარზე, ვერსინგეტორიქსი რომ მისი კომენტარების ავტორი ყოფილიყო.

ძველი ისტორია ბუნდოვანია წყაროების ნაკლებობის გამო, ახალ ისტორიას კი ისინი ჭარბად მოეპოვება. ამიტომ ბუვარი და პეკუშე საფრანგეთს დაუბრუნდნენ და სიმონდის კითხვა დაიწყეს.

მათ სურდათ დედანში წაეკითხათ გრიგოლ ტურგლის, მონსტრელეს, კომინის და ყველა იმათი ნაწერები, ვისი სახელიც უცნაურად ან საამურად გაისმოდა.

მაგრამ მოვლენები ერთმანეთში ეხლართებოდათ, რადგან ქრონოლოგია არ იცოდნენ.

საბედნიეროდ, მათ ჰქონდათ დიუმუშელის მგნემონიკა, წიგნი in 12°, ასეთი ეპიგრაფით: „გართობით ასწავლე“.

იგი შეიცავდა სამ სისტემას: ალევის, პარისა და ფენეგლის სისტემებს.

ალევი ციფრებს გარდაქმნის ფიგურებად, ამასთან 1-ს გამოხატავს კოშკი, 2-ს ფრინველი, 3-ს აქლემი და ასე შემდეგ. პარი გვაოცებს რებუსებით: სავარძელი, რომელიც მორთულია ხრახნიანი ლურსმნებით, ნიშნავს კლოვისს (clous), (vis) და რაკი ზეთი ან კარაქი ტაფაზე მოხრაკვისას გამოსცემს ხმას „რიკ, რიკ“, ტაფაზე დადებული მერლანები მოგვაგონებენ ჰილპერიკს. ფენგელი მსოფლიოს ჰყოფს სახლებად, რომლებიც შეიცავენ ოთახებს, აქედან თითოეულში ოთხი კედელია, თითოეულ კედელში ცხრა იაქთაღი და თითოეულ იაქთაღზე თითო ემბლემაა. ამრიგად, პირველი დინასტიის პირველი მეფე პირველ ოთახში დაიკავებს პირველ იაქთაღს, კანდელი (pbare) მთაზე (mont) აღნიშნავს, რომ მას ერქვა ფარამუნდი, ყოველივე ეს პარის სისტემის მიხედვით, ხოლო ალე-

ვის სისტემით, თუ ზემოთ მოვათავსებთ სარკეს, რაც ნიშნავს 4-ს, ფრინველს — 2 და რკალს — 0, მაშინ მივიღებთ 420, ამ მეფის ტახტზე ასვლის თარიღს.

უფრო მეტი სიცხადისათვის მათ მნემონიკის საფუძვლად აიღეს თავიანთი სახლი, თავიანთი სამყოფელი და თითოეულ მის ნაწილს დაუკავშირეს განსაკუთრებული მოვლენა და ეზოს, ბაღს, მიდამოებს, მთელ მხარეს მათთვის ამიერიდან მხოლოდ ის აზრი ჰქონდა, რომ ხელს უწყობდა მხოლოდ მეხსიერებას.

სამანები მინდვრებში განსაზღვრავდნენ გარკვეულ ეპოქებს, ვაშლის ხეები იყო გენეალოგიური შტო, ბუჩქები — ბრძოლა, სამყარო სიმბოლო გახდა. კედლებზე მრავალ არარსებულ ნივთს ეძებდნენ, ბოლოს და ბოლოს დაინახავდნენ, მაგრამ უკვე აღარ იცოდნენ, რომელ წლებს აღნიშნავდნენ ისინი.

თანაც ქრონოლოგია ყოველთვის სარწმუნო როდია. სკოლის სახელმძღვანელოდან შეიტყვეს, რომ იესო დაიბადა ამა და ამ წელს კი არა, ხუთი წლით ადრე; რომ ბერძნებს სამი საშუალება ჰქონდათ ოლიმპიადის გამოსაანგარიშებლად, რომაელებს კი რვა ხერხი წლის დასაწყისის დასადგენად. მაშასადამე, რამდენი ყოფილა შეცდომის წყარო, გარდა იმისა, რასაც ზოდიაკები, ეპოქები და სხვადასხვა კალენდრები იწვევენ.

და თუ დასაწყისში წლებს დაუდევრად ეპყრობოდნენ, ბოლოს ფაქტების მიმართ აგდებული დამოკიდებულება შეექმნათ.

აი ისტორიის ფილოსოფია მართლაც არსებითია!

ბუვარმა ბოლომდე ვერ წაიკითხა ბოსიუეს შესანიშნავი სიტყვა.

— მოს ორბი ოხუნჯია! ავიწყდება ჩინეთი, ინდოეთი და ამერიკა. მაგრამ გულმოდგინედ გვაუწყებს, რომ თეოდოსი „მსოფლიოს სიხარული“ იყო, რომ აბრაამი, „მეფეთა ტოლი“ იყო, რომ ბერძნების ფილოსოფია ებრაელებიდან მოდის. მისი ინტერესი ებრაელებისადმი მაღიზიანებს.

პეკუშემ ეს აზრი გაიზიარა და ბუვარს ურჩია, ვიკო იკითხეო.

— განა შეიძლება, — ეწინააღმდეგებოდა ბუვარი, — რომ არაკები უფრო სწორი აღმოჩნდეს, ვიდრე ისტორიკოსთა სიმართლე?

პეკუშე შეეცადა მითები აეხსნა და Scienza Nuova-ში ჩაეფლო.

— ხომ ვერ უარყოფ, რომ განგებას გეგმა აქვს?

— ის გეგმა ჩემთვის უცნობია, — უპასუხა ბუვარმა.

და გადაწყვიტეს, ამაში დიუმუშელს ვენდოთო.

პროფესორი გამოტყდა, ახლა ისტორიაში თავგზა ამებნაო.

— ისტორია დღითი დღე იცვლება, საეჭვო ხდება რომაელთა მეფეები და პითაგორეს მოგზაურობანი. აბიაბრუებენ ველიზარს, ვილჰელმ ტელს და სიდსაც კი, რომელიც, უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად, პირწმინდა ყაჩაღი აღმოჩნდა. უნდა ვისურვოთ, რომ აღმოჩენები აღარ ხდებოდეს, ინსტიტუტმა კი დააწესოს ერთგვარი კანონი, რომლის თანახმადაც დადგენილ იქნება, რას უნდა ვერწმუნოთ.

Post — scriptum-ში მან მოიყვანა კრიტიკის წესები, რომლებიც ამოღებული იყო დონუს კურსიდან:

„მასების დამოწმება, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, ცუდი საბუთია; მასები იმიტომ როდი არსებობენ, რომ დაადასტურონ.

„უნდა უარვყოთ შეუძლებელი. მაგალითად, იმის მტკიცება, თითქოს პავზანიუს ენახოს ქვა, რომელიც სატურნმა გადაყლაპა.

„არქიტექტურას შეუძლია იცრუოს, ამის მაგალითია კამარა ფორუმზე, სადაც ტიტუსი დასახელებულია იერუსალიმის პირველ დამპყრობად, რომელიც მასზე ადრე პომპეუსმა აიღო.

„მედლებს ზოგჯერ შეცდომაში შევყავართ. კარლ IX დროს მოჭრილი იყო მონეტები, რომლებზეც გამოსახულია ჰენრი II.

„ანგარიში უნდა გაეწიოს ყალბისმქნელთა ხერხიანობას და დამცველთა და ცილისმწამებელთა მიკერძოებას“.

ცოტა ისტორიკოსი მუშაობდა ამ წესების თანახმად, ყველა ხელმძღვანელობდა რელიგიის, ერის, პარტიის, დოქტრინის ინტერესებით ანდა სურვილით, ეძაგებინათ მეფეები, ემოძღვრათ ხალხი, ეჩვენებინათ ზნეობრივი სიწმინდის მაგალითები.

მათზე უკეთესნი არც სხვები არიან, ვინც მხოლოდ მთხრობელის როლს იჩემებს, იმიტომ რომ ყველაფერს ვერ მოჰყვები, საჭიროა შეარჩიო. მაგრამ დოკუმენტების ამორჩევა მოხდება მუდამ გარკვეული მიმართულებით და, რადგან იგი სხვადასხვაგვარია მწერლის მდგომარეობის მიხედვით, ისტორიას არასოდეს არ ექნება მტკიცე საფუძველი.

„ეს სავალალოა“, — ფიქრობდნენ მეგობრები.

თუმცა შეიძლებოდა აეღოთ რომელიმე სიუჟეტი, ამოეწურათ წყაროები, სათანადოდ შეესწავლათ ისინი, მერე შეეკრათ მოთხრობად, რაც ჭეშმარიტების მთელი მოცულობით ამსახველი ერთგვარი ცნობა იქნებოდა. ასეთი ნაშრომის შექმნა პეკუშეს შესაძლებლად მიაჩნდა.

— გინდა, ვსინჯოთ და შევადგინოთ რაიმე ისტორია?

— უკეთესს რას მოვიმოქმედებთ! მაგრამ როგორი?

— მართლაც როგორი?

ბუვარი დაჯდა, პეკუშე ბოლთას სცემდა მუზეუმში. როცა ერბოს ქოთანს თვალი მოჰკრა, უეცრად შეჩერდა.

— ანგულემის ჰერცოგის ბიოგრაფია ხომ არ დავწეროთ?

— ის ხომ ერთი ყეყეჩი ვინმე იყო! — შეესიტყვა ბუვარი.

— არაფერია! მეორეხარისხოვან პირებს ზოგჯერ უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლიათ, ამ კაცს კი ხელში შესაძლებელია, მოვლენათა სადავე ეპყრა.

მეგობრებს შეეძლოთ წიგნებში ამოეკითხათ ცნობები. ბ-ნ ფავერესაც ალბათ აქვს ასეთი წიგნები, როგორც საკუთარი, ისე მისი მეგობარი ძველი აზნაურებისაგან მიღებული.

მათ მოიფიქრეს ეს პროექტი, განიხილეს და, ბოლოს, გადაწყვიტეს ორი კვირა გაეტარებინათ კანის მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში, რათა მასალები შეეგროვებინათ.

ბიბლიოთეკის გამგემ მათ გადასცა ზოგადი ისტორიის წიგნები, ბროშურები და ფერადი ლითოგრაფია, რომელიც ანგულემის ჰერცოგს ნახევარი პროფილით გამოსახავდა.

ლურჯი მაუდის მუნდირი დაფარული იყო სამხრულებით, ორდენებით და საპატიო ლეგიონის ფართო წითელი ლენტით: არაჩვეულებრივად მაღალი საყელო გრძელ ყელზე შემოსალტოდა. მსხლის მოყვანილობის თავი დაბურული ჰქონდა თმის კულულებით და ვიწრო ქილვაშებით, ხოლო მძიმე უპეები, მეტად დიდი ცხვირი და სქელი ტუჩები სახეს უმნიშვნელო, მაგრამ კეთილ გამომეტყველებას ანიჭებდა.

მეგობრებმა ამონაწერები გააკეთეს და გეგმა შეადგინეს. დაბადება და ბავშვობა საყურადღებოს არაფერს წარმოადგენს. ჰერცოგის ერთ-ერთი გუვერნერია აბატი გენე, ვოლტერის მტერი. ტურინში იგი სწავლობს კარლ მე-8-ის ლაშქრობებს და ჩამოასხამს

ზარბაზანს. ამიტომ, მიუხედავად ახალგაზრდობისა გარდნობლების პოლკის უფროსად ნიშნავენ.

1797. დაქორწინდა.

1814. ინგლისელებმა ბორდო აიღეს. ჰერცოგი იქ გაეშურება და მოსახლეობას წარუდგება. მისი გარეგნობის აღწერა.

1815. ბონაპარტე მოულოდნელად დაესხმის თავს. იგი დაუყოვნებლივ მოუწოდებს ესპანეთის მეფეს, ტულონი კი ინგლისელებს ნებდება, რადგან მაშინ იქ მასენა არ იმყოფებოდა.

ოპერაციები სამხრეთში. იგი დამარცხებულია, მაგრამ ათავისუფლებენ იმ პირობით, რომ დააბრუნოს გვირგვინიდან ამოღებული ალმასები, რომელიც გაქცეულმა მეფემ, მისმა ბიძამ გაიტაცა.

„ასი დღის" შემდეგ ბრუნდება მშობლებთან ერთად და მშვიდად ცხოვრობს. ასე გადის რამდენიმე წელი.

ესპანეთის ომი. გადავლო თუ არა პირენეის მთები, გამარჯვება მუდამ თან სდევდა ჰენრი მე-4-ის შთამომავალს. აიღო ტროკადერო, მიაღწია ჰერკულესის ბურჯებს, ჩაახშო შეთქმულებანი, მიესალმა ფერდინანდს და დაბრუნდა.

საზეიმო კამარაბე, ახალგაზრდა ქალიშვილების მორთმეული ყვავილები, მეჯლისები პრეფექტურებში, პარაკლისები ტაძრებში. პარიზელები გაბრუებულნი არიან აღტაცებისაგან. ქალაქი ბანკეტს მართავს მის პატივსაცემად. თეატრებში მის გმირობას მოიხსენიებენ.

ენთუზიაზმი ნელდება, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ 1827 წელს შერბურში არ შედგა ბალი, რომელიც ხელმოწერით უნდა გამართულიყო.

როგორც საფრანგეთის მთავარი ადმირალი, იგი ათვალიერებს ფლოტს, რომელიც ალჟირს უნდა გაემგზავროს.

1830 წლის ივლისი. მარმონი ჰერცოგს აცნობს საქმეთა მდგომარეობას. იგი ისე გააფთრდება, რომ ხელს შეაჭრის გენერლის დაშნას.

მეფე მას მთელი შეიარაღებული ძალების სარდლობას ანდობს.

ბულონის ტყეში სამი არმიის გაერთიანებული ნაწილები შეხვდება, მაგრამ, როცა შეეცდება სიტყვით მიმართოს მათ, ორ სიტყვას ვერ მოუყრის თავს.

სენ-კლუდან სევრის ხიდისაკენ მიეშურება. ჯარები გულგრი-

ლად ხვდებიან. ეს არ აფიქრებს. მეფის ოჯახი ტრიანონს ტოვებს. იგი მუხისქვეშ დაჯდება, რუკას გადაშლის, ფიქრობს, კვლავ მოახტება ცხენს, სენ-სირის სკოლისაკენ დაიძრება და რამდენიმე სიტყვით მოსწავლეებს გაამხნევებს.

რამბულიეში ლეიბ-გვარდიელები გამოეთხოვებიან. იგი გემში ჩაჯდება და მთელი გზა ავადმყოფობს. კარიერის დასასრული.

ამ ნაშრომში საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს ხიდების მნიშვნელობა. თავდაპირველად ჰერცოგი ტყუილუბრალოდ უქმნის თავისთავს საფრთხეს ინის ხიდზე; იღებს სენტ-ესპრის და ლორიოლის ხიდებს. ლიონში ორივე ხიდი საბედისწერო გახდება მისთვის, ხოლო სევრის ხიდთან მისი მზე ჩაესვენება.

მისი სიქველის აღწერა. ზედმეტია შექება მისი მამაცობისა, რომელსაც იგი დიდ პოლიტიკურ ხელოვნებას უხამებდა, რადგან ჯარისკაცებს დაჰპირდა, ვინც იმპერატორს უღალატებს, თექვსმეტ ფრანკს მივცემო, ესპანეთში კი ცდილობდა ფულით მოესყიდა კონსტიტუციონალისტები.

იმდენად დამთმობი იყო, რომ დაეთანხმა მამამისი დაქორწინებულიყო ეტრურიის დედოფალზე, ახალი კაბინეტის შექმნაზე ორდონანსების შემდეგ, გადადგომაზე შამბორის სასარგებლოდ, ყველაფერზე, რასაც კი მისგან მოითხოვდნენ.

თუმცა არც სიმტკიცე აკლდა. ანჟერში პატივი აჰყარა ქვეით ჯარს, რომელსაც კავალერიისა შურდა და გადაწყვიტა ესკორტი მოეწყო, ისე რომ უმაღლესობა ქვეითებს შორის აღმოჩნდა მომწყვდეული, განძრევის საშუალებაც არ ჰქონდა. მაშინ მან შეაჩვენა კავალერია, რომელმაც უწესოება მოახდინა, ინფანტერიას კი აპატია. აი სოლომონის ნამდვილი სამართალი.

მისი ღვთისმოშიშობა გამოიხატა მრავალი კეთილი საქმით, მოწყალება კი იმით, რომ მისი შუამდგომლობით შეწყნარებული იქნა გენერალი დებელი, რომელმაც მის წინააღმდეგ იარაღი აღმართა.

ინტიმური ცნობები, მისი თვისებები.

ბავშვობისას ძმასთან ერთად ერთობოდა ჭის გათხრით. რისი კვალი ახლაც შეიძლება ნახოთ ბორეგარის ციხე-დარბაზში. ერთხელ ეგერთა ყაზარმას ეწვია, ჭიქა ღვინო მოითხოვა და მეფის სადღეგრძელო დალია.

სეირნობის დროს ფეხს აწყობდა და თავისთვის იძახდა: „ერთი, ორი! ერთი, ორი!“

შემორჩენილია ზოგი მისი ნათქვამი.

ბორდოელების ერთ დელეგაციას უთხრა: „თქვენს შორის ყოფნა მანუგეშებს და მინაზღაურებს იმას, რომ ბორდოში არა ვარ“.

ნიმელ პროტესტანტებს ასე მიმართა: „მე კეთილი კათოლიკე ვარ, მაგრამ არასოდეს არ დავივიწყებ, რომ ერთ-ერთი ჩემი მეტად განთქმული წინაპარი პროტესტანტი იყო“.

სენ-სირის მოწაფეებს, როცა უკვე ყველაფერი დაღუპული იყო: „ყველაფერი კარგადაა, ჩემო მეგობრებო! მშვენიერი ამბებია! საქმე ჩინებულადაა! ყველაფერი რიგზეა!“

კარლ X ტახტიდან გადადგომის შემდეგ: „მე თუ არ ვუნდივარ, თვითონ გაარიგონ საქმეები!“

1814 წელს ყველაფერზე, ყოველ სოფელში: „ომი აღარ არის, ჯარში გაწვევა შეწყდა, ზედმეტი გადასახადები მოისპო!“

სტილს მჭევრმეტყველების თანაბრად აფასებდა. მისი პროკლამაციები სრულყოფილების ნიმუშია.

პირველი, გრაფ დ'არტუას სახელით დაწერილი ასე იწყებოდა: „ფრანგებო, მობრძანდა თქვენი მეფის ძმა!“

შემდეგ, ჰერცოგის სახელით: „მე მოვდივარ. მე, თქვენი მეფეების შვილი! თქვენ ფრანგები ხართ!“

ბაიონში გაცემული ბრძანება: „ჯარისკაცებო! მოვდივარ!“

მეორე ბრძანება, სრული დამარცხების შემდეგ: „გამაგრდით, განაგრძეთ დაწყებული ბრძოლა ფრანგი ჯარისკაცის შესაფერისი მამაცობით. საფრანგეთი თქვენგან ამას მოელის!“

უკანასკნელი ბრძანება რამბულიეში: „მეფე ეთათბირა პარიზში შექმნილ მთავრობას; შეთანხმება, აქედან გამომდინარე, წუთი წუთზე უნდა მოხდეს!“

ეს „აქედან გამომდინარე“ დიდებული რამ იყო!

— ერთი რამ მაწუხებს, — თქვა ბუვარმა, — ის, რომ არსად არ ირის ნახსენები სასიყვარულო ამბები.

და მეგობრებმა არეზე აღნიშნეს: „გამოკვლეულ იქნეს ჰერცოგის სასიყვარულო თავგადასავალი“.

როცა ისინი უკვე წასვლას აპირებდნენ, ბიბლიოთეკის გამგემ გაიხსენა ანგულემის ჰერცოგის კიდევ ერთი პორტრეტი.

აქ იგი გამოსახული იყო პროფილით, კირასირთა პოლკოვნიკის ფორმა ეცვა, თვალები უფრო პატარა, პირი ღია, თმა სწორი, გაშლილი ჰქონდა.

როგორ შევათანხმოთ ეს ორი პორტრეტი? სწორი თმა ჰქონდა თუ ხუჭუჭი, თუ თავის სილამაზეზე ისე ზრუნავდა, რომ თმას იხვევდა?

პეკუშეს მიაჩნდა, ეს მნიშვნელოვანი საკითხიაო, რადგან თმა ტემპერამენტს მოწმობს, ტემპერამენტი კი ხასიათსო.

ხოლო ბუვარი ფიქრობდა, კაცისა მანამდე არაფერი იცი, სანამ მისი ვნებანი არ შეგიტყვია, და ამ ორი საკითხის გამოსარკვევად ფავერჟის ციხე-დარბაზში წავიდნენ. გრაფი შინ არ იყო, ეს კი მათ მუშაობას აფერხებდა. განაწყენებულნი დაბრუნდნენ.

კარი ღია დახვდათ, სამზარეულოში არავინ იყო. კიბეზე ავიდნენ და ბუვარის ოთახში დაინახეს... მერედა ვინ? ქ-ნი ბორდენი, რომელიც აქეთ-იქით იხედებოდა.

— ბოდიში, — უთხრა მან და გაღიმება სცადა, — მე უკვე ერთი საათია თქვენს მზარეულს ვეძებ. მინდა მურაბის მოხარშვაზე რჩევა ვკითხო.

ჟერმენა ფარდულში ნახეს, სკამზე იჯდა და მაგრად ეძინა. შეანჯღრიეს, თვალები დააჭყიტა.

— კიდევ რა გნებავთ? გინდათ კვლავ სული ამომართვათ თქვენი შეკითხვებით?

ცხადი იყო, რომ ქ-ნი ბორდენი უკვე ელაპარაკა მზარეულს, როცა ისინი შინ არ იყვნენ.

ჟერმენა გამოფხიზლდა და განაცხადა, კუჭი მაქვს აშლილიო.

— დავრჩები და მოგივლი, — უთხრა ქვრივმა.

ამ დროს ეზოში დიდი ჩაჩის მაქმანები აფრიალდა. ეს იყო ფერმერის მეუღლე, ქ-ნი კასტილიონი. იგი გაჰკიოდა:

— გორჟიუ! გორჟიუ!

სხვენიდან მათმა ახალგაზრდა მსახურმა ქალმა ხმამაღლა დაიძახა:

— შინ არ არის!

ხუთი წუთის შემდეგ იგი ძირს ჩამოვიდა, აღელვებული იყო, ლოყები აწითლებული ჰქონდა. ბუვარმა და პეკუშემ მას სიზანტე უსაყვედურეს. ქალმა უშფოთველად შეუხსნა გეტრები.

შემდეგ სკივრის დასათვალიერებლად წავიდნენ. მისი ცალკეული ნაწილები მიმობნეული ეყარა ფურნეში. ჩუქურთმა დაზიანებული სახურავი გატეხილი ჰქონდა.

ამ სანახაობამ, ამ ახალმა იმედგაცრუებამ ბუვარს ცრემლი მოჰგვარა, პეკუშე კი აკანკალდა.

გორჟიუმ, რომელიც თითქმის მაშინვე მოვიდა, საქმე ასე ახსნა: სკივრი გარეთ გავიტანე, რომ გამეკრიალებინა, ძროხას აუშვია, დატაკებია და გადაუბრუნებიაო.

— ძროხა ვისია? — ჰკითხა პეკუშემ.

— არ ვიცი.

— თქვენ კი ჭიშკარი კვლავ ღია გაქვთ! თქვენი ბრალია!

კმარა, გათავდა: დიდი ხანია გვატყუებ; აღარ გვინდა არც შენი დანახვა და არც შენი მუშაობაო.

— ტყუილ-უბრალოდ ჯავრობთ. საქმე არც ისე ცუდადაა. სამი კვირა არ გაივლის, რომ ყველაფერი ხელახლა მზად იქნება.

და გორჟიუმ ისინი მიაცილა სამზარეულომდე, სადაც ჟერმენა სადილის დასამზადებლად მოჩაჩუნდა.

სუფრაზე კალვადოსის ბოთლი დაინახეს; სამი მეოთხედი გამოცლილი იყო.

— ეს ალბათ შენი ნამოქმედარია! — უთხრა პეკუშემ გორჟიუს.

ბუვარი შეესიტყვა:

— ჩემი? ღმერთმა დამიფაროს!

— ერთადერთი მამაკაცი თქვენ იყავით აქ.

— კი, მაგრამ ქალები? — მიუგო ოსტატმა და თვალი ჟერმენას შეავლო.

ქალმა კი გააწყვეტინა:

— ბარემ პირდაპირ თქვით, რომ მე დავლიე!

— რასაკვირველია, თქვენ!

— იქნებ კომოდიც მე გავტეხე?

გორჟიუმ პირუეტი გააკეთა.

— განა ვერ ხედავთ, რომ იგი მთვრალია?

წაკინკლავდნენ. გორჟიუ გაფითრებული იყო, დამცინავი, ქალი კი წამოჭარხლდა და ჭაღარა თმას იგლეჯდა. ქ-ნი ბორდენი ჟერმენას იცავდა, მელი კი — გორჟიუს.

დედაბერი გაცოფდა.

— განა საძაგლობა არ არის, რომ მთელ დღეებს ერთად ატარებთ ტყეში, ღამეები რომ აღარ ვიანგარიშოთ! აი შენ, პარიზელო სალახანავ, მუსუსო! მოდიხარ და აქ ბატონებს იგავ-არაკებს უამბობ!

ბუვარს თვალები გაუფართოვდა.

— რა იგავ-არაკებია?

— ისა, რომ გაბიაბრუებენ!

— მე ნებას არავის მივცემ გვამასხარაონ! — წამოიძახა პეკუშემ.

და, ჟერმენას უტიფრობით აღშფოთებულმა, ამდენი უსიამოვნებით მოთმინებადაკარგულმა პეკუშემ იგი გააგდო. ბუვარს საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს, წავიდნენ და სამზარეულოში დატოვეს აქვითინებული ჟერმენა და ქ-ნი ბორდენი, რომელიც ცდილობდა ენუგეშებინა იგი.

საღამოს, როცა დამშვიდდნენ, კვლავ დაფიქრდნენ ამ ამბებზე, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, კალვადოსი ვინ დალია, სკივრი ვინ გატეხა, რა უნდოდა ქ-ნ კასტილიონს, გორჟიუს რომ ეძახდა და გაუპატიურა მან მელი თუ არაო?

— ჩვენს სახლში რა ხდება არ ვიცით, — თქვა ბუვარმა, — და იმის გაგებას ვცდილობთ, როგორი თმა ან როგორი საყვარლები ჰყავდა ანგულემის ჰერცოგს!

პეკუშემ დასძინა:

— სხვა მხრივაც რამდენი მნიშვნელოვანი და უფრო ძნელი ამოცანაა!

აქედან დაასკვნეს: გარეშე ფაქტები საკმარისი როდია. ისინი ფსიქოლგიით უნდა შევავსოთ, წარმოსახვის გარეშე ისტორია სრულყოფილი არ არისო.

— რამდენიმე ისტორიული რომანი გამოვიწეროთ!

## V

ჯერ ვალტერ სკოტი წაიკითხეს.

მათ წინაშე თითქოს ახალი სამყარო გადაიშალა.

გარდასულ დროთა ადამიანები, წინათ რომ მათთვის მხოლოდ მოჩვენებანი ან სახელები იყვნენ, ახლა გაცოცხლდნენ, იქცნენ მე-

ფეებად, მისნებად, პრინცებად, მოსამსახურეებად, მეტყევეებად, ბერებად, ბოშებად, ვაჭრებად და ჯარისკაცებად, რომლებიც იბრძვიან, დაობენ, მოგზაურობენ, ვაჭრობენ, სვამენ და ჭამენ, მღერიან და ლოცულობენ ციხე-დარბაზების საჭურვლის პალატებში, ფუნდუკების შავ სკამებზე, ქალაქის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში, ფარდულების ხურულებში, მონასტრების გალავანში. მხატვრულად შერჩეული პეიზაჟები თეატრის დეკორაციებივით გარს ერტყმიან სცენებს. თვალს ადევნებენ მხედარს, ქვიშიან ნაპირზე რომ მიაჭენებს. სუფთა ჰაერს სუნთქავ უღრან ტყეში. მთვარე ალაპლაპებს ტბის ზედაპირს, რომელზეც ნავი მისრიალებს, მზე აბრჭყვიალებს ჯავშანს, წვიმა ასველებს ფანჩატურების ფოთლებს. რაკი მოდელი არ ენახათ, აღწერაც დამაჯერებელი ეჩვენათ. ილუზია სრული არ იყო. ასეთ კითხვაში გაატარეს მთელი ზამთარი.

საუზმის შემდეგ მცირე დარბაზში ბუხარს მიუსხდებოდნენ ხოლმე და წყნარად კითხულობდნენ. დაბინდებისას შარაზე დასეირნობდნენ, სწრაფად ვახშმობდნენ და დაღამებამდე განაგრძობდნენ კითხვას. ლამპის შუქისაგან თვალების დასაცავად ბუვარი ლურჯ სათვალეს ატარებდა, პეკუშე კი თვალებზე ქუდს ჩამოიფხატავდა ხოლმე.

ჟერმენა მათთან დარჩა, გორჟიუ კი დროდადრო მოდიოდა ხოლმე ბაღის დასაბარად, იმიტომ რომ მეგობრებმა ხელი აიღეს მასზე და დაივიწყეს მატერიალური ინტერესები.

ვალტერ სკოტის შემდეგ ისინი გაართო ალექსანდრე დიუმამ, როგორც ჯადოსნურმა ლამპარმა. მისი მაიმუნობით ცქვიტი, მოზვრებივით ღონიერი, სკვინჩასავით მხიარული გმირები სხარტად შემოდიან და ლაპარაკობენ, სახურავიდან ხტებიან ქვაფენილზე, სასიკვდილოდ იჭრებიან, იშუშებენ ჭრილობებს, უკვალოდ იკარგებიან და კვლავ ჩნდებიან. იქ, იატაკქვეშ, არის ჯიბეებიც, შხამსაწინააღმდეგო საშუალებაც და ყველაფერი ერთმანეთში იხლართება, მიჰქრის და იშლება ისე, რომ წუთით მოფიქრების საშუალებას არ იძლევა. სიყვარული სიწმინდეს ინარჩუნებს, ფანატიზმი მხიარულია, ხოცვა-ჟლეტა ღიმილს იწვევს.

რაკი ამ ოსტატების გაცნობის შემდეგ უფრო მომთხოვნი გახდნენ, ვეღარ აიტანეს ველიზარის ლაქლაქი, ნუმა პომპილის სისულელეები, მარშანჟის, ვიკონტ დ'არლენკურის თხზულებანი.

ფრედერიკ სულიეს (ისე, როგორც ბიბლიოფილ ჟაკობის) საღებავები არასაკმაოდ მკაფიო ეჩვენათ, ვილენმა კი ისინი აღაშფოთა, როცა თავისი „ლასკარისის“ 85-ე გვერდზე წარმოადგინა ესპანელი ქალი, რომელიც მე-15 საუკუნის შუა წლებში ეწევა ჩიბუხს, „გრძელ არაბულ ჩიბუხს“.

პეკუშემ ცნობისათვის მიმართა „საყოველთაო ბიოგრაფიას“ და გადაწყვიტა მეცნიერული თვალსაზრისით გადაესინჯა ალექსანდრე დიუმას ნაწერები.

„ორ დიანაში“ ავტორს თარიღები ეშლება. დოფინის დაქორწინება მოხდა 1548 წლის 15 ოქტომბერს და არა 1549 წლის 20 მარტს. საიდან იცის მან (იხ. „სავოიის ჰერცოგის პაჟი“), რომ ეკატერინე მედიჩის, თავისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ომის განახლება სურდა? ნაკლებ სარწმუნოა, რომ ანჟუის ჰერცოგი მეფედ აკურთხეს ღამით ეკლესიაში, როგორც ნათქვამია „ქალბატონ მონსოროში“. განსაკუთრებით სავსეა შეცდომებით „დედოფალი მარგო“. ნავარის ჰერცოგი არსად არ ყოფილა წასული. მან ხმა მისცა საბჭოში ბართლომეს ღამეს, არც ჰანრი ნავარელი არ დასწრებია პროცესიას ოთხი დღის შემდეგ. ჰანრი III აგრე მალე არ დაბრუნებულა პოლონეთიდან. გარდა ამისა, რამდენი გაცვეთილი აზრია: კუნელის სასწაული, კარლოს IX აივანი, ჟანა დ'ალბრეს მოწამლული ხელთათმანები! პეკუშეს დაეკარგა ნდობა დიუმასადმი.

ყოველგვარი პატივისცემა დაეკარგა აგრეთვე ვალტერ სკოტისადმი „კვენტინ დორვარდში“ დაშვებული შეცდომების გამო. ლიეჟის ეპისკოპოსის მკვლელობა მოხდა თხუთმეტი წლით უფრო გვიან. რობერტ ლამარკის მეუღლე იყო ჟანა დ'არშელი და არა გაბელინა დე კრუა. იგი სრულიადაც არ მოუკლავს ჯარისკაცს, არამედ სიკვდილით დასაჯა მაქსიმილიანემ და ტემერერის სახე, როცა მისი გვამი ნახეს, არავითარ მუქარას არ გამოხატავდა, იმიტომ რომ მგლებს თითქმის შეეჭამათ იგი.

ბუვარი მაინც განაგრძობდა ვალტერ სკოტის კითხვას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მოსწყინდა სულ ერთი და იგივე ეფექტების განმეორება. გმირი ქალი ჩვეულებრივად სოფელში ცხოვრობს მამასთან, საყვარელი კი, ბავშვობისას რომ მოიტაცეს, თავის უფლებებს აღიდგენს და მოწინააღმდეგეებზე იმარჯვებს. იქვე ყოველთვის არის ვინმე მათხოვარა ფილოსოფოსი, პირქუში ფეოდალი, უბიწო ქალი-

შვილი, ენამოსწრებული მოსამსახურეები და დაუსწრებელი დიალოგი, უაზრო თავდაჭერილობა, სიღრმის სრული უქონლობა.

ბუვარს მოსძულდა ეს დომხალი. ხელი მიჰყო ჟორჟ სანდს.

იგი აღტაცებაში მოიყვანეს მშვენიერმა მრუშმა ქალებმა და კეთილშობილმა საყვარლებმა, სურდა ყოფილიყო ჟაკი, სიმონი,, ბენედიქტე, ლელიო, და ეცხოვრა ვენეციაში! ოხრავდა, არ იცოდა, რა მოსდიოდა, თვითონვე გრძნობდა, ვიცვლებიო.

პეკუშე ისტორიულ ლიტერატურაზე მუშაობდა და დრამატულ ნაწარმოებებს სწავლობდა.

ერთბაშად გადაყლაპა ორი ფარამუნდი, სამი კლოვისი, ოთხი კარლოს დიდი, რამდენიმე ფილიპე ავგუსტი, მთელი გროვა ორლეანელი ქალწულებისა. მრავალი მარკიზა პომპადური და სელამარეს შეთქმულება.

თითქმის ყველა დრამა რომანებზე უფრო სულელური ეჩვენა, რადგან თეატრისათვის არსებობს პირობითი ისტორია, რასაც ვერაფერი ვერ შეარყევს. ლუი XI მუდამ დაიჩოქებს პატარა ხატების წინაშე, საკუთარ ქუდზე რომ აქვს გამოსახული; ჰანრი მე-4-ე ყოველთვის მხიარულია, მარიამ სტიუარტი მტირალაა, რიშელიე სასტიკია, მოკლედ, ერთი თვისებით არიან წარმოდგენილნი. უბრალო იდეების სიყვარულისა და უვიცობის პატივისცემის გამო, ასე რომ, დრამატურგი არათუ არ ამაღლებს, არამედ ამცირებს მაყურებელს, კი არ ასწავლის, არამედ აჩლუნგებს მას.

რადგან ბუვარმა ჟორჟ სანდი შეაქო, პეკუშე შეუდგა „კონსუელოს“, „ორასის“, „მოპრას“ კითხვას და გატაცებული იყო ჩაგრულთა დაცვით, საზოგადოებრივი და რესპუბლიკური ტენდენციით.

ბუვარი ამბობდა, ეს გამონაგონს ვნებსო, და ბიბლიოთეკიდან გამოითხოვა სატრფიალო რომანები.

ხმამაღლა და რიგრიგობით წაუკითხეს ერთმანეთს „ახალი ელოიზა“, „დელფინე“, „ადოლფი“, „ურიკა“, მაგრამ მსმენელი წამკითხველს გადასდებდა ხოლმე მთქნარებას და მალე წიგნიც ხელიდან უვარდებოდათ.

ეს მწერლები იმიტომ არ მოსწონდათ, რომ არაფერს არ ამბობდნენ მოქმედი პირების წრეზე, ეპოქაზე, ჩაცმა-დახურვაზე, ლაპა-

რაკი იყო მხოლოდ გულზე, მხლოდ გრძნობაზე! თითქოს ქვეყანაზე სხვა არაფერი არ არსებობდეს.

შემდეგ მათ სცადეს იუმორისტული რომანების კითხვა, როგორიცაა ქსავიე დე მესტრის „მოგზაურობა ჩემი ოთახის გარშემო“, ალფონს კარის „ცაცხვებქვეშ“. ამგვარ რომანებში შეიძლება თხრობა შეწყვიტონ, რომ ძაღლზე, ფეხსაცმელზე ან საყვარელზე ილაპარაკონ. ასეთმა უშუალობამ ისინი თავდაპირველად მოხიბლა, შემდეგ კი სისულელედ ეჩვენათ, რადგან ავტორი წინ აყენებს თავის პიროვნებას შემოქმედების საზიანოდ.

რადგან მათ დრამატული სიტუაციები უფრო იზიდავდა, სათავგადასავლო რომანების კითხვა დაიწყეს; ინტრიგა მით უფრო იტაცებდათ, რაც უფრო დახლართული და დაუჯერებელი იყო. ცდილობდნენ წინდაწინვე გამოეცნოთ დასასრული, ამ მხრივ დიდ წარმატებას მიაღწიეს. სერიოზული ადამიანისათვის ასეთი შეუფერებელი გართობა მალე მობეზრდათ.

ბალზაკის შემოქმედებამ ისინი გააოცა, თითქოს იგი ერთსა და იმავე დროს ბაბილონიც იყო და მიკროსკოპული მტვერიც. უაღრესად გაცვეთილი ამბები ახლებურად დაინახეს. ასეთი სიღრმე თანამედროვე ცხოვრებაში ვერც კი წარმოედგინათ.

— რა დაკვირვებულია! — იძახდა ბუვარი.

— მე კი მეოცნებე მგონია, — თქვა ბოლოს და ბოლოს პეკუშემ. — მას სწამს იდუმალი მეცნიერებანი, მონარქია, თავადაზნაურობა, დაბრმავებულია გაიძვერებით, მილიონებს ისე აბნევს, როგორც სანტიმებს და მისი ბურჟუები ბურჟუები კი არ არიან, არამედ კოლოსები. რა საჭიროა უხამსობის გაბერვა და ამდენი უაზრობის აღწერა! ერთი რომანი ქიმიას უძღვნა, მეორე — ბანკს, მესამე — სტამბის მანქანებს, მსგავსად ვინმე რიკარისა, რომელმაც შეთხზა „მეეტლე“, „მეთულუხჩე“, „ძირტკბილას ვაჭარი“. ამრიგად, შეიძლება გვქონდეს მოთხრობები ყოველგვარ წარმოებასა და ყველა პროვინციაზე, შემდეგ კი ყველა ქალაქსა და სართულზე, თითოეულ სახლზე, აგრეთვე ყოველ ადამიანზე, რაც უკვე ლიტერატურა კი არა, სტატისტიკა ან ეთნოგრაფია იქნება.

ბუვარს ნაკლებ აინტერესებდა წერის ხერხი. სურდა განათლებულიყო, უფრო ღრმად გაეცნო ზნე-ჩვეულებანი. გადაიკითხა პოლ დე კოკი, გადაათვალიერა შოსე დ'ანტენის განდეგილები.

— როგორ შეიძლება ასეთ უაზრობაზე დახარჯო დრო! — ამბობდა პეკუშე.

— მაგრამ შთამომავლობისათვის ეს უაღრესად საყურადღებო დოკუმენტები იქნება.

— მოშორდი აქედან შენი დოკუმენტებიანად! მე ისეთი რამ მენატრება, რაც აღმიტაცებს, ამქვეყნიურ სიდუხჭირეს დამავიწყებს.

და იდეალებით გატაცებულმა პეკუშემ თანდათან ჩაუნერგა ბუვარს მიდრეკილება ტრაგედიისადმი.

შორეული დრო, რომელშიც მოქმედება ხდება, ინტერესთა ბრძოლა და გმირების მდგომარეობა მათზე რაღაც სიდიადის შთაბეჭდილებას ახდენდა.

ერთხელ ბუვარმა „ატალა“ აიღო და ისე კარგად წარმოთქვა „სიზმარი“, რომ პეკუშესაც მოუნდა ეცადა თავისი ნიჭი ამ ხელოვნებაში. პირველი ფრაზის წარმოთქმისთანავე რაღაცნაირად აზუზუნდა. ხმა მონოტონური და უფერული, მაგრამ ძლიერი ჰქონდა.

მეტად გამოცდილმა დეკლამატორმა ბუვარმა ურჩია, ხმა რომ მოქნილი გახდეს, სულ დაბალი ტონიდან უნდა ასწიო სულ მაღალ ტონამდე, მერე კვლავ დაადაბლო, ისე, რომ შეიქმნას ორი გამა, ერთი აღმავალი, მეორე კი — დაღმავალი. თვითონაც ასე ვარჯიშობდა ხოლმე დილაობით, ლოგინში, გულაღმა მწოლარე, ელინთა რჩევის თანახმად, პეკუშემაც ასე დაიწყო ვარჯიში. კარი ოთახებს შორის დახურული იყო ხოლმე და ისინი ცალ-ცალკე ღრიალებდნენ.

ტრაგედიაში მათ ყველაზე უფრო მოსწონდათ პათოსი, პოლიტიკური ტირადები, მანკიერების ქადაგება.

ზეპირად ისწავლეს რასინისა და ვოლტერის ყველაზე განთქმული დიალოგები და დერეფანში წარმოთქვამდნენ ხოლმე. ბუვარი ისე დააბიჯებდა, როგორც მსახიობები ფრანგულ თეატრში, ხელი პეკუშეს მხარზე ედო, ხანდახან შედგებოდა, თვალებს დაატრიალებდა, ხელებს გაშლიდა და ბედს ემდუროდა. ძლიერ ეხერხებოდა განწირული ყვირილი ჰარპის „ფილოქტეტში“ და სლოკინი „გაბრიელ დე ვერჟში“, ხოლო დიონისეს, სირაკუზის ტირანის განსახიერების დროს მართლაც შემაძრწუნებელი გამოხედვა ჰქონდა,

როდესაც შვილს მიმართავდა: „საშინელებავ! ჩემი საკადრისი ხარ!“ პეკუშეს თავისი როლიც კი ავიწყდებოდა ხოლმე. აკლდა უნარი და არა კეთილი ნება.

ერთხელ მარმონტელის „კლეოპატრაში“ მან განიზრახა მიებაძა ასპიდის სისინისათვის, რასაც მხოლოდ ვოკანსონის მიერ საგანგებოდ გამოგონებული ავტომატი ახერხებდა. ამ წარუმატებელ ეფექტზე საღამომდე იცინოდნენ. ტრაგედიამ ფასი დაკარგა მათს თვალში.

ბუვარს პირველს მოსწყინდა იგი და აშკარად ამტკიცებდა, რაოდენ ხელოვნური და უდღეურია ტრაგედია, რა უაზროა მისი ხერხები და რა სულელები არიან მისი გულითადი მეგობრებიო.

მათ ხელი მოჰკიდეს კომედიას, რომელიც ქარაგმების სკოლაა. უნდა დანაწევრდეს ფრაზა, ხაზი გაესვას სიტყვებს, აიწონ-დაიწონოს მარცვალი. პეკუშემ ეს ვერ დასძლია და საბოლოოდ ჩაფლავდა სელიმენას როლში.

მისი აზრით, საყვარლები მეტად გულცივნი არიან, რეზონიორები ძალზე მოსაწყენნი, მსახურნი აუტანელნი, კლიტანდრიც და სგანარელიც ისეთივე არაბუნებრივნი, როგორც ეგისტი და აგამემნონი.

დარჩა სერიოზული კომედია ან მეშჩანური ტრაგედია, რომელშიც გამოყვანილი არიან ოჯახის უბედური მეთაურები, მოსამსახურენი, პატრონებს რომ იხსნიან ხოლმე, მდიდრები, ქონებას რომ სწირავენ, უმანკო მკერავი ქალები და თაღლითი მაცდუნებლები. ამგვარი ლიტერატურა მოდის დიდროდან პიქსერეკურამდე. ამ პიესებმა მათ თავი შეაძულეს თავიანთი ტრივიალობით.

1830 წლის დრამამ ისინი მოხიბლა მოძრაობით, მხატვრულობით, სინორჩით.

ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდნენ ვიქტორ ჰიუგოს, დიუმასა თუ ბუშარდს შორის; დეკლამაცია აქ უკვე საზეიმო ან ნატიფი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ლირიკული, უთავბოლო.

ერთხელ, როცა ბუვარი ცდილობდა პეკუშესათვის ეჩვენებინა ფრედერიკ ლემეტრის თამაში, მოულოდნელად მოვიდა ქ-ნი ბორდენი; მას თავისი მწვანე შალი მოესხა და ხელში პიგო-ლებრენის

ტომი ეპირა. წიგნის დასაბრუნებლად მოვიდა. მეგობრები იმდენად თავაზიანები იყვნენ, რომ ზოგჯერ რომანებს ათხოვებდნენ ხოლმე.

— განაგრძეთ, განაგრძეთ!

თურმე იგი რამდენიმე წუთს კარსუკან იდგა და სიამოვნებით უსმენდა მათ.

ისინი უარობდნენ, ქალი დაჟინებით სთხოვდა.

— რა გაეწყობა! — თქვა ბუვარმა. — დავიწყოთ!

პეკუშემ ყალბი მორცხვობით განაცხადა: ექსპრომტად, უკოსტიუმოდ არ შეგვიძლიაო.

— მართლაც! უნდა გადაგვეცვა.

და ბუვარმა ძებნა დაუწყო ტანსაცმელს, მაგრამ მხოლოდ ფესი იპოვა.

დერეფნის სიგანე არ ეყოთ და სასტუმრო ოთახში გადაინაცვლეს. ნიმუშების მტვერს ავეჯის ხავერდი გადაეთეთრებინა. სავარძელზე, რომელიც სხვებზე ნაკლებ იყო დამტვერილი, ქსოვილის ნაჭერი დააფინეს, რომ ქ-ნი ბორდენი დამჯდარიყო.

რაიმე კარგი უნდა წარმოედგინათ მისთვის. ბუვარი „ნელის კოშკის“ მომხრე იყო, მაგრამ პეკუშეს ეშინოდა როლების, რომლებიც ბევრ მოძრაობას მოითხოვდნენ.

— მის გემოვნებას რაიმე კლასიკური უფრო შეეფერებოდა! მაგალითად, „ფედრა“.

— კეთილი.

ბუვარმა სიუჟეტი უამბო:

— ეს არის დედოფალი, რომლის ქმარსაც ვაჟიშვილი ჰყავს პირველი ცოლისაგან. ქალს გაგიჟებით უყვარს ეს ყმაწვილი. გაიგეთ? ვიწყებთ.

დახ, ხელმწიფევ, ვიწვი. ვიტანჯები თეზეოსისათვის.

მიყვარს, მიყვარს იგი!

პეკუშეს მიმართავდა, რომელიც პროფილით იდგა. შეაქო მისი ტანადობა, სახე „მშვენიერი თავი“, წუხდა, რომ ვერ შეხვდა ბერძენთა ხომალდებზე, მზად იყო მასთან ერთად დაკარგულიყო ლაბირინთში.

წითელი ფესის ფოჩი ლამაზად ირხეოდა, აკანკალებული ხმა

და კეთილი სახე შეუბრალებელს ემუდარებოდა, ტანჯვა მაკმარეო. პეკუშე პირს არიდებდა, მძიმედ სუნთქავდა, რათა მღელვარება გამოეხატა.

ქ-ნი ბორდენი უძრავად იჯდა, თვალებგაფართოებული შესცქეროდა, თითქოსდა მის წინაშე ჯამბაზები არიანო; მელი კარსუკან იდგა და უსმენდა. გორჟიუ ფანჯრიდან იყურებოდა.

ბუვარმა მეორე ტირადა დაიწყო. მას ახლა გიჟური ვნება, სინდისის ქენჯნა, სასოწარკვეთილება უნდა გამოეხატა და პეკუშეს მოჩვენებითს მახვილს ისეთი თავგამეტებით ეძგერა, რომ რიყის ქვებზე წაიბორძიკა და კინაღამ დაეცა.

— ნუ გეშინიათ! შემდეგ შემოდის თეზეოსი და ქალი საწამლავს სვამს.

— საბრალო ქალი! — თქვა ქ-ნმა ბორდენმა.

ამის შემდეგ მეგობრებმა სთხოვეს ქალს, პიესა აირჩიეო.

მას არჩევა გაუძნელდა, რადგან მხოლოდ სამი პიესა ენახა: „რობერ ეშმა“ — დედაქალაქში, „ახალგაზრდა მეუღლე“ — რუანში და კიდევ ერთი, ფალეზში, ძლიერ სასეირო, სახელწოდებით „ძმრის საზიდავი ურიკა“.

ბოლოს ბუვარმა შესთავაზა მოესმინა დიდი სცენა „ტარტიუფის“ მესამე მოქმედებიდან.

პეკუშემ საჭიროდ ცნო წაემძღვარებინა ახსნა-განმარტება.

— უნდა ვიცოდეთ, რომ ტარტიუფი...

ქ-ნმა ბორდენმა გააწყვეტინა:

— ვიცი, რაც არის ტარტიუფი!

ბუვარს ერთი ადგილისთვის ქალის კაბა ესაჭიროებოდა.

— ჩვენ კი მხოლოდ ბერის ანაფორა გვაქვს, — უთხრა პეკუშემ.

— არა უშავს! ჩაიცვი.

დასაწყისს საშუალო წარმატება ჰქონდა. მაგრამ როცა ტარტიუფმა ელმირას ალერსით გადაუსვა ხელი მუხლებზე, პეკუშემ ჟანდარმის ტონით ჰკითხა:

— თქვენს ხელს აქ რა უნდა?

ბუვარმა დაუყოვნებლივ დამტკბარი ხმით უპასუხა:

— ქსოვილს ვსინჯავ, რა საამურია!

და თვალებს აჟუჟუნებდა, ტუჩებს ბურცავდა, ნესტოებს ბე-

რავდა; ერთობ ავხორცული შესახედაობა ჰქონდა და ბოლოს ქ-ნ ბორდენსაც კი მიმართა.

ამ კაცის შეხედვა ქალს აცბუნებდა და, როცა ბუვარი გაჩუმდა, იგი პასუხსაც კი ეძებდა.

პეკუშემ წიგნში ჩაიხედა:

— დიახ, მესმის სიტყვები სიყვარულისა.

— ოჰ, — წამოიძახა ქალმა, — ეს საშიში მაცთუნებელია!

— ხომ კი? — ამაყად მიუგო ბუვარმა. — მაგრამ აი კიდევ ერთი, უფრო თანამედროვე პიესა.

მან სერთუკი გაიხსნა, ერთ-ერთ ქვაზე ჩამოჯდა, თავი უკან გადახარა და წარმოთქვა:

შენი თვალების ცეცხლი მწვავს,
მიმღერე, როგორც მიმღერდი ღამით
და გინამავდა ცრემლი შავ თვალებს.

„ეს თითქოს მე ვიყო", — გაიფიქრა ქალმა.

სიამით შევსვათ! თასი ხომ საესეა,
და დროც ჩვენია! სხვა ყველაფრი ოცნებაა!

— რა ხუმარა ხართ!

და წყნარად ჩაიცინა, მკერდი აებურცა- და კბილებმა იელვა.

მითხარ, ხომ საამოა გიყვარდეს და უყვარდე!

და ბუვარმა დაიჩოქა.

— კარგი, ახლა, კმარა!

დამაძინე შენს მკლავებზე და მასიზმრე,
სიყვარული, ჩემო მშვენებავ...

— ამ დროს გაისმის ზანზალაკის ხმა, ვიღაც მთიელი აწყვეტინებთ სასიყვარულო საუბარს.

— და მადლობა ღმერთს! თორემ...

და ქ-ნმა ბორდენმა გაიღიმა, სიტყვა აღარ დაასრულა. ადგა.

ახალი ნაწვიმარი იყო და წიფლის ტყეში გავლა ჭირდა, ჯობდა მინდვრის გავლით დაბრუნებულიყო შინ. ბუვარმა ქ-ნი ბორდენი ბაღში ჩააცილა, რომ ჭიშკარი გაეღო.

ჯერ ჩუმად მიდიოდნენ ბუჩქებში. ბუვარი ისევ აღელვებული

იყო თვისი დეკლამაციით, ქალი კი როგორღაც განცვიფრებული, ლიტერატურით მოხიბლული ჩანდა. ხელოვნება გარკვეულ პიროებებში ძლიერ მოქმედებს საშუალო ადამიანებზე და თვით უხეშ განმარტებასაც კი შეუძლია მთელი სამყარო გადაუშალოს მათ.

მზემ კვლავ გამოიხედა, ფოთლები აალაპლაპა და ბუჩქებში ნათელი ლაქები მიმოაბნია. ბეღურები ჭიკჭიკით დახტოდნენ მოჭრილი ბებერი ცახცხვის ტანზე. კვრინჩხნარი ვარდისფრად ყვაოდა, იასამნის დამძიმებული ტოტები ძირს იხრებოდა.

— აჰ, რა კარგია! — თქვა ბუვარმა და სუფთა ჰაერი ღრმად შეისუნთქა.

— ოჰ! რას იწვალებთ თავს!

— ვერ გეტყვით, ნიჭი მაქვს-მეთქი, მაგრამ ტემპერამენტი კი არ მაკლია.

— გეტყობათ... — სვენებ-სვენებით უთხრა ქალმა, — რომ თქვენ... გყვარებიათ... ოდესღაც.

— თქვენ გგონიათ, მხოლოდ ოდესღაც?

ქალი შეჩერდა.

— არ ვიცი.

„რის თქმა უნდა?“

და ბუვარი გრძნობდა საკუთარი გულის ცემას.

შუა ბაღში ტბორი იყო, ასე რომ შორს მოვლა, წიფლების ხეივანში გავლა მოუხდათ.

— რა ჰქვია თქვენს უკანასკნელ ნაწყვეტს?

— ეს დრამა „ერნანიდანაა“.

— ჰო?

შემდეგ წყნარად, თითქოს თავისთვის წარმოთქვა:

— ალბათ, მართლაც ძლიერ სასიამოვნოა ასეთი სიტყვები მოისმინო ვისგანმე.

— თქვენი უმორჩილესი მონისაგან, — მიუგო ბუვარმა.

— თქვენგან?

— დიახ, ჩემგან!

— რა ხუმრობაა!

— სრულიადაც არა!

ბუვარმა მიიხედ-მოიხედა, მერე წელზე ხელი შემოხვია და კეფაზე აკოცა.

ქალი საშინლად გაფითრდა და თითქოს გული მისდისო, ხეს შოსპიდა ხელი; შემდეგ თვალი გაახილა და თავი გააქნია.

— უკვე გამიარა.

შეშინებული შესცქეროდა. ქალმა ჭიშკარი გააღო და შეჩერდა. გარეთ თხრილი წყლით იყო სავსე. ქ-ნმა ბორდენმა კაბის ბოლო აიკრიფა და გაუბედავად იდგა ნაპირზე.

— ხომ არ გიშველოთ?

— არა.

— რატომ?

—აჰ, თქვენ მეტად საშიში ხართ!

და თხრილზე გადახტომისას თეთრი წინდა გამოუჩნდა.

ბუვარმა თავს უსაყვედურა, შემთხვევა რად გავუშვიო.

„არაფერია, შემთხვევა კიდევ მომეცემა და, გარდა ამისა, ქალი ყველა ერთნაირი როდია: ზოგს მოულოდნელად უნდა დაესხა თავს, ზოგთან კი გამბედაობა დამღუპველია“, — ფიქრობდა იგი.

საერთოდ კმაყოფილი იყო და, თავისი იმედი პეკუშეს არ გაუზიარა, იმიტომ კი არა, რომ მოერიდა, შენიშვნების შეეშინდა.

ამ დღიდან მოკიდებული, დეკლამაციას მართავდნენ ხოლმე გორჟიუსა და მელის წინაშე, თანაც ბედს ემდუროდნენ. შინაური თეატრი არა გვაქვსო.

ახალგაზრდა მოსამსახურე გოგოს თუმცა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ერთობოდა, აკვირვებდა ენა, ხიბლავდა ლექსის ჟღერადობა. გორჟიუ ტაშს უკრავდა ფილოსოფიურ ტირადებს ტრაგედიებში და ყოველივე იმას, რაც ხალხს მოსწონს მელოდრამებში. მეგობრები მისმა გემოვნებამ მოხიბლა და გადაწყვიტეს გაკვეთილები მიეცათ იმ განზრახვით, რომ შემდეგში მსახიობი გამოეყვანათ. ეს პერსპექტივა დურგალს თავბრუს ახვევდა.

მათი მეცადინეობის ამბავი მთელ სოფელში გავრცელდა. ვოკორბეი ამაზე დაცინვით ლაპარაკობდა. საერთოდ მათ ყველა აბუჩად იგდებდა.

მით უფრო ამაღლდნენ საკუთარ თვალში. არტისტები გახდნენ. პეკუშემ ულვაშები მოუშვა, ბუვარმა კი უკეთესი ვერაფერი მოიგონა და თმა გაიზარდა „à la ბერანჟე“ თავისი მრგვალი პირისახისა და მელოტის დასამშვენებლად.

ბოლოს გადაწყვიტეს თვითონვე შეეთხზათ პიესა.

ძნელი იყო სიუჟეტის შედგენა.

საუზმის დროს ამაზე იმტვრევდნენ თავს, თან სვამდნენ ყავას, შემოქმედებისათვის საჭირო სასმელს, შემდეგ ორ-სამ სირჩასაც დააყოლებდნენ. დაწვებოდნენ, გამოიძინებდნენ, შემდეგ ჩადიოდნენ ხეხილის ბაღში და სეირნობდნენ, მერე მინდორში გავიდოდნენ შთაგონების შესაძენად, დაეხეტებოდნენ და დაქანცულნი ბრუნდებოდნენ.

ანდა ოთახში ჩაიკეტებოდნენ. ბუვარი მაგიდას გაწმენდდა, წინ ქაღალდს დაიდებდა, კალამს მელანში ჩაუწებდა, თვალს ჭერს მიაპყრობდა და გაირინდებოდა, პეკუშე კი სავარძელში ჩაჯდებოდა, ფეხებს გაჭიმავდა, თავს დახრიდა და ფიქრს მიეცემოდა.

ზოგჯერ ათრთოლდებოდნენ, თითქოს იდეა გაუელვებდათ, მოემზადებოდნენ დავიჭერთო, მაგრამ ვერ ასწრებდნენ.

თუმცა სიუჟეტის საპოვნი საშუალებანიც არსებობს — ალალ ბედზე აიღებ რომელიმე სათაურს, იქიდან კი ამბავი გამოდის, დაამუშავებ ანდაზას, შეაერთებ რამდენიმე ამბავს. არც ერთმა ამ ხერხმა არ გაუმართლათ. უშედეგოდ გადაათვალიერეს ანეკდოტების რამდემინე კრებული, განთქმული პროცესების ტომები, მრავალი ისტორიული წიგნი.

და ოცნებობდნენ საკუთარი პიესა „ოდეონში“ დაედგათ, იხსენებდნენ სპექტაკლებს, ენატრებოდათ პარიზი.

— მე გაჩენილი ვიყავი მწერლად და არა იმისათვის, რომ ჯურღმულში დავმარხულიყავი! — იტყოდა ხოლმე ბუვარი.

— მეც აგრეთვე! — მიუგებდა პეკუშე.

უეცრად გონება გაუნათდათ: ასე იმიტომ ვიტანჯებით, რომ წესები არ ვიცითო.

ამ წესების შესწავლა დაიწყეს დ'ობინიაკის წიგნით „თეატრის პრაქტიკა“ და ზოგიერთი ნაკლებ მოძველებული თხზულებით.

ამ წიგნებში განხილულია დიდმნიშვნელოვანი საკითხები: შეიძლება თუ არა კომედია ლექსად დაიწეროს; ტრაგედია თავის საზღვრებს ხომ არ სცილდება, როცა სიუჟეტს თანამედროვე ისტორიიდან იღებს; სათნონი უნდა იყვნენ თუ არა გმირები; რაგვარ არამზადას ითმენს ტრაგედია; რა საზღვარს უნდა აღწევდეს ტრაგედიაში საშინელება; წვრილმანებმა ხელი უნდა შეუწყონ საერთო მიზანს. ინტერესი თანდათან ძლიერდებოდეს, დასასრული კი დასაწყისს შეესაბამებოდეს, უეჭველად!

გამოიგონე ზამბარები, მე რომ დამაბას, ამბობს ბუალო.

რათა ენებამ, შენს სიტყვებში რომ გიზგიზებს,
იპოვოს გული, იგი გაათბოს და ააღელვოს.

ან გული როგორღა უნდა გაათბო?

ამრიგად, წესები როდი კმარა. საჭიროა კიდევ ტალანტი.

არც ტალანტი კმარა. კორნელს, საფრანგეთის აკადემიის აზრით, თეატრისა არაფერი არ გაეგება. ჟოფრუამ ვოლტერი მიწასთან გაასწორა, სუბლინიმ რასინს დასცინა. ლაგარპი ღრიალებდა შექსპირის სახელის გაგონებაზე.

რაკი ძველი კრიტიკა შესძაგდათ, ახლის გაცნობა მოუნდათ და გამოიწერეს გაზეთების რეცენზიები პიესების შესახებ:

რა აპლომბია! რა ჯიუტობა! რა უპატიოსნობა! შედევრების გინება, უხამსობის შექება! და იმათი გონებასიჩლუნგე, ვინც მცოდნედ ითვლება, და საყოველთაოდ აღიარებულ მახვილგონიერთა სისულელე!

განა ასეთ შემთხვევაში საზოგადოებას არ უნდა ენდო?

მაგრამ მათ ზოგჯერ არ მოსწონდათ ის ნაწარმოებნი, რომელთაც წარმატება ჰქონდათ, ხოლო დაწუნებულთ რაღაც საამო რამ გააჩნდათ.

ამრიგად, შესაძლოა, გემოვნებიანი ადამიანებიც ცდებოდნენ და სხვაც შეიყვანონ შეცდომაში, ხოლო ბრბოს განაჩენი კი რა ყურადსაღებიაო.

ბუვარმა ეს დილემა ბარბერუს წისაშე დააყენა, პეკუშემ კი დიუმუშელს მისწერა.

ყოფილი კომივოიაჟორი გააკვირვა პროვინციის გამომატვინებელმა გავლენამ. მისი ძველი მეგობარი ბუვარი ურევს, მოკლედ „საბოლოოდ გამოყეყეჩდა“.

თეატრი საჭმელია, ისევე, როგორც ყოველი სხვა რამ. იგი პარიზის ერთ-ერთი სანახაობაა. იქ გასართობად დადიან. კარგია ის, რაც გამხიარულებს.

— შე სულელო, შენა! — წამოიძახა პეკუშემ, — რაც შენ გართობს, მე არ მართობს; ცოტა ხნის შემდეგ კი სხვებსაც მობეზრდება და შენც. თუ პიესები უთუოდ სცენარზე დასადგმელად იწერება, რატომღა კითხულობენ მუდამ საუკეთესოებს მათ შორის?

და პასუხს ელოდა დიუმუშელისაგან.

პროფესორის აზრით, უშუალოდ პიესის ბედი არაფერს არ ამ-ტკიცებს. „მიზანთროპი“ და „ათალია“ ჩაფლავდა. „ზაირა“ ახლა უკვე გაუგებარია. ახლა ვინღა ლაპარაკობს დიუკანჟსა და პიკარ-ზე? იგი იმოწმებდა ყველა გახმაურებულ თანამედროვე ნაწარმოებს, დაწყებული „მეარღნე ფანშონით“ და გათავებული „მეთევზე გას-პარდოთი“, და წუხდა ჩვენი თეატრის დაქვეითებაზე. ამის მიზეზი ლიტერატურის, ანდა, უფრო სწორად, სტილის უგულებელყოფაა.

მაშინ ისინი თავიანთ თავს შეეკითხნენ, სახელდობრ, სტილი რა არისო.

და დიუმუშელის მიერ მითითებულ თხზულებათაგან შეიტყვეს ლიტერატურის ყველა ჟანრის საიდუმლოება.

როგორ უნდა მიაღწიო დიდებულ, დარბაისლურ, მიამიტურ სტილს, კეთილშობილურ გამოთქმებს ან უწმაწურ სიტყვებს?

ძაღლებს იმით აკეთილშობილებენ, რომ დაუმატებენ გააფთრე-ბულიო. ამონთხევა იხმარება მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით. ციებ-ცხელება ნიშნავს ვნებას. მამაცობა კარგია ლექსებში.

— ლექსების წერა ხომ არ დავიწყოთ? — ჰკითხა პეკუშემ.

— მერე! ჯერ პროზას შევუდგეთ.

რეკომენდებულია ნიმუშად აიღონ ერთ-ერთი კლასიკოსი, მაგ-რამ ყველა ისინი რითიმე საშიშნი არიან, რადგან სცოდავდნენ არა მარტო სტილის, არამედ ენის მხრივაც.

ასეთმა მტკიცებამ შეაცბუნა ბუვარი და პეკუშე და გრამატიკის შესწავლას შეუდგნენ.

არის თუ არა ფრანგულ ენაში ისეთი განსაზღვრული და განუ-საზღვრელი წევრი, როგორც ლათინურში. ზოგს ჰგონია კი, ზოგს არაო და მათ გაბედეს ამ საკითხის გადაჭრა.

არსებითი სახელი ყოველთვის ეთანხმება ზმნას, გარდა იმ შემ-თხვევისა, როცა არ ეთანხმება.

წინათ არავითარი განსხვავება არ ყოფილა ნაზმნარ ზედშესულ სახელსა და მიმღეობას შორის, მაგრამ აკადემია აღნიშნავს ამ გან-სხვავებას, თუმცა ამის გაგება ძნელია.

გრამატიკის შემდგენლები ერთმანეთს ეკამათებიან. ზოგს სილა-ბაზე ის ჰგონია, რაც სხვებს შეცდომად მიაჩნიათ. ეთანხმებიან პრინციპებს და უარყოფენ შედეგს, ეთანხმებიან შედეგს და უარ-

ყოფენ პრინციპებს, ემყარებიან ტრადიციას და უკუაგდებენ ოსტატებს. ლიტრემ ბუვარი და პეკუშე აწამა მტკიცებით, ორთოგრაფია არასოდეს არ ყოფილა უდავო და არც იქნებაო [1].

აქედან მათ დაასკვნეს, სინტაქსი ფანტაზიაა, გრამატიკა კი ილუზიაო.

თუმცა იმ ხანებში, რიტორიკის ერთმა სახელმძღვანელომ გამოაცხადა, უნდა წერო ისე, როგორც ლაპარაკობ და ყველაფერი კარგად იქნება, თუ გრძნობებისა და გამოცდილების მარაგი გაქვსო.

და რადგან გრძნობები არ აკლდათ და დაკვირვებებიც თითქოს დააგროვეს, ეგონათ, წერა შეგვიძლიაო: პიესა ჩარჩოების სივიწროვით გზღუდავს, მაგრამ რომანი მეტ თავისუფლებას იძლევა. ამიტომ განიზრახეს რომანის შეთხზვა და თავიანთი მოგონებანი გადაათვალიერეს.

პეკუშეს ერთი თავისი უფროსი გაახსენდა, მეტად საძაგელი ადამიანი და აპირებდა წიგნში მისთვის სამაგიერო გადაეხადა.

ბუვარი სამიკიტნოში ხვდებოდა ხოლმე სუფთა წერის ერთ მოხუც მასწავლებელს, უბადრუკ ლოთს. უფრო სასაცილო პიროვნებას ვერ წარმოიდგენდი.

ერთი კვირის შემდეგ მეგობრებმა გადაწყვიტეს ეს ორი პიროვნება შეეერთებინათ და მერე სხვები ეძებნათ: ქალი, ვისაც ოჯახში უბედურება შეაქვს; ქალი, მისი ქმარი და საყვარელი; ქალი, ვინც პატიოსანი რჩება ფიზიკურ ნაკლოვანებათა გამო. პატივმოყვარე კაცი, ცუდი მღვდელი.

ამ ბუნდოვანი ჩანაფიქრით ცდილობდნენ მეხსიერებაში შემონახული მასალა ერთმანეთთან დაეკავშირებინათ, ცოტა რაღაც უკუაგდეს, ცოტაც მიუმატეს.

პეკუშე იდეისა და გრძნობის მომხრე იყო, ბუვარი კი ხატოვნებისა და კოლორიტისა, და ერთმანეთისა აღარ ესმოდათ, ამასთან ერთს მეორის შეზღუდულობა აოცებდა.

იქნებ მეცნიერებამ, რომელსაც ესთეტიკა ეწოდება, გადაჭრას ყველა უთანხმოება? დიუმუშელის ერთ-ერთმა მეგობარმა, ფილოსოფიის პროფესორმა მეგობრებს ამ საკითხზე არსებულ თხზუ-

---

[1] აქ შეგნებულად გამოვტოვეთ ისეთი მსჯელობანი ფრანგული ენის გრამატიკაზე, რომელთა ქართულ თარგმანს აზრი არ ექნებოდა. (მთარგმნელი).

ლებათა სია გამოუგზავნა. ისინი ცალ-ცალკე მუშაობდნენ და ერთმანეთს თავიანთ მოსაზრებას უზიარებდნენ.

უწინარეს ყოვლისა, რა არის სილამაზე?

შელინგისათვის ეს არის უსასრულობა სასრულში; რიდისათვის — იდუმალი თვისება; ჟურფუასათვის — დაუნაწევრებელი მოვლენა, დე მესტრისათვის — რაც სათნოებას ეამება; მამა ანდრეასათვის — ის, რაც გონებას შეესაბამება.

არის სხვადასხვა სახეობის სილამაზე: სილამაზე მეცნიერებაში — გეომეტრია ლამაზია; სილამაზე ზნეობაში — ვერ უარყოფ, რომ სოკრატეს სიკვდილი ლამაზი იყო; სილამაზე ცხოველთა სამყაროში; ძაღლის სილამაზეა მისი ყნოსვა. ღორი ლამაზი ვერ იქნება მის უხამს ჩვევათა გამო; აგრეთვე გველი, რადგან იგი გვიღვიძებს წარმოდგენას სიმდაბლეზე.

ყვავილები, პეპლები, ფრინველები შეიძლება ლამაზი იყოს. ბოლოს, სილამაზის პირველი პირობაა ერთიანობა მრავალფეროვნებაში, ასეთია პრინციპი.

— თუმცა, — თქვა ბუვარმა, — ორი ელამი თვალი ორ სწორ თვალზე მეტად მრავალფეროვანია, ჩვეულებრივად კი ნაკლებ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

ახლა ამაღლებულის პრობლემის გარჩევას შეუდგნენ.

ზოგი საგანი თავისთავად ამაღლებულია: ნაკადულის ჩხრიალი, სქელი ბინდი, ქარიშხლისაგან ამოთხრილი ხე. ხასიათი ლამაზია, როცა ზეიმობს, და ამაღლებულია, როცა იბრძვის.

— მე მესმის, — თქვა ბუვარმა, — სილამაზე სილამაზეა, ამაღლებული კი — მეტად ლამაზი. როგორ განვასხვავოთ ისინი?

— ალღოთი.

— ალღო კი საიდან მოდის?

— გემოვნებიდან.

— გემოვნება რაღაა?

— მას ასე განსაზღვრავენ: გამოცნობის განსაკუთრებული უნარი, სწრაფი მსჯელობა, ზოგიერთი ურთიერთობის გარჩევის უნარი.

— ერთი სიტყვით, გემოვნება არის გემოვნება, მაგრამ ეს სახელწოდება როდი გვასწავლის, როგორ შევიძინოთ იგი. და რაგინდ სრულყოფილიც არ უნდა იყოს ნაწარმოები, იგი უნაკლო არასოდეს არ იქნება, თუმცა, არსებობს ურყევი სილამაზე, მისი კანონ-

ნები ჩვენთვის უცნობია, რადგან მისი წარმოშობა საიდუმლოებითაა მოცული.

რადგან იდეას ვერ გადმოსცემ ყოველგვარი ფორმით, ამიტომ საჭიროა ხელოვნების გამიჯვნა და ყოველ ხელოვნებაში რამდენიმე გვარეობის გარჩევა; მაგრამ არის შემთხვევები, როცა ერთი გვარეობა უნდა გადაიქცეს მეორე გვარეობად, რომ მიზანს არ გადაუხვიონ და სიმართლეს არ უღალატონ. სიმართლის ძალიან მკაცრი დაცვა ვნებს სილამაზეს, ხოლო სილამაზისათვის გადაჭარბებული ზრუნვა ხელს უშლის სიმართლეს. ამასთანავე სიმართლე არ არსებობს იდეალიზაციის გარეშე, აი რატომაა, რომ ტიპები წარმოადგენენ უფრო მდგრად რეალობას, ვიდრე პორტრეტები. თუმცა ხელოვნება ესწრაფვის მხოლოდ სიმართლეს, მაგრამ სიმართლე შედარებითია, წარმავალია და დამოკიდებულია დამკვირვებელზე.

ასე იბნეოდნენ მსჯელობის დროს. ბუვარი სულ უფრო ჰკარგავდა ესთეტიკისადმი რწმენას.

— თუ იგი უაზრობა არ არის, მისი სისწორე მაგალითებმა უნდა დაადასტუროს. მაგრამ, აი, ყური მიგდე!

და მან წაიკითხა შენიშვნა, რისთვისაც ბევრი ძიება დასჭირდა:

ბუჰური ბრალად სდებს ტაციტს, არ ჰქონდაო ის უბრალობა, რასაც ისტორია მოითხოვს.

ბ-ნი პროფესორი დრო შექსპირს უსაყვედურებს სერიოზული და სახუმარო ელემენტები აღრიაო. მეორე პროფესორს, ნიზარს, მიაჩნია, რომ ანდრე შენიე როგორც პოეტი, XVII საუკუნის დონეზე დაბლა დგას. ინგლისელი ბლერი ვერგილიუსს უძრახავს ჰარპიების სცენას. მარმონტელი წუწუნებს ჰომეროსის პოეტური თავისუფლების გამო. ლამოტს სრულებით არ სჯერა, რომ „ილიადის“ გმირები უკვდავნი იყვნენ. ვიდა აღშფოთებულია „ოდისეაში“ არსებული შედარებებით. „ერთი სიტყვით, რიტორიკის, პოეტიკისა და ესთეტიკის კრებულთა ყველა შემდგენელი ბრიყვად წარმომიდგენია“.

— შენ აზვიადებ! — უთხრა პეკუშემ.

ეჭვები მოსვენებას არ აძლევდნენ მას, რადგან თუ საშუალო ნიჭის მწერლებს შეცდომის უნარი არა აქვთ (ლონგინის სიტყვით), მაშინ შეცდომა სჩვევიათ ოსტატებს, ამიტომ აღტაცებაში უნდა

მოგვიყვანოს შეცდომებმა! ეს კი მეტისმეტია! ოსტატები ხომ ოსტატები არიან. მას სურდა მოერიგებინა დოქტრინები და ნაწარმოებნი, კრიტიკოსები და პოეტები, გაეგო სილამაზის არსი და ეს საკითხები ისე სტანჯავდნენ, რომ ღვიძლი ასტკივდა და სიყვითლით დაავადდა.

მისი ავადმყოფობა მეტად გამწვავებული იყო, როცა ქ-ნ ბორდენის მსახური მარიანა მოვიდა და შეატყობინა, ჩემს ქალბატონს თქვენი ნახვა სურსო.

ქვრივი დრამატული წარმოდგენის შემდეგ მათთან არ ყოფილა. ნუთუ ეს პირველი ნაბიჯი იყო მისი მხრივ? მაგრამ რა საჭირო იყო მარიანას შუამავლობა? და მთელი ღამე ბუვარი ამაზე ფიქრობდა.

მეორე დღეს, ორ საათზე, დერეფანში დასეირნობდა და დრო და დრო ფანჯარაში იხედებოდა. გაისმა ზარის ხმა. ნოტარიუსი იყო.

მან ეზო გამოიარა, კიბეზე ამოვიდა, სავარძელში ჩაჯდა, მიესალმა და უთხრა, ქ-ნ ბორდენს ვეღარ დაველოდე, მას ეკალის ფერმის ყიდვა სურსო.

ბუვარს თითქოს გული გაუგრილდაო, და პეკუშეს ოთახში შევიდა.

პეკუშემ არ იცოდა, რა ეთქვა. ივი შეურვებელი იყო, რადგან ვოკორბეის ელოდებოდა.

ბოლოს ქ-ნი ბორდენიც მოვიდა. მისი დაგვიანება გამოწვეული იყო მორთვის სირთულით: ქიშმირის შალი, ქუდი, ლაიკის თათმანები — ყველაფერი დიდმნიშვნელოვანი გარემოების შესაფერისი იყო.

გადაკერით ლაპარაკის შემდეგ, მან ჰკითხა, ათასი ეკიუ საკმაო იქნება თუ არაო.

— ერთ აკრში? ათასი ეკიუ? არასოდეს!

ქალმა თვალები მოჭუტა.

— ა ჰ! ჩემთვის!

და სამივე გაჩუმდა. შემოვიდა გრაფი თავერჟი. იღლიაში ადვოკატივით ტარსიკონის პორტფელი ჰქონდა ამოჩრილი, იგი მაგიდაზე დადო და თქვა:

— ამაში ბროშურებია! ისინი მწვავე საკითხს—რეფორმებს ეხებიან; მაგრამ ეს კი უეჭველად თქვენ გეკუთვნით!

და ბუვარს „ეშმაკის ჩანაწერების“ მეორე ტომი გაუწოდა.

მელი ის იყო კითხულობდა ამ წიგნს სამზარეულოში, მაგრამ რადგან საჭიროა თვალყური ადევნოს ჯალაბის ზნეობას, სწორად მიიჩნია მისთვის წიგნი წაერთმია.

ბუვარმა ეს წიგნი წასაკითხად მისცა თავის მსახურს.

ლაპარაკი ჩამოვარდა რომანებზე.

ქ-ნ ბორდენს რომანი უყვარდა, მაგრამ მძიმე რომანები არ უყვარდა.

— მწერლები, — თქვა ბ-ნმა ფავერჟმა, — ცხოვრებას მიმზიდველი ფერებით გვიხატავენ!

— სინამდვილე უნდა ასახონ! — შეესიტყვა პეკუშე.

— მაშასადამე, მხოლოდ ნიმუშები უნდა დავიცვათ.

— ნიმუშები რა შუაშია!

— ყოველ შემთხვევაში, დამეთანხმეთ, რომ წიგნები შეიძლება ხელში ჩაუვარდეს ახალგაზრდა ქალიშვილს. მე ქალიშვილი მყავს.

— მშვენიერი! — დაურთო ნოტარიუსმა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც საქორწინო ხელშეკრულებათა დადების დროს სჩვეოდა ხოლმე.

— და იმისათვის ან, უფრო სწორად, მის გარშემო მყოფ პირთათვის, ჩემს სახლში რომანებს არ ვაჭაჭანებ, რადგან ხალხი, ჩემო მეზობლებო....

— რაო, ხალხმა რა ჰქნა? — წარმოთქვა ვოკორბეიმ; რომელიც მოულოდნელად ზღურბლზე გამოჩნდა.

პეკუშემ მისი ხმა გაიგონა და საზოგადოებას შეუერთდა.

— მე ვამტკიცებ, რომ იგი უნდა დავიცვათ ზოგიერთი წიგნისაგან, — განაგრძო გრაფმა.

ვოკორბეი შეესიტყვა:

— მაშასადამე, თქვენ განათლების წინააღმდეგი ხართ?

— როგორ გეკადრებათ, ნება მიბოძეთ!

— მაგრამ ხომ ყოველდღე ესხმიან თავს მთავრობას, — თქვა მარესკომ.

— რა უბედურებაა!

გრაფმა და ექიმმა ლანძღვა დაუწყეს ლუი-ფილიპეს პრიტჩარდის საქმისა და პრესის თავისუფლების საწინააღმდეგო სექტემბრის კანონების გამო.

— ახალ დრამატულ წარმოდგენათა თავისუფლების საწინააღმდეგო კანონებში, — დასძინა პეკუშემ.

მარესკომ თავი ვეღარ შეიკავა:

— თქვენი დრამატურგები მეტისმეტს შვრებიან!

— ამაში მეც გეთანხმებით, — თქვა გრაფმა, — პიესები ქებადიდებას ასხამენ მკვლელობას!

— თვითმკვლელობა მშვენიერია, დავიმოწმებ კატონს, — შეესიტყვა პეკუშე.

ამ საბუთზე ბ-ნმა ფავერჟმა არაფერი უპასუხა და აუგად მოიხსენა ნაწარმოებნი, რომელნიც სასაცილოდ იგდებენ უაღრესად წმინდა დაწესებულებებს: ოჯახს, საკუთრებას, ქორწინებას.

— მოლიერზე რას იტყვით? — იკითხა ბუვარმა.

მარესკომ, რომელსაც კარგი გემოვნება ჰქონდა, უპასუხა, მოლიერი ანგარიშგასაწევი აღარ არის, მისი სახელი ცოტა არ იყოს გაბერილიაო.

— ერთი სიტყვით, — თქვა გრაფმა, — ვიქტორ ჰიუგო ულმობლად მოეპყრო მარიამ ანტუანეტას, სცენაზე რომ დედოფლის სახით მარიამ ტიუდორი გამოიყვანა.

— როგორ! — წამოიძახა ბუვარმა. — მე, ავტორს, უფლება არა მაქვს...

— არა, ბატონო, თქვენ უფლება არ გაქვთ გვიჩვენოთ დანაშაული და არ შეასწოროთ იგი, არ მოგვცეთ გაკვეთილი.

ვოკორბეისაც მიაჩნდა, რომ ხელოვნება უნდა ისახავდეს მიზანს — მასების სრულყოფას.

— შეაქეთ ჩვენი მეცნიერება, ჩვენი აღმოჩენანი, პატრიოტიზმი! და იგი აღტაცებული იყო კაზიმირ დელავინით.

ქ-ნმა ბორდენმა ქებით მოიხსენია მარკიზ ფუდრა. ნოტარიუსმა შენიშნა:

— მაგრამ ენა, მიაქციეთ თუ არა ამას ყურადღება?

— როგორ თუ ენა?

— სტილზე მოგახსენებენ! — მიაძახა პეკუშემ. — ფიქრობთ თუ არა, რომ მისი ნაწარმოებები კარგად დაწერილია?

— რასაკვირველია, ძლიერ საინტერესო ნაწარმოებებია.

მან მხრები აიჩეჩა, ქალი ასეთმა უხეშობამ წამოაწითლა.

ქ-ნი ბორდენი რამდენჯერმე შეეცადა დაბრუნებოდა თავის საქ-

მეს, მაგრამ უკვე ძლიერ გვიანი იყო. მან მკლავი გაუყარა მარესკოს და წავიდა.

გრაფმა ბროშურები ჩამოარიგა და ურჩია, გაავრცელეთო.

ვოკორბეი წასვლას აპირებდა, მაგრამ პეკუშემ შეაჩერა.

— მე დაგავიწყდით, ექიმო!

მისი ყვითელი სახე საბრალო შთაბეჭდილებას სტოვებდა, რასაც აძლიერებდა ულვაშები და შავი თმა, უშნოდ მოხვეული თაესაფრიდან რომ ჩამოშლოდა.

— მიიღეთ საფაღარათო, — ურჩია ექიმმა.

ორჯერ წაუტყაპუნა, როგორც ბავშვს და უთხრა:

— მეტისმეტი აღგზნება, შთაბეჭდილებიანი ბუნება!

ამ ფამილარობამ პეკუშეს ასიამოვნა, დაამშვიდა და, როცა მეგობრები მარტო დარჩნენ, ბუვარს ჰკითხა:

— შენ გგონია, რომ ეს სერიოზული არაა?

— რა თქმა უნდა, არა.

მათ შეაჯამეს ახლახან გაგონილი. ხელოვნების ზნეობრივი მნიშვნელობა თითოეულისათვის მისი ინტერესების წაქეზებაა. ლიტერატურა არ უყვართ.

შემდეგ მათ გადაათვალიერეს გრაფის ბეჭდური ბროშურები. ყველანი საყოველთაო არჩევნებს მოითხოვდნენ.

— მე მგონია, — თქვა პეკუშემ, — მალე კინკლაობა მოხდება.

მას ყველაფერი შავბნელად ეჩვენებოდა, შესაძლოა, სიყვითლის გამო.

## VI

1848 წლის 25 თებერვლის დილას შავინიოლში ფალეზიდან მოსული ერთი კაცისაგან შეიტყვეს, რომ პარიზი სავსეა ბარიკადებით, მეორე დღეს კი რატუშის კედელზე გაჩნდა აფიშა, რესპუბლიკა გამოცხადდაო.

ამ დიდმა მოვლენამ მცხოვრებნი გააოცა.

მაგრამ როცა მოვიდა ცნობა, საკასაციო პალატა, სააპელაციო პალატა, საკონტროლო პალატა, კომერციული სასამართლო, ნოტარიუსთა კრება, ადვოკატთა წოდება, სახელმწიფო საბჭო, უნივერსიტეტი, გენერალიტეტი და თვით ბ-ნი დე ლა როშჟაკლენი დროებით

მთავრობას მიემხრნენო, ხალხმა შვებით ამოისუნთქა; ხოლო რადგან პარიზში თავისუფლების ხეებს რგავდნენ, მუნიციპალურმა საბჭომ გადაწყვიტა, ხეები შავინიოლშიც საჭიროაო.

ბუვარმა ერთი ხე შესწირა, რადგან, როგორც პატრიოტს, ხალხის გამარჯვება უხაროდა. რაც შეეხება პეკუშეს, მეფის ძალაუფლების დამხობამ ისე გაამართლა მისი წინასწარმეტყველება, რომ არ შეიძლებოდა კმაყოფილი არ ყოფილიყო.

გორჟიუმ გულმოდგინედ შეასრულა მათი ბრძანება და ამოთხარა ერთ-ერთი ალვის ხე, მინდორს რომ ჰქონდა შემორაგული გორაკზე, და დანიშნულ ადგილზე მიიტანა, სოფელში შემოსასვლელთან.

ზეიმის დაწყებამდე სამივენი იქ ელოდნენ მსვლელობას.

გაისმა დოლების ბრახუნი, გამოჩნდა ვერცხლის ჯვარი, შემდეგ ორი მგალობელი, რომელთაც კელაპტრები ეკავათ და შემოსილი მღვდელი. ოთხი კლიროსელი შეადგენდა მის ამალას, მეხუთეს მოჰქონდა ნაკურთხი წყლით სავსე კასრი, მათ უკან კი მნათე მოდიოდა.

მღვდელი შედგა იმ ორმოს მიწაყრილზე, სადაც სამფეროვანი ლენტებით მორთული ალვის ხე დარგეს. მის პირდაპირ იდგნენ მერი და მისი ორი თანაშემწე: ბელჟამბი და მარესკო, შემდეგ საპატიო პირები: ბ-ნი დე ფავერჟი, ვოკორბეი და მომრიგებელი მოსამართლე კულონი, ნამძინარევი სახის მოხუცი. ჰერტოს პოლიციელის ქუდი ეხურა, ხოლო ახალ მასწავლებელს, ალექსანდრე პტის უბადრუკი მწვანე ფერის სერთუკი ეცვა—თავისი საკვირაო ტანსაცმელი. მეხანძრენი, რომელთაც ხმალამოწვდილი ჟირბალი მეთაურობდა, ერთ მწკრივად იდგნენ; მეორე მხარეს მოჩანდა თეთრი აბზინდები ლაფაიეტის დროის რამდენიმე ძველ მუზარადზე. ისინი ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ, რადგან შავინიოლში ეროვნული გვარდიელების რიცხვი შეთხელდა. გლეხები და მათი ცოლები, ახლო-მახლო ფაბრიკების მუშები და ბავშვები უკან იდგნენ, ხოლო ხუთი ფუტი და რვა სანტიმეტრი სიმაღლის ჩაფარი პლაკევანი თვალით აჩერებდა მათ და გულხელდაკრეფილი დადიოდა წინ და უკან.

მღვდელმა წარმოთქვა სიტყვა, როგორსაც იმავე გარემოებაში სხვა მღვდლებიც ამბობდნენ.

მეფეები რომ გაანადგურეს, ქება-დიდება შეასხა რესპუბლიკას.

განა არ ამბობენ: სიტყვის რესპუბლიკა, ქრისტიანული რესპუბლიკა? რა იქნება პირველზე უფრო მშვენიერი და მეორეზე უფრო უცოდველი? იესო ქრისტემ გვასწავლა ამაღლებული დევიზი: ხალხის ხე ჯვრის ხეაო. სარწმუნოებამ რომ ნაყოფი გამოიღოს, მოწყალება სჭირდება, და ეკლესიის მსახური მოწყალების სახელით ემუდარებოდა თავის ძმებს არ ჩაედინათ რაიმე უწესობა და მშვიდობიანად წასულიყვნენ შინ.

შემდეგ მან აკურთხა თავისუფლების ხე და ნაკურთხი წყალი ასხურა.

— იხარებდეს იგი და მოგვაგონებდეს ყოველგვარი მონობისაგან განთავისუფლებას და იმ ძმობას, რომელიც მის ჩრდილზე უფრო მადლიანია. ამინ!

რამდენიმე ხმამ გაიმეორა „ამინ“ და დოლის ბრახუნის შემდეგ Te Deum-ის გალობით კრებული გზას გაუდგა.

ეკლესიის მონაწილეობამ მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. უბრალო ხალხმა იგი კეთილდღეობის საწინდრად მიიჩნია, პატრიოტებმა კი მათი შეხედულების პატივისცემად.

ბუვარი და პეკუშე ფიქრობდნენ, მადლობა მაინც ეთქვათ საჩუქრისთვისო, ისე ვეხსენებინეთ მაინცო და ეს აზრი თავერქსა და ექიმს გაუმხილეს.

რა მნიშვნელობა აქვს ასეთ წვრილმანებს? ვოკორბეი აღფრთოვანებული იყო რევოლუციით, აგრეთვე გრაფი. იგი ვერ იტანდა ორლეანელებს. ესენი აღარ იქნებიან: გზა მშვიდობისა! ამიერიდან ყველაფერი ხალხისათვისაა! და თავის ფაქტოტუმ გიურელთან ერთად მღვდლის დასაწევად გაემართა.

ფუერო თავჩაღუნული მიდიოდა ნოტარიუსსა და სასტუმროს პატრონს შუა; იგი გაღიზიანებული იყო ცერემონიით და უფრთხოდა უწესობას, უნებურად მისჩერებოდა ჩაფარს, რომელიც კაპიტანთან ერთად წუხდა, რომ მარტო ჟირბალი საკმაო არ არის და მისი ჯარისკაცები ცუდად არიან გაწვრთნილნიო.

გზაზე გაიარეს მუშებმა, რომლებიც მარსელიეზას მღეროდნენ. შუაგულ ხალხში გორჟიუ კეტს იქნევდა. მას მიჰყვებოდა თვალანთებული პტი.

— არ მიყვარს ეს! — თქვა მარესკომ. — ხალხი ღრიალებს, ხელდება.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, — შეესიტყვა კულონი, — ახალგაზრდობა უნდა გაერთოს!

ფურომ ამოიოხრა:

— უცნაური გართობაა! ეს გილიოტინით დამთავრდება.

მას ეშაფოტი ელანდებოდა და ათასგვარ საშინელებას ელოდა.

პარიზის მღელვარება შავინიოლსაც გადაედო. მოსახლეობამ გაზეთები გამოიწერა. დილაობით ფოსტაში ჭყლეტა იყო ხოლმე და გამგე საქმეს თავს ვერ გაართმევდა, ზოგჯერ კაპიტანი რომ არ დახმარებოდა. შემდეგ ხალხი დროს მოედანზე ატარებდა საუბარში.

პირველი ცხარე კამათი პოლონეთის გამო წარმოიშვა.

ჰერტო და ბუვარი მის განთავისუფლებას მოითხოვდნენ.

გრაფი დე ფავერჟი სხვაგვარად ფიქრობდა.

— რა უფლებით წავალთ? ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ევროპა ავიმხედროთ. სჯობს ფრთხილად ვიყოთ!

ყველამ მას დაუჭირა მხარი და ორივე პოლონელი გაჩუმდა.

ერთხელ ვოკორბეიმ ლედრიუ-როლენის ცირკულარების დაცვა დაიწყო. ფურო შეესიტყვა და ორმოცდახუთი სანტიმი გაიხსენა.

— მაგრამ მთავრობამ მონობა გააუქმა! — თქვა პეკუშემ.

— მე მონობა არ მესაქმება!

— პოლიტიკური დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის გაუქმება?

— დამიჯერეთ, — განაგრძო ფურომ, — ახლა ყველაფრის გაუქმება სურთ. მაგრამ ვინ იცის? მოიჯარეები უკვე მოითხოვენ ამგვარ რამეს.

— აგრეც უნდა მოიქცნენ, — უპასუხა პეკუშემ, — მემამულეები შეღავათებით სარგებლობენ. ის, ვინც მესაკუთრეა...

ფურომ და მარესკომ სიტყვა გააწყვეტინეს და შესძახეს, კომუნისტი ხარო.

— მე? კომუნისტი?

და ყველა ერთად ალაპარაკდა. როცა პეკუშემ კლუბის დაარსება შესთავაზა, ფუროს გაბედულება ეყო და განაცხადა, შავინიოლში კლუბი არასოდეს არ იქნებაო.

შემდეგ გორჟიუმ თოფები მოითხოვა ეროვნული გვარდიის შესაიარაღებლაღ, რადგან საზოგადოებამ ინსტრუქტორად ცირჩია.

მხოლოდ მეხანძრეებს ჰქოდნათ თოფები, ჟირბალს არ უნდოდა მიეცა, ფუროს კი არც უფიქრია ამაზე.

გორჟიუმ შეხედა:

— ხალხი დარწმუნებულია, რომ მე ვიცი, როგორ უნდა მოვეპყრო მას.

რადგან სხვა მრავალ ხელოვნებასთან ერთად იგი ბრაკონიერიც იყო და ბ-ნი მერი და სასტუმროს პატრონი მისგან ხშირად ყიდულობდნენ კურდღელს თუ ბაჭიას.

— რა გაეწყობა, წაიღეთ, — უთხრა ფურომ.

იმავე საღამოს წვრთნა დაიწყო. წვრთნას მინდორში, ეკლესიის წინ გადიოდნენ, გორჟიუს ლურჯი ქურთუკი ჩაეცვა, თეძოებზე შარფი შემოეკრა. ავტომატივით მოძრაობდა. როცა ბრძანებას იძლეოდა, ხმა უხეში ჰქონდა.

— მუცელი შეწიე!

და ბუვარი სუნთქვას იკრავდა, დაუყოვნებლივ მალავდა თავის ღიას და გაიშვერდა უკანალს.

— რკალივით მოიხარეო, კი არ გეუბნებიან, დალახვროს ეშმაკმა!

პეკუშე ერთმანეთში ურევდა რიგებსა და მწკრივებს, მარჯვნივ და მარცხნივ მიბრუნებას. მაგრამ განსაკუთრებით საბრალო იყო მასწავლებელი: გამხდარი, კაფანდარა, ქერაწვერიანი; თოფი ძლივს ეპირა ხელში, ხიშტით მეზობლებს ავიწროებდა.

საწვრთნელებს ყოველგვარი ფერის შარვლები ეცვათ, პორტუპეები ჭუჭყიანი, ხოლო მუნდირები ისე მოკლე ჰქონდათ, რომ პერანგი უჩანდათ, და ყველა ირწმუნებოდა: „საშუალება არ მაქვს უკეთ ჩავიცვა“. უღარიბესებისათვის გაიმართა ხელმოწერა. ფურომ სიძუნწე გამოიჩინა, სამაგიეროდ ქალებმა ისახელეს თავი. ქ-ნმა ბორდენმა ხუთი ფრანკი შესწირა, თუმცა კი რესპუბლიკა ეჯავრებოდა. გრაფმა დე ფავერეემა თორმეტი კაცი გამოაწყო და წვრთნასაც არ აკლდებოდა. შემდეგ ბაყალის დუქანში დაჯდებოდა და, ვინც მოხვდებოდა, თითო ჭიქას ასმევდა.

იმ ხანებში გავლენიანი პირები დაბალ კლასებს ელიქნებოდნენ. მუშები პირველ პლანზე იყვნენ. ბევრი ბედნიერებად მიიჩნევდა მუშა რქმეოდა. მუშა უკვე მაღალი წოდება იყო.

თვით კანტორაში უპირატესად ფეიქრები ცხოვრობდნენ, სხვე-

ბი ჩითის მანუფაქტურებსა და იმ ხანებში აგებულ ქაღალდის ფაბრიკაში მუშაობდნენ.

გორჟიუ აცთუნებდა მათ თავისი ენაკვიმატობით. ასწავლიდა ფეხსაცმელობიას თამაშს, მეგობრები სასმელად დაჰყავდა ქ-ნ კასტილონთან.

მაგრამ გლეხები მეტნი იყვნენ და საბაზრო დღეებში გრაფი დე ფავერჟი მოედანზე სეირნობის დროს გამოჰკითხავდა ხოლმე რა გიჭირთო, ცდილობდა თავის ჭკუაზე მოეყვანა. ისინი უსმენდნენ და არ უპასუხებდნენ, ისე როგორც ძია გუი. რომელიც მზად იყო მიეღო ყოველი მთავრობა, ოღონდ გადასახადები შემცირებულიყო.

გორჟიუმ თავისი ლაყბობით სახელი გაითქვა. შესაძლო იყო, იგი ეროვნულ კრებაშიც კი აერჩიათ.

ამაზე ზოგჯერ გრაფი დე ფავერჟიც კი ფიქრობდა. მაგრამ თავს იკავებდა, სახელს უფრთხილდებოდა. კონსერვატორები ყოყმანობდნენ, არ იცოდნენ ფურო დაესახელებინათ თუ მარესკო. მაგრამ, რაკი მარესკოს არ სურდა თავის კანტორას განშორებოდა, არჩეულ იქნა ფურო — ტლანქი, კრეტინი. ექიმი აღშფოთებული იყო. კონკურსების ეს უღიმღამო პროდუქტი პარიზში ცხოვრებას ნატრობდა და მისი ნაღვლიანი შესახედაობა იმით აიხსნებოდა, რომ თავს ხელმოცარულად თვლიდა. მის წინაშე უფრო ფართო სარბიელი ისახებოდა. როგორ აინაზღაურებდა ყველაფერს! მან თავისი credo შეიმუშავა და მოვიდა, რათა ბ-ნ ბუვარისა და პეკუშესათვის გაეცნო იგი.

მათ მოიწონეს, რაკი ერთნაირი აზრისა იყვნენ. მაგრამ ისინი უკეთ წერდნენ, იცოდნენ ისტორია, იმაზე ნაკლებ როდი გამოიჩენდნენ თავს პალატაში. რატომ არ უნდა ეცადათ? მაგრამ მათგან რომელს უნდა დაესახელებინა თავისი კანდიდატურა? და დაიწყო შეჯიბრება თავაზიანობაში.

პეკუშე მეგობარს აძლევდა უპირატესობას.

— არა, ეს შენ უფრო შეგფერის, შენ უფრო წარმოსადეგი ხარ.

— თითქოს აგრეა, — მიუგო ბუვარმა, — მაგრამ შენ უფრო გაბედული ხარ.

რაკი ეს სიძნელე ვერ დასძლიეს, მოქმედების გეგმა დასახეს.

დეპუტატის სავარძლისაკენ ლტოლვა სხვებსაც გადაედო. ამაზე ოცნებობდა პოლიციელის ქუდით დამშვენებული კაპიტანი, მასწავლებელიც სკოლაში, მღვდელიც ორ ლოცვას შუა, ასე რომ იგი თვალს ზეცისაკენ აღაპყრობდა და ამბობდა:

— ღმერთო, მიშველე, რომ დეპუტატი გავხდე!

ზოგიერთთაგან წაქეზებული ექიმი ჰერტოსთან წავიდა და თავისი შანსები გაუმხილა.

კაპიტანმა აშკარად გამოთქვა თავისი აზრი. ვოკორბეი, რა თქმა უნდა, ცნობილი, მაგრამ ნაკლებ პოპულარული იყო თავის მოძმეთა შორის, განსაკუთრებით მეაფთიაქეებში. მის წინააღმდეგ ყველა ამხედრდებოდა, ხალხს ბატონი არ სურდა; საუკეთესო პაციენტები მიატოვებდნენ. ექიმმა ეს საბუთები ასწონ-დასწონა და თავისი გატაცება ინანა.

წავიდა იგი თუ არა, ჰერტო პლაკევანთან გაეშურა. ძველი ამხანაგები ხომ ერთმანეთს არ უღალატებდნენ. მაგრამ ჩაფარმა, რომელიც ფუროს ერთგული იყო, გადაჭრით უარი უთხრა მხარდაჭერაზე.

მღვდელმა გრაფ დე ფავერჟს დაუმტკიცა, ჩვენი დრო ჯერ არ დამდგარა, უნდა ვაცალოთ რესპუბლიკას თავისი ძალები გამოფიტოსო.

ბუვარმა და პეკუშემ გორჟიუს განუმარტეს: შენ ვერასოდეს ვერ დასძლევ გლეხებისა და ბურჟუების კოალიციასო, ეჭვებით აავსეს და ყოველგვარი იმედი გაუქარწყლეს.

პტიმ სიამაყის გამო თავისი მისწრაფება არ დამალა. ბელჟამბმა გააფრთხილა, დამარცხება ადგილს აუცილებლად დაგაკარგვინებსო.

ბოლოს ეპისკოპოსმა მღვდელს უბრძანა, დამშვიდდიო.

ამრიგად, რჩებოდა მხოლოდ ფურო.

ბუვარმა და პეკუშემ ბრძოლა გამართეს მის წინააღმდეგ, ამხილეს მისი არაკეთილსინდისიერება თოფების საქმეში, კლუბის დაარსების წინააღმდეგ, სიძუნწე, და გუიც კი დაარწმუნეს, ფურო ძველი რეჟიმის აღდგენას ესწრაფვისო.

რაგინდ ბუნდოვანი უნდა ყოფილიყო ეს ცნება გლეხისათვის, მას ეზიზღებოდა ის, რაც საუკუნეობით იყო დაგროვილი ძის წი-

ნაპართა გულში, და ფუროს წინააღმდეგ აამხედრა თავისი და ცოლის ნათესავები, ბიძაშვილები, ძმისწულები, მთელი ურდო.

გორჟიუმ, ვოკორბეიმ და პტიმ დაამთავრეს მერის განგვირგვინება და როცა ამრიგად ასპარეზი გაიწმინდა, ბუვარმა და პეკუშემ სრულიად მოულოდნელად წარმატების შესაძლებლობა მიიღეს.

მათ კენჭი ჰყარეს, რათა გადაეწყვიტათ, მათ შორის ვინ უნდა ყოფილიყო კანდიდატი, კენჭისყრამ ვერაფერი გამოარკვია და რჩევისათვის ექიმთან წავიდნენ.

ექიმმა ახალი ამბავი შეატყობინა: კანდიდატია ფლაკარდუ, „კალვადოსის" რედაქტორიო. დიდი იყო ორივე მეგობრის იმედის გაცრუება. თითოეული მათგანი იტანჯებოდა არა მარტო თავისთვის, არამედ მეგობრისთვისაც. პოლიტიკამ გააცხარა ისინი. არჩევნების დროს თვალს ადევნებდნენ ურნებს: გაიმარჯვა ფლაკარდუმ.

გრაფმა იმედი ეროვნულ გვარდიაზე დაამყარა, მაგრამ მეთაურის სამხრულები ვერ მიიღო, შავინიოლელებმა ბალკამბს მისცეს უპირატესობა.

საზოგადოების ამ უცნაურმა და მოულოდნელმა კეთილგანწყობილებამ ჰერტო გააოცა. მართალია, იგი უგულებელყოფდა თავის მოვალეობას და იმით კმაყოფილდებოდა, რომ ხანდახან თვალყურს ადევნებდა წვრთნას და შენიშვნებს იძლეოდა, მაგრამ სულ ერთია! მას საშინელებად მიაჩნდა, რომ უპირატესობა მიანიჭეს სასტუმროს პატრონს იმპერიის გადამდგარი კაპიტანის წინაშე, და 15 მაისს, პალატაში შეჭრის შემდეგ, მან განაცხადა:

— თუ დედაქალაქში ასამხედრო ხარისხებს ასე არიგებენ, მაშინ მე აღარაფერი გამიკვირდება.

იწყებოდა რეაქცია.

ხალხს სწამდა ლუი ბლანის ანანასის პიურე, ფლაკონის ოქროს საწოლი, ლედრიუ-როლენის მეფური ორგიები და, რადგან პროვინციელები იჩემებდნენ, პარიზის საქმეებზე სრული ცნობები მოგვეპოვებაო, შავინიოლელებს ეჭვი არ ეპარებოდათ მათს განზრახვებში და უაზრო ხმები სიმართლედ მიაჩნდათ.

დე ფავერჟი ერთხელ საღამოს მღვდელს ეწვია და აცნობა, ნორმანდიაში გრაფი შამბორი ჩასულაო. ფუროს სიტყვით, ჟუანვილი და მისი მეზღვაურები აპირებდნენ მუხრუჭი მოეჭირათ სოციალისტებისათვის. ჰერტო ამტკიცებდა, სულ მალე ლუი ბონაპარტე კონსული გახდებაო.

ფაბრიკები არ მუშაობდნენ. უქონელნი მრავალრიცხოვან ბრბოებად დაძრწოდნენ მთელ საფრანგეთში.

როგორღაც კვირას (ეს იყო ივნისის პირველ რიცხვებში) ერთი ჟანდარმი უეცრად გაეშურა ფალეზში. შავინიოლისაკენ მოდიოდნენ მუშები აკვილიდან, ლიფარიდან, პიერპონიდან და სენ-რემიდან.

დარაბები დაიხურა, მუნიციპალური საბჭო შეიყარა და გადაწყვიტა, უბედურების თავიდან ასაცილებლად არავითარი წინააღმდეგობა არ გავუწიოთო. ჟანდარმერიას აეკრძალა ყაზარმებიდან გამოსვლა და ქუჩებში გამოჩენა.

მალე გაისმა ისეთი ხმაური, თითქოს ქარიშხალი ახლოვდებაო. შემდეგ ფანჯრის მინები ჟირონდისტთა სიმღერამ ააზრიალა და კანის გზაზე გმოჩნდნენ ხელიხელჩაკიდებული, გამტვერიანებული, გაოფლიანებული, ჩამოგლეჯილი ადამიანები. მოედანი გაიჭედა. ატყდა გუგუნი.

გორჟიუ და მისი ორი ამხანაგი დარბაზში შევიდნენ. ერთს, ხმელ-ხმელს ყაისნაღით ნაქსოვი, ზონარშეხსნილი ჟილეტი ეცვა. მეორეს, ნახშირით გასვრილს, ალბათ მექანიკოსი იყო, ჯაგარა თმა ჰქონდა, ხშირი წარბები, ფეხთ ქსოვილის ტუფლები ეცვა. გორჟიუს ჰუსარივით ქურთუკი ცალ მხარზე მოეგდო.

სამივე ფეხზე იდგა, საბჭოს წევრები კი ლურჯ მაუდგადაფარებულ მაგიდას უსხდნენ და მღელვარებით გაფითრებულნი უცქეროდნენ.

— მოქალაქენო! — წარმოთქვა გორჟიუმ. — ჩვენ სამუშაოს მოვითხოვთ.

მერი კანკალებდა, ხმამ უღალატა.

მის მაგიერ მარესკომ უპასუხა, საბჭო საკითხს დაუყოვნებლივ განიხილავსო. და ამხანაგების წასვლის შემდეგ რამდენიმე წინადადება განიხილეს.

ზოგი ამბობდა, ღორღი ვატეხვინოთო. ჟირბალმა გამოთქვა აზრი, ანგლევილ-ტურნებიუს გზა გავიყვანოთო.

ის გზა კი, ბაიაზე რომ გადიოდა, იმავე მიზანს ემსახურებოდა.

შეიძლებოდა საგუბარის გაწმენდა! მაგრამ ეს სამუშაო არ კმაროდა. მეორე საგუბარი გაეთხარათ, მაგრამ სად?

ლანგლუა მომხრე იყო წყალდიდობისაგან დასაცავად მორტენის

გასწვრივ მიწაყრილი გაეკეთებინათ. ბელჟამბის აზრით, უმჯობესი იყო უჯანგარმოდებული მიწა მოეხნათ. შეუძლებელი გახდა რაიმე ერთ აზრზე შეთანხმება... ხალხის დასამშვიდებლად კულონი წინკარში გავიდა და განაცხადა, კრება საქველმოქმედო სახელოსნოების გეგმას ადგენსო.

— საქველმოქმედო? მადლობას მოგახსენებთ! — დაიძახა გორჟიუმ, — ძირს არისტოკრატები! ჩვენ შრომის უფლებას მოვითხოვთ!

ეს იყო საჭირბოროტო საკითხი, გორჟიუ ამაზე ამყარებდა თავის დიდებას. იგრიალა ტაშმა.

რომ მობრუნდა, ბუვარს შეეხეჩა, რომელიც პეკუშემ შეიყვანა ბრბოში. ერთმანეთს გამოელაპარაკნენ, სასწრაფო საქმე არ არის... შენობა გარშემორტყმულია ყოველი მხრიდან... საბჭო ვერსად წავა...

— ფული სად ვიშოვოთ?

— მდიდრებთან! თანაც მთავრობა ბრძანებას გასცემს მოაწყონ სამუშაოები.

— თუ სამუშაოები საჭირო არ იქნა?

— ავანსს მაინც მოგვცემენ!

— სამაგიეროდ ხელფასი შემცირდება, — მიუგო პეკუშემ. — თუკი შრომაზე მოთხოვნილება არ არის, მაშასადამე, პროდუქტები უხვია, თქვენ კი მოითხოვთ, პროდუქტები მეტი გამოუშვანო!

გორჟიუ ულვაშებს იკვნეტდა.

— მაგრამ... მრომის ორგანიზაციით...

— მაშინ პატრონი მთავრობა გახდება!

გარშემო რამდენიმე კაცი აბუზღუნდა:

— არა! არა! პატრონები აღარ გვინდა!

გორჟიუ გაჯავრდა.

— სულ ერთია! მშრომელებს კაპიტალი უნდა მიეცეთ, ანდა კრედიტი დაუწესდეთ!

— რანაირად?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ კრედიტი კი უნდა დაუწესდეთ!

— კმარა, დიდხანს ველოდეთ! — თქვა მექანიკოსმა. — ეს ყალთაბანდები მოთმინებას გვაკარგვინებენ.

იგი კიბეზე ავიდა და განაცხადა, კარს შევამტვრევო.

პლაკევანი შეეგება, მარჯვენა ფეხი წინ წამოედგა და ხელები დაემუშტა.

— აბა, ახლოს მოიწი!

მექანიკოსმა უკან დაიხია.

ბრბოს ღრიალმა დარბაზში შეაღწია. ყველანი წამოდგნენ და გაქცევა სურდათ. მაშველი ძალა ფალეზიდან იგვიანებდა! ნანობდნენ, რომ გრაფი იქ არ იყო. მარესკო კალამს ღუნავდა ხელში, მოხუცი კულონი კვნესოდა, ჰერტომ დაიყვირა, ჟანდარმები გამოიწვიეთო.

— იკისრეთ მეთაურობა! — უთხრა ფურომ.

— რწმუნება არა მაქვს!

ამასობაში ხმაური გაძლიერდა. მოედანი ხალხით აივსო და ყველანი რატუშის მეორე სართულს შესცქეროდა, რომ უეცრად შუალა ფანჯარაში, საათის ქვემოთ, პეკუშე გამოჩნდა.

მოხერხებულად ასულიყო უკანა კიბით, ლამარტინის წაბაძვით ხალხს მიმართა:

— მოქალაქენო!

მაგრამ მისი კარტუზი, მისი ცხვირი, მისი სერთუკი, მთელი მისი ფიგურა პატივისცემას არ უნერგავდა ბრბოს.

მას ვიღაც ტრიკოში გამოწყობილი კაცი გაეხმაურა:

— თქვენ მუშა ხართ?

— არა.

— მაშასადამე, პატრონი?

— არც ეგ.

— მაშ, დაიკარგეთ აქედან!

— რატომ? — ამაყად ჰკითხა პეკუშემ.

და მყის მიიმალა ფანჯარაში. მექანიკოსმა ჩამოათრია. გორჟიუ კი მის დასახმარებლად გაეშურა.

— მოეშვი, ეგ კაი კაცია!

გორჟიუ და მექანიკოსი ერთმანეთს ეძგერნენ.

კარი გაიღო და ზღურბლზე მარესკო გამოჩნდა. მან მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება გამოაცხადა. ეს გორჟიუს იდეა გახლდათ.

ტრიბუნიდან ანგლევილისაკენ გაუხვევს და ფავერჟის ციხედარბაზს მიადგება.

ეს იყო მსხვერპლი, რაც კომუნამ გაიღო მშრომელთა ინტერესებისათვის.

ბრბო გაიფანტა.

როცა ბუვარი და პეკუშე შინ ბრუნდებოდნენ, მათი სმენა ქალების საშინელმა კივილმა შეაშფოთა. მოთქვამდნენ ქ-ნი ბორდენი და მისი მოსამსახურე ქალები. ქვრივი განსაკუთრებით ხმამაღლა ტიროდა და, როცა ისინი დაინახა, წამოიძახა:

—აჰ, რა კარგია, რომ მოხვედით! უკვე სამი საათია გელოდებით! საბრალო ჩემი ბაღი, არც ერთი ტიტა აღარ დამიტოვეს! ბალახში ყველგან უწმინდურებაა. ის კი ვერას გზით ვერ მოგვიშორებია.

— ვინ ის?

— ძია გუი.

ძია გუის ნაკელი მოუტანია და პირდაპირ ბალახზე დაუყრია.

— ახლა მიწას ხნავს. როგორმე შეაჩერეთ.

— წავიდეთ! — უთხრა ბუვარმა.

გარე კიბის საფეხურებთან ურემში შებმული ცხენი ოლეანდრის ბუჩქებს წიწკნიდა, გოგრების კვლებს თელავდა. ბზები დაეჯიკნა, როდოდენდრონები დაემტვრია, ნაკელი კი, თითქოს თხუნელას უთხრიაო, ბალახზე იყო დახორავებული. გუი გულმოდგინედ ურევდა ნიჩბით.

ერთხელ როგორღაც ქალბატონმა ბორდენმა თქვა, მინდა ეს ადგილი გადავხნაო. გუიმაც სწორედ ახლა დაიწყო ხვნა და აღარ მოეშვა, მიუხედავად ქვრივის წინააღმდეგობისა. ასე ესმოდა მას შრომის უფლება, გორჟიუს სიტყვებმა თავგზა აუბნიეს. მხოლოდ მას შემდეგ წავიდა, როცა ბუვარი ძრისხანედ დაემუქრა.

ქ-ნმა ბორდენმა შრომა არ აუნაზღაურა. ნაკელი კი ზარალის საფასურად დაიტოვა. იგი გონიერი ქალი იყო, ექიმის ცოლი და ნოტარიუსის ცოლიც კი პატივს სცემდნენ, თუმცა ამ ქალებს უფრო მაღალი მდგომარეობა ჰქონდათ.

საქველმოქმედო სახელოსნომ ერთ კვირას იარსება. არავითარი მღელვარება არ ყოფილა. გორჟიუ სადღაც გაქრა.

ეროვნული გვარდია კი კვლავ შეიარაღებული იყო: ყოველ კვირადღეს დათვალიერება ტარდებოდა, ზოგჯერ წვრთნაც, ყოველ ღამეს გუშაგობა, რაც სოფელს აწუხებდა.

გუშაგები ხუმრობით ჩამორეკავდნენ ხოლმე ზარს კარზე, შეცვივდებოდნენ ოთახში, სადაც ერთ ბალიშზე თავმიდებული ცოლქმარი ხვრინავდა, ამასთან სახუმარო სიტყვებსაც ხარჯავდნენ, ქმარი კი წამოდგებოდა, რათა ერთი ჭიქა ღვინით მაინც გამასპინძლებოდა, შემდეგ კორდეგრადიაში დაბრუნდებოდნენ, თამაშობდნენ დომინოს, სვამდნენ სიდრს, ჭამდნენ ყველს, დარაჯი კი, გარეთ რომ მოწყენილი იდგა, წამდაუწუმ შეაღებდა ხოლმე კარს.

ბელუამბის თვინიერების გამო არავითარი დისციპლინა არ არსებობდა.

როცა ივნისის დღეები დაიწყო, ყველას ერთსულოვნად სურდა „პარიზს მიშველებოდა". მაგრამ ფუროს რატუშა ვერ დაეტოვებინა. მარესკოს — კანტორა, ეჭიმს — პაციენტები, ჟირბალს — მეხანძრეები; ბ-ნი დე ფავერჟი შერბურში იყო, ბელუამბი ლოგინში ჩაწვა. კაპიტანი ბუზღუნებდა:

— მე არ ვინდომეს, მით უარესი მათთვის.

და ბუვარმა იმდენი გონიერება გამოიჩინა, რომ პეკუშე არ გაუშვა.

იმ არემარეში დაზვერვის რაიონი გაფართოვდა.

პანიკა ატყდებოდა ხოლმე ზვინის ჩრდილის ანდა ხის ტოტების უცნაური ფორმის გამო; ერთხელ ყველა ეროვნულმა გვარდიელმა მოკურცხლა იმის გამო, რომ მთვარიან ღამეში ხეზე შენიშნეს თოფიანი კაცი, რომელიც მათ უმიზნებდა.

მეორედ ბნელ ღამეში, პატრული რომ წიფლის ტყეში მიდიოდა, წინიდან ფეხის ხმა მოესმა.

— ვინ მოდის?

პასუხი არავინ გასცა.

ის კაცი გზას განაგრძობდა, პატრული უკან მიჰყვებოდა ბარკვეულ მანძილზე, იმიტომ, რომ შეიძლებოდა მას პისტოლეტი ან კასტეტი ჰქონოდა. მაგრამ სოფელში რომ მივიდნენ, სადაც ახლოს მაშველი ეგულებოდათ, თორმეტი კაცი რაზმიდან ერთბაშად მივარდა და დაუყვირა:

— თქვენი საბუთები!

იგი შეახურეს, გალანძღეს. კორდეგარდიიდან სხვები გამოცვივდნენ, დაპატიმრებული იქ შეათრიეს და სანთლის შუქზე ბოლოს გორჟიუ იცნეს.

იაფი ლუსტრინის პალტო ეცვა. მხრებზე ასკდებოდა. დაგლეჯილ წაღებში ფეხის თითები უჩანდა. დაკაწრული და ნაცემი სახე დასისხლიანებოდა. საშინლად გამხდარი იყო და მგელივით იბღვირებოდა.

მალე ფურომ მოირბინა და ჰკითხა, წიფლის ტყეში როგორ გაჩნდი, შავინიოლში რად დაბრუნდი, უკანასკნელ ექვს კვირაში რას აკეთებდიო.

— ეს არავის ეკითხება. მე თავისუფალი კაცი ვარ.

პლაკევანმა იგი გაჩხრიკა, ეგონა, ვაზნები ექნებაო. გადაწყდა დროებით დაეპატიმრებინათ.

ბუვარი ჩაერია.

— ვერ უშველით! — უთხრა მერმა. — თქვენი შეხედულებანი ცნობილია.

— მაგრამ...

— ფრთხილად, გეუბნებით, ფრთხილად იყავით.

ბუვარს აღარ დაუყენია.

მაშინ გორჟიუმ პეკუშეს მიმართა:

— თქვენ კი, ბატონო, არაფერს იტყვით?

პეკუშემ თავი ჩაღუნა, თითქოს მისი უდანაშაულობა ეეჭვებაო.

საბრალომ მწარედ გაიღიმა.

— მე ხომ გიცავდით!

განთიადზე ორმა ჟამდარმმა იგი ფალეზს წაიყვანა.

სამხედრო სამართალში არ მიუციათ, მაგრამ გამასწორებელმა პოლიციამ სამი თვის პატიმრობა მიუსაჯა, ამბოხებას აქეზებდაო საზოგადოებრივი წყობილების დასამხობად.

ფალეზიდან მან თავის ყოფილ პატრონებს მოსწერა, მალე გაეგზავნათ მისთვის კარგი ყოფაქცევისა და პატიოსნების მოწმობა, მათი ხელწერა უნდა დაედასტურებინა მერს ან მის თანაშემწეს, რისთვისაც მათ მარესკოს მიმართეს.

ისინი შეიყვანეს ძველებური ქაშანურის თეფშებით მორთულ სასადილო ოთახში. ბულის საათს ყველაზე ვიწრო იაქთაღი ეკავა. წითელი ხის უსუფთაო მაგიდაზე იყო ორი ხელსახოცი, ჩაიდანი, ორი ფინჯანი. ოთახში გაიარა ქ-ნმა მარესკომ, ლურჯი ქაშმირის პენუარი ეცვა. ეს იყო პარიზელი ქალი, სოფლად რომ თავს მოწყენილად გრძნობდა. შემდეგ შემოვიდა ნოტარიუსი, ცალ ხელში

ბერეტი ეჭირა, მეორეში — გაზეთი და იმწამსვე თავაზიანად დაასვა ბეჭედი, მიუხედავად იმისა, რომ მათი პროტეჟე საშიში კაცი იყო.

— რა ბრძანებაა, — უთხრა ბუვარმა, — რამდენიმე სიტყვის გამო...

— როცა სიტყვას დანაშაული მოსდევს, ძვირფასო შეზობელო, მაშინ უკაცრავად!

— კი, მაგრამ, — შეესიტყვა პეკუშე, — როგორ გავარჩიოთ უვნებელი ფრაზა დანაშაულებრივისაგან? რაც დღეს აკრძალულია, ხვალ ტაშს იწვევს.

და მან დაგმო აჯანყებულთადმი მკაცრი მოპყრობა.

მარესკომ, რასაკვირველია, დაიმოწმა საზოგადოების დაცვა, სახელმწიფოს კეთილდღეობა, უზენაესი კანონი.

— ბოდიში, — უთხრა პეკუშემ, — ერთი კაცის უფლებას ისევე უნდა ვცეთ პატივი, როგორც ყველას უფლებას, და თქვენ მას, ძალის გარდა, ვერაფერს ვერ დაუპირისპირებთ, თუ ეს აქსიომა თქვენს წინააღმდეგ გამოიყენა.

მარესკომ პასუხის ნაცვლად ზიზღით აზიდა წარბები. ოღონდ მას ჰქონდეს შესაძლებლობა კვლავინდებურად შეადგინოს აქტები და ფუფუნებით და მოსვენებით იცხოვროს, იქ კი, დაე, რა უსამართლობაც გნებავთ ჩაიდინოს, ეს მას არ აწუხებს. ბოდიში მოიხადა, ბევრი საქმე მაქვსო.

სახელმწიფოს კეთილდღეობის თეორიამ მეგობრები აღაშფოთა. კონსერვატორებმა ახლა რობესპიერივით იწყეს ლაპარაკი.

გაჩნდა გაოცების ახალი საბაბი: კავენიაკის გავლენა მცირდებოდა. ეროვნული გვარდია საეჭვო ხდებოდა. ლედრიუ-როლენმა ვოკორბეის თვალშიც კი დაკარგა ფასი. კონსტიტუციაზე კამათი არავის არ აინტერესებდა, და 10 დეკემბერს შავინიოლის ყველა მცხოვრებმა ხმა ბონაპარტეს მისცა.

ექვსმა მილიონმა ხმამ პეკუშეს გული გაუგრილა ხალხისადმი. იგი და ბუვარი საყოველთაო ხმისმიცემის შესწავლას შეუდგნენ.

რაკი ყველა უფლებამოსილია, ასეთი ხმის მიცემა გონივრული ვერ იქნება. პატივმოყვარე კაცი მუდამ უხელმძღვანელებს, ანდა გაიყოლიებს სხვებს, როგორც მორჩილ ფარას; ამომრჩევლები ხომ

ვალდებულნიც კი არ არიან წერა-კითხვა იცოდნენ: ამიტომაც იყო, პეკუშეს აზრით, ამდენი სიყალბე კენჭისყრაში პრეზიდენტის არჩევის დროს.

— არავითარი სიყალბე! — შეესიტყვა ბუვარი, — საქმე, ჩემი აზრით, ხალხის სისულელეა. გაიხსენე ყველა ისინი, ვინც ყიდულობს სამკურნალო ბალზამს, დიუპუტრენის მალამოს, კასტელიანების წყალს და სხვ. ეს ტუტუცები შეადგენენ ამომრჩეველთა მასას და ჩვენც ვემორჩილებით მათს ნებას. რატომ არ შეიძლება სამი ათასი ლივრი წლიური შემოსავალი გვექნეს ბაჭიებისაგან? იმიტომ რომ, თუ ბევრი მოიყრის თავს, ისინი დაიხოცებიან. ამგვარადვე ბრბოში არსებული სისულელის ჩანასახი ვითარდება თვით ბრბოს არსებობის ფაქტის მეოხებით, აქედან კი აურაცხელი შედეგი გამომდინარეობს.

— შენი სკეპტიციზმი მაშინებს! — უთხრა პეკუშემ.

უფრო გვიან, გაზაფხულზე, ისინი შეხვდნენ გრაფ დე ფავერჟს, რომელმაც რომის ექსპედიციის ამბავი აცნობა: საფრანგეთი არ აპირებს თავს დაესხას იტალიელებს, მას მხოლოდ გარანტია ესაჭიროება. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გავლენა დაეცემოდა, ამაზე უფრო კანონიერი ჩარევა შეუძლებელიაო.

ბუვარმა თვალები დაჭყიტა.

— როცა საქმე პოლონეთს ეხებოდა, შენ საწინააღმდეგო აზრისა იყავი.

— ეს ერთი და იგივე არაა.

ახლა პირობები შეიცვალა. ამჟამად საქმე პაპს ეხება.

და ბატონი ფავერჟი ჯგუფს განასახიერებდა, როცა ამბობდა: „ჩვენ გვსურს, ჩვენ ასე ვიზამთ, ჩვენ იმედი გვაქვს“.

ბუვარი და პეკუშე ზიზღით განიმსჭვალნენ უმცირესობისადმიც და უმრავლესობისადმიც. ერთი სიტყვით, ბრბო და არისტოკრატია ერთმანეთს არ ჩამორჩებოდა.

ჩარევის უფლება მათ საეჭვოდ მიაჩნდათ. ამ უფლების პრინციპებს ისინი ეძებდნენ კალეოსთან, მარტენთან, ვატელთან. და ბუვარმა ასეთი დასკვნა გამოიტანა:

— ჩარევა წარმოებს იმ მიზნით, რომ ტახტი დაუბრუნონ მეფეს რომელიმე ხალხის გასათავისუფლებლად, ანდა რაიმე საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ყოველ შემთხვევაში ეს არის სხვისი უფ-

ლების ხელყოფა, ძალის ბოროტად გამოყენება, ფარისეველური ძალდატანება.

— მაგრამ, — თქვა პეკუშემ, — ხალხთა შორის, ისე როგორც ადამიანთა შორის, არსებობს სოლიდარობა.

— შესაძლებელია!

და ბუვარი ჩაფიქრდა.

მალე რომის ექსპედიცია დაიწყო.

გამანადგურებელი იდეების სიძულვილის გამო პარიზის ბურჟუაზიის რჩეულმა ნაწილმა ორი სტამბა აიკლო. დაარსდა წესრიგის მძლავრი პარტია.

შავინიოლის მხარეში მისი ბელადები იყვნენ გრაფი, ფურო, მარესკო, მღვდელი. ყოველდღე, ნაშუადღევის ოთხ საათზე, ისინი მოედანზე დასეირნობდნენ და მოვლენებს აანალიზებდნენ. მათი მთავარი საქმე ბროშურების გავრცელება იყო. სათაურებს მიმზიდველობა არ აკლდა: „ღვთის ნებით“, „მიწის განაწილების მომხრე“, „გამოვფხიზლდეთ“, „სად მივდივართ?“ ამ ბროშურებში ყველაზე უკეთესი იყო გლეხური ენით, გინებით და გრამატიკული შეცდომებით დაწერილი დიალოგები, ასე ვარაუდობდნენ გლეხთა ზნეობის ამაღლებას. ახალი კანონის თანახმად, ხელზე ვაჭრობა პრეფექტს ექვემდებარებოდა, პრუდონი კი ის იყო სენ-პელაჟის საპყრობილეში ჩასვეს: უდიდესი გამარჯვება!

თავისუფლების ხეები ყველგან დასჭრეს. შავინიოლიც დაემორჩილა ბრძანებას. ბუვარმა საკუთარი თვალით ნახა ძელებად დაჭრილი თავისი ალვის ხე. იგი სათათბიროდ მისცეს ჟანდარმებს, ჯირკვი კი ბატონ მღვდელს მიართვეს, ასე თუ ისე, იგი ხომ მისი ნაკურთხი იყო! რა აბუჩად აგდებაა!

არც მასწავლებელს დაუმალავს თავისი აღშფოთება.

ამის გამო ბუვარმა და პეკუშემ სიმპათია გამოუცხადეს, როცა ერთხელ მის კარზე გაიარეს.

მეორე დღეს იგი ეწვია, კვირის ბოლოს კი მეგობრებმა ვიზიტით უპასუხეს.

ბინდდებოდა, მოსწავლეები ის იყო წავიდნენ, დამრიგებელს დაემკლავებინა და ეზოს ჰგვიდა. მის ცოლს თავსაფარი მოეხვია და ბავშვს ძუძუს აწოვებდა. პატარა გოგონა მის კაბას ეფარებოდა, მახინჯი ბიჭი მის ფერხთით მიწაზე თამაშობდა. სარეცხის საპნიანი წყალი გუბედ დამდგარიყო სახლთან.

— ხომ ხედავთ, — თქვა მასწავლებელმა, — როგორ ზრუნავს ჩვენზე მთავრობა.

და მყის წყეული კაპიტალის წინააღმდეგ ამხედრდა. კაპიტალი დემოკრატიზებული უნდა იქნეს, უნდა განთავისუფლდნენ საწარმოო ძალები.

— სავსებით გეთანხმებით! — უთხრა პეკუშემ, — ყოველ შემთხვევაში, აღიარებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი დახმარების უფლება.

— კიდევ ერთი უფლება! — უთხრა ბუვარმა, — სულ ერთია, დროებითმა მთავრობამ უხერხემლობა გამოიჩინა, როცა ძმობის დეკრეტი არ გამოსცა. აბა სინჯეთ და დააწესეთ იგი!

ღამდებოდა და პტიმ უხეშად უბრძანა ცოლს, კაბინეტში სანთელი მომიტანეო.

შეთეთრებულ კედლებზე ქინძისთავებით მიემაგრებინათ მემარცხენეთა ლითოგრაფიული პორტრეტები. წიგნების პატარა კარადა ნაძვის ხის საწერი მაგიდის თავზე ეკიდა. დასაჯდომად სკამს, ტაბურეტს და საპნის ყუთს იყენებდნენ. მასწავლებელი ისე იქცეოდა, თითქოს ყოველივე ამას უგულებელჰყოფსო. მაგრამ სიღარიბეს ბეჭედი დაესვა მის ღაწვებზე, ხოლო ვიწრო საფეთქლები ცხვირისებურ სიჯიუტეს, შეუვალ სიამაყეს მოწმობდნენ. არასოდეს უკან არ დაიხევდა.

— მე აი რა მიდგამს სულს!

ეს თაროზე შემოწყობილი გაზეთების დასტა იყო. და მან მგზნებარე სიტყვებით გამოთქვა თავისი მრწამსი: ჯარების განიარაღება, მაგისტრატურის გაუქმება, ხელფასის გათანაბრება, საშუალო დონე , რის მეოხებითაც დადგება ოქროს საუკუნე რესპუბლიკის სახით, რომელსაც დიქტატურის მმართველობა ექნება. ასეთი კაცი მარჯვედ წაიყვანს საქმეს.

შემდეგ მასწავლებელმა მოიტანა ერთი ბოთლი ანისულის არაყი და სამი ჭიქა, რათა დაელია გმირის, უკვდავი მსხვერპლის, დიდი მაქსიმილიანეს სადღეგრძელო!

ზღურბლზე მღვდლის შავი ანაფორა გამოჩნდა.

შეკრებილთ სალამი მისცა, მასწავლებელთან მივიდა და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— როგორ არის წმ. იოსების საქმე?

— იმათ არაფერი არ მომცეს, — მიუგო მან.

— თქვენი ბრალია.

— რაც შემეძლო, თავი არ დამიზოგავს.

— ეჰ, ასეა?

ბუვარი და პეკუშე ადგნენ, რომ ხელი არ შეეშალათ მათთვის. პტიმ კვლავ დასვა ისინი და მღვდელს მიმართა:

— მეტი არაფერი გაქვთ სათქმელი?

აბატი ჟეფრუა ერთ წამს ყოყმანობდა, შემდეგ საყვედური ღიმილით დათაფლა და უთხრა:

— ხალხი ამბობს, რომ თქვენ ცოტა უგულებელყოფთ საღვთო წერილს.

— ო, საღვთო წერილს! — გაეხმაურა ბუვარი.

— რა არ მოგწონთ, ბატონო ჩემო, საღვთო წერილში?

— მე? არაფერი. მაგრამ არის უფრო სასარგებლო რამ, ვიდრე ისრაელის მეფეები და იონას არაკია!

— იფიქრეთ, როგორც გენებოთ! — მშრალად მიუგო ხუცესმა.

და ყურადღება არ მიუქცევია იქ დამსწრეთათვის; ან იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ისინი იქ იყვნენ, განაგრძო:

— კატეხიზმოს მეტად ცოტა დრო აქვს დათმობილი.

პტიმ მხრები აიჩეჩა.

— იქონიეთ ეს მხედველობაში. პანსიონერებს დაკარგავთ.

ათი ფრანკი, რასაც ეს მოსწავლეები თვიურად იძლეოდნენ, პტის თანამდებობის ყველაზე შემოსავლიანი მუხლი იყო. მაგრამ ანაფორას იგი მოთმინებიდან გამოჰყავდა.

— ჰოდა კარგი, შეგიძლიათ შური იძიოთ!

— ვინც მღვდლის ღირსებითაა მოსილი, ის შურს არ იძიებს, — აუღელვებლად უპასუხა მან. — მე მხოლოდ მოგაგონებთ, რომ 15 მარტის კანონი ჩვენ გვავალებს მეთვალყურეობა გავუწიოთ პირველდაწყებით სწავლებას.

— ძალიან კარგად ვიცი! — წამოიძახა მასწავლებელმა, — ეს აგრეთვე ევალებათ ჟანდარმერიის პოლკოვნიკებს! სამწუხაროა, რომ არა ჩაფარს! უფრო სრული კრებული იქნებოდა!

და ტაბურეტზე ჩამოჯდა, მუშტს იკბენდა, გააფთრებას იკავებდა, უმწეობით სული ეხუთებოდა.

მღვდელმა ნაზად შეახო ხელი მხარზე.

— მე თქვენი წყენინება როდი მინდოდა, ჩემო მეგობარო. დამშვიდდით! გამოიჩინეთ ოდნავი კეთილგონიერება!... აღდგომა გვიახლოვდება: იმედი მაქვს, მაგალითს მისცემთ სხვებს და ეზიარებით.

—აჰ, ეს კი მეტისმეტია! — მე? მე უნდა ჩავიდინო ასეთი სისულელე!

ასეთმა მკრეხელობამ ხუცესი გააფითრა. მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდა, ნიკაპი უცახცახებდა.

— ჩუმად, უბედურო! ჩუმად!... და ამისი ცოლი საეკლესიო თეთრეულს უნდა რეცხავდეს!

— მერე რა? ამით რა წაახდინა?

— ეკლესიაში არასოდეს არ დადის, ისევე როგორც თქვენ!

— დიახ, მაგრამ ამისათვის მასწავლებლებს სამსახურიდან არ ითხოვენ!

— შეიძლება სხვა ადგილას გადაიყვანონ!

მღვდელი გაჩუმდა. იგი შუაგულ ოთახში იდგა. პტიმ თავი ჩამოჰკიდა და დაფიქრდა.

საფრანგეთის მეორე ბოლოშიც რომ გასულიყვნენ და ამ მგზავრობისათვის უკანასკნელი კაპიკები დაეხარჯათ, იქაც სხვა სახელი ერქმეოდა იმავე ხუცესს, იმავე რექტორს, იმავე პრეფექტს; ყველას — მინისტრსაც კი; ეს თითქოს ყველა ერთი მძიმე ჯაჭვის რგოლები იყო. მასწავლებელმა უკვე მიიღო ერთი გაფრთხილება, ახლა სხვებს უნდა მოელოდეს. შემდეგ კი? და, როგორც პალუცინაციაში, თვალწინ წარმოუდგა, რომ ზურგზე ტომარაწამოკიდებული მიაბიჯებს დიდ გზაზე-იმათთან ერთად, ვინც უყვარს, და ხელს საფოსტო ეტლისაკენ იშვერს.

ამ დროს ცოლს სამზარეულოში ხველა აუტყდა; ძუძუთა ბავშვი აჭყიტლდა, ბიჭი ატირდა.

— საბრალო ბავშვები! — დაშაქრული ხმით თქვა მღვდელმა.

ახლა მამაც აქვითინდა.

— დიახ! დიახ! თანახმა ვარ ყველაფერზე, რასაც კი შოითხოვენ!

— მაგის იმედი მექნება, — უპასუხა მღვდელმა, თავდახრილი გამოემშვიდობა: — კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო!

მასწავლებელი იჯდა, თვალებზე ხელი აეფარებინა. ბუვარს ხელი ჰკრა.

— არა! თავი დამანებეთ! მალე მაინც ჩავძაღლდებოდე! რა უბადრუკი ვარ!

მეგობრები შინ დაბრუნდნენ და ბედს მადლობას სწირავდნენ, რომ დამოუკიდებელნი იყვნენ. მათ სამღვდელოების ძლიერება აშინებდათ.

იმ ხანებში ძლიერებას წესრიგის განსამტკიცებლად იყენებდნენ. რესპუბლიკა დაღუპვის კარზე იყო მისული.

სამ მილიონ ამომრჩეველს ჩამოართვეს საყოველთაო ხმის მიცემის უფლება. პერიოდული გამოცემების საწინდარი გაადიდეს, ცენზურა აღადგინეს. მას რომანებისა და ფელეტონებისათვისაც კი მოითხოვდნენ. კლასიკური ფილოსოფია სახიფათოდ მიაჩნდათ. ბურჟუები მატერიალური ინტერესების დოგმას ქადაგებდნენ, ხალხი კი თითქოს კმაყოფილი იყო.

სოფლელები თავიანთ წინანდელ ბატონებს უბრუნდებოდნენ.

გრაფი დე ფავერჟი რომელსაც ევრში ჰქონდა მამული, საკანონმდებლო კრებაში აირჩიეს, ხოლო მისი კალვადოსის მთავარ საბჭოში ხელახლად არჩევა წინასწარ იყო გადაწყვეტილი.

მან საჭიროდ მიიჩნია საუზმეზე დაეპატიჟნა იმ მხარეში თვალსაჩინო პირები.

ვესტიბიულმა, სადაც სტუმრებს სამი ლაქია ეგებებოდა, რომ ტანსაცმელი ჩამოერთმია, ანფილადად განლაგებულმა საბილიარდომ და ორმა სასტუმრო ოთახმა, მცენარეებმა ჩინურ ლარნაკებში, ბრინჯაომ ბუხრის თავზე, ოქროს თამასებმა პანელებზე, სქელმა ფარდებმა, ფართო სავარძლებმა, მთელმა ამ ფუფუნებამ ერთბაშად გააოცა სტუმრები, თითქოს მათ თავაზიანი სამსახური გაუწიესო. ხოლო სასადილო ოთახში სუფრა რომ დაინახეს, რომელზეც ვერცხლის სინებზე ეწყო შემწვარი და ყოველ თეფშთან ჭიქების მთელი ბატარეა იდგა, კიდეებში საუზმეულობაც ელაგა, ხოლო შუაში ორაგული იდო, ყველას სახე გაუბრწყინდა.

მოწვეული იყო ჩვიდმეტი კაცი, მათ შორის ორი დიდი მემამულე, ბაიის სუპრეფექტი და ერთიც შერბურელი. გრაფმა დე ფავერჟმა ბოდიში მოიხადა სტუმრების წინაშე, რომ მისი მეუღლე ლხინს ვერ ესწრებოდა, რადგან შაკიკი აწუხებდა, მერე, იმის შემ-

დეგ, რაც ქებით შეამკეს სუფრის კუთხეებში კალათებით დადგმული მსხალი და ყურძენი, სიტყვა ჩამოვარდა მნიშვნელოვან ახალ ამბავზე: ინგლისში შანგარინეს ჯარების გადასხმის პროექტზე.

ამ პროექტს ჰერტო მიესალმებოდა როგორც პატრიოტი, მღვდელი პროტესტანტებისადმი სიძულვილის, ფურო კი ვაჭრობის ინტერესების გამო.

— თქვენ შუა საუკუნეთა ინტერესებს გამოხატავთ! — უთხრა პეკუშემ.

— შუა საუკუნეები ბევრი რამით იყო კარგი! — შეესიტყვა მარესკო. — ასე, მაგალითად, ჩვენი ტაძრები!..

— გარნა ბოროტმოქმედებანი, ბატონო ჩემო!..

— მაგას მნიშვნელობა არ აქვს, ოღონდ რევოლუცია არ იყოს!..

— აჰ, რევოლუცია, აი უბედურება! — ამოიოხრა მღვდელმა.

— კი, მაგრამ მას ყველამ შეუწყო ხელი! და, მაპატიეთ, გრაფო, არისტოკრატიამაც კი, ფილოსოფოსებთან თავისი კავშირით!

— რა გაეწყობა! ლუი მეთვრამეტემ ძარცვა დააკანონა! მას შემდეგ საპარლამენტო რეჟიმი საფუძვლებს არღვევს!..

როსტბივი შემოიტანეს და რამდენიმე წუთის განმავლობაში მხოლოდ დანა-ჩანგლის ჩხაკუნი და ყბების კაპუნი ისმოდა, აგრეთვე ლაქიების ფეხის ხმა და ხშირად იმეორებდნენ ორ სიტყვას: „მადერა! სოტერნი!“.

საუბარი გააცხოველა შერბურელმა სტუმარმა: ხრამში დაგორებულნი როგორ შევჩერდეთო?

— ათენელებში, — თქვა მარესკომ, — რომლებთანაც ჩვენ საერთო თვისებანი გვაქვს, სოლონმა დემოკრატები იმით ალაგმა, რომ საარჩევნო ცენზი გაადიდა.

— უმჯობესი იქნებოდა პალატის გაუქმება, — თქვა გიურელმა, — მთელი უწესობა პარიზიდან მოდის.

— საჭიროა დეცენტრალიზაცია! — თქვა ნოტარიუსმა.

— ფართო დეცენტრალიზაცია! — დასძინა გრაფმა.

ფუროს აზრით, თემს უნდა ჰქონდეს სრული ძალაუფლება, იმის უფლებაც კი, რომ თავისი გზები გადაკეტოს მგზავრთათვის, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს.

სანამ ერთმანეთს სცვლიდა სხვადასხვა კერძი: საწებლიანი ქათამი, კიბოები, შამპინიონი, ბოსტნეულის სალათა, შემწვარი ტოროლები, სტუმრები ბევრ რამეს შეეხნენ: გადასახადის საუკეთესო სისტემას, დიდი კულტურის უპირატესობას, სიკვდილით დასჯის გაუქმებას. სუპრეფექტს არ დავიწყებია მოეყვანა ერთი სიტყვა-მოსწრებული კაცის მშვენიერი ფრაზა: „დაე დასაბამი მისცენ ბატონ მკვლელებს!“, „დაე შეუდგნენ საქმეს ბატონი მკვლელები“.

ბუვარი გააოცა მის გარშემო არსებული ნივთებისა და გამოთქმული აზრების კონტრასტმა, რადგან ჩვენ მუდამ გვეგონა, რომ სიტყვები უნდა შეესაბამებოდეს გარემოს, თითქოს მაღალი ჭერი დიადი აზრებისათვის არის შექმნილი. მიუხედავად ამისა, ლოყები შეუწითლდა დესერტის დროს და მოინახეებს ბურუსში ხედავდა.

სვეს ბორდო, ბურგუნდიული და მალაგა...

გრაფმა დე ფავერუმა, რაკი იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე, ბრძანა, შამპანური გახსენითო. სტუმრებმა ჭიქები ერთმანეთს მიუჭახუნეს და არჩევნების წარმატების სადღეგრძელო დალიეს; უკვე მეოთხე საათი იყო, როცა თამბაქოს მოსაწევ დარბაზში გადავიდნენ ყავის დასალევად.

„შარივარის“ ერთი კარიკატურა კონსოლზე ეგდო, „უნივერის“ ნორმებს შორის. მასზე გამოსახულ მოქალაქეს სერთუკიდან მოუჩანდა კუდი, რომელსაც ბოლოზე თვალი ჰქონდა. მარესკომ მისი აზრი გაანმარტა, რამაც ბევრი სიცილი გამოიწვია.

სტუმრები ლიქიორს სვამდნენ და სიგარის ფერფლი ავეჯის აბრეშუმს ეყრებოდა. მღვდელმა ჟირბალთან კამათში ვოლტერის წინააღმდეგ გაილაშქრა. კულონს ჩაეძინა. გრაფმა დე ფავერუმა განაცხადა, მე შამბიორის ერთგული ვარო.

— სკები მონარქიის სასარგებლოდ ლაპარაკობენ.

— ჭიანჭველის ბუდეები კი რესპუბლიკის.

თუმცა ექიმს არც ერთი აღარ ეპიტნავებოდა.

— თქვენ მართალი ხართ! — თქვა სუპრეფექტმა. — მმართველობის ფორმა როდია მთავარი.

— თუ თავისუფლება უზრუნველყოფილია!—შეესიტყვა პეკუშე.

— პატიოსან კაცს იგი არ ესაჭიროება. — მიუგო ფუროშ. — მე

სიტყვების მოყვარული არ გახლავართ! არც ჟურნალისტი ვარ! მაგრამ ვამტკიცებ, რომ საფრანგეთს მტკიცე ხელი ესაჭიროება!

ყველა ნატრობდა მხსნელს.

ბუვარმა და პეკუშემ წასვლისას გაიგონეს, რომ ბ-ნი დე ფავერჟი მღვდელ ჟეფრუას ეუბნებოდა:

— უნდა აღვადგინოთ მორჩილება. ხელისუფლება იღუპება, როცა მას აკრიტიკებენ. მხსნელი მხოლოდ ღვთაებრივი უფლებაა.

— სრული სიმართლეა, გრაფ.

ოქტომბრის მზის ფერმკრთალი სხივები აშუქებდა ტყეს, ნესტიანი ქარი ქროდა. მეგობრები ისე მიაბიჯებდნენ ჩამოცვენილ ფოთლებზე, თითქოს საპატიმროდან განთავისუფლდნენო.

რიჩი გამოთქმაც ვერ შესძლეს, შეძახილებით გამოხატეს:

— რა ყეყეჩები არიან! რა სიმდაბლეა! ასეთი ჩამორჩენილობის წარმოდგენა შეუძლებელია! უწინარეს ყოვლისა, რა არის ღვთაებრივი უფლება?

დიუმუშელის მეგობარმა, სწორედ იმ პროფესორმა, ვინც ისინი ესთეტიკის საკითხებში გაათვითცნობიერა, მათს კითხვაზე მეცნიერული წერილით უპასუხა.

ღვთაებრივი უფლების თეორია კარლოს II დროს ინგლისელმა ფილმერმა ჩამოაყალიბა.

აი იგიც:

„შემოქმედმა პირველ ადამიანს მიანიჭა ბატონობა მსოფლიოზე. ეს უფლება მის შთამომავლობაზე გადავიდა და მეფის ძალაუფლება ღვთისგანაა: „იგი მისი სახეა“, წერს ბოსიუე. მშობლის ძალაუფლება გვასწავლის კემორჩილებოდეთ ერთ ადამიანს. მეფეები მამათა სახედ არიან შექმნილნი.

ლოკმა ეს დოქტრინა უარყო. არის განსხვავება მშობლისა და მონარქის ძალაუფლებას შორის, რადგან საკუთარი შვილებისადმი ყოველ ქვეშევრდომსა და მონარქს თანაბარი უფლება აქვს მინიჭებული. მეფის ხელისუფლება არსებობს მხოლოდ ხალხის მიერ არჩევის საფუძველზე. ამასავე მოგვაგონებდა მირონცხების ჩვეულებაც, რომლის დროსაც ორი ეპისკოპოსი მაღალ წოდებასა და უბრალო ხალხს წარედგენდა მეფეს და ეკითხებოდა, ცნობთ თუ არა მეფედო.

ამრიგად, ხელისუფლება ხალხისაგანაა. მას აქვს უფლება „ქმნას

ყველაფერი, რაც ნებავს", — ამბობს ჰელვეციუსი. „შეცვალოს თავისი კონსტიტუცია", — ამბობს ვატელი, აღსდგეს უსამართლობის წინააღმდეგ. როგორც გლაფეი, ჰოტმანი, მაბლი ამტკიცებენ, და სხვა! წმ. თომა აქვინელი ნებას რთავს მას განთავისუფლდეს ტირანისაგან. „იგი თავისუფლდება აგრეთვე, აცხადებს ეიურიე, მოვალეობისაგან — იყო მართალი".

ბუვარი და პეკუშე ასეთმა აქსიომამ გააკვირვა და რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების" შესწავლას შეუდგნენ.

პეკუშემ ბოლომდე წაიკითხა; შემდეგ თვალები დახუჭა, თავი უკან გადასწია და მის გარჩევას შეუდგა.

ნაგულისხმევია შეთანხმება, რისი ძალითაც პიროვნება უარს ამბობს პირად თავისუფლებაზე.

ხალხმა ამავე დროს ვალდებულება იკისრა დაიცვას პიროვნება უსამართლობისაგან და საკუთრებად გადასცა ყველაფერი, რაც გააჩნდა.

სად არის საბუთი, რომ ხელშეკრულება არსებობდა?

არსად! და საზოგადოება გარანტიას არ იძლევა. მოქალაქეთა საქმიანობა იქნება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკა. მაგრამ რადგან საჭირონი არიან ხელოსნები, რუსო გვთავაზობს შემოვიღოთ მონობა, მეცნიერებამ დაღუპა ადამიანთა მოდგმა. თეატრი რყვნის, ფული ღუპავს კაცს, და სახელმწიფომ უნდა შემოიღოს გარკვეული რელიგია სიკვდილით დასჯის შიშით.

„როგორ! — თქვეს მეგობრებმა. — აი თურმე როგორია დემოკრატიის უმაღლესი ქურუმი!" –

ყველა რეფორმატორი მას ჰბაძავდა; ადგნენ და მორანის „სოციალიზმის გამოკვლევა" იშოვეს.

პირველი თავი მოგვითხრობს სენ-სიმონიზმის დოქტრინაზე.

სათავეშია **მამა**, რომელიც პაპსა და იმპერატორს განასახიერებს. მემკვიდრეობის უფლება უქმდება, ყველა ქონება, მოძრავი თუ უძრავი, ქმნის საზოგადოებრივ ფონდს და მისი მოხმარება წარმოებს იერარქიულად. მრეწველები დაიწყებენ სახალხო სიმდიდრის მართვას. მაგრამ შიში არაფერის არ უნდა გვქონდეს, მეთაური იქნება ის, ვისაც „ყველაზე მეტად უყვარს".

აკლია ერთი რამ — ქალი. ქალის გამოჩენაზეა დამოკიდებული მსოფლიოს ბედნა.

— ვერ გავიგე.

— ვერც მე გავიგე.

და ფურიერიზმის შესწავლა დაიწყეს.

მთელი უბედურება იძულებისაგან წარმოდგება. გახადეთ მიზიდულება თავისუფალი და მაშინ დამყარდება ჰარმონია.

ჩვენი სული შეიცავს თორმეტ მთავარ ვნებას: ხუთია ეგოისტური, ოთხი ანიმისტური, სამი განმანაწილებელი. ისინი ესწრაფვიან: პირველნი პიროვნებას, მეორენი ჯგუფებს, მესამენი ჯგუფთა ჯგუფებს ან სერიებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის ფალანგას ათას რვაას კაციან საზოგადოებას, სასახლეში რომ ცხოვრობს. ყოველ დილას ეტლებს მუშები შინდორში მიჰყავს, საღამოს კი უკან მოჰყავს. მათ დააქვთ დროშები, მართავენ დღესასწაულებს, ჰირთმევენ ღვეზელს. ყოველ ქალს თუკი სურს, ჰყავს სამი მამაკაცი: მეუღლე, საყვარელი და მწარმოებელი. უცოლოებისათვის წესდება ბაიადერათა ინსტიტუტი.

— ეს საჩემოა! — თქვა ბუვარმა.

და იგი ჰარმონიულ მსოფლიოზე ოცნებამ გაიტაცა.

კლიმატური პირობების გაუმჯობესების მეოხებით დედამიწა უფრო ლამაზი გახდება; რასების შეჯვარება ადამიანის სიცოცხლეს გაახანგრძლივებს. ადამიანები შეძლებენ ღრუბლების მართვას, როგორც ახლა იწვევენ ელვას. ღამღამობით ქალაქებს წვიმა გადაუვლის და გარეცხავს. ხომალდები გადასერავენ პოლარულ ზღვებს, რომელთაც ჩრდილოეთის ციალი გაალხობს. რადგან ყველაფერი წარმოსდგება ორი, მამრობითი და მდედრობითი სქესის ფლუიდისაგან, პოლუსებიდან რომ მოხეთქავს და ჩრდილოეთის ციალი სიმპტომია პლანეტის მძუნაობისა, ნამძუვნევს რომ ანაყოფიერებს.

— ეს ჩემს გაგებას აღემატება! — თქვა პეკუშემ.

სენ-სიმონისა და ფურიეს შემდეგ ხელფასის საკითხიღა დარჩა.

ლუი ბლანი მუშათა ინტერესებისათვის საგარეო ვაჭრობის გაუქმებას მოითხოვს; ლაფარელი — მანქანების შემოღებას; კიდევ ზოგი ვინმე ბაჟის შემცირებას სასმელებზე, ან კორპორაციების გარდაქმნას, ანდა წვნიანი კერძის დარიგებას. პრუდონს აღმოუჩენია ერთიანი ტარიფი და სახელმწიფოსათვის მოითხოვს შაქრის მონოპოლიას.

— ამ სოციალისტებს, — ამბობდა ბუვარი, — მუდამ ტირანია სურთ.

— ოჰ, არა!

— გარწმუნებ!

— რა სულელი ხარ!

— შენ კიდევ მაბრაზებ!

მეგობრებმა ეს თხზულებანი მას შემდეგ გამოიწერეს, რაც ნაამბობით გაეცნენ მათ. ბუვარმა რამდენიმე ადგილი დანიშნა, მეგობარს უჩვენა და უთხრა:

— თვითონ წაიკითხე! მაგალითად, ესესელებს, მორავიელ ძმებს, პარაგვაელ იეზუიტებსა და კინაღამ საპატიმროს რეჟიმს გვისახავენ. იკარიელებს საუზმისათვის ოცი წუთი სჭირდებათ, ქალები საავადმყოფოში მშობიარობენ; რაც შეეხება წიგნებს, მათი ბეჭდვა აკრძალულია რესპუბლიკის ნებადაურთველად.

— მაგრამ კაბე უეყეჩია!

— აი სენ-სიმონი რას ამბობს: პუბლიცისტები თავიანთ ნაწერებს მრეწველთა კომიტეტს წარუდგენენ განსახილველად. პიერ ლერუმ კი: კანონი მოქალაქეებს აიძულებს ორატორებს მოუსმინონო. ოგიუსტ კონტიმ: მღვდლები აღზრდიან ახალგაზრდობას, გონებრივ შრომას გაუძღვებიან და ხელისუფლებას აიძულებენ მოაწესრიგონ ბავშვთა დაბადება.

ამ დოკუმენტებმა პეკუშე დაამწუხრეს. საღამოს, სადილობისას, მან განაცხადა:

— გეთანხმებით, რომ უტოპისტების თხზულებებში სასაცილო ამბები გვხვდება, მაგრამ, ისინი მაინც იმსახურებენ ჩვენს სიყვარულს. სამყაროს სიმახინჯე მას სასოწარკვეთილებას ჰგვრიდა და რა არ გადაიტანეს, რომ იგი უფრო მშვენიერი გაეხადათ. გაიხსენე თავმოკვრილი მორუსი, კამპანელა, რომელიც შვიდჯერ აწამეს, ბუონაროტი, კისერზე ჯაჭვი რომ დაადგეს, სენ-სიმონი, სიღატაკეში რომ გარდაიცვალა, და ბევრი სხვა. მათ შეეძლოთ მშვიდად ეცხოვრათ, მაგრამ არა! ისინი თავისი გზით მიდიოდნენ და გმირებივით ცას შესცქეროდნენ.

— ხომ არ გგონია, — შეესიტყვა ბუვარი, — რომ რომელიმე ბატონის თეორიები შესცვლიან მსოფლიოს?

— განა სულ ერთი არ არის! — მიუგო პეკუშემ. — გვეყო ამ-დენი ეგოიზმი, უკეთესი სისტემა გამოვნახოთ!

— იქნებ, იმედი გაქვს, რომ შენ იპოვი?

— რა თქმა უნდა!

— შენ?

და ბუვარს ხარხარისაგან მუცელი და მხრები უხტოდა. მურა-ბაზე უფრო გაწითლებული, იღლიაში ხელსახოცგაჩრილი, იგი გამაღიზიანებლად იმეორებდა:

— ჰა! ჰა! ჰა!

პეკუშე გარეთ გავიდა და კარი გაიბრახუნა.

ქერმენა ოთახებში დადიოდა და ეძახდა. იგი თავის ოთახში აღმოჩნდა, სიბნელეში სავარძელში იჯდა და კასკეტი თვალებზე ჩამოეფხატა. ავად კი არ იყო, ფიქრებს გაეტაცა.

როცა ჩხუბი განელდა, ბუვარი და პეკუშე იმ დასკვნამდე მი-ვიდნენ, რომ მათ გამოკვლევებს ერთი რამ აკლდა: პოლიტიკური ეკონომია.

ისინი შეუდგნენ მიწოდებისა და მოთხოვნის, კაპიტალისა და საიჯარო გადასახადის, იმპორტის, აკრძალვითი სისტემის შესწავლას.

ერთხელ ღამით პეკუშე დერეფანში წაღების ჭრაჭუნმა გააღვიძა. წინადღით ჩვეულებისამებრ თვითონ გაუყარა ყველა ურდული და ახლა გასძახა ბუვარს, რომელსაც მაგრად ეძინა.

საბანქვეშ გაიტრუნენ. ხმაური არ განმეორებულა მოსამსახუ-რე ქალებმა განაცხადეს, არაფერი არ გაგვიგონიაო.

მაგრამ ბაღში სეირნობის დროს ბუვარმა და პეკუშემ ღობესთან კვალზე შეამჩნიეს ნაფეხური. იქვე ეგდო ღობიდან ამოგლეჯილი ორი ფიცარი. ცხადია, ვიღაც გადმოსულიყო.

ჩაფარი უნდა გაეფრთხილებინათ.

პეკუშემ მას რატუშაში ვერ მიუსწრო და ბაყალთან შეიარა.

მერედა, ვინ დაინახა, უკანა სადგომში პლაკევანთან და სხვებ-თან ერთად ღვინოს ვინ სვამდა? გორჟიუ! ბურჟუასავით გამოპრანგ-ულიყო და მთელ კომპანიას უმასპინძლდებოდა.

ბუვარმა და პეკუშემ ამ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნე-ლობა არ მისცეს.

მალე პროგრესის საკითხის შესწავლას შეუდგნენ.

ბუვარი მას არ უარყოფდა მეცნიერებაში, მაგრამ ლიტერატუ-

რაში პროგრესი ნაკლებ ცხადია და კეთილდღეობა კიდეც რომ იზრდებოდეს, ცხოვრების ბრწყინვალება მაინც გაქრა.

ბუვარი რომ დაერწმუნებინა, პეკუშემ ქაღალდი აიღო.

— გავიყვან ხვეულ ხაზს. ის, ვისაც შეუძლია გაჰყვეს მას, ყოველ დალმართში ჰორიზონტს ვერ დაინახავს, მაგრამ ხაზი მაღლა მიიწევს და, მოსახვევების მიუხედავად, მწვერვალს მაინც მიაღწევს. ასეთია პროგრესის სურათი.

ქალბატონი ბორდენი შემოვიდა.

1851 წლის 3 დეკემბერი იყო. მან გაზეთი მოიტანა.

სწრაფად წაიკითხეს მოწოდება ხალხისადმი, ცნობა პალატის დათხოვნის, დეპუტატთა დაპატიმრების შესახებ.

პეკუშე ვაფიცრდა, ბუვარი ქვრივს შესცქეროდა.

— როგორ? თქვენ არაფერს მეუბნებით?

— რა უნდა ვთქვა, თქვენი აზრით?

მათ დაავიწყდათ სკამი მიეწოდებინათ ქალისათვის.

— ეე კი იმიტომ მოვედი, მეგონა, ვასიამოვნებ-მეთქი! აჰ, დღეს თქვენ სრულებით არ ხართ თავაზიანი!

და, მათი უზრდელობით განაწყენებული, განშორდა მათ.

მოულოდნელობისაგან ენა ჩაუვარდათ, შემდეგ სოფელში წავიდნენ გულის მოსახებლად.

მარესკო თავჩარგული მუშაობდა, როცა ისინი მიიღო. იგი სხვა აზრისა იყო. პარლამენტის ლაყბობა გათავდა, და მადლობა ღმერთს! ამიერიდან საქმიანი პოლიტიკა დაიწყება.

ბელეამბს ეს ამბები არ გაუგია, თუმცა არც ენაღვლებოდა.

მეგობრები ბაზარში ვოკორბეის შეხვდნენ.

ექიმი ამ ამბებს უკვე განუდგა.

— ტყუილუბრალოდ იშრობთ სისხლს!

ფურომ გვერდით ჩაუარა და დაცინვით თქვა:

— დემოკრატები ჩაფლავდნენ!

კაპიტანმა კი, ეირბალთან რომ მკლავგაყრილი მიდიოდა, შორიდან დაიძახა:

— გაუმარჯოს იმპერატორს!

მაგრამ პტი გაუგებს მათ, და როცა ბუვარმა ფანჯარაზე დაუკაკუნა, მასწავლებელი კლასიდან გამოვიდა.

მას ძალზე სასეირო ამბად ეჩვენა, რომ ტიერი დატაპიმრებულიაო. ხალხმა შური იძია.

— აჰ, ბატონო დეპუტატებო, ახლა თქვენი რიგია!

ბულვარზე ხალხის დახვრეტა შავინიოლის მცხოვრებლებმა მოიწონეს. არ დაზოგონ დამარცხებულნი! არავითარი სიბრალული მსხვერპლისადმი! ვინც მეამბოხეა — არამზადაა.

— ჯერ ღმერთს შევწიროთ მადლობა, — ამბობდა მღვდელი, — შემდეგ კი ლუი ბონაპარტეს! უაღრესად პატივცემულ პირებს იკრებს გარშემო! გრაფი დე ფავერჟი სენატორი გახდება.

მეორე დღეს მათთან პლაკევანი მივიდა:

მეგობრები ბევრს ლაპარაკობენ. პლაკევანმა ურჩია, გაჩუმდითო.

— გინდა ჩემი აზრი იცოდე? — უპასუხა პეკუშემ, — რადგან ბურჟუები სასტიკნი არიან, მუშები მოშურნენი, მღვდლები მლიქვნელები, ხალხი კი, ბოლოს და ბოლოს, ყველა ტირანს ურიგდება, ოღონდ დრუნჩი ჯამში ჩაჰყოს, ნაპოლეონი სწორად მოიქცა! დაე ალაგმოს ისინი, გათელოს და ხოცოს! ეს კიდევ ცოტაა საძართლისადმი მათი სიძულვილისათვის, სიმდაბლისათვის, სიჩლუნგისა და სიბრმავისათვის!

ბუვარი ფიქრობდა:

— ხო-ხო, პროგრესიო? რას მიედ-მოედებიან!

მერე დასძინა:

— პოლიტიკა რაღაა?... გვარიანი სიბინძურეა!

— ეგ მეცნიერება არ არის, — გაეხმაურა პეკუშე, — სამხედრო ხელოვნება უფრო საინტერესოა, საშუალებას იძლევა განჭვრიტო მოვლენები. ჩვენ ეს უნდა შეგვესწავლა.

— ო, არა, მადლობას მოგახსენებ, — მიუგო ბუვარმა, — ყველაფერი მომძულდა. უმჯობესია ჩვენი სახლი გავყიდოთ და ველურებთან წავიდეთ.

— როგორც გენებოს!

მელი ეზოში წყალს ტუმბავდა.

ხის ტუმბოს გრძელი ოწინარი ჰქონდა. ოწინარს რომ ჩამოსწევდა, დაიხრებოდა ხოლმე და მაშინ კუნთებამდე უჩანდა ლურჯი წინდები. მერე მარჯვენა ხელს ასწევდა და თავს ოდნავ მოაბრუნებდა. პეკუშე უცქეროდა და სრულიად ახალ გრძნობას განიცდიდა, აღტაცებას, უსაზღვრო სიამოვნებას.

## VII

სევდიანი დღეები დადგა.

ბუვარმა და პეკუშემ, იმის შიშით გული არ გაგვიტყდესო, მეცადინეობა შეწყვიტეს. შავინიოლის მცხოვრებნი მათ ერიდებოდნენ, ნებადართული გაზეთებიდან არაფრის გაგება არ შეიძლებოდა. მეგობრები ცხოვრობდნენ სრულ მარტოობაში, სრულიად მოცლილნი:

ზოგჯერ წიგნს გადაშლიდნენ და მყისვე დახურავდნენ, რისთვის უნდა წაეკითხათ? ხანდახან ფიქრად მოუვიდოდათ, ბაღი გავწმინდოთო, ათიოდე წუთში დაიღლებოდნენ; ან ფერმა დავათვალიეროთო, შინ დაძმარებული დაბრუნდებოდნენ, ანდა ოჯახს მივხედოთო, მაშინ ჟერმენა აყვირდებოდა. იძულებული იყვნენ ამაზეც ხელი აეღოთ.

ბუვარს მოეპრიანა მუზეუმის კატალოგის შედგენა და განაცხადა, სულელური ექსპონატები გვაქვსო.

პეკუშემ ლანგლუას თოფი სთხოვა ტოროლებზე სანადიროდ, მაგრამ გასროლისთანავე გასკდა და პეკუშე კინაღამ მოკლა.

ასე მიედინებოდა მათი ცხოვრება სოფლურ მოწყენილობაში, მძიმეა, როცა რუხი ცა თავისი ერთფეროვნებით უსალბუნებს იმედმოკლებულ გულს. ყურს უგდებ კაცის ფეხის ხმას, კედლის გასწვრივ რომ მიაბაკუნებს ხის ფეხსაცმელებს, ან წვიმის წვეთებს, სახურავიდან რომ ცვივა. ხანდახან ფანჯარას მიეხეთქება ჩამოვარდნილი ფოთოლი, ჰაერში დატრიალდება და გაფრინდება. ქარი მოიტანს დაკრძალვის ზარის შორეულ ხმას. ბოსელში ძროხა დაიბღავლებს.

მეგობრები ერთმანეთის პირდაპირ სხედან და ამთქნარებენ, უცქერიან კალენდარს, საათს, ელოდებიან სადილს. ჰორიზონტი მუდამ ერთი და იგივეა: წინ — მინდვრები, მარჯვნივ ეკლესია, მარცხნივ ალვების ხეივანი, მათი კენწეროები ნისლში ირხევიან, შეუჩერებლად, საცოდავად. ის, რაც წინათ ასატანი იყო, ახლა ტანჯვას გვრიდა ორივეს. პეკუშეს ჩვეულად ჰქონდა სუფრაზე ცხვირსახოცი დაედო, ეს კი უსიამოვნო გრძნობას იწვევდა. ბუვარი ჩიბუხს არ იშორებდა, ლაპარაკისას ირხეოდა. დავა ატყდებოდა ხოლმე კერძების გამო, კარაქის ხარისხის გამო. ერთად ისხდნენ და სხვადასხვა რამეზე ფიქრობდნენ ხოლმე.

ერთმა ამბავმა პეკუშე შეაძრწუნა.

შავინიოლის ამბოხების მესამე დღეს იგი სასეირნოდ წავიდა, რათა პოლიტიკური უსიამოვნებისაგან გონება გაენთავისუფლებინა. თელების ხეივანში მოისმა ხმა:

— მოიცა!

ქ-ნი კასტილიონი იყო. იგი მეორე მხრიდან მორბოდა და პეკუშეს ვერ ამჩნევდა. ის, ვისაც მისდევდა, მობრუნდა. გორჟიუ იყო. პეკუშესგან ერთ საჟენზე შეხვდნენ ერთმანეთს, იმ ადგილს ხეები ეფარებოდა.

— მართალია, რომ უნდა იბრძოლო? — ჰკითხა ქალმა.

პეკუშე თხრილში ჩაიმალა, რომ ყური უკეთ დაეგდო.

— ჰო, მართალია, — მიუგო გორჟიუმ. — უნდა ვიბრძოლო. მერე შენ რა გინდა?

— კიდევაც მეკითხება! — წამოიძახა ქალმა და ხელები გაასავსავა. — რომ მოგკლან, ძვირფასო? არა, დარჩი!

მისი ცისფერი თვალები სიტყვებზე უფრო ძლიერ ემუდარებოდნენ.

— თავი დამანებე! უნდა წავიდე!

ქალმა ბოროტად ჩაიცინა.

— ეტყობა, მეორემ ნება დაგრთო!

— იმაზე კრინტი არ დასძრა!

და მუშტი აღმართა.

— არა, ძვირფასო, არა! ჩუმად ვარ, არაფერს ვაძბობ!

მსხვილი ცრემლები თავსაფრის ბოლოებს უსველებდა.

შუადღე იყო. მზე ბრწყინავდა ოქროს თავთავებით დაფარულ ვაკეზე. ჰორიზონტზე, აღმართში ნელა მიჩოჩავდა ურემი... ჰაერი გარინდებული იყო, არც ფრინველთა ჭიკჭიკი, არც მწერთა ზუზუნი. გორჟიუმ წკეპლა მოჭრა და კანს აცლიდა. ქ-ნი კასტილიონი თავდახრილი იდგა.

საბრალო ქალი ფიქრობდა თავის ამაო მსხვერპლზე; ვალებზე, რომლებიც გადაიხადა, იმაზე, თუ რა მოელოდა, თავის სირცხვილზე. წუწუნი არ დაუწყია. გაახსენდა მათი სიყვარულის პირველი დღეები, როცა ყოველ ღამე მიდიოდა ხოლმე საცეხვში, ასე რომ ერთხელ მის ქმარს ქურდები მოეჩვენა და პისტოლეტი გაისროლა ფანჯარაში. ტყვია ახლაც ზის კედელში.

— იმ წუთიდან, რაც დაგინახე, პრინცივით ლამაზი მეჩვენებოდი. მიყვარს შენი თვალები, შენი სიარული, შენი სუნი.

და წყნარად დასძინა:

— უგონოდ მიყვარხარ!

გორჟიუს ეს სიტყვები ეამა და გაეღიმა.

ქალმა წელზე ხელი მოჰხვია, თავი გადასწია და, თითქოს ლოცულობსო, განაგრძო:

— ჩემო ძვირფასო! ჩემო სიყვარულო! ჩემო სულიკო, გამიგონე, მითხარ რა გინდა? იქნებ ფული გინდა? მოგცემ. დამნაშავე ვარ, თავს გაბეზრებდი! მაპატიე! მკერავს კოსტიუმი შევუკვეთე, სვი შამპანური, იქეიფე, ყველაფრის, ყველაფრის ნებას გაძლევ.

მერე ღონე მოიკრიბა და ჩურჩულით უთხრა:

— იმასთან შეხვედრის ნებასაც კი!.. ოღონდ დამიბრუნდი.

გორჟიუ მის ტუჩებთან დაიხარა, ცალი ხელი წელზე შემოხვია, რომ არ წაქცეულიყო, ქალი კი ბუტბუტებდა:

— ჩემო ძვირფასო! ჩემო სიყვარულო! რა ლამაზი ხარ! ღმერთო, რა ლამაზი ხარ!

პეკუშეს თავი ნიკაპამდე ამოეწია თხრილიდან, იგი სულგანაბული ადევნებდა თვალს შეყვარებულთ, მძიმედ სუნთქავდა.

— ნუ წუწუნებ!—უთხრა გორჟიუმ, აგრე ხომ შეიძლება დილიჟანსიც ცამომეპაროს. მარჯვე დარტყმა მზადდება! მეც ვიღებ მონაწილეობას!.. ათი სუ მომეცი, კონდუქტორს უნდა გავუმასპინძლდე.

ქალმა ხუთი ფრანკი ამოიღო.

— მალე დამიბრუნებ. ცოტა მოიცადე! მას შემდეგ, რაც იგი დამბლადაცემული წევს!.. დაფიქრდი! და თუ გინდა, წავიდეთ კრუა-ჟანვილის ეკლესიაში და იქ, ჩემო სიყვარულო, ღვთისმშობლის წინაშე აღთქმას დავდებ ცოლად გამოგყვე, როგორც კი ის მოკვდება!

— ოჰ, შენს ქმარს რა მოჰკლავს!

გორჟიუ განშორდა. ქალი დაეწია, მხრებზე მოეჭიდა.

— წამიყვანე! შენი მოსამსახურე ვიქნები. ხომ გესაჭიროება ვინმე? ნუ წახვალ! ნუ მიმატოვებ!! სიკვდილი მიჯობს! აჰა, მომკალი!

იგი ფეხქვეშ უვარდებოდა, ცდილობდა დაეჭირა მისი ხელები და დაეკოცნა; ჩაჩი მოსძვრა, მერე სავარცხელიც და გაეწეწა სა-

ფეთქლებზე შეპაღარავებული თმა. იგი ქვემოდან შესცქეროდა, ცრემლები აბრჩობდა, თვალები დასწითლებოდა, ტუჩები შეშუპებოდა. გორჟიუ საშინელებამ მოიცვა, ხელი ჰკრა და მოიშორა.

— მომშორდი, დედაბერო! მშვიდობით!

ქალი წამოდგა, ყელზე ოქროს ჯვარი შეიწყვიტა და სახეში ესროლა:

— ესეც შენ, არამზადავ!

გორჟიუ წავიდა და გზაში ფოთლებს წკეპლას უტლაშუნებდა.

ქ-ნი კასტილიონი აღარ ტიროდა. პირღია და თვალებგაშტერებული იდგა, სასოწარკვეთილებას გაექვავებინა! გეგონებოდა, ცოცხალი არსება კი არა, რაღაც დაშლილი ნივთიაო.

ის, რაც პეკუშემ დაინახა, მისთვის თითქოს აღმოჩენა, მთელი ახალი სამყარო იყო, სადაც მან იხილა განსაკუთრებული, დამაბრმავებელი სინათლე, უცნაური ყვავილობა, ოკეანეები, ქარიშხალი, საგანძური, უძირო. უფსკრული! საშინელებას უქადდა იგი — მერე რა უშავს! პეკუშე ოცნებობდა სიყვარულზე, პატივმოყვარეობით ოცნებობდა დამწვარიყო ამ სიყვარულით. როგორც ქ-ნი კასტილიონი, და გორჟიუსავით გამოეწვია ეს გრძნობა.

ნამდვილად კი, გორჟიუ ეზიზღებოდა და ოდესღაც კორდეგარდიაში თავი ძლივს შეიკავა, რომ არ გაეცა.

ქ-ნი კასტილიონის საყვარელი თითქოსდა შეურაცხყოფდა პეკუშეს თავისი ტანადობით, ტალღოვანი თმით, ხუჭუჭა წვერით, გამარჯვებულის შესახედაობით; თავად ხომ თმა ისე ადგა, როგორც დასველებული პარიკი; ბალახონში გახვეული ტანი მოთელილ მუთაქას უგავდა, ორი კბილი აკლდა, პირისახე დაღვრემილი ჰქონდა. ფიქრობდა, განგება უსამართლოდ მომექცაო, თავს ისე გრძნობდა, თითქოს მემკვიდრეობა დაეკარგოს. მეგობარსაც წინანდებურად აღარ უყვარდა.

ბუვარი ყოველ საღამოს მარტო სტოვებდა ხოლმე. პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ არაფერი არ უშლიდა ხელს მეორე ცოლი შეერთო, რომელიც ახლა მოუვლიდა, ოჯახს მიხედავდა.

ბუვარმა სარკეში ჩაიხედა: ლოყებს ფერი შერჩენოდა, თმა უწინდებურად ხუჭუჭი ჰქონდა, არც ერთი კბილი არ აკლდა და რომ გაიფიქრა, კიდევ შეიძლება ვისმე მოვეწონოო, ახალგაზრდობა დაუბრუნდა. ქ-ნი ბორდენი გაახსენდა. რამდენს ეკეკლუცებოდა

ხოლმე: პირველად, ხანძრის შემდეგ მინდორში, მეორედ მათთან, სადილზე, მერე მუზეუმში, როცა ლექსებს კითხულობდა. უკანასკნელად კი წყენა დაივიწყა და სამ კვირადღეს ზედიზედ მოდიოდა. ბუვარიც ეწვია, მერე სიარულს მოუხშირა, რადგან მისი გულის მოგება დაისახა მიზნად.

მას შემდეგ, რაც პეკუშე თვალს ადევნებდა ახალგაზრდა მოსაპსახურე გოგოს, რომელიც ჭიდან წყალს იღებდა, სულ უფრო ხშირად ელაპარაკებოდა ხოლმე მას; დერეფანს გვიდა, სარეცხს ფენდა თუ ქვაბებს რეცხავდა, პეკუშე ვერ ძღებოდა მისი ცქერით და, როგორც ჭაბუკობისას, უყვარდა თავისი გრძნობები, ისეთსავე ვნებას და გზნებას განიცდიდა. ბოსვენებას არ აძლევდა იმას მოგონება, თუ როგორ ეხვეოდა გორჟიუ ქ-ნ კასტილიონს.

ბუვარს ეკითხებოდა ხოლმე, რა ხერხს მიმართავდნენ გარყვნილები ქალის გულის მოსაგებადაო.

— საჩუქრებს აძლევდნენ, რესტორანში პატიჟებდნენ.

— ძალიან კარგი! შემდეგ?

— ზოგი ქალი იგონებს, გული წამივიდაო, რომ აიყვანონ და დივანზე დააწვინონ; ზოგს ვითომ ცხვირსახოცი დაუვარდება. ყველაზე უკეთესია, როცა პირდაპირ დაგინიშნავენ პაემანს.

და ბუვარი მოუყვა ამბებს, რომლებმაც გაახელეს პეკუშეს წარმოსახვა, როგორც უწმაწურმა გრავიურებმა.

— პირველი კანონია, არ ერწმუნო იმას, რასაც გეტყვიან. ისეთებიც მინახავს, ერთი შეხედვით წმინდანებს რომ გავდნენ, ნამდვილად კი მესალინები იყვნენ.

მაგრამ გამბედაობა შეკვეთით როდი მოდის. პეკუშე მუდამ საზვალიოდ სდებდა გადაწყვეტილების მიღებას, თანაც ჟერმენა უშლიდა ხელს.

იმ იმედით, რომ დაგვეთხოვებაო, სამუშაოს უმატებდა, იწერდა, რამდენჯერ დათვრა, საყვედურს ეუბნებოდნენ უსუფთაობის გამო, სიზარმაცისათვის და საქმე ისე მარჯვედ წაიყვანა, რომ ჟერმენა დაითხოვეს.

მაშინ პეკუშეს ხელ-ფეხი გაეხსნა.

რა მოუთმენლად ელოდა ხოლმე ბუვარის შინიდან წასვლას! როგორ უცემდა გული, როცა კარი დაიკეტებოდა!

მელი მაგიდასთან კერავდა სანთლის შუქზე. დროდადრო

ძაფს კბილებით გაკვნეტდა, მერე თვალებს მოჭუტავდა და ნემსის ყუნწში ძაფს გაუყრიდა.

თავდაპირველად მოისურვა გაეგო, როგორი მამაკაცები მოსწონდა. ისეთი ხომ არა, როგორც, მაგალითად, ბუვარია? სრულიადაც არა: იგი ტანხმელებს ამჯობინებდა, მერე გაბედა და ჰკითხა, მეგობრები გყავდა თუ არაო?

— არასოდეს!

შემდეგ უფრო მიუახლოვდა და დააკვირდა მის თხელ ცხვირს, ვიწრო ტუჩებს, სახის ნაკვთებს. რამდენიმე ქათინაური უთხრა და ურჩია, ფრთხილად იყავიო.

მისკენ რომ დაიხარა, კორსაჟში დაინახა თეთრი ნაკვთები, საიდანაც სცემდა ნაზი, საამო სურნელი, ლოყას რომ უთბობდა, ერთხელ საღამოს როგორღაც ტუჩი შეახო მის თმას კეფაზე და მთელ ტანში ცხელმა ერუანტელმა დაუარა. მეორეჯერ ნიკაპზე აკოცა და თავი ძლივს შეიკავა, რომ არ ეკბინა, ისე გემრიელი იყო მისი კანი. მელიმ კოცნითვე გადაუხადა სამაგიერო. პეკუშეს თვალებში ოთახი დატრიალდა. იგი ვერაფერს ხედავდა.

პეკუშემ ფეხსაცმელი უყიდა, ხშირად სთავაზობდა თითო ჭიქა კონიაკს. მუშაობაში ეხმარებოდა: დილით ადრე დგებოდა, შეშას აპობდა, ცეცხლს ანთებდა და იქამდეც კი მივიდა, რომ ბუვარის ფეხსაცმელს წმენდდა.

მელის გული არ წასვლია, ცხვირსახოცი არ დავარდნია, და პეკუშემ აღარ იცოდა, რა ექნა, სურვილი კი უძლიერდებოდა.

ბუვარი გულმოდგინედ ეკურკურებოდა ქ-ნ ბორდენს.

ქალი, როცა ბუვარის მისვლას ელოდებოდა ხოლმე, უზომოდ შემოიკვართავდა ნაირფერად მბზინავ აბრეშუმის კაბას, ცხენის აკაზმულობასავით რომ ჭრაჭუნობდა, და, აქაოდა დარბაისელი ქალი ვარო, მუდამ ათამაშებდა ხელში თავის გრძელ ოქროს ძეწკვს.

მათი საუბარი ეხებოდა შავინიოლის მცხოვრებთ ან „მის განსვენებულ ქმარს“, ლივაროს სასამართლოს ბოქაულს.

შემდეგ ბუვარს გამოჰკითხავდა წარსულს, აინტერესებდა „ახალგაზრდა კაცის ანცობანი“, გზადაგზა სიტყვას ჩამოუგდებდა ხოლმე მის ქონებაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რა აკავშირებდა პეკუშესთან.

ბუვარი აღტაცებული იყო ქ-ნ ბორდენის მეურნეობით და, რო-

ცა მასთან სადილობდა ხოლმე, ხიბლავდა მისი სერვიზის სისუფთავე, მშვენიერი გამასპინძლება. უგემრიელეს კერძებს თან ახლდა ძველი პომარი, ამას მოჰყვებოდა დესერტი. ისხდნენ და დიდხანს სვამდნენ ყავას; ქ-ნი ბორდენი ნესტოებს ბერავდა და ფინჯანს მიიტანდა სქელ ტუჩებთან, შავი ქინქლით რომ ოდნავ იყო დაფარული

ერთხელ გულამოჭრილი კაბით გამობრძანდა. ქალის შიშველმა მხრებმა ბუვარი მოხიბლა. მის წინ დაბალ სკამზე იჯდა და ორივე ხელი შეუსვა მკლავებზე. ქვრივი გაჯავრდა. ბუვარს ცელქობა აღარ გაუმეორებია, მაგრამ ნათლად წარმოიდგინა მისი სავსე ტანის დამრგვალებული მკვრივი ნაკვთები.

ერთხელ, როგორღაც, საღამოს, მელის დიასახლისობით უკმაყოფილო ბუვარმა ნამდვილი სიხარული განიცადა, როცა ქ-ნ ბორდენის სასტუმრო ოთახში შევიდა. აი სად უნდა ეცხოვრა!

ლამპის ხუფს ვარდისფერი ქაღალდი ეფარა და საამოდ აშუქებდა. ქ-ნი ბორდენი ბუხართან იჯდა და კაბიდან ფეხი მოუჩანდა. პირველსავე სიტყვებზე საუბარი შეწყდა.

ქალი კი ოდნავ თვალმონუსხული უცქეროდა, შიბნედილი, დაჟინებული.

ბუვარმა ვეღარ მოითმინა, მის წინაშე დაიჩოქა და წაიბუტბუტა:

— მიყვარხართ! დავქორწინდეთ!

ქ-ნ ბორდენს სუნთქვა გაუხშირდა, შემდეგ გულუბრყვილოდ უთხრა: ხომ არ ხუმრობ? ხალხი რას იტყვის, ეს რა უგნურობაა! ამ ქცევით გამაოცეთო.

ვაჟმა უპასუხა, არავისი ნებართვა არ გვესაჭიროებაო.

— რა გაფიქრებს? მზითევი, არა? თეთრეულზე ერთნაირი ინიციალები გვაქვს — ბ! შევაერთოთ ისინი და მორჩა

ეს მოსაზრება ქალს მოეწონა. მაგრამ მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმე აყოვნებდა გადაწყვეტილების მიღებას თვის ბოლომდე. ბუვარს კვნესა აღმოხდა.

ქალმა ისეთი ყურადღება გამოიჩინა, რომ მსახურ მარიანასთან ერთად იგი სახლამდე მიაცილა; მარიანას ფარანი მიჰქონდა.

ორივე მეგობარი მალავდა თავის გატაცებას.

პეკუშე ფიქრობდა, არასოდეს არ გაემხილა თავისი დამოკიდე-

ბულება მსახურ ქალთან, ბუვარს რომ წინააღმდეგობა გაეწია, პეკუშე სხვა ქვეყანაში, თუნდაც ალჟირში წაიყვანდა მელის, სადაც ცხოვრება იოლი იყო, მაგრამ იგი იშვიათად აწყობდა ასეთ გეგმას, რადგან ისე იყო გატაცებული სიყვარულით, რომ შედეგზე არ ფიქრობდა.

ბუვარი აპირებდა მუზეუმი ცოლ-ქმრის საწოლ ოთახად გადაექცია, ხოლო თუ პეკუშე ამაზე არ დაეთანხმებოდა, სულაც ცოლთან გადასახლებულიყო.

რამდენიმე დღის შემდეგ მასთან იყო ბაღში. კვირტები იშლებოდა, ღრუბლებში დიდრონი ლურჯი თალარები ჩნდებოდა. ქალი დაიხარა, იები დაკრიფა, ბუვარს გაუწოდა და უთხრა:

— მიულოცეთ ქ-ნ ბუვარს!

— როგორ! მართალს ამბობთ?

— სრულიად!

უნდოდა გადახვეოდა, ქალმა ხელი ჰკრა.

— რა კაცია!

შემდეგ სერიოზული სახე მიიღო და გააფრთხილა: მალე მსხვერპლის გაღება უნდა გთხოვოო.

— მზად ვარ, გავიღო იგი!

საქორწინო კონტრაქტის დადება მომავალი ხუთშაბათისათვის დანიშნეს.

უკანასკნელ წუთამდე არავის არაფერი არ უნდა სცოდნოდა.

— თანახმა ვარ!

და ბუვარი თავაწეული წავიდა, ლაღი, ვით ირემი.

იმავე დღის დილით პეკუშემ დაიფიცა, თავს მოვიკლავ, თუ მოსამსახურე ქალის თანაგრძობა ვერ მოვიპოვეო, და სარდაფში გაჰყვა იმ იმედით, რომ სიბნელე გამბედაობას შემატებდა.

ქალმა რამდენჯერმე დააპირა წასვლა, მაგრამ იგი აკავებდა, ხან მასთან ერთად ბოთლებს ითვლიდა, თამასებს ირჩევდა ან კასრების ძირებს ათვალიერებდა; ასე გრძელდებოდა დიდხანს.

მის წინაშე იდგა ქალი — ტანადი, თვალებდახრილი, ზემო წარბი ოდნავ აეწია. სარკმლიდან შემოსული შუქი ანათებდა.

— გიყვარვარ? — უეცრად ჰკითხა პეკუშემ.

— დიახ! მიყვარხართ.

— მაშ დამიმტკიცე!

მარცხენა ხელი წელზე შემოხვია და მარჯვენათი ლიფი შეუხსნა.

— ხომ არ მატკენთ?

— არა, ჩემო ანგელოზო, ნუ გეშინია!

— ბ-ნმა ბუვარმა რომ...

— ივას არაფერს ვეტყვი! ფიქრი ნუ გაქვს!

უკან ფიჩხის კონები ეწყო. ქალი კონებზე წაიქცა, თავი გადაადგო, პერანგიდან ძუძუები გამოუვარდა; შემდეგ თვალებზე ხელი დაიფარა, და სხვა ვინმე უთუოდ მიხვდებოდა, რომ არცთუ ისე გამოუცდელი იყო.

ბუვარი მალე დაბრუნდა სადილისათვის.

ჩუმად ჭამდნენ, რადგან ორივეს ეშინოდა არაფერი წამომცდესო. მელი ემსახურებოდა, დამშვიდებული, როგორც ყოველთვის. პეკუშე განზე იცქირებოდა, რომ მისთვის არ შეეხედათ. ბუვარი კი კედლებს ათვალიერებდა და რემონტზე ფიქრობდა.

ერთი კვირის შემდეგ, ხუთშაბათს, იგი გაბრაზებული დაბრუნდა შინ.

— წყეული დიაცი!

— ვინ?

— ქ-ნი ბორდენი!

და უამბო: მე სულელმა კინაღამ შევირთე, მაგრამ ამ რამდენიმე წუთის წინათ მარესკოსთან ყველაფერი ჩაიფუშაო. საქორწინო საჩუქრად ეკალის ფერმა მოითხოვა, მე კი მისი გასაჩუქრება არ შემეძლო, რადგან იგი ნაწილობრივ სხვისი ფულით იყო ნაყიდიო.

— ეგ მართალია! — უპასუხა პეკუშემ.

— მე კი იმდენად უჭკუო ვიყავი, რომ აღვუთქვი ყველაფერი, რასაც კი მოისურვებდა. და სწორედ ეს უნდოდა! მე არ დავეთანხმე. რომ ვყვარებოდი, უთუოდ დამითმობდა!

ქვრივი, პირიქით, გინებასაც არ მოერიდა, გააკრიტიკა მისი გარეგნობა, მისი ღიპი.

— ჩემი ღიპი! წარმოგიდგენია?

ამასობაში პეკუშე რამდენჯერმე გავიდა, მიდი-მოდიოდა, ილაჯებოდა.

— შენ რაო, ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა ბუვარმა.

— ოჰ. დიახ! შეუძლოდ ვარ.

პეკუშემ კარი მიხურა და დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ გაშოტყდა, ახლა შევნიშნე, სამარცხვინო სენი მჭირსო.

— შენ?

— ჰო, მე.

— საბრალოვ! მერე აგრე ვინ დაგასაჩუქრა?

იგი უფრო წამოწითლდა და უფრო ხმადაბლა უთხრა:

— ვინ იქნებოდა, თუ არა მელი!

ამ სიტყვებზე ბუვარი გაქვავდა!

უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდა ქალი დაითხოვეს.

მან, ვითომაც აქ არაფერიაო, პროტესტი განაცხადა.

პეკუშეს ავადმყოფობა სერიოზული იყო, მაგრამ სირცხვილით ვერ გაებედა ექიმთან წასვლა.

ბუვარს ფიქრად მოუვიდა, ბარბერუს მივმართოთო.

მათ შეატყობინეს ავადობის დაწვრილებითი ცნობები, რათა ეს წერილი ექიმისათვის ეჩვენებინა და მიმოწერით ემკურნალა. ბარბერუ გულმოდგინედ შეუდგა საქმეს, რაკი დარწმუნებული იყო, საკითხი ბუვარს ეხებაო; ამიტომ მას ძველი გარყვნილი უწოდა და თანაც კარგად შეუკურთხა.

— ჩემს ასაკში! — ამბობდა პეკუშე, — განა საშინელება არაა? მაგრამ ასე რად მომატყუა?

— მოსწონდი და იმიტომ.

— ხომ უნდა გავეფრთხილებინე!

— განა სიყვარული განსჯის!

ბუვარი კი ქ-ნ ბორდენს უჩიოდა.

ხშირად ხედავდა ხოლმე, რომ ის და მარესკო ეკალის ფერმასთან გაჩერდებოდნენ და ჟერმენას ესაუბრებოდნენ. ამდენი გაწამაწია ერთი მტკაველი მიწისათვის!

— გაუმაძღარია და ამით აიხსნება ყველაფერი!

ასე მსჯელობდნენ ისინი ბუხართან თავიანთ გაცრუებულ იმედებზე: პეკუშე წამლებს სვამდა, ბუვარი ჩიბუხს ეწეოდა და ორივენი ქალებზე მსჯელობდნენ.

— უცნაური მოთხოვნილება, ან მოთხოვნილება კია ეს? ქალები გვადენინებენ დანაშაულს, გმირობასა და პირუტყვობას. ჯოჯოხეთი კაბაში, კოცნით მონიჭებული სამოთხე, მტრედის ღუღუ-

ნი, გველის კლაკვნა, კატის ჭანგები, ზღვის ვერაგობა, მთვარის სინანული იგრძნეს.

და იმეორებდნენ იმ ზოგად ფრაზებს, რომლებიც ქალების წყალობით ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრდა.

ქალებისადმი ლტოლვამ ზიანი მიაყენა მათ მეგობრობას. მათ სინანული იგრძნეს.

— ქალთა ამბავი გათავებულია, არა? ვიცხოვროთ უიმათოდ!

და, გულაჩუყებულნი, ერთმანეთს გადაეხვივნენ.

საჭირო იყო უკუქმედება და ბუვარმა, პეკუშეს გამომრთელების შემდეგ გადაწყვიტა, წყალმკურნალობა გვარგებსო.

ჟერმენას, რომელიც მათთან მელის წასვლის შემდეგ დაბრუნდა, ყოველ დილით დერეფანში აბაზანა შემოჰქონდა.

და ორივენი, ველურებივით შიშველნი, კასრებით ასხამდნენ ხოლმე ერთმანეთს წყალს და მერე თავიანთ ოთახებში გარბოდნენ. გამვლელნი ღობიდან უპვრეტდნენ და ბევრი აღშფოთებულიც კი იყო.

## VIII

რაკი ასეთი რეჟიმით კმაყოფილნი იყვნენ, მოისურვეს ტანვარჯიშით გაეუმჯობესებინათ თავიანთი ჯანმრთელობა.

ამოროს სახელმძღვანელო აიღეს და ატლასი გადაათვალიერეს. ამ ჭაბუკებმა, რომლებიც მუხლებში იხრებოდნენ, გულაღმა იწვნენ, ზეზე იდგნენ, მკლავებს შლიდნენ, მუშტებს სკვნიდნენ, სიმძიმეებს სწევდნენ, ძელზე ვარჯიშობდნენ, კიბეზე მიბობღავდნენ, ტრაპეციაზე ტრიალებდნენ, ძალისა და სიმარჯვის მთელმა ამ გამოვლინებამ მათ შური აღუძრა.

მაგრამ ისინი დაამწუხრა ტანვარჯიშის ინსტიტუტის დიდებულებამ, წინასიტყვაობაში რომ იყო აღწერილი, რადგან თვითონ ვერასოდეს ვერ მოიწყობდნენ ვესტიბიულს ეკიპაჟებისათვის, იპოდრომს დოღისათვის, საცურაო აუზს, დასაპყრობ მწვერვალს ან ოცდათორმეტი მეტრი სიმაღლის სათხილამურო ტრამპლინს.

მატყლით გატენილი ტაიჭი მეტად ძვირი დაუჯდებოდათ, ამიტომ ამაზე უარი თქვეს; ბაღში მოჭრილი ცაცხვი ჰორიზონტულ ანძად გამოიყენეს და, როცა გაიწაფნენ მასზე სირბილში, ვერტიკა-

ლურ ბოძად უბრალო ჭოკი დაასვეს. პეკუშე სულ წვერში აცოცდა, ბუვარი კი ვერ ახერხებდა, ეცემოდა და ბოლოს ხელი ჩაიქნია.

მას „ორთოსომეტრული ჭოკები“ უფრო მოეწონა; ეს იყო ორი თოკით შეკრული ორი ცოცხის ტარი: ერთი მათგანი იღლიებში გადის, მეორე კი მაჯებზე აბია, ბუვარი ნიკაპს ასწევდა, მკერდს გამოსწევდა, იდაყვებს ტანზე მიიჭერდა და საათობით ასე დადიოდა ხოლმე.

გირების ნაცვლად ურმის ოსტატმა იფნისაგან გამოუჭრა ოთხი მორი, თავ შაქარს რომ ჰგავდა და ბოთლის ყელისებრი სახურავები ჰქონდა. ეს ხელსაწყოები უნდა ისროლო წინ, უკან, მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ სიმძიმის გამო ძირს უვარდებოდათ და ლამის ფეხებს იმტვრევდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი ძლიერ გაიტაცა „სპარსულმა კომბალმა“. და ყოველ საღამოს ფიჭით პოხავდნენ, რომ არ დამსკდარიყო.

შემდეგ დაიწყეს განიერი თხრილის ძებნა. როცა შესაფერისი იპოვეს, შუაგულში გრძელ ჭოკზე დაეყრდნობოდნენ და გადახტებოდნენ, მერე ასევე უკან დაბრუნდებოდნენ. ვაკე ადგილი იყო და გლეხებს უკვირდათ: ეს რა უცნაური საგნები დახტიან ცისკიდურზეო.

შემოდგომაზე ოთახში ვარჯიშობდნენ, მაგრამ ესეც მალე მობეზრდათ. საქანელა ან საფოსტო სავარძელი მაინც ჰქონოდათ, ლუი მე-14-ის დროს რომ გამოიგონა აბატმა სენ პიერმა! სად უნდა შეეტყოთ, როგორ იყო იგი მოწყობილი? დიუმუშელმა ამაზე პასუხის ღირსიც კი არ გახადა ისინი.

მაშინ სათორნეში ხელის საქანელა მოაწყვეს და სანამ არ გაოფლიანდებოდნენ, ქანაობდნენ.

სახელმძღვანელოს რეკომენდაციებს ბეჯითად ასრულებდნენ, ისწავლეს ორივე ხელის თანაბრად ხმარება და იმით დაამთავრეს, რომ ერთხანს მარჯვენა ხელს ვეღარ ხმარობდნენ. უფრო მეტიც: ამოროს მოჰყავს ლექსები, რომლებიც ვარჯიშის დროს უნდა იმღერო. ბუვარი და პეკუშე სიარულის დროს იმეორებდნენ ხოლმე № 9 ჰიმნს:

მეფე, ხამართლიანი — მიწის მადლია.

გულში ხელებს იცემდნენ და ამბობდნენ:

მეგობრებია გვირგვინიც, დიდებაც და სხვ.

სირბილის დროს კი:

უზანგში ფეხს შევდგამთ!
სწრაფ ირემს დავედევნებით
დიახ, ჩვენ გავიმარჯვებთ!
ვირბინოთ! ვირბინოთ! ვირბინოთ!

აქოშინებულ ძაღლებზე უფრო მძიმედ სუნთქავდნენ და ერთმანეთის ხმა ამხნევებდათ.

აღაფრთოვანებდათ ტანვარჯიშის ერთი მხარე: მისი გამოყენება განწირულთა საშველად.

მაგრამ ბავშვები სჭირდებოდათ, რათა ესწავლათ ტომრებით მათი ტარება, და მასწავლებელს სთხოვეს, რამდენიმე ბავშვი გვიშოვნეო. პტიმ უპასუხა, მშობლები გაგვიჯავრდებიანო. მაშინ დაჭრილებისადმი დახმარებით დაკმაყოფილდნენ. ერთი ვითომ უგონოდ. შეიქნებოდა, მეორე კი ფრთხილად წაიყვანდა საზიდრით.

რაც შეეხება სამხედრო იერიშებს, ავტორი აქებს ბუა-როზეს კიბეს; ეს იყო სარდალი, რომელიც ოდესღაც კლდეზე აცოცდა და იერიშით აიღო ფეკანი.

მათ ისარგებლეს წიგნში დაბეჭდილი სურათით: ბაგირზე დაამაგრეს რამდენიმე მოკლე ჯოხი და მერე ფარდულს მიაბეს. პირველ ჯოხზე რომ დაჯდებოდი, მესამესათვის უნდა გეტაცნა ხელი და მაშინვე ფეხები მაღლა აგეშვირა ისე, რომ მეორე ჯოხი, წელან რომ მკერდის დონეზე იყო, საჯდომქვეშ მოქცეულიყო. მაშინ უნდა გასწორებულიყავ, ჩასჭიდებოდი მეოთხე ჯოხს და ასე შემდეგ. როგორ არ იწვალეს, მაგრამ მეორე საფეხურსაც კი ვერ მიაღწიეს.

იქნებ სჯობდა ქვებს ჩასჭიდებოდნენ ნაპოლეონის ჯარისკაცებივით, როცა შამბრეს ფრონტზე იერიში მიჰქონდათ? ამის შესასწავლად ამორომ თავის ინსტიტუტში სპეციალური კოშკი აქვს.

კოშკის მაგივრობას დანგრეული კედელი გასწევდა. მათაც სცადეს იერიშით აეღოთ იგი, მაგრამ ბუვარმა მეტად ჩქარა ჩამოდგა ფეხი კედლის ნაპრალიდან — შეეშინდა და თავბრუ დაესხა.

პეკუშემ თქვა, ეს ჩვენი მეთოდის არასრულყოფილების ბრალიაო: მათ უგულებელყვეს მითითებანი, რომლებიც სახსრებს შეეხებოდა, ასე რომ იერიშის პრინციპების განხორციელებას ხელახლა უნდა შესდგომოდნენ.

მაგრამ ხვეწნა ამაო იყო: პეკუშემ სიამაყისა და თავნებობის გამო ოჩოფეხებს მიმართა.

ოჩოფეხებისათვის იგი თითქოს თვით ბუნებას გაეჩინა: ერთბაშადვე მოირგო ოთხი ფუტი სიმაღლის საბჯენი, წონასწორობას ინარჩუნებდა და ბაღში ისე დააბიჯებდა, თითქოს უზარმაზარი ყანჩა დასეირნობსო.

ბუვარმა ფანჯრიდან დაინახა, როგორ შეტორტმანდა და ლობიოს კვლებს დაენარცხა. როცა ააყენეს, მთლად გათხუპნილი იყო კომპოსტით, ცხვირიდან სისხლი სდიოდა, სახე გალურჯებოდა და ეგონა, ჯიგარი ჩამწყდაო.

ცხადი იყო, ტანვარჯიში მათი ასაკის ადამიანებს არ შეეფერებოდათ. მათაც თავი გაანებეს, ვერ ბედავდნენ მოძრაობას, უბედურ შემთხვევათა შიშით. მთელი დღეები მუზეუმში ისხდნენ და გასართობს იგონებდნენ.

რეჟიმის ამ ცვლილებამ ბუვარის ჯანმრთელობაზე გავლენა მოახდინა: ძლიერ დამძიმდა, საჭმლის შემდეგ კაშალოტივით სუნთქავდა. გახდომა განიზრახა, ნაკლებს ჭამდა და დასუსტდა.

პეკუშეც თითქოს „გამოხრესო“, კანი ექავებოდა, ყელზე გამოაყარა.

— ცუდადაა ჩვენი საქმე, ცუდად. — ამბობდნენ ისინი.

ბუვარი სამიკიტნოში წავიდა და რამდენიმე ბოთლი ესპანური ღვინო მოიტანა საკუთარი მექანიზმის შესაკეთებლად.

როცა იქიდან გამოდიოდნენ, მარესკოს, გადამწერელსა და კიდევ ვიღაც სამ კაცს კაკლის ხის დიდი მაგიდა მოჰქონდათ ბელჟამბთან, დავალებული ჰქონდათ მისთვის დიდი მადლობა გადაეხადათ ნოტარიუსის სახელით.

ასე შეიტყო ბუვარმა მაგიდის ბრუნვის ახალი მოდის ამბავი. მან საცინლად აიგდო გადამწერელი.

მაგრამ მთელ ევროპაში, ამერიკაში, ავსტრალიასა და ინდოეთში მილიონობით მოკვდავი ერთობოდა მაგიდის ტრიალით, სკვინჩას წინასწარმეტყველების მეთოდების აღმოჩენით, უინსტრუმენტებოდ კონცერტების ჩატარებით და ლოკოკინების მეშვეობით მიწერ-მოწერით. პრესა სერიოზული ტონით აწვდიდა ამ სიცრუეს საზოგადოებას და ზურგს უმაგრებდა მის ფუქსავატობას.

მოკაკუნე სულები ფავერჟის ციხე-დარბაზში დასახლდნენ, იქი-

დან სოფელში გავრცელდნენ; განსაკუთრებით ბევრ კითხვას მათ ნოტარიუსი აძლევდა.

მან ბუვარის სკეპტიციზმი იწყინა და ორივე მეგობარი მბრუნავი მაგიდის საღამოზე მიიწვია.

ხაფანგს ხომ არ უგებენ? იქ ალბათ ქ-ნი ბორდენი იქნება. და პეკუშე მარტო წავიდა.

საღამოზე იყვნენ მერი, გადასახადთა გამგე, კაპიტანი, რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები ცოლებითურთ, ქალბატონი ვოკორბეი, ქალბატონი ბორდენი, როგორც მოსალოდნელი იყო; შემდეგ ქ-ნი მარესკოს ყოფილი მასწავლებელი მ-ელ ლავერიერი, ოდნავ ელამი ქალი, რომელსაც 1830 წლის მოდის მიხედვით დახუჭუჭებული თმა მხრებზე ეყარა. სავარძელში იჯდა მასპინძლის პარიზიდან ჩამოსული ნათესავი, მას ლურჯი ფრაკი ეცვა და კადნიერი გამომეტყველება ჰქონდა.

ბრინჯაოს ორი ლამპა, ეტაჟერები, რომლებზეც იშვიათი ნივთები ელაგა, ლამაზყდიანი რომანსები ფორტეპიანოზე, პაწია აკვარელები უზომოდ დიდ ჩარჩოებში მუდამ გაკვირვებას იწვევდნენ შავიხიოლში. მაგრამ იმ საღამოს ყველას თვალი წითელი ხის მაგიდისაკენ იყო მიპყრობილი. ახლა ეს მაგიდა უნდა გამოეცადათ და მასაც დიდმნიშვნელოვანი შესახედაობა ჰქონდა, როგორ ყველაფერს, რაც საიდუმლოებას შეიცავს.

მაგიდას შემოსჯდომოდა თორმეტი სტუმარი, რომელთაც ხელის თითები ისე გაეშალათ, რომ ნეკები ერთმანეთს ეხებოდნენ. ისმოდა მხოლოდ საათების წიკწიკი. სახე ყველას დაძაბული ჰქონდა.

ათიოდე წუთის შემდეგ რამდენიმე კაცი ჩიოდა, ხელებზე ჭიანჭველები გვიცოცავენო. პეკუშე თავს კარგად ვერ გრძნობდა.

— თქვენ მეჯახებით? — ჰკითხა კაპიტანმა ფუროს.

— სრულიადაც არა!

— მართლა?

— რასა ბრძანებთ, ბატონო!

ისინი მარესკომ დაამშვიდა.

ზოგიერთმა ყურადღება დაძაბა და თითქოს ხის ტკაცუნი გაიგონა. ილუზია! არაფერი არ განძრეულა.

ამას წინათ, როცა ლიზიედან ობერისა და ლორმოს ოჯახები ჩა-

ბოვიდნენ და განგებ დაიკავეს მაგიდა ბელჟამბისას, ყველაფერი რიგზე იყო. დღეს კი მაგიდა ჯიუტობდა... რატომ?

ცხადია, ხალიჩა უშლიდა ხელს და საზოგადოება სასადილო ოთახში გადავიდა.

არჩევანი ხვდა ცალფეხა ფართო მაგიდას, მას შემოუსხდნენ პეკუშე, ჟირბალი, ქ-ნი მარესკო და მისი ძმისწული, ბ-ნი ალფრედი.

მაგიდას გორგოლაჭები ჰქონდა და მარჯვნივ მიგორავდა. სეანსის მონაწილეთ ჯაჭვი არ გაუწყვეტიათ და მიჰყვნენ, ასე, რომ მაგიდა კიდევ ორჯერ მობრუნდა ავტომატურად. ყველა გაოცდა.

ამ დრო ალფრედმა ხმამაღლა იკითხა:

— სულო, როგორ მოგწონს ჩემი ძმისწული?

მაგიდა ნელა შეირხა და ათჯერ დააკაკუნა.

პანკარტის თანახმად, რომელსაც კაკუნი ასოებზე გადაჰყავდა, ეს ნიშნავდა: „მშვენიერია“. გაისმა ვაშას ძახილი.

მერე ქ-ნ ბორდენის გამოსაჯავრებლად მარესკომ სულს სთხოვა, მისი ზუსტი ასაკი გამოგვიცხადეო.

მაგიდამ ფეხი ზედიზედ ხუთჯერ დაარტყა.

— როგორ? ხუთი წლისაა? — წამოიძახა ჟირბალმა.

ქვრივმა გაიღიმა, თუმცა გულში კი ბრაზობდა.

— ათეულები არ ითქმის, — მიუკო ფურომ.

სხვა კითხვებს პასუხი არ მოჰყოლია, იმდენად რთული იყო ანბანი. უმჯობესი იქნებოდა გამოეყენებინათ ფირფიტა, სწრაფი ხერხი, რასაც ქ-ნი ლავერიერიც კი იყენებდა; იგი ალბომში იწერდა თავის უშუალო ურთიერთობას ლუი მეთორმეტესთან, კლემანს იზორთან, ფრანკლინთან, ჟან ჟაკ რუსოსთან და სხვ. ეს მექანიკური ფირფიტები ომალის ქუჩაზე იყიდებოდა. ბ-ნმა ალფრედმა აღუთქვა, ერთ ცალს გიშოვითო და მასწავლებელს მიმართა.

— ურიგო არ იქნებოდა, რომ თხუთმეტიოდე წუთს პიანინო დაგვეკრა, ა? მაგალითად, მაზურკა!

გაისმა ორი მკვეთრი აკორდი. მან თავის ძმისწულს წელზე ხელი ჭიხვია და გავიდა, მერე კვლავ დაბრუნდა. კაბამ ქარი ააყენა, კარს გამოედო. ქალმა თავი უკან გადახარა, ვაქმა მკლავი მოღუნა. ყველა ტკბებოდა ქალის ნარნარით, კავალერის ვაქკაცური იერით. საღამოთი გაოცებულმა პეკუშემ ღვეზელს აღარ დაუცადა და შინ წავიდა.

რამდენიც არ ილაპარაკა პეკუშემ: ვნახე, საკუთარი თვალით ვნახეო, ბუვარი ფაქტებს უარყოფდა, მაგრამ მაინც დათანხმდა პირადად მოეხდინა ცდა.

ორი კვირის განმავლობაში იმის მეტი არაფერი გაუკეთებიათ, რომ ნასადილევს ერთმანეთის პირდაპირ მიუსხდებოდნენ მაგიდას, ხელებს ჯერ ზედ დააწყობდნენ, მერე ქუდზე, კალთაზე, თეფშებზე, მაგრამ არც ერთი საგანი არ ინძრეოდა.

მიუხედავად ამისა, მბრუნავი მაგიდის ამბავი მაინც დასაჯერებელია. უვიცები მას სულებს მიაწერენ, ფარადეი—ნერვული მოქმედების განგრძობას, შევრელი კი შეუცნობელ დაძაბულობას ან იქნებ, როგორც სეგუენი ვარაუდობს, ადამიანთა კრებულისაგან გამოდის იმპულსი, მაგნიტური დენი?

ამ ჰიპოთეზამ პეკუშე დააინტერესა. თავის ბიბლიოთეკაში იპოვა მონტაკაბერის „მაგნეტიზიორის სახელმძღვანელო", ყურადღებით გადაიკითხა და ეს თეორია ბუვარსაც გააცნო.

ყველა სულიერი ვარსკვლავების გავლენაშია და გადასცემს ამ გავლენას. ეს თვისება მაგნიტის მოქმედების მაგვარია. ამ ძალას თუ მოვიხმართ. შეიძლება სნეულნი განკურნოთ, ასეთია პრინციპი. მესმერის შემდეგ მეცნიერება განვითარდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მუდამ იდინოს ფლუიდმა და კეთდებოდეს პასი, რაც უწინარეს ყოვლისა დააძინებს ავადმყოფს.

— მაშ კარგი, მე დამაძინე! — უთხრა ბუვარმა.

— ეგ შეუძლებელია, — მიუგო პეკუშემ, — შენს თავზე რომ მაგნიტური გავლენა გამოსცადო და გადასცე, უნდა გწამდეს იგი.

შემდეგ ბუვარი აათვალ-ჩაათვალიერა და წამოიძახა:

— აჰ, რა სამწუხაროა!

— რა?

— რა და, სურვილი რომ იყოს, ცოტას წავიკარჯიშებდი და ისეთი მაგნეტიზორი გავხდებოდი, რომ უკეთესი არ იქნებოდა.

და მართლაც, მას ყველაფერი ჰქონდა, რაც საჭიროა: სასიამოვნო ქცევა, მძლავრი ფიზიკური და სულიერი აღნაგობა.

ბუვარს ესიამოვნა, რომ უეცრად ასეთი უნარი აღმოაჩინა. დაღვრემილი შეუდგა მონტაკაბერის კითხვას.

შემდეგ, რაკი ყერმენა ყურების გამაყრუებელ შუილს უჩიოდა, ერთხელ, საღამოს როგორღაც აგდებულად თქვა:

— მაგნიტიზმი ხომ არ ვსიხჯოთ?

ქალს უარი არ უთქვამს, ბუვარი წინ დაუჯდა, ორივე ცერი დაუჭირა და ისე დაჟინებით ჩაშტერდა თვალებში, თითქოს თავის სიცოცხლეში მეტი არაფერი არ უკეთებიაო.

დედაბერმა, რომელსაც ფეხები სათბურზე ედგა, ჯერ თავი ჩაქინდრა, მერე თვალები დახუჭა და ნელ-ნელა ახროტინდა.

ერთი საათის შემდეგ, რაც ისინი მიძინებულ ქალს უცქერდნენ, პეკუშემ ჩურჩულით ჰკითხა:

— რას გრძნობთ?

ქალს გაეღვიძა.

უფრო გვიან, უეჭველია, ნათელპვრეტა დაეწყებოდა.

ამ წარმატებამ გამბედაობა შესძინა და მეგობრები შეუდგნენ მკურნალობას: ეკლესიის დარაჯს შამბერლენს მკურნალობდნენ ნეკნების ტკივილს, კალატოზ მიგრენს — კუჭის ნევროზს, დედაბერ ვარენს — კიპკიპქვედას, რომლის კვება ხორცის სალბუნს მოითხოვდა; წყალმანკიან მოხუცს ლემუანს, სამიკიტნოების კარებში რომ ეგდო ხოლმე; ერთ ჭლექიანს, ერთ დამბლიანს და ბევრ სხვას. მკურნალობდნენ აგრეთვე სურდოს და მოყინულობას.

დაავადებას რომ გამოიკვლევდნენ, ერთმანეთს თვალით შეეკითხებოდნენ. რა პასი ვიხმაროთ, დიდი თუ მცირე დენით, აღმავალი თუ დამავალი, გასწვრივი თუ განივი, ორთითი, სამთითი თუ ხუთთითიო. როცა ერთი დაიღლებოდა, მეორე მიეშველებოდა, შემდეგ შინ დაბრუნდებოდნენ და თავიანთი დაკვირვებანი სამკურნალო დღიურში შეჰქონდათ.

ადამიანური მოპყრობით საზოგადოების გული მოიგეს, მაინც ყველას ბუვარი ერჩია და მისმა ქებამ ფალეზამდეც კი მიაღწია, როცა მან მოხუც ბარბიეს, შორი ნაოსნობის გადამდგარი კაპიტნის ქალიშვილი განკურნა.

გოგონას კეფაში თითქოს ლურსმანი ერჭო, ხრინწიანად ლაპარაკობდა, რამდენიმე დღეს უჭმელი იყო ხოლმე, მერე მივარდებოდა და კირს ან მიწას ჭამდა. ნერვული შეტევა ფშლუკუნით ეწყებოდა და ცრემლისღვრით თავდებოდა. ყველაფერი სცადეს, დაწყებული მიქსტურით და გათავებული მოწევით, ასე რომ ავადმყოფი საბოლოოდ მოიქანცა და ამიტომ ბუვარის მკურნალობაზე დათანხმდა.

ბუვარმა მსახური ქალი გაუშვა, კარი დაკეტა და ავადმყოფს

მუცლის მასაჟი დაუწყო, თანაც საკვერცხეების ადგილზე აპერდა ხელებს. ავადმყოფმა სიამოვნება იმით გამოხატა, რომ აცრემლდა და მთქნარება დაიწყო. ბუვარმა თითი დააჭირა ცხვირზე, წარბებს შუა: გოგონა უეცრად ინერტული გახდა. როცა ხელებს აუწევდნენ, ისინი თავისთავად უვარდებოდა. თავს როგორც ბუვარი დააჭერინებდა. ისევე აჩერებდა, ოდნავ მოხუჭული მოცახცახე უპეებიდან უჩანდა ნელა მოძრავი თვალის კაკლები, რომლებიც ორბიტის კუთხეებში კონვულსიურად უჩერდებოდა.

ბუვარმა ჰკითხა, გტკივა თუ არაო, მან უპასუხა, არაო: კითხვაზე, ამ დროს რას გრძნობო, გოგონამ აუწერა ის, რაც მის სხეულში ხდებოდა.

— რას ხედავთ იქ?

— ჭიას.

— რა უნდა ჰქნა, რომ·ის მოკლა?

გოგონას შუბლი დაუნაოჭდა.

— ვიგონებ... არ შემიძლია, არ შემიძლია.

მეორე სეანსზე ჭინჭრის ბულიონი მოინატრა, მესამეზე — კატაპიტნა, შეტევა შეუსუსტდა, გაუქრა. ეს მართლაც თითქოს სასწაული იყო.

ცხვირზე ხელის დაჭერას სხვა შემთხვევებში არავითარი წარმატება არ მოჰყოლია და, სომნამბულიზმი რომ გამოეწვიათ, მეგობრებმა გადაწყვიტეს მესმერის კასრი გაეკეთებინათ. პეკუშემ უკვე მოაგროვა ნახერხი და ოცი ბოთლი გამორეცხა, როცა ერთმა ეპვმა შეაჩერა: ავადმყოფთა შორის შეიძლებოდა ქალებიც ყოფილიყვნენ.

— რა უნდა ვქნათ, თუ მათ ეროტიკული გაცოფების შეტევა მოუვიდათ?

ეს ბუვარს ვერ შეაჩერებდა, მაგრამ შეიძლებოდა დაწყებულიყო ჭორები და შანტაჟი, ამიტომ უმჯობესი იყო ამ აზრზე ხელი აეღოთ. მათ გარმონი იკმარეს და კარიკარ დადიოდნენ, რითაც ბავშვებს ამხიარულებდნენ.

ერთხელ, როცა მიგრენი ცუდად გახდა, მათ გამოიყენეს ჯარმონი. კრისტალურმა ხმებმა ავადმყოფი მოთმინებისაგან გამოიყვანეს, მაგრამ დელეზი რჩევას იძლევა, ჩივილისა ნუ შეგეშინდებათო, და მუსიკა გრძელდებოდა.

— კმარა! — კმარა! — ყვიროდა ავადმყოფი.

— ცოტა მოითმინე, — ეუბნებოდა ბუვარი.

პეკუშემ უფრო ჩქარა ააწკარუნა შუშის ფირფიტები, ინსტრუმენტი ელერდა, პაციენტი კი მოთქვამდა, და ამ დროს შემოვიდა ექიმი, რომელმაც ხმაური გაიგონა.

— როგორ, ისევ თქვენა ხართ? — გააფთრებით წამოიძახა მან, რადგან მათ მუდამ თავის ავადმყოფებთან ხვდებოდა ხოლმე.

მათ აუხსნეს, თუ რა არის მაგნიტური მეთოდი, რომელსაც ისინი იყენებდნენ. ექიმმა მაგნიტიზმს შარლატანობა უწოდა, მისი მოქმედება წარმოსახვით ახსნა.

მაგრამ ცხოველებს ამაგნიტებენ! მონტაკაბერი ამას ადასტურებს, ბ-ნმა ფორტენმა კი ძუ ლომი დაამაგნიტა. მათ ძუ ლომი არ ჰყოლიათ, მაგრამ შემთხვევით სხვა ცხოველი ჩაუვარდათ ხელთ.

მეორე დღეს დილით, ექვს საათზე, მუშა მოვიდა და განაცხადა, ფერმაში გიწვევენ გაცოფებული ძროხის სამკურნალოდო.

ისინიც იქით გაეშურნენ.

ვაშლის ხეები ყვაოდა, მზის მცხუნვარებით ეზოში ბალახს ოხშივარი ასდიოდა, გუბურის პირას ძროხა იდგა და კანკალებდა, რადგან კასრით განუწყვეტლივ ასხამდნენ წყალს. ძროხა ისე იყო გაბერილი, რომ ჰიპოპოტამს ჰგავდა.

ალბათ „მომწამვლელი“ რამ ბალახი ჩააყოლა, როცა სამყურას მინდორში ძოვდა. გუი და მისი ცოლი ძლიერ შეშფოთებულიყვნენ, რადგან ვეტერინარს მოსვლა არ შეეძლო, მეურმეს კი, რომელმაც გაბერვის შელოცვა იცოდა, არ ეცალა; მაგრამ ბატონმა მემამულეებმა, რომელთა ბიბლიოთეკა განთქმული იყო, უთუოდ იცოდნენ საიდუმლო.

ისინი მკლავებდაკაპიწებულნი იდგნენ, ერთი თავთან, მეორე გავასთან; სულიერად დაძაბულნი, გამალებით აქნევდნენ ხელებს, თითები გაფარჩხული ჰქონდათ, რათა პირუტყვისკენ მიემართათ ფლუიდის ნაკადი; ფერმერი, მისი ცოლი, მუშა და მეზობლები კი შეშინებულნი უცქეროდნენ.

ძროხის მუცლის გვერმა ნაწლავებში ჭუჭყუნით გამოიხატა. იგი ქარს უშვებდა. პეკუშემ ხალხს უთხრა:

ხედავთ? იმედს კარი გაეღო, შესაძლოა, კიდევაც მორჩა!

მართლაც, იმედი, როგორც გამსკდარი ყუმბარა, რაღაც ყვითე-

ლი ნივთიერების სახით გამოვარდა. ძროხას მუცელი დაეჩუტა და ნორმალური ოდენობა მიიღო. ერთი საათის შემდეგ აღარაფერი არ ეტყობოდა.

ეს უკვე წარმოსახვის შედეგი როდი იყო. ამრიგად, ფლუიდს განსაკუთრებული ძალა აქვს. იგი შეიძლება საგნებს ჩავუნერგოთ და მათგანაც შეუსუსტებლივ მივიღოთ. ამგვარი საშუალების დროს ზედმეტია მისვლა-მოსვლა. მეგობრებმა ამით ისარგებლეს და თავიანთ ავადმყოფებს უგზავნიდნენ დამაგნიტებულ ჟეტონებს, დამაგნიტებულ ცხვირსახოცებს, დამაგნიტებულ წყალს, დამაგნიტებულ პურს.

შემდეგ კვლევა განაგრძეს, პასები უარყვეს და შემოიღეს სისტემა პიუიზეგიურისა, რომელიც მაგნეტიზიორის ნაცვლად იყენებს თოკებშემოკრულ ბებერ ხეს.

მსხლის ხე, მათს ბაღში, ნანგრევებში რომ ხარობდა, ყველაზე მეტად შეეფერებოდა ამ მიზანს. ხეს რამდენჯერმე ზედიზედ მაგრად შემოახვიეს ხელები და ასე მოამზადეს. მის ქვეშ დადგეს სკამლოგინი, ზედ დასვეს თავიანთი ავადმყოფები და ისეთი განმაცვიფრებელი შედეგი მიიღეს, რომ, აქაოდა ვოკორბეის შევარცხვენთო, მოიწვიეს იგი და ადგილობრივი მაღალი საზოგადოება.

ყველა მოწვეული მოვიდა.

ჟერმენა მცირე დარბაზში იღებდა მათ და ბოდიშს იხდიდა „ბატონების“ მაგიერ: ახლავე მობრძანდებიანო.

დროდადრო რეკავდა ზარი. მოდიოდნენ ავადმყოფები, რომლებიც მსახურს სხვაგან მიჰყავდა. სტუმრები ერთმანეთს თვალით უჩვენებდნენ დამტვერილ ფანჯრებს, დალაქავებულ კედლებს, ჩამოცვენილ ბათქაშს; ბაღიც სავალალო სანახავი იყო. ყველგან გამხმარი ხეები მოჩანდა, ორი სარი შეედგათ ხეხილის ბაღის შენგრეული კედლისათვის.

გამოვიდა პეკუშე.

— გთხოვთ, ბატონებო!

მათ დაინახეს მოშორებით მსხლის ქვეშ მჯდომი რამდენიმე კაცი.

მღვდელივით გაპარსულ შამბერლანს შალის კაბა ეცვა, ტყავის სკუფია ეხურა და გვერდის ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა; მის გვერდით მუცლის ტკივილისაგან სახე ემანჭებოდა მიგრენს, დედა-

ბერ ვარენს სიმსივნის დასაფარად წელზე რამდენჯერმე შემოეხვია შალი. მოხუც ლემუენს ფეხსაცმელი შიშველ ფეხებზე წამოეცვა და თავის ყავარჯნებზე იჯდა, ხოლო ბარბეის მოკაზმული ქალიშვილი არაჩვეულებრივად ფერმკრთალი იყო.

ხის მეორე მხარეს ისხდნენ დანარჩენი ავადმყოფები: ქალი, რომელსაც სახე ალბინოსს უგავდა, ჩირქოვან იარებს იწმენდდა კისერზე, ერთ პატარა გოგონას ლურჯი სათვალე ნახევრად უმალავდა სახეს, კონტრაქტურით ხერხემალგამრუდებული მოხუცი უნებლიე კანკალით უმუჯლუგუნებდა რეგვენ მარსელს, რომელსაც დაგლეჯილი ბლუზა და დაკერებული შარვალი ეცვა, გაპობილი კურდღლის ტუჩი ცუდად შეხორცებოდა და წინა კბილებს უჩენდა საშინლად შესიებული ლოყა კი ჩვრებით შეეხვია.

ყველას ხელი ჩაეკიდა ხიდან ჩამოშვებული თოკისთვის, ჩიტები კი ჭიკჭიკებდნენ და ჰაერში გახურებული მიწის სუნი იდგა. ფოთლებში მზის სხივები ჩამოდიოდა. სტუმრები ხავსზე მიმოდიოდნენ.

ავადმყოფებს კი ფართოდ გაეხილათ თვალები, ნაცვლად იმისა, რომ ეთვლიმათ.

— ვერავითარ საგულისხმოს მე ჯერ ვერ ვხედავ, — თქვა ფურომ, — დაიწყეთ, ახლავე მოვალ.

იგი დაბრუნდა და ეწეოდა აბდ-ელ-კადერს, ჩიბუხებიანი კუტკარის უკანასკნელ რელიქვიას.

პეკუშეს გაახსენდა დამაგნიტების ერთი მშვენიერი ხერხი: პირში იდებდა ყველა ავადმყოფის ცხვირს და ისუნთქავდა მათ ნასუნთქს, რათა ელექტრობა მიეზიდა, ბუვარი კი ამ დროს ხელებს უპერდა ხეს, რათა ფლუიდის დენა გაეძლიერებინა.

კალატოზს სლოკინი შეუწყდა, ეკლესიის დარაჯს ნაკლებ აკანკალებდა, კონტრაქტურიანი კაცი აღარ იძვროდა. ახლა შეიძლებოდა მათთან მისვლა და ათასგვარი ცდის მოხდენა.

ექიმმა შამბერლანს ლანცეტით უჩხვლიტა ყურის ქვემოთ და იგი ოდნავ შეკრთა. სხვების მგრძნობიერება კი ცხადი იყო, წყალმანკიანმა შეჰკივლა, ბარბეის ქალიშვილი იღიმებოდა, როგორც სიზმარში, და სისხლი ლოყაზე სდიოდა. ფუროს უნდოდა თვითონ გაეკეთებინა ცდა და ლანცეტს სწვდა, მაგრამ, რაკი ექიმმა არ დაანება, უჩქმიტა ავადმყოფს, კაპიტანმა ფრთით შეუღუტუნა ცხვირში, გადასახადთა მმართველი კი აპირებდა ქინძისთავი ჩაესო კანში.

— თავი გაანებეთ, — უთხრა ეოკორბეიმ, — აქ საკვირველი არაფერია, კაცმა რომ თქვას! ისტერიულია! აქ ეშმაკიც კი კისერს მოიტეხს!

— აი ეს ქალი ექიმია, — თქვა პეკუშემ და სურავანდიან ვიქტორიაზე მიუთითა. — იგი დიაგნოზს არკვევს და წამლებს უწერს.

ლანგლუას ძალიან სურდა თავის კატარზე რჩევა ეკითხა, მაგრამ ვერ გაბედა, სამაგიეროდ კულონი უფრო გაბედული იყო და სთხოვა, რევმატიზმის წინააღმდეგ მომეცი რამეო.

პეკუშემ კულონის მარჯვენა ხელი ვიქტორიას მარცხენა ხელში ჩაუდო და ნათელმჭვრეტმა ქალმა, რომელიც თვალდახუჭული იყო და ლოყებწამოწითლებულს ტუჩები უთრთოდა, ჯერ სისულელეების როშვა დაიწყო, შემდეგ კი Valum becum გამოუწერა.

იგი ოდესღაც ბაიეში მსახურობდა მეაფთიაქესთან. ეოკორბეიმ აქედან დაასკვნა, რომ მას უნდოდა ეთქვა album graecum, სიტყვა, რომელსაც ალბათ თვალი მოჰკრა აფთიაქში.

შემდეგ იგი მივიდა მოხუც ლემუენთან, რომელიც, ბუვარის სიტყვით, გაუმჭვირვალი საბურველით დაფარულ ნივთებს ხედავდა.

ეს იყო სკოლის გალოთებული მასწავლებელი. ჭაღარა თმა სახეზე ჩამოშლოდა, ხეს მიყრდნობოდა, ხელისგულები გადმოებრუნებინა და დიდებულივით ეძინა, თუმცა მზე შიგ თვალებში სცემდა.

ექიმმა მას თვალებზე ორად გაკეცილი ჰალსტუხი დააფარა, ბუვარმა კი გაზეთი მიუტანა და უბრძანა.

— წაიკითხე!

მან თავი დახარა, სახის ძარღვები აათამაშა, თავი უკან გადასწია და ბოლოს დამარცვლა:

— კონ-სტი-ტუ-ცი-ო-ნა-ლის-ტი.

— მაგრამ ოდნავი სიმარჯვეა საჭირო, რომ ყოველი პირბადე ჩამოიხსნას!

ექიმის ურწმუნობამ პეკუშე აღაშფოთა და ისიც კი გაბედა, რომ თქვა, ბარბეის ქალიშვილს შეუძლია აღწეროს, რა ხდება ამჟამად თვით ექიმის სახლშიო.

— კარგი, — უთხრა მან.

მერე საათი ამოიღო და ჰკითხა:

— რას აკეთებს ახლა ჩემი ცოლი?

ბარბეის ქალიშვილი დიდხანს ყოყმანობდა და მერე დაღვრემით თქვა:

— რაო? ჰო, ვიცი. ბაფთებს აკერებს ჭილის ქუდს.

ვოკორბეიმ უბის წიგნაკში ფურცელი ამოხია და ბარათი დაწერა, რაც ნოტარიუსის ბეჯითმა გადამწერმა წაიღო.

სეანსი გათავდა. ავადმყოფები წავიდ-წამოვიდნენ.

ბუვარსა და პეკუშეს საერთოდ არ გაუმართლათ. ეს ალბათ ტემპერატურის, თამბაქოს ბოლის ან აბატ ჟეფრუას ქოლგის ბრალი იყო, ქოლგას სპილენძის ნაკეთობა ჰქონდა: ეს ლითონი ხელს უშლის ფლუიდის გამოვლინებას.

ვოკორბეიმ მხრები აიჩეჩა.

მიუხედავად ამისა, იგი ხომ საეჭვოდ ვერ მიიჩნევს ბ. დელეზის, ბერტრანის, მორენის, ჟიულ კლოკეს კეთილსინდისიერებას. ეს მეცნიერები კი ადასტურებენ, რომ მთვარეულები წინასწარმეტყველებდნენ მოვლენებს, უტკივრად იტანდნენ მტანჯველ ოპერაციებს.

აბატი უფრო საკვირველ ამბებს მოჰყვა. ერთ მისიონერს უნახავს, რომ ბრამინები თავდაყირა დარბოდნენ. ტიბეტის დიდი ლამა მუცელს იფატრავს, რომ იწინასწარმეტყველოს.

— ხუმრობთ? — ჰკითხა ექიმმა.

— სრულიადაც არა!

— კარგი ერთი! რა ზღაპრებია!

საკითხს ყველამ გადაუხვია და ანეკდოტების მოყოლა დაიწყეს.

— მე მყავდა ერთი ძაღლი, — თქვა ბაყალმა, — რომელიც მუდამ ავად ხდებოდა, როცა თვე პარასკევით იწყებოდა.

— ჩვენ თოთხმეტი და-ძმა ვიყავით, — დასძინა მომრიგებელმა მოსამართლემ, — მე დავიბადე თოთხმეტ რიცხვს, ვიქორწინე თოთხმეტს და ჩემი სახელწოდების დღეა თოთხმეტი რიცხვი. აბა ამიხსენით ეს ხუმრობა!

ბელეამბს რამდენჯერმე დაესიზმრა, თუ რამდენი მუშტარი ეყოლებოდა ხვალ, პტიმ კი კაზოტას ვახშმის ამბავი გაიხსენა.

აქ მღვდელმა ასეთი მოსაზრება გამოთქვა:

— რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უბრალოდ...

— ეშმაკების მონაბერია, არა? — უთხრა ვოკორბეიმ.

აბატმა პასუხის ნიშნად თავი დააქნია.

მარესკომ დელფის პითია გაიხსენა.

— ეს უეჭველია, მიაზმების ბრალი იყო.

— აჰ! ახლა მიაზმებს გადააბრალეთ!

— მე კი მრწამს ფლუიდის არსებობა, — უპასუხა ბუვარმა.

— ნევროზულ-ასტრალური ფლუიდისა, — დასძინა პეკუშემ.

— მაგრამ დაამტკიცეთ მისი არსებობა. გვიჩვენეთ ეგ თქვენი ფლუიდი. და თანაც ფლუიდები მოდიდან გამოვიდა, მერწმუნეთ.

ვოკორბეიმ განზე გაიწია, ჩრდილში, სხვებიც მიჰყვნენ.

— როცა ბავშვს ეუბნებით: „მე მგელი ვარ, შეგჭამ“, ეს სიტყვებით გამოწვეული სიზმარია. ამრიგადვე მთვარეული ითვისებს ყოველგვარ ფანტაზიას. მოქმედებს მისი მეხსიერება, წარმოსახვას კი სძინავს, იგი მუდამ დამჯერეა და ჰგონია, ვმსჯელობო, მხოლოდ შეგრძნებას კი განიცდის. ასეთი ხერხით შეიძლება დანაშაულებრივი აზრები შთააგონო; კეთილგონიერი ადამიანები შეიძლება მხეცებად იქცნენ და უნებლიეთ კაციჭამიები გახდნენ.

ყველამ თვალი ბუვარსა და პეკუშეს მიაპყრო. მათი მეცნიერება საშიში იყო საზოგადოებისათვის.

ნოტარიუსის გადამწერი ბაღში გამოჩნდა, ხელში ქ-ნ ვოკორბეის ბარათი ეჭირა.

ექიმმა წერილი გახსნა, გაფითრდა და ბოლოს წაიკითხა:

„ჭილის ქუდს ბაფთებს ვაკერებ“.

განცვიფრებისაგან ღიმილი ტუჩზე შეაშრა.

— უბრალო დამთხვევაა. ეს არაფერს არ ამტკიცებს.

და რადგან ორივე მაგნეტიზიორი საზეიმო სანახავი იყო, ზღურბლიდან მოუბრუნდა:

— ამ საშიშ გართობას თავი გაანებეთ.

მღვდელმა ეკლესიის დარაჯი გაიყოლია და კარგად გაჯორა.

— ხომ არ გაგიჟდი? ჩემს ნებადაურთველად! ეკლესიის მიერ აკრძალული ფანდები!

ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. ბუვარი და პეკუშე გორაკზე მასწავლებელს ელაპარაკებოდნენ, რომ ხეხილის ბაღიდან მარსელი გამოვიდა, სახვევი მოეხსნა და ლუღლუღებდა:

— მოვრჩი! მოვრჩი! კეთილო ბატონებო!

— კარგი! კმარა! თავი დაგვანებეთ!

— აჰ, კეთილო ბატონებო, მიყვარხართ! თქვენი მონა ვარ!

პტის, პროგრესულად მოაზროვნე კაცს, ექიმის ახსნა-განმარ-

ტება უაზროდ და მეშჩანურად მიაჩნდა. მეცნიერება შეძლებულთა მონოპოლიაა; იგი ხალხისათვის ხელმიუწვდომელია. შუასაუკუნეთა ძველმა ანალიზმა დროა ადგილი დაუთმოს ფართო და გადამწყვეტ სინთეზს. ჭეშმარიტება გულით უნდა აღმოაჩინო; მან თავი სპირიტად გამოაცხადა და დაასახელა რამდენიმე თხზულება, რომელნიც, რასაკვირველია, შეუცდომელი როდია, მაგრამ განთიადის მომასწავებელია.

მეგობრებმა ეს წიგნები გამოიწერეს.

სპირიტიზმს გარდაუვლად მიაჩნია კაცობრიობის სრულყოფა. დედამიწა ოდესმე ცად გადაიქცევა. აი რა იტაცებდა მასწავლებელს ამ მოძღვრებაში. ეს დოქტრინა კათოლიკური არ არის, მაგრამ მის მომხრეთა აღიარებით იგი მიმდინარეობს წმ. ავგუსტინესა და წმ. ლუიდან. ალანკარდეკი მათ მიერ ნაკარნახევ ნაწყვეტებსაც კი აქვეყნებს, რომლებიც თანამედროვე შეხედულებათა დონეზეა. ეს დოქტრინა ქმედითია, კეთილმყოფელია და, მსგავსად ტელესკოპისა, გვიჩვენებს ზენა სამყაროებს, სადაც ექსტაზურ მდგომარეობაში გადასახლდება ხოლმე ადამიანის სული. მაგრამ იგი ზოგჯერ ჩამოდის ჩვენს პლანეტაზე, სადაც აბრახუნებს ავეჯს, მონაწილეობას იღებს ჩვენს გართობაში, ტკბება ბუნების სილამაზითა და ხელოვნება სიამეს განაცდევინებს.

ამასთან ბევრ ჩვენგანს აქვს არომარული მილი, ესე იგი გრძელი შილაკი კეფაზე, ჩვენი თმიდან რომ პლანეტამდე ადის და შესაძლებლობას გვაძლევს ვესაუბროთ სატურნის სულებს. ხელშეუხები ნივთებიც კი რეალობას წარმოადგენენ და დედამიწასა და ვარსკვლავებს შორის არის ურთიერთობა, გადაცემა და განუწყვეტელი კავშირი.

და პეკუშეს სული ზღვარდაუდებმა სწრაფვამ მოიცვა, და როცა დაღამდა, ბუვარმა იგი ნახა ფანჯარასთან, საიდანაც მისი მეგობარი ამ გაკაშკაშებულ, სულებით დასახლებულ სივრცეებს უყურეტდა.

სვედენბორგმა იქ ბევრი იმოგზაურა. წელიწადზე ნაკლებ ხანში მან მოიარა ვენერა, მარსი, სატურნი, და ოცდასამჯერ ეწვია იუპიტერს, გარდა ამისა, ლონდონში მან ნახა იესო ქრისტე, წმ. პავლე, წმ. იოანე, მოსე, ხოლო 1736 წელს საშინელი სამსჯავროც კი იხილა.

მანვე შემოგვთავაზა ზეცის აღწერილობა.

იქ არსებობენ ყვავილები, სასახლეები, ბაზრები და ეკლესიები სწორედ ისე, როგორც ჩვენშია.

ანგელოზები, ოდესღაც რომ ადამიანები იყვნენ, თავიანთ აზრებს გადმოგვცემენ ქაღალდზე, განიხილავენ სამეურნეო საქმეებს, ანდა სასულიერო საკითხებს, ხოლო საეკლესიო თანამდებობანი იმათ უკავიათ, ვინც თავის მიწიერ ცხოვრებაში საღვთო წერილს სწავლობდა.

რაც შეეხება ჯოჯოხეთს, იგი სავსეა სიმყრალით, ქოხმახებით, უწმინდურებით, ნაპრალებით და იქ დაძონძილ-დაკონკილი ადამიანები დაეხეტებიან.

პეკუშე თავს იმტვრევდა, ადამიანები კარგს რას ხედავენ აღმოჩენებშიო. ბუვარს ყოველივე ეს სულელის ბოდვად მიაჩნდა. ყოველივე ეს სცილდება ბუნების საზღვრებს, თუმცა, ვინ იცის, სად არის ბუნების საზღვრები და მეგობრებმა ასეთი მსჯელობა დაიწყეს.

„ჯამბაზებს შეუძლიათ ბრბო გააბიაბრუონ; ძლიერ ვნებიან კაცს შეუძლია სხვებს გადასდოს ვნება; მაგრამ როგორ შეუძლია მარტო ნებისყოფას ზეგავლენა მოახდინოს ინერტულ მატერიაზე? ამბობენ, ვიღაც ბავარიელმა ყურძენი დაამწიფაო; ბ-ნმა ჟერვემ გააცოცხლა დამჭკნარი ჰელიოტროპი; ვინმე ტულუზელი, რომელსაც მეტი ძალუძს, ღრუბლებს ჰფანტავს.

საჭიროა თუ არა ვირწმუნოთ შუალედი რამ ნივთიერება სამყაროსა და ჩვენს შორის? სწორედ ასეთი აგენტი ხომ არ არის ახალი, უწონადი ნივთიერება „ოდი“, ელექტრობის განსაკუთრებული სახეობა? მისი გამოსხივებით აიხსნება სინათლე, რასაც დამაგნიტებულნი ხედავენ, აგრეთვე ცთომილი შუქი სასაფლაოებზე და მოჩვენებანი.

ასეთ შემთხვევაში ეს სახეები მოჩვენებითი არ არის და გიჟებისა და მთვარეულების ზებუნებრივ უნარს ფიზიკური საფუძველი გააჩნია?

როგორიც უნდა იყოს მისი წარმოშობა, არის რაღაც არსი, საიდუმლო და საყოველთაო მოქმედი ძალა. ჩვენ რომ მას დავეუფლებოდეთ, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა სხვა ძალა, ხანგრძლივობა, ის, რასაც საუკუნეები სჭირდება, ერთ წუთში განვითარდე-

ბოდა; შესაძლებელი იქნებოდა ყოველგვარი სასწაულის განხორციელება და მსოფლიოც ჩვენს განკარგულებაში მოექცეოდა.

„ჯადოსნობა ადამიანის სულის ამ მარადიული წყურვილისაგან წარმოიშვა. მისი მნიშვნელობა, უეჭველია, გაზვიადებული იყო, მაგრამ იგი ტყუილი როდია. აღმოსავლეთის მცხოვრებნი, რომელთაც ჯადოსნობა იციან, სასწაულებს ახდენენ. ამას ამბობს ყველა მოგზაური, პალე-როიალში კი ბ-ნ დიუპოტეს თითით გამოჰყავს უძრაობიდან მაგნიტური ისარი“.

როგორ შეიძლება ჯადოსანი გახდე? ეს აზრი ჯერ სიგიჟედ მოეჩვენათ, მაგრამ იგი აეკვიატა მათ, აწამებდა და ბოლოს დაიმორჩილა კიდეც, თუმცა თავი ისე ეკავათ, თითქოს ეს ამბავი სიცილადაც არა გვყოფნისო.

საჭირო იყო მოსამზადებელი რეჟიმი.

რაკი სურდათ თავი ეკზალტაციამდე მიეყვანათ, ღამეებს ათევდნენ, მარხულობდნენ და, ჟერმენა რომ უფრო მგრძნობიარე მედიუმი გაეხადათ, უფრო ცუდად ასაზრდოებდნენ. იგი დანაკლისს სმით ინაზღაურებდა და იმდენ არაყს ნთქავდა, რომ მალე სულ გალოთდა. მათი დერეფნებში სეირნობა ქალს აღვიძებდა. ფეხის ხმა ყურებში ბუბუნი ეგონა და უცნაური ხმები თითქოს კედლებიდან გამოდიოდა. ერთხელ დილით თევზსაჭერი ბადე სარდაფში ჩაიტანა და მოეჩვენა, რომ მთლად ცეცხლი მოედო. მას შემდეგ ცუდად გახდა და ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, პატრონებმა გამთვალესო.

იმის იმედით, მოჩვენებანი გვეწვევიანო, ერთმანეთს თავზე უჭერდნენ ხელებს, დაიმზადეს საკმევლისა და ბელადონის ნაზავი, ბოლოს გამოიყენეს ჯადოსნური კოლოფიც — პატარა კოლოფში ჩასმული იყო ლურსმანგაყრილი სოკო, რომელიც ლენტით მკერდზე უნდა მიეკრათ. არაფერმა არ უშველა. მაგრამ გამოსაყენებელი დარჩათ კიდევ დიუპოტეს წრე.

პეკუშემ მიწაზე ნახშირით მოხაზა წრე, რათა შიგ ჩაემწყვდია ცხოველთა სულები, რომელთაც სხვა გარემომცველი სულები უნდა დახმარებოდნენ, და, რაკი ბუვარზე მოხდენილი ზეგავლენა ახარებდა, როგორც ქურუმმა, უბრძანა:

— გიკრძალავთ, გადააბიჯო ამ წრეს!

ბუვარმა შეხედა ამ მრგვალ ადგილს. მალე გულმა ცემას უმატა და თვალთ დაუბნელდა.

— აჰ, კმარა!

და წრეს გადაახტა, რომ გაუგებარი შიშისაგან განთავისუფლებულიყო.

პეკუშემ, ვისი ეკზალტაციაც სულ უფრო ძლიერდებოდა, რომელიმე მიცვალებულის გამოწვევა განიზრახა.

დირექტორიის დროს ერთი კაცი ეშიკიეს ქუჩაზე ხალხს ტერორის მსხვერპლთ უჩვენებდა. საიქიოდან მოსვლის მაგალითი მრავლის უმრავლესია. დაე ეს ყველაფერი მოჩვენება იყოს, ამას მნიშვნელობა არ აქვს! მთავარია ჩანაფიქრის განხორციელება.

რაც უფრო მახლობელია გარდაცვლილი, მით უფრო სიამოვნებით მოდის ჩვენს ძახილზე. მაგრამ პეკუშეს არ ჰქონდა არავითარი ოჯახური რელიქვია, — არც ბეჭედი, არც რაიმე მინიატურა, არც ერთი ღერი თმა, მაშინ როცა ბუვარს ჰქონდა შესაძლებლობა გამოეწვია თავისი მამა, მაგრამ ეს ამბავი არ ეპრიანებოდა და პეკუშემ ჰკითხა:

— რისა გეშინია?

— მე? ოჰ, სრულიად არაფრის! მოიქეცი, როგორც გსურდეს.

მათ შამბერლანი მოისყიდეს და მანაც სადღაც თავის ქალა იშოვა. მეგობრებმა თერძს ორი შავი ხალათი შეაკერინეს, კაპიუშონიანი, ბერები რომ იცვამენ. დილიჟანსით ფალეზიდან რაღაც გრძელი შეხვეული ჩამოუტანეს. შემდეგ საქმეს შეუდგნენ, ერთი ცნობისმოყვარეობით, აქედან რა გამოვაო, მეორე კი შიშით, მართლა არ დავიჯეროო.

მუზეუმში კედლებს შავი მაუდი ააკრეს, როგორც კატაფალკს. სამი სანთელი ენთო მაგიდაზე, ბუვარის მამის პორტრეტის ქვეშ, მის ზემოთ კი თავის ქალა ეკიდა. სანთელი თავის ქალაშიც მოათავსეს, ასე რომ სინათლე თვალების ნახვრეტებიდან გამოდიოდა.

შუაგულ ოთახში საკმეველი იწვოდა. ბუვარი უკან იდგა, პეკუშეს კი მისთვის ზურგი შეექცია და ბუხარში პეშვით ყრიდა გოგირდს.

ხანამ განსვენებულს გამოიწვევდე, დემონებისაგან ნებართვა უნდა მიიღო. მაგრამ პარასკევი იყო, ბეშეტის დღე. საჭირო იყო

ჯერ ბეშეტის გული მოეგოთ. ბუვარმა თავი მოიდრიკა მარჯვნივ და მარცხნივ, მერე ხელები აღმართა და დაიწყო.

— სახელითა ეფანიილისა, ანაკინისა, ისქიროსისა...

დანარჩენები დაავიწყდა.

პეკუშემ სასწრაფოდ უკარნახა მუყაოს ნახევზე დაწერილი სახელები:

— ისქიროსისა, ათანათოსისა, ადონაისა, სადაისა, ელიგიისა, მესიასისა (სია გრძელი იყო) გაფიცებ, გეეედრები, გიბრძანებ, ო ბეშეტო!

მერე ხმას დაუდაბლა:

— სად ხარ, ბეშეტო? ბეშეტო! ბეშეტო! ბეშეტო!

ბუვარი სავარძელში ჩაიკეცა და ძლიერ უხაროდა, რომ ბეშეტს ვერ ხედავდა, თანაც ინსტინქტურად ჰკიცხავდა თავს ამ ცდისათვის — მკრეხელობა�ა. სად არის მისი მამის სული? შეუძლია თუ არა გაიგონოს მისი ხმა? ერთიც ვნახოთ, გამოცხადდეს ახლა!

ფარდებს ნელა არხევდა ქარი, გატეხილი ფანჯრიდან რომ შემოდიოდა; სანთლების ჩრდილი თავის ქალას და პორტრეტის მტვრით დაფარულ სახეს ეცემოდა, ლოყები გამოხუნებოდა, თვალებში სხივი ჩაჰქრობოდა, მაგრამ ზემოთ ცარიელი თავის ნახვრეტებში შუქი კიაფობდა. ზოგჯერ იგი თითქოს ძირს ჩამოცოცდებოდა პორტრეტის ადგილას, სერთუკის საყელოს დაადგებოდა, ეზრდებოდა ქილვაშები და ლურსმნებზე ნახევრადმოწყვეტილი ტილო ირხეოდა, ფრიალებდა.

მეგობრები თითქოს ვიღაცის სუნთქვას, უხილავი არსების მოახლოებას გრძნობდნენ. პეკუშეს შუბლი ოფლით დაეცვარა, ბუვარს უეცრად კბილები აუკაწკაწდა, გულის კოვზთან ძარღვები შეეკუმშა; იატაკი ტალღასავით შეირყა და ფეხქვეშ გამოეცალა; ბუხარში გოგირდი იწვოდა, დიდრონ ფანტელებად ცვიოდა, ღამურები აფრატუნდნენ, გაისმა კივილი: ვინ იყო?

და სახეები ისე დაემანჭათ კაპიუშონებში, რომ შიში ერთი ორად გაუძლიერდათ; ვერ ბედავდნენ ვერც განძრევას და ვერც ხმის ამოღებას, და უეცრად კარს უკან გაიგონეს, თითქოს ვიღაცის მოთქმა, ვიღაცის ტანჯული სულის გოდება.

როგორც იქნა, გონს მოეგნენ.

თურმე ტიხრის ჭუჭრუტანაში მათი მოხუცი მსახური ქალი იჭვრიტებოდა; მას ეშმაკი მოლანდებოდა და დაჩოქილი გამალებული იწერდა პირჯვარს.

არავითარმა ხვეწნამ არ გაჭრა: იგი იმ საღამოსვე წავიდა მათგან, რადგან არ სურდა ასეთ ადამიანებთან სამსახური.

ჟერმენამ ეს ამბავი ქვეყანას მოსდო. შამბერლენმა თანამდებობა დაკარგა და მეგობრების წინააღმდეგ დაჯგუფება შეიქმნა, რასაც მხარს უჭერდნენ აბატი ჟეფრუა, ქ-ნი ბორდენი და ფურო.

მათმა უჩვეულო ცხოვრებამ საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ადამიანებს ეჭვებსა და ბუნდოვან შიშს უნერგავდნენ.

საზოგადოების თვალში მათ განსაკუთრებით ავნო მსახურის ამორჩევამ. რაკი სხვა ვერავინ იშოვეს, მარსელი დაიქირავეს.

კურდღლისტუჩა, მახინჯი, ენაბლუ მარსელი ყველას ეზიზღებოდა. ბავშვობაში უპატრონოდ მიტოვებული, უმეთვალყურეოდ იზრდებოდა მინდორში და ერთთავად ღატაკური ცხოვრების გამო დაუოკებელი შიმშილი დასჩემდა. სახადით დახოცილი პირუტყვი, აყროლებული ქონი, თუ გაჭყლეტილი ძაღლი, არაფერი არ ეზიზღებოდა, ოღონდ მოზრდილი ნაჭერი ყოფილიყო; კრავივით თვინიერი კი იყო, მაგრამ ჭკუის ნატამალი არ გააჩნდა.

მადლიერების გრძნობამ უკარნახა თავისი სამსახური შეეთავაზებინა ბ-ნ ბუვარისა და პეკუშესთვის; გარდა ამისა, რაკი ისინი ჯადოსნებად მიაჩნდა, აქედან არაჩვეულებრივ გამორჩენას ელოდა.

პირველსავე დღეებში მარსელმა მათ ერთი საიდუმლო გაანდო. პოლინიელში ერთმა კაცმა სარეველა ბალახებში ოდესღაც ოქროს ზოდი იპოვაო. ეს ამბავი ჩაწერილი აქვთ ფალეზელ ისტორიკოსებს. მაგრამ მათ არ იცოდნენ, რა მოხდა შემდეგ: თორმეტმა ძმამ სამოგზაუროდ გამგზავრების წინ, თორმეტი ერთნაირი ზოდი ჩაფლა შავინიოლისა და ბრეტვილის გზების გასწვრივ. ამიტომ მარსელი თავის ბატონებს ემუდარებოდა ხელახლა დაეწყოთ ძიება: მათ იფიქრეს, ეს ზოდები შესაძლოა ემიგრაციის ხანაში იყოს დაფლულიო.

სწორედ აქ იყო საჭირო სამკითხაო ჩხირის გამოყენება. მისი უნარი საეჭვოა, მაგრამ მაინც შეისწავლეს საკითხი და ამასთან შეიტყვეს, ვინმე პიერ გარნიეს მის დასაცავად მეცნიერული საბუ-

თები მოჰყავსო, რომ წყაროები და ლითონები უშვებენ ხის მონათესავე ნაწილაკებს.

ეს სრულიად დაუჯერებელია. თუმცა ვინ იცის? ვნახოთ. თხილის ხისგან ორკაპი გამოთალეს და ერთ დილას განძის საძებნელად გასწიეს.

— განძი უნდა აღმოვაჩინოთ და შემდეგ გავცეთ, — თქვა ბუვარმა.

— ოჰ, არა, ბოდიში!

სამი საათის სიარულის შემდეგ ისინი ერთმა მოსაზრებამ შეაჩერა: გზა შავინიოლიდან ბრეტვილისაკენ! ძველი თუ ახალი? უთუოდ ძველი.

ისინი უკან დაბრუნდნენ და იმ არემარეში ტრიალებდნენ, რადგან ძველი გზის კვალის აღმოჩენა არც აგრე იოლი იყო.

მარსელი მარჯვნივ და მარცხნივ აწყდებოდა, როგორც კარგი მეძებარი. ბუვარს ყოველ ხუთ წუთში უნდა დაეძახა მისთვის. პეკუშეს კაპი აღმართული ეკავა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ. ხშირად ეჩვენებოდა, რაღაც იდუმალი ძალა ჯოხის ძირს ეწევაო და მარსელიც მარდად აკეთებდა ხეებზე თარჯებს, რათა შემდეგ ეს ადგილები კვლავ გაეჩხრიკა.

ამასობაში პეკუშემ ნაბიჯს უკლო. პირი უნებლიეთ დააღო, თვალის უპეები დაუვიწროვდა. ბუვარმა დაუძახა, მხრებში შეაჯანჯალა, იგი უძრავად იდგა, მთლად ისე, როგორც ბარბეის ქალიშვილი.

შემდეგ მან განაცხადა: ვიგრძენი, თითქოს გულში რაღაც ჩამწყდაო; ეს უცნაური მდგომარეობა, ცხადია, ორკაპმა გამოიწვიაო და პეკუშეს აღარ სურდა მისთვის ხელი ეხლო.

მეორე დღეს შეთარჯულ ხეებთან დაბრუნდნენ. მარსელი ბარით ორმოებს თხრიდა. გათხრა უშედეგო აღმოჩნდა, რამაც დიდად გააკვირვა განძის მაძიებელნი. პეკუშე თხრილის ნაპირზე ჩამოჯდა, ჩაფიქრებულმა კისერი დაიგრძელა და ცდილობდა თავისი არომალური მილით სულების ხმა გაეგონა, თანაც თავისთავს ეკითხებოდა, ნამდვილად მაქვს მილი თუ არაო, და თავისი კარტუზის წინაფრას მიაშტერდა. როგორც წინადღით, ახლაც ექსტაზი დაეუფლა, რაც დიდხანს გაგრძელდა და აუტანელი გახდა.

ქერის ყანაში ბილიკზე ფეტრის ქუდიანი კაცი გამოჩნდა. ეს

იყო ბ-ნი ვოკორბეი, თავის ცხენს რომ მოაჩანჩალებდა; ბუვარმა და მარსელმა იგი მოიხმეს.

როცა ექიმი მოვიდა, შეტევა ნელდებოდა. პეკუშე რომ უკეთ გაესინჯა, კარტუზი აუწია და შუბლზე სპილენძისფერი ლაქები შეამჩნია:

— აჰა! Fructus belli! ეს სიფილისის გამონაყარია, ჩემო კარგო. უნდა იმკურნალოთ, დალახვროს ეშმაკმა! სიყვარულს როდი უნდა ეხუმრო!

დარცხვენილმა პეკუშემ კვლავ დაიხურა კარტუზი, წინაფრზე რომ ნახევარმთვარესავით აიფუყა; ეს მოდა ამორსის ატლასიდან გადმოიღო.

ექიმის სიტყვებმა თავზარი დასცეს. თვალებს აცეცებდა და ამაზე ფიქრობდა. უეცრად კვლავ გული წაუვიდა.

ვოკორბეი თვალყურს ადევნებდა, შემდეგ წკიპურტით ქუდი მოხადა.

პეკუშე გონს მოვიდა.

— სწორედ ასეც ვფიქრობდი, — უთხრა ექიმმა, — ლაქის წინაფრა ჰიპნოზს გიკეთებთ, როგორც სარკე და ეს არაიშვიათად ემართებათ იმ პირებს, ვინც მეტად ყურადღებით აკვირდება ბრჭყვიალა საგანს.

მან განმარტა, როგორ ახდენენ ამ ცდას ქათმებზე. თავის ცხენზე შეჯდა და წავიდა.

ნახევარი მილი რომ გაიარეს, ჰორიზონტზე, ვილაცის ფერმის ეზოში შენიშნეს პირამიდული ფორმის საგანი. იგი შეიძლებოდა გგონებოდა აქა-იქ წითლად დაწინწკლული შავი ყურძნის უზარმაზარი მტევანი. ეს იყო გარდიგადრმო ჯოხებაკრული გრძელი ჭოკი, ანუ ინდაურების დასაჯდომი ქანდარა, რაც ბევრია ნორმანდიაში.

პეკუშე ფერმერს მოელაპარაკა და ისიც დათანხმდა მათს თხოვნაზე.

საწნახელში მათეთრით გაავლეს ხაზი, ინდაურს ფეხები შეუკრეს, შემდეგ დააწვინეს და ფრთები გააშლევინეს, ისე რომ ნისკარტი ხაზზე დაადებინეს. ფრინველმა თვალები დახუჭა და მალე მკვდარივით გაშეშდა. ასევე უყვეს დანარჩენებსაც. ბუვარი სწრაფად გადასცემდა ხოლმე მათ პეკუშეს, ის კი იქვე რიგზე აწყობდა,

როგორც კი გაითანგებოდნენ. ფერმის მცხოვრებნი შეშფოთდნენ. დიასახლისი აყვირდა, პატარა გოგონამ ტირილი მორთო.

ბუვარმა ყველა ფრინველს ფეხები გაუხსნა. ისინი ნელ-ნელა ცოცხლდებოდნენ, მაგრამ ცდას რა შედეგი მოჰყვებოდა, ეს არავინ იცოდა. პეკუშეს ერთ ოდნავ უკმეხ შესიტყვებაზე ფერმერმა ხელი დაავლო ფიწალს.

— დაიკარგეთ აქედან, თორემ ამ ფიწლით დაგიფატრავთ მუცელს!

ისინი გაიქცნენ.

მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს! ამოცანა გადაჭრილი იყო: ექსტაზი დამოკიდებულია მატერიალურ მიზეზზე.

მატერია რაღაა? სული რა არის? რით არის განპირობებული მათი ურთიერთგავლენა?

ეს რომ გამოერკვიათ, დაიწყეს ვოლტერის, ბოსიუეს, ფენელონის თხზულებათა ჩხრეკა და მკითხველთა კაბინეტის აბონემენტიც კი განაახლეს.

ძველი თხზულებანი ხელმიუწვდომელი იყო დიდი ოდენობისა და ძნელი ენის გამო, მაგრამ ჟეფრუამ და დამირონმა გააცნეს მათ თანამედროვე ფილოსოფია; მათ აგრეთვე იმ ავტორთა ნაწარმოებნიც ჰქონდათ, რომლებიც გასული საუკუნის მეცნიერებას გადმოსცემდნენ.

ბუვარი არგუმენტებს ესესხა ლამეტრის, ლოკს, ჰელვეციუსს, პეკუშე კი — კუზენს, თომას, რიდს, ჟერანდოს. პირველი გატაცებული იყო ცდით, მეორისათვის ყველაფერი იდეალი იყო. ერთი გამსჭვალული იყო არისტოტელეს სულისკვეთებით, მეორე — პლატონისა და დაობდნენ.

— სული მატერიალური არაა! — ამბობდა ერთი.

— ტყუილია!—ეუბნებოდა მეორე,—უგუნურება, ქლოროფორმი, სისხლის გაღება მას არყევს და, რაკი იგი ყოველთვის არ აზროვნებს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ისეთი სუბსტანცია, რომელიც მხოლოდ აზროვნებს.

— მაგრამ ჩემს არსებაში, — უპასუხა პეკუშემ, — არის რაღაც უფრო მაღალი, ვიდრე სხეულია, და იგი ხშირად კიდევაც ეწინააღმდეგება მას.

— არსება არსებაში? Homo duplex! აბა რას ამბობ! სხვადა-

სხვანაირი მიდრეკილება საწინააღმდეგო განზრახვებს იწვევს. ესაა და ეს.

— მაგრამ ეს რაღაც, ეს სული, უცვლელია გარეთ მომხდარ წინააღმდეგობათა დროს! მაშასადამე, იგი მარტივია, განუყოფელია და, ცხადია, სულიერია!

— სული რომ მარტივი იყოს, — უპასუხა ბუვარმა, — მაშინ ახალშობილს ექნებოდა ისეთივე მეხსიერება, წარმოსახვის უნარი, როგორც მოზრდილს. პირიქით, აზროვნების განვითარება ტვინს მოჰყვება. რაც შეეხება განუყოფელ არსებას, ვარდის სუნი ან მგლის მადა აგრეთვე არ განიყოფება, როგორც ნებისყოფის ესა თუ ის გამოვლინება ან დამტკიცება.

— ეგ არაფერს არ ნიშნავს! — უთხრა პეკუშემ, — სულს არ აქვს მატერიის თვისებანი.

— გწამს თუ არა მიზიდულობა? — განაგრძო ბუვარმა, — ხოლო თუ მატერიას შეუძლია ჩამოვარდნა, მაშინ აზროვნებაც შეუძლია. ჩვენს სულს რაკი დასაბამი აქვს, დასასრულიც უნდა ექნეს და, რაკი დამოკიდებულია ორგანოებზე, მათთან ერთად უნდა გაქრეს.

— მე კი იგი უკვდავად მიმაჩნია! ღმერთს არ შეუძლია ისურვოს...

— თუკი ღმერთი არ არსებობს?

— როგორ?

და პეკუშემ მოიყვანა სამი კარტეზიანული საბუთი:

— ჯერ ერთი, ღმერთი არსებობს ჩვენს წარმოდგენაში მის შესახებ; მეორე, არსებობა მისთვის შესაძლებელია და, მესამეც, თუ მოკვდავი ვარ, როგორღა მექნებოდა უსასრულობის შეცნობა? ხოლო, რაკი ეს შეცნობა გვაქვს, იგი მომდინარეობს ღვთისაგან, მაშასადამე, ღმერთი არსებობს!

მერე დაიმოწმა ცნობიერება, ხალხთა გადმოცემანი, შემოქმედების საჭიროება.

— როცა საათს ვხედავ...

— დიახ! დიახ! ეგ ვიცით. მაგრამ მესაათის მამა სად არის?

— მიზეზი ხომ უნდა იყოს?

ბუვარს მიზეზის არსებობა ეეჭვებოდა.

— იმ გარემოებიდან, რომ ერთი მოვლენა მეორეს მოსდევს,

გამოჰყავთ დასკვნა, მეორე პირველისაგან წარმოდგებაო. აბა დამიმტკიცეთ ეს!

— მაგრამ სამყაროს სურათს ემჩნევა ერთგვარი განზრახვა, გეგმა!

— რატომ? ბოროტება ისევე კარგად არის ორგანიზებული, როგორც სიკეთე. მატლი, რომელიც ცხვრის თავში ვითარდება და ჭკლავს მას, ანატომიის თვალსაზრისით ცხვრის სრულფასოვანია. სიმახინჯენი რიცხობრივად სჭარბობენ ნორმალურ ფუნქციებს. ადამიანის სხეული შეიძლებოდა უკეთ ყოფილიყო მოწყობილი. დედამიწის სივრცის სამი მეოთხედი უნაყოფოა. მთვარე, ეს ჩვენი მანათობელი, ყოველთვის როდი ჩანს! ნუთუ გგონია, რომ ოკეანე განკუთვნილია ხომალდებისათვის, ხეები კი ჩვენი სახლების გასათბობად?

პეკუშემ მიუგო:

— მაგრამ კუჭი შექმნილია საჭმლის მოსანელებლად, ფეხები სასიარულოდ, თვალები საცქერლად, თუმცა ხდება კუჭის აშლა, ძვლის დამსხვრევა და თვალის ბროლის დაბინდვა. ყველაფერი მოწყობილია რაღაც მიზნით. მოქმედება წარმოებს დაუყოვნებლივ ან შემდეგ გამოჩნდება. ყველაფერი დამოკიდებულია კანონებზე, მაშასადამე, არსებობენ საბოლოო მიზეზები.

ბუვარი ვარაუდობდა, რომ სპინოზა მისცემდა დამამტკიცებელ საბუთებს, ამიტომ მისწერა დიუმუშელს, სესეს თარგმანი გამომიგზავნეო.

დიუმუშელმა გამოუგზავნა ის ცალი, რომელიც ეკუთვნოდა მის მეგობარს, პროფესორ ვარელოს, რომელიც 2 დეკემბრის შემდეგ გადაასახლეს.

ეთიკამ მეგობრები შეაშინა თავისი აქსიომებით, თავისი ძიებებით. მათ წაიკითხეს მხოლოდ ფანქრით აღნიშნული ადგილები და შემდეგი შეიტყვეს:

„სუბსტანცია ის არის, რაც თავისთავად არსებობს, თავისი მეოხებით, უმიზეზოდ, დაუსაბამოდ. ეს სუბსტანცია ღმერთია. მხოლოდ ის არის განფენილობა, განფენილობას კი საზღვარი არ აქვს. რით შეიძლება მისი შეზღუდვა?

თუმცა იგი უსაზღვროა, აბსოლუტურად უსაზღვრო როდია,

რადგან მხოლოდ სრულყოფის ერთ გვარეობას შეიცავს, მაშინ როცა აბსოლუტი ყველა მათგანს შეიცავს“.

მეგობრები ხშირად შედგებოდნენ ხოლმე, რათა დაფიქრებულიყვნენ როგორც რიგია. პეკუშე ბურნუთს ყნოსავდა, ბუვარი კი ყურადღებისაგან წითლდებოდა.

— გართობს თუ არა?

— დიახ! რა თქმა უნდა! განაგრძე!

„ღმერთი ვითარდება ატრიბუტების უსაზღვროებად, რომლებიც, ყოველი მათგანი თავისებურად, გამოხატავენ ღმერთის არსების უსაზღვროებას. მათგან ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ორს: განფენილობას და აზროვნებას.

აზროვნებიდან და განფენილობიდან გამომდინარეობს უთვალავი მოდუსი, რომლებიც სხვა მოდუსებს შეიცავენ.

ის, ვისაც შეუძლია ერთბაშად შეიცნოს მთელი განფენილობა და მთელი აზროვნება, მათში ვერავითარ ფარდობითობას, ვერაფერ შემთხვევითს ვერ აღმოაჩენდა, მხოლოდ წევრთა გეომეტრიულ რიგს ნახავდა ერთმანეთთან დაკავშირებულს აუცილებელი კანონზომიერებით“.

— აჰ! ეს რა კარგი რამ იქნებოდა! — თქვა პეკუშემ.

„მაშასადამე, არ არსებობს თავისუფლება არც ადამიანისათვის და არც ღვთისათვის“.

— გესმის? — წამოიძახა ბუვარმა.

„ღმერთს რომ რაიმე ნებისყოფა, მიზანი ჰქონოდა, ის რომ რისთვისმე მოქმედებდეს, ცხადია, რაიმე მოთხოვნილება ექნებოდა, და, მაშასადამე. დააკლდებოდა სრულყოფა. იგი არ იქნებოდა ღმერთი.

ამრიგად, ჩვენი სამყარო არის მხოლოდ წერტილი ნივთთა ერთობლიობაში, ხოლო სამყარო, მიუწვდომელი ჩვენი შემეცნებისათვის, არის მხოლოდ ნაწილი სამყაროთა უსასრულობისა, რომელთაგანაც, ჩვენს სამყაროსთან ერთად, უსასრულო მოდიფიკაციები წარმოსდგებიან. განფენილობა მოიცავს ჩვენს სამყაროს, მაგრამ მას მოიცავს ღმერთი, რომელიც თავის აზროვნებაში შეიცავს ყველა შესაძლებელ სამყაროს, ხოლო თვით მის აზროვნებას მოიცავს მისი სუბსტანცია“.

მათ ეჩვენებოდათ, რომ იმყოფებიან საჰაერო ბურთზე, ღამით,

ყინვაში და უფსკრულისაკენ მიაქანებთ უკიდეგანო მდინარება, გარშემო კი არა არის რა, გარდა უხილავი, უძრავი მარადიულობისა. ეს მათ ძალებს აღემატებოდა. წიგნს თავი დაანებეს.

და, რაკი სურდათ რაიმე ნაკლებ უჯიათი ეგემნათ, იყიდეს გენიეს ფილოსოფიის კურსი სკოლებისათვის.

ავტორი იძლევა კითხვას, რომელ მეთოდს შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა — ონთოლოგიურს თუ ფსიქოლოგიურსო.

პირველი შეეფერებოდა ხალხთა ბავშვობას, როცა ადამიანი ყურადღებას აქცევდა გარე სამყაროს. მაგრამ ამჟამად, როცა მან თავის თავს მიაპყრო ყურადღება, „ჩვენ მიგვაჩნია, რომ მეორე მეთოდი უფრო მეცნიერულია“. ბუვარი და პეკუშეც მეორე მეთოდზე შეჩერდნენ.

ფსიქოლოგიის მიზანია იმ მოვლენების შესწავლა, რომლებიც „ჩემს მეში ხდება“. მათ დაკვირვების გზით აღმოაჩენენ ხოლმე.

— მოდი, დავაკვირდეთ!

და ორი კვირის განმავლობაში, ჩვეულებრივ, ნასაუზმევს, საკუთარ შემეცნებაში იძიებდნენ, იქნებ ალალბედზე დიდი აღმოჩენა მოვახდინოთო, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს, რითაც მეტად გაოცებულნი იყვნენ.

ერთი მოვლენა აინტერესებს მე-ს, სახელდობრ — იდეა. როგორია მისი ბუნება? გამოითქვა მოსაზრება, რომ საგნები აირეკლებიან ტვინში და რომ ტვინი ამ სახეებს უგზავნის ჩვენს სულს, რის გამოც მათ აღვიქვამთ.

თუ იდეა სულიერია, მაშინ როგორ წარმოვიდგინოთ მატერია? აქედან წარმოსდგება სკეპტიკური დამოკიდებულება გარეშე აღქმისადმი. თუ იგი მატერიალურია, მაშინ სულიერ საგნებს ვერ წარმოვიდგენდით. აქედან — სკეპტიკური დამოკიდებულება შინაგანი ცნებისადმი.

თუმცა აქ საჭიროა სიფრთხილე. ამ ჰიპოთეზს ათეიზმამდე მივყავართ.

რადგან თუ სახე სასრულია, იგი უსასრულობას ვერ წარმოადგენს.

— მაგრამ, — შეესიტყვა ბუვარი, — როცა მე ვფიქრობ რომელიმე ტყეზე, ადამიანზე თუ ძაღლზე, მე ვხედავ ამ ტყეს, ადამიანს, ამ ძაღლს; მაშასადამე, იდეები მათ წარმოადგენენ.

და დაიწყეს იდეათა წარმოშობის საკითხის შესწავლა.

ლოკის აზრით იდეა ორია: შეგრძნება, აზროვნება; კონდილიაკს ყველაფერი შეგრძნებამდე დაჰყავს.

მაგრამ მაშინ აზროვნებას საფუძველი მოაკლდება: მას ესაჭიროება სუბიექტი, მგრძნობიარე ადამიანი და არ შეუძლია მოგვცეს დიდი ძირითადი ჭეშმარიტებანი: ღვთის, კეთილის, ბოროტების, სიმართლის, სილამაზისა და სხვ. იდეები, საყოველთაო და თანდაყოლილი იდეები, ესე იგი ის, რაც წინ უსწრებს მოვლენებსა და გამოცდილებას.

— ეს იდეები რომ საყოველთაო იყოს, დაბადებიდანვე დაგვყვებოდა.

— ამ სიტყვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ მიდრეკილება გვაქვს მათ ვფლობდეთ და დეკარტი...

— შენი დეკარტი სისულელეებს როშავს! ის ამტკიცებს ჩანასახს იდეები გააჩნიაო, მეორე ადგილას კი აღიარებს, მასში იდეები იგულისხმებაო.

პეკუშე გაკვირვებული იყო.

— ეგ სად გიპოვია?

— ჟერანდოს აქვს!

და ბუვარმა ხელი მუცელზე მიარტყა.

— გაჩერდი! — უთხრა პეკუშემ.

მერე კონდილიაკს მიუბრუნდა:

— ჩვენი აზრები შეგრძნების მეტამორფოზები როდია. შეგრძნება მათ იწვევს, ამოქმედებს. მოძრაობაში მოსაყვანად საჭიროა ამძრავი, რადგან მატერია თავისთავად მოძრაობას ვერ გამოიწვევს... ჰოდა, ეს შენი ვოლტერის წიგნში ამოვიკითხე. — დასძინა პეკუშემ და თავი დაბლა დაუკრა.

ისინი იმეორებდნენ ერთსა და იმავე არგუმენტებს. თითოეული მათგანი ზიზღით უარყოფდა მეორის შეხედულებას, და ვერ ახერხებდა მოწინააღმდეგე საკუთარი აზრის სისწორეში დაერწმუნებინა.

ფილოსოფიის მეოხებით ფასი მოემატათ საკუთარ თვალში. ახლა უბადრუკად ეჩვენებოდათ ადრინდელი გატაცება სოფლის მეურნეობით, პოლიტიკით.

მუზეუმი შესძაგდათ. დიდად მოხარულნი იქნებოდნენ გაეყი-

დათ მთელი ეს უმნიშვნელო ნივთები... და გადავიდნენ მეორე თავზე: ხულიერ თვისებებზე.

ეს თვისება სამია, მეტი არა! გრძნობა, შემეცნება, ნებისყოფა.

შეგრძნების უნარში უნდა გავარჩიოთ ფიზიკური მგრძნობელობა და მორალური მგრძნობელობა.

ფიზიკური შეგრძნებანი ბუნებრივად განიყოფებიან ხუთ სახეობად, რაკი მათ განაპირობებს გრძნობათა ხუთი ორგანო.

მორალური მგრძნობელობის მოვლენანი, პირიქით, სრულიადაც არ არიან დამოკიდებულნი სხეულზე. „რა აქვს საერთო იმ სიამოვნებას რაც არქიმედმა სიმძიმის კანონის აღმოჩენის დროს განიცადა და აპიციუსის საზიზღარ სიამეს, როცა ტახის თავს ღეჭავს?“

მორალური მგრძნობელობა ოთხგვარია და მისი მეორე გვარეობა, „მორალური სურვილები“, ხუთ სახეობად იყოფა, რომელთა შორის არის სიყვარული საკუთარი თავისადმი „მიდრეკილება უთუოდ კანონიერი, რომელსაც, როცა იგი გაზვიადებულია, ეგოიზმი ეწოდება“.

შემეცნების უნარი შეიცავს გონების აღქმებს, რომელთა შორის ვნედავთ ორ მთავარ მოძრაობას და ოთხ საფეხურს.

აბსტრაქცია შეიძლება სიძნელეს წარმოადგენდეს თავისებური გონებისათვის.

მეხსიერება კავშირს ამყარებს წარსულთან, ისე როგორც წინასწარჭვრეტა მომავალთან.

წარმოსახვა, უწინარეს ყოვლისა, განსაკუთრებული თვისებაა, Sui generis.

მთელმა ამ ბუნდოვანმა არგუმენტაციამ ზოგად დებულებათა დასაცავად, ავტორთა პედანტურმა კილომ, ფრაზების ერთფეროვნებამ: „მზად ვართ ვაღიაროთ, მაგას სულაც არ ვფიქრობთ, ვკითხოთ ჩვენს შეგნებას“, დეგალდ-სტიუარტის განუწყვეტელმა ქებამ, ერთი სიტყვით, მთელმა ამ ლაქლაქმა გული შეუწუხა მათ. ნებისყოფის უნარის შესწავლა გამოტოვეს და ლოგიკის სფეროში გადავიდნენ.

ლოგიკამ მათ ასწავლა, რა არის ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია და როგორია ჩვენი შეცდომების მთავარი მიზეზები.

თითქმის ყველა ისინი წარმოსდგებიან არასწორი სიტყვახმარებისაგან.

„მზე ჩადის, ამინდი ფუჭდება, ზამთარი გვიახლოვდება“, ეს ყოველივე არასწორი თქმაა, რაც გვაფიქრებს პერსონალურ არსზე, მაშინ როცა საქმე ეხება მეტად უბრალო მოვლენებს. „მე მაგონდება ესა და ეს საგანი, ესა და ეს აქსიომა, ესა და ეს ჭეშმარიტება“, ეს თავის მოტყუებაა! ჩემში რჩებიან არა ნივთები, არამედ იდეები და, უკეთ რომ ვთქვათ, ასე უნდა გვეთქვა: „მე მაგონდება ჩემი გონების ისეთი აქტი, რომლის მეოხებითაც აღვიქვი ეს საგანი ,გამოვიტანე ეს აქსიომა, ვიწამე ეს ჭეშმარიტება“.

რადგან ტერმინი, რომელიც რაიმე შემთხვევით მოვლენას აღნიშნავს, ყველა მოდუსით არ გამოხატავს მას, ამიტომ ბუვარი და პეკუშე ცდილობდნენ ეხმარათ მხოლოდ განყენებული სიტყვები; მაგალითად, ნაცვლად ფრაზებისა „გავისეირნოთ, სადილობის დროა, მუცელი მტკივა“, ისინი ამბობდნენ: „გასეირნება მარგებელი იქნებოდა, დადგა საზრდოს ჭამის დრო, ვგრძნობ, რომ საჭიროა კუჭის გაწმენდა“.

როცა ლოგიკა შეითვისეს, გაიცნეს სხვადასხვა კრიტერიუმი და, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მიაქციეს ჯანსაღ აზრს.

თუკი ინდივიდს არ შეუძლია რაიმე იცოდეს, მაშინ როგორ შეუძლიათ ინდივიდებს მეტი იცოდნენ? შეცდომა, თუნდაც იგი ას ათას წელს არსებობდეს, მხოლოდ თავისი სიძველის წყალობით, ჭეშმარიტების შემცველი ვერ იქნება. ბრბო მუდამ რუტინას მისდევს. უმნიშვნელო უმცირესობა კი, პირიქით, ხელს უწყობს პროგრესს.

განა უფრო საიმედოა გრძნობათა ჩვენებას ვეყრდნობოდეთ? ისინი ხშირად გვატყუებენ და მხოლოდ მოჩვენებითობას გვამცნობენ, არსი კი მათთვის მიუწვდომელია.

გონება მეტ გარანტიას იძლევა, რადგან იგი უძრავი და უპიროვნოა; მაგრამ გამოვლინებისათვის განხორციელებას საჭიროებს. მაშინ გონება ჩემს გონებად იქცევა, წესს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუ იგი მცდარია. არ არსებობს არავითარი საბუთი, რომ ესა თუ ის წესი სწორია.

გვირჩევენ გონება შეგრძნებით შევამოწმოთ; მაგრამ შეგრძნებას შეუძლია მოვლენა უფრო გააბუნდოვანოს. ბუნდოვანი შეგრ-

ძნებისაგან შესაძლებელია წარმოდგეს მკაცრი კანონი, რომელიც შემდგომ ხელს შეგვიშლის ნათლად დავინახოთ საგნები.

რჩება მორალი. ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი სარგებლობის დონემდე ჩამოვიყვანოთ, თითქოს ჩვენი საჭიროებანი აბსოლუტურის საზომი იყოს.

რაც შეეხება სიცხადეს, რასაც ზოგი უარყოფს, ზოგი კი ადასტურებს, იგი თავად საკუთარი თავის საზომია. ეს კუზენმა დაამტკიცა.

— ჩემი აზრით, რჩება მხოლოდ ზეშთაგონება, — თქვა ბუვარმა, — მაგრამ, იგი რომ ვირწმუნოთ, საჭიროა ვივარაუდოთ ორი წინასწარი ცოდნა: მგრძნობიარე სხეულის, აღქმული ინტელექტის ცოდნა, ესე იგი ვივარაუდოთ გრძნობა და გონება, ადამიანთა საბუთები, და, მაშასადამე, საეჭვო საბუთები.

პეკუშემ გულზე ხელები დაიკრიფა და ჩაფიქრდა.

— მაგრამ მაშინ სკეპტიციზმის საშინელ ჯურღმულში აღმოვჩნდებით.

ბუვარის აზრით, სკეპტიციზმს შეუძლია მხოლოდ გონებასუსტი ადამიანი შეაშინოს.

— ქათინაურისათვის მადლობა მომიხსენებია, — მიუგო პეკუშემ, — მაგრამ, მიუხედავად მაგისა, არსებობენ უდავო ფაქტები. ჭეშმარიტების მიღწევა შეიძლება გარკვეულ ფარგლებში.

— როგორ? განა ორჯერ ორი ყოველთვის ოთხი არ არის? განა შიგთავსი მხოლოდ გარკვეული აზრითაა ნაკლები შემთავსებელზე? რას ნიშნავს საერთოდ ჭეშმარიტება გარკვეულ ხარისხამდე, ღვთის ნაწილაკს, განუყოფელი ნივთიერების ნაწილს?

— ოჰ, შენ ნამდვილი სოფისტი ხარ!

პეკუშე გაჯავრდა და სამ დღეს დაემდურა ბუვარს.

ეს დრო მათ გამოიყენეს მრავალი ტომის შინაარსის გადასათვალიერებლად, ხანდახან ბუვარი გაიღიმებდა ხოლმე, შემდეგ საუბარი განაახლა:

— საქმე ისაა, რომ ძნელია არ დაეჭვდე. მაგალითად, ღვთის არსებობას დეკარტი, კანტი და ლაიბნიცი სხვადასხვანაირად ასაბუთებენ და ერთმანეთს აბათილებენ, სამყაროს შექმნა ატომებისა თუ სულიერი არსისაგან — მიუწვდომელია.

მე ერთსა და იმავე დროს თავს ვგრძნობ მატერიადაც და აზ-

რადაც, თუმცა არაფერი არ ვიცი არც ერთზე, არც მეორეზე. განუმსჭვალობა, სიმაგრე, სიმძიმის ძალა ისეთ საიდუმლოებად წარმოიდგენია, როგორც ჩემი სული, მით უფრო მეტი საიდუმლოებაა სულისა და ხორცის კავშირი.

ამ კავშირის განსამარტებლად ლაიბნიცმა გამოიგონა ჰარმონია, მალბრანშმა — ღვთის შემწეობა, კედვორტმა—შუამავალი, ბოსიუე კი მას მიიჩნევს განუწყვეტელ სასწაულად, მაგრამ ეს უაზრობაა: განუწყვეტელი სასწაული უკვე სასწაული არ არის.

— სწორია! — უთხრა პეკუშემ.

და ორივე გამოტყდა, ფილოსოფოსებმა თავი მოგვაბეზრესო. მთელ ამ სისტემებში ადვილად დაიბნევი, მეტაფიზიკა არაფრის მაქნისია და უმისოდ ცხოვრება შეიძლებაო.

ამასთან ძლიერდებოდა მათი უფულობა. ბელჟამბისა სამი კასრი ღვინის ფული ემართათ, ლანგლუასი — თორმეტი კილოგრამი შაქრისა, თერძისა — ასოცი ფრანკი, მეწაღისა სამოცი ფრანკი. ხარჯი მატულობდა, ძია გუი კი არ იხდიდა.

ისინი მარესკოსთან წავიდნენ, სთხოვეს, ფული გვიშოვეო, ეკალის ფერმის გაყიდვით იქნებოდა, მისი დაგირავებით თუ სახლის განსხვისებით, რათა მუდმივი რენტა ეძლიათ და მისით სარგებლობის უფლება ჰქონოდათ. ეს საშუალება გამოუყენებელიაო, უთხრა მათ მარესკომ, მაგრამ უკეთესი საქმე მაგონდება, რასაც თავის დროზე შეგატყობინებთო.

შემდეგ გაახსენდათ თავიანთი საბრალო ბაღი? ბუვარი შეუდგა წიფლის ხეივნის გაწმენდას, პეკუშე კი საშპალერო ხეების გასხვლას. მარსელს კვლების დაბარვა მიანდეს.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ შეჩერდნენ, ერთმა დაკეცა თავისი ბაღის დანა, მეორემ განზე გადადო მაკრატელი, და იწყეს ნელა სეირნობა — ბუვარმა ცაცხვების ქვეშ, უქილეტოდ, მკლავებშიშველმა, წელშიგამართულმა; პეკუშემ — კედლის გასწვრივ, თავდახრილმა, ზურგზე ხელებშემოდებულმა, თანაც სიფრთხილის გამო კარტუზი უკან მოეგდო. ასე სეირნობდნენ. ისინი ერთმანეთის გასწვრივ და სრულიადაც ვერ ამჩნევდნენ მარსელს, კარავთან რომ ხმელ პურს ლოღნიდა.

ჩაფიქრება აზრებს იწვევდა, და იმისი შიშით, არ დავკარგოთო, ერთმანეთს გაელაპარაკებოდნენ. კვლავ იწყებოდა მეტაფიზიკა.

იგი წარმოსდგებოდა წვიმისა და მზის გამო, ფეხსაცმელში ჩაცვენილი ქვიშის, ბალახში "ამოსული ყვავილის,—ყველაფრის გამო.

როცა ანთებულ სანთელს ხედავდნენ, თავისთავს ეკითხებოდნენ, შუქი ობიექტშია თუ ჩვენი მხედველობის ორგანოშიო. რადგან ვარსკვლავები, შესაძლებელია, უკვე გაქრნენ, როცა მათმა სინათლემ ჩვენამდე მოაღწია, იქნებ არარსებული საგნებით ვტკბებითო.

ჟილეტის სარჩულში რასპაის სიგარეტი იპოვეს, წყალზე დაფხვნეს და ქაფური დატრიალდა.

აი მოძრაობა მატერიაში! მოძრაობის უფრო მაღალი საფეხური სიცოცხლის წარმოშობას იწვევს.

მაგრამ თუ არსთა შესაქმნელად საკმაო იყო ამოძრავებული მატერია, მაშინ ისინი ასე სხვადასხვანაირნი არ იქნებოდნენ, რადგან თავდაპირველად არ არსებობდა არც მიწა, არც წყალი, არც ადამიანი და არც მცენარე. როგორიღაა ეს პირველყოფილი მატერია, რომელიც არავის არ უნახავს, რომელიც ამქვეყნად არსებულთა შორის არ არის, მაგრამ რომელმაც ყველაფერი წარმოშვა?

ზოგჯერ რომელიმე წიგნი დასჭირდებოდათ. დიუმუშელს მობეზრდა მუდამ მათი მიმწოდებელი ყოფილიყო, და აღარ უპასუხებდა. ისინი კი გატაცებული იყვნენ პრობლემით, განსაკუთრებით პეკუშე.

ჰეშმარიტებისადმი მისწრაფება მას მოუკვლელ წყურვილად გადაექცა.

ბუვარის სიტყვებით აღელვებულმა, მან სპირიტიზმი მიატოვა, მერე კვლავ დაუბრუნდა, შემდეგ ისევ მიატოვა, თავზე ხელებს შემოიდებდა და გაიძახოდა:

— ო, ეჭვები, ეჭვები! მირჩევნია სულაც არ ვიყო!

ბუვარი ხედავდა მატერიალიზმის უსაფუძვლობას, მაგრამ ცდილობდა ეწამა იგი, თუმცა კი აცხადებდა, ამის გამო რეტი მესხმისო.

მეგობრები მსჯელობას მტკიცე საფუძველზე აშენებდნენ; იგი ინგრეოდა; და იდეაც ერთბაშად ქრებოდა, როგორც გაფრინდება ხოლმე ბუზი, როცა მის დასაჭერად ემზადები.

ზამთრის საღამოებში ბუხართან ისხდნენ ხოლმე მუზეუმში, ნაკვერჩხლებს უცქერდნენ და საუბრობდნენ. დერეფანში მოზუზუნე ქარი ფანჯრის მინებს აზრიალებდა, შავად აღმართული ხეები ირ-

ხეოდნენ და ღამის სევდა მათი ფიქრების მნიშვნელობას ამძაფრებდა.

ბუვარი დროდადრო ოთახის ბოლოში მივიდოდა და დაბრუნდებოდა. სასანთლეები და კედლის გასწვრივ ჩაყოლებული გეჯები იატაკზე ალმაცერ ჩრდილს ფენდნენ, პროფილით შებრუნებული წმ. პეტრე კი ჭერზე ისროდა თავისი ცხვირის სილუეტს, მონადირის უზარმაზარ სანადირო ბუკს რომ ჰგავდა.

ძნელი იყო მოძრაობა ოთახებში უთავბოლოდ მიხორხლილ ავეჯსა და ნივთებს შორის. ბუვარი ხშირად წაედებოდა ხოლმე ქანდაკებას. ეს დიდთვალა, ტუჩჩამოვარდნილი, ქანდაკება, რომელსაც ლოთის შეხედულება ჰქონდა, პეკუშეს ავიწროებდა. დიდი ხანია უნდოდათ თავიდან მოეშორებინათ იგი, მაგრამ უდარდელობის გამო დღითი დღე ავიწყდებოდათ.

ერთხელ, საღამოს, მონადირის გამო კამათის დროს, ბუვარმა ფეხი იტკინა წმ. პეტრეს ფეხის ცერზე და მთელი თავისი გულისჯავრი მასზე ამოიყარა.

— დიდი ხანია მაწუხებს ეს რეგვენი, გავათრიოთ აქედან!

ძნელი იყო კიბეზე მისი ჩატანა. ფანჯარა გააღეს და ქანდაკი გადახარეს. პეკუშემ დაიჩოქა და ცდილობდა ფეხებით აეწია, ბუვარი კი მხრებზე აწვებოდა. ქვის მოხუცი ადგილიდან არ იძვროდა. მაშინ ბერკეტად იხმარეს მახვილი, ქანდაკი ერთბაშად ატოკდა და ფანჯარაში გადაეშვა. გაისმა ყრუ ბრახუნი და მეორე დღეს იგი კომპოსტის ორმოში ნახეს რამდენიმე ნაწილად დამტვრეული.

ერთი საათის შემდეგ ნოტარიუსი მოვიდა და სასიამოვნო ამბავი მოიტანა: ერთი ადგილობრივი მცხოვრები ქალი ათას ეკიუს იძლეოდა მათი ფერმის გირაოდ. და, როცა მათ გაეხარდათ, ნოტარიუსმა დასძინა:

— ბოდიში, იგი ამასთანავე მოითხოვს, რომ ეკალის აგარაკი ათას ხუთას ფრანკად მიჰყიდოთ. სესხის მიღება დღესვე შეგიძლიათ. ფული ჩემს კანტორაშია.

ორივე მზად იყო დათანხმებოდა. ბოლოს ბუვარმა მიუგო:

— ჰო, კარგი.

— მაშ, მოვრიგდით! — უთხრა მარესკომ.

და ნოტარიუსმა იმ ქალის სახელი გაუმხილა: ეს იყო ქ-ნი ბორდენი.

— მეც სწორედ აგრე ვფიქრობდი! — წამოიძახა პეკუშემ.

ბუვარი დამცირებული იდგა და დუმდა.

ის იქნება, თუ სხვა, სულ ერთი არაა! მთავარია გაჭირვებას დაალწიო თავი.

ფული მიიღეს (ეკალის აგარაკის ფასის გადახდა გადაიდო), დაუყოვნებლივ გადაიხადეს რაც ვალი ჰქონდათ და შინ ბრუნდებოდნენ, რომ ბაზრისაკენ გადასახვევში ისინი ძია გუიმ შეაჩერა.

იგი მათთან მიდიოდა, რათა უბედურების ამბავი ეცნობებინა. წუხელ ქარიშხალმა ოცი ვაშლის ხე წააქცია ეზოში, დაანგრია მარანი და კარაპანის სახურავი მოჰგლიჯა. ის დღე ზარალის დათვალიერებას დასჭირდა, მეორე დღეს კი ზარალის გამორკვევას ხუროსთან, კალატოზთან და მხურავთან ერთად. რემონტი სულ ცოტა ათას რვაასი ფრანკი დაჯდებოდა.

საღამოს გუი მოვიდა. მარიანამ ის იყო უამბო ეკალის აგარაკის გაყიდვის ამბავი. ეს იყო საუკეთესო ადგილი მთელს ფერმაში, მშვენიერ შემოსავალს იძლეოდა, დიდ შრომას არ მოითხოვდა და სწორედ გუისათვის იყო შესაფერისი. მან საიჯარო გადასახადის შემცირება მოითხოვა.

მათ უარი უთხრეს. საქმე მომრიგებელ მოსამართლემდე მივიდა და მოსამართლემ ფერმერის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ეკალის აგარაკის გაყიდვა, რომლის ერთი აკრი ორი ათას ფრანკად იყო შეფასებული, ფერმერისათვის წელიწადში სამოცდაათი ფრანკის დაკარგვას უდრიდა, და იგი უეჭველად მოიგებდა საქმეს უმაღლეს ინსტანციებში.

მეგობრების შემოსავალი შემცირდა. რა უნდა ექნათ? ახლა მომავალში როგორ უნდა ეცხოვრათ?

დაღონებულნი, სუფრას შემოუსხდნენ. მარსელს საჭმლის მომზადებისა არაფერი ესმოდა, ამჯერად მაინც მისი ნამზადი განსაკუთრებით უგემური იყო. წვნიანი ნარეცხს მოგაგონებდათ, კურდღლის ხორცი ყარდა. ბარდა მოუხარშავი იყო, თეფშები — ჭუჭყიანი და დესერტზე ბუვარი ისე გაბრაზდა, რომ დაემუქრა, სულ თავზე დაგამტვრევო.

— ვიყოთ ფილოსოფოსები, — უთხრა პეკუშემ, — ოდნავ ნაკლები ფული, ქალის ინტრიგები, მსახურის უგერგილობა, რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას? შენ ერთობ ჩაეფალი მატერიაში!

— კი, მაგრამ თუ მაწუხებს? — ჰკითხა ბუვარმა.

— ჩემთვის ეს მიუღებელია, — მიუგო პეკუშემ.

ბერკლის ანალიზი ახალი წაკითხული ჰქონდა და დასძინა:

— მე უარვყოფ განფენილობას, დროს, სივრცეს, ესე იგი სუბსტანციას! რადგან ნამდვილი სუბსტანცია სულია, რომელიც თვისებას სწვდება.

— ძალიან კარგი, — უპასუხა ბუვარმა, — მაგრამ სამყარო რომ გაუქმდეს, მაშინ ღმერთის არსებობის დასამტკიცებელი საბუთებიც გაქრება.

პეკუშე აღშფოთდა და დიდხანს ყვიროდა, მიუხედავად იმისა, რომ იოდკალიუმით გამოწვეული სურდო ჭირდა და განუწყვეტელი ციება მის აღგზნებას აძლიერებდა. ბუვარი შეშფოთდა და ექიმი მოიწვია.

ვოკორბეიმ ფორთოხლის სიროფი და იოდის პრეპარატი გამოუწერა, მერე სინგურის აბაზანები.

— ეს რა საჭიროა? — განაგრძობდა პეკუშე. — ადრე თუ გვიან ფორმა დაირღვევა. არსი ხომ არ იღუპება?

— რასაკვირველია, — უპასუხა ექიმმა, — მატერია ურღვევია! თუმცა...

— არა-მეთქი! არა! სწორედ არსია ურღვევი! აი ეს სხეული, ჩემს წინაშე რომ არის, თქვენი სხეული, ექიმო, მიშლის ხელს გავიგო თქვენი პიროვნება; იგი, ასე ვთქვათ, მხოლოდ საბურველია, ან, უკეთ რომ ვთქვა, ნიღაბია.

ვოკორბეიმ გაიფიქრა, ჭკუაზე შეირყაო.

— ნახვამდის! თქვენს ნიღაბს გაუფრთხილდით.

პეკუშემ ვერ მოისვენა. ჰეგელის ფილოსოფიის შესავალი იშოვა და უნდოდა ბუვარისათვის განემარტა იგი.

— ყველაფერი, რაც გონივრულია, რეალურია. ეს კიდევ როდი კმარა, რეალური არაფერია, გარდა იდეისა. სულის კანონები მსოფლიოს კანონებია, ადამიანის გონება ღვთის გონების დარია.

ბუვარი იფერებდა, ვითომ მესმისო.

— მაშ ასე, აბსოლუტური ერთსა და იმავე დროს სუბიექტიცაა და ობიექტიც, ერთიანობაა, რომელშიც ყველა განსხვავება ერთდება. ამრიგად, წინააღმდეგობანი გადაჭრილია. ჩრდილი შესაძლებელს ხდის სინათლეს, სითბოსთან შეზავებული სიცივე ტემ-

პერატურას ქმნის, ორგანიზმი არსებობას ინარჩუნებს მხოლოდ ორგანიზმის დაშლით, ყველგან გამთიშავი საწყისია, ყველგან შემაერთებელი საწყისია.

გორაკზე იდგნენ. ღობის გასწვრივ მღვდელი მიდიოდა, ხელში ლოცვანი ეჭირა.

პეკუშემ მიიწვია, რათა მისი თანდასწრებით დაემთავრებინა ჰეგელის მოძღვრების ჩამოყალიბება და გაეგო, რას იტყოდა.

ანაფორიანი კაცი მათს ახლო დაჯდა და პეკუშემ ქრისტიანობაზე დაიწყო ლაპარაკი.

— არც ერთ რელიგიას ასე ნათლად არ დაუდგენია ეს ჭეშმარიტება: „ბუნება მხოლოდ იდეის მომენტია“.

— იდეის მომენტი?! — წაიბუტბუტა გაკვირვებულმა მღვდელმა.

— რა თქმა უნდა! როცა ღმერთმა ხილული გარსი მიიღო, ბუნებასთან თავისი ერთარსი კავშირი გამოავლინა.

— ბუნებასთან? ოჰ, ოჰ!

— თვისი გარდაცვალებით დაადასტურა სიკვდილის არსი: მაშასადამე, სიკვდილი იმყოფებოდა მასში, შეადგენდა და შეადგენს ღვთის ნაწილს.

აბატმა წარბები შეიკრა.

— რა საჭიროა მკრეხელობა! იგი ადამიანთა მოდგმის სახსნელად ეწამა.

— შეცდომაა! სიკვდილს ინდივიდის მიმართ განიხილავენ, ვისთვისაც იგი, რა თქმა უნდა, ბოროტებაა, მაგრამ საგნების მიმართ საქმე სხვანაირადაა. ნუ გაჰყოფთ სულსა და მატერიას!

— მაგრამ, ბატონო ჩემო, სამყაროს შექმნამდე...

— სამყაროს შექმნა არ ყოფილა! იგი მუდამ არსებობდა. თორემ ეს იქნებოდა ახალი არსი, ღვთის აზრს რომ შეუერთდა, რაც სრული უაზრობაა.

მღვდელი ადგა, სასწრაფო საქმეები ჰქონდა.

— მსიამოვნებდა მისი გაბიაბრუება! — თქვა პეკუშემ, — ერთი სიტყვა კიდევ! რადგან სამყაროს არსებობა არის მხოლოდ მუდმივი გადასვლა სიცოცხლიდან სიკვდილში და სიკვდილიდან სიცოცხლეში, იმის მტკიცების საწინააღმდეგოდ ყველაფერი არისო, უნდა

ვაღიაროთ, რომ არაფერი არ არის. განა ყველაფერი ყალიბდება, გესმის ჩემი თუ არა?

— ჰო, მესმის, ანუ, უფრო სწორად, არა!

ბოლოს და ბოლოს იდეალიზმმა ბუვარი მოთმინებიდან გამოიყვანა.

— მეტი აღარ მსურს. ის განთქმული cogito[1] მაღიზიანებს. საგნების იდეას თვით საგნებად იღებენ. ბუნდოვან ცნებათა ასახსნელად მოგონილია სრულიად გაუგებარი სიტყვები. სუბსტანცია, განფენილობა, ძალა, მატერია და სული! ყოველივე ეს აბსტრაქციაა, მოგონილია! რაც შეეხება ღმერთს, შეუძლებელია იმის ცოდნა, როგორია იგი და საერთოდ არსებობს თუ არა. ოდესღაც იგი ჰქმნიდა ქარს, ელვა-ქუხილს, გადატრიალებას! ახლა კი ზღუდავს თავის მოღვაწეობას. თანაც არ მესმის, რა სარგებლობაა მისაგან.

— და მორალი ყოველივე ამაში?

— მით უარესი.

„მას მართლაც საფუძველი არ აქვს“,—გაიფიქრა პეკუშემ.

და, ჩიხში მოქცეული, გაჩუმდა, რადგან ეს ჩიხი მის წანამძღვართა შედეგი იყო. ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ იგი დააღონა.

ბუვარს უკვე მატერიაც აღარ წამდა.

რწმენა, რომ არაფერი არ არსებობს (რაგინდ სამწუხარო უნდა იყოს), მაინც რწმენაა. ყველას როდი შეუძლია განიმსჭვალოს ამ რწმენით. ისინი გაამაყდნენ ასეთი უპირატესობით, მოისურვეს ამით თავმოწონება და შემთხვევაც მიეცათ.

ერთხელ, დილით, როცა თამბაქოს საყიდლად მიდიოდნენ, ლანგლუას კარებთან დაინახეს ხალხი, ფალეზის დილიჟანსს რომ შემოხვეოდა. ლაპარაკობდნენ კატორღელ ტუაშზე, ახლომახლო მიდამოებში რომ დაეხეტებოდა. კონდუქტორს იგი ორი ჟანდარმის თანხლებით ენახა მწვანე ჯვართან და შავინიოლელებმა შვებით ამოისუნთქეს.

მოედანზე ჟირბალი და კაპიტანი იდგნენ. დაწვრილებითი ამბების შესატყობად მოვიდნენ მომრიგებელი მოსამართლე და ბ-ნი მარესკო, რომელსაც ხავერდის ბერეტი ეხურა და ტარსიკონის ფეხსაცმელი ეცვა.

---

[1] ვაზროვნებ (ლათ.).

ლანგლუამ ისინი შეიპატიჟა, თქვენი სტუმრობით ჩემს დუქანს პატივი დასდეთო, იქ უფრო მოხერხებულად იქნებითო. ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ მუშტრებსა და ზარის წკარუნს, თავისუფლად განაგრძობდნენ ტუაშის დანაშაულზე ლაპარაკს.

— ღმერთო ჩემო, მას ცუდი ინსტინქტები ჰქონდა, ეს იყო და ეს, — თქვა ბუვარმა.

— ინსტინქტი შეიძლება სიკეთით დასძლიო, — უთხრა ნოტარიუსმა.

— მაგრამ თუ კაცს იგი არ გააჩნია?

და ბუვარმა გადაჭრით უარყო ნების თავისუფლება.

— მაგრამ, — თქვა კაპიტანმა, — მე შემიძლია ვაკეთო, რაც მსურს! მაგალითად, თავისუფლად შემიძლია გავანძრიო ფეხი.

— არა, ბატონო ჩემო, თქვენ გაქვთ განზრახვა გაანძრიოთ იგი!

კაპიტანს სურდა საწინააღმდეგო რამ ეთქვა და ვერაფერი მოიგონა. ჟირბალმა ასე იოხუნჯა:

— რესპუბლიკელი თავისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებს! ეს საინტერესოა!

— სასეირო ამბავია! — თქვა ლანგუამ.

ბუვარმა ჰკითხა:

— რატომ არ ურიგებ შენს ქონებას ღარიბებს?

ბაყალმა შეშფოთებით მოავლო თვალი თავის დუქანს.

— მნახეთ რაღა ბრიყვი! ქონება ჩემთვის მინდა!

— თქვენ რომ წმ. ვინსენტ დე პოლი იყოთ, სულ სხვანაირად მოიქცეოდით, რადგან მისი ხასიათი გექნებოდათ. თქვენ კი საკუთარ ხასიათს ემორჩილებით. მაშასადამე, თავისუფალი არ ხართ.

— ეგ ხრიკებია, — ერთხმად წამოიძახა ყველამ.

ბუვარი არ შედრკა, სასწორი უჩვენა, დახლზე რომ იდგა, და განაგრძო:

— იგი არ გაინძრევა, სანამ ერთ-ერთი ჯამი ცარიელია. ასეა ნებაც: სასწორის ქანაობა ორ სიმძიმეს შორის, თანასწორი რომ გვგონია, გამოხატავს ჩვენი გონების მუშაობას, როცა იგი განიხილავს მოტივებს, სანამ უფრო ძლიერი არ გაიტაცებს მას, არ გამოარკვევს გადაწყვეტილებას.

— ყოველივე ეს სულაც არ ამართლებს ტუაშს და არ უშლის ხელს დიდი არამზადა იყოს, — თქვა ჟირბალმა.

სიტყვა პეკუშემ ითხოვა:

— მანკი ბუნებას სჩვევია, ისევე როგორც წყალდიდობა, ქარიშხალი.

ნოტარიუსმა სიტყვა გააწყვეტინა, ყოველ სიტყვაზე ცერებზე დგებოდა და განაგრძობდა:

— თქვენი თეორია, ჩემი აზრით, სრულიად უზნეოა. იგი არ ზღუდავს არავითარ მანკიერ მიდრეკილებას, ამართლებს დანაშაულს, დამნაშავეს.

— სავსებით სწორია, — დაეთანხმა ბუვარი, — უბედური კაცი, ვინც თავის მისწრაფებას ემორჩილება, ისევე მართალია, როგორც პატიოსანი კაცი, გონების კარნახს რომ უგდებს ყურს.

— სიმახინჯეს ნუ ესარჩლებით!

— რატომ სიმახინჯეს? როცა ბრმა, რეგვენი, მკვლელი იბადება, ჩვენ ეს არაკანონზომიერი გვეჩვენება, თითქოს კანონზომიერება ჩვენთვის ცნობილი იყოს და თითქოს ბუნება რაიმე მიზნის მიხედვით მოქმედებდეს!

— მაშასადამე, თქვენ საეჭვოს ხდით განგებას?

— დიახ, მე იგი მეეჭვება.

— ჯობს ისტორიას მიმართოთ! — წამოიძახა პეკუშემ, — გაიხსენეთ მეფეთა მკვლელობანი, ხალხთა ჟლეტა, უთანხმოება ოჯახებში, პირადი მწუხარება.

— ამავე დროს კი, — დასძინა ბუვარმა, რადგან ისინი ერთმანეთს აღანთებდნენ, — იგივე განგება ზრუნავს ფრინველებისათვის და კიბოებს მარწუხებს უზრდის. ო, თუ თქვენ განგებაში კანონს გულისხმობთ, რომელიც ყველაფერს განაგებს, მაშინ გეთანხმებით და მეტსაც გეტყვით!

— მაგრამ, ბატონო ჩემო, — უთხრა ნოტარიუსმა, — არსებობს პრინციპი!

— აბა, რა ზღაპრებს მელაპარაკებით! მეცნიერება მით უფრო სრულყოფილია, — ამბობს კონდილიაკი, — რაც უფრო ნაკლებს ესაჭიროება იგი. ისინი მხოლოდ აჯამებენ შეძენილ ცოდნას და სწორედ ისეთ ცნებებს გვირჩევენ, რომლებიც სადაოა.

— გიმუშავიათ თუ არა ჩვენსავით, — განაგრძო პეკუშემ, — გამოკვლევებზე, მეტაფიზიკურ საიდუმლოებათა დამუშავებაზე?

— სრული სიმართლეა, ბატონებო, სრული სიმართლეა!

და კრება დაიშალა.

მაგრამ კულონმა ისინი განზე გაიხმო და მამობრივი ტონით უთხრა: რა თქმა უნდა, ღვთისმოსავი არც მე ვარ და იეზუიტები კიდევაც მეჯავრება, მაგრამ ისე შორს როდი შემიტოპავს, როგორც თქვენო! ო, არა! რა.სათქმელია!

მოედნის ბოლოს მათ ჩაუარეს კაპიტანს, ჩიბუხს რომ უკიდებდა და თან ბუტბუტებდა:

— მე მაინც იმას ვშვრები, რაც მინდა, დალახვროს ეშმაკმა!

ბუვარი და პეკუშე თავიანთ საზიზღარ პარადოქსებს სხვა შემთხვევებშიც ქადაგებდნენ. ისინი საეჭვოს ხდიდნენ მამაკაცთა პატიოსნებას, ქალთა უმანკოებას, მთავრობის გონივრულობას, ხალხთა ჯანსაღ აზრს, ერთი სიტყვით, ძირს უთხრიდნენ საფუძვლებს.

ფურო ღელავდა და იმუქრებოდა, იმათ დავაპატიმრებ, თუ ასეთი ლაპარაკი განაგრძესო.

მათი აშკარა უპირატესობა შეურაცხმყოფელი იყო. რაკი უზნეო დებულებებს იცავდნენ, თვითონაც უზნეონი უნდა ყოფილიყვნენ; ცილისწამება გავრცელდა.

მაშინ მეგობრებს განუვითარდათ აუტანელი უნარი — შეენიშნათ სისულელე და ვეღარ მოეთმინათ იგი.

მათ მოთმინებას აკარგვინებდათ სხვადასხვა წვრილმანი: გაზეთის რეკლამები, რომელიმე ობივატელის პროფილი, შემთხვევით ყურმოკრული სულელური მსჯელობა.

იმაზე რომ ფიქრობდნენ, რასაც სოფელში ლაპარაკობდნენ, წარმოიდგენდნენ, რომ ანტიპოდებსაც კი ჰყავთ თავიანთი კულონები, თავიანთი მარესკოები, თავიანთი ფუროები, გრძნობდნენ, როგორ აწვათ ზურგზე მთელი დედამიწის სიმძიმე.

სახლიდან აღარ გადიოდნენ, აღარავის იღებდნენ.

ერთხელ, ნასადილევს, ეზოში დიალოგი გაიმართა მარსელსა და ვიღაც ბატონს შორის, რომელსაც ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა და შავი სათვალე ეკეთა. ეს იყო აკადემიკოსი ლარსონერი. მას არ გამოპარვია, რომ ერთი ფარდა ოდნავ გადაიწია, რომ ვიღაცამ კარი დაკეტა. მისი მოსვლა შერიგების ცდა იყო, და იგი გაოფთრებული წავიდა, თანაც მსახურს მიანდო პატრონებისათვის ეთქვა, უზრდელები ხართო.

ბუვარი და პეკუშე ამ ამბავს სრულიად გულგრილად შეხვდნენ.

სამყაროს მათთვის მნიშვნელობა დაეკარგა: ისინი ისე უცქეროდნენ მას, თითქოს გახვეული იყო ღრუბელში, ტვინიდან რომ ჩამოეშვა და თვალებზე დაეფარათ.

და მართლაც, ილუზია ხომ არ არის? ან იქნებ ცუდი სიზმარია ვინ იცის, იქნებ კეთილდღეობა და მწუხარება საერთო ჯამში თანაბრდება? მაგრამ მოდგმის სიკეთე ინდივიდს ვერ ანუგეშებს.

— მე რა მესაქმება დანარჩენებთან! — ამბობდა პეკუშე.

მისი მწუხარება გულს უკლავდა ბუვარს, რომელიც ფიქრობდა, ჩემი მეგობარი ამ მდგომარეობამდე მე მივიყვანეო, ხოლო სახლის დაქვეითება მათს მწუხარებას ყოველდღიური უსიამოვნებით ამძაფრებდა.

გასამხნევებლად თავს მსჯელობით იმშვიდებდნენ, მუშაობდნენ, მაგრამ მალე მეტი სიზარმაცე, დიდი უიმედობა დაეუფლებოდათ ხოლმე. ჭამის შემდეგ დიდხანს რჩებოდნენ სუფრასთან და, იდაყვდაყრდნობილნი, ოხრავდნენ. მარსელი თვალდაჭყეტილი მისჩერებოდა მათ, მერე სამზარეულოში გავიდოდა და კარგად გამოძღებოდა.

შუა ზაფხულში ბარათი მიიღეს, რომლითაც შეიტყვეს, რომ დიუმუშელმა შეირთო ქვრივი ოლიმპია-ზულმა პულე.

— აკურთხოს ღმერთმა!

და გაახსენდათ ის დრო, როცა თვითონაც ბედნიერები იყვნენ.

რატომ აღარ დადიან სამკალში და თვალს აღარ ადევნებენ მომკელთა მუშაობას? სად გაქრა ის დღეები, როცა სოფელ-სოფელ დაეხეტებოდნენ და სიძველეებს ეძებდნენ? აღარავითარ ნუგეშს არ ანიჭებდათ ახლა მაშინდელი ტკბილი წუთები, რომლებსაც ისინი მეღვინეობას თუ ლიტერატურას ანდომებდნენ. ახლა უფსკრული აშორებდა მათ. რაღაც უსაშველო მოხდა.

მოენატრათ უწინდებურად გასეირნება მინდვრებში; ძლიერ შორს წავიდნენ, გზა დაებნათ. ცაზე ქუდა ღრუბლები ირეოდნენ, ქარი არხევდა პურის ყანას, მინდორში ნაკადული მიქღურტულებდა, მაგრამ უეცრად რაღაც სიმყრალემ შეაჩერა ისინი: იქვე ქვებზე, ეკლნარში მკვდარი ძაღლი დაინახეს.

კიდურები გაქვავებოდა. დაღებულ დრუნჩში ჩალურჯებული ლაშები და თეთრი ეშვები უჩანდა. მუცლის ადგილას რაღაც მი-

წისფერი გროვა თითქოს ფუთფუთებდა, შიგ მატლები ირეოდნენ. მზით გაშუქებულს, ბუზები ზუზუნით ეხვეოდნენ, ის კი თითქოს თრთოდა და გარშემო აუტანელ, სასტიკ, გაუნელებელ სიმყრალეს ავრცელებდა.

ბუვარი მოიკმუხნა და თვალს ცრემლი მოადგა.

პეკუშემ სტოიკურად წარმოთქვა:

— ოდესმე ჩვენც ასე ვიქნებით!

სიკვდილზე ფიქრი დაეუფლათ, უკანდაბრუნებულნი, სულ ამაზე საუბრობდნენ.

არსებითად, სიკვდილი არ არსებობს. იქცევი ნამად, ნიავად, ვარსკვლავად. ხის წვენის, ძვირფასი ქვების ციალის, ფრინველთა ბუმბულის რაღაც ნაწილაკად იქცევი. ბუნებას უბრუნებ იმას, რაც მისგან ისესხე. და არყოფნა, რაც ჩვენ მოგველის, სრულიადაც იმაზე საშიში არ არის, ჩვენამდე რომ იყო.

ცდილობდნენ იგი წარმოედგინათ ბნელი ღამის, უფსკრულის, გაუთავებელი გულწასვლის სახით; ყველაფერი სჯობდა ამ ერთფეროვან, უაზრო და უნუგეშო არსებობას.

გაიხსენეს თავიანთი დაუკმაყოფილებელი სურვილები. ბუვარი შუდამ ნატრობდა ჰყოლოდა ცხენები, ჰქონოდა ეკიპაჟები, საუკეთესო მარკების ბურგუნდიული ღვინოები და მოალერსე ლამაზმანები დიდებულ პალატებში. პეკუშეს ოცნება ფილოსოფიის ცოდნა იყო. მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა, ის, ყველაფერს რომ მოიცავს, შეიძლება ერთ წუთში აიხსნას. როდის-ღა იქნება დასასრული?

— ჯობს ახლავე მოვისწრაფოთ სიცოცხლე.

— როგორც გენებოს, — უპასუხა ბუვარმა.

და განიხილეს თვითმკვლელობის საკითხი.

რატომ არ უნდა მოვიშოროთ მტანჯველი ტვირთი? რატომ არ ჩავიდინოთ ისეთი საქციელი, რაც არავის ზიანს არ მიაყენებს? იგი რომ ღმერთს არ ნებავდეს, განა ამის ძალაუფლება გვექნებოდა? ვინც რა უნდა თქვას, ეს სულმოკლეობა როდია, და რა მშვენიერია გაბედულება — საკუთარი თავის გამეტებითაც კი საცინლად აიგდო ის, რასაც ადამიანები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

და შეუდგნენ თავის მოკვლის საშუალებათა განხილვას.

საწამლავი ტანჯვას იწვევს. ყელის გამოჭრას მეტად დიდი ვაჟკაცობა უნდა. მხუთარი ზოგჯერ უშედეგოა.

ბოლოს პეკუშემ სხვენზე ორი სატანვარჯიშო საბელი აიტანა. ისინი სახურავის ერთსა და იმავე თავხეზე ჩამოაბა, ორი მარყუჟი გაუკეთა და ქვეშ სკამები დაუდგა, საბელს რომ მისწვდომოდნენ.

ამ საშუალებაზე შეჩერდნენ.

ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მათი თვითმკვლელობა იმ არემარეში, ვის ხელში მოხვდებოდა მათი ბიბლიოთეკა, ქაღალდები, მათი კოლექციები. სიკვდილზე ფიქრმა საკუთარი თავის სიბრალული მოჰგვარათ. მაგრამ განზრახულზე ხელი არ აუღიათ, ლაპარაკში კიდევაც მიეჩვიენენ მას.

შობის წინადღეს, ღამის თერთმეტ საათზე, სხვადასხვანაირად ჩაცმულნი, მუზეუმში ისხდნენ და ფიქრობდნენ. ბუვარს ნაქსოვი ჟილეტის ზემოთ ბლუზა ეცვა, პეკუშეს კი, ტანსაცმელს უფრთხილდებოდა და აგერ უკვე სამი თვე იყო, ბერის სამოსი არ გაუხდია.

რადგან ძლიერ მოშივდათ (მარსელი განთიადისას წავიდა სადღაც და ჯერაც არ დაბრუნებულიყო), ბუვარმა ჰიგიენურად მიიჩნია ერთი გრაფინი არყის დალევა, პეკუშემ — ფინჯანი ჩაი ამჯობინა.

ჩაის რომ ასხამდა, წყალი პარკეტზე დაეღვარა.

— დონდლო! — უყვირა ბუვარმა.

შემდეგ ნაყენი ცოტა ეჩვენა და ორი კოვზი მიუმატა.

— საძაგელი რამ გამოვა, — უთხრა პეკუშემ.

— სრულიადაც არა!

თითოეული თავისკენ მიიწევდა კოლოფს, ხონჩა დავარდა; ერთი ფინჯანი გატყდა, უკანასკნელი, რომელიც დარჩენილი იყო მშვენიერი ფაიფურის სერვიზიდან.

ბუვარი გაფითრდა.

— განაგრძე! ამსხვრიე! ნუ გენაღვლება!

— დიდი უბედურებაა, აი!

— დიახ! უბედურებაა! ეგ მამისეული იყო!

— უკანონო მამისეული!—დასძინა პეკუშემ და ჩაიხითხითა.

— აჰ, შეურაცხყოფასაც მაყენებ?

— არა, მაგრამ მოგბეზრდი! ვხედავ! გამოტყდი!

და პეკუშეს ბრაზი, უკეთ, სიგიჟე მოერია. აგრეთვე ბუვარს-

ორივე ერთბაშად აყვირდა: ერთი იმიტომ, რომ შიოდა, მეორე კი იმიტომ, რომ მთვრალი იყო.

— ეს ჯოჯოხეთია და არა სიცოცხლე! უმჯობესია სიკვდილი! მშვიდობით!

პეკუშემ სანთელი აიღო, წავიდა და კარი გაიჯახუნა.

ბუვარმა ბნელში კარი ძლივს გააღო, პეკუშეს გაედევნა და სხვენზე ავიდა.

სანთელი იატაკზე იდგა, პეკუშე კი — ერთ-ერთ სკამზე და ხელში საბელი ეჭირა.

წაბაძვის სულისკვეთებამ ბუვარიც აიყოლია.

— დამიცადე.

და უკვე მეორე სკამზე შედგა, მაგრამ უეცრად შეჩერდა.

— მაგრამ... ანდერძი რომ არ შეგვიდგენია?

— ჰო, მართალია!

ნაღვლით გული შეეკუმშათ. სარკმელთან მივიდნენ, რომ სული მოეთქვათ.

ჰაერი ცივი იყო, და მრავალი ვარსკვლავი ციმციმებდა მელანივით შავ ცაში.

სითეთრე თოვლისა, მიწას რომ ჰფარავდა, ცისკიდურზე ნისლში იცარებოდა.

მიწაზე სინათლე შეამჩნიეს, იგი სულ უფრო ძლიერდებოდა, ახლოვდებოდა და ეკლესიისაკენ მიემართებოდა.

ცნობისმოყვარეობამ მეგობრები იქით წაიყვანა.

ეს მწუხრის ლოცვა ყოფილა. სინათლე რომ მოჩანდა, თურმე მწყემსების პატარა ფარნები იყო. კარიბჭეზე რამდენიმე მლოცველი წამოსასხამს იბერტყავდა.

კლაკნილა ხრიალებდა, საკმეველი ბოლავდა. მთელი ნეფის გასწვრივ დაკიდებული კანდელები მრავალფეროვანი შუქის სამ გვირგვინს ქმნიდნენ, პერსპექტივის დასასრულს კი, სკინიის ორივე მხარეზე უზარმაზარი სანთლები წითლად იწვოდნენ. ხალხისა და ქალთა ქუდების ზემოთ, მგალობლების იქით, ოქრომკედის სამოსლით მოკაზმული მღვდელი მოჩანდა; მის მკვეთრ ხმას ბანს აძლევდნენ მამაკაცები, ამბიონზე რომ შეჯგუფებულიყვნენ, და ხის გუმბათი თავის ქვის საყრდენებზე ზანზარებდა. კედლები დაფარული იყო მხატვრობით, ქრისტეს წამებას რომ წარმოადგენდა.

ქორედზე, ტრაპეზის წინ, მუხლებმოკეცილი კრავი იწვა და ყურებს აცქვიტინებდა.

თბილმა ჰაერმა არაჩვეულებრივად არგო მეგობრებს. წეღან ესოდენ აშლილი ფიქრები ჩამცხრალი ტალღებივით დაუმშვიდდათ.

მათ მოისმინეს სახარება და მრწამსი, თვალს ადევნებდნენ მღვდლის მოქმედებას. ამასობაში მოხუცები, ყრმები, ჩამოფლეთილი მათხოვრები, ფერმერთა ცოლები, მაღალი ჩაჩები რომ ეხურათ, და ქერაქილვაშიანი ყმაწვილი კაცები, ყველანი საერთო ღრმა სიხარულს მოეცვა, ლოცულობდნენ და ბაგაში, ჩალაზე ხედავდნენ შზესავით გაბრწყინებულ ახალშობილ ღვთის სხეულს. სხვა ადამიანთა ეს რწმენა გულს ულბობდა ბუვარს მისი გონების საწინააღმდეგოდ, პეკუშეს კი მისი გულქვაობის მიუხედავად.

ჩამოვარდა სიჩუმე: ყველა წელში მოიხარა, და ზარების რეკვაზე კრავმა დაიბღავლა.

მღვდელმა, რაც კი შეეძლო, მაღლა ასწია ბარძიმ-ფეშხუმი. ახლა გაისმა მხიარული გალობა, რომელიც ყველას მოუწოდებდა ანგელოზთა მეფის ფერხთით განრთხმულიყო. ბუვარმა და პეკუშემ უნებლიეთ ააყოლეს ხმა და გრძნობდნენ, თითქოს მათს სულში ცისკრის მსგავსი რამ იღვიძებდა.

## IX

მარსელი მეორე დღეს სამ საათზე დაბრუნდა შინ; სახეგაყვითლებული, თვალებდაწითლებული, შუბლზე კოპი და შარვალი შემოხეული ჰქონდა; პირიდან არყის სუნი სდიოდა. საშინელი სანახავი იყო.

შობის წინადღე, როგორც ყოველთვის, ერთ თავის მეგობართან გაატარა თავისი სახლიდან ექვს მილზე, ოკევილის ახლოს. ენა ჩვეულებრივზე უფრო ებმებოდა, ტიროდა, მზად იყო თავისი თავი გაელახა, ბატონებს პატიებას ემუდარებოდა, თითქოს რაიმე დიდი ცოდვა ჩაედინოს. ბატონებმა აპატიეს. რაღაც განსაკუთრებული სიმშვიდე უკარნახებდა ლმობიერებას.

თოვლი უეცრად გადნა და ისინი დასეირნობდნენ თავიანთ ბაღში, სუფთა ჰაერს ისუნთქავდნენ და სიცოცხლეს შეჰხაროდნენ.

განა მარტო შემთხვევამ იხსნა ისინი სიკვდილისაგან? ბუვარი ფულაჩუყებული იყო. პეკუშემ გაიხსენა თავისი პირველი ზიარება. ისინი გამსჭვალულნი იყვნენ მადლიერების გრძნობით იმ ძალისადმი, იმ მიზეზისადმი, რომელზეც დამოკიდებულნი იყვნენ; ფიქრად მოუვიდათ შესდგომოდნენ სულის საცხონებელი წიგნების კითხვას.

სახარებამ მათ შვება მისცა, მზესავით გაუბრწყინა თვალები. ნათლად ხედავდნენ იესოს, მთაზე რომ იდგა და ხელი აღემართა ხალხის წინაშე, რომელიც სულგანაბული უსმენდა; ანდა ტბის ნაპირას, თავის მებადურ მოწაფეთა შორის; შემდეგ კვიცზე მჯდომარეს, ბზის რტოების რხევა რომ თმას უწეწავდა და ხალხი „ალილუიას" უღაღადებდა; ბოლოს, მკერდზე თავჩამოვარდნილს, ჯვარცმულს, საიდანაც მსოფლიოს მარადიული ნამი ეპკურება. ყველაზე უფრო მათ იპყრობდა და სიამეს ჰგვრიდა სინაზე მორჩილთადმი, უქონელთა დაცვა და ჩაგრულთა ამაღლება. და ამ წიგნში, სადაც ცა იხსნება, მრავალ მოძღვრებათა შორის არაფერია ღვთისმეტყველური, არც ერთი დოგმატი, არც ერთი მოთხოვნა, გარდა გულის სიწმინდისა.

რაც შეეხება სასწაულებს, მათს გონებას ისინი არ აკვირვებდა, ისინი ბავშვობიდანვე იცნობდნენ მათ. წმ. იოანეს ამაღლებულშა მეტყველებამ დაატყვევა პეკუშე და საშუალება მისცა უკეთ გაეგო „მიბაძვა იესო ქრისტესადმი".

აქ უკვე არ არის იგავები, არც ყვავილები, არც ფრინველები, არამედ ჩვენი, სულის განსპეტაკება. ბუვარი დამწუხრებული იყო, როცა ფურცლავდა ამ გვერდებს, რომლებიც თითქოს დაწერილია ნისლიან ამინდში, მონასტრის მყუდროებაში, სამრეკლოსა და ეკვდერს შუა. ჩვენი მიწიერი ცხოვრება იქ ისე სავალალო სახით არის წარმოდგენილი, რომ უნდა დაივიწყოთ იგი და მიმართოთ ღმერთს. ორივე მეგობარი, მთელი თავიანთი იმედგაცრუების შემდეგ, გრძნობდა, რომ საჭირო იყო გაუბრალოება, რისიმე შეყვარება, გონების დასვენება.

ისინი შეუდგნენ ეკლესიასტის, ისაიისა და იერემიას კითხვას.

მაგრამ ბიბლიამ ისინი შეაშინა თავისი წინასწარმეტყველებით, რომლებიც ლომივით ბრდღვინავენ, ღრუბლებში მეხის გრიალით,

გეენის მოთქმით და თავისი ღმერთით, სამეფოებს რომ ისე ანიავებს, როგორც ქარი ღრუბლებს.

ისინი ბიბლიას კითხულობდნენ ხოლმე კვირაობით, როცა ზარი მწუხრისას დარეკავდა.

ერთხელ წირვის მოსასმენად წავიდნენ, შემდეგ კიდევ წავიდნენ. ეს იყო მათი გართობა კვირის ბოლოს. გრაფი დე ფავერჟი და მისი მეუღლე შორიდან მიესალმნენ, რაც შემჩნეულ იქნა. მომრიგებელმა მოსამართლემ თვალი ჩაუკრა და უთხრა:

— ჩინებულია, მომწონს.

მრევლის ქალები ახლა სეფისკვერს უგზავნიდნენ მათ.

აბატი ჟეფრუა ეწვიათ. მათ სამაგიერო ვიზიტით უპასუხეს. შემდეგ ერთმანეთთან დადიოდნენ. მღვდელს სარწმუნოებაზე სიტყვა აღარ დაუძრავს.

მეგობრები გაკვირვებულნი იყვნენ ასეთი თავშეკავებით და პეკუშემ გულგრილად ჰკითხა, რა უნდა ვქნა, რომ მორწმუნე გავხდეო.

— ჯერ წეს-ჩვეულებანი შეასრულე.

მეგობრებმა დაიწყეს მათი შესრულება, ერთმა იმედით, მეორემ გამოწვევით, ამასთან ბუვარი დარწმუნებული იყო, რომ ღვთისმოსავი ვერასოდეს ვერ გახდებოდა. ერთი თვის განმავლობაში არც ერთი მღვდელმსახურება არ გაუშვია, მაგრამ, პეკუშეს საწინააღმდეგოდ, მარხვის დაცვა არ ისურვა.

მარხვა რა არის? ჰიგიენური ღონისძიება? მაგრამ ხომ ცნობილია, რა ფასი აქვს მას? პირობითია? ძირს პირობითობა! ეკლესიისადმი მორჩილების სიმბოლო? არც ის ენაღვლება! ერთი სიტყვით, ეს წესი უაზროდ, ფარისევლურად მიაჩნდა, რაც სახარების სულისკვეთებას ეწინააღმდეგება.

წინა წლებში დიდ ხუთშაბათს იმას ჭამდნენ, რასაც ჟერმენა მიართმევდა ხოლმე.

მაგრამ ამჯერად ბუვარმა თავისთვის ბიფშტექსი შეუკვეთა. დაჯდა და ხორცის დაჭრა დაიწყო, მარსელი აღშფოთებული უცქეროდა, პეკუშე კი ამ დროს ვირთევზას არჩევდა.

ბუვარს ცალ ხელში დანა შეაშეშდა, მეორეში კი ჩანგალი. ბოლოს გაბედა და ლუკმა პირთან მიიტანა. უეცრად ხელები აუკანკალდა, სქელი პირისახე გაუფითრდა და თავი უკან გადაუვარდა.

— ცუდად ხომ არა ხარ?

— არა! მაგრამ...

და გამოტყდა, ჩემი აღზრდის გამო (ეს მის ძალას აღემატებოდა) არ შემიძლია ამ დღეს სახსნილო ვჭამო, რადგან სიკვდილისა მეშინიაო.

პეკუშეს ეს გამარჯვება ბოროტად არ გამოუყენებია, მაგრამ ისარგებლა კი, რათა ცხოვრება თავისებურად მოეწყო.

ერთხელ საღამოს, შინ სახეგაბრწყინებული დაბრუნდა და გაშოტყდა, ეს არის მღვდელთან აღსარებაზე ვიყავიო.

აქ მათ შორის კამათი ატყდა აღსარების მნიშვნელობაზე.

ბუვარი აფასებდა პირველ ქრისტიანთა აღსარებას, რაც საჯაროდ სრულდებოდა, თანამედროვე აღსარება კი მეტისმეტად გამარტივებულიაო. თუმცა არ უარყოფდა, რომ ასეთი, თავის თავის დაკითხვა პროგრესული მოვლენაა, ზნეობის საფუარია.

პეკუშე სრულყოფას ესწრაფვოდა და საკუთარ თავში ეძებდა, რა მანკიერება მაქვსო: სიამაყე დიდი ხანია დაპკარგვოდა; შრომისადმი ჩვეული სიყვარული ათავისუფლებდა ზარმაცობის ცოდვისაგან; რაც შეეხება ღორმუცელობას, მასზე უფრო თავდაჭერილი კაცი არც მოიძებნებოდა.

ხანდახან გაბრაზება იცოდა. თავს სიტყვას მისცემდა, ამ გრძნობას აღარასოდეს არ დავემორჩილებიო.

შემდეგ საჭირო იყო შეეძინა სათნოებანი, უწინარეს ყოვლისა, მორჩილება, ესე იგი თავი ისე მიეჩნია, ვითომ არაფერი კარგი არ შეეძლო, რომ არავითარი ჯილდოს ღირსი არ იყო, დაეხშო გონიერება და თავი ისე დაემდაბლებინა, რომ ტალახიანი ფეხით ეთელათ. ჯერჯერობით კი ასეთი თვისებანი სულაც არ გააჩნდა.

არც მეორე სათნოება — სიწმინდე ჰქონდა, რადგან გულში მელიზე ნაღვლობდა, ხოლო პასტელით ნახატი ქალბატონი, ლუი მე-15-ის დროის ტანსაცმელი რომ ეცვა, თავისი გულამოჭრილი კაბით აცთუნებდა.

აიღო და კარადაში ჩაკეტა იგი, თავისი მორცხვობა იმ ზომამდე შიიყვანა, რომ საკუთარი თავის დანახვისა ეშინოდა და ქუდა საცვლებში ეძინა.

ასეთი ზრუნვით მოცულს ავხორცობა უფრო გაუხელდა. განსაკუთრებით დილაობით უხდებოდა ხოლმე დიდი ბრძოლის გადახ-

და, მსგავსად იმისა, როგორსაც წმ. პავლე, წმ. ბენედიქტე და წმ. იერონიმე განიცდიდნენ მეტად ხანდაზმულ ასაკში. ამიტომ ისინი უსასტიკეს სინანულს მიმართავდნენ. ტკივილი — ცოდვის გამოსყიდვა, წამალი და საშუალებაა, ქრისტეს თაყვანსაცემად გადახდილი ხარკია. ყოველგვარი სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს, ხოლო რომელი მსხვერპლია ხორციელ მსხვერპლზე უფრო სამძიმო?

თავისი ხორცის დასათრგუნავად პეკუშემ უარი თქვა ნასადილევს ერთ პატარა ჭიქა არაყზე, ბურნუთის მოწევა ოთხ მწიკვამდე შეამცირა დღეში, მეტად ცივ ამინდში კარტუზს აღარ იხურავდა.

ერთხელ ბუვარმა, ვენახის ასაკრავად კედელზე კიბე რომ მიიდგა, შემთხვევით შეიხედა პეკუშეს ოთახში.

მუცლამდე გაშიშვლებული მეგობარი წყნარად იცემდა მხრებზე ტანისამოსის საბერტყ ჯოხს, მერე უფრო აღგზნებულმა, ნიფხავი ჩაიხადა, დუნდულებზე ჯოხი წაიშინა და აქოშინებული სკამზე დაეცა.

ბუვარი ისე შეცბა, თითქოს აკრძალული საიდუმლოება გაამჟღავნაო.

უკანასკნელ დროს მან შეამჩნია, რომ იატაკი უფრო გაკრიალდა. ხელსახოცებში ნახვრეტები შემცირდა, საჭმელი გაუმჯობესდა. ეს ცვლილება გამოწვეული იყო იმ მონაწილეობით, რასაც მეოჯახეობაში მღვდლის მსახური რეგინა იღებდა.

ეს ჩალვადარივით ღონიერი ქალი, ეკლესიისათვის ისევე ზრუნავდა, როგორც თავისი სამზარეულოსათვის. თანამგრძნობი, თუმცა კი უხეში ქალი მეზობლების საშინაო საქმეებში ერეოდა, რჩევას იძლეოდა და დიასახლისობდა. პეკუშე ენდობოდა მის გამოცდილებას.

ერთხელ მან პეკუშესთან მიიყვანა ბუთხუზა კაცი, თვალები რომ ჩინელს უგავდა, ცხვირი კი ქორის ნისკარტს. ეს იყო ბ-ნი გუტმანი, საეკლესიო ნივთებით მოვაჭრე. მან რამდენიმე ნიმუში ამოიღო კოლოფებიდან და უჩვენა: ჯვრები, პატარა ხატები, ყოველგვარი ზომის კრიალოსნები, სამლოცველოს შანდლები, სათანადო ტრაპეზები, ქაღალდის თაიგულები, ლურჯი მუყაოსაგან ნაკეთები იესოს გულები, წითელწვერა წმ. იოსების ფიგურები, ფაიფურის

გორაკები და ზედ ჯვარცმა. პეკუშემ თვალები დააცეცა, მხოლოდ ფასი აკავებდა.

გუტმანი ფულს არ ითხოვდა. იგი გაცვლას ამჯობინებდა, და, როცა მუზეუმის ოთახში მიიწვიეს, რკინის ძველ ნაკეთობებსა და ტყვიის მთელ ნივთებში თავისი საქონელი ბითუმად შესთავაზა.

ბუვარს მისი ნივთები არ მოეწონა. მაგრამ პეკუშეს მუდარით სავსე გამოხედვამ, რეგინას ხვეწნამ და ვაჭრის მოთაფლულმა ენამ, ბოლოს და ბოლოს, იგი დაიყოლია. გუტმანმა, რომ მისი დამთმობლობა დაინახა, მახვილიც მოითხოვა. ბუვარმა, ვისაც მობეზრდა მახვილით ვარჯიში, ისიც დაუთმო. როცა ყველაფერი შეაფასეს და იანგარიშეს, გამოირკვა, რომ ბატონ მემამულეებს კიდევ ფულად უნდა გადაეხადათ ასი ფრანკი. ოთხი ვექსილი სამი თვის ვადით მისცეს და საქმეც მოაგვარეს. მეგობრებს უხაროდათ ეს სარფიანი ვაჭრობა.

შეძენილი ნივთები ყველა ოთახში ჩამოარიგეს. თივიანმა ბაგამ და კორპის ქერქისაგან გაკეთებულმა ტაძარმა მუზეუმი დაამშვენეს.

პეკუშეს ოთახში ბუხარზე იდგა ფიქის წმ. იოანე ნათლისმცემელი; დერეფნის კედლებზე ეკიდა ეპისკოპოსთა გვირგვინები; ხოლო კიბის ქვემო მოედანზე, ლამპრის ქვეშ, დადგეს ღვთისმშობლის ქანდაკება, რომელსაც ცისფერი მანტია ესხა და თავს ვარსკვლავების გვირგვინი უმშვენებდა. მარსელს, რომელიც ამ საოცრებას მტვერს აშორებდა, ეგონა, ამის უკეთესი სამოთხეშიც არაფერი იქნებაო.

რა საწყენია, რომ წმ. პეტრეს ქანდაკება დაიმტვრა, მერე როგორ დამშვენდებოდა დერეფანში დგომა? პეკუშე ხანდახან გაჩერდებოდა ხოლმე კომპოსტების ორმოსთან, სადაც მოჩანდა ტიარა, ერთი სანდალი, ცხვირის წვერო, ამოიოხრებდა და მერე დაიწყებდა ბაღში მუშაობას. ახლა იგი ხელით შრომას ახამებდა რელიგიურ ვარჯიშთან. ბერივით ჩაცმული ბარავდა მიწას და თავს ადარებდა წმ. ბრუნოს. მაგრამ ასეთი გადაცმა მკრეხელობა არ არის? ეს ჩვეულება მოიშალა.

მაგრამ მღვდლის ზნე დასჩემდა, უეკველია, აბატთან ხშირად ყოფნის გამო. შეითვისა მისი ღიმილი, ხმა და ხელებს სახელოებში

მალავდა. დადგა დრო, როცა მამლის ყივილს ვეღარ იტანდა, ვარდები შესძაგდა. შინიდან აღარ გადიოდა და, თუ თავს გაჰყოფდა, გაჯავრებული უცქეროდა მინდვრებს.

ბუვარი დათანხმდა წასულიყო ღვთისმშობლის მაისის დღესასწაულზე. ბავშვებმა, ჰიმნებს რომ გალობდნენ, ზამბახის თაიგულებმა და მწვანე ფოთლების გვირგვინებმა თითქოს უხრწნელი ახალგაზრდობის გრძნობა შთაბერეს. ღმერთი მის სულს ევლინებოდა ჩიტების ბუდის, ანკარა ნაკადულებისა და კეთილმყოფელი მზის შუქის სახით, და თავისი მეგობრის ღვთისმოსავობა ახირებად, მოსაწყენად ეჩვენებოდა.

— სადილობისას რატომ კვნესი?

— ოხვრით უნდა ვეჰამდეთ,—მიუგო პეკუშემ,—რადგან ამ გზით ადამიანმა თავისი უცოდველობა დაკარგა, — ეს ფრაზა მან ამოიკითხა ორტომიანი „სემინარიელის სახელმძღვანელოში“, რომელიც ზ-ნ ქეფრუასაგან წასაკითხად ინათხოვრა, სვამდა სალეტის წყალს, კარჩაკეტილში გულმოდგინედ ლოცულობდა და იმედი ჰქონდა წმ. ფრანცისკოს ძმობაში შესულიყო.

სიმტკიცის უნარი რომ მოეპოვებინა, გადაწყვიტა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მოსალოცად ფეხით წასულიყო.

ადგილის არჩევამ შეაყოვნა. რომელ ღვთისმშობელთან წასულიყო — ფურვიერის, შარტრის, ამბრენის, მარსელის თუ ორუს? დელივრანდის ქალწული ყველაზე ახლოს იყო და ამ მიზნისათვის გამოდგებოდა.

— შენ გამომყვები!

— სულელური სანახავი ვიქნები, — უპასუხა ბუვარმა.

იმედი მაინც იყო, რომ იქიდან მორწმუნე დაბრუნდებოდა. თვითონ ეს არ აშინებდა და ამიტომ მეგობარს დაუთმო.

წმიდა ადგილის მოსახილველად გზას ფეხით უნდა გადგომოდნენ, მაგრამ ორმოცდასამი კილომეტრის გავლა ძლიერ ძნელია, და რადგან დილიჟანსით მოგზაურობისას ბუნებით ვერ დატკბები, მათ ძველი კაბრიოლეტი დაიქირავეს, რომელმაც თორმეტი საათის შემდეგ ერთ ფუნდუკში მიიყვანა.

მათ მისცეს ერთი ოთახი, ორი საწოლი, ორი კამოდი, რომლებზეც ორ ოვალურ ჯამში წყლიანი დოქები იდგა. პატრონმა მათ უთხრა, ეს ოთახი ტერორის ხანაში „კაპუცინების ოთახი“ იყოო.

იქ დელივრანდის ღვთისმშობელს ისე შენიღბულად მალავდნენ, რომ ბერები საიდუმლოდ წირვა-ლოცვასაც კი ახერხებდნენო.

ამან სიამე მოჰგვარა პეკუშეს და ხმამაღლა წაიკითხა სტატია სამლოცველოზე, ქვევით, სამზარეულოში რომ იპოვა.

სამლოცველო მე-11-ე საუკუნის დამდეგს აუგია წმ. რენიობერს, ლიზიეს პირველ ეპისკოპოსს ან წმ. რანიებერს, მე-7-ე საუკუნეში რომ ცხოვრობდა, ან რობერ დიდებულს მე-11-ე საუკუნის შუა წლებში.

დანიელებს, ნორმანებს და განსაკუთრებით პროტესტანტებს, სხვადასხვა ეპოქაში ბევრჯერ დაუნგრევიათ და გადაუწვავთ.

დაახლოებით 1112 წელს პირველადი ქანდაკება აღმოუჩენია ცხვარს, როდესაც მინდორში ფეხი დაუკრავს იმ ადგილისათვის, სადაც ქანდაკება ყოფილა დამალული, და იქ გრაფ ბოდუენს ტაძარი აუგია.

აუარებელი სასწაული მოუხდენია. ბაიიელი ვაჭარი, სარკინოზებს რომ ტყვედ წაუყვანიათ, ევედრება, მიხსენიო: ბორკილი იმსხვრევა და ვაჭარი გარბის. ვინმე კრიჟანგი, თავის სხვენზე რომ უთვალავ ვირთაგვას დაინახავს, წმ. ქალწულს შესთხოვს შველას და ვირთაგვებიც ქრებიან. ქალწულის ხატის მიკარებამ ერთი ძველი მატერიალისტი ვერსალში სიკვდილის წინ აიძულა მოენანიებინა თავისი შეცდომები. ხოლო ვინმე ადელინს, ღვთის გმობისათვის რომ დამუნჯებულიყო, მეტყველების უნარი დაუბრუნა. იგი მფარველობდა ცოლ-ქმარ ბეკეკვილს უბიწოდ ეცხოვრათ ქორწინებაში.

იმ პირთა შორის, ვინც მან უკურნებელი სენისაგან განკურნა, იხსენიებენ ქალწულ დე პალფრენს, ანა ლირიეს, მარიამ დიუშემენს, ფრანსუა დიუფეს და ქ-ნ დ'ოსევილის ასულ დე ჟიუმილიაკს.

მასთან სალოცავად მიდიოდნენ თვალსაჩინო პიროვნებანი: ლუი XI, ლუი XIII, გასტონ ორლეანელის ორი ქალიშვილი, კარდინალი ეიზემანი, სამირი, ანტიოქიის პატრიარქი, მონსინიორ ვეროლი, მანჯურიის მოციქულებრივი ქორ-ეპისკოპოსი. მადლობის გადასახდელად იმის გამო, რომ თავადი ტალეირანი მან სწორ გზაზე დააყენა, კელნის მთავარეპისკოპოსიც კი მოსულა.

— შენც მოგარჯულებს, — უთხრა პეკუშემ.

ბუვარმა, რომელიც უკვე ლოგინში იწვა, რაღაც წაიბურდღუნა და დაიძინა.

მეორე დღეს დილის ექვს საათზე ისინი სამლოცველოში შევიდნენ.

იქ გაცხარებული მუშაობა იყო ქანდაკის გადასაკეთებლად: ნეფში დახორავებული იყო ფიცრები და ტილოები, და მთელი მისი როკოკოს სტილი ბუვარს არ მოეწონა, განსაკუთრებით წითელი მარმარილოს საკურთხეველი და მისი კორინთული სვეტები.

სასწაულმოქმედ ქანდაკებას ნიშში, ქორვდის მარცხნივ, კილიტებიანი კაბა ეცვა. გამოვიდა ეკლესიის დარაჯი და მათ თითო სანთელი მისცა. მერე ეს სანთლები დიდ სასანთლეში ჩაარჭო, სამი ფრანკი ითხოვა, თავი დაუკრა და წავიდა.

მერე შემოწირულებანი დაათვალიერეს.

წარწერები დაფებზე მოწმობენ მორწმუნეთა მადლიერებას. ღირსშესანიშნაობას წარმოადგენენ: ორი დაჯვარედინებული დაშნა, პოლიტექნიკური სკოლის ყოფილ სტუდენტს რომ შეუწირავს, ახალდაქორწინებულთა თაიგულები, სამხედრო მედლები, ვერცხლის გულები და კუთხეში, იატაკზე ყავარჯნების მთელი საწყობი.

სამოსსაცავიდან მღვდელი გამოვიდა და ზეაღმართული ბარძიმ-ფეშხუმი გამოიტანა.

ერთხანს საკურთხევლის კიბესთან გაჩერდა, მერე სამი საფეხური აიარა და წარმოთქვა: Oremus, introitus, Kyrie [1], რაც კლიროსის ერთ-ერთმა დაჩოქილმა ბავშვმა სულმოუთქმელად განიმეორა.

მლოცველი ცოტა იყო, თორმეტი თუ თხუთმეტი დედაბერი. ისმოდა, როგორ მარცვლავდნენ კრიალოსნებს, ისმოდა აგრეთვე ჩაქუჩის ცემა ქვაზე. პეკუშე დახრილიყო თავის სამლოცველო მაგიდაზე და იმეორებდა მღვდლის მიერ ნათქვამ ამინს. მსხვერპლის შეწირვის დროს ღვთისმშობელს ეეედრებოდა, უშრობი და ურყევი სარწმუნოება მომანიჭეო.

ბუვარმა, სავარძელში რომ იჯდა მის გვერდით, ლოცვანი გამოართვა და ღვთისმშობლის ლიტანიაზე შეჩერდა.

„ყოვლადწმიდა, მარადქალწული, თვინიერი, ყოვლადძლიერი, ყოვლადმოწყალე, სპილოს ძვლის კოშკი, ოქროს სავანე, ცისკარი“.

---

[1] ვეეედრნეთ უფალსა. (ლათ.).

თაყვანისცემის ამ სიტყვებმა, ამ ჰიპერბოლამ ბუვარის ფიქრები აიყვანეს იმასთან, ვისაც ესოდენ აქებდნენ და ადიდებდნენ.

ბუვარს იგი წარმოედგინა ისეთი, როგორც საეკლესიო ფრესკებზე ხატავდნენ, ღრუბლებში რომ დგას, ქერუბიმები მის ფერხთქვეშ გართხმულან, ატატებული ჰყავს ყრმა ღმერთი; წარმოედგინა როგორც მანუგეშებელი დედა, რომელიც ესაჭიროება ყველა მწუხარეს ამქვეყნად; ქალის იდეალად, ზეცას რომ ამაღლდა, რადგან მისი წიაღიდან გამოსული კაცი ადიდებს მის სიყვარულს და მხოლოდ იმაზე ოცნებობს, მის მკერდზე მიესვენოს.

მღვდელმსახურების შემდეგ მეგობრებმა მოედანზე კედლის გასწვრივ გამწკრივებულ დუქნებს ჩაუარეს. იქ იყიდებოდა ხატები, სასხურებლები, მოვარაყებული ლარნაკები, ქრისტეს ფიგურები ქოქოსის ნაჭუჭებში, სპილოს ძვლის კრიალოსნები. მზე აბრჭყვიალებდა ჩარჩოების მინებს, თვალს ჭრიდა და აზვიადებდა ფერწერის უხეშობას, ნახატების სიმდიდრეს. ბუვარი ასეთ ნივთებს შინ. თავის სახლში ზიზღით უცქეროდა, აქ უფრო ლმობიერება გამოიჩინა. იყიდა ლურჯი მილისაგან გაკეთებული ღვთისმშობლის პატარა ქანდაკება. პეკუშე კი კრიალოსნით დაკმაყოფილდა.

ვაჭრები გაიძახოდნენ.

— მობრძანდით! მობრძანდით! ხუთ ფრანკად, სამ ფრანკად, სამოც სანტიმად, ორ სუდ, უარს ნუ იტყვით ღვთისმშობელზე!

ორივე მლოცველი დაეხეტებოდა, არაფერს არ ყიდულობდა. გაისმა შეურაცხმყოფელი შენიშვნები:

— ეს რა ჩიტები მოფრენილან?

— ეგენი მგონი თურქები არიან!

— უფრო კი პროტესტანტები!

ვიღაც მაღალმა გოგომ კალთაში სტაცა ხელი პეკუშეს, სათვალიანმა მოხუცმა მხარზე ხელი დაადო. ყველა ერთბაშად ღრიალებდა. მერე თავიანთი ფარდულები მიატოვეს და მაო შემოეხვივნენ, აეტორღიალნენ და აგინებდნენ.

ბუვარმა ვეღარ მოითმინა:.

— მოშორდით აქედან, ჯანდაბას თქვენი თავი!

ბრბო გაიფანტა.

მაგრამ ერთი სქელი დედაკაცი მოედანზე უკან მოსდევდა და გაიძახოდა, ინანებთო.

სასტუმროში რომ დაბრუნდნენ, კაფეში გუტმანი დახვდათ. იგი თავის საქმეებზე ხშირად იყო ამ მხარეში და ახლაც ვიღაცას ელაპარაკებოდა იქვე მაგიდაზე გაშლილ რაღაც ანგარიშებზე.

იმ კაცს ტყავის კასკეტი ეხურა და მეტად განიერი შარვალი ეცვა; სახე გასწითლებოდა, ისე კი ტანადი იყო, ჭაღარა თმის მიუხედავად; გარეგნულად გადამდგარ ოფიცერს თუ მოხუც მსახიობს მოგაგონებდათ.

დროდადრო გინება წამოსცდებოდა, მერე კი, როცა გუტმანი ხმადაბლა რამეს იტყოდა, ერთბაშად მოლბებოდა და სხვა ანგარიშს გადახედავდა.

ბუვარი ერთხანს აკვირდებოდა და მერე მიუახლოვდა.

— მგონი, ბარბერუ უნდა იყოთ?

— ბუვარ! — წამოიძახა კასკეტიანმა კაცმა.

და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ბარბერუმ ამ უკანასკნელ ოც წელიწადში ბევრი რამ გამოიარა: იყო გაზეთის რედაქტორი, დამზღვევი საზოგადოების აგენტი, ხამანწკის სანაშენოს გამგე. ბოლოს, თავის პირვანდელ პროფესიას დაუბრუნდა და ახლა ბორდოს ერთ-ერთი ფირმის საქმეებზეც დადიოდა. გუტმანი მის ღვინოებს ასაღებდა სასულიერო პირებთან.

— ბოდიში, ერთი წუთის შემდეგ თქვენს განკარგულებაში ვიქნები.

კვლავ ანგარიშებს მიუბრუნდა და უეცრად წამოხტა სკამიდან:

— როგორ, ორი ათასი?

— რა თქმა უნდა!

— აბა, ეს ეშმაკმა იცის, რა არის!

— ამით რისი თქმა გნებავთ?

— მინდა გითხრათ, რომ თვითონ ვნახე გერამბერი, — უპასუხა გაცოფებულმა ბარბერუმ. — ფაქტურაში ოთხი ათასი ეწერა! ხუმრობას თავი გაანებეთ!

ვაჭარი სულაც არ შეცბუნებულა.

— კარგით, ეგ თქვენთვის დოკუმენტია! შემდეგ?

ბარბერუ წამოდგა და, მისი ჯერ გაფითრებული, შემდეგ კი გალურჯებული სახის მიხედვით, ბუვარმა და პეკუშემ დაასკვნეს, ახლა გუტმანს დაახრჩობსო.

ისევ დაჯდა, ხელები დაიკრიფა.

— დიდი გაიძვერა ვინმე ბრძანდებით, დამეთანხმეთ!
— ბ-ნო ბარბერუ, ნუ იგინებით, აქ სხვებიც არიან. ფრთხილად!
— მე თქვენ სამართალში მიგცემთ!
— პა, პა, პაა!
გუტმანმა შემდეგ პორტფელი დახურა, ქუდი ოდნავ აიწია.
— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!
და გავიდა.
ბარბერუმ მეგობრებს აუხსნა საქმის ვითარება. ათასი ფრანკის ვექსილში, რომლის თანხაც მევაჯშის ხრიკების მეოხებით ერთიორად გადიდებულია, გუტმანისათვის სამი ათასი ფრანკის ღვინო მიუცია, რაც დიდი მოგებით აუნაზღაურებდა ვექსილს, მაგრამ, პირიქით, აქეთ დასდებია სამი ათასი ფრანკი. პატრონები მას უთუოდ დაითხოვენ, სასამართლოსაც ვერ ასცდება.
— საზიზღარი! ყაჩაღი! საძაგელი ურია! და სასულიერო პირების სახლებშიც კი სადილობს! თუმცა, ყველაფერი, რაც ამ სამყაროს ეხება...
და მოჰყვა სამღვდელოების განადგურებას, ისეთი ძალით ურტყამდა მაგიდას მუშტს, რომ კინაღამ გადავარდა ბუვარის პატარა ღვთისმშობელი.
— ფრთხილად! — უთხრა ბუვარმა.
— დახე! ეგ რა არის?
და ბარბერუმ პატარა ღვთისმშობელი გახსნა.
— თქვენია?
ბუვარმა პასუხის ნაცვლად ორჭოფულად გაიღიმა.
— ჩემია! — მიუგო პეკუშემ.
— ძალიან მწყინს, — განაგრძო ბარბერუმ, — მაგრამ ამის თაობაზე მე თქვენ გაგანათლებთ, ნუ გეშინიათ!
და რადგან ფილოსოფოსი უნდა იყო, წყენით კი საქმეს ვერ უშველი, შესთავაზა, ერთად ვისაუზმოთო.
სამივენი სუფრას შემოუსხდნენ.
ბარბერუ თავაზიანი იყო, გაიხსენა ძველი დროება, მსახურ გოგოს წელზე ხელი შემოხვია, ბუვარის მუცლის გაზომვა მოინდომა. დაჰპირდა, მალე გეწვევით და თან საინტერესო წიგნს მოვიტანო.
ამ წვევის ამბავი დიდად არ ახარებდა მეგობრებს. ამაზე მთელ საათს ლაპარაკობდნენ ეკიპაჟში. შემდეგ პეკუშემ თვალები მოხუჭა.

ბუვარიც გაჩუმდა. გულში რელიგიისაკენ იხრებოდა.

წინადღით ბ-ნი მარესკო სწვეოდათ. მარსელმა მეტი არაფერი იცოდა.

მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოახერხა ნოტარიუსმა მათი მიღება და მაშინვე აუხსნა საქმის ვითარება. ქ-ნ ბორდენს სურდა ეყიდა ბუვარის ფერმა და შვიდნახევარ ათას ფრანკ რენტას იძლეოდა.

ამ ქალს ახალგაზრდობიდანვე ეჭირა თვალი ამ მამულზე, იცოდა ყველა მისი ღირსება და ნაკლი და ეს სურვილი კიბოსავით ღრღნიდა. ეს კეთილი ქალი, ნამდვილი ნორმანდიელი, ყველაზე მეტად აფასებდა მამულს, არა იმდენად, როგორც კაპიტალის საიმედო დაბანდებას, რამდენადაც იმ სიამოვნებას, რასაც საკუთარ მიწაზე სიარული მიანიჭებდა. ამ მიწის მიღების იმედით აგროვებდა ცნობებს, ფულს და მოუთმენლად ელოდებოდა პასუხს ბუვარისაგან.

ის კი ყოყმანობდა, რაკი არ სურდა პეკუშე როდესმე უსახსროდ დარჩენილიყო, თანაც არ სურდა ხელიდან გაეშვა შემთხვევა, რაც მათი მომლოცველობის შედეგი იყო: განგებამ მეორეჯერ გამოიჩინა მოწყალება მათ მიმართ.

მეგობრებმა შემდეგი პირობები წაუყენეს: რენტა არა შვიდნახევარი ათასი ფრანკისა, არამედ ექვსი ათასი ფრანკისა უნდა რგებოდა ცოცხლად დარჩენილს. მარესკომ ქ-ნ ბორდენს აუხსნა, რომ ერთი მათგანი სუსტი ჯანმრთელობისაა, მეორეს კი თავისი აგებულებით დამბლის მიდრეკილება აქვს, და მისწრაფებით გატაცებულმა ქალმა პირობებს ხელი მოაწერა.

ბუვარი დაღონდა. იყო ისეთი პიროვნება, ვისაც მისი სიკვდილი სურდა, და ამ მოსაზრებამ სერიოზული ფიქრები, ღვთისა და მარადისობის იდეები აღუძრა.

სამი დღის შემდეგ ბ-ნმა ჟეფრუამ ისინი საზეიმო სადილზე დაპატიჟა, რასაც წელიწადში ერთხელ უმართავდა თავის მოძმეებს.

სადილი დაახლოებით ნაშუადღევის ორ საათზე დაიწყო და საღამოს თერთმეტ საათზე დამთავრდა.

სვამდნენ მსხლის ნაყენს, ხუმრობდნენ. აბატმა პრიუნომ იქვე აკროსტიხი შეთხზა, ბ-ნმა ბუგონმა სათამაშო ქაღალდის ფოკუსები აჩვენა, ხოლო ახალგაზრდა ვიკარმა სერპემ თითქმის სასიყვარულო რომანსი იმღერა. ასეთმა საზოგადოებამ ბუვარი გაართო. მეორე დღეს უკვე ისე უგუნებოდ არ იყო.

მასთან ხშირად დადიოდა მღვდელი. იგი სარწმუნოებას სასიამოვნო ფერებით ხატავდა. ბუვარიც რას ჰკარგავდა! და მალე დათანხმდა ზიარებულიყო. პეკუშეც მასთან ერთად უნდა ზიარებოდა ამ საიდუმლოებას.

დადგა საზეიმო დღე.

ეკლესია პირველი ზიარების გამო ხალხით იყო გაჭედილი. ბურჟუები და მათი ცოლები სკამებზე ისხდნენ, უბრალო ხალხი კი უკან და ქორედზე იდგა.

„ის, რაც ახლა უნდა მოხდეს, გაუგებარია, — ფიქრობდა ბუვარი, — მაგრამ გონება ყველაფერს როდი სწვდება. იყვნენ ბუმბერაზი ადამიანები, რომელთაც სწამდათ ეს. რატომ მათსავით არ უნდა მოვიქცე?“ და რაღაც გაოგნებული უცქეროდა საკურთხეველს, საცეცხლურს, შანდლებს, შიმშილით თავი უბრუოდა და უცნაურ სისუსტეს გრძნობდა.

პეკუშე, ქრისტეს ვნებებზე რომ ფიქრობდა, გულს სიყვარულისათვის აღაგზნებდა. სურდა ქრისტესთვის შეეწირა თავისი სული, სხვების სული, აღტაცება, მისწრაფება, წმიდანთა ელვარება, ყოველივე ცოცხალი: მთელი მსოფლიო. თუმცა გულმხურვალედ ლოცულობდა, მაგრამ მღვდელმსახურების ზოგიერთი ნაწილი მაინც ხანგრძლივი ეჩვენებოდა.

ბოლოს პატარა ბიჭებმა მუხლი მოიყარეს საკურთხეველის პირველ საფეხურზე, თავიანთი ტანსაცმლით შექმნეს შავი ლენტი, რომელზეც უთანასწორო ლაქებად მოჩანდა მათი ქერა და მუქი ფერის თმა. ისინი შეცვალეს გვირგვინებით მორთულმა პირბადიანმა გოგონებმა, შორიდან თეთრადგაპენტილ ღრუბლებს რომ ჰგავდნენ.

შემდეგ მოზრდილთა რიგი დადგა.

რიგში პირველი იყო პეკუშე, მაგრამ ალბათ მეტისმეტი მღელვარებისაგან თავს მარჯვნივ და მარცხნივ ატრიალებდა. მღვდელმა ძლივს ჩაატანა პირში ზიარება და მანაც თკალები გადაატრიალა.

ბუვარმა, პირიქით, პირი ისე დააღო, რომ ენა ალმასივით გადმოეკიდა. ასვლისას იდაყვი ქალბატონ ბორდენს მიარტყა. ერთმანეთს გადახედეს. ქალმა გაუღიმა. ბუვარი წამოწითლდა, თვითონაც არ იცოდა, რატომ.

ქ-ნ ბორდენის შემდეგ ეზიარნენ გრაფ დე ფაველრეის მეუღლე,

ქალიშვილი, მათი მახლობელი ქალი და ერთი ბატონი, რომელსაც შავინიოლში არ იცნობდნენ.

უეცრად გამოჩნდა გორჟიუ. წვერი ესპანურად აღარ ჰქონდა შეკრეჭილი, თავის ადგილას დადგა, და ხელები გულზე დაიკრიბა. მღვდელმა პატარა ბიჭებს სიტყვა უთხრა. ერიდეთ, რათა მომავალში არ მოიქცეთ, როგორც იუდა, ვინც თავისი ღმერთი გაყიდა, და მუდამ უცოდველი იყოს შესამოსელი თქვენი. პეკუშეს თავისი თავი გაახსენდა და ამოიოხრა. მაგრამ სკამები შეირხა, დედები თავიანთ შვილებს მისცივდნენ საკოცნელად.

ეკლესიიდან გასვლისას მრევლი ერთმანეთს ულოცავდა. ზოგი კიდევაც ტიროდა. ქ-ნი დე ფავერჟი ეტლის მოლოდინში ბუვარსა და პეკუშეს მიუბრუნდა და თავისი მომავალი სიძე გააცნო:

— ბარონი დე მაჰიურო, ინჟინერი!

გრაფმა სინანული გამოთქვა, დიდი ხანია არ მინახიხართო. მომავალ კვირას აპირებდა დაბრუნებას.

— დაიხსომეთ, გეთაყვა!

ეტლი მოართვეს, ციხე-დარბაზის მანდილოსნები წავიდნენ და ხალხიც დაიშალა.

მეგობრებმა ეზოში, ბალახში პაკეტები იპოვეს. ფოსტალიონს იგი ღობეზე გადმოეგდო, რაკი სახლი დაკეტილი დახვდა. ეს იყო წიგნი, რომელსაც ბარბერუ დაჰპირდა: ლუი ერვიეს, ნორმალური სკოლის ყოფილი მოწაფის წიგნი „ქრისტიანობის გამოკვლევა". პეკუშემ განზე გადადო. ბუვარს სულაც არ სურდა მისი ხსენება.

მისთვის არაერთხელ უთქვამთ, ზიარება სრულიად გარდაგქმნისო, ამიტომ რამდენიმე დღის განმავლობაში ელოდნენ სიახლეს თავის შეგნებაში. მაგრამ იგი მთლად ისეთივე იყო, როგორც წინათ, და ავადმყოფურმა გაკვირვებამ მოიცვა.

„როგორ! სხეული ღვთისა უერთდება ჩვენს ხორცს და მასზე არავითარ გავლენას არ ახდენს? აზრი, სამყაროებს რომ მართავს, ჩვენს გონებას არ აშუქებს? უზენაესი ძალა უძლურებას გვიქადის?"

ბ-ნმა ჟეფრუამ რწმენის განსამტკიცებლად აბატ გომის „კატეხიზმო" გამოუწერა.

პეკუშეს ღვთისმოსაობა კი, პირიქით, ძლიერდებოდა. მას უნდოდა ორივე სახეობის ზიარება, დერეფანში სეირნობდა და ფსალმუ-

ნებს გალობდა, შავინიოლელებს გზაში აჩერებდა, ეკამათებოდა და ჭეშმარიტ გზაზე აყენებდა. ვოკორბეიმ მოურიდებლად დასცინა, ჟირბალმა მხრები აიჩეჩა, კაპიტანმა კი ტარტიუფი უწოდა.

ხალხი ახლა ამბობდა, ძალიან შესტოპესო.

მშვენიერი ჩვევაა, ყველაფერში სიმბოლოს ხედავდე. თუ გრგვინვაა, წარმოიდგინეთ მეორედ მოსვლა; როცა მოწმენდილ ცას უცქერით, დაე ნეტართა სავანე გაგახსენდეთ, სეირნობის დროს თქვენს თავს უთხარით, ყოველი ნაბიჯი სამარეს მაახლოებს-თქო. პეკუშემ ეს მეთოდი ირჩია. როცა ტანისამოსს იცვამდა ხოლმე, ფიქრობდა ხორციელ გარსზე, სამების მეორე პიროვნებამ რომ მიიღო; საათის წიკწიკი აგონებდა მისი გულის ცემას, ქინძისთავის ჩხვლეტა — ჯვარცმის ლურსმნებს, მაგრამ თუმცა საათობით დაჩოქილი იყო ხოლმე, წესიერად მარხულობდა, გონებას ძაბავდა, ხორცი მაინც ვერ დასძლია. შეუძლებელი გახდა სრულყოფილი ჭვრეტის მიღწევა.

მან მიმართა მისტიკოს მწერლებს: წმ. ტერეზას, ჟან დე ლა კრუას, ლუი გრენადელს, სიმპოლის, თანამედროვეთაგან კი — მისიონერ შალიოს. ნაცვლად ამაღლებული იდეებისა, რასაც ელოდა, ნახა მხოლოდ უხამსობა, მეტად უბადრუკი ენა, უსიცოცხლო სახეები და სასაფლაოს ძეგლების დუქანში ნასესხები ბევრი შედარება.

სხვათა შორის, შეიტყო, რომ არის აქტიური გაწმენდა და პასიური გაწმენდა, ხედვა შინაგანი და ხედვა გარეგანი, ლოცვის ოთხი სახეობა, სიყვარულში ცხრა უპირატესობა, ხოლო მორჩილებაში ოთხი საფეხური, და რომ სულის შეურაცხყოფა თითქმის უტოლდება სულიერ ქურდობას.

ზოგიერთი პუნქტი აწუხებდა:

— თუ ხორცი წყეულია, რატომ არ ვუმადლოდეთ ღმერთს სიცოცხლის მონიშვებისათვის? რა ზომა უნდა დავიცვათ შიშში, რაც საჭიროა ხსნისათვის, და სასოებაში, რაც მისთვის არანაკლებ საჭიროა? როგორ შევიცნოთ მადლი? და სხვ.

ბ-ნი ჟეფრუა მარტივ პასუხს იძლეოდა.

— თავს ნუ იტანჯავთ! ყოველი საკითხის გაღრმავების ცდაში ადამიანი საშიშ გზაზე დგება.

გომას „სიმტკიცის კატეხიზისმა“ ისე გაუწვრილა გული ბუ-

ვარს, რომ ლუი ერვიეს წიგნს მოჰკიდა ხელი. ეს იყო უახლესი ეგზეგეტიკის მოკლე კურსი, რომელიც მთავრობამ აკრძალა. ბარბერუმ, როგორც რესპუბლიკელმა, იგი იყიდა.

ამ წიგნმა ბუვარი დააეჭვა, უწინარეს ყოვლისა, პირველი ცოდვის მიმართ.

თუ ღმერთმა ადამიანი ცოდვილი გააჩინა, მაშინ არ უნდა დაესაჯა იგი, ხოლო ბოროტება არსებობდა შეცოდებამდე, რადგან უკვე მაშინ არსებობდნენ ვულკანები, ნადირები. ერთი სიტყვით, ეს მოძღვრება სამართლიანობის ჩემს გაგებას არყევს.

— მაშ, რა გნებავთ? — ეუბნებოდა მღვდელი, — ეს არის ერთ-ერთი იმ ჭეშმარიტებათაგანი, რომელსაც ყველა ეთანხმება, თუმცა მათი დამტკიცება არ შეიძლება; ჩვენ თვითონ, მამების ცოდვებისათვის, შვილებზე ვიყრით ხოლმე ჯავრს. ამრიგად ზნეჩვეულებანი და კანონები ადასტურებენ განგების ამ ნებას, რაც ბუნებაშიც იჩენს ხოლმე თავს.

ბუვარმა თავი გააქნია. მას ჯოჯოხეთის არსებობაც ეეჭვებოდა:

— რადგან ყოველი სასჯელი მიზნად უნდა ისახავდეს დამნაშავის გამოსწორებას, რაც მარადიული ტანჯვისას შეუძლებელია. და რამდენი ადამიანია განწირული ამ ტანჯვისათვის! აბა, ერთი წარმოიდგინეთ, ყველა ძველი ხალხი, ებრაელები, მუსულმანები, წარმართები, ერეტიკოსები და მოუნათლავად გარდაცვლილი ბავშვები, ღვთის მიერ შექმნილი ბავშვები. მერე და რა მიზნით? რათა დაისაჯონ ცოდვისათვის, რაც მათ არ ჩაუდენიათ!

— ასეთია ნეტარი ავგუსტინეს აზრი, — შენიშნა მღვდელმა, — ხოლო წმ. ფულგენცი სასჯელს ჩანასახზეც კი ავრცელებს. მართალია, ეკლესიას არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანია ამ საკითხზე. თუმცა უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ღმერთი კი არ სჯის ცოდვილს, არამედ ცოდვილი თავის თავს, და რადგან შეურაცხყოფა უსასრულოა, ვინაიდან უსასრულოა ღმერთი, ამიტომ სასჯელიც უსასრულო უნდა იქნეს. ეს არის ყველაფერი, რისი ცოდნაც გსურდათ, ბატონო ჩემო?

— ამიხსენით ერთი და სამპიროვნება, — სთხოვა ბუვარმა.

— სიამოვნებით. ავიღოთ შედარება: სამკუთხედის სამი მხარე ანდა ჩვენი სული, რომელიც შეიცავს ყოფიერებას, შეგნებას, ნებას.

ის, რასაც ადამიანის უნარი ეწოდება, ღვთის სახეა. აი რა არის საიდუმლოება.

— მაგრამ სამკუთხედის სამი მხარე, ცალ-ცალკე, სამკუთხედს არ შეადგენს; სულის ეს სამი უნარი სამ სულს არ შეადგენს. და სამების თქვენი სამი სახე სამი ღმერთია.

— ეგ მკრეხელობაა!

— მაშასადამე, არის მხოლოდ ერთი სახე, სამმხრივ განმარტებული ერთი ღმერთი.

— ნუ გავერკვევით, ისე ვიწამოთ, — უთხრა მღვედლმა.

— კარგი. — მიუგო ბუვარმა.

ეშინოდა, უწმინდურად არ ჩამთვალონ და ციხედარბაზში არ დამგმონო.

იქ მეგობრები ახლა კვირაში სამჯერ დადიოდნენ, ზამთრობით დღის ხუთ საათზე და ფინჯანი ჩაის დალევით თბებოდნენ. გრაფი თავისი ქცევით „ძველი სამეფო კარის ბრწყინვალეს მოგაგონებდათ“. უდარდელი და ჩასუქებული გრაფის მეუღლე ყველაფერში დიდ მომთხოვნელობას იჩენდა. მისი ქალიშვილი იოლანდა განასახიერებდა „ახალგაზრდა ქალიშვილის“, კიპსეკების ანგელოზის ტიპს, მათი კომპანიონი ქ-ნი დე ნოარი კი თავისი წვეტიანი ცხვირით პეკუშეს ჰგავდა.

პირველად, როცა ისინი სასტუმრო ოთახში შედიოდნენ, ქ-ნი დე ნოარი ვიღაცას ექომაგებოდა.

— გარწმუნებთ, იგი გამოიცვალა! ამას მისი საჩუქარი ამტკიცებს.

ეს ვიღაც გორჟიუ იყო. ამას წინათ მან მომავალ ცოლ-ქმარს გოთური ტაბლაკი უსაჩუქრა. ზედ საღებავებით რელიეფი იყო გამოხატული, ორივე გკარის გერბები. ბ-ნ დე მაჰიუროს საჩუქარი, როგორც ჩანს, მოეწონა, და ქ-ნმა დე ნოარმა უთხრა:

— ჩემს პროტეჟეს ხომ არ დავივიწყებთ?

შემდეგ ორი ბავშვი მოიყვანა: თორმეტიოდე წლის ბიჭი და მისი დაი, რომელიც ათი წლისა იქნებოდა. დაფლეთილ ტანსაცმელში მოუჩანდათ შიშველი, სიცივით გაწითლებული ტანი. ბიჭს ძველი ფეხსაცმელი ეცვა, გოგონას კი — მხოლოდ ხისა. შუბლი არ უჩანდა თმიდან. გარშემო ანთებული თვალებით იყურებოდნენ მგლის ლეკვებივით.

ქ-ნმა დე ნოარმა თქვა, დილით შარაგზაზე შევხვდით, პლაკე-ვანმა მათი არაფერი არ იცოდა.

ჰკითხეს, რა გქვიათო.

— ვიქტორი, ვიქტორინა.

— მამათქვენი სადაა?

— საპყრობილეში.

— წინათ რას აკეთებდა?

— არაფერს.

— სადაური ხართ?

— სენ-პიერიდან.

— რომელი სენ-პიერიდან?

ბავშვები არაფერს უპასუხებდნენ, მხოლოდ ცხვირში დუდღუ-ნებდნენ:

— არ ვიცი, არ ვიცი.

დედა მოუკვდათ და მათხოვრობდნენ.

ქ-ნმა დე ნოარმა განმარტა, რაოდენ საშიში იქნებოდა მათი უყუ-რადღებოდ მიტოვება. გრაფის მეუღლეს გული აუჩუყდა, გრაფი პატიოსნებაზე შეაგდო, ქალიშვილის თანაგრძნობა მოიპოვა, მტკი-ცედ დაიცვა და წარმატებასაც მიაღწია — გადაწყდა, მათთვის სა-მუშაო ეშოვათ, და, რადგან ბავშვებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ, ქ-ნმა დე ნოარმა თვითონ იკისრა ვასწავლიო, რათა კატეხიზისის გაკვეთილებისათვის მოემზადებინა.

როცა ბ-ნი ჟეფრუა ციხე-დარბაზში იყო ხოლმე, ბავშვებს მოი-ყვანდნენ და იგი გამოცდიდა, შემდეგ მისცემდა დარიგებას, რაც დამსწრეთა წყალობით პრეტენზიას მოკლებული არ იყო.

ერთხელ, ბიბლიაზე დიდი ლაპარაკის შემდეგ, ბუვარმა, შინ რომ მიდიოდა ბ-ნ ჟეფრუასთან და პეკუშესთან ერთად, ძლიერ ცუდად მოიხსენია პატრიარქები: იაკობი ხრიკებით გამოირჩეოდა, და-ვითი ბოროტმოქმედებით, სოლომონი თავაშვებული ცხოვრე-ბითო.

აბატმა უპასუხა, მათ უმაღლესი თვალსაზრისით უნდა შეხედო-თო. აბრაამის მსხვერპლი ქრისტეს ვნებათა სიმბოლოა, იაკობი სხვა სახის მესიაა, ვით იოსები, ვით სპილენძის გველი, ვით მოსე.

— გგონიათ თუ არა, რომ pentateuque მოსემ დაწერა?

— დიახ, რა თქმა უნდა!

— ეს წიგნი კი მის გარდაცვალებაზე მოგვითხრობს. ეაეევ უნდა ითქვას ისუ ნავინზე, ხოლო რაც შეეხება მეფეთა წიგნს, ავტორი გვაფრთხილებს, რომ იმ დროს, რომლებზეც ის მოგვითხრობს, ისრაელს მეფეები ჯერ კიდევ არ ჰყოლია. მაშასადამე, ეს წიგნი შედგენილია მეფეთა დროს. წინასწარმეტყველებიც მაკვირვებენ.

— ახლა თქვენ წინასწარმეტყველებსაც უარჰყოფთ!

— სრულიადაც არა! მაგრამ მათი აგზნებული წარმოდგენა იეღოვას გვიხატავს სხვადასხვა სახით: ცეცხლის, ბუჩქნარის, მოხუცის, მტრედის სახით, და არ სწამთ გამოცხადება, რადგან მუდამ სასწაულს მოითხოვენ.

— ოჰო! მერე ასეთ მშვენიერ ამბებს სად წააწყდით?

— სპინოზასთან.

ამის თქმაზე აბატი წამოხტა.

— წაგიკითხავთ იგი?

— ღმერთმა დამიფაროს!

— მაგრამ, ბატონო აბატო, მეცნიერება...

— ბატონო ჩემო, არ შეიძლება მეცნიერი იყო, თუ ქრისტიანი არა ხარ.

მეცნიერება სარკასტულად განაწყობდა.

— შეუძლია თუ არა თქვენს მეცნიერებას თუნდაც ერთი თავთავი წარმოშვას ამქვეყნად? რა ვიცით ჩვენ? — ამბობდა იგი.

თუმცა მან იცოდა, რომ ეს ქვეყანა შექმნილია ჩვენთვის; იცოდა, რომ მთავარანგელოზები ანგელოზებზე უფრო მაღლა დგანან; იცოდა, რომ ადამიანის სხეული აღსდგება ისეთი, როგორიც ოცდამეათე დღეს იყო.

მისი ხუცური თავდაჯერება ბუვარს აღიზიანებდა. იგი არ ენდოლუი ერვიუს და წერილი მისწერა ვარლოს, პეკუშემ კი, რომელიც უფრო გათვითცნობიერებული იყო, ბ-ნ ჟეფრუას ზოგიერთი განმარტება სთხოვა საღვთო წერილის გამო.

შესაქმეთა წიგნის ექვს დღეში — უნდა ვიგულისხმოთ ექვსი დიადი ეპოქა. ძვირფას ჭურჭელში, რომელიც ებრაელებმა ეგვიპტელებს მოსტაცეს, — სულიერი სიმდიდრე, ხელოვნება, რომლის საიდუმლოებაც მათ ამოიცნეს. ისაიას მთლად არ გაუხდია ტანთ, რადგან nudus ლათინურად ნიშნავს წელამდე შიშველს; ვერგი-

ლიუსიც ასე არ გვირჩევს, ხვნის დროს გავშიშვლდეთო, ეს მწერალი კი უწესო რამეს არ გვირჩევდა. ეზეკიელი, წიგნებს, რომ ნთქავს, არაჩვეულებრივს არაფერს არ წარმოადგენს, ჩვენც ხომ ვამბობთ, ესა თუ ის კაცი ბროშურებს, გაზეთებს ნთქავსო?

თუ ყველაფერი მეტაფორად მივიღეთ, მაშინ ფაქტებს რა მოუვა? აბატი კი მათს ნამდვილობას იცავდა.

პეკუშეს ასეთი გაგება დაუსაბუთებლად ეჩვენა. იგი თავის გამოკვლევას განაგრძობდა და თან მოიტანა. წერილი, რომელიც ეძღვნებოდა ბიბლიაში არსებულ წინააღმდეგობებს.

წიგნი გამოსვლათაი გვასწავლის, რომ ორმოცი წლის მანძილზე მსხვერპლს სწირავდნენ უდაბნოში, ხოლო ამოსისა და იერემიას თანახმად, არც ერთი მსხვერპლი არ შეუწირავთ, პარალიპომენისა და ეზდრას წიგნები ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ ხალხის რაოდენობის აღრიცხვაში.

მეორე სჯულთა წიგნში მოსე პირისპირ ხედავს ღმერთს, ხოლო, თუ გამოსვლათაის წიგნს დავუჯერებთ, იგი ვერავითარი გზით ვერ ნახავდა მას. ასეთ შემთხვევაში სად არის ღვთივშთაგონება?

— ეს ზედმეტი საბუთია მის სასარგებლოდ, — ღიმილით უპასუხებდა ბ-ნი ჟეფრუა. — ერთმანეთთან შეთანხმება მატყუარებს ესაჭიროებათ, მართალი ადამიანები კი ამაზე არ ფიქრობენ! გულით დაეჭვებულნი ეკლესიაში ვეძიებდეთ თავშესაფარს. იგი მუდამ უცოდველია.

ვისი ხვედრია შეუცდომლობა?

ბაზელისა და კონსტანცის საეკლესიო კრებანი მას მიაწერენ კრებებს. მაგრამ კრება ხშირად გაიყოფოდა ხოლმე, რასაც ადასტურებს მათი დამოკიდებულება ათანასესა და არიოსისადმი. ფლორენციისა და ლატრანის კრებანი მას პაპს მიაწერენ. მაგრამ ადრიანე მე-6-ე აცხადებს, პაპი, ისევე როგორც სხვა ვინმე, შეიძლება შეცდესო.

ხრიკიანობაა! ყოველივე ეს სრულიადაც არ ახდენს გავლენას დოგმების სიმტკიცეზე.

ლუი ერვიე თავის წიგნში გვიჩვენებს, როგორ იცვლებოდნენ დოგმები: ნათლისღება ოდესღაც მოზრდილთა პრივილეგია იყო, ზეთის კურთხევა საიდუმლო გახდა მხოლოდ IX საუკუნეში, სისხლხორცად ქცევა დეკრეტირებული იყო მე-8-ე საუკუნეში, განწმენდა

აღიარებული იქნა მე-15-ე საუკუნეში, უბიწოდ ჩასახვა გუშინდელი ამბავია.

და პეკუშე ბოლოს და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ აღარ იცოდა, როგორ მიეღო იესო. სამი სახარება მას გვიხატავს ადამიანად; ერთ ადგილას იოანე მახარობელი გვეუბნება, თავი ღვთის თანასწორად მიაჩნდაო, მეორე ადგილას კი — მასზე დაბლაო.

აბატი არ ეთანხმებოდა და იმოწმებდა მეფე აბგარის ეპისტოლეს, პილატეს მოქმედებას და სიბილათა წინასწარმეტყველებას, „რომლებიც ძირითადად ჭეშმარიტია". იგი ქალწულს ხვდებოდა გალთა შორის, მხსნელის ხარებას ჩინეთში, სამებას ყველგან, ჯვარს დალაილამის თავსაბურავზე, ეგვიპტეში — ღმერთების მუშტზე. და გრავიურაც კი უჩვენა, რომელიც ნილოსსაზომს გამოსახავდა, პეკუშეს აზრით კი ფალოსი იყო.

ბ-ნი ჟეფრუა ფარულად ეთათბირებოდა ხოლმე თავის მეგობარს პრიუნოს, რომელიც მისთვის წიგნებში ეძებდა დამამტკიცებელ საბუთებს. გაჩაღდა შეჯიბრება ერუდიციაში. თავმოყვარეობით წაქეზებული პეკუშე ტრანსცენდენტული მითოლოგი გახდა.

ღვთისმშობელს იგი ადარებდა იზიდას, ზიარებას, სპარსელთა homa-ს, ბახუსს — მოსეს, ნოეს კიდობანს — ქსიტურსის ხომალდს. მსგავსების ეს ნიშნები, მისი აზრით, რელიგიების იგივეობას ამტკიცებდა.

მაგრამ არ შეიძლება იყოს რამდენიმე რელიგია, რადგან ღმერთი მხოლოდ ერთია. და, როცა ანაფორიან კაცს საბუთები შემოაკლდებოდა, წამოიძახებდა ხოლმე:

— ეს საიდუმლოებაა!

რას ნიშნავს ეს სიტყვა? ცოდნის ნაკლებობას: ძალიან კარგი! მაგრამ იგი თუ ნიშნავს რაიმე ცნებას, რომლის განმარტებაში წინააღმდეგობა იმალება, მაშინ იგი უაზრობაა. და პეკუშე მოსვენებას არ აძლევდა ჟეფრუას. იჭერდა ხოლმე ბაღში, უცდიდა საღსარებოსთან, ეძებდა სამოსსაცავში.

მღვდელი ფანდებს მიმართავდა ხოლმე, რომ ხელიდან დასძვრომოდა.

ერთხელ, როცა იგი სასეტოს წავიდა ვიღაცის საზიარებლად, პეკუშე იმავე გზას გაუდგა მის შესახვედრად, რითაც საუბარი აუცილებელი გახადა.

ეს იყო ერთ საღამოს, აგვისტოს დამლევს. გაწითლებული ცა ერთბაშად ჩამობნელდა, გაჩნდა უშველებელი საწვიმარი ღრუბელი.

პეკუშემ ჯერ ლაპარაკი სხვა ამბებზე ჩამოაგდო, შემდეგ სიტყვა „მოწამე“ გამოურია და ჰკითხა:

— თქვენი აზრით, რამდენი იყო მოწამე?

— სულ ცოტა, ოცი მილიონი.

— ორიგენი ამბობს, ამდენი არ იყოო.

— იცით რა, ორიგენი სანდო არ არის.

ქარმა ისე ძლიერ დაჰქროლა, რომ ბალახი და ხეები მიწას გააკრა.

პეკუშე განაგრძობდა:

— მოწამეებს აკუთვნებენ მრავალ გალ ეპისკოპოსს, რომლებიც ბარბაროსებისათვის წინააღმდეგობის გაწევის დროს დახოცეს, რაც საქმეს არ ეხება.

— იმპერატორების დაცვას ხომ არ აპირებთ?

პეკუშეს აზრით, მათ ცილი დასწამეს.

— თებეს ლეგიონის ამბავი ზღაპარია. მე აგრეთვე გამოგონილად მიმაჩნია სიმფოროსი და მისი შვიდი ვაჟიშვილი, ფელიციტატი და მისი შვიდი ასული, შვიდი ანსირელი ქალწული, რომლებიც გააუპატიურეს, თუმცა, სამოცდაათი წლისანი იყვნენ, და წმ. ურსულას თერთმეტი ათასი ქალწული, რომელთაგან ერთს ერქვა რიცხვის სახელი Undecemilla, და, რა თქმა უნდა, ათი ალექსანდრიელი მოწამე!

— მაგრამ... მაგრამ მათ იხსენიებდნენ ნდობის ღირსი ავტორები.

წვიმა წამოვიდა. მღვდელმა ქოლგა გაშალა. პეკუშემ მას თავი შეაფარა და გაბედა გამოეთქვა აზრი, რომ კათოლიკეებმა მეტი მოწამე გააჩინეს ებრაელთა, მუსულმანთა, პროტესტანტთა და თავისუფალ მოაზროვნეთა შორის, ვიდრე ყველა ძველმა რომაელმა.

ეკლესიის მსახური აღშფოთდა.

— მაგრამ მათი დევნა ხომ იყო ნერონის დროიდან კეისარ გალბამდე?

— მერე რა! ალბიგოელების ამოხოცვა? ბართლომეს ღამე? ნანტის ედიქტის გაუქმება?

— ეს რა თქმა უნდა, საკვალალო ექსცესებია, მაგრამ თქვენ ხომ

მათ ვერ შეადარებთ წმ. სტეფანეს, წმ. ლავრენტის, კიპრიანეს, პოლიკარპესა და მრავალ მისიონერს?

— უკაცრავად! გაგახსენებთ იპატიუსს, პრაღელ იერონიმეს, იან ჰუსს, ბრუნოს, ვანინის, ანა დიუბურს!

წვიმა ძლიერდებოდა და წვეთები ისეთი ძალით ეცემოდა მიწაზე, რომ ასხლეტილი შხეფები პაწია თეთრ რაკეტებს ჰგავდა. პეკუშე და ბ-ნი ჟეფრუა ნელა მიდიოდნენ, ერთმანეთს მიხუტებულნი და მღვდელი ამბობდა:

— საშინელი წამების შემდეგ, ისინი ქვაბებში ჩაყარეს!

— ინკვიზიციაც იყენებდა წამებას და მშვენივრად სწვავდა ადამიანებს!

— უკეთილშობილეს ქალებს საროსკიპოებში ათავსებდნენ!

— ლუი მე-14-ის დრაგუნები კი, თქვენი აზრით, ზრდილობიანად იქცეოდნენ?

— და უნდა იცოდეთ, რომ ქრისტიანებს ბოროტი განზრახვა არ ჰქონიათ სახელმწიფოს წინააღმდეგ!

— არც ჰუგენოტებს!

ქარი უტევდა, წვიმას ჰაერში ფანტავდა. თქეში ფოთლებს სცემდა, გზებზე ნაკადად მოედინებოდა და ამღვრეული ცა მომკილ, გაშიშვლებულ მინდვრებს ერთვოდა. არავითარი მოსახლე. მხოლოდ შორს მოჩანდა მწყემსის კარავი.

პეკუშეს უხეირო პალტო მთლად დასველდა. წყალი ზურგში ჩასდიოდა, წაღებში აღწევდა, მიუხედავად ამოროს კარტუზისა, ყურებში, თვალებში ესხმებოდა. მღვდელს ცალი ხელით ანაფორის ბოლო აეკრიფა, სამკუთხა ქუდიდან კი, მხრებზე წყალი ისე სდიოდა, როგორც ტაძრის საწვიმარი ღარებიდან.

გაჩერება მოუხდათ. ქარიშხალს ზურგი უბრუნეს, ცხვირი ცხვირს მიადეს, მუცელი მუცელს და ოთხი ხელით იჭერდნენ აფართქალებულ ქოლგას.

ბ-ნ ჟეფრუას კათოლიკეთა დაცვა არ შეუწყვეტია.

— განა მათ ჯვარს აცვეს თქვენი პროტესტანტები, როგორც ჯვარზე იყო გაკრული. წმ. სვიმეონი? განა ორი ვეფხვის შესაჭმელად იმეტებდნენ ადამიანს, როგორც წმ. ეგნატეს უყვეს?

— თქვენი აზრით კი, არაფერს არ ნიშნავს ერთმანეთს დააშორო ამდენი ცოლ-ქმარი, დედებს ხელიდან გამოჰგლიჯო ძუძუთა

ბალღები! ახლა კიდევ განდევნილია ღარიბები, თოვლიან ხრამებში რომ დაეხეტებიან! ამ უბედურებით გაჭედილი იყო საპყრობილეები; სულის ამოსვლას არ აცლიდნენ, რომ გარეთ მიათრევდნენ.

აბატმა ჩაიხითხითა.

— ნება მიბოძეთ, ასეთი რამეები არ დავიჯერო! ჩვენი წმეებულები ნაკლებ საეჭვონი არიან. წმ. ბლანდინა გალიაში შიშველი შეუგდეს გაცოფებულ ძროხას. წმ. იულია ცემით მოკლეს. წმ. ტარაკს, წმ. პრობუსს და წმ. ანდრონიკეს ჩაქუჩით ჩაუმტვრიეს კბილები, რკინის სავარცხლებით დააგლიჯეს გვერდები, გახურებული შანთით დაუხვრიტეს ხელები, თავზე ტყავი ააძვრეს.

— თქვენ აზვიადებთ, — უთხრა პეკუშემ, — იმ ხანებში მოწამეთა სიკვდილი რიტორიკული ჰიპერბოლების საგანი იყო.

— როგორ თუ რიტორიკული?

— რა თქმა უნდა! მე ხომ, ბატონო ჩემო, ისტორიულ ფაქტებს მოგახსენებთ. კათოლიკები ირლანდიაში მუცელს უფატრავდნენ ორსულ ქალებს, რომ შვილები წაერთმიათ...

— პრასოდეს!

— და ღორებისათვის მიეგდოთ დასაგლეჯად.

— კარგი ერთი!

— ბელგიაში კი მათ ცოცხლად მარხავდნენ.

— რა სისულელეა!

— მათი სახელები ცნობილია.

— მაგრამ თუნდაც ეგ მართალი იყოს, — შეესიტყვა მღვდელი, თან გაბრაზებული ქოლგას აქნევდა, — მოწამეები მაინც არ ეწოდებათ. გარეშე ეკლესიისა მოწამენი არ არიან.

— ერთი სიტყვა მათქმევინეთ. თუ მოწამეს წონას ანიჭებს სარწმუნოება, მაშინ როგორღა შეუძლია სარწმუნოებას მოწამეს დაეჭყაროს თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად?

წვიმა ნელდებოდა. სოფლამდე ხმა აღარ ამოუღიათ, მღვდელი თავისი სახლის ზღურბლიდან მობრუნდა:

— მებრალებით! ღმერთმანი, მებრალებით!

პეკუშემ მაშინვე უამბო ბუვარს იმ დავის ამბავი, რამაც იგი სარწმუნოების წინააღმდეგ აამხედრა. ერთი საათის შემდეგ ორივე ბუხართან იჯდა და „ხუცეს მელიეს“ კითხულობდა. ეს ძნელად გასაგები უარყოფა პეკუშეს ეჩოთირა; მერე „ბიოგრაფიებში“ დაიწყო

ჩხრეკა, გადაათვალიერა ყველაზე განთქმულ მოწამეთა ცხოვრება და თავს უსაყვედურა, იქნებ მართლაც არ ვიწამე გმირებიო.

როგორ ღრიალებდა ხოლმე ბრბო ასპარეზზე მოწამეთა გამოსვლის დროს! ხოლო როცა ლომები და იაგუარები მეტად თვინიერნი აღმოჩნდებოდნენ, ჟესტებით იხმობდნენ მათ თავისკენ! გასისხლიანებულნი, თვალებს ზეცას მიაპყრობდნენ და იღიმებოდნენ. წმ. პერპეტუი თმას იწნავდა, რომ ჭმუნვა გაეფანტა.

პეკუშე ფიქრებს მიეცა. ფანჯარა ღია იყო, ღამეც წყნარი, უთვალავი ვარსკვლავი ციმციმებდა. ალბათ წამებულთა სულში ისეთი რამ ხდებოდა, რაზეც ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს: სიხარული, ღვთაებრივი ცახცახი! და ოცნებით გატაცებულმა პეკუშემ თქვა, მესმის ეს გრძნობები და მეც ასევე მოვიქცეოდიო.

— შენა?

— დიახ! მე!

— კაი ერთი, ნუ ხუმრობ! განა გწამს? ჰო თუ არა?

— არ ვიცი.

სანთელი აანთო, მერე თვალი მოჰკრა ჯვარცმას ალკოვში.

— რამდენი უბედური შესთხოვდა მას მფარველობას!

ჩაფიქრდა და შემდეგ დასძინა:

— მისი მოძღვრება დაამახინჯეს. ეს რომის ბრალია: ვატიკანის პოლიტიკაა.

მაგრამ ბუვარი ეკლესიას აღტაცებაში მოჰყავდა თავისი ბრწყინვალებით. ძლიერ უნდოდა შუა საუკუნეთა კარდინალი ყოფილიყო.

— მეტად დამშვენდებოდა მეწამული მანტია, ასე არ არის?

პეკუშეს კასკეტი, ცეცხლის პირას რომ იდო, კიდევ არ გამშრალიყო. როცა გაქიმა, სარჩულქვეშ რაღაც მოსინჯა, თითი შეუყო და წმ. იოსების პატარა ხატი გამოიღო. ორივე განცვიფრდა, ეს მოვლენა აუხსნელი ეჩვენათ.

ქ-ნმა დე ნოარმა პეკუშეს დაუწყო გამოკითხვა: რაიმე ცვლილება, ნეტარი გრძნობა ხომ არ გიგრძვნიაო, და ამ კითხვებით თავი გამოააშკარავა: თურმე ერთხელ, როცა პეკუშე ბილიარდს თამაშობდა, ქუდში ჩუმად ხატი ჩაუკერა.

ცხადია, ამ ქალს იგი უყვარდა, მათ შეეძლოთ შეუღლებულიყვნენ: ქ-ნი დე ნოარი ქვრივი იყო. პეკუშე სიყვარულს ვერ მიუხვდა, თორემ ვინ იცის, იქნება ბედნიერებას ხვეოდა.

სწორედ იგი, თუმცა ბუვარზე უფრო მორწმუნე იყო, ქალმა შეაეედრა წმ. იოსებს, ვისი დახმარებაც მეტად სასარგებლოა ურწმუნოთა მოქცევის დროს.

ამ ქალმა ყველაზე უკეთ იცოდა სხვადასხვაგვარი ლოცვა და მასთან დაკავშირებული მიტევება ცოდვებისა, რელიქვიების მოქმედება, წმინდა წყაროების ძლიერება. საათი ეკიდა ძეწკვით, წმ. პეტრეს ხუნდს რომ ეხებოდა. ბრელოკებს შორის კიაფობდა ოქროში ჩასმული მარგალიტი, იმის პირი, მაცხოვრის ცრემლს რომ ინახავს ალუანის ტაძარში; ბეჭედში, ნეკზე რომ ეკეთა, დაცული იყო არსელი მღვდლის თმა, და რადგან სამკურნალო ბალახებსაც აგროვებდა ღარიბებისათვის, მისი ოთახი საშესამოსლოს ან აფთიაქს მოგაგონებდათ.

დროს წერილების წერაში, ღარიბების მონახულებაში, უკანონოდ შეუღლებულთა გათიშვაში და ქრისტეს გულის ფოტოსურათების გავრცელებაში ატარებდა. ვიღაც ბატონი დაჰპირდა „მოწამეთა ცომს“ — სააღდგომო სანთლების ფიჭისა და კატაკომბებში მოგროვებულ ადამიანთა ფერფლის ნაზავს გამოგიგზავნიო, რასაც უიმედო შემთხვევებში სალბუნად თუ აბად ხმარობენ. ქალი თავის მხრივ პეკუშეს დაჰპირდა, ყოველივე ამას გიწილადებო.

მაგრამ პეკუშეს, ალბათ, გული აუცრუა ასეთმა მატერიალიზმმა.

ლაქიამ საღამოს მოართვა ბროშურებით გატენილი კალათი. ბროშურებში მოყვანილი იყო ნაპოლეონ დიდის ღვთისმოსავი გამონათქვამები, მღვდლების მიერ ფუნდუკებში წარმოთქმული მოსწრებული სიტყვები, მოთხრობები უწმინდურთა წილხვდომილ საშინელ სიკვდილზე. ქ-ნმა დე ნოარმა ყოველივე ეს და კიდევ უთვალავი სასწაული სულ ზეპირად იცოდა.

იგი მოუთხრობდა აგრეთვე უაზრო სასწაულებს, იმდენად უმიზნოს, თითქოს ღმერთი მათ იმიტომ ჰქმნიდა, რომ ადამიანები გაეკვირვებინა. ბებიაჩემმა, როგორღაც, კარადაში თეთრეულთა შორის შეინახა ქლიავი და, როცა ერთი წლის შემდეგ კარადა გააღო, შიგ, სუფრაზე ნახა ცამეტი ქლიავი, ჯვრის სახით, რომ განლაგებულიყო.

— აბა, ინებეთ, და ეს აგვიხსენით!

ასე ამთავრებდა იგი ყველა თავის ამბავს და ჭაკი ვირის ჯიუ-

ტობით მოითხოვდა დაიჯერეთო, თუმცა ამასთან კეთილი და მხიარული ბუნების ქალიც იყო.

მაგრამ როგორღაც ისე მოხდა, რომ ერთხელ „თავის ბუნებას უღალატა". ბუვარმა დაიწყო პეციოლში მომხდარი სასწაულის უარყოფა: ჭურჭელი, რომელშიც რევოლუციის დროს ზიარება დამალეს, თავისთავად დაიფარა ოქროს ვარაყით.

— შეიძლება სინესტისგან მართლაც ოდნავ გაყვითლდა ფსკერი?

— არა-მეთქი, გეუბნებით! ვარაყი გამოიწვია წმიდა ნაწილებთან შეხებამ.

და ეპისკოპოსები დაიმოწმა.

— ისინი ამბობენ, რომ ეს არის თითქოს ფარი, თითქოს... ჰალადიუმი პერპინიანის მრევლისათვის. აბა, ჰკითხეთ ბ-ნ ჟეფრუას!

ბუვარმა ვეღარ მოითმინა, ლუი ერვიე გადაათვალიერა და პეკუშე წაიყვანა.

მღვდელი სადილობდა. რეგინამ სტუმრებს სკამები მიართვა და აბატის ნიშანზე ორი ჭიქა როზოლიო დაასხა.

მერე ბუვარმა მისვლის მიზანი გაუმხილა.

აბატმა მოიარებით უპასუხა:

— ღმერთს ყველაფერი შეუძლია. სასწაულები რელიგიის დადასტურებაა.

— მაგრამ არსებობენ კანონები.

— ეგ არაფერს არ ნიშნავს. ღმერთი მათ არღვევს, რათა ასწავლოს, გაასწოროს.

— საიდან იცით, რომ არღვევს? — შეესიტყვა ბუვარი. — სანამ ბუნება რუტინას მისდევს, მას როდი დაუფიქრდები, მაგრამ არაჩვეულებრივ მოვლენაში ღვთის ხელს ვამჩნევთ.

— ეგ აგრეა, — უთხრა ეკლესიის მსახურმა, — როცა მოვლენას მოწმეები აღასტურებენ.

— მოწმეებს ყველაფერი სჯერათ, ცრუ სასწაულებიც ხომ მომხდარა?

მღვდელი წამოწითლდა.

— უეჭველად... ზოგჯერ.

— როგორ გავარჩიოთ ისინი ნამდვილისაგან? ხოლო თუ ნამდვილ სასწაულებს, დასამტკიცებლად რომ მოჰყავთ, თვითონ ესაჭიროებათ საბუთი, მათ რატომ-ღა იმოწმებენ?

რეგინა საუბარში ჩაერია, თავისი პატრონივით ქადაგებდა და განაცხადა, მორჩილებაა საჭიროო.

— სიცოცხლე წარმავალია, სიკვდილი კი მარადიულია!

— მოკლედ, — დასძინა ბუვარმა, თანაც როზოლიოს წრუპავდა, — ძველი სასწაულები ახლანდელებზე უკეთ როდია დამტკიცებული: ქრისტიანულ და წარმართულ მითებს ერთნაირი მოსაზრებანი იცავენ.

მღვდელმა ჩანგალი მიწაზე დააგდო.

— ეგენი მოგონილია, ერთხელ კიდევ გიმეორებ! ეკლესიის გარეშე სასწაული არ არსებობს.

„აჰა, — გაიფიქრა პეკუშემ, — იგივე არგუმენტია, რაც მოწამეებისათვის: სარწმუნოება ემყარება ფაქტებს, ფაქტები კი — სარწმუნოებას“.

ბ-ნმა ჟეფრუამ ერთი ჭიქა წყალი დალია და შემდეგ განაგრძო:

— რამდენიც არ უნდა უარყოთ, მაინც გწამთ. ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მსოფლიო თორმეტმა მებადურმა რომ მოაქცია, ჩემი აზრით, მშვენიერი სასწაულია!

— სრულიადაც არა!

პეკუშემ ეს სხვაგვარად ახსნა.

— მონოთეიზმი წარმოსდგება ებრაელთაგან, სამება—ინდოელთაგან, ლოგოსი — პლატონისაგან, ქალწული დედა — აზიიდან.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს!

ბ-ნი ჟეფრუა ზებუნებრიობის მომხრე არ იყო, არ იწყნარებდა, რომ ქრისტიანულ მოძღვრებას ჰქონდა რაიმე ადამიანური საფუძველი, თუმცა ხედავდა, რომ ყოველ ხალხს ჰქონდა მისი წინამძღვრები ან დამახინჯებანი. მე-18-ე საუკუნის დამცინავ ურწმუნოებს როგორმე მოითმენდა, მაგრამ თანამედროვე კრიტიკას, თავისი თავაზიანობით მოთმინებიდან გამოჰყავდა.

— მკრეხელი ათეისტი მირჩევნია სკეპტიკოსს, ყველაფერს რომ სადავოდ ხდის!

შემდეგ გამომწვევად მიაპყრო მათ თვალი. თითქოს იმისათვის, რომ წასულიყვნენ.

პეკუშე შინ დანაღვლიანებული დაბრუნდა. მას იმედი ჰქონდა, რწმენას გონებასთან მოვარიგებო.

ბუვარმა წააკითხა ლუი ერვიეს შემდეგი ადგილი: „რათა შეიც-

ნოთ უფსკრული, მათ რომ ჰყოფს, ერთმანეთს დაუპირისპირეთ მათი აქსიომები.

„გონება გეუბნებათ: მთლიანი შეიცავს ნაწილს, სარწმუნოება კი გიპასუხებთ: განხორციელების მეოხებით იესოს, თავის მოციქულებთან ურთიერთობის დროს თავისი სხეული ხელში ეკავა, თავი კი — პირში.

„გონება გეუბნებათ: კაცი ხსვის ცოდვებზე არ აგებს პასუხს, სარწმუნოება კი გიპასუხებთ: პასუხისმგებელია პირველყოფილი ცოდვის ძალით.

„გონება გეუბნებათ: სამი არის სამი, სარწმუნოება კი აცხადებს: სამი ერთიანია".

მღვდელთან სიარული მიატოვეს.

ეს იყო იტალიის ომის დროს.

კეთილმორწმუნე ხალხი შიშით ცახცახებდა პაპის ბედის გამო. ემანუილს წყევა-კრულვით იხსენიებდნენ. ქ-ნი დე ნოარი იქამდე მივიდა, რომ მის სიკვდილს ნატრობდა.

ბუვარი და პეკუშე მხოლოდ გაუბედავად აცხადებდნენ პროტესტს. როცა მათს წინაშე სასტუმრო ოთახის კარი გაიღებოდა და მაღალ სარკეებში თავიანთ თავს დაინახავდნენ, ფანჯრიდან კი ხეივნებს, სადაც მწვანეში წითლად კიაფობდა ხოლმე ლაქიის ქილეტი, ისინი კმაყოფილებას გრძნობდნენ და ოთახების მორთულობის ფუფუნება შემწყნარებელს ხდიდა მათ აქ წარმოთქმული სიტყვებისადმი.

გრაფმა მათ ბ-ნ დე მესტრის ყველა თხზულება ათხოვა. თვითონ კი მის პრინციპებზე საუბრობდა ხოლმე ვიწრო წრეში, რომელსაც შეადგენდნენ ჰიურელი, მღვდელი, მომრიგებელი მოსამაოთლე, ნოტარიუსი და ბარონი, მისი მომავალი სიძე, რომელიც ციხე-დარბაზში ხანდახან ერთი დღით ჩამოდიოდა ხოლმე.

— ყველაზე საზიზღარია 89-ე წლის სულისკვეთება! — იტყოდა გრაფი, — ადამიანები ჯერ სათუოდ ხდიან ღვთის არსებობას, შემდეგ აკრიტიკებენ მთავრობას, მერე მოდის თავისუფლება, — შეურაცხყოფის, ამბოხების, ტკბობის ანუ, ძარცვის თავისუფლება, ამიტომ რელიგია და ხელისუფლება უნდა სდევნენ თავისუფალ მოაზროვნეებს, მწვალებლებს. რა თქმა უნდა, ატყდება ხმაური დევნის წინააღმდეგ, აქაოდა ჯალათები დამნაშავეებს სდევნიანო. ვასკვნი:

სახელმწიფო არ არსებობს ღვთის გარეშე, რადგან კანონი მხოლოდ მაშინ იქნება პატივცემული, როცა მოვლენილია ზეგარდმო, და ამ-ჟამად საქმე იტალიელთა საკითხი კი არ არის, არამედ ის, თუ ვინ გაიმარჯვებს, რევოლუცია თუ პაპი, სატანა თუ იესო ქრისტე.

ბ-ნი ჟეფრუა მოწონებას გამოხატავდა ერთმარცელოვანი სიტყვებით, ჰიურელი—ღიმილით, მომრიგებელი მოსამართლე—თავის ქნევით. ბუვარი და პეკუშე ჭერს მიაჩერდებოდნენ ხოლმე. ქ-ნი დე ნოარი, გრაფის მეუღლე და იოლანდა ხელსაქმობდნენ ღარიბებისათვის, ბ-ნი დე მაჰიური კი თავისი საცოლის ახლოს იჯდა და წიგნს ათვალიერებდა.

შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ყველა რაღაც პრობლემას არკვევდა. ნაპოლეონ III უკვე აღარ იყო მხსნელი, პირიქით, ცუდ მაგალითს იძლეოდა, რაკი კალატოზებს ნება დართო კვირადღეობით ემუშავათ ტუილრიში.

„ეს არ უნდა ექნა“, — ასეთი იყო გრაფის ჩვეულებრივი ფრაზა.

პოლიტიკური ეკონომია, კაზმული ხელოვნება, ლიტერატურა, ისტორია, მეცნიერული თეორიები, ყველაფერზე გადაჭრით გამოთქვამდა ხოლმე აზრს, როგორც ქრისტიანი და ოჯახის უფროსი. და ნეტავ ღმერთს ენება, რომ მთავრობას ამ მხრივ ისეთივე სიმკაცრე გამოეჩინა, როგორიც მან თავის ოჯახში დაამყარა! მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია იმსჯელოს მეცნიერების მიერ მოვლენილ საფრთხეზე. მეტად ფართოდ გავრცელების დროს იგი საბედისწერო მისწრაფებას უნერგავს ხალხს. ეს საბრალო ხალხი უფრო ბედნიერი იყო, როცა ბატონები და ეპისკოპოსები არბილებდნენ მეფის აბსოლუტიზმს. ახლა მას ექსპლოატაციას უწევენ მრეწველები. სადაცაა დაიმონებენ კიდეც.

და ყველა ნაღვლობდა წყობილებაზე. ჰიურელი სულის სიმდაბლის გამო, კულონი უვიცობის გამო, მარესკო—როგორც ხელოვანი.

ბუვარი, შინ რომ დაბრუნდა, გასახსენებლად მაშინვე მიჰყო ხელი ლამეტრის, ჰოლბახისა და სხვა თხზულებათა კითხვას. პეკუშეც ჩამოშორდა რელიგიას, რომელიც მმართველობის საშუალებად იქცა. ბ-ნი დე მაჰიური საზიარებლად დადიოდა, რათა ქალებისათვის ეამბნა, ხოლო წეს-ადათებს იმისათვის იცავდა, რომ მოსამსახურეებს დაენახათ.

მათემატიკოსი და დილეტანტი, ფორტეპიანოზე ვალსების დამ-

კვრელი, და ტეპფერის თაყვანისმცემელი, იგი კარგი ტონის სკეპტიკოსი იყო. ყველაფერი, რასაც ფეოდალთა ბოროტმოქმედებაზე, ინკვიზიციასა და იეზუიტებზე ლაპარაკობენ, ცრუმორწმუნეობაა. იგი ქება-დიდებას ასხამდა პროგრესს, თუმცა ეზიზღებოდა ყველა, ვინც აზნაური არ იყო, ან ვისაც პოლიტექნიკური სკოლა არ დაეთავრებინა.

არც ბ-ნი ჟეფრუა მოსწონდა. მას სწამდა მისნობა, ხუმრობა კერპებზე და ამტკიცებდა, ყველა ენა ძველებრაულიდან წარმოდგებაო; მის მჭევრმეტყველებას აკლდა მოულოდნელობის ელემენტი. მუდამ ენაზე ეკერა დაჭრილი ირმები, თაფლი და აბსენტი, ოქრო და ტყვია, სურნელება, ლარნაკები, ქრისტიანის სულს ადარებდა ჯარისკაცს, რომელსაც ცოდვისათვის უნდა ეთქვა: აქ შენი გზა არ არისო!

მეგობრები გაურბოდნენ მისი მოძღვრების მოსმენას და ციხედარბაზში რაც შეიძლება გვიან მიდიოდნენ ხოლმე.

თუმცა ერთხელ მაინც შეხვდნენ.

თურმე მთელ საათს ელოდებოდა თავის ორ მოწაფეს. უეცრად შემოვიდა ქ-ნი დე ნოარი.

— გოგონა გაიპარა. ვიქტორი მოიყვანეს. აჰ, ის უბედური, ისა!

ვიქტორს ჯიბეში უპოვა ვერცხლის სათითური, სამი დღის წინათ რომ დაიკარგა. შემდეგ ფშლუკუნით განაგრძო:

— მაგრამ ეს როდი კმარა! როდი კმარა! როცა გავუჯავრდი, აიღო და თავისი უკანალი მომაშვირა!

და სანამ გრაფი და მისი მეუღლე რასმე იტყოდნენ, წამოიძახა:

— თუმცა, ეს ჩემი ბრალია, მაპატიეთ!

მან არ გაამხილა, რომ ეს ბავშვები იმ ტუაშის შვილები არი-ან. კატორღაში რომ გაგზავნეს.

როგორ მოიქცნენ?

გრაფმა რომ ისინი განდევნოს, დაიღუპებიან, და მის დიდსულოვნებას ჭირვეულობად მიიჩნევენ.

ბ-ნ ჟეფრუას ეს ამბავი არ გაჰკვირვებია. კაცი ცოდვილია თავისი ბუნებით; იგი დასჯით არ უნდა გამოასწორო.

ბუვარმა პროტესტი განაცხადა. ლმობიერებას უკეთესი ნაყოფი მოაქვს.

მაგრამ გრაფმა კვლავ დაიწყო ლაპარაკი რკინის ხელზე, ბავ-

შვებსაც ისევე ესაჭიროებათ, როგორც ხალხებსო. ეს მოზარდები აღსავსენი არიან მანკიერებით: გოგონა ცრუპენტელაა, ბიჭი უკმეხია. ქურდობას შეიძლება კიდევ ეპატიოს, უტიფრობა კი არასოდეს, რადგან აღზრდა ზრდილობის სკოლა უნდა იყოს.

ამიტომ გადაწყდა, რომ მეტყეევე სორელი ლაზათიანად გაროზგავდა იმ ყმაწვილს.

ბ-ნ მაჰიუროს რაღაც საქმე ჰქონდა მეტყეევესთან და ეს დავალებაც იკისრა. დერეფანში თოფი აიღო და ეზოში მდგარი თავჩაღუნული ვიქტორი მოიხმო.

— გამომყე! — უთხრა ბარონმა. რადგან მეტყეევის სახლის გზა შავინიოლის ახლოს გადიოდა, ბ-ნი ქეფრუა, ბუვარი და პეკუშე მათ გაჰყვნენ.

ციხე-დარბაზიდან ასიოდე ნაბიჯზე ბარონმა მათ სთხოვა, სანამ ტყის გასწვრივ ვივლით, ნუ ილაპარაკებთო.

ადგილი ეშვებოდა მდინარისაკენ, ნაპირზე დიდრონი ლოდები ეყარა. წყალი ოქროსავით ლივლივებდა ჩამავალი მზის სხივებზე. მწვანე ბორცვებს ჩრდილი ეფინებოდა. ქროდა სუსხიანი ქარი.

ბაჭიები ხვრელებიდან გამოსულიყვნენ და ბალახს კიკნიდნენ.

გაისმა სროლის ხმა, მეორე, მესამე, ბაჭიები დაფრთხნენ და გაიქცნენ. ვიქტორი მათ დაედევნა, იჭერდა და მძიმედ სუნთქავდა, გაოფლიანდა.

— რასა ჰგავხარ! — უთხრა ბარონმა.

ბიჭს დაფლეთილი ბლუზა გასისხლიანებოდა.

სისხლის დანახვა ბუვარს გულს უმღვრევდა. სისხლისღვრას ვერ ურიგდებოდა.

ბ-ნმა ქეფრუამ უთხრა:

— გარემოება ზოგჯერ ამას გვაიძულებს. თუ დამნაშავე თავისას არ გაიღებს, საჭიროა სხვისი სისხლი; ამ ჭეშმარიტებას ცოდვათა მონანიება გვასწავლის.

ბუვარის აზრით, მონანიებას არავითარი ნაყოფი არ გამოუღია, რადგან თითქმის ყველა ადამიანი განწირულია მუდმივი ტანჯვისათვის, მიუხედავად მაცხოვრის მსხვერპლისა.

მაცხოვარი მსხვერპლს ყოველდღე იმეორებს ზიარებაში.

— და სასწაული, — თქვა პეკუშემ,—სრულდება სიტყვების მეშვეობით, რაგინდ უღირსი კაციც იყოს მღვდელი.

— საიდუმლოება ეგ არის, ბატონო ჩემო.

ამასობაში ვიქტორი თვალს არ აშორებდა თოფს, კიდევაც ცდილობდა ხელი ეხლო.

— ხელი, ხელი!

და ბატონი მაჰიურო ტყის ბილიკს გაჰყვა.

აქედან პეკუშე მიჰყვებოდა მღვდელს, იქიდან — ბუვარი. მღვდელმა მას უთხრა:

— ფთხილად, ხომ გაგიგონიათ Debetur pueris [1].

ბუვარმა დაარწმუნა, ქედს ვიხრი შემოქმედის წინაშე, მაგრამ აღშფოთებული ვარ, რომ იგი ადამიანად გადააქციესო. ადამიანებს ეშინიათ მისი შურისძიებისა, შრომობენ მის სადიდებლად, იგი შემკულია ყოველგვარი სათნოებით, აქვს ხელი, თვალი, თავისი პოლიტიკა, თავისი სამყოფელი. „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“, რას ნიშნავს ეს?

ხოლო პეკუშემ დასძინა:

— სამყარო გაფართოვდა, დედამიწა უკვე მისი ცენტრი არ არის. იგი მიექანება უთვალავ თავის მსგავს პლანეტათა შორის. ბევრი მათგანი მასზე დიდია და დედამიწის ბურთობის ეს დაპატარავება უფრო მაღალ წარმოდგენას გვიქმნის ღმერთზე. ამიტომაც რელიგია უნდა შეიცვალოს. სამოთხე და მისი ნეტარი მცხოვრებნი, მარად რომ ჭვრეტენ, მარად რომ გალობენ და ზემოდან დასცქერიან ტანჯვისათვის განწირულთ — ბავშვობიაა. წარმოგიდგენიათ, რომ ქრისტიანობას საფუძვლად უდევს ვაშლი!

მღვდელი გაჯავრდა.

— უმჯობესია უარყოთ გამოცხადება, ეს უფრო მარტივი იქნება.

— როგორ წარმოგიდგენიათ, რანაირად დაილაპარაკებდა ღმერთი? — იკითხა ბუვარმა.

— დაამტკიცეთ, რომ არ დაულაპარაკნია! — მიუგო ჟეფრუამ.

— გეკითხებით-მეთქი, ვინ ამტკიცებს ამას?

— ეკლესია!

— კაი მოწმე კია!

---

[1] ღირსეულად მიაგეთ ყრმებს (ლათ.).

მათმა დავამ თავი მოაბეზრა ბ-ნ მაჰიუროს, ფეხი აუჩქარა და თქვა:

— დაუჯერეთ მღვდელს, ამ საქმეში თქვენზე მეტი ესმის.

ბუვარმა თვალი ჩაუკრა პეკუშეს, მეორე გზაზე გადავუხვიოთო, მერე მწვანე ჯვართან გამოეთხოვნენ.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— თქვენი მონა-მორჩილი! — მიუგო ბარონმა.

ყოველივე ეს, ცხადია, უნდა მისულიყო ბ-ნი დე ფავერჟის ყურამდე და სამდურავი გამოეწვია. მით უკეთესი! მეგობრები გრძნობდნენ, რომ ამ არისტოკრატებს ისინი სძულდათ. არასოდეს სადილზე არ დაუპატიჟნიათ, ქ-ნმა დე ნოარმა კი მუდმივი ჭკუის დარიგებით, თავი მოაბეზრა მათ.

მაგრამ ხომ შეიძლებოდა დაესაკუთრებინათ დე მესტრის თხზულებანი, და ორი კვირის შემდეგ კვლავ ეწვივნენ. ეგონათ, არ მიგვიღებენო, მაგრამ მიიღეს.

მთელი ოჯახი ბუდუარში იყო, ჰიურელიც და, გამონაკლისის სახით, ფუროც იქ გახლდათ.

გამოსწორებამ სულაც ვერ გამოასწორა ვიქტორი. უარს ამბობდა კატეხიზისის სწავლაზე, ვიქტორინა კი უწმაწურ სიტყვებს ამბობდა. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ბიჭი მცირეწლოვან დამნაშავეთა თავშესაფარში გაეგზავნათ, გოგონა კი — მონასტერში.

ამის მოწყობა ფურომ იკისრა. იგი უკვე მიდიოდა, რომ გრაფის მეუღლემ დააბრუნა.

ელოდებოდნენ ჟეფრუას, რომ ქორწინების დღე დაენიშნათ.

ქორწინება რატუშაში უნდა მომხდარიყო რამდენიმე საათით ადრე ეკლესიურზე, იმის ნიშნად, რომ ისინი გმობენ სამოქალაქო ქორწინებას.

ფურო შეეცადა დაეცვა იგი გრაფისა და ჰიურელის თავდასხმისაგან. რას წარმოადგენს მუნიციპალური თანამდებობა მღვდლის-მსახურებასთან შედარებით? არც ბარონი მიიჩნევდა თავს დაქორწინებულად, ქორწინება რომ მხოლოდ სამფეროვანი შარფის წინაშე მომხდარიყო.

— ვაშა! — შემოსვლისას წამოიძახა ჟეფრუამ. — ქრისტემ რომ ქორწინება დააწესა...

პეკუშემ გააწყვეტინა:

— რომელ სახარებაში? მოციქულთა დროს მას ისე მცირედ აფასებდნენ, რომ ტერტულიანე მეძაობასაც ადარებს.

— კარგი, ვთქვათ, ასეა!

— რა თქმა უნდა! და ეს საიდუმლოც არ არის. საიდუმლოს სასწაული ჭირდება. აბა მიჩვენე სასწაული ქორწინებაში.

მღვდელი ამაოდ ამტკიცებდა, ქორწინება ღვთისა და ეკლესიის კავშირს მოასწავებსო.

— თქვენ აღარ გესმით ქრისტიანული სარწმუნოება! კანონი კი...

— იგი გამოიხატა კანონით, — თქვა გრაფმა. — თორემ მრავალცოლიანობა ნებადართული იქნებოდა.

გაისმა ვიღაცის ხმა:

— მერე რით იქნებოდა ცუდი?

ეს თურმე ფარდას იქეთ დამალული ბუვარი იყო.

— შეიძლება რამდენიმე ცოლი გყავდეს. როგორც პატრიარქებს, მორმონებს, მუსულმანებს, და მაინც წესიერი კაცი იყო!

— არასოდეს! — წამოიძახა მღვდელმა. — წესიერება ის არის, რომ ყველას ღირსეულად მიუზღო. ჩვენ პატივს უნდა ვცემდეთ ღმერთს. ამიტომ ვინც ქრისტიანი არ არის, არც პატიოსანი კაცია.

— არა ნაკლებ, ვიდრე სხვა ვინმე, — უთხრა ბუვარმა.

ეს შესიტყვება გრაფმა სარწმუნოების ხელყოფად მიიჩნია და სარწმუნოების ქება-დიდებას მოჰყვა: მან მონები გაათავისუფლაო.

ბუვარმა მოიყვანა საწინააღმდეგო ციტატები:

— წმ. პავლე ურჩევს მონებს, დაემორჩილონ თავიანთ ბატონებს, როგორც იესოს. წმ. ამბროსი მონობას ღვთის ძღვენს ეძახის.

— ლევიტის, გამოსვლათაი წიგნმა და საეკლესიო კრებებმა სანქცია მისცეს მას. ბოსიუე ხალხთა უფლებას აკუთვნებს, ყოვლადსამღვდელო ბუვიე კი იწონებს.

გრაფმა მიუგო, ქრისტიანობამ პროგრესს მაინც შეუწყო ხელიო.

— სიზარმაცესაც აგრეთვე, იმიტომ რომ სიღარიბე სათნოებად აქცია.

— მაგრამ, ბატონო ჩემო, სახარების ზნეობრივი მოძღვრება...

— არცთუ ისე ზნეობრივია! უკანასკნელი საათის მუშაკები შრომისათვის იმდენსვე იღებენ, რამდენსაც პირველი საათისა. მქონებელს აძლევენ, უქონელს ართმევენ. რაც შეეხება რჩევას მივიღოთ

სილა ყბაში და სამაგიერო კი არ გადავუხადოთ, აგრეთვე თავი გავაძარცვინოთ, ეს აქეზებს მხოლოდ თავხედებს, ლაჩრებსა და არამზადებს.

ჩხუბი უფრო გამძაფრდა, როცა პეკუშემ განაცხადა, ბუდიზმი არანაკლებ მომწონსო.

მღვდელმა ხარხარი მორთო.

— ჰა, ჰა, ჰა! ბუდიზმი!

ქ-ნმა დე ნოარმა ხელები გაასავსავა:

— ბუდიზმი!

— როგორ... ბუდიზმი? — გაიმეორა გრაფმა.

— იცნობთ თქვენ მას? — ჰკითხა პეკუშემ ბ-ნ ჟეფრუას. იგი შეცბა.

— მაშ, იცოდეთ! უფრო ადრე და უკეთ, ვიდრე ქრისტიანობამ, მან აღიარა ამქვეყნიური არარაობა. მისი ადათ-წესები უფრო დიდებულია, მისი მიმდევარნი ქრისტიანებზე უფრო მრავალრიცხოვანნი არიან, ხოლო რაც შეეხება განკაცებას, ვიშნუ ერთხელ კი არა, ცხრაჯერ განკაცდა! თვითონ განსაჯეთ!

— ეგ მოგზაურთა მოგონილია! — თქვა ქ-ნმა დე ნოარმა.

— თან ფრანკმასონებიც მხარს უჭერენ, — დასძინა მღვდელმა.

და ყველა ერთად ალაპარაკდა.

— მერე რა, განაგრძეთ!

— ძალიან კარგია!

— ჩემი აზრით, სასეიროა!

— აბა, რას ბრძანებთ!

პეკუშე გაჯავრდა და განაცხადა, ბუდიზმს ვიწამებო.

— თქვენ შეურაცხყოფთ ქრისტიან ქალებს! — უთხრა ბარონმა.

ქ-ნი დე ნოარი სავარძელში ჩაიკეცა. გრაფის მეუღლე და იოლანდა დუმდნენ. გრაფს თვალებიდან ცეცხლი სცვიოდა. ჰიურელი განკარგულებას ელოდა. მღვდელი ლოცვანს კითხულობდა, რათა თავი შეეკავებინა.

ამ სანახაობამ ბ-ნი ფაევერჟი დაამშვიდა, ორივე მეგობარს ჩაეკვირდა და უთხრა:

— როცა წარსული დალაქავებულია, ვიდრე სახარებას ვაძაგებდეთ, უმჯობესია, ის ლაქა ჩამოვრეცხოთ...

— ჩამოვრეცხოთ?

— ლაქა?

— კმარა, ბატონებო! თქვენ უნდა გამიგოთ!

შემდეგ ფუროს მიმართა:

— სორელმა ყველაფერი იცის. წადით მასთან!

ბუვარი და პეკუშე ისე წავიდნენ, რომ არ გამოსალმებიან.

ხეივნის ბოლოს სამივემ გამოთქვა თავისი აღშფოთება.

— ისე მეპყრობიან, როგორც ლაქიას, — ბუზღუნებდა ფურო.

და, რადგან ორივე თანამგზავრმა მხარი აუბა, მიუხედავად ბუასილის მუწუკების გახსენებისა, თითქოს სიმპათია იგრძნო მათდამი.

მინდორში გზატკეცილი გაჰყავდათ. მათთან მივიდა სამუშაოთა ხელმძღვანელი. ეს გორჟიუ იყო. ერთმანეთს გამოესაუბრნენ. იგი მეთვალყურეობდა გზის მოკირწყვლას, რაც 1848 წელს დაიწყო. ეს ადგილი ინჟინერმა მაჰიურომ უშოვა, იმან, ვინც გრაფ დე ფავერჟის ქალიშვილის შერთვას აპირებს.

— თქვენ ალბათ იმათგან მოდიხართ?

— უკანასკნელად! — ტლანქად მიუგო პეკუშემ.

გორჟიუმ გულუბრყვილო სახე მიიღო.

— წაიჩხუბეთ? ოჰო!

და რომ შესძლებოდათ მისი სახის დანახვა, როცა განშორდნენ, გაიგებდნენ, რომ იგი ჩხუბის მიზეზს მიხვდა.

ცოტა მოშორებით ისინი მიადგნენ ღობეს, რომლის გადაღმა მოჩანდა ძაღლების ხულა და წითელი კრამიტით დახურული პატარა სახლი.

ზღურბლზე ვიქტორინა იდგა. გაისმა ძაღლის ყეფა. გამოვიდა ტყის მცველის ცოლი.

მან იცოდა, მერი რისთვის მივიდა და ვიქტორინას დაუძახა.

ყველაფერი წინასწარ იყო მომზადებული და მათი ბარგი გახვეული იყო ქინძისთავებით დამაგრებულ კარვის ტილოებში.

— გზა მშვიდობისა! — უთხრა მათ ქალმა. — რა მიხარია, რომ ამ საძაგლობას მოვშორდი!

განა მათი ბრალია, რომ კატორღელის შვილები არიან? პირიქით, გარეგნულად მეტად თვინიერი ბავშვები ჩანდნენ და არც კი უკითხავთ, სად მიგყავართო.

ბუვარი და პეკუშე ხვდებოდნენ, როგორ მიდიოდნენ ისინი წინ. ვიქტორინას თავისი ნაკრაული ისე მიჰქონდა, როგორც მოდისტ

ქალს მუყაოს კოლოფი, და რაღაცას გაუგებრად ღიღინებდა. ზოგჯერ უკან მოიხედავდა და პეკუშე მის ქერა კულულებსა და მშვენიერ ტანს რომ ხედავდა, ნანობდა, რატომ ასეთი ქალიშვილი არ მყავსო: სხვა პირობებში რომ აღზრდილიყო, მშვენიერი ქალიშვილი დადგებოდა, იგიც სიამოვნებით ადევნებდა თვალს, როგორ გაიზრდებოდა, ყოველდღე გაიგონებდა მის ჭიკჭიკს, როცა მოუნდებოდა, აკოცებდა. გული ისე აუჩუყდა, ყელში მიებჯინა, უპეები დაუსველდა და ერთგვარი სევდა შემოაწვა.

ვიქტორს თავისი ბარგი ზურგზე ეკიდა, როგორც ჯარისკაცს. უსტვენდა, ნახნავში მჯდომ ყვავებს ქვას ესროდა, ხეებს წკეპლებს აჭრიდა. ფურომ მიიხმო. ბუვარმა ხელი გამოართვა და ტკბებოდა, როცა მუჭში ბავშვის მაგარ და ღონიერ თითებს გრძნობდა. საბრალო პატარას ნება უნდა მისცე თავისუფლად იზარდოს, როგორც ყვავილი იზრდება მინდორში! ამას კი ჭკნობა. მოელის ოთხ კედელში სწავლის, წკეპლებისა და ბევრი სხვა სისულელის გამო! ბუვარს დაეუფლა აღშფოთება, სიბრალული, გულისწყრომა ბედისადმი, გააფთრების ერთ-ერთი შეტევა, როცა გინდა მთავრობა დაამხო.

— იხტუნე, — უთხრა მან, — იმხიარულე! დასტკბი თავისუფლების უკანასკნელი დღით!

ბავშვმა მოჰკურცხლა.

მას დასთან ერთად ღამე ფუნდუკში უნდა გაეთია. ფალეზის ფოსტალიონმა იკისრა ვიქტორი დილაადრიან მიეყვანა ბობურის გამოსასწორებელ სახლში, ვიქტორინას წასაყვანად კი მონაზონი მოსულიყო გრან-კანის ობოლთა თავშესაფარიდან.

ფურომ ეს დაწვრილებითი ცნობები გადასცა და კვლავ თავის ფიქრებში ჩაეფლო. მაგრამ ბუვარს უნდოდა გაეგო, რა დაჯდებოდა ორი ბავშვის შენახვა.

— ასე... რაღაც სამას ფრანკამდე! გრაფმა ოცდახუთი ფრანკი მომცა პირველი ხარჯისათვის. აი კრიჟანგი!

და ფურომ, რომელიც გულში მტკივნეულად განიცდიდა მისი შარფის გამო მიყენებულ შეურაცხყოფას, ფეხი აუჩქარა.

ბუვარმა წაიდუდუნა:

— მებრალებიან! სიამოვნებით ვიკისრებდი მათ მზრუნველობას.

— მეც, — თქვა პეკუშემ, რადგან ორივეს ერთი და იგივე აზრი მოუვიდა თავში.

— ალბათ, ამას თან ახლავს რაიმე დაბრკოლება?

— არავითარი! — მიუგო ფურომ. — ამასთან, მე, როგორც მერს, უფლება მაქვს მიტოვებული ბავშვები მივანდო იმას, ვისაც ვსურს.

და დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ, უთხრა.

— მაშ კარგი! წაიყვანეთ! როგორ გაბრაზდება გრაფი!

ბუვარმა და პეკუშემ ბავშვები თავისთან წაიყვანეს.

შინ რომ დაბრუნდნენ, ნახეს, რომ კიბის ახლოს მარსელს მუხლი მოეყარა ღვთისმშობლის ხატის წინაშე და გულმხურვალედ ლოცულობდა. უკან თავგადაგდებული, თვალებმოხუჭული, ლაშებდაღებული, იგი გაშმაგებულ ფაკირს ჰგავდა.

— რა პირუტყვია! — თქვა ბუვარმა.

— რატომ? იქნებ ისეთ რამეს ჰვრეტს, რომ შენც შეგშურდება, რომ დაინახო. განა არ არსებობს ორი სრულიად განსხვავებული სამყარო? მსჯელობის საგანი ისე მნიშვნელოვანი არ არის, როგორც მსჯელობის ხერხი. რა ფასი აქვს სარწმუნოებას? მთავარია გწამდეს.

ასეთი იყო პეკუშეს შესიტყვება ბუვარის შენიშვნაზე.

## X

მათ შეიძინეს აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილი რამდენიმე წიგნი და აირჩიეს გარკვეული სისტემა. საჭირო იყო უარეყოთ მეტაფიზიკური იდეები, გამოეყენებინათ ექსპერიმენტული მეთოდი და თვალი ედევნებინათ ბუნებრივ თვისებათა განვითარებისათვის. აჩქარება საჭირო არ იყო, რადგან ორივე მოწაფისათვის უნდა დაეგიწყებინათ ის, რაც წინათ ესწავლათ.

თუმცა ბავშვები ძლიერ ჯანმრთელნი იყვნენ, მაგრამ პეკუშეს, როგორც სპარტანელს, სურდა უფრო გამოეწრთო ისინი, რომ აეტანა წყურვილი, შიმშილი, ავდარი და დაგლეჯილი ფეხსაცმელი ეტარებინათ, რათა სურდო აღარ შეჰყროდათ. — ბუვარი ამის საწინააღმდეგო იყო.

ბნელი საკუჭნაო, დერეფნის ბოლოს, ბავშვთა ოთახად გადაკეთდა. მისი მორთულობა იყო ორი უბრალო საწოლი, ორი ტახტი,

კათხა. სასთუმლებთან მრგვალი სარკმელი იყო; კედლებზე ობობები დაცოცავდნენ.

ბავშვებს ხშირად აგონდებოდათ წინანდელი ქოხი, სადაც ჩხუბი და ერთი აყალმაყალი იდგა ხოლმე.

ერთხელ ღამით მათი მამა შინ ხელებგასისხლიანებული დაბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ ჟანდარმები მოვიდნენ. მერე ბავშვები ტყეში ცხოვრობდნენ. ხის ფეხსაცმლის ოსტატები მათ დედას ეალერსებოდნენ. იგი რომ გარდაიცვალა, ბავშვები სადღაც წაიყვანეს ურმით. სასტიკად სცემდნენ. შემდეგ ბავშვები გაიქცნენ. მერე გაახსენდებოდათ ტყის მცველი, ქ-ნი დე ნოარი, სოფელი და, ანგარიშმიუცემლად, ამ ახალ სახლში თავს ბედნიერად გრძნობდნენ. ამიტომ უსიამოდ განცვიფრდნენ, როცა რვა თვის შემდეგ კვლავ გაკვეთილები დაიწყო. ბუვარმა გოგონას სწავლება იკისრა, პეკუშემ კი ბიჭისა.

ვიქტორი ასოებს არჩევდა, მაგრამ მარცვლების შეერთებას ვერ ახერხებდა. ენა ებმოდა, უეცრად შედგებოდა და ყეყეჩურ სახეს იღებდა. ვიქტორინა კითხვებს იძლეოდა: რატომ უნდა შევაერთოთ ხმოვნები ზოგჯერ, ზოგჯერ კი რატომ უნდა გავყოვო? ეს სწორი არ არისო.

და აღშფოთდნენ.

მასწავლებლები გაკვეთილებს ერთსა და იმავე დროს იწყებდნენ გვერდიგვერდ მდებარე ოთახებში და, რადგან ტიხარი თხელი იყო, საზიზღარ კაკოფონიას ქმნიდა. ეს რომ შეეწყვიტათ და ბავშვები შეჯიბრებისათვის წაეხალისებინათ, გადაწყვიტეს, ერთად დაესვათ მუზეუმში და იქ ესწავლებინათ წერა.

მოსწავლენი ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ და მაგალითებს იწერდნენ, მაგრამ სხეული სწორედ არ ეჭირათ, საჭირო იყო გასწორება, ქაღალდი ძირს უვარდებოდათ, კალმები უტყდებოდათ, მელანი ეღვრებოდათ.

ვიქტორინა ზოგჯერ სამიოდე წუთს კარგად მუშაობდა, შემდეგ ქაღალდი ეთხაპნებოდა, მოწყენილი გარინდდებოდა და ჭერს დაუწყებდა ცქერას. ვიქტორი მაგიდაზე გაწვებოდა და მალე ჩაეძინებოდა.

იქნებ, ეს მათ სტანჯავთ? მეტისმეტი დაძაბვა ვნებს ახალგაზრდების ტვინს.

— შევჩერდეთ! — უთხრა ბუვარმა, — მართალია, ზეპირი სწავლების მეთოდი ყველაზე უაზროა და თითქმის უშედეგო, მაგრამ თუ მეხსიერება არ ავარჯიშე, მას ატროფია მოელის.

და ბავშვებს ლაფონტენის პირველი არაკები გააზეპირებინეს. მათ მოეწონათ მომჭირნე ჭიანჭველა, მგელი, რომელმაც თიკანი შეჭამა; ლომი, მთელ კერძებს რომ ისაკუთრებს.

მერე ვიქტორი და ვიქტორინა გათამამდნენ და მთელი ბაღი გაანადგურეს. აბა, რა გასართობი უნდა მოეგონებინათ მათთვის?

ეან ეაკ რუსო „ემილში“ აღმზრდელს ურჩევს ასწავლოს აღსაზრდელებს, სათამაშოები საკუთარი ხელით გააკეთებინოს, თვითონ კი ცოტათი დაეხმაროს. ბუვარმა სერსო ვერ გააკეთა, პეკუშემ კი ბურთი ვერ შეკერა. მაშინ დაიწყეს გონების სავარჯიშო თამაში. მაგალითად, ფიგურების გამოჭრა. პეკუშემ მათ უჩვენა მიკროსკოპი. ბუვარი სანთლის შუქზე თითების ჩრდილით კედელზე აკეთებდა კურდღლის ან ღორის გამოსახულებას. მაყურებლებს ბოლოს და ბოლოს ეს მოწყინდათ.

ავტორები ურჩევენ, გასართობად კარგია საუზმობა ბუნების წიაღში, ნავით გასეირნებაო. მართლაც კარგია თუ არა ეს? ფენელონი კი გვირჩევს „უწყინარ საუბარს“ ხანდახან ვერც ერთი ვერ მოიფიქრებს!

კვლავ გაკვეთილებს მიუბრუნდნენ. პატარა ოთხკუთხედები, ქაღალდის ნაწკაპები, მოძრავი ანბანი — არაფერი არ გამოვიდა. მაშინ ეშმაკობას მიმართეს.

რადგან ვიქტორი ღორმუცელა იყო, მას უჩვენებდნენ რაიმე საჭმლის სახელს, რის გამოც მალე ისწავლა ფ რ ა ნ გ უ ლ ი ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო წ ი გ ნ ი ს სხაპასხუპით კითხვა. ვიქტორინას კოხტაობა უყვარდა, კაბას დაჰპირდნენ, თუ თვითონ მისწერდა მკერავს. სამ კვირასაც არ გაუვლია, რომ მან ეს სასწაული მოახდინა. ეს იმას ნიშნავდა, რომ წაეხალისებინათ მათი ნაკლოვანებანი, ეხმარათ აკრძალული ილეთი, მაგრამ ამან მიზანს მიაღწია.

ახლა კი, როცა წერა-კითხვა უკვე იცოდნენ, რა უნდა ესწავლებინათ? კვლავ საგონებელში ჩავარდნენ.

გოგონებს არ ესაჭიროებათ ისეთი სწავლულები იყვნენ, როგორც ბიჭები. ამიტომ მათ, ჩვეულებრივ, სრულიად უვიცებად

ზრდიან და მთელი მათი გონებრივი ავლადიდება მისტიკური სისულელეებია.

შეასწავლონ თუ არა მათ ენები? „ესპანური და იტალიური, — ამტკიცებს სინ დე კამბრე, — ხელს უწყობს მხოლოდ საშიში წიგნების კითხვას“. ასეთი მოსაზრება მათ უაზროდ ეჩვენათ. თუმცა ვიქტორინას სრულებით არ სჭირდებოდა მათი ცოდნა, ინგლისური უფრო გამოსადეგია. პეკუშე შეუდგა ამ ენის წესების შესწავლას, სერიოზული სახით უჩვენებდა, როგორ უნდა წარმოეთქვა.

— გესმის, აი ასე: სთი, სთი, სთი!

მაგრამ, ვიდრე ბავშვს სწავლას დააწყებინებდე, საჭიროა იცოდე მისი მიდრეკილებანი. ეს კი შეიძლება გამოარკვიო ფრენოლოგიის მეშვეობით. მეგობრები შეუდგნენ მის შესწავლას. შემდეგ მოისურვეს მისი მონაცემები თავიანთ თავზე შეემოწმებინათ. ბუვარს აღმოაჩნდა კეთილმოსურნეობის, წარმოსახვის, ზრდილობის, აგრეთვე სიყვარულის ენერგიის — ეროტიზმის კვანძები.

პეკუშეს საფეთქლებზე მოისინჯებოდა ფილოსოფიისა და ცბიერებასთან შეზავებული აღტაცების კოპი.

მართლაც ისეთი თვისება ჰქონდათ. უფრო გაოცდნენ, როცა აღმოჩნდა, რომ ორივეს მეგობრობისადმი მიდრეკილება ჰქონდა. ამით მოხიბლულნი, გულწრფელად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

შემდეგ გასინჯეს მარსელი. მისი უდიდესი ნაკლი, რაც მეგობრებისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, მეტისმეტად დიდი მადა იყო. მიუხედავად იმისა, ბუვარსა. და პეკუშეს შეეშინდათ, როცა ყურის ზემოთ, თვალის სწორად აღმოაჩინეს გაუმაძღრობის ორგანო, დროთა მანძილზე მათი მოსამსახურე ალბათ დაემსგავსება სალპეტრიერელ ქალს, რომელიც დღეში რვა კილო პურს ჭამდა, ერთხელ კერძი წვნიანი შეხვრიპა, ხოლო მეორეჯერ სამოცი ფინჯანი ყავა დალია. ამისათვის მეგობრებს ფულიც კი არ ეყოფოდათ.

მათი აღსაზრდელების თავის ქალა შესანიშნავი არაფრით არ აღმოჩნდა. ალბათ ჯერ კიდევ კარგად ვერ იკვლევდნენ, მაგრამ ხმარობდნენ მეტად უბრალო საშუალებას, რათა ხელი გაეწაფათ.

ბაზრობის დღეებში მუდამ მოედანზე ირეოდნენ გლეხებში, დაძვრებოდნენ, ქერიან ტომრებს, ყველიან კალათებს, ხარებს, ცხენებს შორის, ყურადღებას არ აქცევდნენ მუჯლუგუნებს და, როცა

ვინმე ბიუს შეხვდებოდნენ, მამამისს ნებართვას სთხოვდნენ მეცნიერულად გაესინჯათ მისი თავის ქალა.

უმეტეს შემთხვევაში მათ პასუხსაც კი არ აძლევდნენ. ზოგჯერ ეგონათ, თმის საცხის ან საღებავისთვის უნდათო და, გაჯავრებულნი, უარს ეუბნებოდნენ. მაგრამ შეხვდებოდნენ ხოლმე გულგრილ ადამიანებსაც, რომლებიც თანხმდებოდნენ ეკლესიის მოედანზე წასულიყვნენ, სადაც უფრო მშვიდად შეუდგებოდნენ საქმეს.

ერთხელ, როცა ბუვარი და პეკუშე თავიანთი საქმით იყვნენ გართულნი, უეცრად საიდანღაც მღვდელი გაჩნდა და, მათი საქმიანობა რომ დაინახა, ფრენოლოგიას მისდგა თავისებურად, აქაოდა მატერიალიზმსა და ფატალიზმს იწვევსო.

— ყოველ ქურდს, მკვლელს, მრუშს შეუძლია ახლა თავის გასამართლებლად კოპები დაიმოწმოს.

ბუვარმა უპასუხა, ორგანო განაწყობს ქმედებისათვის, მაგრამ ძალას როდი ატანსო. იმ გარემოებიდან, რომ კაცს აქვს მანკიერი მონაცემები, სულაც არ გამომდინარეობს, რომ იგი მანკიერი იქნებაო.

— ყოველ შემთხვევაში, მაკვირვებენ მართლმორწმუნე ადამიანები: თანდაყოლილ იდეებს იცავენ და უარყოფენ მიდრეკილებას. რა წინააღმდეგობაა!

მაგრამ ფრენოლოგია, ბატონ ჟეფრუას აზრით, უარყოფს ღვთის ყოვლისშემძლეობას და ამიტომ შეუწყნარებელია მისი ქადაგება წმიდა ადგილზე, ზედ საკურთხეველის წინ.

— წადით აქედან, გეუბნებით, წადით!

მეგობრები დალაქ განოსთან მივიდნენ. ყოველგვარი ყოყმანი რომ თავიდან აეცილებინათ, ბუვარი და პეკუშე ბავშვების მშობლებს თმისგაკრეჭას ან დახუჭუჭებას სთავაზობდნენ.

ერთხელ, ნასადილევს, თმის გასაკრეჭად ექიმი შევიდა. სავარძელში რომ ჩაჯდა, სარკეში თვალი მოჰკრა ორივე ფრენოლოგს, ბავშვებს რომ თავზე ხელს უსვამდნენ.

— ახლა ეს სისულელე დაიწყეთ? — ჰკითხა მან.

— რატომ სისულელე?

ვოკორბეიმ ზიზღით ჩაიცინა. შემდეგ დაიწყო მტკიცება, ტვინში სხვადასხვა ორგანო არ არსებობსო. მაგალითად, ერთი ვინმე ინელებს ისეთ საჭმელს, რასაც მეორე ვერ ინელებს! განა კუჭში უნდა

ვივარაუდოთ იმდენი კუჭი, რამდენიც სხვადასხვა გემოვნებაა? ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლისას ისვენებ, გონებრივი ძალა ერთბაშად ყველა უნარს როდი ძაბავს, თითოეულ მათგანს თავისი გარკვეული ადგილი აქვს.

— ანატომებს ეს არ შეუნიშნავთ, — უთხრა ვოკორბეიმ.

— იმიტომ რომ ცუდად მუშაობენ, — მიუგო პეკუშემ.

— როგორ?

— რა თქმა უნდა! ისინი ფენებს ჭრიან და ყურადღებას არ აქცევენ ნაწილების შეერთებას, — ეს ფრაზა ერთი წიგნიდან ვაისწავლა.

— რა უაზრობაა! — წამოიძახა ექიმმა, — თავის ქალა ტვინის ფორმის მიხედვით როდია ჩამოსხმული, გარეგანი შინაგანის მიხედვით. გალი ცდება. ხომ არ ინებებთ, მისი მოძღვრება დაამტკიცოთ ამ დუქანში შემთხვევით არჩეულ სამ სუბიექტზე?

პირველი იყო ცისფერთვალა გლეხი ქალი.

პეკუშემ იგი გასინჯა და თქვა:

— კარგი მეხსიერება აქვს.

მისმა ქმარმა ეს გარემოება დაადასტურა და სთხოვა, ახლა მე გამსინჯეო.

— ო, ჩემო კარგო, თქვენი დაყოლიება არც თუ აგრე ადვილია.

სხვებმა დაადასტურეს, მაგისთანა ჯიუტი მთელ ქვეყანაზე არ მოიპოვებაო.

მესამედ პატარა ბიჭი გასინჯეს, ბებიას რომ ახლდა.

პეკუშემ განაცხადა, ამას ალბათ მუსიკა უყვარსო.

— მართალია, — თქვა დედაბერმა, — აბა უჩვენე ბატონებს შენი ოსტატობა.

ბავშვმა უბიდან სალამური ამოიღო და ჩაბერა.

გაისმა ბრახუნი. ექიმმა კარი მაგრად გაიბრახუნა.

მეგობრებს თავიანთი ცოდნა აღარ ეეჭვებოდათ, თავიანთ მოწაფეებს დაუძახეს და შეუდგნენ მათი თავის ქალის შესწავლას.

ვიქტორინას თავის ქალა საერთოდ შერწყმული იყო, რაც სიდინჯეს და თვინიერებას მოწმობდა, მაგრამ მისი ძმის თავის ქალა სავალალო იყო: კინკრიხოს ძვლების მკვეთრი შვერილები ძუძუსებრ კუთხეებში უჩვენებდნენ მიდრეკილებას ნგრევისადმი, მკვლელობისადმი, ხოლო ამობურცულობა ცოტათი ქვემოთ მოასწავებდა

გაუმაძღრობას, ქურდობის ნიშანს, ამის გამო ბუვარი და პეკუშე მთელი ერთი კვირა დარდობდნენ.

მაგრამ საჭიროა ზუსტად გავიგოთ სიტყვების აზრი. ჩხუბისთავი, სიკვდილის არად ჩაგდებას გულისხმობს. ვისაც კაცის კვლის უნარი აქვს, მას შეუძლია აგრეთვე გადაარჩინოს დასაღუპავად განწირულნი. ანგარების მოყვარეობა შეიცავს როგორც გაიძვერების საზრიანობას, ისე კომერსანტების აღტყინებას, უპატივცემულობა კრიტიკული სულისკვეთების პარალელური თვისებაა, ეშმაკობა — წინდახედულობისა. ყოველ ინსტინქტში შეინიშნება გაორება კარგისა და ცუდისა. მეორე შეიძლება დაითრგუნოს პირველის განვითარებით, და ამგვარი მეთოდის მეოხებით გაბედული ბავშვი არა თუ ყაჩაღი არ გახდება, არამედ გენერლობასაც მოიპოვებს. მხდალი გამოიჩენს მხოლოდ სიფრთხილეს, ძუნწი — მომჭირნეობას, მფლანგველი — სიუხვეს.

ისინი გაიტაცა მშვენიერმა ოცნებამ: თუ თავიანთი მოწაფეების აღზრდა მოახერხეს, შემდეგ დააარსებენ სასწავლებელს, რომლის მიზანი იქნება გამოასწოროს გონებრივი მანკიერებანი, მოათვინიეროს სხვადასხვანაირი ხასიათი, გააკეთილშობილოს გულები. ისინი უკვე ლაპარაკობდნენ ხელმოწერისა და მშენებლობის დაწყებაზე.

განოს სადალაქოში მოპოვებულმა წარმატებამ სახელი გაუთქვა მეგობრებს და მათთან სათათბიროდ მოდიოდნენ ადამიანები, რომლებსაც უნდოდათ შეეტყოთ, ბედი გვეწვევა თუ არაო.

როგორი თავის ქალა არ ნახეს: ბურთობისებრი, მსხლისებრი, შაქრის თავისებრი, კვადრატული, წაგრძელებული, წოწოლა, გაჭყლეტილი, ზოგს ხარს უგავდა ყბები, ზოგს ფრინველის სახე ჰქონდა, ზოგს კიდევ ღორივით თვალები. მაგრამ ამდენი ხალხი ხელს უშლიდა დალაქს. იდაყვებით ეხლებოდნენ მინის კარადას, რომელშიც პარფიუმერიის საქონელი ეწყო, ფანტავდნენ სავარცხლებს, გატეხეს პირსაბანი, და მან გარეთ გაყარა ფრენოლოგიის ყველა მოყვარული, ბუვარსა და პეკუშეს კი წინადადება მისცა, მათ კვალს გაჰყოლოდნენ. მათ უდრტვინველად მიიღეს ეს ულტიმატუმი, რადგან თვითონაც დაიღალნენ ქალასმცოდნეობით.

მეორე დღეს. კაპიტნის ბაღს რომ ჩაუარეს, დაინახეს ჟირბალთან და კულონთან მოსაუბრე ეკლესიის დარაჯი და მისი უმცროსი ვა-

ჟიშვილი ზეფირენი. მას კლიროსის მგალობლის ახალი ტანისამოსი ჩაეცვა და კოხტაობდა, ვიდრე საშესამოსლოს ჩააბარებდა.

პლაკევანმა ბატონ მემამულეებს სთხოვა, შვილი გამისინჯეთო, რადგან მათი აზრი აინტერესებდა.

ბავშვს შუბლის კანი თითქოს დაჭიმული ჰქონდა. თხელი, ბოლოზე მეტად ხრტილოვანი ცხვირი; ალმაცერად ეშვებოდა მოკუმულ ტუჩებზე, ნიკაპი წვეტიანი, თვალები დაცეცებული, მარჯვენა მხარი მეტად აწეული ჰქონდა.

— მოიხადე ეგ შენი სკუფია, — უთხრა მამამ.

ბუვარმა თითები ბავშვის ჩალისფერ თმაში შეაცურა, შემდეგ იგივე განიმეორა პეკუშემ და მერე ჩურჩულით გაუზიარეს ერთმანეთს თავიანთი დაკვირვებანი.

— ნამდვილი ბ ი ო ფ ი ლ ი ა ა. აჰ! აჰ! ა პ რ ო ბ ა ტ ი უ ლ ო ბ ა! აკლია სინდისიერება! არავითარი ს ქ ე ს ო ბ რ ი ვ ი წ ა დ ი ლ ი!

— აბა, როგორაა საქმე? — იკითხა დარაჯმა.

პეკუშემ საბურნუთე გახსნა და თუთუნი დაყნოსა.

— უნდა გამოვტყდე, — უთხრა ბუვარმა, — დასაკვეხნი არაფერია.

— პლაკევანი შეურაცხყოფის გამო წამოწითლდა.

— ჩემს ნებას მაინც შეასრულებს.

— ოჰო!

— მე ხომ მისი მამა ვარ, დასწყევლოს ეშმაკმა! უფლება მაქვს...

— რამდენადმე, — გააწყვეტინა პეკუშემ.

საუბარში ჟირბალი ჩაერია.

— მშობლის ავტორიტეტი უდავოა.

— თუკი მამა იდიოტია?

— სულ ერთია, — უპასუხა კაპიტანმა,—მშობლის ძალაუფლება მაინც განუსაზღვრელია.

— შვილების ინტერესებისათვის, — დასძინა კულონმა.

ბუვარმა და პეკუშემ განაცხადეს, შვილები არაფრით არ არიან მოვალენი იმათ წინაშე, ვინც ისინი ამქვეყნად გააჩინა, პირიქით, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ ისინი, ასწავლონ, მოუარონ, მოკლედ ყველაფერი აკეთონ მათთვისო.

ბურჟუები აღაშფოთა ასეთმა უზნეო შეხედულებამ. პლაკევანმა იგი პირად შეურაცხყოფად მიიღო.

— ერთი ისინი გამოგივლენ კარგები, შარაგზაზე რომ იპოვეთ! შორს წავლენ! უფრთხილდით!

— გასაფრთხილებელი რა გვჭირს? — მკვახედ მიუგო პეკუშემ.

— ო, მე თქვენი არ მეშინია!

— არც მე მეშინია თქვენი!

კულონი დავაში ჩაერია, დარაჯი დაამშვიდა და გაისტუმრა.

რამდენიმე წუთს დუმილი გამეფდა. შემდეგ სიტყვა ჩამოვარდა კაპიტნის ყვავილებზე; მასპინძელმა, სანამ ზედიზედ არ აჩვენა ყველა, და სტუმრებიც არ გაუშვა.

ბუვარი და პეკუშე შინ რომ მიდიოდნენ, გზაში შენიშნეს პლაკევანი და მის გვერდით მიმავალი ზეფირენი, რომელსაც იდაყვი ფარიგით აღემართა, რომ თავი დაეცვა მამის დარტყმებისაგან.

ის, რაც მეგობრებმა მოისმინეს, ერთგვარად გამოხატავდა გრაფის აზრებს, მაგრამ ისინი თავიანთი მოწაფეების მაგალითით უჩვენებენ, თუ რამდენად ჯობია თავისუფლება ძალადატანებას. თუმცა, გარკვეული დისციპლინა მაინც საჭიროა.

პეკუშემ გრიფელის დაფა დაჰკიდა კედელზე მუზეუმში. გადაწყდა ეწარმოებინა დღიური, რომელშიც საღამოს ჩაწერდა ბავშვების ყოფაქცევას და მეორე დღეს გადაიკითხავდა. ყველაფერი ზარის ხმას უნდა დაქვემდებარებოდა. დიუპონ დე ნემურის მსგავსად, ჯერ მშობლების ბრძანებას გამოიყენებენ, მერე სამხედრო ბრძანებას, შენობით მიმართვა კი აკრძალული იყო.

ბუვარი ცდილობდა ანგარიში ესწავლებინა ვიქტორინასათვის. ზოგჯერ მოქმედებანი აერეოდათ და ორივე იცინოდა. შემდეგ გოგონა ყელზე აკოცებდა ხოლმე, იქ, სადაც წვერი არ იზრდება, და გამიშვიო, ეტყოდა. ისიც ნებას დართავდა.

პეკუშე გაკვეთილების დროს ამაოდ რეკდა ზარს და ფანჯრიდან გაჰყვიროდა სამხედრო ბრძანებას, ბიჭი ყურსაც არ იბერტყავდა. წინდები მუდამ ჩაჩაჩული ჰქონდა, სუფრაზეც კი ცხვირს იჩიჩქნიდა და გაქარვას არ იკავებდა. ბრუსეს აზრით, ამისათვის დასჯა არ შეიძლება, რადგან „უნდა დავემორჩილოთ მცველი ინსტინქტის მოთხოვნას“.

და-ძმა საშინელ სიტყვებს ხმარობდა. მაგრამ რაკი გრამატიკა ძნელი გასაგებია ბავშვისათვის, ხოლო მის წესებს იოლად შეითვისებენ, თუ სწორი ლაპარაკი ესმით, ამიტომ ორივე მეგობარი ისე

მკაცრად ადევნებდა ყურს საკუთარ მეტყველებას, რომ კიდევაც იღლებოდა.

გეოგრაფიის საკითხებში ვერ შეთანხმდნენ. ბუვარის აზრით, უფრო ლოგიკური იქნებოდა გეოგრაფიის სწავლა მათი სასოფლო თემის აღწერით დაეწყოთ, პეკუშეს ფიქრობდა, რომ ჯერ მსოფლიოზე საერთო შეხედულება უნდა გაეცნოთ.

ქვიშისა და სარწყავის საშუალებით მას სურდა ეჩვენებინა, რა არის მდინარე, კუნძული, ყურე და ბოსტნის სამი კვალიც კი შესწირა სამი მატერიკის თვალსაჩინოებას, მაგრამ მსოფლიოს ქვეყნები არავითარი გზით არ შედიოდა ვიქტორის თავში.

ერთხელ, იანვრის ღამით, პეკუშემ იგი მინდორში გაიყვანა. გზაში ასტრონომიას აქებდა: მეზღვაურებს მოგზაურობაში ეხმარებაო. ასტრონომია რომ არ ყოფილიყო, კოლუმბი ამერიკას ვერ აღმოაჩენდა; ვალდებული ვართ, კოპერნიკის, გალილეისა და ნიუტონის მადლობელნი ვიყოთო.

ძლიერ ყინავდა და მუქლურჯ ცაში უთვალავი ვარსკვლავი ციმციმებდა. პეკუშემ თვალები აღაპყრო.

— როგორ, დიდი დათვის თანავარსკვლავედი არ ჩანს?

როცა უკანასკნელად იგი დაინახა, სხვა მხრისაკენ იყო მიმართული. ბოლოს, როგორღაც იქნა, იპოვა, მერე უჩვენა პოლარული ვარსკვლავი, რომელიც მუდამ ჩრდილოეთშია, და მით ვიკვლევთ გზას.

მეორე დღეს შუაგულ სასტუმრო ოთახში სავარძელი დადგა და გარშემო ვალსის ცეკვით შემოუარა.

— წარმოიდგინე, რომ ეს სავარძელი მზეა, მე კი მიწა ვარ; იგი ასე მოძრაობს.

ვიქტორი განცვიფრებული უცქერდა.

მერე ფორთოხალი აიღო, შუაგულში ჩხირი გაუყარა, რათა პოლუსები აღენიშნა კანზე, ნახშირით ხაზი შემოავლო — ეს ეკვატორიაო. და სანთლის გარშემო დაატრიალა, თანაც ვიქტორის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ზედაპირის ყველა წერტილი სხვადასხვა დროსაა გაშუქებული, რაც ჰავისა და კლიმატის სხვადასხვაობას განაპირობებსო; ხოლო წლის დროთა სხვადასხვაობა რომ ეჩვენებინა, ფორთოხალი დახარა, რადგან დედამიწა სწორად როდი დგას, რაც ბუნიობასა და ნაბუნიობას იწვევს.

ვიქტორმა ვერაფერი გაიგო. მან გაიფიქრა, დედამიწა გრძელ ჩხირზე ტრიალებს, ეკვატორი დედამიწაზე შემოჭერილი რგოლიაო.

პეკუშემ ატლასის დახმარებით აუწერა ევროპა, მაგრამ ბავშვი დააბრმავა აუარებელმა ხაზმა და ფერმა და სახელწოდებები ავიწყდებოდა. ქვაბულები და მთები სახელმწიფოებს არ შეესაბამებოდნენ, პოლიტიკური წყობილება გადახლართული იყო ფიზიკურთან. იქნებ, ყოველივე ეს ისტორიის შესწავლის დროს გამორკვეულიყო.

უფრო გონივრული იქნებოდა სოფლიდან დაეწყო, მერე გადასულიყო ოლქზე, დეპარტამენტზე, პროვინციაზე; მაგრამ რადგან შავინიოლს თავისი მატიანე არ გააჩნდა, იძულებული იყო საყოველთაო ისტორია ესწავლებინა.

ისტორია კი იმდენად მდიდარია, რომ პეკუშემ გაიფიქრა — იქიდან ჯერჯერობით ფაქტების მხოლოდ ესთეტიკურ სფეროთი უნდა დაკმაყოფილდეთო.

საბერძნეთის ისტორიიდან საკმარისი იყო: „ჩვენ ვიბრძოლებთ ჩრდილოეთში“, მოშურნე, არისტიდეს რომ განსადევნად გასწირავს, და ალექსანდრეს ნდობა თავისი ექიმისადმი. რომის ისტორიადან: კაპიტოლიუმის ბატები, სცევოლას სამფეხი, რეგულუსის პატარა კასრი. გვატიმოცინის ყვავილთა სარეცელი არსებითია ამერიკისათვის; რაც შეეხება საფრანგეთს, მას აქვს სუასონური ლარნაკი, წმ. ლუდოვიკოს მუხა, ჟანა დ'არკის სიკვდილი, ბეარნელი და მისი ქათმის წვნიანი. მასალა რამდენიც გნებავთ, თუ არ ჩავთვლით „ჩემთან, ოვერნ“ და „შურისმაძიებლის“ დალუპვას.

ვიქტორი ერთმანეთში ურევდა ადამიანებს, საუკუნეებსა და ქვეყნებს. პეკუშე არ აპირებდა ნატიფ მსჯელობაში ჩაეთრია; იგი, რადგან ფაქტების სიუხვე ნამდვილი ლაბირინთია.

იგი დაკმაყოფილდა საფრანგეთის მეფეთა ჩამოთვლით. ვიქტორს ისინი ავიწყდებოდა, რადგან ქრონოლოგია არ იცოდა. დიუმეშელის მნემონიკამ მეგობრებსაც კი ვერ გაუწია დახმარება, ვიქტორს რითი უშველიდა? აქედან დასკვნა: ისტორიის შესწავლა მხოლოდ ბევრი კითხვით შეიძლება. პეკუშეც აიძულებს მათ იკითხონ.

ხატვა სასარგებლოა მეტად ბევრ გარემოებაში. და აი პეკუშეს ეყო სითამამე, თვითონ ესწავლებინა ბიჭისათვის ხატვა — შავინიოლის ბუნების მიხედვით!

ბაიელმა წიგნის ვაჭარმა გამოუგზავნა ქაღალდი, საშლელი, ორი ყდა და ფანქრები ნაწარმოებთათვის, რომლებიც დამინული ჩარჩოებით უნდა დაეკიდათ მუზეუმის ოთახში.

დილაადრიან ადგებოდნენ, ჯიბეში ნატეხ პურს ჩაიდებდნენ და წავიდოდნენ. ბევრი დრო სჭირდებოდა ადგილმდებარეობის არჩევას. პეკუშეს სურდა ერთბაშად დაეხატა ყველაფერი, რაზეც ფეხი ედგა, შორეული ჰორიზონტი და ღრუბლები, მაგრამ სივრცე მუდამ ნთქავდა პირველ პლანს; მდინარე თითქოს ციდან ჩამოდიოდა, მწყემსი ფარაზე მოაბიჯებდა, ჩაძინებული ძაღლი გაქცეულს ჰგავდა. პეკუშემ თვითონ თავი გაანება ხატვას, რაკი გაახსენდა ოდესღაც წაკითხული განმარტება: ნახატი შედგება სამი აუცილებლობისაგან—ხაზის, მოტუშვის, შტრიხისა და, გარდა ამისა, მკაფიო ნაკვთისაგანო. მაგრამ ასეთის მოხაზვა შეუძლია მხოლოდ ხელოვანს. იგი ასწორებდა ხაზს, მონაწილეობას იღებდა მოტუშვაში, თვალს ადევნებდა შტრიხვას და ელოდებოდა შემთხვევას, რათა მკაფიო ხაზი გაევლო, მაგრამ ასეთი შემთხვევა არასოდეს არ მიეცა, რამდენადაც მისი მოწაფის პეიზაჟი წარმოუდგენელი რამ იყო.

მისი და, მასავით ზარმაცი, გამრავლების ცხრილზე ამთქნარებდა. რეგინა ხელსაქმობას ასწავლიდა და გოგონა ისე კოხტად ხმარობდა თითებს, როცა სავარძელს ბლანდავდა, რომ ბუვარს ამის შემდეგ მამაცობა არ ჰყოფნიდა არითმეტიკის გაკვეთილებით ეწვალებინა. როგორმე, სხვა დროს ვიმეცადინოთო. რა თქმა უნდა, ანგარიში და ხელსაქმე ოჯახში აუცილებელია, — შეესიტყვებოდა ხოლმე პეკუშე, — მაგრამ სისასტიკეა გოგოები მხოლოდ და მხოლოდ მომავალი ქმრისათვის ვზარდოთო. ყველას ხომ არ უწერია გათხოვება! მათ ბევრი რამ უნდა ვასწავლოთ, რათა მომავალში მამაკაცთაგან დამოუკიდებლად შეეძლოთ ცხოვრებაო.

შეიძლება გავაცნოთ სრულიად ჩვეულებრივი საგნები: ვუამბოთ, მაგალითად, რისგან შედგება ღვინო, და, როცა ვიქტორი და ვიქტორინა ამას მოისმენდნენ, უნდა გაემეორებინათ. ასევე მოექცა იგი კამფეტებს, ავეჯს, განათებას. მაგრამ სინათლეს მათთვის წარმოადგენდა ლამპა და მას არაფერი საერთო არ ჰქონდა კაჟის ნაპერწკალთან, სანთლის ალთან და მთვარის სინათლესთან.

ერთხელ ვიქტორინამ იკითხა:

— შეშა რატომ იწვის?

მისმა მასწავლებლებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს, რადგან წვის თეორია მათთვის უცნობი იყო.

ერთხელ ბუვარმა თავისი სიტყვა სადილის წინ დაიწყო და ნასადილევს დაასრულა; ჩამოთვალა საზრდოს ელემენტები და ბავშვები განაცვიფრა ფიბრინით, კაზეინით, ცხიმებით და წებოგვარათი.

მერე პეკუშემ მათ აუხსნა, როგორ ხდება სისხლის განახლება და მისი მიმოქცევის საკითხში დაიბნა.

რთული დილემაა, თუ ფაქტებს დავეყრდნობით, მათ შორის ყველაზე უბრალოც კი მეტად რთულ ახსნას მოითხოვს, ხოლო თუ უწინარეს ყოვლისა პრინციპს დავადგენთ, იძულებულნი ვართ დავიწყოთ აბსოლუტით, სარწმუნოებით.

რაზე შევჩერდეთ? შევუხამოთ ერთმანეთს ორგვარი სწავლება, რაციონალური და ემპირიული? მაგრამ ორმაგი ხერხი, ერთ მიზანს რომ ისახავს, პირუკუ მეთოდია. აჰ, ერთი ესეც!

ბუნებისმეტყველებაზე რომ რაიმე წარმოდგენა მიეცათ ბავშვებისათვის, მეგობრებმა სცადეს რამდენიმე სამეცნიერო გასეირნება მოეწყოთ.

— ხედავთ, — ამბობდნენ ისინი და უჩვენებდნენ ვირს, ცხენს, ხარს, — ცხოველებს, რომლებსაც ოთხი ფეხი აქვთ, ოთხფეხს ეძახიან. საერთოდ რომ ვთქვათ, ფრინველებს ბუმბული აქვთ, ქვეწარმავლებს — ქერცლი, პეპლები კი მწერთა კლასს განეკუთვნებიან.

მათ პეპლების საჭერი ბადე ჰქონდათ. პეკუშეს ფრთხილად ეჭირა ხელში პეპელა და ბავშვების ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ მწერს ჰქონდა ოთხი ფრთა, ექვსი ფეხი, ორი საცეცი ხორთუმი, რომლითაც ყვავილების მტვერს ისუნთქავდა.

პეკუშე სამკურნალო ბალახს აგროვებდა ხრამების პირას, ასწავლიდა მათ სახელებს, ხოლო რა სახელწოდებაც არ იცოდა, იგონებდა, რათა თავისი ავტორიტეტი არ შეებღალა. თუმცა, ნომენკლატურას ბოტანიკაში ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

მან დაფაზე ასეთი აქსიომა დაწერა: ყოველ მცენარეს აქვს ფოთლები, ჯამი და გვირგვინი, სადაც არის ნასკვი ანუ გარენაყოფი. მერე თავის მოწაფეებს უბრძანა, მინდვრებში მცენარეები დამიკრიფეთო.

ვიქტორმა ბაიები მოუტანა, ვიქტორინამ კი ერთი ბღუჯა მარ-წყვის ბალახი. პეკუშე ამაოდ უძებნიდა მათ გარენაყოფს.

თავის ცოდნაში დაეჭვებულმა ბუვარმა მთელი ბიბლიოთეკა გა-დაჩხრიკა და „ქალთა შიშში“ იპოვა ზამბახის ნახატი, სადაც ნასკვი-გვირგვინში კი არ იყო მოთავსებული, არამედ ფურცლების ქვეშ, ღერზე.

მათ ბაღში ხარობდა სუმბული, ქოთანა, ამ ენდროსებრ მცენა-რეებს ჯამი არ ჰქონდათ. ამრიგად, დაფაზე დაწერილი პრინციპი მცდარი იყო.

— ეს გამონაკლისია, — თქვა პეკუშემ.

მაგრამ შემთხვევას ენება, რომ ბალახში შერარდი ეპოვათ: მას ჯამი ჰქონდა.

— ერიჰაა! თუკი თვით გამონაკლისი სწორი არ არის, მაშინ ვის-ღა უნდა ვენდოთ?

ერთხელ, სეიტნობის დროს, ფარშევანგების ყვირილი გაიგონეს, ღობეზე გადაიხედეს და პირველ ხანს საკუთარი ფერმა ვერ იცნეს. კარაპანს კრამიტი ეხურა, ღობეები გაახლებული, გზები მოკენჭილი იყო. გამოვიდა ძია გუი.

— ნუთუ ეს თქვენ ბრძანდებით?

რა არ მომხდარა ამ სამი წლის განმავლობაში, იმის გარდა, რომ ცოლი გარდაეცვალა, თვითონ გუი წინანდებურადვე მაგრად არის, როგორც მუხა.

— ცოტა ხნით შემობრძანდით.

აპრილის დამდეგი იყო და აყვავილებული ვაშლის ხეები სამ ეზოში თეთრი და ვარდისფერი თაიგულებივით მოჩანდა. ცისფერი ატლასივით კამკამა ცა სრულიად მოწმენდილი იყო. გაჭიმულ თო-კებზე ხის სამაგრებით ეკიდა სუფრები, ზეწრები, ხელსახოცები. ძია გუიმ თოკები ასწია, რომ სტუმრებს გაევლოთ, და უეცრად დაინა-ხეს ქ-ნი ბორდენი, უბრალოდ ჩაცმული, თმადაუვარცხნელი, რო-მელსაც მარიანა ბღუჯა-ბღუჯად თეთრეულს აწვდიდა.

— ძალიან მოხარული ვარ, ბატონებო. მობრძანდით, როგორც თქვენს ოჯახში, მე კი დავჯდები, დავიტანჯე.

ფერმერმა ყველას თითო ჭიქა შესთავაზა.

— ჯერ არა, — უთხრა ქ-ნმა ბორდენმა, — ძალიან მცხელა.

პეკუშეს უარი არ უთქვამს და ძია გუის, მარიანასა და ვიქტორთან ერთად სარდაფში ჩავიდა.

ბუვარი მიწაზე დაჯდა, ქ-ნ ბორდენის ფერხთით.

იგი წესიერად იღებდა რენტას, ვერაფერზე შეედავებოდა და ქვრივზე უკვე აღარ ჯავრობდა.

ქალს სახეზე მზე დაჰნათოდა. ერთი შავი კულული ძირს ჩამოცურებოდა და წვრილი ხუჭუჭები კეფაზე ქარვისფერ ოფლიან კანს ეკვროდა. ბალახების კეთილსურნელება ქალის მაგარი სხეულის ხაამო სუნს ერთვოდა. და ბუვარმა იგრძნო ვნების ტალღა, რამაც გული სიხარულით აუვსო. მაშინ ქალს ქათინაური უთხრა მისი მამულის გამო.

ქალს ძლიერ ეამა და თავის გეგმებზე ალაპარაკდა. ეზოს გასაფართოებლად აპირებდა მიწაყრილი აეღო.

ამასობაში ვიქტორინა ფერდობზე დაბობღავდა და ფურისულას, სუმბულსა და იებს კრეფდა; გოგონას სულაც არ ეშინოდა ბებერი ცხენისა, ქვემოთ რომ ბალახს ხიხნიდა.

— ლამაზია, არა? — ჰკითხა ბუვარმა.

— დიახ, პატარა გოგონები მშვენივრები არიან!

და ქვრივმა ამოიოხრა, თითქოს ძველი ტკივილი გაიხსენაო.

— შესაძლოა, თქვენც გყოლოდათ გოგონა.

ქალმა თავი დახარა.

— და ეს მხოლოდ თქვენზე იყო დამოკიდებული.

— როგორ?

კაცმა ისე ახედა, რომ იგი მთლად აენთო, თითქოს ტლანქი ალერსი იგრძნოო, მაგრამ მყისვე ცხვირსახოცით გაიწიავა და უთხრა:

— შემთხვევა დაკარგეთ, ჩემო კარგო.

— არ მესმის.

არ წამომდგარა, ისე მიუჩოჩდა.

ქალი კარგა ხანს დასცქეროდა, შემდეგ გაიღიმა და თვალებს ცრემლი მიეძალა:

— ეგ თქვენი ბრალია.

ზეწრები რანულის ფარდებივით ეფარებოდა მათ.

კაცი იდაყვს დაეყრდნო და სახით მის მუხლებს ეხებოდა.

— რატომ? ა? რატომ?

და რადგან ქალი დუმდა, კაცი კი ისეთ მდგომარეობაში იყო, როცა ფიცი აღარად ღირს, შეეცადა თავი ემართლებინა, საკუთარ თავს აბრალებდა სიგიჟეს, სიამაყეს.

— მაპატიეთ! ვიყოთ წინანდებურად! გინდათ?

და ხელი მოჰკიდა, მას ხელი არ წაურთმევია.

ქარმა უეცრად დაბერა, ზეწარი აფრიალდა და მათ დაინახეს ფარშევანგი და დედალი ციცარი. ციცარი უძრავად იდგა, მუხლებმოღუნული, კურტუმაწეული. მამალი გარშემო უვლიდა; ბოლო გაეფხორა, კუტკუტებდა, მერე შეახტა, ფრთები დაუშვა, რითაც ფანჩატურივით დაეფარა და ორივე ფრინველი საერთო ცახცახმა აიტანა.

ბუვარმა ეს ცახცახი ქ-ნ ბორდენის ხელისგულში იგრძნო. ქალმა მყის გაითავისუფლა ხელი. მათს წინ პირდაღებული და გაშტერებული იდგა ახალგაზრდა ვიქტორი, ცოტა მოშორებით მზისგულზე ვიქტორინა იწვა გულაღმა და თავის დაკრეფილ ყვავილებს ყნოსავდა.

ფარშევანგის დანახვაზე დამფრთხალმა ბებერმა ცხენმა აიწყვიტა, ერთ-ერთ სარეცხიან თოკში გაეხვია; ეზოში გავარდა და სარეცხიც თან ათრია.

ქ-ნ ბორდენის კივილზე მარიანამ მოირბინა. ძია გუი ცხენს აგინებდა: „საზიზღარი ჯაგლაგი! ტიალი! ყაჩაღი!“ მუცელში წიხლს ურტყამდა, მათრახის ტარს ყურებზე სცემდა.

ბუვარი ცხოველის წვალებამ აღაშფოთა.

გლეხმა უპასუხა:

— ეს ჩემი უფლებაა, ცხენი მე მეკუთვნის!

უცნაური საბუთია!

პეკუშემ, რომელიც ის იყო მოვიდა, დასძინა, რომ ცხენებსაც აქვთ თავიანთი უფლება, რადგან აქვთ სული, როგორც ჩვენ, თუკი საერთოდ, ჩვენი სული არსებობს!

— რა უწმინდური ხართ! — წამოიძახა ქ-ნმა ბორდენმა.

სამ რამეს გამოჰყავდა იგი მოთმინებიდან: სარეცხი ხელახლა უნდა გაერეცხა, მისი რწმენა შეურაცხყვეს და შიშობდა, საეჭვო ყოფაში წამადგნენ თავსო.

— თქვენზე მე უკეთესი აზრისა ვიყავი, — უთხრა ბუვარმა.

ქალმა დამრიგებლურად უპასუხა:

— არ მიყვარს ქარაფშუტები.

გუიმ კი შეუტია, ცხენი გამიფუჭეთო. ცხენს ცხვირიდან სისხლი სდიოდა. მოხუცი თავისთვის ბუტბუტებდა:

— მუდამ უბედურება მოაქვთ, წყეულები!

მეგობრებმა მხრები აიჩეჩეს და წავიდნენ.

ვიქტორმა იკითხა, გუის რად გაუჯავრდითო.

— ბოროტად იყენებს თავის ძალას, ეს კი ცუდია.

— რატომ არის ცუდი?

ნუთუ ბავშვებს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ სამართლიანობაზე? ვინ იცის, იქნებ მართლაც.

იმავე საღამოს პეკუშემ, მხარმარჯვნივ რომ ბუვარი უჯდა, წინ კი — ორივე მოწაფე, ჩანაწერები ამოიღო და ზნეობის კურსის კითხვა დაიწყო.

ეს მეცნიერება გვასწავლის, როგორ განვაგებდეთ ჩვენს ყოფაქცევას.

ჩვენს ყოფაქცევას აქვს ორი მოტივი: კმაყოფილება, სარგებლობა და მესამე უფრო ძლიერი: მოვალეობა.

მოვალეობა ორგვარია:

1. მოვალეობა საკუთარი თავისადმი, რაც იმაში გამოიხატება, რომ იზრუნო შენი სხეულისათვის, დაიცვა იგი ყოველგვარი ზიანისაგან. ეს მათ ძალიან კარგად ესმოდათ.

2. მოვალეობა სხვებისადმი, რომელიც გვიბრძანებს, ვიყოთ მუდამ პატიოსანნი, თვინიერნი და განვიცდიდეთ ძმურ გრძნობებსაც კი, რადგან ადამიანთა მოდგმა ერთი საერთო ოჯახია. ხშირად რაც ჩვენ გვახარებს, სხვა ჩვენნაირებს ვნებს. სასარგებლო განირჩევა კეთილისაგან, რადგან სიკეთე თავისთავად არსებობს. ბავშვებმა ეს ვეღარ გაიგეს. პეკუშემ მოვალეობის სანქციის საკითხი შემდეგისათვის გადასდო.

ბუვარმა მას შენიშნა, კეთილის განმარტება არ მოგიციაო:

— შენი აზრით, როგორ უნდა განიმარტოს? ის უნდა იგრძნო.

— მაშინ ზნეობის გაკვეთილები მხოლოდ ზნეობის მქონე ადამიანებს გამოადგებათ, — და პეკუშეს კურსი ამაზე შეწყდა.

თავის მოწაფეებს საკითხავად ჭკუის დამრიგებლური ზღაპრები მისცა. მათ ვიქტორს ძილი მოჰგვარეს.

მისი წარმოსახვა რომ გაეძლიერებინა, პეკუშემ ბავშვის ოთახში

კედლებზე სურათები დაკიდა, რომლებიც გამოხატავდნენ კარგი და ცუდი ბიჭის ცხოვრებას.

პირველი, ადოლფი, ჰკოცნიდა თავის დედას, სწავლობდა გერმანულ ენას, მეგზურობას უწევდა ბრმა ბიჭს და მიღებულ იქნა პოლიტექნიკურ სკოლაში.

ცუდი ბიჭი ეჟენი არ უგონებს მამას, აყალმაყალს სტეხდა კაფეში, სცემდა თავის ცოლს, სიმთვრალით გონებადაკარგული მიწაზე გორაობდა, ამტვრევდა კარადას და უკანასკნელი სურათი მას გვიჩვენებდა კატორღაში, სადაც ვიღაც ბატონი თავის შვილს მიუთითებდა მასზე და ეუბნებოდა:

„ხედავ, შვილო, რაოდენ საშიშია ცუდი ყოფაქცევა“.

მაგრამ ბავშვებისათვის მომავალი არ არსებობს. რამდენიც არ უტენეს თავში: „შრომა საპატიოა, და ზოგჯერ მდიდრებიც უბედურები არიანო“, ისინი იცნობდნენ მშრომელებს, რომელთაც არავითარი პატივი არ მოუხვეჭიათ, და იგონებდნენ ციხედარბაზს, სადაც ადამიანები, მათი აზრით, კარგად ცხოვრობდნენ.

სინდისის ქენჯნას მათ ისე გაზვიადებულად უჩვენებდნენ, რომ ბავშვები ინსტინქტურად ხვდებოდნენ, ყველაფერი გამოგონილიაო, და შემდეგ აღარაფერი სჯეროდათ.

სცადეს გავლენა მოეხდინათ მათი ღირსების გრძნობაზე, საზოგადოებრივი აზრის ცნებაზე, პატივმოყვარეობაზე, აქებდნენ დიდ ადამიანებს, განსაკუთრებით, მას, ვისაც სარგებლობა მოაქვს, როგორიც არიან ბელზენსი, ფრანკლინი, ჟაკარი! ვიქტორს არავითარი სურკილი არ გამოუჩენია დამსგავსებოდა მათ.

ერთხელ, როცა უშეცდომოდ გამოიყვანა მიმატება, ბუვარმა ბლუზაზე მიაკერა პატარა ბაფთა ორდენით დაჯილდოების ნიშნად. იგი თავმომწონედ ატარებდა მას, მაგრამ როცა დაავიწყდა, როგორ გარდაიცვალა ჰანრი მე-4-ე, პეკუშემ ვირის ჩაჩი ჩამოაცვა ვირის თავზე. ვიქტორმა ისე ხმამაღლა და განუწყვეტლივ იწყო ვირივით ყროყინი, იძულებულნი გახდნენ მუყაოს ყურები მიეხსნათ.

მისი და, ისევე როგორც თვითონ, ამაყობდა, როცა აქებდნენ, და სრულიად გულგრილი იყო, როცა ძრახავდნენ.

მგრძნობიერება რომ განვითარებოდათ, ერთი შავი კატა აჩუქეს, რომლისთვისაც უნდა მოევლოთ. თანაც რამდენიმე სუ მისცეს, რაოა

ღარიბებისათვის დაერიგებინათ. ასეთი მოთხოვნა მათ უსამართლოდ ეჩვენათ, ეს ფული ჩვენ გვეკუთვნისო.

თავიანთ პედაგოგთა სურვილის თანახმად, ისინი ბუვარს ეძახდნენ „ძიას“, პეკუშეს კი—„კეთილ მეგობარს“, მაგრამ ორივეს „შენობით“ მიმართავდნენ და გაკვეთილების დროს ნახევარი დრო, ჩვეულებრივ, დავაში გადიოდა.

ვიქტორინა ბოროტად იყენებდა მარსელის გულკეთილობას, ზურგზე ეკიდებოდა, თმას აწიწკნიდა, დასცინოდა მის კურდღლის ტუჩს და მასავით დუდღუნებდა, საბრალო მსახური კი ჩივილს ვერ ბედავდა, ძლიერ უყვარდა გოგონა. ერთხელ, საღამოს მისი ჩახლეჩილი ხმა ერთობ ძლიერ გაისმა. ბუვარი და პეკუშე სამზარეულოში ჩავიდნენ. ორივე მოწაფე ღუმელს მისჩერებოდა, გულზე ხელებდაკრეფილი მარსელი კი გაიძახოდა:

— გამოიყვანეთ ეგ საბრალო! კმარა! კმარა!

ქვაბის სახურავი აფეთქებული ბომბივით ავარდა. რუხი რაღაც ჭერს მისწვდა, მერე გამალებული დატრიალდა ერთ ადგილზე და საზიზღრად აკუყირდა.

ბუვარმა და პეკუშემ იცნეს საშინლად დამჭვლეტებული, მთლად გაღვეპილი კატა, რომელსაც კუდი თოკს უგავდა, თვალები წამოსაცვენად გადმოკარკლოდა და რძის ფერი დასდებოდა, მაგრამ მაინც ხედავდა.

საზიზღარი ცხოველი ჭყაოდა, ბუხარში შევარდა, და მერე ნაცარში მკვდარი დაეცა.

ეს სიმკაცრე ვიქტორმა ჩაიდინა; ორივე გაფითრებულმა, გაოცებულმა და შეშინებულმა მეგობარმა უკან დაიხია მის წინაშე. მათს საყვედურზე ბიჭმა ისე უპასუხა, როგორც დარაჯმა თავის შვილზე, როგორც ფერმერმა თავის ცხენზე: შეცბუნებულმა, გულუბრყვილოდ, დაკმაყოფილებული ინსტინქტის სიმშვიდით.

— მერე რა? ის ხომ ჩემია!

მდუღარე იატაკზე დაიღვარა; ბუხრის წინ ეყარა ქვაბები, მაშები, შანდლები.

მარსელმა სამზარეულო დაალაგა, შემდეგ პატრონებმა და მან საბრალო კატა ბაღში დაფლეს.

ბუვარი და პეკუშე დიდხანს ლაპარაკობდნენ ვიქტორზე. მამამისის სისხლმა თავი იჩინა. როგორ მოიქცნენ? დაუბრუნონ დე ფა-

ვერეს ან სხვას ვისმე მიანდონ, ეს ხომ იმის მომასწავებელი იქნება, რომ თავიანთი უძლურება აღიარონ. იქნებ, ბავშვი გამოსწორდეს.

სულ ერთია! ნაკლები იმედი იყო, სინაზე გაქრა. არა და რა სასიხარულო იქნებოდა გვერდით გვყოლოდა ჭაბუკი, ვისთვისაც მახლობელია შენი ინტერესები, ვის წარმატებასაც თვალყურს ადევნებ და ვინც შემდეგ ძმობას გაგიწევს. მაგრამ ვიქტორს ნიჭი არ ჰყოფნიდა, გული კი სულაც არ გააჩნდა! პეკუშეს ხელები მუხლებზე შემოეწყო და ოხრავდა.

— არც მისი და არის უკეთესი, — თქვა ბუვარმა.

მას წარმოედგინა თხუთმეტიოდე წლის ქალიშვილი, გულისხმიერი, მხიარული, ოჯახს რომ სიტურფითა და ახალგაზრდობით ამშვენებს. და, თითქოს ნამდვილი მამა ყოფილიყოს, ქალიშვილი კი ეს არის გარდაცვლილიყოს. გულკეთილი მოხუცი ატირდა.

შემდეგ შეეცადა ვიქტორის გამართლებას და რუსოს აზრი მოიყვანა: „ბავშვი უპასუხისმგებლოა და არ შეიძლება იყოს არც ზნეობრივი და არც უზნეო“.

მაგრამ პეკუშემ თქვა, ეს ბავშვები უკვე შეგნებული არიანო, და მეგობრებმა დაიწყეს მსჯელობა გამასწორებელ ღონისძიებებზე. დასჯა მაშინ არის კარგი, ამბობს ბენტამი, როცა დანაშაულის თანამოზიარეა და მის შედეგს წარმოადგენს. თუ ბავშვმა ფანჯრის მინა გატეხა, ნუღა ჩასვამთ: დაე სიცივემ შეაწუხოს, თუ არ შია და საჭმელს მაინც ითხოვს, მიეცით: კუჭის აშლა მალე აგრძნობინებს სინანულს: თუ ზარმაცია, დაე უსაქმოდ იყოს: უქნარობა მალე მიბეზრდება და კვლავ იმუშავებს.

მაგრამ ვიქტორს სიცივე არ შეაწუხებდა, ზედმეტი ჭამა მისი ორგანიზმისათვის საშიში არ იქნებოდა, უსაქმურობა კი დიდად ასიამოვნებდა.

მათ აირჩიეს საწინააღმდეგო სისტემა, სამკურნალო სასჯელი: მისცეს ზედმეტი გაკვეთილები — იგი უფრო გაზარმაცდა, აღარ აჭამეს მურაბა — უფრო მსუნაგი გახდა. იქნებ, ირონიამ იქონიოს გავლენა? ერთხელ, როცა იგი ხელდაუბანელი მოვიდა საუზმეზე, ბუვარმა დასცინა, ყვითელთათმანიანი კოხტა-პრუწა უწოდა. ვიქტორი თავჩაღუნული უსმენდა, მერე უეცრად გაფითრდა და თეფში ესროლა ბუვარს. შემდეგ გაბრაზდა, როგორ ავაცდინეო, წამოიჭრა და საცემად შეუტია. სამმა ძლივს დააოკა. იატაკზე გორაობდა, იკბი-

ნებოდა. პეკუშემ შორიდან შეასხა წყალი სურით. იგი მყისვე დამშვიდდა, მაგრამ ორი დღით ხმა ჩაეხლიჩა. ეს საშუალება უშედეგო აღმოჩნდა.

ახლა სხვა ღონისძიება იხმარეს: როგორც კი გაჯავრებას შეატყობდნენ, მაშინვე, როგორც ავადმყოფს, ლოგინში დააწვენდნენ. ვიქტორი თავს მშვენივრად გრძნობდა და მღეროდა. როგორღაც ბიბლიოთეკაში ქოქოსის ძველი კაკალი ეპოვნა და ის იყო უნდა გაეტეხა, რომ პეკუშემ მოუსწრო.

— ეგ კაკალი ჩემია!

იგი დიუმუშელმა აჩუქა, პარიზიდან შავინიოლში ჩამოიტანა; აღშფოთებულმა ხელი აღმართა. ვიქტორმა ხარხარი მორთო. „კეთილმა მეგობარმა“ ვეღარ მოითმინა და ისე გაარტყა, რომ ოთახის კუთხეში მიაგდო. მერე მღელვარებისაგან აკანკალებული პეკუშე ბუვართან წავიდა საჩივლელად.

ბუვარმა გვარიანად შეახურა.

— შენც კაი სულელი ხარ, რა კაკალი შეგექმნა ამისთანა! ცემით ბავშვებს გონება უჩლუნგდებათ, შიში ნერვებს უშლით. თავს რისთვის იმდაბლებ?

პეკუშემ უპასუხა, ზოგჯერ ფიზიკური დასჯა საჭიროაო. მას იყენებდა პესტალოცი, სახელგანთქმული მელანხონი კი აღიარებს, უმოსოდ ვერაფერს ვერ ვისწავლიდიო. მაგრამ მკაცრ სასჯელს ბავშვები ზოგჯერ თვითმკვლელობამდე მიჰყავდა, ასეთი მაგალითები მოყვანილია წიგნებში. ვიქტორი თავის ოთახში ჩაიკეტა. ბუვარმა გარედან გამართა მასთან მოლაპარაკება და დაჰპირდა, ჯუ კარს გააღებ, ქლიავის ღვეზელს გაუმევო.

მას შემდეგ ბავშვი უარესად იქცეოდა.

დარჩა ერთი საშუალება, რასაც მონსიონიორ დიუპანლუ გვირჩევს: „მკაცრი შეხედვა“. მეგობრები ცდილობდნენ თავიანთი სახისათვის საშინელი გამომეტყველება მიეცათ. ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს.

— ისღა დაგვრჩენია, სარწმუნოება გამოვიყენოთ, — თქვა ბუვარმა.

პეკუშე არ დაეთანხმა. რელიგია მათ განდევნეს თავიანთი პროგრამიდან.

მაგრამ გონება ყველა მოთხოვნილებას ვერ გასწვდება. გულსა

და წარმოდგენას სხვა სულიერი მოთხოვნილება აქვთ. და მათ გადაწყვიტეს კატეხიზმოს გაკვეთილებზე გაეგზავნათ ბავშვები. რეგინამ იკისრა მათი წაყვანა. მან კვლავ იწყო მათთან სიარული და ბავშვების გული ალერსიანი მოპყრობით მოიგო.

ვიქტორინა ერთბაშად გამოიცვალა, გახდა თავშეკავებული, სიტყვამოთაფლული, მადონას წინაშე იჩოქებდა, აღტაცებული იყო აბრაამის მსხვერპლშეწირვით და სიტყვა პროტესტანტის გაგონებაზე ზიზღით ფრუტუნებდა ხოლმე.

მან განაცხადა, მარხულობა მიბრძანესო; შეამოწმეს, — ტყუილი გამოდგა: ქრისტეს სხეულის (გვამი უფლისას) დღეს ერთ კვალზე გაქრა მთელი იები, რომელთაც საკურთხეველი დაამშვენეს. გოგონა უტიფრად უარყოფდა, არ დამიკრეფიაო. ერთხელ კიდევ ბუვარს ოცი სუ მოჰპარა და მწუხრის ლოცვაზე მნათეს დაუდო ლანგარზე.

მეგობრებმა აქვდან დაასკვნეს, ზნეობა სარწმუნოებას არ ეგუება, მისი მნიშვნელობა მეორეხარისხოვანია, როცა სხვა საფუძველი არ გააჩნიაო.

ერთხელ საღამოს, როცა სადილად ისხდნენ, ბ-ნი მარესკო მოვიდა. ვიქტორი მაშინვე ადგა და გაიქცა.

ნოტარიუსმა დაჯდომა არ ისურვა და ვიზიტის მიზეზი აუხსნა: ახალგაზრდა ტუაშმა ჩემს ვაჟიშვილს ისე სცემა, კინაღამ მოკლაო.

რადგან ბავშვებმა ვიქტორის წარმოშობის ამბავი იცოდნენ და არ უყვარდათ, ამიტომ კატორღელს ეძახდნენ. ის იყო უტიფრად გაელახა ბ-ნი არნოლდ მარესკო. ძვირფას არნოლდს ნაცემის კვალი დააჩნდა სხეულზე.

— დედამისი სასოწარკვეთილია; ბავშვს კოსტიუმი შემოგლეჯილი აქვს, ჯანმრთელობა დაუზიანდა. ეს რასა ჰგავს?

ნოტარიუსი მოითხოვდა, რომ ვიქტორი მკაცრად დაესაჯათ და სხვებთან ერთად აღარ ევლო კატეხიზისის გაკვეთილებზე, რათა თავიდან აეცილებინათ ახალი შეტაკებანი.

თუმცა ბუვარი და პეკუშე გაანაწყენა მისმა ქედმაღლურმა ქილომ, მაინც ყველაფერს დაჰპირდნენ, რაც სურდა.

პატივმოყვარეობის გრძნობა ამოძრავებდა ვიქტორს თუ შურისგება? ყოველ შემთხვევაში, ლაჩარი არ იყო.

მაგრამ მისი უხეშობა მეგობრებს აშინებდა; მუსიკა ადამიანის

ბუნებას არბილებს. პეკუშეს აზრი მოუვიდა სოლფეჯიო ესწავლებინა.

ვიქტორმა დიდი გაპირვებით ისწავლა ნოტების გარკვევით კითხვა და ერთმანეთში არ ურევდა ტერმინებს: adagio-ს, presto-ს და storzando-ს.

მისი მასწავლებელი ცდილობდა აეხსნა დიატონური, ქრომატული გამა, სრულყოფილი აკორდი, ინტერვალის ორივე სახეობა, ეგრეთ წოდებული მაჟორი და მინორი.

აიძულებდა მჯდარიყო სრულიად სწორად, რომ მკერდი გამოებურცა, მხრები თანაბარ სიმაღლეზე ჰქონოდა, პირი ფართოდ გაეღო და თავისი მაგალითით რომ ესწავლებინა, მცდარად მღეროდა. ვიქტორს ხმა ძლივს ამოსდიოდა ყელში, ისე ძლიერ სწურავდა. როცა ტაქტი მეოთხედი პაუზიდან იწყებოდა, იგი ან ერთბაშად ამოიძახებდა ან დააგვიანებდა.

პეკუშე მაინც შეუდგა ორხმიან სიმღერას. აიღო ჯოხი, ხემის მაგივრობას რომ ეწეოდა, და დამრიგებლურად აქნევდა ხელებს. თითქოს ორკესტრის წინაშე იდგა. მაგრამ ერთსა და იმავე დროს ორი საქმის გაკეთებას ვერ ახერხებდა და ცდებოდა ტემპში, შემდეგ იბნეოდა მოწაფეც და შუბლმოჭმუხნულნი, კისრის ძარღვებდაძაბულნი ალალბედზე ჩაიმღერებდნენ ფურცელს.

ბოლოს და ბოლოს პეკუშემ უთხრა ვიქტორს:

— შენგან კაპელის ბრწყინვალე მომღერალი არ გამოვა.

და თავი გაანება მუსიკის სწავლებას.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ლოკი მართალია: „მუსიკას ისეთ ჭრელ საზოგადოებაში შეჰყავხარ, რომ უმჯობესია სხვა რამ საქმეს მოჰკიდო ხელი“.

დაე მწერალი ნუ გახდება, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ ვიქტორს დაეწერა წერილი. მეგობრები ერთმა მოსაზრებამ შეაჩერა: ეპისტოლარულ სტილს ვერ ისწავლი, რადგან იგი მხოლოდ ქალებს სჩვევიათ.

შემდეგ ფიქრად მოუვიდათ შეესწავლებინათ რამდენიმე ლიტერატურული ნაწყვეტი და, რადგან არჩევა გაუჭირდათ, ბ-ნ კამპანის თხზულებას მიმართეს. იგი ურჩევს ელიასენის სცენას, გუნდს „ეუთერიდან“, ჟან ბატისტ რუსოს მთლიანად.

ეს ცოტა მოძველებულია. რაც შეეხება რომანებს, იგი უკრძა-

ლავს მათ კითხვას, რადგან რომანები მეტად ხელსაყრელად გვიხატავენ ქვეყნიერებას.

თუმცა იგი იწონებს „კლარისა ჰარლოუს“ და მის ოპის „ოჯახის უფროსს“. ვინ არის ეს მის ოპი?

მიშოს „ბიოგრაფიაში“ ვერ იპოვეს. დარჩა ჯადოსნური ზღაპრები.

— ისინი დაიწყებენ ოცნებას ალმასის სასახლეებზე, — თქვა პეკუშემ. — ლიტერატურა ავითარებს გონებას, მაგრამ ამძაფრებს ვნებას.

ასეთი ვნების გამო ვიქტორინა კატეხიზისის გაკვეთილებიდან გააგდეს. მას წაასწრეს იმ დროს, როცა ნოტარიუსის ვაჟიშვილს ჰკოცნიდა, და რეგინა როდი ხუმრობდა: განიერნაკეცებიანი ჩაჩიდან მკაცრად იყურებოდა.

შეიძლება განა ამის შემდეგ ოჯახში ასეთი გაფუჭებული გოგო იყოლიო?

ბუვარმა და პეკუშემ მღვდელს ბებერი ჩერჩეტი უწოდეს. მსახური თავის ბატონს იცავდა და დუდუნებდა:

— ეჰ, ყველამ იცის, რა შვილებიც ბრძანდებით!

მეგობრებმა სიტყვა არ შეარჩინეს და იგი წავიდა, თანაც თვალებს საშინლად აბრიალებდა.

ვიქტორინას ისე მოეწონა საყელომოქარგულ ხავერდის ქურთუკში გამოწყობილი არნოლდი, რომ მართლაც მოედო სიყვარულის ალი. არნოლდის თმას საამო სურნელი სდიოდა, და გოგონას მისთვის თაიგულები მოჰქონდა ხოლმე იმ დღემდე, სანამ ზეფირენმა არ გასცა.

რა სისულელე იყო მთელი ეს ამბავი, ორივე ბავშვი ხომ სრულიად უმანკოა!

ხომ არ გაუმხილონ მათ საიდუმლო, როგორ იბადება ბავშვი?

— მე ამაში ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ, — თქვა ბუვარმა, — ფილოსოფოსი ბაზედოვი ამაზე ელაპარაკებოდა თავის მოწაფეებს, თუმცა დაწვრილებით განიხილავდა მხოლოდ ორსულობასა და ბავშვის შობას.

პეკუშე სხვანაირად ფიქრობდა. მას ვიქტორის ამბავი აწუხებდა.

ეჭვი ჰქონდა, ცუდ რამეს არის მიჩვეულიო. დაუჯერებელი აქ არაფერია! არიან სერიოზული ადამიანები, მთელ თავის სიცოცხ-

ლეში რომ არ იშლიან ამას. ამბობენ, ანგულემის ჰერცოგს სჭირდა ეს ჩვეულებად.

თავის მოწაფეს ისე მოხერხებულად გამოჰკითხა ყოველივე, რომ კიდევაც მიახვედრა და ცოტა ხნის შემდეგ სავსებით დარწმუნდა თავისი ეპვის სიმართლეში.

მაშინ დამნაშავე უწოდა თავის მოწაფეს და სურდა მკურნალობის მიზნით ტასო მიეცა წასაკითხად. ბუვარის აზრით, ამ შედეგრს ზიანი მეტი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა. უმჯობესია პოეტური გრძნობები ჩავუნერგოთ მას. ემე მარტენი ამბობს, ერთმა დედამ ასეთსავე გარემოებაში თავის ვაჟიშვილს „ახალი ელოიზა“ წააკითხა და ყმაწვილი კაცი, სიყვარულის ღირსი რომ გამხდარიყო, სათნოების გზას დაადგაო.

მაგრამ ვიქტორს არ ჰქონდა უნარი ვინმე სოფიოზე ეოცნება.

— ხომ არ აჯობებდა გოგოებთან წაგვეყვანა იგი?

პეკუშემ ზიზღით მოიხსენია მეძავი ქალები.

ბუვარს კი ასეთი შეხედულება უაზროდ მიაჩნდა და ჰავრს საგანგებოდ გამგზავრებაზეც კი ჩამოაგდო სიტყვა.

— სრულ ჭკუაზე ხარ? ხომ დაგვინახავენ, იქ რომ შევიდეთ?

— აბა ხელსაწყო უყიდე.

— მაგრამ ბანდაჟისტი იფიქრებს, თავისთვის უნდაო.

მისთვის სასარგებლო იქნებოდა ამაღელვებელი გასართობი, მაგალითად ნადირობა. მაგრამ ამას ხარჯი მოსდევს — საყიდელია თოფი, ძაღლი, ამიტომ ამჯობინეს დაეღალათ ხოლმე იგი და ახლომახლო სეირნობა დაიწყეს.

თუმცა მორიგეობით სდარაჯობდნენ, ბავშვი მაინც გაექცეოდათ ხოლმე და საღამოსათვის ისე იქანცებოდნენ, რომ გაზეთის ხელში აღება უჭირდათ.

ვიქტორის მოლოდინში გამვლელთ ესაუბრებოდნენ და პედაგოგიური გულმოდგინებით უქადაგებდნენ ჰიგიენას, წუხდნენ, რომ ყაირათიანად არ იხარჯებოდა წყალი, ნაკელი; ილაშქრებდნენ ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, როგორიცაა შაშვის ფიტული კალოზე, ბზის ნაკურთხი შტო ბოსელში, მატლებიანი ტომსიკა, ციების დროს რომ ფეხებზე იდებდნენ.

იქამდეც კი მივიდნენ, რომ თვალყურს ადევნებდნენ მეძუძურ ქალებს და აღშფოთებული იყვნენ ბავშვთა რეჟიმით: ზოგნი ზედმე-

ტად აკმევენ ფაფას და ისინი იხოცებიან სისუსტით; სხვები ჭარბად აძლევდნენ ხორცს, როცა ნახევარი წელიც არ შესრულებიათ, და ბავშვები იხოცებიან მოულოდნელობით; ზოგი მათ ჰბანს თავისი ნერწყვით, ყველანი კი უხეშად ეპყრობიან პატარებს.

როცა სადმე ჭიშკარზე ჯვარსგაცმულ ბუს დაინახავდნენ, ფერმერებთან შედიოდნენ და ეუბნებოდნენ:

— სწორად არ იქცევით, ეს ფრინველი იკვებება ვირთაგვებით, ყანის თაგვებით. ერთი ჭოტის კუჭში აუარებელი მუხლუხის ჭუპრი იპოვეს.

სოფლის მცხოვრებნი კარგად იცნობდნენ მათ იმის შემდეგ, როცა მკურნალობას ეწეოდნენ, მერე ძველ ავეჯს ეძებდნენ, შემდეგ კენჭებს აგროვებდნენ და პასუხად ესმოდათ:

— თქვენ გზას ეწიეთ; თქვე ოინბაზებო, თქვენა! გეყოფათ ჩვენი სწავლება!

მათი რწმენა შეირყა: ბელურები ბოსტანს წმენდნენ, მაგრამ ალუბალს სჭამდნენ, ჭოტები მწერებს ანადგურებენ, მაგრამ სასარგებლო ღამურებსაც ერჩიან, და თუ თხუნელები ლოკოკინებს სჭამენ, სამაგიეროდ მიწას აფხვიერებენ. ერთი რამ კი მტკიცედ სწამდათ: უნდა მოისპოს ყველა ნადირი, რომელიც მიწათმოქმედებას ვნებს.

ერთხელ, საღამოს, ფავერჟის ჭალაში გაიარეს და სორელის სახლს მიადგნენ, დაინახეს, რომ გზის პირას სორელი სამ კაცს ელაპარაკებოდა.

ერთი მათგანი იყო მეწაღე დოფენი, პატარა, ხმელ-ხმელი, დაღვრემილი სახის კაცი; მეორე — ძია ობენი, სოფლის კომისიონერი, ძველი, ყვითელი სერთუკი და ტიკის ქსოვილის შარვალი ეცვა; მესამე—ეჟენი, ბ-ნ მარესკოს ლაქია, რომელიც ყურადღებას იპყრობდა შეკრეჭილი წვერით, მოსამართლეებს რომ სჩვევიათ.

სორელი ხელებს იქნევდა და აჩვენებდა მათ სპილენძის მავთულის მარყუჟს, ბოლოზე რომ აბრეშუმის ზონრით აგური ეკიდა; ეს იყო მახე და მეწაღეს თავს წაადგნენ, როცა იგი უნდა დაეგო.

— თქვენ მოწმენი ხართ, არა?

ეჟენმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა, ძია ობენმა კი თქვა:

— რაკი ამბობთ...

სორელს განსაკუთრებით ის აჯავრებდა, რომ ამ გაიძვერამ მახე

მისი სახლის ახლოს იმ მოსაზრებით დააგო, ვითომ არავის ფიქრად არ მოუვა, მახე აქ ეძიოსო.

დოფენმა მტირალა ხმით დაიწყო თავის მართლება.

— მე უეცრად ფეხი დავაბიჯე, ვცდილობდი კიდევაც გამეტეხა.

მუდამ მას სდებენ ბრალს, არავის არ უყვარს, უბედური კაცია.

სორელმა არ უპასუხა, უბის წიგნაკი, კალამი და მელანი ამოიღო, რომ ოქმი შეედგინა.

— ოჰ, ნუ იზამ! — უთხრა პეკუშემ.

ბუვარმა დასძინა:

— გაუშვით, კარგი ბიჭია!

— ეგა? ბრაკონიერია!

— ჰო, თუნდაც ეგრე იყოს, მერე?

და მეგობრებმა დაიწყეს ბრაკონიერობის დაცვა: უწინარეს ყოვლისა ცნობილია, რომ კურდღლები სჭამენ ნორჩ ყლორტებს, აგრეთვე თავთავს, ხოლო ჩიბუხა ვითომ...

— თავი დამანებეთ-მეთქი!

და დარაჯი განაგრძობდა წერას.

— რა ჯიუტობაა! — წაიბუზღუნა ბუვარმა.

— კიდევ ერთი სიტყვა და ჟანდარმებს დავუძახებ!

— აი უზრდელი! — უთხრა პეკუშემ.

— თქვენ კი გაიძვერები ხართ! — მიუგო სორელმა.

ბუვარმა თავი ველარ შეიკავა და რეგვენი, აყლაყუდა, ჩერჩეტი უწოდა. ეჟენი კი სულ იმეორებდა:

— წყნარად! წყნარად! მეტი პატივისცემა კანონს!

ამასობაში ძია ობენი იქვე რიყის ლოდზე იჯდა და კვნესოდა.

მათ ხმაურზე ძაღლები თავიანთი ხულებიდან გამოცვივდნენ, გისოსებიდან მოჩანდა მათი ანთებული თვალები და შავი დრუნჩები, რკინის რიკულს აწყდებოდნენ და საშინლად ყეფდნენ.

— მოთმინებიდან ნუ გამომიყვანთ! — იყვირა პატრონმა, — თორემ ძაღლებს გამოვუშვებ და შარვლებზე მოგისისიანებთ!

მეგობრები წავიდნენ. ისინი მაინც კმაყოფილნი იყვნენ, რომ დაიცვეს პროგრესი, ცივილიზაცია.

მეორე დღესვე მიიღეს სასამართლოში მიწვევის უწყება კანონის დარღვევის საქმეზე, დარაჯის შეურაცხყოფისათვის, ამასთან ერთად უნდა მოესმინათ განაჩენი ასი ფრანკის ვადახდაზე ხარჯებისა და

ზარალისათვის, „გარდა ჯარიმისა პროკურორის მეთვალყურეობის წესით მათ მიერ სამართლის დარღვევისათვის. უწყების ღირებულება 6 ფრანკი და 75 სანტიმი. სასამართლო ბოქაული ტიერსელენი“.

რა შუაშია პროკურორის მეთვალყურეობა? ამის გამო თავზარი დაეცათ, მერე, ცოტა რომ დამშვიდდნენ, თავდაცვისათვის მოემზადნენ.

დანიშნულ დღეს ბუვარი და პეკუშე რატუშაში ერთი საათით ადრე მივიდნენ. იქ არავინ იყო. მაუდგადაფარებული ოვალური მაგიდის გარშემო სკამები და სამი სავარძელი იდგა, კედელში ნიში იყო გაკეთებული ღუმელისათვის, ხოლო სადგამზე, ყველაზე მაღლა იმპერატორის ბიუსტი იდგა.

მათ დაიარეს მთელი შენობა, სხვენზეც იყვნენ, სადაც ნახეს ხანძრის ტუმბო, რამდენიმე დროშა, ხოლო კუთხეში, იატაკზე თაბაშირის ბიუსტები: დიდი ნაპოლეონისა უგვირგვინოდ, ეპოლეტებიანი ფრაკით მოსილი ლუი XVIII, შარლ X, რომელიც შეიძლებოდა გეცნოთ ჩამოგდებული ლაშით, ლუი-ფილიპესი, მორკალული წარბები და პირამიდისებრი ვარცხნილობა რომ ჰქონდა; თავით სახურავს ებჯინებოდა, ყველანი ბუზებსა და მტვერს დაესვარა. ამ სანახაობამ ბუვარი და პეკუშე სულიერად დასცა. დარბაზში რომ დაბრუნდნენ, მთავრობისადმი ზიზღით იყვნენ გამსჭვალულნი.

იქ მათ დახვდათ სორელი, რომელსაც მკლავზე ბალთა ეკეთა, და სოფლის დარაჯი, რომელსაც კეპი ეხურა. ათიოდე კაცი ერთმანეთს ესაუბრებოდა. ისინი პასუხისგებაში მიეცათ ეზოების უსუფთაობის, მაწანწალა ძაღლების, საზიდრებზე ფარნის უქონლობის ან წირვა-ლოცვის დროს მაგარი სასმელებით ვაჭრობის გამო.

ბოლოს, მოვიდა კულონი, სარჟის შავი სერთუკი ეცვა და თავზე ხავერდისყალამოიანი ბერეტი ეხურა. საქმისმწარმოებელი მის მხარმარცხნივ დაჯდა, შარფიანი მერი კი — მხარმარჯვნივ და მალე დაიწყო განხილვა სორელის საქმისა ბუვარისა და პეკუშეს წინააღმდეგ.

ლუი-მარსიალ-ეჟენ ლენეპვერმა, კამერდინერმა შავინიოლიდან (კალვადოსი) ისარგებლა მოწმის მდგომარეობით და ლაპარაკი დაიწყო ბევრ ისეთ რამეზე, რაც მან იცოდა, და რასაც ბრალდების საგანთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა.

ნიკოლ-ჟუსტ ობენს ეშინოდა სორელის უკმაყოფილება არ დავიმსახურო და ბატონ მემამულეებს საქმე არ გავუფუჭოო: მან გაიგონა შეურაცხმყოფელი სიტყვები, თუმცა ეშვი ეპარებოდა, მართლა გავიგონე თუ არაო, თავის სიყრუეს იმოწმებდა.

მომრიგებელმა მოსამართლემ უთხრა, დაჯექიო, და შემდეგ დარაჯს მიმართა:

— თქვენ უარს არ ამბობთ თქვენს განცხადებაზე?

— რა თქმა უნდა, არა!

მაშინ კულონი ორივე ბრალდებულს მიუბრუნდა და უთხრა, თავის გასამართლებლად რას იტყვითო.

ბუვარმა განაცხადა, სორელისათვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია, ბრაკონიერს გამოვესარჩლე და ჩვენი სოფლის მოსახლეობის ინტერესებს ვიცავდიო; გაიხსენა აგრეთვე ფეოდალური ბოროტმოქმედებანი, დიდ მემამულეთა გამანადგურებელი ნადირობა.

— ეს საქმეს არ ეხება. კანონის დარღვევა...

— უნდა შეგაჩეროთ! — დაიძახა პეკუშემ. — მაგ სიტყვებს: კანონის დარღვევა, დანაშაული, შეცოდება, არავითარი ფასი არ აქვს. დასასჯელ ქმედებათა ამრიგად კლასიფიცირება თვითნებური არჩევა იქნებოდა. ეს იგივე იქნებოდა, მოქალაქეებისათვის რომ გვეთქვა: „ნუ დაფიქრდებით თქვენი საქციელის მნიშვნელობაზე, იგი განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ იმ სასჯელით, რასაც ხელისუფლება დაგადებთ“. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსი მე მიმაჩნია უაზრო, პრინციპებს მოკლებულ ნაწარმოებად.

— შესაძლებელია! — მიუგო კულონმა.

და უნდოდა გამოექვეყნებინა განაჩენი, მაგრამ წამოდგა სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელი ფურო: დარაჯი შეურაცხყვეს სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს. თუ მიწის საკუთრებას პატივი არ ვეცით, ყველაფერი დაიღუპებაო.

— მოკლედ, მე ვთხოვ ბ-ნ მომრიგებელ მოსამართლეს გამოიყენოს სასჯელის უმაღლესი ზომა.

ეს შეადგენდა ათ ფრანკს, რაც სორელისათვის უნდა გადაეხადათ, როგორც ხარჯი და ზარალი.

— ვაშა! — შესძახა ბუვარმა.

კულონს არ დაუმთავრებია.

— გარდა ამისა, ევალებათ გადაიხადონ ჯარიმა ხუთი ფრანკის რაოდენობით პროკურორის მეთვალყურეობის წესით.

პეკუშემ აუდიტორიას მიმართა:

— ჯარიმა მდიდრისათვის არაფერია, ღარიბისათვის კი გამანადგურებელია. ჩემთვის იგი არაფერს არ წარმოადგენს.

პეკუშეს ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს სასამართლოს დასცინისო.

— შერწმუნეთ, — თქვა კულონმა, — მიკვირს, რომ ჭკვიანი ადამიანები...

— კანონი თქვენ ნებას გაძლევთ, სულაც არ გქონდეთ ჭკუა! — მიუგო პეკუშემ. — მომრიგებელი მოსამართლე ინიშნება განსაზღვრული ვადით, მაშინ როცა უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს წევრს შეუძლია თავისი მოვალეობა ასრულოს სამოცდათხუთმეტი წლის ასაკამდე, პირველი ინსტანციის მოსამართლეს კი — სამოცდაათი წლის ასაკამდე.

ამ დროს ფუროს მიცემულ ნიშანზე, მეგობრებს მიუახლოვდა პლაკევანი. მათ პროტესტი განაცხადეს.

— აი თქვენ რომ კონკურსით ინიშნებოდეთ!

— ან სახელმწიფო საბჭო გნიშნავდეთ!

— ანდა პატრონებისა და მუშებისაგან შემდგარი კომისია სიის სერიოზული განხილვის შემდეგ!

პლაკევანმა ხელისკვრით გაჰყარა ისინი გარეთ. რომ გადიოდნენ, დანარჩენმა ბრალდებულებმა უსტვინეს; მათ იმედი ჰქონდათ, ასეთი სიმდაბლით სასამართლოს გულს მოვიგებთო.

მეგობრებს სურდათ როგორმე გული მოეოხებინათ და ამიტომ საღამოს ბალჟამბთან წავიდნენ. მისი კაფე უკვე ცარიელი იყო, რადგან თვალსაჩინო პიროვნებანი ჩვეულებრივ ათ საათზე მიდიოდნენ ხოლმე იქიდან.

ღუმელში ცეცხლი შენელებული იყო, კედლები და ბუფეტი ბურუსში მოჩანდა. გამოვიდა ქალი. ეს მელი იყო.

იგი, ეტყობოდა, სულაც არ შეცბუნებულა, ღიმილით დაასხა ორი ჭიქა. პეკუშემ არ იცოდა, რა ექნა და მალე გავიდა სამიკიტნოდან.

ბუვარი ერთხელ კიდევ მივიდა იქ, რამდენიმე მუშტარი გაართო

სარკასტული ხუმრობით მერზე და მას შემდეგ სამიკიტნოს ხშირი სტუმარი გახდა.

დოფენი ექვსი თვის შემდეგ სრულიად გაამართლეს მამხილებელი საბუთების უქონლობის გამო. რა სამარცხვინო იყო! ეჭვი მიიტანეს სწორედ იმ მოწმეებზე, რომლებსაც დაუჯერეს, როცა ისინი ბუვარისა და პეკუშეს წინააღმდეგ აჩვენებდნენ.

და უსაზღვრო იყო მათი მრისხანება, როცა გადასახადთა ამკრეფმა სამმართველომ მათ მოაგონა, საჭიროა ჯარიმა გადაიხადოთო. ბუვარმა გაილაშქრა გადასახადთა წინააღმდეგ, როგორც მიწის საკუთრების ეავნე ღონისძიების წინააღმდეგ.

— თქვენ ცდებით! — უთხრა გადასახადთა ამკრეფმა.

— რასა ბრძანებთ! გადასახადები სახელმწიფო ბეგარის მესამედს შეადგენენ.

გადასახადთა აკრეფის წესი ნაკლებ შემაწუხებელი უნდა იყოს, გაუმჯობესდეს კადასტრი, შეიცვალოს ჰიპოთეკური სისტემა და გაუქმდეს სახელმწიფო ბანკი, რომელიც მევახშეობის პრივილეგიით სარგებლობს.

ჟირბალმა არ იცოდა, რა ეპასუხა, საზოგადოების თვალში ფასი დაკარგა და აღარ გამოჩენილა.

სასტუმროს პატრონს კი ბუვარი მოსწონდა: მუშტარს იზიდავდა და მათს მოლოდინში მსახურ ქალთან მეგობრულად საუბრობდა.

უცნაურ აზრებს გამოთქვამდა დაწყებით სწავლაზე. სკოლა დამთავრებულზე უნდა შეეძლოთ ავადმყოფთა მოვლა, მეცნიერულ აღმოჩენათა გაგება, აინტერესებდეთ ხელოვნება. თავისი პროგრამის გამო დაემდურა პტის და აწყენინა კაპიტანს, რადგან ამტკიცებდა, უმჯობესია ჯარისკაცებს მწვანილი მოყავდეთ, ვიდრე დროს ტყუილაუბრალოდ ხარჯავდნენ წვრთნაზეო.

როცა თავისუფალი ვაჭრობის საკითხი აღიძრა, პეკუშეც წაიყვანა. მთელი ზამთრის განმავლობაში კაფეს მუშტრები ერთმანეთს მრისხანედ უბრიალებდნენ თვალებს, ირონიულად იღიმოდნენ, ლანძღავდნენ და უყვიროდნენ, მაგიდებს ისე სცემდნენ მუშტებს, რომ ლუდის ჭიქები ხტუნავდნენ.

ლანგლუა და სხვა ვაჭრები იცავდნენ ეროვნულ ვაჭრობას, ფეიქარი უდო და ოქრომჭედელი მატიე — ეროვნულ მრეწველობას, მემამულეები და ფერმერები — ეროვნულ სოფლის მეურნეობას,

ამასთან თითოეული მოითხოვდა თავისთვის პრივილეგიებს უმრავლესობის საზიანოდ. ბუვარი და პეკუშე თავიანთი გამოსვლებით ხალხს აღელვებდნენ.

რადგან მათ ბრალად სდებდნენ, პრაქტიკას არ იცნობთ, ყველაფერს ათანაბრებთ და უზნეონი ხართო, მათ შემდეგი სამი პროექტი შექმნეს: გვარის სახელწოდება შეიცვალოს მეტრიკულის ნომრით, ფრანგები დაუმორჩილონ იერარქიას, ამასთან ხარისხის შესანარჩუნებლად საჭიროა დრო და დრო დაწესდეს გამოცდა; გაუქმდეს დასჯა, გაუქმდეს ჯილდოები, მაგრამ ყველა სოფელში შემოღებულ იქნეს ინდივიდუალური ქრონიკა, რაც შთამომავლობით გადაეცემა.

მათს სისტემას ზიზღით შეხვდნენ. მაი წერილი გაუგზავნეს ბაიის გაზეთს, შეადგინეს ნარკვევი პრეფექტისათვის, პეტიცია პალატებისათვის და მოხსენება იმპერატორისათვის.

გაზეთმა მათი სტატია არ დაბეჭდა.

პრეფექტმა პასუხის ღირსნი არ გახადა.

პალატები დუმილს იცავდნენ, ტიულრიდან კი დიდხანს ელოდნენ პაკეტს.

— მაშ რით არის იმპერატორი დაინტერესებული? ალბათ, ქალებით!

ფუნო პრეფექტის სახელით მათ ურჩევდა, უფრო თავმდაბლად მოიქეცითო.

რაში ენაღვლებოდათ სუპრეფექტი, პრეფექტი, პრეფექტურის მრჩევლები, თვით სახელმწიფო საბჭოც კი. ადმინისტრაციული იუსტიცია სიმახინჯეა, რადგან ადმინისტრაცია მოწყალებითა და მუქარით უსამართლოდ ხელმძღვანელობს თავის მოხელეებს. მოკლედ, ისინი შემაწუხებელნი გახდნენ და თვალსაჩინო პიროვნებებმა მოწერილობა გამოუგზავნეს ბელჟამბს, ეს ორი სუბიექტი აღარ მიიღოო.

მაშინ ბუვარმა და პეკუშემ მტკიცედ განიზრახეს თავი ისეთი საქმით გამოეჩინათ, რაც მათ თანამოქალაქეებს გააოცებდათ. მაგრამ იმის უკეთესი ვერა მოიგონეს რა, რომ შავინიოლი გაელამაზებინათ.

ისინი ვარაუდობდნენ აეღოთ მთელი სახლების სამი მეოთხედი, შუაგულ დაბაში მოეწყოთ მონუმენტური მოედანი, ფალეზის მხა-

რეს აეგოთ თავშესაფარი, სასაკლაო კანის გზაზე, ხოლო პადელა-ვაკში — რომანული სტილის მრავალფეროვანი ტაძარი.

პეკუშემ ტუშით მოხაზა გეგმა, ამასთან ტყეები დახატა ყვითელი საღებავით, შენობები — წითლით, მდელოები — მწვანით. იდეალური შავინიოლის სურათი ძილს უკარგავდა. ღამით ლოგინზე ბორგავდა.

ერთხელ ბუვარი გააღვიძა.

— ავად ხომ არ ხარ?

პეკუშემ წაიბურტყუნა:

— ჰაუსმანი მიფრთხობს ძილს.

სწორედ ამ დროს მიიღო დიუმუშელის წერილი, რომლითაც სთხოვდა, შემატყობინე, რა ღირს ზღვის აბაზანები ნორმანდიის სანაპიროზეო.

— ეშმაკსაც წაუღია თავისი აბაზანებიანად! წერილის წერის დრო გვაქვს ახლა?

და, როცა სამიწათმზომლო ჯაჭვი, კუთხის საზომი, ნიველირი და ბუსოლი შეიძინეს, მაშინ სხვა გამოკვლევები დაიწყეს:

შეიქნა ეზოებში სირბილი. მეზობლები გაოცებულნი უცქერდნენ, როგორ ასობდნენ მიჯნებს.

ბუვარი და პეკუშე დამშვიდებული ხმით უამბობდნენ, რა განზრახვაც ჰქონდათ და რა გამოვიდოდა აქედან.

მცხოვრებნი შეშფოთდნენ, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ხელისუფალთ, შესაძლოა, მოსწონებოდათ ასეთი წამოწყება.

ვიქტორი ერთგულებასა და ერთგვარ აღტყინებასაც კი იჩენდა, კედლებსა და სახურავებზე ადიოდა, როგორც მესიგნალე.

ვიქტორინათიც უფრო კმაყოფილი იყვნენ, ვიდრე წინათ.

როცა აუთოებდა ხოლმე, ნაზი ხმით ღიღინებდა, აინტერესებდა ოჯახური საქმეები. ბუვარს არახჩინი შეუკერა, თავისი ჩინებული ნაქარგით კი რომიშის ქება დაიმსახურა.

რომიში ერთი იმ მკერავთაგანი იყო, კარდაკარ რომ დადიან და ტანსაცმელს აკერებენ. იგი ორ კვირას ცხოვრობდა მათს სახლში.

კუზიანი იყო, თვალებდაწითლებული, მაგრამ ფიზიკურ ნაკლს მხიარული ხასიათით ინაზღაურებდა. როცა პატრონები შინ არ იყვნენ ხოლმე, მარსელსა და ვიქტორინას ხუმრობით ართობდა, ენას ნიკაპამდე გამოჰყოფდა, გუგულს აჯავრებდა, მუცლითმეზღაპ-

რეებს წარმოადგენდა, საღამოს კი იმის ნაცვლად, რომ ფუნდუკში წასულიყო ღამის გასათევად, სათონეში იძინებდა ხოლმე.

ერთხელ როგორღაც, დილაადრიან ბუვარს შესცივდა და სათონეში შევიდა, ნაფოტები უნდოდა ღუმელის დასანთებად.

უეცრად გაშეშდა იმის გამო, რაც დაინახა.

დამტვრეულ სკივრს უკან, ჭილობზე, ერთად იწვნენ რომიში და ვიქტორინა.

ცალი ხელი წელზე შემოეხვია, მეორე კი, მაიმუნის ხელივით გრძელი, გოგოს მუხლზე ედო; ქალს თვალები მოეხუჭა, სახე სიამით დაღმეჭოდა, გულაღმა იწვა და იღიმებოდა. გახსნილი კოფთა მის ბავშვურ მკერდს აშიშვლებდა, რომელზეც კუზიანის ალერსის წითელი ნიშნები დარჩენილიყო. ქერა თმა გაჩეჩილი ჰქონდა. იწვნენ და ამომავალი მზის სხივები თავს ეფრქვეოდათ.

პირველ წუთს ბუვარს თითქოს გულში ლახვარი ჩასცესო. შემდეგ სირცხვილმა ერთ ადგილს მიაჯაჭვა, საზარელი ფიქრები მოერია.

— ესოდენ ახალგაზრდა და... დაიღუპა! დაიღუპა!

მერე პეკუშე გააღვიძა და ყველაფერი უამბო.

— ოჰ, არამზადა!

— ვერაფერს უშველი! დამშვიდდი!

და დიდხანს ოხრავდნენ ერთად. ბუვარი უსერთუკოდ, გულზე ხელებდაკრეფილი, პეკუშე საწოლზე ჩამომჯდარი, ფეხშიშველი.

რომიში იმ დღეს უნდა წასულიყო, რადგან მუშაობა დაამთავრა. ანგარიში გაუსწორეს და უხმოდ, ქედმაღლურად გაისტუმრეს.

მაგრამ განგება მათს წინააღმდეგ ამხედრდა.

ცოტა ხნის შემდეგ მარსელმა ისინი ვიქტორის ოთახში წაიყვანა და უჩვენა კომოდის სიღრმეში დამალული ოცფრანკიანი. ვიქტორს მისთვის უთხოვია, დამიხურდავეო.

— სად იშოვა? ალბათ მოიპარა, როცა საინჟინრო ექსკურსიებზე დადიოდნენ! საჭიროა დაუბრუნონ, მაგრამ ვის? თანაც ისე გამოვა, თითქოს მისი თანამონაწილენი არიან.

ბოლოს, როცა ვიქტორს დაუძახეს და უჯრა გააღებინეს, ნაპოლეონდორი იქ აღარ იყო. თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი მესმისო.

მაგრამ ფული ხომ წეღან ნახეს, მარსელმა კი ტყუილი არ იცოდა. ამ ამბავმა მსახურზე ისე იმოქმედა, რომ ბუვარის სახელზე მიღებული წერილი მთელ დღეს ჯიბეში ედო.

„მოწყალეო ბატონო!

„მეშინია, პეკუშე ავად არ იყოს და ამიტომ თქვენ მოგმართავთ...“

— მოიცა, ვინ იწერება?

„ოლიმპია შარპო — დიუმუშელი“.

იგი და მისი ქმარი კითხულობდნენ, რომელ საზღვაო კურორტზე, კურსელში, ლანგრიუნში თუ ლუკში იკრიბება საუკეთესო, ნაკლებ ხმაურიანი საზოგადოება, როგორია გზები, სამრეცხაოს ფასებიო და სხვ.

ასეთი აბეზრობისათვის დიუმუშელზე გაბრაზდნენ, მერე დაღლილებს მეტი მოწყენილობა დაეუფლათ.

მოიგონეს რამდენი შრომა გასწიეს: რამდენი გაკვეთილი, სიფრთხილის ღონისძიება, წვალება!

— წარმოგიდგენია, — ამბობდნენ ისინი. — ვიქტორინა მასწავლებელი გვინდოდა გამოგვეყვანა, ვიქტორი კი — გზის ოსტატი!

— ოჰ! როგორ გაგვიცრუვდა იმედი!

— თუ იგი გაირყვნა, ამის მიზეზი წიგნების კითხვა როდია.

— მე კი, რაკი პატიოსანი კაცი მინდოდა გამეხადა, კარტუშის ბიოგრაფია გავაცანი.

— იქნება ოჯახი, დედობრივი ზრუნვა აკლდათ?

— მე მათთვის დედა ვიყავი! — მიუგო ბუვარმა.

— ვაგლახ, — განაგრძო პეკუშემ, — არიან ზნეობრივ გრძნობას მოკლებული ადამიანები და მაშინ აღზრდა უძლურია.

— ოჰ! ერთი ეგ აღზრდაც!

რადგან ობლებმა არავითარი ხელობა არ იცოდნენ, გადაწყვიტეს შინამოსამსახურის ადგილები ეშოვათ მათთვის და მერე — გზა მშვიდობისა! მათი დარდი აღარ აქვთ.

და იმავე დღეს „ძიამ“ და „კეთილმა მეგობარმა“ ისინი სამზარეულოში ასადილეს.

მაგრამ მეგობრებს მალე მოსწყინდათ, გონებას მუშაობა ესაჭიროებოდა, არსებობას კი მიზანი.

წარუმატებლობა განა რამეს ამტკიცებს? რომ ბავშვებთან არ

მოხერხდა, იქნებ მოზრდილებთან ექნეს წარმატება. და მათ გადაწყვიტეს სრულწლოვანთათვის წაეკითხათ ლექციები.

საჭირო იყო მოეწვიათ კრება, რომელზეც თავიანთ შეხედულებას ჩამოაყალიბებდნენ. სასტუმროს დიდი დარბაზი საამისოდ სრულიად შესაფერისი იქნება.

- ბელუამბი, როგორც მერის თანაშემწე, პირველ ხანებში შეშინდა, თავი არ გავიცუცურაგოო, და უარი უთხრა, მაგრამ შემდეგ გაიფიქრა, ეს შეიძლება ჩემთვის სასარგებლოც კი იქნესო, და მსახური ქალი გაუგზავნა, თანახმა ვარო.

გახარებულმა ბუვარმა მოციქულს ორივე ლოყა დაუკოცნა.

მერე სადღაც წასულიყო; მისი მეორე თანაშემწე, მარესკო, კონტორის საქმეებით იყო მთლად გართული და ნაკლებ ინტერესს იჩენდა. მაშ, კრება გაიმართება! იგი მომდევნო კვირისათვის, დღის სამ საათზე დანიშნეს, რაც საზოგადოებას დოლის ბრახუნით ეუწყა.

მხოლოდ წინადღით იფიქრეს, ლექციაზე რა ჩავიცვათო.

პეკუშეს, საბედნიეროდ, შემორჩა ძველი საპარადო ხავერდის საყელოიანი ფრაკი, ორი თეთრი ჰალსტუხი და შავი თათმანი. ბუვარმა ჩაიცვა ლურჯი სერთუკი, ნაშურის ჟილეტი და კასტორის ფეხსაცმელი, და მეგობრები ძლიერ ღელავდნენ, როცა სოფლის გზით „ოქროს ჯვრის“ სასტუმროსკენ მიდიოდნენ.

(აქ მთავრდება გუსტავ ფლობერის ხელნაწერი).

ფ ლ ო ბ ე რ ი ს ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი გ ე გ მ ა, რ ო მ ე ლ ი ც რ ო მ ა ნ ი ს დ ა ს ა ს რ უ ლ ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს.

კ რ ე ბ ა

სასტუმრო „ოქროს ჯვარი“, ორი გვერდითი ხის გალერეა წამოწეული აივნითურთ; საცხოვრებელი კორპუსი, პირველ სართულზე კაფე, სასადილო, საბილიარდო, კარი და ფანჯრები ღიაა.

ბრბო: წარჩინებული მოქალაქენი, ხალხი.

ბუვარი: „უწინარეს ყოვლისა საჭიროა დავასაბუთოთ, რომ ჩვენი პროექტი სასარგებლოა; ჩვენი შრომა ლაპარაკის უფლებას გვანიჭებს“.

პ ე კ უ შ ეს ს ი ტ ყ ვ ა, დოქტორის კილო:

მთავრობისა და ადმინისტრაციის უაზრო ღონისძიებანი, მეტისმეტად ბევრი გადასახადი, საჭიროა მომჭირნეობა ორი მიმართულებით: საეკლესიო და სამხედრო ბიუჯეტების გაუქმება.

მას უმერთობას სწამებენ.

„პირიქით, საჭიროა რელიგიური განახლება“.

შემოდის ფურო და სურს კრების დახურვა.

ბუვარი აუდიტორიას აცინებს მერზე, როცა გაიხსენებს მის სულელურ პრემიებს ჰოტების მოსასპობად. — შესიტყვება.

„თუ საჭიროა მოისპოს მცენარეთათვის მავნე ცხოველები, მაშინ უნდა მოისპოს აგრეთვე პირუტყვი, რომელიც ბალახს ძოვს“.

ფურო მიდის.

ბ უ ვ ა რ ი ს  ს ი ტ ყ ვ ა, მოურიდებელი კილო:

ცრურწმენა: მღვდლების უქორწინობა, მრუშობის სულ მცირე მნიშვნელობა, ქალთა ემანსიპაცია.

„საყურე ქალის ყოფილი მონობის ნიშანია“.

მამაკაცები გამნაყოფიერებლები არიან.

ბუვარსა და პეკუშეს ძრახავენ მათი მოწაფეების ცუდი ყოფაქცევის გამო. რა საჭირო იყო კატორღელის შვილების შევრდომება?

რეაბილიტაციის თეორია. ისინი მზად არიან ტეაშთან ერთად ისადილონ.

ბრუნდება ფურო და ბუვარზე შურის საძიებლად კითხულობს მის პეტიციას, რომელიც მუნიციპალურ საბჭოს წარუდგინა და რომლითაც შავინიოლში სამეძაოს დაარსებას მოითხოვდა (რობენის საბუთები).

კრება საშინელ ხმაურში იხურება.

შინ დაბრუნებისას ბუვარი და პეკუშე დაინახავენ ფუროს მოსამსახურეს, რომელიც ფალეზისაკენ ცხენს მიაჭენებს.

ძლიერ დაღლილები დასაძინებლად წვებიან და ფიქრადაც არ მოსდით მზაკვრობა, რასაც მათს წინააღმდეგ მიმართავენ. საჭიროა აიხსნას მღვდლის, ექიმის, მერის, მარესკოს, ხალხის, ერთი სიტყვით, ყველას მტრობის მოტივები.

მეორე დღეს საუზმეზე გამართულ საუბარში იგონებენ გუშინდელი კრების ამბებს.

პეკუშეს კაცობრიობის მომავალი შავბნელად ესახება.

თანამედროვე ადამიანი დაწვრილმანდა და მანქანად იქცა.

ადამიანთა მოდგმის საბოლოო ანარქია (ბიუხნერი I, II).

მშვიდობის განუხორციელებლობა (id).

ბარბაროსობა, როგორც მეტისმეტი ინდივიდუალიზმის შედეგი, და მეცნიერების სიგიჟე.

სამი ჰიპოთეზი: 1. პანთეისტური რადიკალიზმი ყოველგვარ კავშირს გაწყვეტს წარსულთან და ამის შედეგად წარმოიშობა არაადამიანური დესპოტიზმი.

2. თუ თეისტურმა აბსოლუტიზმმა გაიმარჯვა, მაშინ დაემხობა ლიბერალიზმი, რითაც კაცობრიობა იმსჭვალებოდა რეფორმაციის დროიდან, ყველაფერი დაინგრევა.

3. თუ დაუსრულებლად გაგრძელდა შფოთი, 89-ე წლიდან რომ გვარყევს, და აღარ დამთავრდა, ეს რყევა ჩვენივე ძალებით აღგვგვის პირისაგან მიწისა. აღარ იქნება იდეალი, რელიგია, ზნეობა.

ამერიკა დაიპყრობს დედამიწას.

ლიტერატურის მომავალი.

საყოველთაო უზრდელობა. ყველაფერი გადაიქცევა მუშათა დიდ ღრეობად. ქვეყნიერების დასასრული სითბოს ენერგიის გამოლევის შედეგად.

ბუვარს მომავალი ვარდისფრად ესახება. თანამედროვე ადამიანი წინ მიდის.

ევროპას აზია ააღორძინებს. ისტორიის კანონი ისეთია, რომ ცივილიზაცია აღმოსავლეთიდან მოდის დასავლეთისაკენ; ჩინეთის როლი; კაცობრიობის ორივე ნაწილი ბოლოს შეერთდება.

მომავალი აღმოჩენანი; მოგზაურობის საშუალებანი. საპაერო ბურთები. ფანჯრიანი წყალქვეშა ნავები მუდამ წყნარ წყალში. რადგან ზღვა მხოლოდ ზედაპირზე ღელავს. შეიძლება დავინახოთ თევზები და პეიზაჟები ოკეანის ფსკერზე, მოთვინიერებული ცხოველები. მეცნარეულობის ყოველგვარი სახეობა.

ლიტერატურის მომავალი (სამრეწველო ლიტერატურის აყვავება). მომავალი მეცნიერებები. მაგნიტური ძალის რეგულირება.

პარიზი საზამთრო ბაღად გადაიქცევა; ხეხილის მწკრივები ბულვარებში. გაფილტრული და თბილი სენა. ხელოვნური ძვირფასი ქვების სიუხვე, მოოქრის ჭარბად გამოყენება. სახლების განათება. შესაძლებელი გახდება განათების მომარაგება, რადგან არის ამ თვისების მქონე სხეულები, როგორიცაა შაქარი, ზოგიერთი მოლუსკის სხეული და ბოლონიის ფოსფორი. ნაბრძანები იქნება სახლების წინამოები შეღობონ ფოსფორესცირებული ნივთიერებებით, სახლები კი ქუჩებს გაანათებენ თავიანთი გამოსხივებით.

ბოროტების აღმოფხვრა მოთხოვნილებათა გაქრობის შედეგად. ფილოსოფია გახდება რელიგია.

ხალხთა შორის ურთიერთობის დამყარება. სახალხო დღეობანი.

შეიძლება ვიმოგზაუროთ ციურ სხეულებზე და, როცა დედამიწა გამოიფიტება, კაცობრიობა ვარსკვლავებზე გადასახლდება.

ბუვარმა სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ ჟანდარმები მოვიდნენ. მათი შემოსელა დარბაზში.

მათს დანახვაზე ბავშვთა შეშინება, მოგონებათა გაელენით.

მარსელის სასოწარკვეთილება.

ბუვარისა და პეკუშეს აღელვება: ვიქტორის დაპატიმრება ხომ არ უნდათო?

ჟანდარმები წარმოადგენენ მათი დაპატიმრების ბრძანებას.

მიზეზი კრების გამართვაა. მათ აბრალებენ რელიგიის, წესრგის ხელყოფას, აჯანყების წაქეზებას და სხვ.

უეცრად ჩამოვლენ დიუმუშელები ბარგიანად; მათ ზღვის აბაზანების მიღება სურთ. დიუმუშელი არ გამოცელილა, მისი ცოლი სათვალეს ატარებს და არაკებს თხზავს. მათი გაოცება.

გამოჩნდება მერი, რაკი გაიგებს, რომ ჟანდარმები არიან ბუვართან და პეკუშესთან. მათმა იქ ყოფნამ გამბედაობა შეუმატა.

გორჟიუმ, რაკი დაინახა, რომ ხელისუფლება და საზოგადოებრივი აზრი მეგობრების წინააღმდეგია, გადაწყვიტა ამით ესარგებლა და ფუროს მოპყვა. მას ჰგონია ბუვარი უფრო მდიდარიაო, და ბრალად სდებს ოდესღაც მელის გაუპატიურებას.

„მე — არასოდეს!“

პეკუშე კი კანკალებს.
„და სენიც შეჰყარე!“
ბუვარი პროტესტს აცხადებს.
„პენსია მაინც დაუნიშნოს ბავშვისათვის, რომელიც მალე დაიბადება, რადგან ქალი ორსულადაა“.
ეს მეორე ბრალდება დამყარებულია ბუვარის აშიკობაზე კაფეში.

სახლი ნელ-ნელა ხალხით ივსება. ბარბერუმ, რომელიც საეკერო საქმეების გამო ამ მხარეში ჩამოვიდა, ეს ამბავი სასტუმროში გაიგო და ისიც მოვიდა.
მას ბუვარი დამნაშაედ მიაჩნდა, განზე გაიხმობს და არწმუნებს, დაუთმე, პენსია დაუნიშნეო.

შემოდიან გრაფი, ექიმი, რეგინა, ბ-ნი ბორდენი, ქ-ნი მარესკო ქოლგით ხელში და სხვა თვალსაჩინო პირები. ღობის გადაღმა სოფლის ბიჭები ყვირიან და ბაღში ქვას ისვრიან (ბაღი ახლა მოვლილია და ეს იწვევს სოფლელთა შურს).
ფუროს სურს ბუვარი და პეკუშე საპატიმროში წაიყვანოს.
ბარბერუ დამცველად გამოდის, მას იბრალებენ და მხარს უჭერენ მარესკო, გრაფი და ექიმი.

საჭიროა აიხსნას დაპატიმრების ბრძანება. ეს ბრძანება გამოგზავნა სუპრეფექტმა, როცა ფუროს წერილი მიიღო, რათა მეგობრები შეეშინებინა, მაგრამ ამავე დროს მისწერა მარესკოსა და ფაევერეს, ხელი არ ახლოთ, თუ სინანულს გამოიჩენენო.
ვოკორბეიც ცდილობს დაიცვას ისინი.
„უმჯობესი იქნებოდა საგრეეთში წაგვეყვანა ეგ მანიაკები. მე ამას მიეწერ პრეფექტს“.

ყველა დაწყნარდა.
ბუვარი პენსიას მისცემს მელის.
არ შეიძლება ბავშვების მათთან დატოვება. ისინი ეწინააღმდეგებიან, მაგრამ, რადგან კანონიერად არ უშვილებიათ, მერთან მიჰყავთ.
ბავშვები აღმაშფოთებელ გულგრილობას იჩენენ. ამის დანახვაზე ბუვარი და პეკუშე ტირიან.
ცოლ-ქმარი დიუმუშელი მიდის.

ამრიგად მეგობრებმაც ყველაფერი დაკარგეს.

ცხოვრებაში აღარავითარი ინტერესი არ გააჩნიათ.
კარგი აზრი, რასაც ორივე საიდუმლოდ ინახავს გულში. ამ აზრს ერთმანეთს

უმალავენ. დროდადრო ეღიმებათ, როცა იგი გაახსენდებათ; ბოლოს ერთსა და იმავე დროს ერთმანეთს გაუმხელენ.

კვლავ გადაწერა დაიწყონ უწინდებურად.

ორი საწერი მაგიდის დამზადება. ამისათვის დურგალს მიმართავენ. გორეიუ მზად არის შეასრულოს მათი სურვილი. სკივრის გახსენება.

ყიდულობენ წიგნებს, ხელსაწყოებს, საშლელებს, საფხეკ დანებს და სხვა.

და საქმეს შეუდგებიან.

ა ბ ე ლ ა რ ი, პიერი (1079—1142) — შუა საუკუნეთა ფრანგი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი. ცნობილია მისი თხზულება „პო და არა“, სადაც მოყვანილია სხვადასხვა საეკლესიო მოღვაწეთა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები.

ა მ ო რ ო ს ი, ფრანსისკო (1769—1848) — ესპანელი ოფიცერი და პოლიტიკური მოღვაწე, გადმოვიდა საფრანგეთში; ცნობილია მისი ნაშრომები — „პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები“ და სხვ., რომლებშიც აკრიტიკებდა კაპიტალიზმს და იცავდა წვრილ ბურჟუაზიას, მოითხოვდა ბრძოლას კაპიტალიზმის კონცენტრაციის წინააღმდეგ.

ა რ ლ ე ნ კ უ რ ი, შარლ-ეიქტორ-პრევო (1789—1856)—ფრანგი მწერალი, მთელი რიგი რომანების ავტორი.

ბ ა რ ტ ო ლ ო და ს ა ს ო ფ ე რ ა ტ ო (1314 — 1357)—საშუალო საუკუნეთა მეტად ცნობილი იტალიელი იურისტი, ავტორი ნაშრომებისა რომის სამართალში.

ბ ე ნ ტ ა მ ი, იერემია (1748—1832)—ინგლისელი ფილოსოფოსი და სამართლისმცოდნე, უტილიტარიზმის თეორიის ავტორი, რომელიც ქადაგებდა, ზნეობა სარგებლიანობაზეა დამყარებული.

ბ ე რ ნ ა რ დ ე ნ ი, დე სე-პიერ ჯაკ ანრი (1737—1814)—ფრანგი მწერალი და ბუნებისმეტყველი. ცნობილია მისი სანტიმენტალურ-იდილიური რომანი „პოლი და ვირჯინი“.

ბ ე რ კ ლ ი, ჯორჯი (1684—1753)—ინგლისელი რეაქციონერი ფილოსოფოსი. სუბიექტური იდეალისტი, მატერიალიზმის მტერი. უარყოფდა სამყაროს ობიექტურ არსებობას, რეალურად მიაჩნდა მხოლოდ ადამიანის „მეს“ სუბიექტური შეგრძნება.

ბ ი უ შ ე, ფილიპე (1796—1865)—ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქრისტიანული სოციალიზმის მიმდევარი, შეადგინა მუშების საწარმოო ამხანაგობათა გეგმა. მან და თეოლოგმა რუმ დაწერეს 40-ტომიანი „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“.

ბ ლ ე რ ი, ჰუნო (1719—1800)—შოტლანდიელი მეცნიერი. ცნობილია მისი „ლიტერატურის კურსი“, სადაც განხილულია მხატვრული ნაწარმოების შედგენის პრინციპები.

ბ უ ა ლ ო, ნიკოლა (1636—1711)—ფრანგი პოეტი, კლასიციზმის თეორეტიკოსი. კლასიკური პოეტიკის ნორმები ჩამოაყალიბა პოემაში—„პოეტური ხელოვნება“.

ბ უ ო ნ ა რ ო ტ ი, ფილიპე (1761—1837)—საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, უტოპისტი კომუნისტი. ბაბეფთან ერთად მონაწილეობდა „თანასწორთა შეთქმულებაში“, ითვლებოდა „საიდუმლო დირექტორიის“ წევრად.

ბ უ შ ა რ დ ი, ეოზეფი (1810—1870)—ფრანგი დრამატურგი, დაწერა რამდენიმე პიესა „შებადური გასპარდო“, „წმ. პავლეს ტაძრის მნათე“ და სხვ.

გ ა ლ ი ლ ე ი, გალილეო (1564—1612)—დიდი იტალიელი ფიზიკოსი, მექანიკოსი და ასტრონომი.

**დ ე გ ა ლ დ ი**, სტიუარტი (1753—1828)—შოტლანდიელი ფილოსოფოსი, „ზნეობრივი ფილოსოფიის ნარკვევების“ ავტორი.

**დ ე ლ ა ვ ი ნ ი**, კაზიმირი (1793—1843)—ფრანგი პოეტი და დრამატურგი. დაწერა ტრაგედიები: „მარინო ფალიერი“, „ლუი XI“, აგრეთვე პატრიოტული პოემები.

**დ ე ლ ე ზ ი**, ჟან-ფილიპ-ფრანსუა (1753 — 1835) — ფრანგი ნატურალისტი. ცხოველური მაგნეტიზმის თეორიის მომხრე, „ცხოველური მაგნეტიზმის პრაქტიკული სახელმძღვანელოს“ ავტორი.

**დ ი უ კ ა ნ ჟ ი**, ვიქტორ პანრი (1783—1833)—ფრანგი დრამატურგი და რომანისტი. თავის დროს განთქმული იყო დრამებით — „ოცდაათი წელი ანუ უდარდელი კაცის ცხოვრება“, „პოლკოვნიკი და ჯარისკაცი“ და სხვ.

**დ ი უ მ უ რ ი ე**, შარლ-ფრანსუა (1739—1823)—ფრანგი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე. რევოლუციის დროს ამზადებდა კონვენტის დათხოვნისა და მონარქიის აღდგენის გეგმას. მას შემდეგ, რაც ჩაიფუშა მტრებისათვის ფრონტის გახსნისა და რევოლუციური პარიზის წინააღმდეგ გალაშქრების ცდა, ავსტრიელთა მხარეზე გადავიდა.

**დ ო მ ბ ა ლ ი**, მატიე (1777—1843)—ფრანგი აგრონომი, რომელმაც ქალაქ ნანსის (აღმოს. საფრანგეთში) ახლოს დააარსა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, ფერმა და სახელოსნო, შემოიღო ნიადაგის დამუშავების ახალი წესები და ხელი შეუწყო მიწის დასამუშავებელი იარაღების გაუმჯობესებას.

**დ რ ა გ ო ნ ა დ ი**, — დასჯის ერთ-ერთი სახეობა, რასაც ლუი XIV დროს იყენებდნენ ჰუგენოტების წინააღმდეგ: სახლში ჩაუყენებდნენ დრაგუნებს. ეს იყო ჩვენებური „ეგზეკუციის“ მსგავსი რამ.

**ე ა ნ ი ნ ი**, ლუჩილიო (1585—1619)—იტალიელი ფილოსოფოსი, რომელსაც კათოლიკურმა ეკლესიამ უღმერთობა დასწამა და კოცონზე დასწვა ქალაქ ტულუზაში.

**ე ვ ერ ნ ი ო**, პიერი (1758—1793)—საფრანგეთის მე-18-ე საუკუნის რევოლუციის პოლიტიკური მოღვაწე, ჟირონდისტი, იცავდა მეფის ხელისუფლებას, წინააღმდეგი იყო ლუი XIV სიკვდილით დასჯისა. იაკობინელებმა თავი მოჰკვეთეს.

**ე ი დ ა**, მარკ ჟერომი (1490—1556)—ეპისკოპოსი, პოეტი, ლათინურ ენაზე დაწერა თხზულება „პოეტური ხელოვნება“.

**ე ი კ ო**, ჯამბატისტა (1668—1744)—იტალიელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, იურისტი, რომელმაც თავის ფილოსოფიურ ისტორიაში წამოაყენა ზოგიერთი რაციონალური მომენტი, მაგრამ ამასთან ერთად შექმნა რეაქციული თეორია, რომლის მიხედვითაც ისტორიის მსვლელობას ხატავდა ერთგვარი დახშული წრის სახით.

**ე ი ლ მ ე ნ ი**, ფრანსუა (1790—1870)—ფრანგი მწერალი, პროფესორი, „ფრანგული ლიტერატურის კურსის“ ავტორი.

**ე ი შ ნ უ**—ინდოელთა ერთ-ერთი დიდი ღვთაება, სამყაროს მფეთაური და მბრძანებელი.

ი ვ ნ ი ს ი ს  დ ღ ე ე ბ ი—პარიზის მუშათა აჯანყება ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ 1848 წლის 23—26 ივნისს, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი.

კ ა ბ ე, ეტიენი (1788—1856)—ფრანგი უტოპისტი კომუნისტი, დაწერა „მოგზაურობა იკარიაში“, რომელიც გვიხატავს კომუნისტურ საზოგადოებას.

კ ა ვ ე ნ ი ა კ ი, ლუი ეჟენი (1802—1857)—გენერალი, ჩაახშო პარიზელ მუშათა აჯანყება 1848 წლის ივნისში.

კ ა ზ ო ტ ი, ჟაკი (1719—1792)—ფრანგი მწერალი, ფანტასტიკური მოთხრობის „შეყვარებული ეშმაკის“ ავტორი, რომელსაც დიდი რევოლუციის დროს თავი მოჰკვეთეს.

კ ა მ პ ა ნ ე ლ ა, ტომაზო (1568—1639)—იტალიელი მოაზროვნე, უტოპიერი კომუნიზმის ერთ-ერთი ადრინდელი წარმომადგენელი, ესპანეთის მონარქიის მიერ ჩაგვრისგან სამხრეთ იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე; ბრალი დასდეს შეთქმულების მოწყობაში და მიესაჯეს 27 წლის პატიმრობა. საპყრობილეში დაწერა წიგნი „მზის ქალაქი“—კომუნისტური საზოგადოებრივი წყობილების სურათი.

კ ა პ ე ტ ი ნ გ ე ბ ი—საფრანგეთის მეფეთა დინასტია, რომლის ჩამომავალთ პირდაპირი ხაზით ტახტი ეკავათ 987 წლიდან 1328 წლამდე. დინასტიის უმცროსი შტოები იყვნენ ვალუა და ბურბონები.

კ ა რ ტ უ შ ი (1693—1721) — მისი ნამდვილი სახელია ლუი-დომინიკი. იგი იყო ყაჩაღთა დიდი ბრბოს მეთაური, რომელიც გრევის მოედანზე, პარიზში, სიკვდილით დასაჯეს.

კ ა რ ტ ე ზ ი ა ნ ე ლ ე ბ ი—ფილოსოფოს რენე დეკარტის მიმდევრები.

ლ ი ტ რ ე, ემილი (1801—1881)—ფრანგი ფილოლოგი და პოზიტივისტი ფილოსოფოსი, „ფრანგული ენის ლექსიკონის“ ავტორი.

მ ე ს ტ რ ი, ქსავიე (1763—1852)—ფრანგი მწერალი, დაწერა მოთხრობა, „მოგზაურობა ჩემი ოთახის გარშემო“.

მ ო რ მ ო ნ ე ბ ი — წევრები რელიგიური ორგანიზაციისა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა გასული საუკუნის 30-იან წლებში; ქრისტიანულ ღმერთთან ერთად მათ სწამთ სხვა ღმერთებიც. 1890 წელს ფორმალურად გაუქმდა მათ შორის მრავალცოლიანობა.

ნ ა ნ ტ ი ს  ე დ ი ქ ტ ი — გამოსცა საფრანგეთის მეფემ ჰანრი IV (1598 წ.), რითაც ჰუგენოტებს მიენიჭათ პოლიტიკური უფლებანი კათოლიკეთა თანაბრად, აგრეთვე სარწმუნოების თავისუფლება.

ნ ი ზ ა რ ი, დენიზე (1806—1888)—ფრანგი კრიტიკოსი, დაწერა „ფრანგული ლიტერატურის ისტორია“.

პ ი ყ ა რ ი, ბუი ფრანსუა (1769—1828)—ფრანგი დრამატერგი, საყოფაცხოვრებო პიესების ავტორი.

პ რ უ დ ო მ ი, ლუი-მარი (1742—1830)—ფრანგი პუბლიცისტი. 1796 წელს დაწერა „საყოველთაო და მიუკერძეველი ისტორია შეცდომათა და დანაშაულთა, რაც ჩადენილი იქნა რევოლუციის დროს“. წიგნი მიმართულია დემოკრატიის წინააღმდეგ.

ჟ ე ნ უ დ ი, ანტუან ეჟენი (1792—1849)—ფრანგი პუბლიცისტი. ემხრობოდა

კათოლიკებსა და ბურბონებს. რედაქტორობდა რეაქციულ „ფრანგულ ჟურნალს". დაწერა მონარქისტული „საფრანგეთის ისტორია".

ჟ ო ფ რ უ ა, ჟულიენ ლუი (1743—1814)—ფრანგი ჟურნალისტი და თეატრალური კრიტიკოსი. მოწინააღ წრეებში მიჩნეული იყო, როგორც მლიქვნელი ხელისუფალთა წინაშე და მოსყიდული.

ჟ უ ა ნ ვ ი ლ ი, პრინცი დე (1818—1900)—მეფე ლუი ფილიპეს ერთ-ერთი ვაჟიშვილი, საზღვაო ოფიცერი, რომელიც არ იწონებდა მამის პოლიტიკას, რამაც პოპულარული გახადა ბურჟუაზიულ-ლიბერალურ წრეებში.

რ ა ს პ ა ი ლ ი, ფრანსუა-ვენსანი (1794—1878)—ფრანგი ექიმი, პუბლიცისტი. 1830 და 1848 წლების რევოლუციების აქტიური მონაწილე, შემდეგ მემარცხენე რადიკალი.

რ ო ლ ე ნ ი, შარლი (1661—1741)—ფრანგი ჰუმანისტი, ისტორიკოსი, რომელმაც დაწერა „რომის ისტორია".

რ ო მ ი ს ე ქ ს პ ე დ ი ც ი ა (1849)—მოაწყეს საფრანგეთმა და სხვა ქვეყნებმა რომის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რის შედეგად აღდგენილი იქნა პაპის ხელისუფლება, რევოლუციამ რომ დაამხო.

ს ა ნ კ ი უ ლ ო ტ ე ბ ი—ასე ეძახდნენ არისტოკრატები რევოლუციონერებს, რომელთაც გრძელი შარვალი ეცვათ; არისტოკრატები კი ატარებდნენ მაქმანიან მოკლე შარვლებს. ამჟამად ამ სიტყვას სულ სხვა აზრი მიეცა. მას ეძახიან უსაქმურ მოხეტიალეებს, როგორც მეფის რუსეთში ეგრეთ წოდებული „ბოსიაკები" იყვნენ.

ს ე ნ-ს ი ი რ ი — კეთილშობილ ქალთა პანსიონი, რომელიც ლუი XIV და ქ-ნმა დე მენტენონმა დააარსეს; შემდეგ იგი გადაიქცა პრივილეგირებულ სამხედრო სკოლად პარიზის ახლოს.

ს ვ ე დ ე ნ ბ ო რ გ ი, ემანუილი (1688—1772)—შვედი ნატურალისტი და ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი, შემდეგ მისტიკოსი გახდა და დაწერა წიგნი „ზეციის საიდუმლოებანი".

ს ი ს მ ო ნ დ ი, ჟან-შარლ-ლეონარი (1773—1842)—ბურჟუაზიული ეკონომისტი და ისტორიკოსი, რომელსაც კარლ მარქსი აკუთვნებს საფრანგეთის პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის მომხრეებს. იგი ავტორია რამდენიმე ნაშრომისა: „ფრანგთა ისტორია", „შუა საუკუნეთა იტალიური რესპუბლიკის ისტორია", „პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები" და სხვ., რომლებშიც აკრიტიკებდა კაპიტალიზმს და იცავდა წვრილ ბურჟუაზიას, მოითხოვდა ბრძოლას კაპიტალის კონცენტრაციის წინააღმდეგ.

ს ო ლ ო ნ ი (640—558, ძვ. წ) — ათენელი კანონმდებელი, რომელიც ეაჭრული ფენების ინტერესებს გამოხატავდა.

ს უ ბ ლ ი ნ ი—XVII საუკ. ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი.

ტ ე რ ტ უ ლ ი ა ნ ე (160—240)—ქრისტიანი ღვთისმეტყველი.

„უ ნ ი ვ ე რ ი" — კათოლიკური გაზეთი, რომელიც პაპის შეუზღუდველი სასულიერო და საერო ძალაუფლებას იცავდა.

ფ ა რ ა დ ე ი, მიქაელი (1791—1867)—სახელგანთქმული ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, რომელმაც მთელი რიგი მეცნიერული კანონები აღმოაჩინა.

შ ე ნ ი ე, ანდრე (1762—1794)—გამოჩენილი ფრანგი პოეტი და პუბლიცისტი, ემხრობოდა ჟირონდისტებს და ეწინააღმდეგებოდა იაკობინელთა დიქტატურას, რისთვისაც თავი მოკვეთეს.

შ ო ს ე დ'ა ნ ტ ე ნ ი ს გ ა ნ დ ე გ ი ლ ი — ფსევდონიმია მწერალ ე უ ი ს ; (1764—1846), რომელმაც დაწერა რამდენიმე საყოფაცხოვრებო ნარკვევი.

რედაქტორი ნ. აგიაშვილი
მხატვარი ნ. იანქოშვილი
მხატვრ. რედაქტორი ს.ბ. ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი თ. ნათიშვილი
კორექტორი გ. წერეთელი
გამომშვები ნ. ჯაფარიძე

გადაეცა წარმოებას 14/V-73
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/V-74
ქაღალდის ზომა 60×84 1/16. საბეჭდი № 2
ნაბეჭდი თაბახი 18,6
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,23
ტირაჟი 20 000. შეკვ. № 558.

ფასი 64 კაპ.
გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის 42
თბილისი, 1974

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, კამოს ქ. № 18.

Комбинат печати, Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Тбилиси, ул. Камо № 18.